სერგი ჭილაია

უახლესი ქართული მწერლობა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1975

8 Г
899.962.1.09
ჯ 46

წინამდებარე ნაშრომში მკითხველი გაეცნობა უახლესი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლების შალვა დადიანის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძისა და სხვათა პორტრეტებს.

Ч $\frac{0723-101}{М\ 601(08)\ 75}$

შალვა დადიანი

რევოლუციამდელ და საბჭოთა საქართველოსთან ერთად ჩამოყალიბებულ საბ̆წერლო თაობათა ერთობლივმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ შექმნა ქართული საბჭოთა მწერლობა. და თუ ამ ისტორიაში ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას დავიცავთ, ყველაზე უფროსი წევრი მწერალთა კორპორაციისა, რომელმაც საბჭოთა მწერლობის პლატფორმას მოაშურა, შალვა დადიანი იყო.

შალვა დადიანის შემოქმედებითი ცხოვრება მეტად მრავალმხრივია. ბელეტრისტი და დრამატურგი, მსახიობი და რეჟისორი, და ბოლოს, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, — ასეთია ამ მრავალმხრივობის სფერო. ამ გამოჩენილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ 85 წელი იცხოვრა, აქედან 70 წელი შემოქმედებითი ცხოვრების ტკივილებითა და სიამტკბილობით. შალვა დადიანის ღვაწლი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა და სასცენო ხელოვნების წინაშე განუზომლად დიდია. უახლესი ქართული მწერლობის ისტორიასთან, მის ყოველ მნიშვნელოვან პერიოდთან და ეპიზოდთან განუყოფლად დაკავშირებულია შალვა დადიანის მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრება და საზოგადო მოღვაწეობა.

შალვა დადიანი ეკუთვნის რევოლუციამდელი ეპოქის იმ გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პლეადას, რომელთაც დაიცვეს და განავითარეს ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო რეალისტური და დემოკრატიული ტრადიციები; პატრიოტიზმის, ხალხურობის, ჰუმანიზმის მგზნებარე მქადაგებლად გამოვიდნენ მწერლობასა და სასცენო ხელოვნებაში. მისი დროის მოწინავე დემოკრატიულმა იდეებმა ფეოდალთა გვარის შთამომავალი შალვა დადიანი მშრომელ ხალხთან მიიყვანა, ამ ხალხის სულიერი კულტურისა და კეთილშობილური მისწრაფებების გამომხატველი გახადა. ამ მოწინავე პო-

ზიციებმა მთელი სისრულით ჰპოვა განვითარება მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა თავი დააღწია ცარიზმს და დიდი ოქტომბრის გზას გაჰყვა.

როგორც აღინიშნა, შალვა დადიანმა ერთმა პირველთაგანმა მიაშურა საბჭოთა მწერლობის პლატფორმას; ჩვენმა დრომ, სოციალისტურმა მშენებლობამ, ახალმა ცხოვრებამ ახალი შემოქმედებითი ცეცხლით აღანთო იგი. ჩვენს დროში ხელმეორედ დაიბადა შალვა დადიანი როგორც შემოქმედი, რომელმაც გაამდიდრა ჩვენი დიდი მწერლობა ახალი თემებით, ახალი იდეებით. უკვე ღვაწლმოსილი თეატრალი და ბელეტრისტი საბჭოთა მწერლებს შორის იდგა ისევ მხნე, დიდი შემოქმედებითი ენერგიით ანთებული, როგორც დაუბერებელი, ფესვმაგარი მუხა, მამა და თანაშებრძოლი ქართული საბჭოთა მწერლობისა. იშვიათია ასეთი მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრებისა და ბიოგრაფიის მწერალი. მან მთელი თავისი კეთილშობილური ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა შესწირა თავის ერს, მწერლობას და თეატრალურ ხელოვნებას.

შალვა დადიანი დაიბადა 1874 წლის 8 მაისს დაბა ზესტაფონში, შალვას ბებიის — მაია აბაშიძის სახლში. მამამისი —მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო დადიანი დიდი განათლებისა და შეძლების კაცი იყო, დედა—ლიდა წულუკიძე ასევე შეძლებული ოჯახიდან იყო. დიდი ფეოდალის შთამომავალს, შალვა დადიანს, ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ შესაფერისი განათლება მიეღო, ამისდა მიუხედავად, სპარტანული მორალის ერთგულ ნიკო დადიანს სკოლებში იმ დროს გაბატონებული ჩინოვნიკურ-იეზუიტური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, შალვა დადიანი სასწავლებელში არ მიუბარებია. ამ გარეშოების გამო მწერალი იუმორისტული ტონით შენიშნავს:

„ერთ დაწესებულებაში საჭირო იყო და შემეკითხნენ — რა განათლების პატრონი ხარო? მივუგე — არავითარის-მეთქი.

სიცილი აუტყდათ. არ დამიჯერეს, წერა-კითხვა მაინც ხომ იცითო! მაშინ დიდის პათოსით განვაცხადე, რომ პრეტენზია მაქვს ქართველ მწერლად ვითვლებოდე-მეთქი. სათანადო რუბრიკაში ჩაწერეს: „მცირედი“. რა არის ეს? შეიძლება ქართველი მწერალი მცირედი განათლების იყოს? ეს ჩემი მცირედი კი მამაჩემის ბრალია; მოგეხსენებათ, თავის დროზე მამაჩემი თვალსაჩინო მოღვაწე იყო და აკი მის სიცოცხლეში უძრახავდნენ, რომ მე განათლება არ მომცა, მაშინ როდესაც

მრავალი ახალგაზრდა, საზოგადოდ მისი დახმარებით და ზოგჯერ მის ხარჯზედაც, უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, მას არ სწამდა მაშინდელი პედაგოგიური პრინციპები... და არსად არ მიმცა". სამაგიეროდ, შ. დადიანისთვის დიდი ლიტერატურული და პატრიოტული სკოლა შეიქმნა მამამისის ოჯახური წრე. ნიკო დადიანი ახლოს იცნობდა მე-19 საუკ. მეორე ნახევრის პროგრესული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს. შალვა დადიანი იმთავითვე მოხვდა ამ მაღალ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ატმოსფეროში. ნიკო დადიანის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ილია და აკაკი, ივანე მაჩაბელი და კირილე ლორთქიფანიძე. ამ გარემოებამ განაპირობა შალვა დადიანის თვითშეგნების გზა. იგი ჭაბუკობიდანვე ჩაება მრავალმხრივ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საქმიანობაში. 1893 წელს მან „ქუჯის" ფსევდონიმით გამოსცა ლექსების პატარა კრებული „ნაპერწკალი". ამავე წლიდან 19 წლის ახალგაზრდა დაუკავშირდა ქართულ სასცენო ხელოვნებას. შალვა დადიანის არტისტული კარიერა დაიწყო ქუთაისის დრამატულ დასში, რომელსაც კოტე მესხი ხელმძღვანელობდა. 1893 წლის 2 თებერვალს ეფემია მესხის საბენეფისოდ დაიდგა ა. დიუმას პიესა „მარგარიტა გოტიე", რომელშიც მონაწილეობდა შ. დადიანი. ამის გამო გაზეთი „ივერია" შენიშნავდა: „ამ არტისტს პირველად ვხედავთ ჩვენ სცენაზე, სცენიური ნიჭი ეტყობა და შეუძლია კარგი არტისტი დადგესო" (ს. ფირცხალავა). „ივერიის" ეს შეფასება გაამართლა შალვა დადიანმა. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრის წინაშე. მისთვის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ვრცელი ასპარეზი სწორედ ხელოვნების ამ ყველაზე უფრო მასობრივ დარგში გადაიშალა. მისი მასწავლებლები და თანამებრძოლები იყვნენ ქართული სასცენო ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები: კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და სხვანი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლადო მესხიშვილის ღვაწლი ამ მხრივ. ჩაუდგა რა სათავეში ქუთაისის თეატრს, მესხიშვილმა მთელი თავისი შემოქმედება დაუკავშირა მუშათა მოძრაობას, ხალხის განთავისუფლების საქმეს. „ის არა მარტო ღრმა იდეურობისა და რევოლუციური სულის გამომსახველ სპექტაკლებს აწვდიდა ხალხს, არამედ 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში მუშების გამოსვლას ქუჩაში თვითონ მეთაურობდა." ერთ-ერთ ასეთ დემონსტრაციაზე, ქუჩის ბარიკადებზე მან განაცხადა: „შესაძლოა ჩვენ

დავიღუპოთ, მაგრამ ქვეყანა წარმოშობს გმირებს, რომლებიც ხალხს უეჭველად გაამარჯვებას მოუპოვებენო“. ახალგაზრდა შალვა დადიანის აზროვნება ამ მოწინავე საზოგადოებრივ მოღვაწეთა წრეში ყალიბდებოდა.

კარიზმის იმ შავბნელ დროში ქართველი ხალხის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდისა და პატრიოტული განწყობილებით შეიარაღების საქმეში ქართულ თეატრს უდიდესი როლი ჰქონდა დაკისრებული ქართულ მწერლობასთან, ქართულ პრესასთან ერთად. ეს იყო ისეთი დაწესებულება, საიდანაც მჭუხარედ გაისმოდა ქართული სიტყვა მაშინ, როცა ქართული ენა ცარიზმის მიერ აკრძალული იყო. შალვა დადიანი თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა ქართულ თეატრს, როგორც არტისტი და რეჟისორი. მას 100-ზე მეტი პიესა დაუდგამს, 180-მდე როლი შეუსრულებია. მათ შორის — გორკის „სახიობი, შილერის კარლ მოორი, ერისთავის ლეონიძე, სუმბათაშვილის სულეიმან-ხანი და ოთარ-ბეგი, ნ. ნაკაშიძის სიკო, სარდუს ფუშე და სხვ. შალვა დადიანმა განავითარა და მტკიცე ნიადაგი დაუმკვიდრა კოტე მესხის, ვასო აბაშიძის და ლადო მესხიშვილის რეალისტური თეატრის ტრადიციებს. ამ მოწინავე ტრადიციებმა მიიყვანეს ის ბაქოსა და ნოვოროსიისკის მუშათა კლასთან. ამავე მოწინავე იდეებით შთაგონებულმა შ. დადიანმა 1912 წელს შეადგინა ე. წ. „მოგზაური დასი“. მან ხალხის სამსახური, მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების პროპაგანდა დააკისრა ამ დასს. დასით შ. დადიანმა შემოიარა საქართველოს მივარდნილი რაიონები და სოფლები. ეს იყო ნამდვილი გასვლა ხალხში. ეს დასი შემდეგ დაბინავდა ბათუმში და იქ საფუძველი ჩაუყარა პროფესიონალურ ქართულ თეატრს.

რევოლუციამდელ ქართულ თეატრთან დაკავშირებულ ხელმოკლეობასა და მძიმე ტვირთთან შ. დადიანი ათავსებდა მწერლის მაღალ მოვალეობას.

შალვა დადიანის პირველი მოთხრობა „წმინდა ცრემლები“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ 1896 წელს. ეს იყო ახალბედა ავტორის პირველი მოთხრობა დიდი ილიას მიერ მონათლული. ამ ეტიუდში მოთხრობილი ამბავი მარტივია: თავადიშვილი კოწია მთელ მამისეულ მამულსა და ქონებას ღვინოსა და კარტის თამაშში გაფლანგავს... „შეძლებული დედმამიშვილი, ნებივრობაში აღზრდილი, გატეტეჩებული კოწია დღე და ღამე იმას ცდილობდა, რომ ავადმყო-

ფური ვნებები და გულისთქმა მოეკლა, დაეცხრო. თვითონ კოწია არ იყო ბუნებით ავი და აი ახლა, როდესაც მთელს დედმამისეულ ქონებას ბოლო მოუღო, მიხვდა, რომ უფსკრულისაკენ გადახრილა. მაგრამ უკვე გვიანაა, ყოველივე დაკარგულია, წარსულს ვეღარ დაიბრუნებს და გადაწყვეტს თავი მოიკლას. „კოწია წამოდგა და მტკიცე ნაბიჯით მივიდა ლოგინთან, რევოლვერს ბუდე გამოაცალა და სატყვიარს ჩახედა. შიგ ექვსივე ტყვიაა. კოწიას ტანში გააჟრჟოლა, შეჩერდა და წარსულის სურათები აღადგინა, გიმნაზიაში სწავლა მოაგონდა და სათავადაზნაურო პარში გაცნობილი ნინო. ეს ნინო ეხლა საზღვარგარეთ იყო, მას გულწრფელად უყვარდა კოწია, იგიც გაეგონა რომ კოწია გაღარიბდა, აღარაფერი არ აქვსო. მაგრამ გული მაინც მისკენ ეზიდებოდა და აი, დაბრუნდა თუ არა, ვიდრე სახლში მივიდოდა, კოწიას მიადგა სწორედ მაშინ, როდესაც კოწიას თავის მოკვლა გადაეწყვიტა; მივარდნენ ერთურთს და გულამოსკვნილნი მდუღარე ცრემლსა ღვრიდნენ. ეს იყო ცრემლი გულის წმინდის, ცრემლები წმინდა“.

შალვა დადიანის მოთხრობებმა მთელი მოზრდილი ტომები შეადგინა. ეს ტომი სამ რუბრიკად დაყო ავტორმა: ჩამოკრულები, სიჭაბუკის კოინდარზე და დიდ შარაგზაზე. ჩამოკრულებში მწერალმა გააერთიანა ის ადრინდელი მცირე ფორმის მინიატურები და ესკიზები, რომელშიაც ასახულია 1905 წლის რევოლუციის, რეაქციის პერიოდისა და ჩვენი დროის ცხოვრების სურათები. ჩამოკრულებში ავტორი ამბობს: „ვცდილობ ჩამოკრულით გამოვთქვა ჩემი ნაგრძნობი. ნაგრძნობი და არა ნაფიქრი. კარგად დაუკვირდით ამას“. და მართლაც, რაც უგრძნია ავტორს 1905 წლის რევოლუციისა და მის მომდევნო ხანაში, უშუალოდ ლექსისებურ ფორმით, ჩანახატის სახით, კალმის ერთი მოსმით უთქვამს. მოვლენის ერთი დეტალი, სურათის ერთი მხარე ჩამოკრულად გამოთქმული, — ასეთია ამ მინიატურების მიზანდასახულება. ასეა ეს კერძოდ ეტიუდში, რომელსაც ჰქვია „სიხარულის არის ცრემლები“.

მოთხრობების მეორე რუბრიკაში წარმოდგენილია სიჭაბუკის ჟამს დაწერილი მოთხრობები. აქედან ჩვენ მის პირველ ნაწარმოებს „წმინდა ცრემლებს“ უკვე შევეხეთ, სიჭაბუკის, ჯერ კიდევ გაურანდავი ლიტერატორის, ხელი ატყვია მის მოთხრობებს: „არ მოვმკვდარვარ“, „იახში ხანუმ“, „უბის წიგნიდან“ და სხვა. უფრო საინტერესოა მესამე რუბრიკაში — „დიდ შარაგზაზე“ — თავმოყრილი მოთხრობები. აქ მაინც

გამოირჩევიან მისი მოთხრობები „შვილი“, „სამსონის თმები“, „ა. თ. ე.“ მოთხრობა „შვილი“ მეტად მწვავე პრობლემებს აყენებს. კერძოდ, ავტორს მიაჩნია, რომ დედაშვილობის გრძნობას, რომელიც მეტად გაზვიადებული სახით არის ქართველი კაცის შეგნებაში შესული, უკავშირდება ეგოისტური, კერძომესაკუთრული გრძნობების დაბადება და დაცვა. აქ კამათია იმაზე, ხომ არ აჯობებდა ტრადიციულ აღზრდას შვილისას შეცვლიდეს რაღაც საზოგადოებრივი აღზრდა. მოთხრობაში ხანგრძლივად წარმოებს ამის ირგვლივ კამათი. აქ ძველ სოციალ-უტოპისტების აზრებსაც შეხვდებით. მაგრამ ცოლ-ქმარს შორის ატეხილი ეს კამათი ერთია, საქმე — მეორე: „თითქოს ვიღაც ძლიერი შვილს მართმევსო... არა, არ მოგცემ, არ დაგანებებ, იგი ჩემია, ჩემი საკუთრებაა, ტყუილია ყოველი თეორია, რადგან მე ახლა ჩემი შვილი მიყვარს და ამით ვამაყობ. დიახ, შეიძლება მთლად ამაშიც იყოს მთელი ტრაგიზმი კაცობრიობის არსებობისა, რომ თეორია სხვას ამბობს და პრაქტიკა სხვას“. „მე მიყვარს თეთუნია?“—ასევე ზოგად თეორიულ კითხვას არკვევს მწერალი მოთხრობაში „სამსონის თმები“. გოგლოსა და ცაბულოს ერთმანეთი უყვართ. გოგლო მწერალია, ცაბულო — მასწავლებელი. ეს თავდამავიწყებელი რომანი ბედნიერი ცოლქმრობით დამთავრდა. მაგრამ რაც უფრო მძაფრდება ეს სიყვარული, მით უფრო კლავს მწერლობის ნიჭს გოგლოში. „მაშ, ცოლი, ოჯახი, საზოგადოებაში ნებადართული კლავს შემოქმედებას? ან შეიძლება, საზოგადოდ შემოქმედების მადლით მოსილ ადამიანებს სულაც არ მართებთ შეიყვარონ, ოჯახი გაიჩინონ და თვით გაუხდნენ ცხოვრებას მოქმედ პირებად?“ და აქ მწერალს აგონდება ბიბლიური სამსონის მაგალითი. „სამსონი, ბრგე ვაჟკაცი, შავი გრუზა თმები მხრებამდის რომ აყრია, ლაღობს, უძლეველია, შეუვალი, მაგრამ აგერ მაცდური დალილა გამოჩნდა. ერთი მშვენიერი ღამე გიჟური ვნებით გატარებული და... სამსონის თმები დალილას მიერ შეკრეჭილი ყრია. სამსონს კი ძალა წაერთვა“. ასე დაემართა გოგლოსაც.

ჩვენ დროს დაწერილი მოთხრობებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ა. თ. ე.“ მოთხრობაში ეს ინიციალები იშიფრება: აფროდიტე, თემესტია, ელო. იშიფრება ის ახლად დამთავრებული ზაჰესისა და მის მოპირდაპირე მთაზე აღმართულ ჯვრის მონასტრის ფონზე.

თბილისიდან მატარებლით სამნი მიემგზავრებიან: ქეთო მინდიაშვილი, დიტო დოლაბერიძე, მიხო სეხნიაშვილი. ქეთო ზაჰესის მუშა

სანდროსთან მიდის, ხოლო მიხო და დიტო ჯვრის მონასტრის ასაზომად. ჯვრის მონასტერი უნდა განაახლონ, აღადგინონ და მუზეუმად აქციონ, ზაჰესი და ჯვრის მონასტერი — აი, მუშებისა და ახალგაზრდების კამათის საგანი. ამას მოსდევს ლეგენდა. თურმე ვიდრე ჯვრის მონასტერს ააშენებდნენ, აქ ქანდაკება იდგა, ქანდაკება აფროდიტესი, სიმბოლო ქალის სილამაზისა. შემდეგ მის ნანგრევებზე მონასტერი ააშენეს, მონასტრის ამშენებელს მიქელს კედელზე თავისი შეყვარებული ქალი თემესტია მოუხატავს. და აი ახლა, როდესაც მიხო აღსადგენად ესტუმრა მონასტერს, ღამე თემესტია ეზმანა, ხოლო მის სახეში ელო შეიცნო. „და როდესაც „მმაჩში" მიდიოდნენ, მიხო ელოს ყურში ჩასჩურჩულებდა: შენ ათე ხარ, ათე, ჩემო, ჩემო... აფროდიტე, თემესტია, ელო, ხომ?..."

ავტორის აზრით ყოველ შემოქმედს თავისი მუზა ჰყავს ქალის სიყვარულის სახით წარმოდგენილი.

ეს დიდი შინაგანი მხატვრული ენერგიით და პოეტური ხილვებით დაწერილი მოთხრობაა.

1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში დაიწყო შალვა დადიანმა დრამატულ ჟანრში მუშაობა და ეს ჟანრი მოხერხებულად გამოიყენა — მოწინავე, რევოლუციური იდეების ტრიბუნად. შალვა დადიანის პირველი პიესა იყო „მღვიმეში", რომელსაც მწერალმა ფანტასტიკური სანახაობა უწოდა. ამ პიესაში, მინიატურებში ნაცადი მხატვრული ხერხი, ალეგორიების ხერხი, გამოიყენა და ასე გამოხატა მშრომელი ხალხის ბრძოლა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ. ავტორმა თვითმპყრობელობის აუტანელი რეჟიმი უსინათლოდ დახშულ, თაღით შეკრულ მღვიმეს შეადარა და ამით ხაზი გაუსვა ხალხის უმწეო მდგომარეობას და მის აღშფოთებას მეფის ტახტის წინააღმდეგ. საუკუნეებით განმტკიცებული ამ მონობისა და სიბნელის მღვიმის წინააღმდეგ ხალხის ამხედრება გამოხატა შ. დადიანმა, ასევე სიმბოლურად ბედის მჭედლების, ამ მოწინავე რევოლუციონერების თავგადასავალში. რევოლუციის დღეებში მგზნებარედ გაისმოდა ამ პიესის მოქმედი გმირის — მუშა ფიცხელას სიტყვები: „გამოვალთ ჩვენ, შავი ხალხი, შიშველ-ტიტველნი, მაგრამ თავისუფალნი და ჩვენის გაშლილის თითებით დავლეწთ იმ ბუნაგებს, სადაც ჩვენი დამღუპველნი ჩაბუდებულან, დავანგრევთ ამ მყარ კედლებს სულისშემხუთველსა, ჩამოვთხლეშთ ამ ხავსს, კედლების გამმაგრებელს და ჩვენვე დავანგრევთ

თაღს შყარსა და მტკიცეს, ჩვენ ჩამოვშლით მას და ჩამოუშვებთ იმ საუცხოო მზეს, რომელიც ყველას აგრე ენატრება. მაშ, გაუმარჯოს მუშა ხალხს“.

„მღვიმეში“ დაწერილია 1905 წელს რევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებით და მასში მძაფრად არის გამოხატული კლასობრივი პრინციპი რევოლუციური საქართველოსათვის ბრძოლაში. აქ გამოყვანილი მოქმედი პირნი ორ დაპირისპირებულ ბანაკს წარმოადგენენ. ერთ ბანაკშია გაერთიანებული რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელსაც ავტორი უწოდებს ბედის მჭედლებს. ამ ჯგუფში მკვეთრ ხასიათებად არიან გამოხატული: მუშა ფიცხელა, ახალგაზრდა მებრძოლი ქალი მზენათ, მგოსანი ზენის, ახალგაზრდა ვაჟი სახიერი. მეორე ბანაკშია მთავარი, დედოფალი — სურათა, ქურუმთ-ქურუმი, უშუყ-ვეზირი, ხოლო ამ წრის წარმომადგენლები მთავარისა და ნაზიბროლა უფრო ახალგაზრდებთან არიან, ამ უკანასკნელს გულწრფელად უყვარს მგოსანი ზენისი, მაგრამ დედოფალი წინ აღუდგება ამ სიყვარულს და ჩააგონებს დიდებულებს, ნაზიბროლა მიათხოვონ ვიღაც მეფისწულს. ხავსის მოტრფიალეთა ჯგუფი, გარდა მთავრისა (მთავარი გამოჰყავს მწერალს, როგორც უნებისყოფო, თითქოს მდაბიოთა შემწყალე და მეგზეური), ემხრობიან ამ გადაწყვეტილებას. ამ ვითარებაში ბედის მჭედლები მუშა ფიცხელასა და მზენათის მეთაურობით მოითხოვენ არა „ქორწინების თავისუფლებას, არამედ ხელოვნური თაღის დარღვევას“ და როდესაც „კეთილი“ მთავარიც წინ აღუდგება მათ სურვილს, გადაწყვეტენ ხელოვნური თაღი, რომლის ქვეშ უმზეოდ ცხოვრობს ხალხი და იტანჯება, დაარღვიონ, მზე შემოუშვან მღვიმეში. თაღი აქ სიმბოლურად მეფის რუსეთის საპყრობილეს განასახიერებს. სამთავროს დიდებულნი ქურუმთა-ქურუმის წინამძღოლობით ნაზიბროლას ქორწინების საკითხს ძველებურად წყვეტენ. ხავსის მოტრფიალეებს შეუტევენ ბედის მჭედლები. შუშები მზეს, თავისუფლებას მოითხოვენ. ორპირი და გაიძვერა უშუყ-ვეზირი როდესაც დაინახავს, ძალა ბედის მჭედლების მხარეზეა, განუდგება დედოფალს და ქურუმთ-ქურუმს. ბედის მჭედლები ბრძოლაში გაარღვევენ თაღს. ამ დიდი შეტაკებისა და ბრძოლის დროს დედოფალს კლავენ. უშუყი მუშა ფიცხელას ჯგუფს მიემხრობა, ინანიებს თავის ძველ ცოდვებს, ვეზირის ქურქის გამოცვლას შეეცდება და მოტყუებით ბედის მჭედლების მეთაურობის ხელში ჩაგდებას ცდილობს, მაგრამ ნაზიბროლა ამხელს. ნაზიბროლამ იცის, „მწვერვალ-

ზე ან არწივი ჩამოჯდება, ან ქვემძრომი შემოხოხდება". ბედის მჭედელის ბანაკიც გაიბზარა, ორად გაიყო, ნაწილი პროკოკატორ უშუყს ემხრობა, ნაწილი კი მუშა ფიცხელას. მგოსანი ზენისი კი, დაბნეული და დაუკმაყოფილებელი, რაღაც უფრო დიდსა და სრულყოფილს ეძებს. ამბოხებაში მონაწილე ნაზიბროლა თავს იწამლავს. გამარჯვებული მზენათის ჯგუფიც დაბნეულია. ასე უპერსპექტივოდ მთავრდება პიესა. ამ დაბნეულობაში კარგად არის დანახული 1905 წლის რევოლუციის დამარცხების მიზეზები. იმ გარემოებამ, რომ რევოლუციურ მუშათა კლასს არ აღმოაჩნდა მტკიცე მეთაური ერთიანი პარტიის სახით, გამოიწვია ძალების დაქსაქსვა და დამარცხება. მაგრამ რევოლუციის მიერ გამოღვიძებული განწყობილება მაინც კარგად გამოხატა დრამატურგმა მუშა ფიცხელასა და მზენათის სახეებში.

1905 წლის რევოლუციის თემას მიეძღვნა შალვა დადიანის 1907 წელს დაწერილი მეორე პიესაც „როს ნადიმობდნენ". აქ უფრო ნათლად ქრის რევოლუციის ქარიშხალი. პიესაში, რომელსაც მწერალი უწოდებს „სანახაობას ერთ მოქმედებად", სწორად არის გამოხატული ის კლასობრივი და სოციალური ბრძოლა, რომელიც რევოლუციის დღეებში მთელი სისრულით გამოვლინდა. მოქმედება წარმოებს მდიდარი მებატონის სახლში. ბატონი პირფერობს ქვეშევრდომთა წინაშე, თითქოს მოწყალებასაც იჩენს. გლეხების შრომით შექმნილ სანადიმო მაგიდას მტკიცედ მოსხდომიან ბატონი, ქალბატონი, მწირი ბერი და ფულიანი ვაჭარი. ვაჭარი აჯავრებს ქალბატონს და ბატონს, დადგება დრო და ყველა სიმდიდრე ჩემს ხელში გადმოვა, ფულით მე ყველაფერს შევიძენო. აქვე არიან მეცნიერი და მგოსანი, მეცნიერი—ისტორიის მემატიანე და მგოსანი — ხალხის მოძღვარი, მისი ჭირისა და ლხინის მხატვრული მესიტყვე. ამ დროს გლეხი გამოჩნდება, ბატონს შესთხოვს ნუ წაართმევს იმ მიწის ნაჭერს, რომელიც მას ეკუთვნის. მთხოვნელ გლეხს ბატონი გაგდებით ემუქრება. ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გამოჩნდება ახალგაზრდა მუშა, ლურჯი უბრალო ხალათით, ასევე უბრალოდ, ჩითის კაბაში მორთული მუშა-ქალი. ფინალში ასეთი საინტერესო დიალოგი იმართება:

მ უ შ ა. ჰმ... ნადიმობენ... (გლეხს). საით გარბიხარ, აქ იყავ ჩემთან, გვერდს ამომიდექ. როგორ ვერ ამჩნევ, რომ ეს სანადიმო ყოველივე ჩვენი შექმნილია. ჩვენით ნადიმობენ. შენ მოუტანე ეგ პური, ეგ ღვინო. ეგენი შენი ხელის მონაწევარია. მე კი მოვქსოვე ეს

ფარჩა, ის ხავედრი, მე მოვუჩუქურთმე ეს დარბაზი ჩემის ხელებით. ჩვენ ორივემ ჩვენის ჯაფით და შრომით შევძინეთ მათ ეს ავლა-დიდება და ყველა ამას მხოლოდ ეგენი მოსხდომიან. ეგენი ნადიმობენ. (თანდათან იღრუბლება. შორიდან ქუხილის ხმა მოისმის ხანდაზმით.)

ჩვენ კი? აი, ესე, გარედან შევცქერით და შიმშილით სული გვხვდება, სიცივით გული გვეყინება, ჯაფისაგან სხეული გვეშლება. შევცქერით შორიდან და მისვლაც კი ვერ გაგვიბედნია; შენ გარბიხარ კიდეც... ერთი შემოგიცაცხანეს და ქედდადრეკილი აქედან გარბიხარ... აარა, ძმაო. კმარა! რაც ჩვენი ხელით მოგვიწევია, რაც ჩვენ გვიკეთებია, ის ჩვენი უნდა იყოს.

მ გ ო ს ა ნ ი. (შორს იყურება). ჰაერში ელექტრონი უკვე გროვდება.

(ქუხილი. ყველა არეულ გუნებაზე დგება. მეცნიერი მაინც სწერს.)

მ უ შ ა. ეს სუფრა ჩვენ გვეკუთნის. მივიდეთ, ამხანაგო!

ფ უ ლ ი ა ნ ი. (ფერი ეცვლება, წამოდგება და სხვა მხარეზე გადადის).

ბ ა ტ ო ნ ი. ეს ვინ თავხედია? როგორ გაბედე აქ შემოსვლა?! ვინ შემოგიშვა?

მ უ შ ა. ჰა, ჰა, ვინ შემოგიშვა!.. მე ჩემით მოველ და ჩემსას მოვითხოვ.

ბ ა ტ ო ნ ი. როგორ ბედავ? რა არის აქ შენი?!.

მ უ შ ა. აი ეგ სუფრა, ეგ სანოვაგე, ეგ ჭურჭელი ჩემი და ამისია... ჩვენგან შექმნილი, ჩვენის ოფლით მონაგარი. თქვენ კი ჩვენს დამზადებულ სუფრას მოუსხედით... როგორ, გემრიელი იყო?.. კმარა, კმარა, რაც ინადიმეთ ეხლა დადგა დრო, ჩვენ მოვედით უკვე შეგნებულნი და მოვითხოვთ ჩვენს სუფრას.

ბ ე რ ი. აქ არ მოუშვათ ეგ უწმინდური!

ფ უ ლ ი ა ნ ი. (შორიდან ყრუდ). არ დასვათ, არა! რას მიქვიან მოთხოვნილება?

ბ ა ტ ო ნ ი. ბიჭებს დავუძახებთ...

ფ უ ლ ი ა ნ ი. (უფრო ყოყოჩად). ეხლავე მაზრის უფროსთან ვაფრენ.

მ გ ო ს ა ნ ი. (იღიმება).

მ ე ც ნ ი ე რ ი. (თავჩაღუნული სწერს).

მ უ შ ა. ჰა, ჰა, უბადრუკნო! მაშ, მეტი რაღა დაგრჩენიათ. მხოლოდ ეგ იმედი. ჯერ კიდევ ძალა თქვენსკენაა. შინაყმები და მთავრობა ფიზიკურად ჯერ კიდევ ძლიერი გყავთ... (შორიდან მოისმის „მარ-

სელიოზა“). მაგრამ გესმით?

ყველა შეშფოთდება, უფრო ფულიანი, რომელიც გულშეწუხებული სავარძელში ჩაეცემა და თავს ჩაქინდრავს).

აი რა ხმები მოისმის! ჩვენს უკან ლაშქარია. გამხდარი, გაძვალტყავებული, თქვენგან ცხოვრებაში გარიყული, დამონებული და... ამ ნადიმს მოკლებული, მაგრამ მაინც ლაშქარი... ხედავთ როგორ ახლოვდება ხმა?.. ეს გარდუვალი რამ არის. არა, მეცნიერო?

(ქუხილი და ქარიშხალის ზუზუნი. საშინლად ბნელდება, მხოლოდ მეცნიერის წინ პაწია ლამპარი რაღაც ძალით კიაფობს. ის სწერს. სიბნელეში ქადაგივით გაისმის მუშის ხმა).

მე აქამდის ვთხოულობდი, მაგრამ მოვა ეს ლაშქარი და ძალით წაიღებს იმას, რაც სიმართლით მას ეკუთვნის.

ულიანი. (ცვნესის). ოოოჰ, მომაშორეთ! კაცი აფრინეთ!

ატონი, ქალბატონი. (დაბნელდება, წამომდგარნი არიან). რა ამბავია? იქცევა ქვეყანა?

ერი. (ესეც ზეზეა. სასოწარკვეთილი), მეორედ მოსვლაა!

გოსანი. (მკაფიოდ). „უკვე აღსდგა ქარიშხალი, განთიადის მოციელი“...

(უეცრად ელვა გაანათებს სანახაობას. ფულიანი სავარძელში სრულიად მოკრუნჩხულა, ბატონი და ქალბატონი დაფანტულ ინდაურებით დგანან, მგოსანს გასხივოსნებული სახე აქვს, მეცნიერი მაინც სწერს. ეშა-ვაჟი ხარხარებს. მუშა-ქალიც გაბრწყინებულ სახით სუფრის

მოსულა. გლეხს ქუდი მოუხდია და სახეზე სიხარული გადაჰფენია... შორიდან, მაგრამ უფრო ძლიერად მოისმის „მარსელიოზა“, სუათი).“

ასეთი მებრძოლი პათოსით გამოხატა შ. დადიანმა 1905 წ. რევოლუციური საქართველო.

შალვა დადიანის „შენი ჭირიმეს“ თემაა მემამულისა და გლეხის, მაალი წოდების და მშრომელი გლეხობის ურთიერთობის საკითხი. ეს თხვა არ იყო ახალი. ეს საკითხი ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა „ოთარაანთ ქვრივში“ და მტკიცედ თქვა, რომ გლეხკაცობაა იმედი ქართველოსი, რომელმაც უნდა გაიყოლიოს თავადაზნაურობა შროში, ახალი საქართველოს შექმნაში. ილიას მსგავსად შალვა დადიანიც იმას ამტკიცებს პიესა „შენი ჭირიმეში“, რომ მომავალი ეკუთვნის

გლეხს, მაგრამ თუ კესოსა და არჩილს კარგად ვერ შეუგნიათ ეს და კესოსა და გიორგის შეუღლება არ მოხერხდა, ამ პიესაში ვითარება ისე დატრიალდა, რომ პიესის ფინალში გლეხი ბურდული და კნეინა ოლღა ქორწინდებიან. ბურდული უმაღლესი განათლებამიღებული გლეხია, ოლღა კი ლიბერალი და განათლებული კნეინა. პიესის უმთავრესი პათოსი მაინც იმაშია, რომ მაღალი წოდების — გენერლის შვილს სოსიკოს აძარცხებს გლეხის შვილი ბურდული. დასკვნა პიესისა ასეთია: ძალა ბურდულის მხარეზეა, მომავალი გლეხისაა.

ეს სამმოქმედებიანი პიესა საინტერესო თეატრალურ მოქმედებას შეიცავს. პიესის დასაწყისში თავადიშვილს ალიკო ჭიაურელს გლეხის შვილი სოლომონ ბურდული ნარდს ეთამაშება. გლეხი თავადიშვილს უგებს ნარდს და ბურდული ამაშიც ხედავს უენერგიობას, უპერსპექტიობას, გადაგვარებას, ფუქსავატობას ერთ დროს დიდებული და ყოვლისშემძლე თავადიშვილებისას. პიესაში საინტერესო სამკუთხედია. ბურდულს მოეწონა კნეინა ოლღა. ოლღა კი გენერლის შვილს სოსიკოს უყვარს. სოსიკო ჯერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, მერე სამხედრო სასწავლებელში გადავიდა, მაგრამ ვერც აქ დაუდო სწავლას გული და სახლში დაბრუნდა. სახლში დაბერებული გენერალი და ლოგინად ჩავარდნილი დედა დახვდება. ოლღა და ბურდული გენერლის სახლში გაიცნობენ ერთმანეთს, მოეწონებათ ერთმანეთი. სწორედ ამ დროს ბრუნდება სოსიკო. სოსიკო ისევ განაახლებს რომანს ოლღასთან. ამით შეურაცხყოფილი ბურდული შელაპარაკების ჟამს დაჭრის გენერლის შვილს. სიკვდილის წინ სოსიკო ურიგდება ბურდულს და სთხოვს ყოფილ საცოლეს ოლღას ხელი მისცეს იმ კაცს, ვინც სასიკვდილოდ დაჭრა. აი როგორაა წარმოდგენილი ეს ფინალი:

ს ო ს ი კ ო. (წამოიწევს). სოლომონ! მომიტევეთ, ღვთის გულისათვის...

ს ო ლ ო მ ო ნ. მოსატევებელი მე მაქვს...

ს ო ს ი კ ო. არა, არა... თქვენ ვაჟკაცურად მოიქეცით... დამნაშავე მე ვარ...

ს ო ლ ო მ ო ნ. თქვენის რაინდობით სრულებით გინდათ გამაქარწყლოთ...

ს ო ს ი კ ო. არა, არა!.. პირიქით, მე ეხლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ... ჩემთვის ფრაზეოლოგიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ ცათამდის მართალი ხართ ჩემს წინაშე და... საზოგადოდ თქვენი თეორიაც მართალია... ეგ არ ახალია, ძველია,

მაგრამ ძართალი... მომავალი თქვენი, გლეხობისაა... თქვენა გგონიათ, ბატონებო, ვბოდავ... ააჰ!

გ ე ნ ე რ ა ლ ი. შვილო, ჩუმად!..

მ ე რ ი. სოსიკო, გაწყენთ ლაპრაკი!..

ს ო ს ი კ ო. ჰო. ის ძინდოდა მეთქვა... თქვენში, გლეხებშია ძალა... ჩვენ კი, თავადები, მოღალულნი ვართ... ჰა, ჰა! ძალიან ახალი ამბავი არ არის?.. მაგრამ მე მინდა ხაზი გავუსვა ამ ამბავს... აი მეც, რა ვიყავი... თითქო ნიჭიერი, თითქო რაღაცას მოელოდნენ ჩემგან... ერთი მოფეთქება და... არ მეყო ენერგია... ვერავის იმედი ვერ გავახორციელე.

გ ე ნ ე რ ა ლ ი. შვილო... შვილო...

ს ო ს ი კ ო. დედა... ოჰ, დედა, შენი ჭირიმე! ვერ ვეღირსე უკანასკნელათ შენი სათნო სახის ნახვას...

მ ე რ ი. კარგია. გეყოფა. გენაცვა, სოსიკო... ტყუილათ ნუ იწუხებ თავს.

ს ო ს ი კ ო. არა, დამასრულებინეთ, რაც მინდა ვთქვა... იყო დიდი სურვილები ჩემში და... აი, ჩემსავე ფუქსავატობის მსხვერპლი გავხდი... არა, ბატონო სოლომონ, ნუ იღრუბლებით!.. თქვენ აქ არაფერ შუაში არა ხართ... ოლა, შენი ჭირიმე, გთხოვთ აქ მოხვიდეთ...

ო ლ ა. (წარმოდგება, ცრემლს მოიწმენდს და მიდის მასთან).

ს ო ს ი კ ო. ბატონო სოლომონ! თქვენც ახლოს მოიწიეთ... მომიტევეთ... ისე ძნელს რამე გეტყვით ეხლა ორთავეს... მაგრამ, დეე, მე მგონია, ეს ჩემი მოვალეობაა... მე მგონია, სიკვდილის დროს ერთ კარგ საქმეს მაინც დავტოვებ ამქვეყნად... აი რა: გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი და... შეუღლდით... ჩვენი ქვეყნის მომავალიც ასეთების "შეუღლება"ში უნდა იქმნეს... აი, ეს აზრი კიდევ უფრო მაბედვინებს, რომ ეს გთხოვოთ... მომიტევეთ, მეგობრებო, თუ მძიმე წუთი განგაცდევინეთ, მაგრამ... აჰ... ეხლა დადგა ჩემი აღსასრულიც... მგონი ჭრილობა შემეხსნა... (ყველანი მისცვივდებიან.) არა, არა... არა მიშველის-რა... მამა... მშვიდობით... დედა დამიკოცნე... ააჰ...

გ ე ნ ე რ ა ლ ი (ტირის). შვილო... შვილო...

ს ო ს ი კ ო. ეხლა კი გავთავდი... ოლა... შენი ჭირიმე!.. ააჰ!

(კვდება. გენერალი მწარედ ქვითინებს. მერიც. ჭიაურელი თვა-

ლებს დაუხუჭავს. სხვები თავჩაღუნული დგანან. ოლა მიდის და
იქვე მდებარე ყვავილებს დააყრის. შემდეგ მოუჩოქებს).

ო ლ ა. შენი ჭირიმე!“

„გუშინდელნი“. ეს სამმოქმედებიანი პიესა რევოლუციის წინადღეებს გვიხატავს, უფრო სწორედ XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს. აქ გამოყვანილი გმირები გუშინდელი ადამიანები არიან, ადამიანები, რომელთაც ისტორიის ულმობელი კანონი წალეკვით ემუქრება. ამ გახუნებული ფეოდალური არისტოკრატიის წრე წარმოდგენილია მთელი თავისი უნიათობით, ეკონომიური და სულიერი სიღატაკით, ერთობ დაბეჩავებული და დაკნინებული. აი, თავადი კოწია, მისი ულამაზესი ასული ფაცია. ხელმოკლენი და დამშეულნი, მეზობელთა ხშირი სტუმარია ჯორზე შემჯდარი კოწია. ყველაზე უფრო ხშირად ის ამ სოფლის მამასახლისის მალხაზ პინტრიშაძის სტუმარია. ყოველ სადილობისას გამოჩნდება იგი თავის ასულით და უფრო მოგვიანებით კი თავადის მეუღლე კნეინა მოადგება მამასახლისის ოჯახს. თავად კოწიას ასული ფაცია უილბლოდ შეყვარებულია მამასახლისის შვილ ადიკოზე. ადიკო როცა გიმნაზიაში სწავლობდა, სოციალისტებთან ერთად, კერძოდ, კარლო ყაყუტაძესთან, მარქსის „კაპიტალს“ ჩაჰკირკიტებდა. ეხლა ცხოვრებაზე გულაყრილი სოციალისტებსაც დასცინოს და მოჟურობის მოხელეებსაც. მთელ დღეებს არშიყობასა და ქეიფში ატარებს. ახლა ფაცია ცოლად კი არ უნდა, არამედ გასართობად. თავად კოწიას სადღაც მის მამულში მადნეულის ნიმუშები უპოვნია. ამ ნიმუშებით გამოტენილი ქისა დააქვს და ამ სოფლად სტუმრად მოსულ მაზრის უფროსსა და ბოქაულს იმას ეხვეწება, რომ სადმე აღმოუჩინონ მადნეულის მყიდველი კაპიტალისტი. არათუ მარტო თავად კოწიას, სოფელში ყველას უჭირს. ეკლესია გუმბათ-ჩამტვრეულია, სასწავლებელი კარგამოკეტილი, გზები გაფუჭებული, ბოგირები ჩაცვინული. სოფლის მამასახლისი მალხაზ პინტრიშაძე თუმცა ნასწავლი კაცია, მაგრამ მაზრის უფროსისა და ბოქაულის შეწუხება არ სურს და სოფელი უპატრონოდაა. მამასახლისის მოწინააღმდეგე ჯიბო კვანტრიშვილი და მისი მომხრე დათია ამაოდ ლანძღავენ მას და ასმენენ კიდეც მაზრის უფროსთან. ამავე სოფელში მცხოვრები, ლოგინად ჩავარდნილი, გადამდგარი გენერალი, რომლის იმედიც აქვთ სოფლელებს, ამ სოფელში საქეიფოდ ჩამოსულ მაზრის უფროსს პენსიის მოძატებას სთხოვს. ამ ყოფილ ადამიანთა წრეს ამშვენებს ამავე სოფ-

ლის მღვდლის ცოლი, რომელიც სტრაჟნიკ ჯვებე ქილორდავას საყვარელი გამხდარა. ამ ადამიანთა იმედია კნეინა ჩიტუნია, რომელსაც კიდევ შერჩენია სიმდიდრეცა და სილამაზეც. მისი რიდი და პატივისცემა აქვთ გუბერნატორსაც, მაზრის უფროსსაც და ბოქაულსაც. ამ გუშინდელ ადამიანთა ბედი განწირულია. წინათ კი „ერთ დროს აქ იყო სიცოცხლე, იყო თავისებური სიხარული, სიყვარული, ტანჯვაც, მწუხარებაც. დღეს კი ყოველივე ეს ჩამქრალა... ერთ დროს სულ სხვა ადამიანები იყვნენ... და სულ სხვაგვარ ზრახვიდნენ, ფიქრობდნენ. იყვნენ გოლიათები სულით, სხეულით, ჯანსაღი გონებითა და მოქმედებით“. ახლა ბატონიშვილი გორგასლიანი და მთელი ეს წოდება გლეხის შვილს, თანამდებობის პირს, მაზრის უფროსს, სამასხარაოდ გაუხდია. გორგასლიანს თავის სტრაჟნიკ ქილორდავასთან აჭიდავებს და გასამრჯელოდ 15 მანეთს აძლევს. მაზრის უფროსი, ცარიზმის ეს აგენტი, არა მარტო გორგასლიანს, არამედ მთელს თავადიშვილობას, ამ ყოფილ ადამიანებს დასცინის. მას საკმარისია მოეწონოს თავადის ასული ფაცია, რომ ცოლად შეირთოს. და როცა ყველა მზად არის ფაცია შერთონ მაზრის უფროსს და ამით გააბედნიერონ ეს კუთხე, მხოლოდ ფაცია თაკილობს ცოლად გაჰყვეს სხვა ეროვნების კაცს. ასე სიამაყით მიმართავს ეს გადამთიელი კაცი ქართველებს:

„მაზ. უფროსი. Вот, вот. ეხლა კი მართლა ქართულად მსჯელობთ... რა ვუყოთ, რომ მე უცხო ნაციისა ვარ! მე რომ მკითხოთ, თქვენ, ქართველები, სწორედ ეგრე უნდა მოიქცეთ... თქვენი ქალები სულ უცხოელებზე უნდა გაათხოვოთ... თუ გინდათ, რომ სისხლი განაახლოთ... აბა, რას წარმოადგენთ ეხლა?.. დაჩიავებული, დაგლახაკებული... აქა-იქ თუ გამოვარდება თქვენისთანა კეკლუცი, თორემ, აბა სადღა არიან ოდესმე განთქმული Грузинские красавицы? ეს რატომ მოხდა?.. იმიტომ რომ, მუდამ მონები იყავით ქართველები და ერთხელაც არა ცდილხართ ამ მონობისაგან რიგიანათ თავი დაგეღწიათ. მონას კი ან რა კვება ექნება, ან რა ჯიშის შექმნა შეუძლია! Где ваша породистость?! თქვენა გგონიათ, მე არ ვიცი თქვენი ისტორია? ერთი ბატონიდან მეორე ბატონის ხელში გადადიოდით. ყველა თქვენ გირტყამდათ: ერთი მხრით სპარსეთი, მეორე მხრით ოსმალეთი. ძველი ბიზანტია, მთიელები, ჩეჩნები, ლეკები, ოსები. ყველა თავში გიფაჩუნებდათ, ვისაც კი არ ეზარებოდა. თქვენ კი ამბობთ — კულტურული ხალხი ვიყავითო. რის კულტურა? რა კულტურა? რა გაგაჩნდათ, რი გქონდათ?...

ჩვენ რუსებმა მოგანიჭეთ ყოველივე. ეხლა, ეხლა მაინც უნდა მოეგოთ გონს... ეხლა ჩვენ უნდა შეგვიერთდეთ სულით, სისხლით, სხეულით... უწინარეს ყოვლისა თქვენ, ქალები, უნდა გახდეთ Гражданки великой русской Империи და მაშინ... შეიძლება თქვენი საქმეც გამოკეთდეს". ცარიზმის აგენტის ეს სიტყვა აღშფოთებას იწვევს, მაგრამ ვინ არის გამ-კითხავი?..

ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებში დაწერილ ამ პიესაში მძა-ფრად არის მხილებული თავადაზნაურობის დაკნინებისა და განწირუ-ლების ამბავი. საღებავების დიდი სიუხვე, კომედიური სიტუაციების საინტერესო თეატრალობა, მოხდენილი დიალოგი და ხავერდოვანი ენა ამ პიესას კლასიკური კომედიების რიცხვს აკუთვნებს.

„ვარამი" (ისტორიული ოცნება წარმოსადგენი სამ სანახავად) შე-ეხება სრულიად საქართველოს მეფეს, თამარ მეფეს. თვით თამარ მეფეა აქ მოქმედ გმირად გამოყვანილი. თამარ მეფე, გამრეკელი-თო-რელი, ამირ-სპარსალარი, ჭიაბერი, მანდატურთ-უხუცესი, ზაქარია და ივანე მხარგრძელები, სარგის თმოგველი, დიდებული მანდილოსნები: ხვაშაქი ცოქალი, კრავაი ჯაყელი.—ეს სამეფოს კარის დიდებულნი და მეორე მხრივ რიგითი ხალხი: ბერდია მჭედელი, მისი ქალიშვილი გულსუნდა, სოფლის ახალგაზრდები: ვარამი, გიგილო, ასოსე, არჯევანი წარმოდგენილი არიან აქ როგორც ერთიანი საქართველოს, თამარის საქართველოს აზრებისა და ფიქრების გამომხატველნი. თამარი უზო-მოდ უყვარს ხალხს და მზად არიან ამ სილამაზითა და სიმამაცით გან-თქმულ ქალს ყველაფერი შესწირონ.

თამარი, რომელმაც „სულ თავი მისცა სახელმწიფო საქმეებს, ყო-ველ წვრილმანის განხილვაშიც კი თვითვე შედის და საპირადო ყოვე-ლივე დაივიწყა", სამეფო კარის რჩევით გიორგი რუსს მიათხოვეს. მა-გრამ უღირსი აღმოჩნდა გიორგი მეფე. „მის საზიზღარ საქციელის-თვის თამარმა იგი ჯილდოთი და პატივით განაძევა". მაგრამ გიორგი მე-ფეს გადაუწყვეტია მოღალატე სამთავროს უფროსთა მხარდაჭერით ომი გამოუცხადოს თამარს და ტახტი კვლავ დაიბრუნოს. ეს ის დროა, რო-დესაც თამარ მეფის დავალებით მუღანის ველზე სარწყავი არხი გაჰ-ყავთ. არხის ზედამდგომელად არჯევანი აურჩევიათ. არჯევანს ბერდია მჭედლის ქალიშვილი გულსუნდა მოსწონს, გულსუნდას თავის მხრივ თავისივე სოფლის ახალგაზრდა ვაჟკაცი — ვარამი. არჯევანს სურს დააჩქაროს არხის მშენებლობა, რომ თამარ დედოფლის წყალობა

დაიმსახუროს და ამ გზით ადვილად დაისაკუთროს გულსუნდას გული. ვარამი ხედავს, რომ პირადი, ეგოისტური მიზნით არჯევანი საქმეს ღალატობს — ცუდად აკეთებს არხს. ვარამი ამხელს, მაგრამ არავინ უჯერებს მას. არხის გახსნის დღე დაინიშნება, თამარი ჩამობრძანდება დიდებულთა თანხლებით. წყლის გაშვების წინ შელაპარაკდებიან ვარამი და არჯევანი. არჯევანი დაჭრის ვარამს, ხალხი ორად გაიყოფა, არჯევანისა და ვარამის მომხრეები ერთმანეთს შეესევიან. „შეიქმნა ხელჩართული მოძმეთა შეტაკება და აი მათმა სისხლის ნაკადმა წითლად შეღება არხის წყალი“... აგონიაში მყოფი მომაკვდავი ვარამი ბოდავს: „სიბნელე, სიბნელე ჩამოვარდა... ეს რა არის? პირიმზეს უშველებელი, თეთრი, სპეტაკი ფრთები ასხია და ამ ფრთებს... სისხლი მოსწვეთს, სისხლი... სისხლი...“ ამით მწერალი გვანიშნებს, რომ თამარი დიდებული მეფე იყო: სპეტაკი, მამულისათვის თავდადებული, ულამაზესი და უმამაცესი. საქართველოსათვის ბევრი სიკეთე გააკეთა, მაგრამ უსისხლო არ ყოფილა მისი მეფობა—სისხლი მოწვეთავს, სისხლი... სრული თავისუფლება ხალხს მაინც ვერ მიანიჭა, ამას თამარიც გრძნობს და ამიტომ მწარედ აღმოხდება მას პიესის ფინალში: „არა, ხალხს სულ სხვა უნდა“. ეს პიესა წინ უსწრებდა შალვა დადიანის ცნობილ რომანს — „უბედურ რუსს“. ამ პიესაში თეზისების სახით უკვე მოცემულია ყველა ის ელემენტი გმირების და თამარის ეპოქის დახასიათებისა, რომელიც შემდეგ უფრო ვრცლად წარმოადგინა რომანში. აქ უკვე გვხვდება ფრაზები უბედური რუსის დახასიათებისა: „ოდეს მზებნელი რუსი გიორგი ჩვენს მეფედ იყო, გუზანი იყო მისი მესაიდუმლე და მისი უზნეობისა და უშვერობის ხელის შემწყობი... გუზანის ვაჟის საქციელი დიდად მაგონებს უბედური რუსის უტიფრობას.

სოდომური ცოდვის ჩადენისათვის მოკვდინებისა ღირსი იყო...“ ასევე თამარის დახასიათებაში უკვე ჩანს ის ელემენტები იდეალიზაციისა, რომელიც რომანში განვითარდა. დიდებულთა დახასიათებით, კერძოდ, თორელის დახასიათებით, თამარ დედოფალმა „შორს გაუთქვა სახელი საქართველოს. უცხო ხელმწიფენი და მთავრები ჩვენს ამ მფარველობასა ეძიებენ. ხოლო შინ მოისპო ავაზაკობა და მძარცველობა. თხა და მგელი ერთგანა სძოვს. აღარ არის სიყმილი და სიღატაკე. ხალხში იმდენი სიმდიდრეა, რომ აზნაურთა ყმანი პატრონთა მათ სწორად იმოსებიან; გამშვენდა ძველი და აიგო ახალი, უამრავი ციხე-ბურჯები, ტაძრები, და მონასტრები, გზანი ფრიად საკე-

თილოხი მოეფინა მთელს ქვეყანას, სასწავლონი და საწურთნელი გამრავლდნენ. ხელოვნება განივრცო და გადიფურჩქნა, მწიგნობრობა აყვავდა. სჯული სამართლიანი და მოწყალე განგვიმტკიცდა, ხოლო შენმა ლმობიერმა გულმა სრულიად მოსპო ტანჯვანაგი, სიკვდილით დასჯა. ბაშ, როგორ უნდა მოითმინოს გულმა, რომ ქება არ შეგძღვნას. იდლეგრძელე, მეფეო, მრავალჟამიერ“.

თამარის გახდიდების ეს მოტივები უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი რომანში, ხოლო რაც შეეხება მოტივს: „სისხლი მოწვეთავს, სისხლი“... რომელსაც ვარამი წარმოთქვამს თამარის მისამართით, რატომღაც რომანში „გიორგი რუსი“ არ ვითარდება. ამ პიესის მიხედვით ნათელია, რომ შალვა დადიანი პიესაში და რომანშიაც თამარისა და თამარის ეპოქის ერთი ეპიზოდის განზოგადებულ გამოხატვას შეეცადა. თამარის სახე და მისი ეპოქა მწერლის ფიქრისა და ოცნების ღრმა საგანი ყოფილა თურმე...

„გ ე გ ე ჭ კ ო რ ი“. ფეოდალური საქართველოს მძაფრი მხილებაა. სამთავროს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის, ხეციას ქალიშვილი სიდუ ცოლად შეურთავს საზღვარგარეთ უმაღლეს განათლებამიღებულ გეგეჭკორს. გლეხთა ამბოხების სულისჩამდგმელი გეგეჭკორი საძეგრელოდან გაუძევებიათ. მას მოენატრა სამშობლო და სიდუ, და გაძევებული სამეგრელოში ფარულად დაბრუნდა. გეგეჭკორი დააპატიმრეს და დადიანის განკარგულებით დილეგში ჩააგდეს. სახლთუხუცესი ჩიქვანი, კარისკაცი შავდია და მთავარი დადიანი იმ ძიზნით, რომ ხეციას, გეგეჭკორის სიმამრის, სასამართლოს თავმჯდომარის ერთგულებასა თუ ორგულობაში დარწმუნდნენ, გეგეჭკორის გასამართლებას მასვე დააკისრებენ.

ხეციას უზომოდ უყვარს თავისი ქალიშვილი სიდუ. ეცოდება სიძე ვეგეჭკორი, მაგრამ ის მოვალეობის კაცია. როდესაც შავდია გადაუდგება ჩიქოვანსა და დადიანს, აჯანყებულებს მიემხრობა და ხეციასაც სთხოვს აჯანყებულთა მხარი დაიჭიროს, თუ არა მის ქალიშვილსაც და გეგეჭკორსაც დაღუპვა მოელის, ხეცია მტკიცედ პასუხობს: რაცა მწამს იმას ჩემი ქალისთვის ვერ ვუღალატებო და როცა გეგეჭკორი ეკითხება რა გწამსო, იგი უყოყმანოდ პასუხობს: „სამეგრელოს სიმშვიდე, კანონიერების დაცვა და მთავარი დადიანი“. და ეს კერპი, ფეოდალური საქართველოს სამთავროს ერთგული, რომ დაიცვას აჯანყებული გლეხობისაგან დადიანების სამთავროს სიმშვიდე, გადაწყვეტს აჯანყე-

ბულებს გზა გადაუღობოს სასახლისაკენ. ხმალამოღებული სასახლის კარებში დგას და მოახლოებულ აჯანყებულებს მიმართავს: ჩემი ხმლით ძოცვდება, ვინც პირველი შემოვაო სასახლეში, აჯანყებულთა ხრიალში პირველი სიდუ შემოვარდება სასახლეში, ხეცია მოუქნევს ხმალს და ჰკრავს. სიდუ წაიქცევა და კვდება. გონს მოსული ხეცია მომაკვდავ შვილს დაემხობა და ყვირის: შვილო, შვილო! მაგრამ უკვე გვიანაა. აი, სანამდე მიიყვანს სასახლის კარის ბრმა ერთგულება. უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ხეცია აქ შორეულად გვაგონებს ალ. ყაზბეგის ხევისბერს. ხეცია აკი აცხადებს: ჩემი ბატონისა და სამეგრელოს ერთგულებისათვის თვით მე ვიკისრებ ამ სასახლის დაცვასო. აქ ისიც სათქმელია: მამა არა მარტო სამთავროს ერთგულებამ გახადა შვილის მკვლელი, არამედ სახლთუხუცესის მიერ მოქსოვილ სამთავროს ინტრიგის ქსელმაც.

გეგეჭკორი ხალხის, გლეხობის საყვარელი გმირია. სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლს უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი. „დიახ, მე გული მაქვს... ამ გულმა იცის სიყვარული თავის ქვეყნის და საყვარლისა, მე ამათრთოლებს მისი ჰირი, მისი ვარაში, თქვენსავით გულქვა, უგრძნობელი არ მინდა ვიყო, ხალხის შვილი ვარ, მისი გულიდან ამონახეთქი და ხალხი მუდამ ჭამს სამართლიანი და გულჩვილია“... გეგეჭკორის სუსტი მხარე სწორედ ეს გულჩვილობაა. რომანტიკული, მომხიბლავი თავის გარეგნობითა და ხალხისათვის ერთგულებით რევოლუციონერის მებრძოლი მეთაურის მტკიცე ნებას და ხასიათს ვერ ინარჩუნებს, უზომოდ შეყვარებული წინდაუხედაობასაც იჩენს. უფრო ძლიერი ხასიათისაა მისი მეუღლე სიდუ. სიდუ მტკიცედ მიმართავს მამას: გაანთავისუფლეთ გლეხები, გადადეთ თქვენი თანასწორი, მიანიჭეთ ადამიანური ცხოვრება. სიდუ თვითონ იბრძვის ამ იდეის განხორციელებისათვის და ეწირება ამ საქმეს.

დადიანმა შეგნებულად აურჩია მის მოწინააღმდეგეს — გეგეჭკორს სწორედ კერპი ხეცია, სიმამრი მოსამართლედ. აი რას ეუბნება დადიანს ხეცია: „ცოცხალი კაცი მისი დროის მონა არის და თუ მას მოუწოდებს ქვეყნის სამსახური, ის უნდა მოიმოქმედოს, რასაც უბრძანებს სამშობლოს კეთილდღეობა, განზე მდგომს, უბრალო ქვეშევრდომს კიდევ შეძეძლო ჩვენი კანონების შეცვლაზე, შევსებაზე კამათი, საუბარი. დღეს კი თვით ვარ სჯულისდებათა აღმსრულებელი. მეც მას ვე-

მორჩილები, და, კარგად იცი, მთავარო, ამას მე არასოდეს არ გადავალ. მაშ აქ ჩემთვის განსაცდელიც აღარაა და არამც თუ სიძეს, არამედ თვით ჩემი გულის ნუგეშს, ერთადერთ ქალს სიდუსაც რომ მოხვდეს კანონის ულმობელი ლახვარი, ჩემი ხელი არ შედრკება, რომ მის სასიკვდილო განაჩენს ჩემი დასტურიც მოაწეროს"... ასე გახდა გულქვა მოსამართლე ხეცია შვილის მკვლელი. სამთავროს ერთგულებამ ინტრიგების ქსელში გაბმული ეს მწიგნობარი კაცი, კანონის ერთგულებისათვის მებრძოლი ხეცია, შვილის მკვლელის როლში გამოიყვანა. ეს პიესა საბრალმდებლო განაჩენია ძველი ფეოდალური საქართველოსი.

*

გახსაკუთრებული ნაყოფიერებით გაიშალა შ. დადიანის შემოქმედებითი ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. პირველი პიესა, რომლითაც მან საბჭოთა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, არის კომედია „კაკალ გულში". ამავე დროს ეს იყო პირველი საბჭოთა კომედია. ამ პიესაში გაკიცხული და მხილებულია ჩვენი სინამდვილის უარყოფითი მხარეები. გამოცდილმა დრამატურგმა მოგვცა საბჭოთა აპარატში შეხიზნული ბიუროკრატების, მექრთამეების, ფუქსავატების და მეშჩანების მკაცრი კრიტიკა. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ახალ სახელმწიფო აპარატს ძველი დაწესებულების ბევრი თანამშრომელი შემორჩა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ წრეს განეკუთვნებოდა, ზოგი მათგანი მტრულად იყო განწყობილი სოციალისტურ სახელმწიფოსთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან, მეფის რუსეთისა და მენშევიკების დაწესებულებებში ისინი მიჩვეულნი იყვნენ მშრომელების აბუჩად აგდებას. საჭირო იყო ჩვენი დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გაწმენდა ამგვარი მუშაკებისაგან. შ. დადიანის პიესა „კაკალ გულში" სწორედ საბჭოთა აპარატის ამ ბიუროკრატებს ამხელდა. აქ დღის სინათლეზე იყო გამოტანილი უქნარა თავადიშვილები, გაქნილი ვაჭრები და მექრთამეები (გოჩოლავა, რინკველი, ირინარ პარასკიდი, ნათავადარი ირაკლი, ქალბატონი მაკა, ვაჭარი მარტიროსოვი და სხვები). მწერალმა ამ გადაგვარებულ ადამიანებს დაუპირისპირა ახალგაზრდა კომკავშირლები, პარტიული მუშაკები (ჭაღარა), პატიოსანი საბჭოთა ადამიანები (მარო). მიუხედავად დადებითი გმირების ერთგვარი სქემატურობისა, ეს იყო პირველი საბ-

ჭოთა კომედია. გამოკვეთილი ცოცხალი ტიპაჟი, მაღალი თეატრალობა, მდიდარი ქართული ენა ამ პიესას ანიჭებდა დიდ ღირსებას. მისი წარმატებაც საბჭოთა ქართული თეატრების სცენაზე ამ გარემოებამ განაპირობა.

„გიორგი რუსზე“, ამ ისტორიულ რომანზე, შალვა დადიანი მუშაობდა 1916—1926 წლებში. 10 წელი ებრძოდა შალვა დადიანი ქართულ სიტყვას, რათა მთელი ენერგიითა და ძალით გამოეხატა თამარ მეფის საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ შალვა დადიანი უხვ ისტორიულ მასალას იცნობდა, მან რომანის თემად აირჩია არა მთელი მე-12 საუკუნის საქართველო, თამარ მეფის მეფობის ხანა მთლიანად, არამედ ერთი ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრებისა. ეს არის თამარ მეფის დაწინდვა ალექსანდრე ბოგოლუბსკის, რუსეთის დიდი მთავრის შვილზე, გიორგი რუსზე და ამ აქტთან დაკავშირებული სამეფოს კარის ინტრიგები და საომარი ეპიზოდების ჩვენება. რომანის ცენტრში მოქცეულია მე-12 საუკუნის საქართველოს დიდების ხანა, თამარის მეფობის ხანა და თვით თამარი — ჭკვიანი, უხვი, მოწყალე, ბრძენი და მეომარი.

რომანი იწყება შესავლით: დგას რაში მოფარდაგულის წინაშე, ყელი მოულერებია, გულუხვ მკერდზე ოქროთი მოჭედილი, მოელვარე, თვლებასხმული მეფური სამკერდე აქვს გადმოცმული...

დგას ეს ზღაპრული რაში, ზღაპრულად მორთულ-მოკაზმული და მკითხველი გრძნობს, რომ ეს რაში საქართველოს სათაყვანებელი მეფის თამარ ქალის გამობრძანებას ელოდება... ასე შესავალშივე შევყავართ მწერალს ძლიერი და მდიდარი საქართველოს გარემოცვაში. მერე იწყება რომანის პირველი კარი და პირველი თავი. თბილისელი სოვდაგარი ზაქან ზორაბაბელი სამეფო კარის დავალებით ქალაქ სუნჯისაკენ მიეშართება. ყივჩალთა ამ სატახტო ქალაქს შეეხიზნენ ტახტიდან ჩამოგდებული და ვერაგულად მოკლული ანდრეი ბოგოლუბსკის უფლისწული იური და მისი გამზრდელი კუზმა რუსი. საქართველოს დიდებულებმა, რომელთაც გადაწყვიტეს თამარის გათხოვება, რომ მემკვიდრე და ძე ჰყავდეს საქართველოს ტახტს, არჩევანი შეაჩერეს ერთმორწმუნე უფლისწულზე. თამარი იძულებულია თანხმობა მისცეს, ხოლო რომანის მთელს მანძილზე თამარ მეფის არსებაში ორი თამარი იბრძვის: თამარი ულამაზესი და პირმშვენიერი და თამარი ბრძენი მეფე. ბრძენი მეფე სახელმწიფოს შოვლით და პატრონობით გართული მუდამ უპირატესობას თამარ მეფეს აძლევს და სძულს როცა საკუთარ ბედნი-

ერებაზე, სათნოებაზე, ხორციელ ნებივრობაზე მიდგება მსჯავრი. და აი, როდესაც თამარის გარეგნობით დარეტიანებული ახალგაზრდა ვაჟი გულწასული დაეცემა, თამარს კვნესა აღმოხდება, რად დავიბადეო ასეთი ლამაზი, რომ ჩემს გარეგნობას აქცევენო ყურადღებას... თვით თამარი, რომლისთვისაც ღმერთს ყველაფერი ქალური უხვად მიენიჭებინა, არ იცლიდა თავისი პირადი ბედნიერებისათვის, სამეფო კარის დარბაზი თამარის გათხოვებასა და მისთვის შესაფერისი საქმროს არჩევაში ორად იყოფოდა. სამეფო კარის დიდებულნი თავიანთი ნება-სურვილის მონურ შემსრულებელს ეძებდნენ და ამ გზით გონიერი და ჭკვიანი, ცენტრალიზებული ხელისუფლებისათვის მებრძოლი მეფის. თამარის ჩამოცილება სურდათ სახელმწიფო საქმეებისაგან. ამ ჯგუფს ვარდენ დადიანი ძეთაურობდა, სამეგრელოსა და მთელი დასავლეთ საქართველოს მთავარი, თამარ მეფის სახლთუხუცესი და მთავარსარდალი, საქართველოს სახელმწიფოში მეფის შემდეგ პირველი კაცი. მას ზურგს უმაგრებდნენ თბილისის მოურავი და ქართლის გამგებელი, თბილისის ამირა აბულ-ასანი, მისი ულამაზესი ახალგაზრდა მეუღლე უტანდარა, სამცხის ბატონი გუზანი, ამირას ვაჟი, დიდი ცაკარი ზაქან ზორაბაბელი და სხვები. ხოლო საპირისპირო მხარეს იყვნენ თამარის ტახტის ერთგულნი: თამარის გამზრდელი კახაბერი, მამიდა რუსუდანი, კათალიკოსი, ქართლის გამგებელი ირატი, ირატის დედა დიდი დედოფალი ხვაშაქი, ჭიაბერი და სხვანი...

სამეფო კარზე უფრო ძლიერია ვარდან დადიანის ოპოზიცია და აი, მისი ჯგუფის ჩაგონებით ჩამოიყვანეს საქართველოში თამარის საქმროდ გიორგი რუსი. ზაქან ზორაბაბელმა პირველად იგი აბულ-ჰასანის, თბილისის ამირას სასახლეში მიიყვანა. აქვე შეხვდნენ მას დადიანი და სხვა დიდებულნი და მოიწონეს უფლისწული. სტუმარი მოეწონა კათალიკოსსაც და თამარის მამიდა რუსუდანსაც. ამის შემდეგ იგი თამარს წარუდგინეს. და აი იური, საქართველოში გიორგი მეფედ წოდებული,პირველად მიიწვიეს თამარის სასახლეში დარბაზობაზე. და აქ მწერალი დიდის სიზუსტით აღწერს თამარის სასახლეს და დარბაზობას. თამარს პირველ ნახვისთანავე არ მოეწონა თვალებამღვრეული ლამაზი უფლისწული და მარტოდ დარჩენილს გული უკვნესის. გადაწყვეტს სულ არ გათხოვდეს, ან მონოზნად აღიკვეცოს. მერე სამეფო, მერე მისი საქმეები. აქ მასში მეორე თამარი გაიღვიძებს. იქნებ დარჩეს მეფედ და არ გათხოვდეს. ვაგლახ მე, რომ არც ეგ ეგების! ვიყო მე-

ფედ და ძეულლე არ მყავდეს? ვიყო გამგე ქვეყნისა და ტახტს მემკვიდრე არ დავუტოვო? და გადაწყვეტს თამარ მეფე: ჩემი თავი უნდა დავთმო, ბედშავო თამარ, ქვეყნის ბედი უმაღლესია ჩემს პირადულზე. თამარი ფიქრობს დაიწინდოს გიორგი რუსზე, ერთი წლით სასახლეში დარჩეს უფლისწული და შემოწმდეს მისი საქციელი და საქმენი. მცხეთაში, სვეტიცხოველში, დიდი ზეიმით შესრულდება ინდიქტიონი დაწინდვისა. თამარ მეფეზე გამიჯნურებული გიორგი სოსლანი თამარის გათხოვების ჯავრს გადაჰყვა. ხოლო ასევე მასზე გამიჯნურებული დავით სოსლანი ოსეთის სამთავროში ჩაიკეტა. სასახლის კარზე ზეიმობენ გიორგი რუსის მომხრეენი. გიორგი რუსი აბულ-ჰასანის, ამ მოხუცებული კაცის ახალგაზრდა, ულამაზეს ცოლს, უტანდარას გაუმიჯნურდება, ლოთობასა და უწესო ცხოვრებას მიჰყოფს ხელს. მალე გამოირკვა, რომ გიორგი რუსი არა მარტო ლოთია, არამედ უწესო, ავი ზნით შეპყრობილი, ამას ყველაზე ადრე ვარდან დადიანი გაიგებს, მაგრამ მომხრეა გიორგი დარჩეს სამეფოს გამგებლად, რადგან იცის, რომ ეს ლოთი და უნებისყოფო მეფე მასზე იქნება დამოკიდებული, მასზე გაბატონებას ადვილად მოახერხებს. როდესაც თამარ მეფე გაიგებს, უღირსი, ლოთი და ავადმყოფი საქმრო შეურჩიეს, გონივრულად განსჯის ვითარებას. კათალიკოსის, რუსუდანის, რატის, მხარგრძელების და სხვა ერთგული ქვეშევდომების საშუალებით ერთბაშად გაძოიტანს განაჩენს და გააძევებენ საქართველოდან უღირს საქმროს თამარისას. ეს აზრი დადიანს და მის მომხრეებს არ მოეწონებათ და გადაწყვეტენ საქართველოს დედოფლის, თამარის, წინააღმდეგ ააჯანყონ გიორგის მომხრეები და საიდუმლო მიმოწერას გამართავენ საბერძნეთში გადახვეწილ მეფისწულ გიორგისთან. თან ბიზანტიას მოკავშირედ გამოიყენებენ ამ უკეთური საქმისათვის. გიორგი რუსის მომხრეები ხიალის ველზე, თმოგვსა და ერებეთს შუა სასტიკად დაამარცხეს დავით სოსლანის წინამძღოლობით თამარის მომხრეებმა. დამარცხებულმა მეფისწულმა საქართველოს მტერს აბუბექარს (რომელსაც ხასად დაუსვამს მასთან შეკედლებული უტანდარა) მიაშურა და მისივე დახმარებით საქართველოზე გამოილაშქრა. მაგრამ ისევ დამარცხდა უბედური რუსი და ქიზიყის პრასიანში გადაჩეხილი, იმის შიშით, რომ ცოცხალი არ შეიპყრონ, აბუბექარის ნაჩუქარი პაწია ბასრი მახვილით ორთავ კაპიწზე ძარღვებს გადაიჭრის. ასე დასრულა თავისი უსახელო ცხოვრება მეფის კარზე, თამარის კარზე, თამარის

საქმროდ არჩეულმა უფლისწულმა გიორგი რუსმა. თამარ მეფე დავით სოსლანზე დაინიშნა. თამარისვე განჩინებით გიორგი რუსის მომხრეები გაასამართლეს, სამეფო კარის უჯრჩ ვარდან დადიანს და მის მომხრეებს უფლება აყარეს. ის აპატიეს, რომ სამშობლოში დატოვეს. დადიანი ძარტვილის მონასტერში ბერად შედგა. თვით კუზმა რუსი საქართველოში დატოვეს, რადგან კუზმა უდანაშაულო იყო ამ საქმეში.

ამ ძრავალპლანიან რომანში თამარისა და გიორგი რუსის ამბის გარდა ჩართულია უტანდარასა და გიორგი რუსის, დავით სოსლანზე უიღბლოდ გაძიჯნურებული დოდოს ფარული რომანი, აბუბეკარზე მიყიდული თაფლოს უიღბლო ბედი და სხვა ამბები. რომანში ავტორი იჩენს ისტორიული ფაქტების ცოდნას. იშვიათი ნიჭიერებით ხატავს გულზვიადი და თავკერძა ფეოდალების ხასიათს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ვარდან დადიანის ზვიადი და ტახტის მაძიებელი ფეოდალის მხატვრული სახე.

ამ რომანში არსებითად გამოყენებულია პიესა „ვარამის“ სიუჟეტი, უფრო გავრცობილი, ხორცშესხმული და განვითარებული. პიესის ჩანაფიქრი სრულყოფილი მხატვრული სახითაა წარმოდგენილი ამ რომანში.

*

ამ ხაწარმოებებს მოჰყვა შ. დადიანის პიესები კვლავ თანამედროვეობის თემატიკაზე. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ პიესა „თეთნულდი“. აქ ორიგინალურად არის წარმოდგენილი ძველისა და ახლის ბრძოლა პატრიარქალური სვანეთის ფონზე; სოციალისტური მშენებლობის დიდი სინათლე შეიჭრა და გადაახალისა ძველი სვანეთიც. ამ ახალი ცხოვრების, ახალი იდეების გამომხატველად მწერალმა გამოიყვანა გელახსანი და ლაჰილი. ახალი თაობის წარმომადგენლებს გადაუწყვეტიათ დაიპყრონ თეთნულდი. ძველი პატრიარქალური სვანეთის ტრადიციისა და ჩვეულების დამცველს — არგიშდის წარმოუდგენლად მიაჩნია ადამიანის ფეხი შეეხოს ღმერთების სავანეს — თეთნულდს. ვინც ამას განიზრახავს, ის უწმინდურ საქმეს სჩადის, ღმერთის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებს. მწერალი ამ ფონზე მოხერხებულად შლის ძველისა და ახლის ბრძოლას. ძველი მარცხდება, ახალი იმარჯვებს, მაგრამ ეს გამარჯვება არ ხდება უმტკივნეულოდ. გელახსანი იღუპება. მისი ცოლი კი ქმრის ანდერძს შეასრულებს და თეთნულდის მწვერვალზე ადის.

პატრიარქალური სვანეთის მეთაური არგიშდი განწირული აღმოჩნდება ამ ბრძოლაში: იგი თავს იკლავს.

ანტიკური ტრაგედიის მსგავსად ქორი შემოყვანილია პიესაში, როგორც იმ ძირითადი იდეის ხაზგასმა, რომელსაც ავტორი იცავს და ამკვიდრებს. ავტორი კი იცავს და მხარს უჭერს ახალს, სოციალისტურ სვანეთს და მისთვის მებრძოლ ახალ ადამიანებს. ახალი სვანეთის მეთაურს აღმასკომის თავმჯდომარეს სჯერა „გელახსანი თეთნულდზე ასვლით ერთხელ და სამუდამოდ შეარყევს ცრუმორწმუნეობას, რომ იქ არავითარი ღმერთები არ განისვენებენ“, მაგრამ მოხდა ტრაგედია, გელახსანი გადაიჩეხა უფსკრულში. პატრიარქალური სვანეთის მეთაური არგიშდი ზეიმობს: „ო, იხარებს ჩემი გული, იხარებს ჩემი ოჯახი... იღიმება კედლები ჩემი სახლისა და სიხარულის შუქი ადგია ჩემი კოშკის თეთრ ქონგურებს. დაეცა მტერი, დაიღუპა, გადაიხაფრა... განადგურდა მტერი ჩემი ოჯახისა, შეურაცხმყოფელი ჩვენი ჩვეულებისა, გამტაცებელი ჩემი ნაშიერისა, ჩემი შვილიშვილი ლაჰილისა. დაიღუპა კაცი, რომელს უნდოდა ფეხით გაეთელა ჩვენი წმინდა თეთნულდი. ის მიდიოდა სპეტაკ მწვერვალებისაკენ. ჰოი, ჩვენი უბიწო მთების ღვთაებაო, შენ შეისმინე შენი მონის არგიშდის ვედრება... „მაგრამ მოხუცის ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა. გელახსანის გადაჩეხვის შემდეგ მთაზე ადის ლაჰილი. არგიშდი თავს იკლავს. სიკვდილის წინ ამბობს: ის რაც მწამდა, ყველა დაემხო, შენიანებმა შენ გაგწირეს და ოჯახი თავზე დაგვენგრა. თეთნულდ, შენ მიუვალო, შენ ტახტო ჩვენი შეუვალობის. ქალმა ფეხი დაგადგა, რაღანი ვართ ახლა, ოდეს განვიძარცვენით ძორწმუნენი ჩვენი რწმენისაგან და თეთნულდი აღარ წმინდაობს ჩვენთვის...

ქ ო რ ი. გარდაიცვალა არგიშდი, უფროსი ძველი ოჯახისა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ეგ არაფერია, ეს იმას ნიშნავს, რომ დაითრგუნა ძველი ცრუმორწმუნეობა. რომ უმეცრობა წავიდა ჩვენგან.

ლ ა ჰ ი ლ ი. მე დაგიმორჩილე შენ, თეთნულდ, გელახსანის მეუღლემ, ლაჰილ გირანდუყმა“.

ეს მოხდა 1930 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ასეთი ნათელი და ბევრის მთქმელია ფინალი ამ პიესისა. პიესა რომელსაც მძაფრი დრამატიზმი და გამოკვეთილი პერსონაჟები ახასიათებდა, ტრაგედიის თავისებურ ფორმას ამკვიდრებდა საბჭოთა დრამატურგიაში. ეს პიესა დიდხანს იყო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო და სხვა ჩვენი თეატრების რეპერტუარში.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲞᲘᲔᲡᲐᲡ „ᲜᲐᲞᲔᲠᲬᲙᲚᲘᲓᲐᲜ“. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲭᲐᲠᲑᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲛ ᲞᲘᲔᲡᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲨᲐᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲪᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐᲨᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲐ. Ш. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲐᲥᲢᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ. ᲞᲘᲔᲡᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲛᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ ᲛᲔ-20 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲖᲔ. ᲐᲥ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲛ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲪᲔᲜᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲰᲞᲝᲕᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲣᲓᲒᲐᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲨᲩᲐᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲠᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲖᲘᲙᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲤᲐᲢᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ. ᲞᲘᲔᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲗᲐᲐ �გᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ Ш. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲛᲓᲘᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲪᲝᲪᲮᲚᲝᲡ ᲘᲛᲓᲠᲝᲜᲓᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲐᲓ ᲮᲝᲠᲪᲨᲔᲡᲮᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲪᲐᲑᲣᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲘᲨᲣᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ. ᲪᲐᲑᲣᲡ ᲡᲐᲮᲔᲨᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲑᲘᲠᲘ ᲯᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲪᲐᲑᲣ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲒᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ ᲞᲘᲔᲡᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ-ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲓᲐᲠ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲐᲨᲘ ᲪᲐᲑᲣ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲮᲔᲗᲐᲒᲐᲜᲘᲐ. ᲐᲛ ᲞᲘᲔᲡᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. ᲘᲒᲘ ᲒᲐᲡᲪᲘᲚᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲪᲔᲜᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝ-

წინავე ფონდში შევიდა. იგი დაიდგა მოსკოვსა და ლენინგრადში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, უკრაინასა და ბელორუსიაში, ითარგმნა ჩინურსა და ჩეხოსლოვაკურ ენებზე.

შალვა დადიანი, საბჭოთა დრამატურგიაში ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად, დაუცხრომლად შრომობდა და მოღვაწეობდა როგორც ბელეტრისტი, 1935 წელს დაიწყო მან ბეჭდვა მოთხრობისა, რომელსაც ავტორმა „ურდუში" უწოდა. ეს რომანი არ არის დამთავრებული. მაგრამ გამოქვეყნებულ თავებში ნათლადაა გამოხატული ბატონყმობისა და მეფის რუსეთისაგან დამონებული საქართველოს გლეხების მასობრივი აჯანყება, რომელსაც სამეგრელოში უტუ მიქავა ხელძღვანელობდა. ამ რომანში გაცოცხლებულია გლეხთა აჯანყება მთელი თავისი გრანდიოზული სახალხო მოძრაობითა და თავისუფლებისაკენ მისწრაფებით. რომანის დიდი ღირსება ისაა, რომ ისტორიული სიმართლე მთელი პირუთვნელობით არის აქ გამოსახული და ამ ფონზე ნაჩვენებია ხალხი, როგორც ისტორიის მთავარი ძალა. ამას მოჰყვა შ. დადიანის საინტერესო მხატვრული ესკიზი „ის". აქ ოსტატურად არის გამოხატული ი. ბ. სტალინის გამოქცევის ერთ-ერთი სცენა შორეული ციმბირიდან. ჯოჯოხეთურ ქარბუქში, თოვლსა და ყინვაში, საშინელ აძინდში მოდის მეფის ოპრიჩნიკებისაგან თავდაღწეული ი. სტალინი, მოდის ტაიგასა და ტუნდრაში, სადაც მას უთანასწორო ბრძოლას უმართავს სასტიკი ქარბუქი. სტალინი მაინც განაგრძნობდა თავის გზას მტკიცედ და შეურყეველად. ბრძოლა გრძელდებოდა, ბრძოლა უთანასწორო. ი. სტალინსაც ჰყავდა ამხანაგები, ჰყავდა ხალხი, ჰყავდა დიდი მასწავლებელი ლენინი, მხოლოდ ისინი იმჟამად შორს იყვნენ მისგან და იმათი სიყვარული ათბობდა მის გულს. აქიტომაც ვერავითარმა ძალამ ვერ სძლია სტალინის ნებისყოფას. იგი ვერ გატეხა ბუნების საშინელმა სტიქიამ. ეს მოთხრობა ცნობილ კონკრეტულ მასალაზე აგებული, ისე არის განზოგადებული და ოსტატურად აღლეტბული, რომ მას უაღრესად სიმბოლური მნიშვნელობა ეძლევა რევოლუციური წარსულისა და ბრძოლის დახასიათებისათვის: ბუნების სტიქიის წინააღმდეგ ი. სტალინის ბრძოლა გამოხატავს მთელი იმ რევოლუციური მოღვაწეობის შინაარსს, რომელსაც სახელგანთქმული რევოლუციონერი ეწეოდა ბნელეთის მოციქულების, მეფის რუსეთის შავი ძალების წინააღმდეგ. მისი გამარჯვება კი ბუნების ამ სტიქიასთან ბრძოლაში ისევე განზოგადებულად გამოხატავს დიდი ლენინის

იდეების გამარჯვებას ფეოდალურ-კაპიტალისტური რუსეთის კონტრ-რევოლუციურ ძალებზე.

ჩვენი ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში, ომისა, რომელიც იყო ჩვენი სახელმწიფოს არა მარტო ეკონომიური, არამედ მისი სულიერი ძალების მძაფრი გამოცდა, შ. დადიანი, როგორც მოქალაქე და როგორც მწერალი, გვერდში ამოუდგა ჩვენს ხალხს. ღვაწლმოსილი, მხცოვანი მწერალი ხშირი სტუმარი იყო საბჭოთა მებრძოლებისა ომის ფრონტზე. იგი ჩვენი სახელოვანი მეომრების წინაშე გამოდიოდა მგზნებარე სიტყვით და აღაფრთოვანებდა ჩვენს მებრძოლებს კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამავე დროს წერდა და აქვეყნებდა ნაწარმოებებს, რომლებშიაც უმღეროდა ჩვენი მეომარი ხალხის საგმირო თავგადასავალს.

სამამულო ომის წლებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შორის უნდა დავასახელოთ მოთხრობები: „თამბაქო“ და „ამბავი ფრონტიდან“. პირველ მოთხრობაში გამოცდილმა ბელეტრისტმა დაგვიხატა რუსი ხალხის მოწინავე ქალიშვილის — ლუდმილას ოჯახის საბრძოლო თავგადასავალი.

*

იშვიათად წაგვიკითხავს ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულის შესახებ უფრო საინტერესო და რომანტიკული ამბავი, ვიდრე ეს „გვირგვილიანების ოჯახშია“ მოთხრობილი და ეს იმიტომ, რომ აქ ერთმანეთს შეხვდა დიდი ბელეტრისტი და ამ ძველი ამბების უშუალოდ მომსწრე და მონაწილე, ქართული მწერლობის „მწიგნობართუხუცესი“ — შალვა დადიანი. აქედან წარმოდგება ის რომანტიკა და მიმზიდველობა, რომელიც თან ახლავს ამ რომანის ყოველ ფურცელს, ყოველ მის ფრაზას.

შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“ გაღრმავება და განვითარებაა კლასიკური მწერლობის იმ ტრადიციებისა, რომელიც XIX საუკუნეში შეიქმნა, სოციალურ პრობლემათა დამუშავებით, ენობრივი ფაქტურით, დიდი ჰუმანიზმითა და ხალხურობით ეს რომანი უშუალოდ ეხმაურება ილიასა და აკაკის პროზას. ამავე დროს მასში თავისებურად გამოვლინებულია ის ახალი, ორიგინალური, რაც, საზოგადოდ, შალვა დადიანის სტილს ახასიათებს. ეს არის სოციალური პრობლემების გამახვილებულად დაყენება, მეოცე საუკუნის საზოგადოებრივ და სოციალურ მოვლენათა ვითარების ფონზე; ეს არის რევოლუციური ძალების, მისი უმთავრესი ფესვების — გლეხკაცობისა და მუშათა-

კლასის მისწრაფებათა ერთიანობის გამოსახვა, მეოცე საუკუნის იმ პერიოდის აღწერა, როცა მუშათა კლასის რევოლუციურმა ზეგავლენამ სოფელში შეაღწია და ამ გზით შეიქმნა სრულიად ახალი ვითარება სოფელში. რევოლუციური იდეების გავრცელება მუშათა წრეში და ამ იდეების შეღწევა სოფელში შ. დადიანის მხატვრული პალიტრის საგანი იყო ჯერ კიდევ 900-იან წლებში (მოვიგონოთ მისი რევოლუციური მინიატურები); ამ კონცეფციის პირველი მძლავრი დასაბუთება კი წარმოდგენილია პიესაში „ნაპერწკლიდან". ეს ელემენტები უფრო დამახასიათებლად და უფრო ხაზგასმულად არის მოცემული „გვირგვილიანების ოჯახში", XX საუკუნის რევოლუციური განთიადის პირველი სურათები ამ რომანში გამოხატულია ღრმა ემოციებითა და პოეტური ფერებით. აქ მძლავრად ჩქეფს ახალი ეპოქის რევოლუციური სული, ეს არის 1905 წლის ქარბუქიანი ეპოქის წინადღე.

1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები და მისი მომდევნო რეაქციის შავბნელი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში მრავალგზის აისახა. საკმარისია აქ მოვიგონოთ ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" და „სისხლი", ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე", დ. სულიაშვილის „ჩიკორი" და სხვა. მაგრამ 1905 წლის რევოლუციის წინა ეპოქა, რევოლუციისათვის მზადების პერიოდი, 900-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟი ქართულ ლიტერატურაში არ ყოფილა ისე სრულად გამოსახული, როგორც თვით რევოლუციის ეპოქა. შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი" ერთგვარად ავსებს ქართული ლიტერატურის ამ ხარვეზს. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალი ჯერ კიდევ არ შეჭრილიყო სოფელში, მაგრამ შორეული ქროლვა ამ ქარიშხლისა უკვე სოფელშიაც იგრძნობოდა. რევოლუციის თესლი უკვე ჩათესილი იყო. ახლა იგი გაღვივებას, ცეცხლის გაჩაღებას მოელოდა. ეს პერიოდია გამოსახული „გვირგვილიანების ოჯახში". დიდი სიყვარულით, საგნის ცოდნით, მხატვრული მრავალფეროვნებით დახატა შ. დადიანმა სოფლის ახლად დაბადებული რევოლუციის ძალები, მისი მოწინავე წარმომადგენლები. სწორედ ეს არის ამ რომანის უპირველესი ღირსება. მაგრამ იქ არა მარტო ხალხის ეს მოწინავე წარმომადგენლებია გამოყვანილი, არა მარტო ეს რევოლუციის ძალებია გამოხატული, არამედ — მისი საწინააღმდეგო ძალაც და, ამის მიხედვით, სხვა სოციალური ძალები და საზოგადოებრივი ჯგუფები.

საზოგადოებრივი ცხოვრების გამოსახვის მხრივ ეს რომანი ორი პლანით იშლება: ძველი საქართველო, ბატონყმური სოციალური ძალების ნარჩენები და მათ გარშემო თავმოყრილი ადამიანები. ეს წრე ნაჩვენებია ფეოდალური ოჯახის, გვირგვილიანების ოჯახის ფონზე. მეორე მხრივ, დახატულია სოფლის გლეხკაცობა, სოფლის რევოლუციური ძალები, ობიშხიას, ფარნა ბეალავას, ჩელას, ფანთას და სხვათა სახით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ეს მაღალი არისტოკრატია, გვირგვილიანების ოჯახი წარმოდგენილია რღვევის პროცესში. თუ აქ, ერთი მხრივ, ნაჩვენებია ძველი ცხოვრების, არქაული სოციალური ვნებებისა და მისწრაფებების გამომხატველი ნექტარინა და მის გარშემო თავმოყრილი მაღალი არისტოკრატია, მეორე მხრივ, ამავე არისტოკრატიის წრეში დაბადა ის ინტელიგენტური ლიბერალური თუ პროგრესული განწყობილებაც, რომელიც რევოლუციური ძალების ზეგავლენის ქვეშ მოექცა. ავტორი ასეთი სოციალური და პოლიტიკური ვნებებით ხატავს თვით გვირგვილიანების ოჯახიდან გამოსულ ტაიას, ამ ახალგაზრდა რევოლუციონერს, ნაციმბირალ ვამეხ გვირგვილიანს. ამ რომანში ძალთა ეს დაპირისპირება-ურთიერთობა საგნის ცოდნით და დიდი შბატვრული ალლოთი არის გამოხატული. რომანის დასაწყისშივე მწერალმა ეს რევოლუციურად განწყობილი, სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელი გარკვეული იდეური მისწრაფებებით წარმოადგინა. ესენი არიან ახალგაზრდა მებრძოლი. ბათუმის რევოლუციური მუშათა გაფიცვების მონაწილე და მომსწრე, ახალგაზრდა ტაია გვირგვილიანი, ნაციმბირალი ვამეხი, ყაჩაღი მანჩა და მოწინავე გლეხი ფარნა ბეალავა. ფარნას ოჯახში თავმოყრილი რევოლუციურად გახწყობილი ადამიანები გულდასმით უსმენდნენ 1902 წელს ბათუმში ახალგაზრდა იოსებ ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით მომხდარ დიდი დემონსტრაციებისა და შებრძოლების ამბებს, რასაც ტაია ყვებოდა: „ვამეხი ისევ ღრმა ფიქრში იყო წასული, თითქოს ტაიასაგან ნაამბობ 1902 წლის ამბებს კარგად სინჯავს კარგად უკვირდებაო ეს ამბავი მისთვის უცხო იყო. გაზეთებში ამაზე არაფერი ეწერა, გარდა ოფიციალური ქრონიკისა, და ისე კი, ბერთემში მიღწეული, ჭორებშემოსილი ერთგვარი „საზოგადოებრივი აზრი“ უარყოფითად აშუქებდა ბათუმის მუშების საქციელს. აქ კი ტაიას ნაამბობში, სულ სხვაგვარ მოჩანდა საქმის ვითარება და ერთგან, ტაიას მოთხრობის დროს ეს წამოცდა კიდეც მის ბაგეს:

— დიდი გვრგვინვა მოისმის, დიდი, — და დაჩუმდა. მეტი ალარა უთქვამს რა.

ეი ტაიას მოთხრობამ იქამდე მიალწია, როცა ბათუმის მუშები პირდაპირ შეებრძოლნენ თვითმპყრობელობის ჯარსა და პოლიციას. მაშინ კი აქამდე გაქვავებული მჯდომარე მანჩა ზეზე წამოიჭრა და თითქოს გულიდან ამოსკდა:

„— ვაი დედასა, სად ვიყავი? ჩემსობას არაფერი მაგის მსგავსი არ ყოფილა ბათუმში. მე არავის არ ვაცლიდი, ჩავუსაფრდებოდი სადმე ცალკე და იმ გენერალ დრიაგინს სულს გავაფრთხობინებდი.

— ჰა, ჰა, 'შენ ისევ ტერორის მომხრე ხარ, — ჩაიცინა ტაიამ, — მაგრამ ეგრე ალარ არის საქმე. ახლა უკვე ჩვენ ვიცით, რომ ტერორით საქმე არ კეთდება და არაფერი არ სწორდება, რადგან მოკლულის ალაგას მეორე ჩნდება და ხშირად უფრო უარესი. მთავარი მაინც არ კეთდება, ჩაგვრა არ ისპობა, თანასწორობა არ მყარდება და დიდი უმრავლესობა ისევ უუფლებო, უხმო და დაჩაგრული რჩება“.

ასე სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევენ ბათუმის რევოლუციურ ამბებს ყაჩალი მანჩა, ნაციონალისტი ვამეხი და გლეხობის წარმომადგენლები — ფარნა და ფანთა. ისინი გადაწყვეტენ სოფელ ბერთემში შეადგინონ ერთობის მომხრეთა წრე, „რევოლუციის საქმისათვის ერთგული და თავდადებული“, თანდათანობით განამტკიცონ ეს წრე და ემზადონ რევოლუციის საქმისათვის. რომანში, მართლაც, ნაჩვენებია ეს სოფლის პირველი რევოლუციური წრე, ახალგაზრდობისა თუ ხნიერი გლეხკაცობისაგან 'შემდგარი, რომელსაც ტაია ხელმძღვანელობს და შემდეგ ქუთაისიდან ამარაგებს მათ პროკლამაციებითა და პოლიტიკური ლიტერატურით. მებრძოლი გლეხკაცობა ვამეხს, რომელმაც თავისი ბედი ამ რევოლუციურ ძალებს დაუკავშირა, გვირგვილიანების ოჯახის წილზე უარი თქვა და აღიარა, „შრომა ყოფილა ყოველგვარი სიდუხჭირის დამძლევი ამქვეყნადო“, — მაინც ერთგვარი უნდობლობით ეკიდება და ეს სავსებით ნათელია. ეს უნდობლობა ისტორიულად დაიმსახურა იმ კლასმა, რომლის შვილია ვამეხი და გლეხები მას ასე ადვილად ვერ მიენდობიან. სამაგიეროდ ახალგაზრდა ტაიას დიდი თანაგრძნობით და სიყვარულით ეპყრობიან. გლეხი მიქე ასე ახასიათებს ტაიას: „ტაია ჩვენ ყველას მიგვაჩნია, როგორც თაყვანისაცემი კაცი. და ის სხვა კნიაზებს არცა ჰგავს. ტაია ჩემი ძმაა, გულისგული და მე და ჩელას კი

არა მთელი სოფლის გლეხობას თვალში რომ ჩაგვივარდეს, ხელს არ მოვისვამთო". ამგვარი დიფერენცირებული დამოკიდებულებით დახატა შ. დადიანმა სოფლის სოციალური ძალები — რევოლუციის მომავლის ძალები. გლეხკაცობის გამახვილებული, სოციალური ინსტინქტი, უტყუარი, პრაქტიკული გამჭრიახობა, მათი შეუპოვარი ბრძოლა, მათი მისწრაფება თავისუფლების საქმისათვის რომანში გამოხატულია დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით. ეს არის რევოლუციური სოფლის ის ძალები, რომლებიც მწერალმა სოფელ ბერთემის ფონზე წარმოადგინა. მეორე მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამავე სოფლის მცხოვრებთა მიხედვით გამოხატა მან ძველი საქართველოს რეაქციული დროგადასული და ფერგადასული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. მათ ცენტრში მწერალმა გვირგვილიანების ოჯახის რძალი ნექტარინა დააყენა.

ეს სახე შორეულად გვაგონებს ანასტასია ერისთავის მაკინეს („მოლიპულ გზაზე"). ნექტარინა, ისევე როგორც მაკინე, გატაცებულია ძველებური დიდების დღეების შენარჩუნებით, იგი დღედაღამ იმაზე ოცნებობს, რომ შეინარჩუნოს მფლობელობა მამულისა, მაიორატისა და მოდერნიზაციის გზით განამტკიცოს ოდესღაც ქებული გვირგვილიანების ფეოდალური ოჯახი და აი, აქ წარბშეუხრელად დარაჯობს ძველ დიდებას. ეს ქვრივი არწივი გვირგვილიანების ფეოდალურ დიდებას ფრთებით გადაფარებია და არავის უშვებს ახლო და, სოციალური ვნებებით დაუოკებელი, ებრძვის ყოველივე მის მოწინააღმდეგეს. ისტორიულად განწირული ფეოდალური კლასის უკანასკნელი მოჰიკანია ნექტარინა, ამავე დროს ვნებააშლილი, ავხორცი ქალია. იგი ჯერ კიდევ სიცოცხლეში ღალატობს ქმარს, ქვრივი კი მთლად მიეცემა ვნებათა ღელვას. ეს ავხორცობა კნეინა ნექტარინასი რომანში გამოხატულია გაშიშვლებულად.

მას შემდეგ, რაც გუტატს — ამ ციხიკოსსა და მრისხანე მოურავს ზედ წააკლავენ თავის უსინდისობას, ნექტარინა ჯერ თვითმკვლელობაზე ფიქრობს, მაგრამ უმალვე გაიღვიძებს მასში ავხორცი ვნება და ერთბაშად გადაწყვეტს, გუტატი მღვდელ თევდორეთი შეესცვალოს.

გვირგვილიანების ოჯახის სხვა წევრები მწერალმა ასევე განსხვავებული თვისებებით გამოხატა. ვამეხი, რომელიც რევოლუციას გაუტაცია და რომელსაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ციმბირში გაუტარებია, კვლავ რევოლუციის საქმითაა გართული, მაგრამ ვერ ახერ-

ხებს თანმიმდევარი იყოს რევოლუციის მრწამსისა. ის ნახევრად ლიბერალი, ნახევრად რევოლუციონერი, ნახევრად მწიგნობარი ინტელიგენტია, რომელსაც რევოლუციონერის ცეცხლი, შემართება და სიმტკიცე აკლია. გამუდმებით გლეხებთან ტრიალებს, მათ ანდობს თავის ფიქრებსა და გრძნობებს, მათ უმტკიცებს ერთგულებას, მისი დატირება გლეხი იასესი, მისი საუბარი აქ მეზობლებთან, რომ მშრომელმა გაძარჯვება უნდა მოიპოვოს ბრძოლით, გლეხობაში როდი იწვევს დიდ თანაგრძნობას. ამიტომაც მისი სახე რომანში, როგორც რევოლუციურად განწყობილი, ნაციმბირალი კაცისა, არ არის დასამახსოვრებელი და ტიპიური, იგი უფრო უნიათო, ფრაზიორი რევოლუციონერია, ვიდრე პრაქტიკული მოღვაწე. უფრო თანმიმდევარია ამ მხრივ გვირგვილიანების ოჯახის მეორე წევრი ტაია. როგორც ზემოთაც ვთქვით, მას უფრო ენდობიან რევოლუციურად განწყობილი გლეხები. მწერალმა ეს მოწინავე ინტელიგენტი, სავსებით სამართლიანად, სოფლიდან ქუთაისში გაისტუმრა. რომანის შემდეგ ფურცლებზე მას იცკა რიჟინაშვილის მარქსისტულ წრეში ვხვდებით. ის იმდენად თავდადებულია რევოლუციისათვის, რომ უარს იტყვის საკუთარ გრძნობაზე, თოლისქვამის სიყვარულზე, მასთან ყოველგვარ რომანტიულ კავშირს გაწყვეტს იმ მოტივით, რომ ეს ხელს შეუშლის რევოლუციურ მუშაობაში. ლიბერალი, უნიათო არისტოკრატის სახე გამოსახა მწერალმა გვირგვილიანების ოჯახის სხვა წევრების — ბარამის, ეკოციმილის და ბეგის სახით. გმირთა მრავალრიცხოვნობა არ უშლის მწერალს ხელს, დახატოს ისინი თავიანთი დამოუკიდებელი თვისებებით, მიდრეკილებებით, მისწრაფებებითა და სულიერი ინტერესებით.

რომანში ასევე ნაჩვენებია ვაჭართა კლასის წარმომადგენლები, როძელთა ხელში გროვდება სიმდიდრე და დოვლათი, და რომლებსაც ანგარიშს უწევენ მაღალი არისტოკრატიის წრეში. ისინი ნექტარინას სალონის წევრები არიან.

ნექტარინა იმდენად უწევს ანგარიშს ლევარს კვიზიანს, ამ ფოთელ ვაჭარს, რომ ის სიამოვნებით მიათხოვებს თავის სახლში გაზრდილ ლამაზ გოგონას თოლისქვამს. მწერალმა კარგად იცის, თუ რა მძიმე ტვირთად აწვებიან გლეხკაცობას ეს ახალი დროის ბატონები, ჩარჩი ვაჭრები. ამ მხრივ სრულყოფილად არის გამოხატული რომანში სოფლის მევახშე ჩარჩი ბანძღის სახე. გლეხკაცობას იგი ჭირის დღესავით სძულს. იგი ისევე ემუქრება გლეხკაცობას, როგორც წინათ ბატონი

— ყმას. ბანძლი ერთ გლეხს, რომელსაც მისი ფული მართებს, მუქარით მიმართავს, თუ თავის დროზე არ გადაუხდია მას ეს ფული, მის ქალიშვილს წაიყვანს სახლში მოსამსახურედ და ეს ვალის პროცენტი იქნება. ამ დეტალში კარგად არის ხაზგასმული ახალი ბატონის ბუნება.

გახსაკუთრებული სიყვარულით დახატა მწერალმა ხალხის წარმოსადგენლები — ესენი არიან მუდამ მშრომელი და ფხიზელი, რევოლუციურად განწყობილი ფარნა ბჟალავა, ობიშხია თუ ახალგაზრდა რევოლუციონერი გლეხები ჩელა და მიქე. მწერალმა ამ წრეში მოძებნა ის ნაძირალაც, რომელსაც რევოლუციის მტრები იყენებენ. ამ მხრივ საინტერესოა გლეხის — ანტოს სახე. იგი სოფლის ლუმპენპროლეტარია, რომელიც ყველაფერს ლუკმა პურზე ყიდის; გვირგვილიანების ოჯახის მოურავს გუტატის გამოყენებული ჰყავს, „როგორც თავის კაცი გლეხკაცების წრეში", მისგან ღებულობს საჭირო ცნობებს და აჯილდოებს გლეხკაცობის ამ გამყიდველს ძველმანებითა და გვირგვილიანების ოჯახის ნასუფრალით. ეს გაბზარული კაცი, რომელიც თავისი სოციალური ბედით გლეხკაცობასთანაა, ხელთ ჩაუგდია რეაქციის ძალებს.

რომანში საინტერესოდ არის გამოხატული 900-იანი წლების ქუთაისი, ერთი მხრივ მარქსისტების, რევოლუციურად განწყობილი მუშების, რევოლუციონერების, — ქუთაისი, — არალეგალური კრებებით, მახიფესტებით, დემონსტრაციებით, პროკლამაციებითა და საიდუმლო კრებებით, მეორე მხრივ, ქუთაისი თავადაზნაურთა წინამძღოლობით, ოლქის გუბერნატორით, მაღალი არისტოკრატიით, უქნარა ძველი ფეოდალებით, რომელნიც თავიანთი უსაქმურობით, გარეგნული ბრწყინვალებით ტიპიურად გამოხატავენ ძველი საქართველოს ცხოვრების სურათს. კარგად შენიშნავს მწერალი:

„უხდა ითქვას, რომ მაშინდელი თავადაზნაურობა თავისი იერით, მიმოხვრით, ჩაცმულობით ძალიან ჰგავდნენ ერთმიმეორეს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. იმერეთში ყველანი ბაძავდნენ განთქმულ სილამაზის პატრონს დათიკო მიქელაძეს, სამეგრელოში — კოწია დადიანს, ფურიაში — ფურიელებს, აღმოსავლეთ საქართველოში კი — განთქმულ მოქეიფე ძმებს ანდრონიკაშვილებს. ყველა ცდილობდა, რომ მათებური ჩოხა-ახალუხი სცმოდათ, მათებური წუღა-ძესტი თუ დაბალქუსლიანი შეეროს წალები, ფაფუკიც მათებური და სხვ. ერთი სიტყვით, შეიძლება უნებლიეთ, მაგრამ მაინც როგორღაც ერთგვარი სტილი ჰქონდათ დაცული და თუ გამოირჩეოდნენ

ერთმანეთისაგან, უფრო სახით, რადგანაც სახე ყველას თავისი საკუთარი მოყვანილობისა ჰქონდა.

წვერები ხომ... წვერები მოკლედ შეკრეჭილი, რუსთაველის, ვიღაცის მოგონილი და ამჟამად დიდად გავრცელებული სურათი რომ არსებობს, იმგვარი, ძაგრამ რად ვინდა თავადაზნაურობა? თვით მაშინდელი ინტელიგენცია და, განსაკუთრებით, სოციალ-დემოკრატები, უფრო მენშევიკური ფრთისა, თითქოს ერთნაირები იყვნენ. გრძელი, მხრებამდე ჩამოშვებული თმა, ამათაც აუცილებლად წვერ-ულვაში, ბავი ან სხვა რაიმე თალხი ფერის ხალათი, საყელო რომ გვერდზე აქვს შესაკვრელი (ხშირად არც ამას იბნევდნენ) და ზედ მეტნაწილად ხანგრძლივი ხმარების გამო გამოხუნებული პიჯაკი, ჩამოლეწილი შარვალი და ფეხზე ან ძაღალყელიანი ჩექმები, ან უბრალო, ეგრეთ წოდებული „კონდრები“, თავზე კი ფეტრის ქუდი. პიჯაკის ჯიბეები ხომ მუდამ ჟურნალ-გაზეთებით და პაწია ბროშურებით გამოტენილი. ასე რომ დანახვისთანავე იცნობდით, თუ როგორ „ზეგარდმო“ მადლით ცხებულ ადამიანებთან გქონდა საქმე“.

აი, ამგვარი სტილის ადამიანებს შორის მწერალმა განსაკუთრებით გამოკვეთილად დანახატა ორი სახე; ეს არის მაღალფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, ჩხუბის, სკანდალის, ფართიფურთობის და ქალების მოყვარული კნიაზი მიტო გავლენიშვილი და სტუდენტის ფორმაში მოვლენილი ინტელიგენტი კონსტანტინე ხვიტია, — კარიერიზმის, დიდკაცობის მოტრფიალე, გაზეპირებული ფრაზებით გარეგნულ ყურადღებას რომ იპყრობს, შინაგანად კი რევოლუციისა და პროგრესის მტერია. ამიტომაც ის ჭირისდღესავით სძულთ მოწინავე ახალგაზრდებს, რევოლუციონერებს. სამაგიეროდ, მოსწონთ, უყვართ და ანგარიშს უწევენ ეს ქუთათური არისტოკრატები და დაქირავებული მეფის მოხელენი.

ცალკე უნდა აღინიშნოს არისტოკრატ ქალთა სახეები. აქ, ერთი მხრივ, უნდა მოვიხსენიოთ ლიბერალურად განწყობილი მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსული საკმაო განათლებამიღებული ქალები, რომლებიც ხელშემწყობ საზოგადოებებში ფართიფურთობენ. ფულს ავროვებენ ღარიბთა და რევოლუციონერთა დასახმარებლად; აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მარიამ გავლენიშვილისა, რომელიც ერთ დროს რევოლუციური საქმით იყო გატაცებული და ვამეხის მიჯნური გახლდათ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ნექტარინას წრესთან

დაკავშირებული ქალები — ბარონესა მინადორა, მისი ქალიშვილი დაგმარა, მათი ახლო ნათესავი მარინა რიაბინინა. განსაკუთრებული სიყვარულით დახატა მწერალმა მარინა რიაბინინას სახე. ეს განათლებული მოწინავე რუსი გოგონა, ყოველივე პროგრესულისა და რევოლუციის მოძმრე, დიდი მოყვარული ქართული კულტურისა, მისი დიდი წარსულისა და მისი მომავლის მორწმუნე. ასეთივე დიდი სიყვარულით გამოხატა მან რუსი რევოლუციონერის სლავსკის სახე. სლავსკი და რიაბინინა ისეთივე მტრებია ცარიზმისა, როგორც რიეინაშვილის რევოლუციურ წრეში გაერთიანებული ქართველები. ამ მოწინავე რუსთა სახეებს მწერალმა დაუპირისპირა შავრაზმელი ვოლკოვი, რომელიც დასცინის და აბუჩად იგდებს ყოველივე მოწინავეს და რევოლუციურს; დასცინის და აბუჩად იგდებს ქართველ ხალხს, მის კულტურას და მის წარსულს. ასე დაუპირისპირა მწერალმა 900-იანი წლების ორი რუსეთი ერთმანეთს: პროგრესული, რევოლუციური რუსი ხალხის მოწინავე ადამიანები — რიაბინინასა და სლავსკის სახით, რეაქციული, ცარისტული რუსეთის ძალებს — ვოლკოვის სახით.

ამ რომანის დიდი ღირსებაა მისი მხატვრული ფაქტურა, გამოკვეთილი, დამთავრებული ხასიათები და სახეები (ნექტარინა, გუტატი, ანტო), მისი შესანიშნავი მდიდარი ქართული ენა. როდესაც შ. დადიანის ამ რომანს კითხულობთ, თქვენში ახალი ძალით ცოცხლდება ილიასა და აკაკის დიდებული ქართული. როგორც ცნობილია, ქართველმა დეკადენტებმა, სიმბოლისტებმა, იმპრესიონისტებმა, ფუტურისტებმა ერთხანს სცადეს ილიასა და აკაკის ენა შეეცვალათ დეკადენტური, გაუგებარი, ბურუსიანი სიტყვებითა და სტილით. აქ საქმეს არ სცვლის ის გარემოება, რომ ხშირად მათს ლექსიკაში ძველი ქართულის სიტყვები ხვდებოდა, ისინი მეტყველების საერთო იერით, საერთო სტილით უპირისპირდებოდნენ კლასიკურ ქართულ სტილს და ენას. შ. დადიანმა კი ქართულ ენას ბოლომდე შეუნარჩუნა თავისი დარბაისლური სტილი. საზოგადოდ შალვა დადიანის სტილი უაღრესად რეალისტურია, ლექსიკურად მდიდარი, ბუნებრივი ქართული მეტყველებით და სინტაქსით. ოღონდ ხანდისხან ზეაწეული სტილი და თეატრალობა თავალში გეცემათ. ამასაც შეგნებულად სჩადის მწერალი. თეატრალობა აღწერის ძანერად იქცა შალვა დადიანის შემოქმედებაში. შალვა გასაოცრად ნათლად ხედავს და ხატავს საგნებს. მაგრამ ამ სიზუსტით დანახული საგნების განლაგებასა და აღწერაში თეატრალური ხერხები

შეაქვს. ასეა ეს კერძოდ უბრწყინვალეს რომანში „გიორგი რუსი“, აქ დასაწყისიდანვე გიპყრობს ხედვა მწერლისა, მაგრამ შესავალშივე გვაგრძნობინებს მწერალი ხედვისა და აღწერის თეატრალობას. აი „დგას მოფარდაგულის წინაშე...“ და ლექსივით დაწერილ რაშის მორთულობის აღწერაში უცვე თავს იჩენს თეატრალური სტილი. ხოლო იგი ზენიტს აღწევს თავში „დარბაზობა თამარის სასახლეში“. ეს სტილი ბოლომდე გასდევს შალვას ბელეტრისტიკას. ეს იგრძნობა „გვირგვილიანების ოჯახშიც“.

როგორც ვთქვით, მთლიანად ეს რომანი თანამედროვე ქართული ლიტერატურის უთუოდ კარგი შენაძენია, მაგრამ მას აქვს ზოგიერთი ნაკლი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს იმ პუბლიცისტური შენაკადის შესახებ, რომელიც ამ რომანში გვხვდება. ეს პუბლიცისტური პასაჟები ორი მიმართულებით იშლება. ჯერ ერთი, ისინი გვხვდება შენაკადების, მიმართვის სახით ციბედულისადმი. ეს ახალი ორიგინალური ხერხია, მწერლის მიერ გამოგონებული. თითქოს ეს იმისათვისაა გამოგონილი, რომ რამდენადმე შეასვენოს მკითხველი ლირიკული გადახვევებით გრძელი თხრობისაგან. და მართლაც, ამ ორიგინალურ ხერხს უთუოდ აქვს მხატვრული გამართლება, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც ბევრია ის შენაკადები და გადახვევანი, იმდენად ბევრი, რომ ზოგჯერ ისინი უკვე ხელს უშლიან თხრობის საერთო განვითარებას. მეორე შენაკადი რომანში არის პუბლიცისტური პასაჟები, ციტატები, პუბლიცისტური დახასიათებანი ისტორიულად ცნობილი ადამიანების — ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის და სხვათა. დიდი ადგილი ეთმობა რომანში პუბლიცისტური ხერხით გამოხატულ მათ დახასიათებას. ეს გარემოება უთუოდ ადუნებს მხატვრული სახეებისა და ხასიათების განვითარებას. თუ, ერთი მხრით, პოლიტიკური ლიტერატურიდან ამოღებული ციტატები ეხმარება ავტორს მრავალრიცხოვან გმირთა მისწრაფებებისა და ხასიათების გამოხატვაში, ერთგვარად ზედმეტია ის პუბლიცისტური პასაჟები, რომელთა საშუალებით ცდილობს ავტორი დახატოს თავისი თანამედროვე ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და ისტორიული პირები. ეს მაინც რომანის ცალკეული ნაკლია. რომანი გამთბარია პატრიოტული სულით, თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნისადმი დიდი სიყვარულით. პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი და ხალხურობა ამ რომანს ახალი ძალით ანათებს. ჰუმანიზმის ეს დიდი ძალა ჩანს

რომანის საერთო სულში, მწერლის ჰუმანიზმი ჩანს გმირების დახასიათებაშიც. ავტორი როდი ხატავს ადამიანებს ცივად, ვნებათა გარეშე. დიდი ჰუმანიზმით, დიდი სიყვარულითაა დახატული მოწინავე ადამიანები. ჰუმანიზმის ეს ძოხაბერი თან ახლავს უარყოფითი გმირების გამოსახვასაც. შ. დადიანი არ იშურებს საღებავებს ამ ისტორიულად ფერგადასული ადამიანების გამოსახატავად. რომანის უარყოფითი გმირები სქემები კი არ არიან, არამედ ადამიანები, სისხლსავსე ადამიანები. ამაში გამოჩნდა მწერლის დიდი ჰუმანიზმი.

შალვა დადიანი ძალიან ბევრ ენოვან ჟურნალებს ეწეოდა რუსული და უცხოური კლასიკური მწერლობის თარგმნის დარგშიც. მან თარგმნა ბაირონის „მანფრედი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და „ჭირვეულის მორჯულება“, შილერის „მარიამ სტიუარტი“, ანდრეევის „გაუდეამუსი“, ჰოპმანი სტალის „ელექტრა“ და სხვ.

შალვა დადიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის კლასიკოსების განსცენირების სფეროშიც. ი. ჭავჭავაძისა და ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებთა მიხედვით შ. დადიანმა შექმნა პიესები — „ჩიტეხილი ხიდი“ და „ნინოშვილის გურია“, რომლებიც დამკვიდრდნენ ჩვენი თეატრების რეპერტუარში; მათ დიდი როლი შეასრულეს ჩვენი კლასიკური მწერლობის პოპულარიზაციისა და პროპაგანდის თვალსაზრისით.

თოთხმეტი წლის შ. დადიანი თავისი ლექსების პირველ კრებულში წერდა:

ჯერ ყმაწვილი ვარ, ჩემგან ქვეყანა
კიდევ ბევრს ელის ნამუშევარსა,
კვლავ აქვს იმედი, რომ ის იხილავს
ჩემი ხელების მონაწევარსა.

ეს ბავშვური გულწრფელობითა და აღტაცებით წარმოთქმული შეპირება ბრწყინვალედ შეასრულა სახელგანთქმულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ შალვა დადიანმა.

ნიკო ლორთქიფანიძე

XX საუკუნის ქართული პროზის პირველხარისხოვანი ოსტატი ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წელს 17 სექტემბერს სოფ. ჩუნეში (ახლანდელი წყალტუბოს რაიონი). მამამისი — მერაბ ნიკოლოზისძე ძოძრიგებელ "მუამავლად მუშაობდა, დედა — ქართული მწერლობის ძოყვარული და მცოდნე იყო. ნ. ლორთქიფანიძეს ქართული მწერლობისადმი და მისი ისტორიული წარსულისადმი დიდი სიყვარული ბავშვობიდანვე ოჯახში ჩაენერგა. პირველდაწყებითი განათლება შინ მიიღო, "შემდეგ იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს. მეხუთე კლასიდან (1896 წელს) იგი გადაჰყავთ ქ. ვლადიკავკაზში, სადაც ამთავრებს გიმნაზიის სრულ კურსს. შემდეგ ნიკო შედის ხარკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. აქ ის აქტიური მონაწილეა რევოლუციურად გაწყობილ სტუდენტთა წრისა, რის გამოც ხარკოვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და სამშობლოში დაბრუნდა. 1902 წელს ნიკო მიდის ავსტრიაში და შედის ლეობენის სამთამადნო აკადემიაში.

1907 წელს ჩამოდის სამშობლოში. 1907-1912 წლებში მუშაობს გერმანული ენის მასწავლებლად ქ. ქუთაისში. 1912 წელს იგი ქუთაისიდან თბილისში გადმოდის და აქ განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1917 წელს გამოდის ნ. ლორთქიფანიძის გერმანული ენის სახელმძღვანელო. 1923 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის საინჟინრო ინსტიტუტში, სადაც სიკვდილამდე ითვლებოდა უცხო ენების კათედრის გამგედ.

ნ. ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1944 წლის 25 მაისს.

ნ. ლორთქიფანიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1902 წლიდან. პირველ ხანებში იგი წერდა პატარა მინიატურებს, რომელთა თემა იყო სოციალური სიბეჩავე ხალხისა, ქალ-ვაჟთა ტრფიალება, უიღბლო სიყვარულით გაწბილებულთა ბედი... ეს ადრინდელი მინიატურები

ერთგვარად ძიება იყო ახალი ლიტერატურული ფორმისა, მოსამზადებელი პერიოდი დიდ ლიტერატურაში შესასვლელად. და მართლაც, მან სულ მალე მიიპყრო ყურადღება, როგორც ქართული სიტყვის შესანიშნავმა ოსტატმა. მის შემოქმედებაში ღრმად აისახა რევოლუციამდელი საქართველოს ეროვნული და სოციალური ტკივილები: („ტრაგედია უგმიროდ", „თავსაფრიანი დედაკაცი", „კერიისათვის" და სხვ.)

ნოველაში — „ტრაგედია უგმიროდ" ნ. ლორთქიფანიძემ დახატა რევოლუციამდელი გლეხის სიღარიბისა და სიდუხჭირის გამომხატველი მეტად მღელვარე სურათი. აქ, სულ გვერდნახევრიან ნოველაში, დახატულია მძაფრი ფსიქოლოგიური თავგადასავალი ღარიბი, მაგრამ თავმოყვარე გლეხის ცხოვრებისა. გლეხმა, სამი შვილის მამამ, მეზობელი მოხუცი დედაკაცისაგან ნახევარი ჯამი ფქვილი ისესხა. როდესაც მამას ფქვილი მოჰქონდა, ბავშვები კითხვით შეეგებნენ — გვაჭმევო?

— „კი, შვილო, კი, ბიჭო, — ეუბნებოდა ხან ერთს, ხან მეორეს. ბავშვებს უთქმელად მოჰქონდათ ფიჩხი, ანთებდნენ ცეცხლს, აწყობდნენ კეცებს". მამამ მოზილა ცომი, დააკრა გავარვარებულ კეცს, ბავშვების მოუთმენლობამ ჩააგონა, მეზობლად ვაეგზავნა ისინი. დამშეული გლეხი ძმადის სუნმა გაიტაცა, „კეციდან ჭადი აიღო, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯად" ლუკმა პირში ჩაიდო. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღეძრა... მეორე ლუკმა... სწვავდა ენას და მაინც სჭამდა"... ამ დროს დამშეული ბავშვები შემოვიდნენ, მივარდნენ მამას და შესთხოვდნენ მჭადს, მაგრამ შიმშილისაგან გამგელებული მამა თავიდან ჩამოიშორებს ბავშვებს. გარეთ აგდებს. შემდეგ იგი გონს მოვიდა. მშობლიურმა გრძნობამ ერთბაშად გაიღვიძა, ბავშვებისაკენ გაიქცა, შიმშილისაგან ღონემიხდილებს თუთის ძირში ეძინათ და, როცა ბავშვს ჩააჩერდა, უფროსს გამოეღვიძა:

„— მამა, — წყნარად დაიწყო ბავშვმა.

— რა, შვილო? — ნაზად უპასუხა.

— მთლად შეჭამე?

—!!

— მამა, ცოტა იქნებ დარჩა, მომეცი... მუცელი მტკივა, არ გაგაშხელ..."

მამას ზლუქუნი წასკდა... ზეწამოიჭრა, ეზო გადაირბინა. მეზო-

ბლის ვენახში მიბმულ ცხვარს თოკი ახსნა, იქვე ბაწარი ტოტს მაგრად მიაბა და თავი ჩამოიხრჩო.

ძნელია ადამიანმა ამაზე უფრო ტრაგიკული სურათი წარმოიდგინოს. რევოლუციამდელი შავბნელი ცხოვრება, შიმშილით გამოწვეული მგლობა თავმოყვარე გლეხისა ღრმა ფსიქოლოგიური განცდითა და უდიდესი ოსტატობით არის აქ დახატული.

სოფლის ცხოვრების სურათია გამოსახული, სხვა სიტუაციაში და სხვა მდგომარეობაში, მეორე მოთხრობაში — „თავსაფრიანი დედაკაცი". აქ ტრაგედია თავმოყვარეობის სხვა მხარეზეა დაფუძნებული. დაქვრივებული ქალი, რომელმაც შრომით, წვალებით, ტანჯვით გამოზარდა შვილები, გზაზე დაყენა, ახლა შვილიშვილებში ფუსფუსებს, მაგრამ აი, ერთბაშად შეურაცხყო მისი თავმოყვარეობა უმადური რძლის რეპლიკამ: — „რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?.." თავმოყვარე დედა ოჯახს ტოვებს და შვილებს რომ არ აწყენინოს, ბარათში წერს: ნუ მეძებთ, სალოცავად წავედიო. რამდენიმე ხნის შემდეგ მის გვამს ქალაქში წააწყდებიან. სიტყვიერი ხელოვნების უდიდესი ოსტატობით არის დახატული მთელი ეს ტრაგიკული სურათი. ხელშესახებად, რეალისტური ფერებით ხატავს მწერალი გამრჯე, მშრომელი, შვილების მოყვარე, მაგრამ, ამავე დროს, თავმოყვარე, პატიოსანი ქალის მეტად მღელვარე სახეს. თავსაფრიანი დედაკაცის რამდენიმე შტრიხი თავის მცველური გამოსახულებით, გაუტეხელი ნებისყოფის გაძოვლიხებით ი. ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივის ხასიათს გვაგონებს. მაგრამ ნ. ლორთქიფანიძემ ისეთი ორიგინალური კუთხით, ფერებისა და საღებავების თავისებური ოსტატობით დახატა თავსაფრიანი დედაკაცი, რომ ჩვენ XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში არ გვეგულება სხვა, მისი მსგავსი, მისი ტოლი, უფრო ძლიერი მხატვრული ნაჭედობის მქონე ნოველა.

ამ ნოველაში ხასიათის გამოსახვის ფსიქოლოგიურ სიმართლეს ეფუძნება ყოველი დეტალი, ყოველი სიტყვა და ფრაზა. უაღრესად მიწიერი ცხოვრება რიგითი ადამიანისა გაპოეტურებულია და ამაღლებული, განზოგადებული და სრულყოფილი. რიგითი ქართველი ქალის ხასიათი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალის ეს ისტორია ასეთი ფრაზით თავდება: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან". არა! თავად ეს ნოველაა დიდებული ძეგლი „თავსაფრიანი დედაკაცისა", რიგითი ქართველი ქალისა, რომელიც მუდამ იცოცხლებს

ამ უკვდავ ქმნილების მეოხებით. ამ ნოველაში მთელი სისრულით გამოვლინდა ნიკო ლორთქიფანიძის წერის მანერა. ძუნწი, სიტყვიერი მომჭირნეობით დახატული ეპიზოდები, „თავსაფრიანი დედაკაცის“ ცხოვრების დეტალები და ნიუანსები, დიდი შინაგანი კავშირითა და ერთიანი განწყობილების ჯაჭვით შეკრული კომპოზიციაა. საოცრად ვრცელი ცხოვრების სურათს ქმნის. კალმის ერთი მოსმით, დეტალების მეოხებით დახატული სურათები, ეპიზოდები ელვის სისწრაფით ცვლიან ფერებითა და საღებავებით მდიდარ შთაბეჭდილებებს.

„ყველაფერი ჩატარდა სულ ძველებურად, ისე როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი ჯვარს იწერდნენ, ორმოცი წლის წინათ ხდებოდა ხშირად, ოცი წლის წინათ ზოგჯერ, ათი წლის წინათ იშვიათად, ახლა კი შეუძლებელია“. ეს ნოველა 1925 წელსაა დაწერილი და მწერალი საგანგებოდ მოგვანიშნებს, რომ ეს ძველებური ამბავიაო. ასე ზუსტი ფრაზების მოშველიებით ერთბაშად შევყავართ ძველ ეპოქაში. ამ დეტალს, რომელიც ისტორიზმის სულით არის გამთბარი, მოსდევს ძველი ცხოვრების ახალი დეტალი.

„აი გაძვრა-გაძოძვრა მაჭანკალი, ნამალევად შორიდან დაანახვა ქალი. მერე ძმადეებმა სამჯერ შეუცვალეს ბეჭედი. დაინიშნა ქორწილი, გავარდა დამბაჩა და მაჭახელა“. აქაც ძუნწად, სიტყვიერი მომჭირნეობით მთელი საქორწილო რიტუალი ერთ დეტალშია გამოხატული. „სვეს, იცეკვეს, არა მარტო გოგო-ბიჭებმა, მოხუცებულებმაც, დაიშალენ სტუმრები, აბღავლდნენ დანაკლავ ადგილზე ძროხა და ხარი“. ამას კვლავ ახალი დეტალი ცვლის, დეტალი, რომელიც გვამცნობს ახალი ოჯახის შექმნას, შვილების დაბადებას.

„კაი ნოგროს გამოდგენ:
სამი წელი —
სამჯერ გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი;
სამჯერ ჭორფლი და მეავე კიტრი;
ჩქარობდნენ თითქოს!“.

ამ ეპიზოდს კვლავ ახალი ეპიზოდი ცვლის „წელმაგარი ქომლისა“. მერე ერთბაშად ექიმი და მარჩიელი, წამალი და შელოცვის სურათები გაიელვებს. „სენმა და სიკვდილმა გაანიავა ოჯახი. იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ და ქართველი ქვრივი დედაკაცი დადის:

პოლიციაში,
სასამართლოში,

მეზობლებთან,
მაძასახლისთან,
თავმდაბალი,
საჩივრით,
მუდარით,
ისე რომ ვერ აჩერებს კედელი,
მარკა,
სიშორე,
გადაიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს,
მიიფრენს, თავისას კი მიაღწევს“.

აქ უკვე ხასიათი იხატება, ხასიათი ქართველი ქალისა, მტკიცე და შეუვალი, ოჯახის მზრუნველი, შვილებისა და შვილიშვილების მოყვარული, ამაყი და ზვიადი, და ამ ნოველის მთელი განწყობილება ხასიათის ამ დეტალს ეფუძნება — მტკიცე, გაუბზარავ, ამაყ ხასიათს. დედის თბილი გულით და სიკეთით დამშვენებული თავის მწუხარებასაც და სიხარულსაც ის გულში ფარულად ატარებს, თავად იტანს, ითმენს, იბრძვის, არავისგან მოწყალებას თუ შეწყალებას არ თხოულობს. თავისი შინაგანი, მთლიანი ხასიათით გვევლინება ის ყველგან და ყოველთვის. მას გულწრფელად უყვარდა თავისი ქმარი, დარდობდა კიდევაც მის სიკვდილს, მაგრამ ამასაც არავის უმხელდა, საკუთარ გულში ატარებდა ამ სიყვარულს, ამ დარდს, ამ სევდას.

„შავად მოსილმა ქალმა უკან კარებში გამოიტანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ კუთხეში, ჩემს მახლობლად, ბოსტანში გაშალა და ფეხშიშველმა დაიწყო ტირილი... მოთქმა.

წრფელათ, გულამომჯდარი ისეთ ნაზ სიტყვებს, ისეთის შვენიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადმოღმა მე ავტირდი, ტირილი ზლუქუნად გადამექცა... უეცრად მე შემრცხვა... ქალი კი საჩქაროდ ადგა და თავის ნაბადიანად სახლში მიიმალა“...

აქ უკვე სავსებით ნათლად ჩამოაყალიბა მწერალმა ხასიათი, ამაყი, მტკიცე, შეუვალი ხასიათი ქართველი ქალისა. მაგრამ მწერალს ამბავი დამთავრებულად არ მიაჩნდა და ახლა შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულში დახარჯული შრომის, ზრუნვის, მოვლის, გარჯის, მთრთოლვარე განწყობილებით კვლავ ამდიდრებს ამ ხასიათს. და აი, უმადური რძლის მეოხებით „თავსაფრიანი დედაკაცის“ ყველაზე მგრძნობიარე სიმს შეეხებიან, თავმოყვარეობას შეულახავენ.

და მოულოდნელად მოკვეთილი, დასაბუთებული გადაწყვეტილებაა:

„აღარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის, ვარ სრულიად ზედმეტი... დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი“...

და გაიხადა, მოიხსნა, მოაგროვა, ერთად ზანდუკში ჩაალაგა ყოველივე ხელსადები, ფასიანი, გამოსადეგი და კონკებში გახვეული, თითქმის საცვლების ამარა ჩუმათ გამოვიდა ნაჭირნახულევ ქოხიდან.

თითქოს შეძთხვევით ჩაუარა ქმრის საფლავს, დიდხანს არ შეჩერებულა, ერთი კი მიუჯდა, ხელი გადუსვა ბალახში მიმალულ ქვას და მკაცრად უთხრა:

— „ჰო, მოვალ, მოვალ... მოვალ, ჩემო ფილიპე“.

თავმოყვარე და შვილებისმოყვარე თავსაფრიანი დედაკაცის ხასიათი, ქანდაკებასავით ჩამოქნილი და მთლიანი, გამოხატულია ამ ნოველაში სადად, ბუნებრივად, ყოველგვარი პოზიორობისაგან თავისუფალი დიდი შინაგანი სიმართლით, მშვიდი და აუღელვებელი ტონით. ამ ნაწარმოებში ნიკო ლორთქიფანიძის სტილის ყველა თავისებურებანი ყველაზე ზუსტად და ყველაზე სრულად არის გამოხატული: „უბრალოება, რომელიც ოსტატობის სრულყოფის დამახასიათებელია“ (ნ. ლორთქიფანიძე).

რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების სურათია გამოხატული უფრო ვრცელ მოთხრობაში — „კერიისათვის“. საკუთარი კერიისათვის ზრუნვა და ბრძოლა, რასაც თან სდევს იმედისა და ოცნების გაწბილება, გამოხატულია აქ დიდი მხატვრული ძალით. მწერალს აღწერილი აქვს ერთი ოჯახი: აქ ძმების — ესტატეს, ნიკოსა და უმცროსი ძმის, მინაიას, გაყოფის ისტორიაა მოთხრობილი. გაყოფის შემდეგ თითქმის არაფერი ერგო უმცროს ძმას მინაიას, რადგან ქონება სულადობის მიხედვით გაყვეს. უფროსი ძმები ცოლშვილიანები იყვნენ, მინაია კი მარტოხელა. და აი, მარტოხელა მინაია გაუდგა გზას ბედის საძიებლად. გამუდმებული წანწალით, მძიმე შრომითა და ტანჯვით ის რაღაც კაპიკებს მოაგროვებს, სოფელში ბრუნდება, მაგრამ ბედმა კვლავ უმტყუნა: ვიღაც მეზობელი შემოაკვდა და გააციმბირეს. ბოლოს იქიდანაც თითქოს თავი დააღწია, კვლავ დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას, მაგრამ ახლა ვიღაც უსაქმურმა სიძემ მთელი ქონება დაუნიავა. საბოლოოდ მაინც განწირულია გლეხი. ამ ამბავს მოხერხებულად ურთავს მწერალი ზღაპარს, რომლის დედააზრი ისაა.

რომ გლეხისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე არის ოჯახი, კერიის ქვა. მისთვის ბრძოლაში და ზრუნვაში ამოსდის გლეხს სული.

ნ. ლორთქიფანიძის ადრინდელ მოთხრობებში ბევრგან არის გამოხატული, იმერეთის გლეხთა ცხოვრების ფონზე, ის ვაება და სიდუხჭირე, რომელიც თან სდევდა რევოლუციამდელი გლეხის ცხოვრებას, და მაინც ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების მთავარი თემა იყო ძველი ფეოდალური საქართველო. ძველი საქართველოს რაინდული წესი და მორალი, ძველი დიდების ნგრევა ნ. ლორთქიფანიძემ დიდი უშუალობით გამოხატა. მისი პოეტური სტიქია ყველაზე ბუნებრივად, ყველაზე სრულყოფილად ამ ძველი საქართველოს დანგრეულ დიდებათა გამოხატვაში გამოვლინდა. ეს მომენტი კარგად შენიშნა პოეტმა ა. აბაშელმა:

მან ისე ნათლად დაგვანახა ქვეყანა ძველი,
თითქოს წარსულის გასაღები იმას ებარა.

ნ. ლორთქიფანიძე, ერთი მხრით, აღწერდა საქართველოს დიდებულ წარსულს, ხელშესახებად აცოცხლებდა მის გარდასულ სურნელებას, მეორე მხრით, იგი მკაცრად ამხილებდა ძველი ფეოდალური საქართველოს რღვევის პროცესს, ამაში ხედავდა ცალკე ფეოდალთა მცონარებასა და უდარდელობას, მწარე სარკაზმით ხატავდა უყაირათო, თავკერძა ფეოდალთა თავგადასავალს. ნ. ლორთქიფანიძე ძველ დიდებათა ნგრევას უთუოდ დიდი გულისტკივილით ხატავდა, მან მწუხარების მწარე ცრემლები აპკურა ამ გადაშენების მძიმე ამბავს და ამაში მისი მსოფლმხედველობრივი ტენდენციურობაც გამოვლინდა.

ძველი სამყარო ხან თანაგრძნობით, ხან მკაცრი ირონიით და იუმორით გამოხატა ნ. ლორთქიფანიძემ. ამ მხრივ მარტო „ფეოდალები“ რად ღირს. თვით სათაურიც — „ფეოდალები“ სასაცილო რეპლიკაა — ირონია, აქ ხასიათებიც მახვილი იუმორით არის დახატული.

ფეოდალები, ძველი თავადები, აზნაურები ისე დაკნინებულან და დაჩიავებულან, რომ ახლა ერთმანეთს ლუკმაპურისთვის ეცილებიან. სადღაა ის ძველებური დარბაისლობა და ბატონკაცობა. გაღარიბებულ თავადებს, კარის მეზობლებს საერთო თანხით ნაყიდი ხარის ტყავისაგან გაკეთებული რუმბი ვერ გაუყვიათ, მუდმივი ცილაობა აქვთ და სასამართლოს კარები აუტალახებიათ. ხოლო მეორე შემთხვევაში („ფეოდალები“) ერთად შეგროვილი კაპეიკებით ნაყიდი თუთუნის გაყოფაში ერთ მათგანს „თითი ზე წააცალეს“, „თუთუნის მსხვერპლს“

ჩივილისა შერცხვა, მეზობლებმა კი მოციქულობაზე უარი უთხრეს. პლასტიკურ დეტალებში უბრალოდ და სადად, შეულამაზებლად გამოხატა დაკნინება და გაუკაცურება ფეოდალებისა. „რუმბს“ ასეთ შენიშვნას უკეთებს ავტორი: „ეს ნამდვილი ამბავია; გუნდა-ლახოსტაკით მხოლოდ წარბ-წამწამი შევუღებე და ლოყებზე ოდნავ ფერ-უმარული წავუსვი“. ჯერ კიდევ გიორგი ერისთავმა მოიშველია წოდებრივი დაკნინების სურათის გამოსახატავად ყოფითი დეტალი „ვაყრაში“. ნიკო ლორთქიფანიძემ კი გასაოცარი სიცხადით და პლასტიკურობით, ახალი ეპოქის ახალი დეტალებით გაამდიდრა ფეოდალთა დაკნინების სურათი. ყოფითი დეტალების ოსტატურად მომარჯვებით იმდენი შინაგანი სიმართლე, იმდენი ბუნებრიობა და უშუალობა იგრძნობა, რომ ეს პატარა ეტიუდები და ნოველები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს პატარა ნოველა კი არა, დიდი რომანი წაგვეკითხოს. ნიკო ლორთქიფანიძე არა მარტო პროზის მხატვრულ ფორმაში ეძებდა გამოსახვის ახალ საშუალებებს, არამედ თვით შინაარსის გააზრებაშიც გვევლინებოდა ის დიდ ნოვატორად. ეს ესკიზები, ეს ეტიუდები, ეს ნოველები სავსეა აზრებით, გრძნობებით, ფიქრებით, ხშირად ქვეტექსტებითა და მრავალწერტილებით მინიშნებული. ეს აზრობრივი სიმკვრივე, შინაარსობრივი სიმსუბუქე და სიმართლე მკაცრად რეგლამენტირებულ ფორმას მოითხოვდა. ამიტომაც მისი მწერლური სტილია მცირე ფორმებში გამოვლინდა მთელის ძალით, ვიდრე მოთხრობებსა და რომანებში: ამავე დროს იგი უფრო პორტრეტის ოსტატია, ვიდრე ტიპისა.

რიგითი კაცის ბედს ხატავდა იგი თუ ისტორიულად ცნობილ პიროვნებას, ხალისიან ამბავს ყვებოდა თუ სევდიანს, იგი ყველგან ჰუმანისტი მწერლის როლში გვევლინებოდა. ადამიანი უყვარდა უსაზღვროდ, ადამიანის ბედი აფიქრებდა ყოველ დროს.

„გამხდარ თხას, დაკოჭლებულ ცხენს, ჩახმახდამტვრეულ თოფს ფასი ეკარგება, ადამიანს კი ერთი და იგივე ფასი აქვს ყოველთვის და ყველგან, იმერეთის შეფობას არგუნებს თუ დანელიას მეღორედ გაჩენს უფალი. დადიანის სასახლე ათას ფაცხაში არ გაიცვლება; ადამიანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი კაცობრიობა, ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც დაფასება, არც გამრავლება, არც გამოკლება, იგი უფასოა. იგი ერთია, მუდამ ერთი.

ადამიანი მუდამ ადამიანია — არც მეტი და არც ნაკლები. „ბრბოს ეს სიტყვები აკვირვებდა, აცინებდა და თან მალამოთ ხვდებოდა დაბეჩავებულ გულზე!..“

ეს სტრიქონები 1912 წელს იწერებოდა. მწერალს გულს უკლავდა უფლებაწართმეული და პატივაყრილი სამშობლოს ბედი. ასევე მძაფრად აღელვებდა საქართველოს ისტორიული წარსული. მწერალმა კარგად იცოდა, რომ ძველფეოდალურ საქართველოს ღრღნიდა, შინაგანად შლიდა პარტიკულარიზმის საშინელი სენი. ამ ვითარებაში საქართველოს გადარჩენას ერთმეფობაში, ერთიანი მთლიანი საქართველოს შექმნაში ხედავდა („ჟამთა სიავე", „რაინდები", „ოდელია, დელია, საქართველო ჩვენია").

„მთელის, განუყოფელის, ერთობლივ საქართველოზე" ფიქრობდა დღენიადაგ მწერალი და ოტია მწიგნობარსაც იგივე სიტყვები ათქმევინა.

— „აი ირა, შვილო, საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული... ოსმალო, სპარსი, ლეკი, ახლა სხვებიც ძლიერდებიან. ცალ-ცალკე ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს... ნელ-ნელა გვწეწენ, გვანიავებენ... ხომ უყურებ, როგორ თათრდება საქართველოს საუკეთესო ნაწილი სამცხე, მესხეთი — სამშობლო პეტრიწისა, ნიადაგი ოპიზისა, მაგრამ თუ ერთად ვიქენით, თუ შინაური შფოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულთაგან დამოუკიდებელი, არაფერი გვიჭირს... დრო თამარისა და დავით აღმაშენებლისა ისევ განანათლებს ღვთისმშობლის ხვედრ ქვეყანას. საქართველოს მესამედი ოსმალეთს უპყრია, დიდი ნაწილი სპარსეთმა დაიუფლა, თავისუფალი ჩვენი პატარა იმერეთი-ღა დარჩა... და ჩვენ უნდა გადაუხადოთ წინათ ჩვენზე გაწეულ ამაგი საქართველოს დანარჩენ კუთხეებს...

— და მერე ვინ უნდა გააერთიანოს?

— შენ, მე, ყოველმა ჩვენგანმა...

— მამაჩემიც ამ აზრს ადგა?

— ჭეშმარიტათ! და როცა ვერა რას გახდა, ჩაიკეტა თავის ციხეში"...

ყველაზე უფრო მწვავედ აწეწილი საქართველოს ტრაგედია დახატულია „ჟამთა სიავეში". მწერალს მკაცრი მამხილებელის ხელით აქვს დახატული ფეოდალური საქართველოს ნგრევა, ჟამთა სიავით გამოწვეული ძმათა სისხლისღვრა, უკაცურობის მძაფრი სურათები. აქ დიდი გულისტკივილით არის მოთხრობილი, თუ როგორ დაკნინდა და დაეცა საქართველოს დიდებული წარსული. მწერალი კარგად ხედავს და-

კნინების სურათს, მაგრამ იგი არ ხედავს ძალას, რომელსაც შეუძლია აღადგინოს ეს დაკნინებული საქართველო. უფრო მეტი: ამ მოთხრობის დადებითი გმირი მთელ იმედს კვლავ აზნაურობაზე ამყარებს. მწერალიც, თავის მხრივ, უდასტურებს ამ აზრს: „მოხუცი მართალს ამბობდა, საქართველოს დიდების კარგად მცოდნეს, აწმყოთი გულმოკლულს, იმედი ჰქონდა მხოლოდ ახლად გამოჩეკილი აზნაურებისა, რომელნიც თავის გამჭრიახობით, გამრჯელობით, სისპეტაკითაც კი ბევრად მაღლა იდგნენ მოდუნებულ, სიფლიდეზე და მოტყუებაზე მოანგარიშე დიდებულებზე და მათ მიერ სასაცილოდ აღებულ მეფე-მთავრებზე“. ნ. ლორთქიფანიძე აქ ძველის მხატვარია, გარდასულის დიდების დიდი მოტრფიალე. მას დანგრეული დიდება გულს უკლავს და ოცნებობს ძველის აღდგენაზე, ოცნებობს იმ დროზე, როდესაც „დრო თამარისა და დავით აღმაშენებლის ისევ განაახლებს ღვთისმშობლის ხვედრ ქვეყანას“. უშთავრესად ამ მიმართულებით ხატავდა ის თავის რევოლუციამდელ ნაწარმოებებში ძველის ნგრევის ისტორიას და მით გამოწვეულ გულისტკივილს.

ისტორიული წარსულის გამოხატვის ასეთი გზაა არჩეული „დანგრეულ ბუდეებშიც“. ძველი საქართველოს დიდების დანგრევის სურათის კვინტესენცია მოცემულია თავში, რომელსაც ავტორი უწოდებს წინასიტყვაობას. აქ ფეოდალური ყოფის რღვევა სიმბოლურად შედარებულია მერცხლის ბუდის დანგრევასთან: „პატარა მერცხლები ეპოტინებოდნენ ნაბუდარს, ვერ იკიდებდნენ ფეხს, აჯდებოდნენ აივანზე გაბმულ ბაწარს, თრთოდნენ სიცივისაგან, ვარდებოდნენ იატაკზე, ერიმანეთს ეხუტებოდნენ და არ იცოდნენ რა ექნათ.

გავაღე ოთახის ფანჯრები, რომ იქ მოეთბოთ თავი, მაგრამ ამაოდ... ისინი როგორღაც ყღურტულებდნენ, რაც მე კვნესად მეჩვენებოდა, და ყოველ მათ ერიამულში მე ვკითხულობდი სამდურავს, გაისად ჩვენ მაგიერ აქ დაგხვდებათ ბელურა და უფეხუაო...“ ნ. ლორთქიფანიძე ნიჭიერი მხატვრის თვალით სინჯავს სინამდვილეს და ასკვნის: ერთ დროს ყოვლისშემძლე ფეოდალები დაშლისა და დაცემის გზაზე დამდგარან. ამ განწირულების ეპოპეაა „დანგრეული ბუდეები“. ამ მოთხრობას არა აქვს ერთი მთლიანი სიუჟეტი, იგი ცალკეული ფრაგმენტებია. ამ ფრაგმენტებშია გადმოცემულია უტყუარი სურათი განადგურებული დიდებისა, დანგრეული ოდებისა, ჩამოვარდნილი ჭიშკრებისა, აჩეხილი ბაღებისა და ვენახებისა, სრული უკაცურობის მძაფრი

სურათები. „ძველად ესენი ცხოვრობდნენ დიდებულად, ცხოვრობდნენ, დროს ატარებდნენ... სხვებს შეიძლება არც კი ენახათ, ან ძველს მოგონებას გადაეფარა უფრო საგულისხმიერო, მე კი ვერ ვივიწყებ თვალუწვდენელი ჩალის ზვინის დადგმას.

აი, მოიტანეს, მოიტანეს ურმებით შეკონილი ჩალა... ერთძარიანი ურემი მეორეს მიჰყვებოდა, ყველას ვუმასპინძლდებოდით არაყით, ღვინით... და რა მშვენიერი იყო სიმინდის სარჩევად მოწვეული ნადი... სიმინდი... უნდა გაგვეტანა ფუჩეჩი კარში, შუაღამე გადავიდოდა, ვახშამზე დავჯდებოდით და იწყებოდა ქეიფი, სმა, პაექრობა, ცეკვა და სიმღერა...“ „ანდა რთველი, ვენახის მოკრეფა, საწნახლის მზადება, საშინელი სიძძიძის ქვეშ ხარხიხის კვნესა და პერანგიდან მერატაფაში შხუილით მჩქეფი ტკბილი, ჭურჭელს ვერ ვშოულობდით...“ და ასე გრძელდება მოგონებათა გრძელი ფურცელი დიდებული წარსულის შესახებ. მაგრამ ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნის.

ახლა „აღარაფერი ამგვარი... საუკეთესო ვენახი გადამხმარიყო, და ყურძენმა ვერ დაფარა საწნახელის ძირი. ნადი არ გვიწვევია...“ უკაცურობას მოუცავს ყველაფერი.

„ხმა არსაიდან ისმოდა.

სანთელი არ ჩანდა.

კაცი არ შემხვედრია.

მივადექი ბიძაჩემის სახლს.

არავინ გამომგებებია.

საძაღლეთიც გაწყვეტილა“.

დიდებული ფეოდალი ახლა ჭუჭყიან, დაგლეჯილ ლეიბზე იწვა და ფეხთან, ტახტზე ეგდო გატეხილი კეხი, ობაანდები და უკანასკნელი მოწმე ძველი დიდებისა სევადიანი ვერცხლით გაჭედილი ავშარა. ყველაფერი გავერანებულა, სრული უკაცურობა დაუფლებია ამ ფეოდალის ოჯახს: დაღონებული, წამოქცეული თორნე, სამეჯინიბო, კარებაყრილა ბაგა, ჩამტვრეული, აქა-იქ კედლებში ფიცრებგამომძვრალი... საპირე ბუხდღლით და ბუმბლით სავსე...“ და მწერალს ნიადაგგამოცლილ ფეოდალთან ერთად აღმოხდება: „წინ აღარაფერია ჩვენთვის“.

აქედან წარმოდგებოდა ნ. ლორთქიფანიძის ადრინდელი შემოქმედების სევდიანი განწყობილებანიც, ერთგვარი პესიმისტური კილოცთვით ბუნების სურათებიც ხშირად სევდისა და უიმედობის შთამაგონებელია. მხატვარი, რომელსაც სურდა დაეხატა ბუნება, როგორც ადა-

შიანის შეგობარი მშვენიერების განსახიერება, შეუდგა მუშაობას, დაკვირდა ბუნებას და შეცვალა თემა: — „თვალთმაქცია ბუნება, მისი აზრი, მისი ნახატი იქნება შთაბეჭდილება იქვისა, უნდობლობისა, დარჩა თვალთმაქცი, დროებით მომხიბლავი ბუნება“. ასეთია დასკვნა ესკიზისა, რომელსაც „ბუნება“ ეწოდება. ადამიანი ამქვეყნად ტანჯვისა და უბედურებისათვის არის გაჩენილი. მწერალი ეთანხმება თითქოს ასეთ მსჯელობას: „...ჩვენს მოქმედებაზე, სურვილზე, ზნეჩვეულებაზე, ხასიათზე არ არის დამოკიდებული ცხოვრება როგორც ყოველი ადამიანისა, ისე ერისა... რომ თვით უსულო საგნები ემორჩილებიან რაღაც განუზომელს, შეუსწავლელს, გაუგებარ ძალას... ზღაპარია მიზეზთა და შედეგთა შორის რაიმე კავშირის პოვნის იმედი“. ასეთი დასკვნა გამოაქვს მწერალს ხშირად, როდესაც ის ძველი დიდების დაღუპვის ისტორიას აღწერს. ამგვარ მის ნაწარმოებებს თითქოს ეპიგრაფად აქვს: „ილუპება, ბატონო, თავადაზნაურობა, გამკითხავი ვინ არის?“

მეორე მხრით, როგორც უკვე ვიცით, ნ. ლორთქიფანიძე მძაფრად ამხილებდა ძველ ბატონყმურ საქართველოს. გულქვა ბატონის, ბოროტი კაცის ფრიად გაძხოვანებული სახე დახატა მან ძველი, ფეოდალური საქართველოს სურათში, რომელსაც მწერალმა „მრისხანე ბატონი“ უწოდა. ავტორი ამ მოთხრობას საგანგებო შენიშვნას უკეთებს: არაისტორიული მოთხრობაა, და ამით ხაზს უსვამს, რომ ეს არ არის ერთი რომელიმე ბატონის კონკრეტული სახე, ერთი რომელიმე მონაკვეთი დროის სოციალური ფონი. არა, ეს ზოგადი დამახასიათებელი სურათია ძველი ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ამ სურათის ტიპიური გამომხატველი არის თვით მოთხრობის გმირი ლევან ბატონი — მრისხანე, კაცთმოძულე, ბოროტი და დაუნდობელი. ამ ბოროტი ბატონის მსხვერპლი გამხდარა ძმა და ახლა მას ძმისშვილის დაღუპვაც განუზრახავს. ლევანის კაცთმოძულეობის და ბოროტების სახე მუქი ფერებით გამოხატა მწერალმა:

„— თქვი, ვინ დაკლა ირემი?

— ჩემმა შვილმა.

— მომგვარე ეხლავე.

— არ ვარ დამნაშავე, ბატონო, ბრიყვობით მოუვიდა, არ იცოდა, თუ გეწყინებოდა.

— ნუ სულელობ!

— შენ დაკალი, ბიჭო, ირემი?

— მე, ბატონო,

ყმაწვილი ბიჭი სიმაღლით სამი აღლი იქნებოდა; შესაფერი მხარ-ბეჭი ჰქონდა, სრულ ჩოხას ეტყობოდა, თუ რა დევგმირის ტანს ფარავდა.

— ექიმბაშო, ამას ცოტა თვალი სტკივა და მოურჩინე.

ექიმბაში საკვირველი ღიმილით მიუახლოვდა ყმაწვილს, მარცხენა თვალის უპე ჩაბოსწია და... ხარისოდენა შავი თვალი თეთრად გადატრიალდა.

ამოდენა ვაჟკაცი უხმოდ დაეცა თოვლზე.

— ირემი კოვლიც იყო, ექიმბაშო... — ბრძანა ისევ ლევანმა.

ექიმმა ოდნავ ჩასწია პაიჭი, საცვეთიდან ამოაძრო შარვალი და საცვალი, გამოაჩინა ტიტველი, კაჟსავით მაგარი მუხლები, და თეთრ თოვლზე ჩქეფით დაიწყო დენა სისხლმა.

— მამასახლისო, ახლა წადი და თქვენებს უთხარი, ბატონი ლევანი მოწყალეა, მაგრამ მისი სურვილის წინააღმდეგ თუ ვინმემ საკუთარი წამწამი შეაროხა, ურჩევნია, თვითონ დაითხაროს ორივე თვალი“.

ძნელია, ამაზე უფრო შემაზრზენი სურათი დახატოს მხატვარმა. ეს ბოროტი კაცი გადაწყვეტს, ცოლად შეირთოს ვიღაც უზნეო ქალი, რომ მემკვიდრე დარჩეს. სწორედ ამის გამო აღმოხდა თვით დედასაც შემდეგი სიტყვები: „ყასაბი იყავი ადამიანისა და ახლა კიდევ საროსკიპოს ხსნი“. მოთხრობაში ჩართულია შფოთისა და უთანხმოების სცენები, რომელშიაც ნაჩვენებია, ერთი მხრით, სამთავროებსა და, მეორე მხრით, გლეხობასა და მებატონეებს შორის არსებული შუღლი.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს ერთი მეტად გახმაურებული ესკიზი, რომელსაც სახელად „გული“ ჰქვია. ამ ესკიზის გმირი ქართველი კაცი უცხოეთში გარდაიცვალა. როდესაც პროფესორმა გარდაცვლილი კაცის სხეული განკვეთა, მას გული არ აღმოაჩნდა: „გულის მაგიერ ღერფლიღა დარჩენილიყო“.

უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა (რომელმაც დეპეშით გაიგო შვილის სიკვდილი), შევიდა საყვარელი შვილის ობლად დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და ვუით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუკამ გასცა პასუხი:

— მე დავაჭკნე!

— მე დავწვი! — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

ჩვენთვის სრულიად გასაგებია, რომ ამ ახალგაზრდა ქართველი პატრიოტის გული სამშობლოსათვის ფიქრსა და ოცნებაში დაიფერფლა.

ეს ესკიზი ნიკო ლორთქიფანიძის ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია. მისი ძირითადი ლაიტმოტივი ზედმიწევნით გვაგონებს თვით ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შინაარსს. ნ. ლორთქიფანიძე იყო სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მას გულს უკლავდა რევოლუციამდელი საქართველოს ბედი. იგი, განრისხებული და აღშფოთებული იმაღლებდა ხმას „საქართველოს გამყიდველების“ წინააღმდეგ. 1919 წელს იგი წერდა:

„იყიდება საქართველო. მინდორ-ველით; მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალ სვეტ-ბედით; მშვენიერის ენით...

ყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული...

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და საძეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ: ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით...“ მაგრამ ნ. ლორთქიფანიძეს ამ შავ დროშიაც სწამდა საქართველოს მომავალი. მწერალი საქართველოს ყველაზე მძიმე დღეებში პოულობდა ადამიანებს, რომლებიც იმედით შეჰყურებდნენ საქართველოს მომავალს, აი, სწავლული ოტია, იგი ვერ გატეხა ვერც ჟამთა სიავემ, ვერც ომში ცალი ხელის დაკარგვამ, ვერც სიღარიბემ, ერთობლივი საქართველოს მომავალი მტკიცედ სწამდა:

„აჰ, ფინიკიელები ვაჭრები იყვნენ, — გვჯობდნენ მოხერხებით — დაიღუპნენ; ჩვენ — დავრჩით; ძლიერნი იყვნენ ჯარში რომაელნი — გვძლიეს, მაგრამ ჩვენ დავრჩით; სილამაზის მარადმსახურნი ბერძენნი გადაშენდნენ. ჩვენ კი ვართ, როგორც ჭადარი და სხვა ხეთა შორის... ჩვენ ვაჭრები ვართ, ბეომარნიც და ქურუმნიც მშვენიერებისა, მაგრამ არაფერში ვაჭარბებთ... ჩვენი დღეც დადგება ოდესმე, უეჭველია...“

ნ. ლორთქიფანიძის ოცნება და ფიქრი მუდამ საქართველოს ბედს,

მის მომავალს დასტრიალებდა. იგი, ერთი თავისი გმირის მსგავსად, ხელაპყრობილი ლოცულობდა:

„ღმერთო, აღადგინე... ღმერთო, მკვდრეთით აღადგინე... ღმერთო, ჯვარცმული აღადგინე ერი და მიეცი ძალა და სიმხნე...“

ნ. ლორთქიფანიძე სწორედ პატრიოტიზმისა და სოციალური ჰუმანიზმის ძაღალი იდეალებით დაუკავშირდა ქართული კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს და ამ გზით მოვიდა ჩვენს დროსთან, სოციალისტურ მწერლობასთან.

•

ნიკო ლორთქიფანიძე შეუდარებელი მხატვარი იყო. მისი ძალა, როგორც მხატვრისა, მთელი სისრულით ვლინდებოდა სიტყვის ოსტატობაში. მისთვის დამახასიათებელი იყო დიდი ლაკონიზმი, მკვრივი სიუჟეტი. იგი საგანგებო ყურადღებას არ აქცევდა ნაწარმოებში სიუჟეტის მოწესრიგებას. ერთგვარი ქაოსური განლაგება ამბისა, დაქუცმაცებული თხრობა, შეკუმშული ფრაზები, მრავალწერტილები დამახასიათებელი იყო მისი წერის სტილისათვის. აქ თავისებურად იჩენდა თავს ექსპრესიონისტული მწერლობის სტილით გატაცება, რაც ნ. ლორთქიფანიძის ნაწერებისათვის დამახასიათებელი იყო. მას თავისებური მოსაზრება ჰქონდა მწერლობის შესახებ. ერთგან ასე გადმოგვცემს ის თავის შეხედულებას. „განა მწერალს, როგორც ყველა ადამიანს, ცოტა ჰყავს ნაცნობი, რომელიც მზის დაბნელებასავით ერთხელ უნახავს, რომელზედაც გაუგონია ორიოდე სიტყვა და უბრალო შეხვედრაც მეხსიერებიდან ვერ ამოუხვრია, განა უფლება არა აქვს ბელეტრისტს შემთხვევითი შეხვედრანი, ყურმოკრული ხმები, წუთიერი შთაბეჭდილებანი გადასცეს თავის მეგობარ მკითხველს?

მწერლები კი, გმირის ცხოვრებას თუ მიჰყვეს ხელი, დაიწყებენ იმ წამიდან, როცა პირველად აახილა თვალი მოქმედმა პირმა, და ჩაჰყვებიან უკანასკნელ სადგომში — საფლავში...“ და შემდეგ: „მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენთ ცხოვრებიდან... მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მკითხველს მოწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული თავთავის ადგილზე პოვის“.

ნ. ლორთქიფანიძე იმპრესიონისტული სტილის ამ წესს თვითონ

იცავდა, ამიტომ იყო, რომ მისი სტილისთვის დამახასიათებელი იყო დიდი სიძუნწე სიტყვიერი მასალისა, მოკვეთილი სტილი, „გაჭიანურებული სიტყვათა ფრქვევა“, როგორც თვითონ ამბობდა, მას ჭირივით სძულდა. ეს იყო თავისებური ხარკის გადახდა 900-იან წლებში მხატვრულ ლიტერატურაში დანერგილი იმპერიალისტული სტილისათვის. როგორც ცნობილია, 900-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდის, ჩვენს მწერლობაში ძლიერად აღორძინდა მცირე ფორმის მოთხრობები. მაგრამ აქ ჩვენ არ უნდა ავურიოთ რევოლუციის წლებში გამოყენებული ეს მახვილი, მცირეფორმიანი ლირიკული პროზის ნიმუშები დეკადანტურ მინიატურებთან. ამ შემთხვევაში ნ. ლორთქიფანიძე ერთგვარი შემაკავშირებელი ხიდი იყო იმპრესიონისტული და ქართული რეალისტური მცირეფორმიანი პროზისა. იგი, ერთი მხრით, შიო არაგვისპირელისა და ირ. ევდოშვილის მსგავსად, მიმართავდა მოთხრობების მცირე ფორმას, ესკიზს, სურათს, მინიატურას, მეორე მხრით, ვ. ბარნოვის მსგავსად, იყენებს რიტმულ პროზას, მეტწილად გალექსილი ფორმით, ოღონდ არქაიზმებისაგან თავისუფალს. აი თუნდაც ამის ერთი მაგალითი: „გულის ოცნებს რომ ხელსა წაჰკრავ, პირში რომ მეტყვი კითხვასა მწარეს, მუდამ რომ სიცილს ცრემლად მიქცევ და რომ დასცინი ჩემს აღმაფრენას.

ტყუილად თვალთმაქცობ — სწორედ მით გამჩნევ, რომ ჩემთან სტირი ჩემსა სატირალს, რომ ჩემთან გინდა სიმღერა ტკბილი, რომ ჩემგან ელი ბუნებრივებას.

ხასიათს იცვლი... განა ბავშვი ვარ, ვერ შეგამჩნიო ამპარტავანი, თუ რისთვის სხვებთან ია ხარ ნაზი, ჩემთან კი ეკლით მოცული ვარდი.

და ნუ მომესწროს, რომ შეგეცვალოს ეს მკაცრი ქცევა ტკბილ საუბრად. ო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მხოლოდ სიტყვას, რასაც შენ იგრძნობ, თლათ დაეხატოს“.

მოთხრობაში ჩართული ეს ტექსტი ძალიან უახლოვდება ლექსს. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძის წერის იმპრესიონისტული მანერა მეღავნდება, როგორც თვითონვე წერს, იმ სიუჟეტურ თავისებურებაში, რომელსაც იგი იყენებდა. კლასიკურ სიუჟეტიან ნაწარმოებისაგან განსხვავებით, „მთაბეჭდილებათა წუთიერი მომენტების აღწერით, რასაც ერთგვარად დაუმთავრებელი ხასიათი ჰქონდა. ნ. ლორთქიფანიძემ თავისებურად მოარიგა იმპრესიონისტული ლაკონიზმი რეალისტური მინიატურების ყანრთან.

თუ, ერთი მხრით, ნ. ლორთქიფანიძის ნაწერებში ძლიერი იყო გარეგნულ მთაბეჭდილებათა ათვისება და აქ იჩენდა თავს იმპერსიონიზმის დამახასიათებელი სტილი, მეორე მხრით, პატრიოტული და სოციალური ჰუმანიზმის ის ძლიერი ნაკადი, რომელიც კლასიკური მწერლობიდან მოდიოდა, აიძულებდა ნ. ლორთქიფანიძეს, ყოფილიყო რეალიზმის ერთგული.

ამ მხრივ დამახასიათებელია პატარა ესკიზი, რომელსაც ავტორი „სურათს" უწოდებს. ნამდვილად კი ეს არის თეზისების ენით დაწერილი მოთხრობა. გადმოცემულია იმერელი გლეხის ცხოვრების სურათი — შრომა და სიღარიბე, და მაინც ოპტიმისტურია განწყობილება: გლეხი იმედით შეჰყურებს მომავალს.

ხშირად ნ. ლორთქიფანიძე ხატავს მძაფრი სურათის დაუმთავრებელ კონტურებს, აშბავს იწყებს დიდი მღელვარებით და უცებ წყვეტს, მკითხველს ანდობს დასკვნის გამოტანას. მაგალითად, ერთ მოთხრობაში მოცემულია სიყვარულით გახელებული ქალ-ვაჟის საუბარი, საიდანაც ირკვევა, რომ არის მეორე მეტოქე ამ ვაჟისა. მოთხრობა ისე მთავრდება, რომ რა მოჰყვება მეტოქეთა ბრძოლას, ეს მკითხველმა უნდა დაასკვნას.

პროზა სიტყვიერი ხელოვნებაა, უპირველეს ყოვლისა. სიტყვის საშუალებით ხატავს მწერალი საგანს თუ მოვლენას. სიტყვის ოსტატობაში ვლინდება ნახატის ძალა. ამ მხრივ ნ. ლორთქიფანიძე მართლაც შეუდარებელი ოსტატია, ოღონდ პროზაიკოსი მაინც ხატავს თხრობის მეშვეობით. თხრობა პროზაში უბრალო ელემენტი როდია, არამედ უმთავრესი. თხრობის ოსტატობა, თხრობის ბუნებრიობა ეპიკური ჟანრისა, საერთოდ, და კერძოდ, პროზის ხელოვნებისა უმთავრესი თვისება იყო და არის. ანტირეალისტურმა სკოლებმა სცადეს, კლასიკური პროზის ეს გზა შეეცვალათ თხრობის ელემენტების გამორიცხვით, ლირიკული ელემენტის წინ წამოწევით და სიტყვაზე ყურადღების გადატანით.

ნ. ლორთქიფანიძე ერთხანს უხდიდა ხარკს ამ ანტირეალისტურ სკოლებს, კერძოდ, იმპრესიონიზმს. ამან გამოიწვია, რომ მას შეგნებულად გვერდი აევლო სიუჟეტის ელემენტებისათვის, ოღონდ ეს არ იქცა კანონად ლორთქიფანიძის პროზაში და აქაც გამოჩნდა მისი რეალიზმის გამარჯვება. ესთეტიზებული პლასტიკური დეტალების საშუალებით აგება მოთხრობისა, ერთიანი მთლიანი სიუჟეტის გამორი-

ცხვით, სადაც ცალკეული მომენტები დამოუკიდებლად ცოცხლობენ მოკლე თქმაში, მოკვეთილ სტილში — დამახასიათებელი იყო ნ. ლორთქიფანიძისათვის, საერთოდ.

*

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში უფრო ძლაერად იჩინა თავი რეალიზმმა. ეს ერთნაირად შეეხება როგორც მის მოთხრობებს, ისე მინიატურებს. მცირე ფორმის მოთხრობებში ნ. ლორთქიფანიძე მძაფრად ამხელდა ძველი ფეოდალური საქართველოს თავადაზნაურული ყოფის უვარგისობასა და მიუღებლობას, იუმორის მძაფრ ფორმაში დახატა მან ფეოდალური საქართველოს ერთი შტრიხი რეალისტურ მოთხრობაში, რომელსაც ჰქვია „ეპისკოპოსი ნადირობაზე". 1926 წელს დაწერილ ამ მოთხრობაში რეალისტური სატირული ფერები მთელი სისრულით არის გამომჟღავნებული. საზოგადოდ, ნ. ლორთქიფანიძისათვის სატირული დახატვა ძველი ცხოვრებისა და დამახასიათებელი იყო არა მარტო რეალისტურ მოთხრობებში, არამედ ლეგენდებშიაც კი გვაგრძნობინებდა ის ძველი საქართველოს განწირულებასა და უვარგისობას. ლეგენდაში — „ეს იყო ძველად" ვკითხულობთ:

„შემოდგომაზე სიკვდილის წინ აირევა ბუნება, ქარი აზუზუნდება, აქ აიღებს კორიანტელს და იქ მიაყრის; ყავარს ხეზე გაადებს, ხის ფოთოლს მაგიდას დააყრის, ისლი წყაროს ფარავს და წყლით ივსება აივანი. ასეთ წამს რა მახვილი თვალი არ იყოს, ვერ გაიგებს, ვინ ვის ეკუთვნის, საიდან რა არის ჩამოტანილი.

ასე იყო მაშინ, საქართველოშიც, არავინ იცოდა, როცა ეხვეოდა, მეორეს ხვალ საწამლავს მიაწოდებდა თუ ხანჯალს ჩაჰკრავდა.

ყოველ კუთხეს, მეტი თუ არა, ორი მეფე ჰყავდა, ოთხი-ხუთი მთავარი, ათი-თორმეტი მოურავი, გამგე და სარდალი.

ერთი მეფეს ნიშნავდა ყაენი, მეორეს ხვანთქარი, მესამე რომელიმე მათგანის წინად დანიშნული იყო; მეოთხეს შთამომავლობით ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა ტახტზე, დიდებულთა მიერ კახეთში მიწვეულს იმერეთში ჰქონდა უფლება კანონიერ მეფედ ყოფილიყო, მაგრამ სამღვდელოება ეწინააღმდეგებოდა. მეფის მიერ დანიშნულ სარდალს არ ემორჩილებოდა ყაენის მიერ დანიშნული ათასისთავი: ხვანთქარის

მიერ მდივანბეგად გამოგზავნილი ცდილობდა საერისთავო ხელში ჩაეგდო. გურიელი ხელშეკრულებას კრავდა ქართლის მეფესთან, ქართლის დიდებულნი ყაენის სარდალთან... ვინ იყო მართალი, არავინ იცოდა. ტყუილია, თითქოს ყველა თავისკენ იზიდებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო ნათლად გამოერკვია კაცს, როგორ მოქცეულიყო. ხშირად რაც ღალატს, მამულის გაყიდვას ჰგავდა, სწორედ მამულის ბედნიერებისათვის იყო ნამოქმედარი".

ასეა დახასიათებული მწერლის მიერ ძველი საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება. მწერალი ამხელდა ამ უთაურობისა და უთავბოლობის სურათს, მაგრამ ნათლად არ ხედავდა, არც გრძნობდა ახალი საქართველოს გზას, — არ ხედავდა იმ ძალას, რომელსაც უნდა ეხსნა საქართველო და გადაერჩინა დაღუპვისაგან. ეს ძალა მან მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაინახა და იგრძნო, და რაკი იგრძნო, სიყვარულითაც გამოხატა ეს ადამიანები თავის ცნობილ მოთხრობაში — „ბილიკებიდან ლიანდაგზე".

ეს მოთხრობა პირველად 1928 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში". მოთხრობის თემად აღებულია 1905 წლის რევოლუციის და მისგან მომდევნო წლების რეაქციის ხანის ცხოვრება. აქ მწერალმა ნაწარმოების ცენტრში თბილისის ორთქლმავლის სახელოსნოს მუშა, ბოლშევიკი, მებრძოლი რევოლუციონერი გაიოზ ლაბარდავა დააყენა და დიდი სიყვარულით გამოხატა მის კონსპირაციული და რევოლუციური მუშაობის მთელი ისტორია. ჯერ მოქმედება სოფლად წარმოებს. ქალაქიდან სოფლად გაქცეული რევოლუციონერი გაიოზი მუშაობას აჩაღებს სოფლად მისი ნაცნობი და მეგობარი გლეხების — ფარნაოზისა და პარმენის საშუალებით. სოფლის ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპება გლეხი ფარნაოზი. მის დასაფლავებას გაიოზი გამოიყენებს რევოლუციური აზრის პროპაგანდისათვის. მთელ ამ მოთხრობაში მწერალი ვრცლად წარმოადგენს რევოლუციონერ გაიოზის მოღვაწეობას სოფლად და ქალაქად და ამის მიხედვით რეაქციის წლებში ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული რევოლუციური მუშაობის ვრცელ სურათს გადმოგვიშლის. აქ მოცემულია მრავალი საინტერესო პასაჟი, სადაც დიდი სიყვარულით არის დახატული რევოლუციონერი გლეხებისა და მუშების ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ რეაქციის შავბნელ დროში.

მოთხრობის სათაური „ბილიკებიდან ლიანდაგზე" იმაზე მიუთითებს,

რომ მუშათა მოძრაობა კუსტარული, ვიწრო ეკონომიური გაფიცვებიდან გადაიქცა ფართო რევოლუციურ მუშათა მოძრაობად. ქალაქის პროლეტარიატის საბრძოლო გზას სოფელიც გაჰყვა, მუშათა მოძრაობამ ბილიკებიდან ლიანდაგზე გადაინაცვლა. სწორედ ეს პროცესი გამოხატა საინტერესოდ და ვრცლად მწერალმა. იმ დიდ მოძრაობას ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. „ჩვენ კეტებით ვიბრძოდით და წერა-კითხვის მცოდნე უკვე განათლებულ კაცად მიგვაჩნდა და მეთაურობას ვთავაზობდით. დღეს კი სტამბა გვაქვს; ბრაუნინგს არ ვჯერდებით და ტყვიამფრქვევებს ვმოულობთ, რაღაცა და ვიღაცა ყოველთვის შეგვიშლის ხელს, მაგრამ ბოლშევიკი კაეცისა და ფოლადისა უნდა იყოს... ნაპერწკლებს უნდა ყრიდეს თავის თავთან შეტაკების დროსაც კი... მუშათა მოძრაობაც ჩვენებურად, რკინისგზულათ რომ ვთქვათ, ბილიკებიდან ლიანდაგზე დადგა. უკანასკნელი მიზანი გათვალისწინებულია და აწი შემდეგი სადგურების მიღწევა მხოლოდ დროის საქმეა“.

მოთხრობაში 1905 წლის რევოლუციის და რეაქციის წლების მძაფრი სურათია დახატული. ერთის მხრით რეაქციის ძალები, მეორეს მხრით რევოლუციის ძალები და მათ შორის გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლების სურათები საინტერესოდაა გამოხატული ამ მოთხრობაში. რეაქციის ძალებს მეთაურობს შავრაზმელი ეგბანოვი, რომელსაც თავი მოაქვს კიდეც თავის ერთგულებით მეფისადმი. იგი ლიბერალი ქართველი ინტელიგენტის ოჯახში აღზრდილ ქალიშვილს, რომელსაც ცოლობას სთხოვს, ასე აცნობს თავს: „ჩვენ, ჟანდარმებს, ყველა ალმაცერად გვიყურებს; ჩვენ, რაღაც განდევნილი ვართ საზოგადოებიდან, წარმოიდგინეთ, ჯარების ნაწილებიდანაც კი... ჩემი პოლკის ყოფილი ამხანაგები გვერდს მივლიან. რათა? მხოლოდ იმიტომ, რომ ჟანდარმობა ვარჩიე; თუ ვმსახურობ, ბარემ ვიმსახურო იქ, სადაც შრომაც მეტია, პასუხისმგებლობაც და ამათ შედეგად — ჯილდოც. თუკი შეიძლება მოკვლა მტრის, შეიძლება საკვდილის განაჩენის გამოტანა. თუკი შეიძლება მწერლობით და ვაჭრობით არსებული წესწყობილების გამაგრება, რატომ არ შეიძლება იმავე წესწყობილების გამაგრება სახლის გაჩხრეკით და პოლიტიკური ბოროტ-განმზრახველის შეპყრობით, დევნით? დღევანდელი საზოგადოება სხვადასხვაგვარად სჯის: რევოლუციონერს შეუძლია სადმე ჩამისაფრდეს, ან ყუმბარა ესროლოს გუბერნატორს, ხელმწიფეს და ეს დიდებული საქციელია, ხოლო მე თუ მათ წინადღით სახლიდან გამოვტაცე ყუმბარები და სასამართლომ

სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დაპატიმრებულს, — მაშინ მე საზიზღარი კაცი ვარ, ხოლო მოსამართლე, სიკვდილის მიმსჯელი, ჩვეულებრივი კეთილი ინტელიგენტი...“ ჟანდარმმა შეაცოდა სენტიმენტალურად განწყობილ ქალიშვილს თავი და თანხმობის სიტყვებიც გამოსტყუა. ხოლო ამის შემდეგ ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლად რომ მოაქვს თავი ივანე გოლიაშვილს ადვილად ითანხმებს ჟბანოვი. რეაქციის ძალების ამ წრეს „ამშვენებს“ ლადო ნოსრაბიძე, რევოლუციონერების გამცემი და ჯაშუში. მწერალმა ამ წრეს დაუპირისპირა კოლორიტურად დახატული სახე რევოლუციონერებისა, რომელსაც გაიოზ ლაპარდავა ძეთაურობს. ამ წრეში ვხედავთ სოფლელ ფარნაოზ მარგველაძეს, მის ძმას სპირიდონს, პარმენს, თბილისის რკინიგზის მუშას, ხოლო მას შემდეგ, რაც გაიოზი გააციმბირეს, მის საქმეს პეტერბურგში განათლებაშეღებული ახალგაზრდა კაცი ფარნაოზ მარგველაძის ვაჟი — შაქრო აგრძელებს. ეს მძაფრი საბრძოლო ეპიზოდები მთავრდება მოთხრობის ქვესათაურით „ჯეჯილი“. რევოლუციის თესლი საქართველოს ნოყიერ მიწაზე აღმოცენდა და ჯეჯილად იქცა. მალე ქართველი ხალხი მის ნაყოფსაც მოიმკის. ასეთია განწყობილება, რომელსაც მწერალი გვიხატავს მოთხრობის ფინალში, ფინალში, რომელიც თავდება ასეთი დეტალით:“ ამ დროს ათასი მავთული დატვირთული იყო ამბით, რომელმაც გარდამტეხი ხაზი გააკეთა წარსულსა და მომავალს შორის:“ — სარაევოში მოჰკლეს ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე — ჰერცჰერცოგი“... ამით მწერალი პირველ მსოფლიო ომზე მიგვანიშნებს, რომელსაც ოქტომბრის რევოლუცია მოჰყვა. ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკაზე დაწერილ ამ მოთხრობებშიაც ნიკო ლორთქიფანიძე კვლავ გვევლინება იმპრესიონისტული წერის სტილის ერთგული:

..გაყინიანდა ოდნავ,
გაჩალდა ცეკვა.
კიდევ სვამდნენ და კიდევ იმღეროდენ.
შეზარხოშდენ.
ნაზი გადახედვა სუფრაზე დაჰქროდა,
ოდნავ შეხება.
გაბშირდა ხელზე კოცნა.
თამადამ კეკვოკი იცეკვა.
ზოგი სტუმარი შინ წავიდა. გეიანობა მოიბოდიშა.
სუფრა შეთხელდა.

ზეიმს არ დაჰკლებია“.

ან კიდევ

„ქალებს არ დაუძინიათ:
პონჭავდენ. აკერებდენ, რეცხავდენ, აცხობდენ.
მძინარე შაქროს ელისაბედი რაღაცას დაპუტუნებდა თავზე...“
„ურემი გააწყვეს,
ისაუზმეს.
ჭიშკარს ოდანია მოადგა.
გაეტიენ, როგორც იქნა“.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების პერიოდებზე ლაპარაკი ამიტომაც ნაძალადევია. იგი ერთი მთლიანი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე მწერალია. ოღონდ ამ შემოქმედებით ბიოგრაფიაში ორი ნაკადი შეინიშნება: ერთი იმპრესიონისტული, მეორე რეალისტური; უფრო სწორად, რეალისტური, რომელსაც ბუნებრივად შეერთვის ევროპიდან მოტანილი იმპრესიონისტული სტილის შენაკადი. ამიტომ ერთდროულად აქვს ნიკო ლორთქიფანიძეს გამოკვეთილი იმპრესიონისტული და ისევე გამოკვეთილი რეალისტური ეპიზოდები, ფრაგმენტები თუ ცალკე აღებული ნაწარმოებები. ერთდროულად ვამბობთ იმიტომ, რომ თითქოს ერთსა და იმავე წელს იწერებოდა „იყიდება საქართველო“ და „პანაშვიდი“, „ყამთა სიავე“ და „ხელოვანთა ყავახანა“. იგივე ითქმის უფრო მოგვიანებით დაწერილ მოთხრობაზე — „ბილიკებიდან ლიანდაგზე“. ამ მხრივ ნიკო ლორთქიფანიძე ერთი მთლიანი სტილის მხატვარია, თემატურად მრავალფეროვანი და მრავალმხრივი.

ამ მოთხრობაში პირველად, მეფეების, ფეოდალებისა და ხასახლის კარის სურათების ნაცვლად, მთელი სისრულით გამოჩნდა რევოლუციური მასების, ძარღვმაგარი მუშებისა და გლეხების, პროფესიონალური რევოლუციონერების საინტერესო სახეები და პორტრეტები. ნ. ლორთქიფანიძემ მისთვის დამახასიათებელი ფერადოვანი საღებავებითა და მხატვრული სიტყვის მომაჯადოებელი ძალით გამოხატა მუშებისა და გლეხების ეს რევოლუციური ბრძოლა და ამით ჩვენ თვალწინ გააცოცხლა მათი ღვაწლი, მაშინ როდესაც ჩვენში ქვეყნის ბატონ-პატრონი თვით ეს მუშები და გლეხები იყვნენ.

უფრო გვიან ნ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა მოთხრობა — „მოქანდაკე“. აქ მან პირველად სცადა, ახალი სოციალისტური წყობილების

ძალა და ძლიერება წარმოეჩინა. მშრომელი ხალხის ხელისუფლების ზრუნვა ადამიანებზე აქ დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობითაა გამოხატული. ნაჩვენებია, თუ ობოლი და ღარიბი, დეიდა სალომეს მიერ ჯაფითა და წვალებით აღზრდილი პარმენი როგორ აქცია ახალმა დრომ ცნობილ ადამიანად, სახელგანთქმულ მოქანდაკედ. მოთხრობის ფინალში ავტორმა ხატოვნად ორ მოქანდაკეს — სალომესა და პარმენის განახლებული ცხოვრების გზა დაუკავშირა მესამე უფრო დიდ მოქანდაკეს. „...მესამე მოქანდაკე, ყველაზე უფრო დიდი და მასიური, ათასებს რომ აძლევს შესაძლებლობას თავისი ნიჭი და უნარი განავითაროს, აცდენილ გზიდან რომ სწორ გზაზე გამოიყვანოს, — ეს არის სახელმწიფოებრივი წყობილება და პარტიული ხელმძღვანელობა". ასე უმღერა თავისი შთაგონებული სიტყვით ნ. ლორთქიფანიძემ 40-იან წლებში ჩვენს დროს, ჩვენს წყობილებას, კომუნისტურ პარტიას.* ასე ჩადგა ნ. ლორთქიფანიძე საბჭოთა მწერლების მოწინავე რაზმში. ხოლო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, სამამულო ომის მძაფრ დღეებში სარეცელზე მიკრული მწერალი წერდა მგზნებარე პატრიოტულ მოთხრობებს („ტყვედყოფილის დაბრუნება", „ქედმოუხრელნი"), სადაც ავტორმა სამშობლოსათვის თავდადებულთა უკვდავების აზრი გამოხატა. საბჭოთა მკითხველი ყოველთვის მადლიერების გრძნობით მოიგონებს ნ. ლორთქიფანიძეს — ქართული სიტყვის ამ დიდ ოსტატს.

---

* ბ. ე ლ ე ნ ტ ი, ნიკო ლორთქიფანიძე, რჩეული თხზულებანი, ტ. II.

მიხეილ ჯავახიშვილი

ყოველ დიდსა და ჭეშმარიტ მწერალს თავისებური შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების გზა მეტად ორიგინალური და თავისებური იყო. პირველი მისი მოთხრობები 1903 წელს დაიბეჭდა. 1903—1906 წლებში გამოქვეყნებულმა ნაწარმოებებმა უმალვე მიიპყრეს ქართველი საზოგადოებისა და ლიტერატურის მოყვარულთა ყურადღება. მასში ნიჭიერი ბელეტრისტი და უტყუარი მხატვარი დაინახეს, და ეს საკმაოდ გახმაურებული და ლიტერატურული კრიტიკის მიერ შექებული სახელი ერთხანს ჩამოშორდა ქართულ ლიტერატურას, ხოლო 1923 წელს კვლავ დაუბრუნდა იგი თავის საყვარელ საქმეს — მწერლობას. კვლავ ერთბაშად გაიხმაურა მისმა სახელმა და ახალი დიდება შეემატა მას.

მ. ჯავახიშვილის სახელი ახალი ძალით გაბრწყინდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მან ქართული ბელეტრისტიკა გამდიდრა ახალი შესანიშნავი მხატვრული ქმნილებებით. მოთხრობებს უკვე ახალი რომანები მიემატა და ამრიგად, საბჭოთა მწერლობის რიგებში მტკიცედ დაიმკვიდრა მ. ჯავახიშვილმა დიდი ბელეტრისტის სახელი.

*

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი (ადამაშვილი) დაიბადა 1880 წლის 8 ნოემბერს სოფელ წერაქვში, ბორჩალოს მაზრაში (ახლანდელი მარნეულის რაიონი). საბა ადამაშვილის ოჯახი საკმაოდ შეძლებული, გლეხის პირობაზე ღონიერი ოჯახი იყო. საბა ქიზიყიდან წამოსულა. შულავერის მახლობლად ახალ სოფელ სიონში სამოთახიანი ქვიტკირის სახლი ააგო და შემდეგ მთელი ოჯახით აქ დასახლდა. პირველდაწყები-

თი განათლება მ. ჯავახიშვილმა სოფ. პლიეოლნოესა და ჯელალოღლში, რუსულ სასოფლო სკოლაში მიიღო. აქ სწავლობდა იგი 7-დან 13 წლამდე. მიხეილის მამა, სოფლის გლეხკაცი დაინტერესებული იყო, რომ მისი შვილიც არ მოსწყვეტოდა სოფელს და ნასწავლი მეურნე გამოსვლოდა. და აი, 1893 წელს 13 წლის მ. ჯავახიშვილი წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიაბარეს. აქ ყველა საგანს ქართულად სწავლობდნენ, ხოლო მ. ჯავახიშვილს, ხუთი წლის განმავლობაში რუსულ სკოლაში ყოფნის გამო, დედაენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა და ქართული ენის შესწავლა მან წინამძღვრიანთკარის ქართულ სკოლაში დაიწყო. მწერალი თავის ავტობიოგრაფიაში და შემდეგ პირად წერილებშიც დიდი სიყვარულით იგონებს იმ ამაგს, რაც წინამძღვრიანთკარის სკოლამ დასდო მას ქართული ენის შესწავლაში.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დასრულების შემდეგ მ. ჯავახიშვილი შეჰყავთ ყირიმის სამეურნეო სკოლაში. სწორედ ამ დროს, 1899 წელს, მიხეილის ოჯახს საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს. მაშინ სახლს შეიბობლები დაესხნენ მიხეილის უმცროსი ძის სოფიოს მოსატაცებლად. თავდასხმელებმა მიხეილის დედა და მოჯამაგირე დახოცეს. ოჯახის მამამ ამ უბედურებას ვერ გაუძლო და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მ. ჯავახიშვილი იძულებული გახდა, ყირიმის სამეურნეო სკოლისათვის თავი დაენებებინა. 1901 წელს მ. ჯავახიშვილი ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ დიდხანს თავის სოფელში ვერ ძლებს, მან სამუდამოდ მიანება თავი სოფელსა და სახლ-კარს და საცხოვრებლად ალავერდში გადავიდა. მიხეილი ერთი წლის განმავლობაში ალავერდის სპილენძის ქარხანაში მსახურობდა. იქ გატარებული დღეები მწერალმა შემდეგ თავის მოთხრობაში („მესამე") აღბეჭდა. ერთხანს იგი ავტონომიადაც მუშაობდა. ეს საარბიელი სრულებითაც არ იყო მისი მოწოდება. მიხეილ ჯავახიშვილი თავის მოწოდებას მწერლობაში ხედავდა. წერდა რუსულად და ქართულად. როგორც მწერალი თვითონ იგონებს, თავის ნაწერებს საკუთარი ხელით სპობდა, ხევდა და ამავე დროს ეძებდა საკუთარ სტილს. 1903 წელს მან სამსახურს თავი დაანება და მწერლობაში ბედის საძებნელად თბილისში გადმოსახლდა. 1903 წლის ნოემბრის ერთ ღამეს, როგორც თვითონ ამბობს, „ჩანჩურა" დაწერა. „ცნობის ფურცლის" რედაქციას ძლიერ მოეწონა ეს მოთხრობა, დაბეჭდა მის დამატებაში და ამავე დროს რედაქციის მუდმივ თანამშრომლადაც ჩარიცხა. მ. ჯავახიშვილი მთელი

მონდომებითა და ენერგიით ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში. ამ გაზეთის ფურცლებზე მან გამოაქვეყნა წერილები, ფელეტონები, ჟურნალისტობამ იგი ისე გაიტაცა, რომ ბელეტრისტობაზე თითქმის ხელი აიღო. 1904 წელს გრ. ყიფშიძის „ივერიაში" ფაქტიურ რედაქტორად ითვლებოდა. 1905 წელს ეს გაზეთი ფ. გოგიჩაიშვილის ხელში გადავიდა და მიხეილიც აქ იწყებს მუშაობას. აქაც ის აქვეყნებს უამრავ საგაზეთო სტატიას, პუბლიცისტური და პოლიტიკური ხასიათის წერილებს. პირველი მისი მოთხრობები, კორესპონდენციები და პუბლიცისტური წერილები ქვეყნდებოდა „ალი", „მადლი", ადამიშვილის ხელმოწერით. 1903-დან 1906 წლამდის მ. ჯავახიშვილმა რვა პატარა მოთხრობა გამოაქვეყნა „ცნობის ფურცელსა" და „ივერიაში", 1906 წ. იგი გაზეთ „გლეხის" ოფიციალური რედაქტორია. ეს გაზეთი მალე დაიხურა, ხოლო მისი რედაქტორი სამართალში მისცეს. ამ უსიამოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით, მიხეილი სხვისი პასპორტით 1906 წელს საზღვარგარეთ, შვეიცარიაში, გაიპარა. 1906—1909 წლებში იგი ემიგრაციაში იმყოფება — ჯერ ჟენევაში, შემდეგ პარიზსა და ბრიუსელში. 1909 წელს მ. ჯავახიშვილი ისევ სხვისი პასპორტით ბრუნდება სამშობლოში და იმ წელს დაარსებულ ჟურნალ „ერში" იწყებს თანამშრომლობას. ჟურნალი სულ მალე აკრძალეს, ხოლო მისი თანამშრომელი მ. ჯავახიშვილი დაატიმრეს. ერთი წლის შემდეგ იგი გადაასახლეს. საცხოვრებლად როსტოვი აირჩია და აქვე დაიწყო მუშაობა დამზღვევი საზოგადოების საოლქო ინსპექტორად. 1915 წელს მიხეილი ისევ საქართველოში დაბრუნდა. 1915 წელს სათავეში ჩაუდგა გაზ. „საქართველოს", როგორც რედაქტორი. იმავე წელს მ. ჯავახიშვილი ისევ გადაასახლეს საქართველოდან. იგი კვლავ წითელი ჯვრის სამსახურში შედის და სპარსეთის ფრონტზე მიდის, სადაც 1918 წლამდის წითელი ჯვრის რწმუნებულად მუშაობს. 1918 წელს ისევ ბრუნდება თბილისში და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატაში მუშაობს 1921 წლამდის. 1921 წელს მუშაობას იწყებს ჯერ მიწათმოქმედების კომისარიატში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ფინგანის გამგედ.

ბრავალი წლის დუმილის შემდეგ, 1923 წელს ჯავახიშვილი კვლავ და საბოლოოდ დაუბრუნა ქართულ მწერლობას. 1923—27 წლამდის მან ზედიზედ გამოაქვეყნა 20-ზე მეტი მოთხრობა და შვიდი რომანი.

მისი ნაწარმოებები ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა რუსულ, უკრაინულ, სომხურ, ფრანგულ, ჩეხურ და ინგლისურ ენებზე, მ. ჯავახიშვილი, ამავე დროს, თარგმნიდა ფრანგულიდან და რუსულიდან. მან თარგმნა ჩეხოვის, სენკევიჩის და მოპასანის რამდენიმე მოთხრობა და რომანი.

მ. ჯავახიშვილი საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იგი იყო საქართველოს ცაკის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის თავმჯდომარე, შ. რუსთაველისა და ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კომისიის წევრი და სხვ. 1931 წელს ლიტერატურაში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1938 წელს იგი მოწყვიტეს ქართული მწერლობის ოჯახს. ამ დიდად ნიჭიერი ბელეტრისტის სახელი ქართული მწერლობის რიგებში დიდხანს არ ჩანდა. და აი, 1954 წელს კვლავ გამოვიდა მისი ნაწერები, კვლავ გაბრწყინდა მისი სახელი.

•

მ. ჯავახიშვილის სახელი და პოპულარობა იმთავითვე მცირე ფორმის მოთხრობებს დაუკავშირდა. ვინც მ. ჯავახიშვილის სამწერლო მემკვიდრეობას გულდასმით დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ ბელეტრისტი მოთხრობების უბადლო ოსტატია.

მოთხრობა, როგორც პროზის ერთ-ერთი სახე, XIX საუკუნის ქართული მწერლობის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო. ქართული პროზის საუკეთესო ქმნილებები ამ ფორმით დამკვიდრდა და გამოვლინდა. მ. ჯავახიშვილმა ეს დიდი ტრადიცია ახალ საფეხურზე აიყვანა, შეოცე საუკუნის ქართულ პროზას განვითარების ახალი კალაპოტი გაუჭრა.

მ. ჯავახიშვილი თავის ადრინდელ მოთხრობებში, როგორც თვითონვე აღნიშნავს, განიცდიდა ქართული, რუსული და ევროპული მწერლობის გავლენას. ამისდა მიუხედავად, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ის იმთავითვე ქართულ მწერლობაში შემოვიდა, როგორც დამოუკიდებელი, ორიგინალური მხატვარი, ქართული სიტყვის ოსტატი. მ. ჯავახიშვილის პირველი მოთხრობები ფსიქოლოგიურ განწყობილებას გამოხატავდა, სოციალური ხასიათის მოთხრობებშიც

ხაზგასმული იყო ფსიქოლოგიური განწყობილება და ამ თვალსაზრისით ტიპის ფსიქოლოგიურ გამოძერწვას უფრო ეთმობოდა ადგილი, ვიდრე სოციალური მოვლენების ახსნასა და განმარტებას.

მ. ჯავახიშვილის პირველივე დებიუტი — „ჩანჩურა“ ყურადღებას იპყრობს, როგორც ტიპის ფსიქოლოგიური გამოხატვის მეტად საინტერესო და ორიგინალური ნიმუში. ჩანჩურა ფსიქოლოგიური ტიპია, სოციალურ ფონზე გამოხატული. ეს მუნჯი, უპატრონო, ყველასაგან აბუჩად აგდებული, ბუნებისაგან დაჩაგრული, საცოდავი ჯუჯა მწერლის მიერ გამოხატულია, როგორც ფსკერის ადამიანის ცხოვრების ინსტინქტების და უბადრუკობის ზოგადი სახე. ეს ბიოგრაფიადაკარგული კაცი, რომლის სახელი, ეროვნება და წარმოშობა თვით უბნის პოლიციელისათვისაც კი გამოუცნობი დარჩა ბოლომდე, მწერალს დახატული აქვს შეუფერავი რეალისტური ფერებითა და საღებავებით. ეს მუნჯი, არშინ-ნახევრიანი ჯუჯა 12 წლის არტუშასა და მის ძაღლს მურიას დაუმეგობრდა, მაგრამ ეს მეგობრობა დიდი შინაგანი კონფლიქტით ხასიათდება. ადამიანის ჯიშის ეს ჯუჯა არტუშას ძაღლისაგან არც ბედით, არც მდგომარეობით, არც თუ შეგნებით არ განსხვავდება. როდის და საიდან გაჩნდა ბაზარში ჩანჩურა, არათუ პოლიციელმა პეტროვმა, არც ერთმა ბებერმა ყასაბმაც კი არ იცოდა, მაგრამ მთელი ბაზარი იცნობდა ამ მუნჯ ლილიპუტს, რომელსაც მწერალი ასე აღწერს: „მას მუშტისოდენა მელოტი თავი აქვს, უწვერულვაშო, დაღმეჭილი, ნაოჭებიანი და მიწის ფერი პირისახე. პატარა, ლობიოსოდენა, ღრმად ჩამძვრალი, ზოგჯერ ნატირალი, უფრო ხშირად კი მოღიმარე თვალები. მაჯის სისქე პირისახეზე უფრო შავი და გამხმარი კისერი. სამი გოჯის სიგრძე და ყავისფერი ტიტველი ფეხები და ათასნაირი ფერის ძონძებისაგან შეკერილი შარვალი, რომელიც იმდენად მოკლეა, რომ ისედაც ჯუჯა ჩანჩურას ბუხლებამდე ძლივსა სწვდება“. ბუნებისაგან ასე დაჩაგრული ეს არსება ყველასაგან აგდებული და დაწიხლულია. ამ არსებას ტროტუარზე გავლას პოლიციელი უკრძალავს, შუა ქუჩაზე მიმავალ ჩანჩურას კი მეეტლეები და მედროგეები შოლტს უტლაშუნებენ. ბაზარში ყასბები მუშტებს უშენენ, ქუჩის ბიჭები უსტვენენ, ხოლო მასთან დამეგობრებული არტუშა მის მურია ძაღლს გააჯიბრებს ამ დეგენერატ ლეშ არსებას და ხარხარებენ ყასბებიც, ქუჩის ბიჭებიც და გაძვლელებიც. ბოლოს, იგი ფურგუნის ქვეშ მოყვება და ძაღლივით კვდება.

მეორე დღეს პეტროვი ბოქაულმა დაიბარა და უთხრა: „გუშინ საავადმყოფოში ვიღაც ჩანჩურა მოკვდა, ამბობენ, ვითომც ის კაცი შენს უბანში ცხოვრობდა, ამიტომ შენი მოვალეობაა, დღესვე გაიგო ჩანჩურას ნამდვილი გვარი, სახელი, ხელობა, სარწმუნოება, ტომი და... ცოლიანი იყო თუ უცოლო... დარჩა რამე თუ არა. ისიც გაიგე, საიდან და როდის ჩამოვიდა ის ჩანჩურა ჩვენს ქალაქში და არც მისი წლოვანება დაგავიწყდეს. ყველაფერი დაწვრილებით დაწერე და დღესვე მომიტანე. წადი". დაღონებული პეტროვი ბაზრისაკენ მოდიოდა და ფიქრობდა: „ახლა კი ნამდვილად გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ, თუ ამაღამვე ორი ქურდი ან ერთი „სიცილისტი" არ დავიჭირე, დილაზე ნამდვილად გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ". ასე მთავრდება ეს მოთხრობა. ჩანჩურას ვინაობა კი მაინც გაურკვეველი დარჩა. ამ დაკარგული კაცის, უბიოგრაფიო ადამიანის ბედი აქ აღწერილია მკაცრი რეალიზმით, ყოველგვარი სანტიმენტალიზმის გარეშე. მწერალი სრულ ობიექტურ სურათს ხატავს, მაგრამ თავის დამოკიდებულებას, ან ერთგვარ სიბრალულს თუ თანაგრძნობას აშკარად არ გამოხატავს, ამგვარი რემარკა ამ მოთხრობას არა აქვს. სუბიექტურად ავტორს თავისი დამოკიდებულება არ შეაქვს ამ მოთხრობაში, მაგრამ ობიექტურად აღწერილი სურათი ისეთი ძლიერია, რომ იგი თავისთავად იწვევს ზიზღს მთელი იმ სისტემის, იმ სოციალური ცხოვრების მიმართ, რომელმაც წარმოშვა ის უბადრუკობა, რის განსახიერებას ჩანჩურა წარმოადგენს. ამ მოთხრობას გორკისათვის დამახასიათებელი რევოლუციური რომანტიზმი არა აქვს. აქ არც ის თანაგრძნობაა ქუჩის ხალხის მიმართ, რომელსაც ევდოშვილი და ქუჩიშვილი გვაძლევენ. არა, ტიპის ის ფსიქოლოგიური გამოხატვაა, რომელიც ეგზომ დამახასიათებელია ჯავახიშვილის მთელ შემოქმედებისათვის. და მაინც ამ მოთხრობაში ჩვენ გვაქვს ერთგვარი გაკილვა და დაცინვა ყეყეჩა პოლიციელებისა. ამ გაკილვაში ნათლად ვლინდება, თუ ვის ხელშია ჩავარდნილი ადამიანების ბედი. აქ ჩვენ ვხედავთ, თუ რა საზოგადოებრივ და სოციალურ გარემოში დაიბადა და წარმოიშვა ჩანჩურას ტიპი. ამისდა მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ „ჩანჩურაში" ტიპის უფრო ფსიქოლოგიურ გამოხატვასთან გვაქვს საქმე, ვიდრე იმ სოციალურ ასპექტებთან, რაც მთელი მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისათვის იყო დამახასიათებელი.

მ. ჯავახიშვილის მეორე მოთხრობაა „მეჩექმე გაბო". აქაც მდაბი-

ოთა ცხოვრებაა აღწერილი. საროსკიპოსა და მისი ხშირი სტუმრების — მეჩექმეების, მეეტლეების, სალდათების „გართობა“ აქ ასევე შეუფერავადაა აღწერილი. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ მ. ჯავახიშვილი, როგორც მხატვარი, თავისი პირველი მოთხრობებისათვის მასალას ფსკერზე მოქცეულ ადამიანთა ცხოვრებიდან იღებდა. მწერლის გულისყური ამ ხალხისაკენ იყო მიპყრობილი. ავტორს მოთხრობის დასაწყისშივე ცხოვრების ფსკერზე მოქცეულ ადამიანთა გარემოში შევყავართ. „ღამის ათ საათზე მეჩექმე გაბო და მღებავი ანტონა დაბალ კიბეებზე ადიოდნენ...

ზევით სიცილი, ყვირილი და სიმღერა მოისმოდა. პიანინოზე უკრავდნენ და ცეკვავდნენ. წინ ხვნეშით და ოხვრით დაბალი, ჩასუქებული და ბურთივით მრგვალი გაბო მიიზლაზნებოდა, უკან კი ანტონა მისდევდა — მაღალი, გამხდარი, წელში მოხრილი, წვრილკისერა და წოწოლათავიანი. კარებთან რომ მივიდნენ, როგორც ყოველთვის, შესდგნენ და დარბაზში ქურდულად დაიწყეს ჭყეტა. ქალები მუშტარს მოელოდნენ, როგორც მეკურტნე ელის ხოლმე დამქირავებელს. ზოგი დასეირნობდა, ზოგი პაპიროსს აბოლებდა, ზოგი ქაღალდს თამაშობდა...“ ამ წრეში მეჩექმე გაბოს გამოჩენამ, „პაპაშას“ რომ ეძახდნენ, დიდი სიხარული გამოიწვია. მან მთელი ქონება ამ ხალხში გაფლანგა. შემდეგ აღწერილია საროსკიპოს პატრონის — ხანუმას მოყვანა გაბოს მიერ თავის სახლში, ამ ნიადაგზე ოჯახური უსიამოვნება. სასამართლოში თამასუქის წარდგენა ხანუმას მიერ და, ბოლოს, ქუჩაში გასტუმრებული მეჩექმე გაბოს თავგადასავალი. „ხანუმამ თავისი ქალები ქვემოთ სართულში გადმოიყვანა, რადგან იქ ხალხი უფრო მეტად ეტანება, და დარბაზიც უფრო დიდია.

შუაღამისას „პაპაშა“ და ჭიაყელა შინ მიდიან, ორივენი ერთ ქუჩაზე წვებიან და ხშირად მთელი საათობით თავიანთ გვრიტებსა, ჭუკებსა და წიწილებზე ლაპარაკობენ, თანაც, შურით იგონებენ თავიანთ ბრწყინვალე წარსულს, ოხრავენ, კვნესიან, სამოთხის დაკარგვას ერთმანეთს აბრალებენ და თავიანთ ლაპარაკს ისევ გვრიტებისა და წიწილების მოგონებით ამთავრებენ“.

ჩანჩურასაგან განსხვავებით, „მეჩექმე გაბოს“ პერსონაჟებს მაინც აქვთ თავიანთი ბიოგრაფია. ამ მხრივ თითქოს განსხვავებული სახეებია, მაგრამ თავისი სოციალური ბედით და ხვედრით ისინი მსგავსნი არიან და ზოგადად ფსკერზე მოქცეულ ადამიანთა ცხოვრებას გა-

მოხატავენ. ამგვარი ადამიანების ხვედრი მწერალმა გვიჩვენა არა მარ-
ტო ქალაქად, არამედ სოფლადაც. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი
მოთხრობები „უპატრონო“ და „ეკა“. პირველ მოთხრობაში მ. ჯავახიშ-
ვილს აღწერილი აქვს „ქათმების მოურავის“, უპატრონო ნუცას ბედი.
მდიდარი მემამულის სახლში სამადლოდ გაზრდილი ნუცა 17 წელია რაც
საქათმის გამგისა და კრუხ-წიწილების მომვლელის მოვალეობას კე-
თილსინდისიერად ასრულებს. კნეინას სახლში ყველაზე ადრე იგი
დგებოდა; პაწაწინა, კიბის ქვეშ ჩაკეტილი ფიცრული ოთახიდან გამო-
ვიდოდა, საქათმიდან ქათმებს, იხვებს გამოუშვებდა, უვლიდა და
მთელ დღეს კნეინას მოჯამაგირისათვის წინდებს და პაჭიჭებს ქსოვდა.
სხვათა ცხოვრებაში იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ყველა-
საგან მიტოვებული მექათმე უპატრონოდ ცხოვრობდა. შემდეგ კნეინა
გარდაიცვალა და ოჯახს ახალი ბატონი ჩაუდგა სათავეში. ამ ბატონს
მოეწონა ჩვიდმეტი წლის ქალი. იგი ხელზე მოსამსახურედ აიყვანა,
შემდეგ მხეცივით ხელში იგდო, გააუპატიურა. ნუცა უსიტყვოდ.
ბრმად ემორჩილებოდა თავის ბედს და, როცა ბატონს უკვე მოსწყინ-
და, იგი ვიღაც ყმას გადაულოცა ცოლად. აქაც უსიტყვოდ ემორჩილე-
ბა უპატრონო ნუცა ბედს, მაგრამ უკვე ბავშვის დედაა და ქმარს ეჭვი
შეაქვს მის პატიოსნებაში. მათ შორის უსიტყვო ბრძოლა დაიწყო. ქმარ-
მა, პავლემ, ასევე ყმამ და ცხოვრებისგან გათელილმა კაცმა, ცოლ-
ზე გული აიყარა, ნაადრევად დაბადებული ბავშვის მოკვლა განიზ-
რახა და, როცა დედა გაუძალიანდა, ორივეს ხელი ჰკრა. ნახევრად შე-
შლილმა ნუცამ ბავშვი აიტაცა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩვარში გახვე-
ული მკვდარი ბავშვით იგი გაიქცა, მამამთილის სახლს მიუახლოვდა
და ყვირილი მორთო. შემდეგ გარემოებისგან შეშლილი ქალი თავს ჩა-
მოიხრჩობს. მწერალს შემაძრწუნებელი სურათი აქვს დახატული: „ნუცა
თავის კერას დაუბრუნდა. სახლში შიშით შეიპარა, ირგვლივ სამარი-
სებური სიჩუმე იდგა, პერანგის ქვეშიდან აპეურები გამოიღო, ერთ-
მანეთზე გადააბა, ტახტზე შედგა; დაბალ ჭერს შესწვდა, აპეურები
გარდიგარდმო გადებულ კოჭას ჩამოაბა და ყულუფი გაუკეთა. შემ-
დეგ ტახტი გვერდზე მისწია, ისევ ზედ შედგა და ყულუფს ხელი წაა-
ვლო, საიდანღაც, შორიდან ძაღლის ყმუილი მოისმა, ოთახში თითქოს
დაბნელდა, ჰაერი უარესად გაცივდა, ნუცა შედგა, გააჟრჟოლა, თმა
ყალყზე აუდგა, ძაღლის ყმუილი უფრო გარკვევითა და ხანგრძლივად
მოისმა. ბუხარში სიომ ბუტბუტი დაიწყო, კარებმა თითქოს დაიკრი-

ალა. ნუცამ ფეხები საჩქაროდ ტახტს მოაშორა... ძაღლების ხროვა საზარლად ყმუოდა, ყეფდა, კარები ჭრიალებდა, იმტვრეოდა... ქარმა დაიგრიალა, გაიზუზუნა, დატრიალდა, ყოველი აირია, შეინძრა, დაინგრა". ამ მოთხრობაში მწერალი ერთგვარი თანაგრძნობით გამოხატავს უპატრონო ნუცას ბედს და, მისი პირველი მოთხრობისაგან განსხვავებით, ავტორის ტენდენციაც უფრო ნათლად არის გამოვლენილი.

ნუცას ბედისაგან დიდად არ განსხვავდება გურიიდან ქართლში ჩამოყვანილი მოსამსახურის, 18 წლის ეკას ბედი. ეკა, ბედით დაჩაგრული მოსამსახურე გოგონა, დედისერთა იყო, როგორც მისი ბატონი. „შარშანდლამდე გურიაში ცხოვრობდნენ, მერე თბილისში ჩამოვიდნენ და მრეცხაობა დაიწყო. ერთი წლის შემდეგ დედა მოუკვდა. ეკა მარტო დარჩა და ჯავრისაგან კინაღამ დედას გადაყვა. მერმე შემთხვევით ქალბატონს შეხვდა და მოახლედ გამოჰყვა". ეს ლამაზი მშვენიერი მოელვარე თვალებით, მაღალი ყელით, ხავერდივით წმინდა პირისახით. მოქნილი ტანით, ოდნავ გახსნილი წითელი ტუჩებით, შავი ტალღიანი თმით ააღელვებს რუსეთიდან დაბრუნებულ განათლებულ ბატონიშვილს:

„ეკა იყო ჩემი პირველი სიყვარული, ჩემი ჭაბუკობის პირველი გატაცება, საამური ტანჯვა და უსაზღვრო ბედნიერება" — ჰყვება ბატონიშვილი. შემდეგ აღწერილი აქვს მწერალს ამ ვნებააშლილმა თავადიშვილმა როგორ მხეცურად გააუპატიურა ეს ლამაზი გოგონა, რის გამოც იგი კნეინამ სახლიდან გააგდო. ეს კი თითქოს სანანებლად გაუხდა ვნებააშლილ თავადიშვილს: „მაგონდება ჩემი სულმდაბლობა და ლაჩრობა, რად არ გამოვესარჩლე ეკას, როცა დედაჩემი ისტუმრებდა, რატომ ხმა არ მივაწოდე, რატომ სანუგეშოდ ერთი სიტყვაც არ ვუთხარი, რად არ ჩამოვართვი უკანასკნელ ხელი, რატომ არ ვუთხარი მადლობა თუნდაც წუთიერი ბედნიერებისათვის? რატომ არ მოვძებნე შემდეგ მაინც, რატომ..." თითქოს სინანულით იგონებს თავადიშვილი გოგი ამ ამბავს. და ამ შემთხვევაში ეს ეპიზოდი და, საერთოდ, აქ გამოხატული სურათი ჩვენ გვაგონებს მსოფლიო და რუსულ მწერლობაში მრავალგზის აღწერილ ამგვარი უპატრონო, ყმა გლეხი ქალების ბედს, ქალებისა, რომელნიც თავადიშვილების ვნებათა მსხვერპლი გამხდარან. ამ მრავალმხრივ დამუშავებული თემის ანალოგიური სულისკვეთებაა მოთხრობის ფინალში დახატული. მართალია, მწერალი არ გვამცნობს დაწვრილებით ეკას ბედს, არც ის ვიცით, თუ

რა მანქანებით გადარჩა იგი, მაგრამ მოთხრობის ფინალში ეკა მის გამაუბედურებულ ბატონიშვილს, ახლა ექიმს, თავის ათი წლის ვაჟით შეხვდება. ექიმი თავისი სახის მსგავსებას ამოიკითხავს ბავშვში, მასში თითქოს ისევ გაიღვიძებს სინანული, სიყვარული და მზად არის დაიბრუნოს პირველი სიყვარული. აქ კი დიდ მორალურ სიმაღლეზე აღმოჩნდება ეკა.

ადრინდელი მოტივების წრეს განეკუთვნება მოთხრობა „კურკას ქორწილი". კურკას ბედი, ბედი დაწიხლული ამ ადამიანისა, ჰგავს ჩანჩურას ბედს, ოღონდ კურკა მასზე უფრო ცოტა მაღლა დგას თავისი შეგნებითა და ადამიანური გრძნობების ზოგიერთი საწყისებით. კურკაც ისევე ვინაობადაკარგული კაცია, როგორც ჩანჩურა. ბუნებით მახინჯი თავდიდა კურკა ისევე აგდებული ჰყავთ ქუჩის ბიჭებსა და მის ტოლ-ამხანაგებს, როგორც ჩანჩურა. „ბიჭბუჭებსა და ხარაზებს კურკას ყმუილი და ფეხების ქნევა სიცილ-ხარხარს ჰგვრიდა". კურკა მეტისმეტად ლაჩარი და მტირალა იყო. ქუჩის ბიჭები და მასხარა მაწანწალები ამით სარგებლობდნენ, და მშიშარა კურკა ჯერ საშინლად დაიბღავლებდა, მერე მიწაზე გაგორდებოდა. „კურკა კი ყვირილს ძლივს გაათავებდა და მთელ ბაზარს შეჰყრიდა, თან შიშისაგან აქეთ-იქით იხედებოდა და წუწუნებდა:

— კაცო, რა გინდათ ჩემგან, რატომ თავს არ დამანებებთ, რატომ არ მომეშვებით.

სწორედ ამ დროს ისევ ვინმე მიეპარებოდა, ფეხებში მისწვდებოდა და შიშისაგან დარეტიანებული კურკაც ხელმეორედ ატეხავდა ღრიალს:

— კარაულ, მიშველეთ, გოროდოვოი!

ბაზარი ისე შეეჩვია კურკას ბღავილსა და ტირილს, რომ მშველელი იშვიათად გამოუჩნდებოდა". ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ადამიანი, ხელმოცარული, ნახევრად დეგენერატი უპატრონო კურკა ბოლოს შეჯღანეობას ჰკიდებს ხელს, ცოტაოდენ ფულს იშოვის, დარჩოსაგან ადგილს ქირით აიღებს, მოპარული ფიცრებით სახლს აგებს და შემდეგ მუშაობას იწყებს. მაგრამ დარჩო, ეს ვაჭარი კაცი, ტყავს აძრობს ამ უპატრონო ადამიანს, ბოლოს საკუთარ მონადაც გაიხდის. კურკა გადაწყვეტს, თავი რომ დააღწიოს ამ უბედურებას, ცოლი შეირთოს. ამ საქმეში კვლავ დარჩო გაერევა. კურკა თითქოს გარეგნულად შეიცვალა, მაგრამ ეს ბუნებისაგან დაწიხლული კაცი აქაც

უბედო აღმოჩნდა. დარჩომ კურკას ცოლი თავის ხასად გაიხადა და, ბოლოს, სახლიდანაც გააგდო კურკა. ცოლი გაექცა კურკას. ახლა ის — კვლავ ყავარჯენზე დაბჯენილი, ფეხშიშველი, უქუდო, დაფლეთილი — ქუჩა-ქუჩა დადის და მათხოვრობს. ბაზრის ბიჭები კვლავ აშინებენ, კვლავ აპამპულებენ. კურკა კვლავ ღრიალებს:

„კაცო, ვინა ხარ ქრისტიანი, რატომ თავს არ დამანებებთ, რა გინდათ ჩემგან? რა დაგიშავეთ, მე უბედურმა?“ ყველანი უჯავრდებიან მასხარას, რომელმაც კურკა წააქცია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მთელ ბაზარში ისევ ხრინწიანი ყვირილი ისმის: „კარაულ, გოროდოვოი, მიშველეთ, მომკლეს, გოროდოვოი“.

მ. ჯავახიშვილმა ეს უპატრონო, ბუნებისაგან დაჩაგრული ადამიანები თავის ადრინდელ მოთხრობებში დახატა ჭეშმარიტი მხატვრის ფუნჯით, დახატა ისე დასამახსოვრებლად და ტიპიურად, რომ ფსკერზე მოქცეული ადამიანების ეს სახელები დაკნინების გამომსახველ ზოგად სახელებად იქცნენ. ჩანჩურა და კურკა ისე ჭარბი საღებავებით არიან წარმოდგენილი, რომ ძნელია ქართულ ლიტერატურაში მოიძებნოს უფრო სრულყოფილად დახატული უპატრონო, მახინჯი, ქალაქს შეკედლებული, ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ადამიანები.

ეს თემატიკური ხაზი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში 1923 წელს, მწერლობაში მუშაობის განახლების შემდეგ კვლავ გაგრძელდა, კვლავ გამოეხმაურა მწერალი ამ თემატიკას. ნაწილობრივ ეს მართალ აბდულას ხასიათში გამომჟღავნდა. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამ თემატიკისათვის ჯავახიშვილს ახალი ფერები და ახალი საღებავები თითქმის არ მიუმატებია.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში სოციალური ცხოვრების, დაწიხლული ადამიანების ბედის გამოხატვას, სოციალურ პრობლემატიკას თავისებურად უკავშირდებოდა 1905 წლის რევოლუციის თემა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობა „ჯილდო“. აქ აღწერილია 1905 წლის რევოლუციის დღეებში ჯარისკაცებისა და მუშების შეტაკების სცენა, მუშები, ეს ლურჯხალათიანი ახალგაზრდა მებრძოლები, აგიტაციას ეწევიან სალდათებს შორის. ოციოდე სალდათის გარშემო აუარებელი ხალხია. ისინი ამხანაგების განთავისუფლებას ყვირილითა და მუქარით მოითხოვდნენ. შუაში ოთხი,

ძლიერად ნაცემი მუშა მოემწყვდიათ და თოფებითა და ხიშტებით იცავდნენ მუშებისაგან, რომლებიც დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას მოითხოვდნენ. ამ ჩოჩქოლში ერთი ლურჯხალათიანი ამხანაგს ზურგზე შეახტა და სალდათებს მიმართა: „ამხანაგებო, ძმებო, განა თქვენც ჩვენი ამხანაგები და ძმები არა ხართ, განა თქვენც ჩვენსავით არ იტანჯებით, განა ჩვენ დაგიშავეთ რამე, რომ სროლას გვიპირებთ. თქვენც ჩვენისთანა დღეში ხართ, თქვენც ჩვენსავით იტანჯებით". ამ დეტალში დიდი მხატვარი გვანიშნებს რევოლუციის დღეებში ჯარისკაცებისა და აჯანყებული მუშების დაძმობილებისა და დაამხანაგების იდეას, იმ პრაქტიკულ მოქმედებას, რასაც რევოლუციონერები ხალხს განუმარტავდნენ. შემდეგ მწერალს აღწერილი აქვს, თუ როგორ შემოაკვდა ამ შეტაკებაში სალდათ გიორგი ჯიხაძეს ერთი უდანაშაულო მუშა 'და როგორ იტანჯება ამის გამო ეს პატიოსანი სალდათი, რომელსაც იმის მოკვლა აზრადაც არ გაუვლია. თავისი დედა მოაგონდა და, მოკლული მუშის მაგივრად, თავისი თავი წარმოიდგინა; გული ეტკინა, თვალებზე ცრემლები მოადგა. ამავე დროს, მისმა მეგობრებმა — მცხეთელმა არჩილმა, დუშელმა მიხამ და კასპელმა ვანომ გულცივად დაუწყეს ცქერა ამხანაგს და იგი გაკიცხეს კიდეეაც ამ შემთხვევის გამო. სწორედ ამ დროს „ერთგული სამსახურისთვის" უფროსმა მადლობა გადაუხადა და ერთი თუმანიც აჩუქა. ამან უფრო გაუღვიძა მას სიძულვილის გრძნობა უფროსებისადმი და კაცისმკვლელის სახელის მატარებელი სალდათი ძლიერ შეწუხდა. შემდეგ ყაზარმიდან გაიქცა, დიდი წვალებით მონახა მოკლული მუშის ბინა, დედამისს ხელში შეაჩეჩა ეს მიღებული ჯილდო, ოქროს თუმნიანი, მაგრამ, როცა დედამ ვაი-ვაშითა და შეჩვენებით გამოისტუმრა კაცისმკვლელი, რომელთანაც თავის მართლება არ გაუვიდა, გადაწყვიტა — გაქცეულიყო ჯარიდან და ამ გადაწყვეტილებით ის უკან გაბრუნდა მოკლული მუშის ოჯახში, იქვე დააგდო ეს თუმნიანი და მტკიცე და დინჯი ნაბიჯით გასწია ზედაზნის მთებისაკენ. მიდიოდა დეზერტირი და თან რაღაცას ღიღინებდა. ავტორი აქ ნათლად გვანიშნებს ჯარისკაცის გადაწყვეტილებას, რომ ებრძოლოს უსამართლობას, იმ ჯოჯოხეთურ სისტემას, რომელმაც იგი თავისი მოძმის, მუშის მკვლელი გახადა.

ასეთი იყო ის თემები და განწყობილებები, რომლებიც ნიჭიერ მხატვარს თავის ადრინდელი მოთხრობებში ჰქონდა გამოხატული. ეს

მოთხრობები ცალკე კრებულის სახით მწერალმა 1924 წელს გამოსცა, ხოლო ერთი წლით ადრე, 1923 წელს, ის კვლავ მიუბრუნდა ქართულ მწერლობას, ახლა უფრო დიდი მასშტაბითა და ვრცელი მხატვრული გეგმით. პირველი მოთხრობა, რომელიც მან 1923 წელს გამოაქვეყნა, იყო „ტყის კაცი“. ამ მოთხრობაში მწერალს ლიტერატურაში მანამდე არაერთგზის დამუშავებული ზოგადი საკითხი აქვს დასმული. ეს არის პიროვნებით ურთიერთობა ხალხთან. საზოგადოებისაგან გამოთიშვას, ხალხისაგან განდგომას უბედურება მოაქვს პიროვნებისათვის, ადამიანებისათვის. აქ აღწერილია სოფლელი გლეხის პავლეს თავგადასავალი. მას ნაადრევად მოუკვდა ცოლი, დარჩა ორი ბიჭი — ერთი პატარა, მეორე კი უფროსი, 15 წლისა. პავლემ მწვავედ განიცადა ცოლის სიკვდილი, ის თითქოს დაამუნჯა ამ უბედურებამ და, როცა გონს მოვიდა, გადაწყვიტა დატოვოს სოფელი, ის ადგილი, სადაც ეს უბედურება შეემთხვა. იგი სოფლის იქით, ტყეში გადასახლდა. თითქოს აქ, ბუნების იდილიაში, სადაც მხოლოდ ფრინველთა გალობა და მხეცთა ღმუილი ესმოდა, უნდოდა ჩაეკლა დარდი, უნდოდა ახალი ცხოვრება დაეწყო. მაგრამ ამან, ბედნიერების მაგივრად, უბედურება მოუტანა. ჯერ უმცროსი ბავშვი გაუხდა ავად, შემდეგ ეს ავადმყოფი ბავშვი უფროსმა ძმამ ქალაქში წაიყვანა და როცა დაბრუნდნენ შუაღამისას, მეზობელი მღვდლის ცოფიანი ბუღა შეეფეთათ ბავშვებს. უფროსი ბუღას დაჯახებამ დააზიანა, უმცროსი კი, შიშისაგან გაქცეული, მეზობლის ქვევრში ჩაიხრჩო, შემდეგ ეს უფროსი შვილიც მოკვდა. პავლე გაგიჟდა. ახლა გაგიჟებული კაცი სოფელსა და ტყეს შესჩივის თავის ბედს, ეძახის თავის დაკარგულ შვილებს. ასეა: სოფლისაგან მოწყვეტას, ხალხისაგან გაქცევას უბედურება მოაქვს. ეს აზრი კარგად არის გამოხატული ამ საინტერესოდ დაწერილ მოთხრობაში.

„ტყის კაცს“ მოჰყვა შესანიშნავი მოთხრობები: „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულა“, „ორი განაჩენი“, „პაპა დიმო“. ყველა ამ მოთხრობაში მ. ჯავახიშვილს მრავალფეროვნად ჰყავს გამოხატული ადამიანები, მათი თავგადასავალი, მათი ცხოვრება, მათი ფიქრები და განწყობილებანი. ამათგან ყველაზე ვრცელი და საინტერესოა „ლამბალო და ყაშა“.

როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილი 1918 წელს მონაწილეობდა იმ საომარ ექსპედიციაში, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა სპარსეთის წინააღმდეგ. აი, აქ ნახულ შთაბეჭდილებათა განზოგადებულად გამო-

ხატვაა „ლამბალო და ყაშაში“. ნაწარმოებში დაწვრილებითაა აღწერილი სპარსეთის აზერბაიჯანში რუსი ჯარის შესვლა, მისი დაპყრობა. ერთი ქართველი ექიმის და სპარსეთის მეფის წარმომადგენლის, ურმიის გენერალ-გუბერნატორის აქ ჩამოსვლა, მათი მგზავრობა ერთად ქალაქში, შემდეგ — მათი ურთიერთობა. ამ ფონზეა გამოხატული მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის დამცველის — ეპისკოპოს პავლეს, მისი აგენტის — ყაშას და აქაური მკვიდრის, პატიოსანი და მშრომელი კაცის — ლამბალოს თავგადასავალი. აქ რუსეთისა და სპარსეთის ურთიერთობის ფონზე მოცემულია საქართველოს წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების ეპიზოდები. მწერალი ამხელს ცარიზმის პოლიტიკას, მისი გენერლებისა და ეპისკოპოსების დაუოკებელ ვნებებს, ხალხის ექსპლოატაციას. ამ ფონზე გვიჩვენებს ავტორი ყაშას, როგორც ბოროტების საჭურისს, კაცთმოძულეობის განსახიერებას და მას უპირისპირებს ადამიანური კეთილშობილებით და ვაჟკაცური შემართებით ცნობილ ლამბალოს. ყაშამ ვერაგობით იმსხვერპლა ლამბალო. ამ უკანასკნელს ესარჩლება ქართველი ექიმი, მაგრამ იგი უძლურია მეფის ოფიცრებისა და გენერლების წინაშე, რომელთა მოქმედებას ფაქტიურად კაცთმოძულე ეპისკოპოსი პავლე განაგებს. საბოლოოდ ყაშაც საბედისწეროდ ამთავრებს თავის ცხოვრებას: ლამბალოს მამის მიერ შესეულმა გველებმა ბოლო მოუღეს. ყაშა ადგილობრივი მცხოვრებია, ათიოდე წლის წინათ ქურდობდა, კონტრაბანდისტობდა და ჯაშუშობდა. მერე ღვიძლი მამა შემოაკვდა და მისიონერებს შეაფარა თავი. მათ ჯერ შეინახეს, შემდეგ რუსეთში გაატარეს; სტავროპოლში ლუდის დუქანი გახსნა, დუქნის უკან ბნელი ოთახი აიშენა, ხოლო ეზოში სამი კახპა გაიჩინა, ნამდვილი საროსკიპო მოაწყო. ამავე დროს, სასულიერო სემინარიაში შინაურ კაცად ითვლებოდა, ბერები, სემინარიელები და ყაშა ერთმანეთის მუშტრები იყვნენ. შემდეგ სისხლის სამართლის საქმე დაუმტკიცეს, მაინც გადარჩა, სარწმუნოება ცხრაჯერ გამოიცვალა.

მ. ჯავახიშვილმა უბრალო, რიგითი ადამიანების ცხოვრება წარმოგვიდგინა „მართალ აბდულასა“ და „ორ განაჩენში“. „მართალ აბდულაში“ აღწერილია სხვის მაგივრად დაპატიმრებულ აბდულას თავგადასავალი. ეს გამრჯე, მშრომელი კაცი, ოჯახის მოყვარული თავისი ბიძაშვილის — ყაჩაღ მუსტაფას ნაცვლად დაიჭირეს. სასამართლოში თავი ვერაფრით გაიმართლა. აბდულა გარეგნობით ძალიან ჰგავდა თა-

ვის ბიძაშვილს — მუსტაფას. მას ათი წელი მიუსაჯეს. ამ ხნის განმავლობაში აბდულას ოჯახი დაენგრა, ცოლი გაექცა. იგი ღამით მუსტაფას ოჯახში შეიპარება, მუსტაფას ყელში ხანჯალს დააბჯენს, ნამდვილ დანაშაულში გამოსტეხს, შემდეგ ყელს გამოსჭრის, ცოლ-შვილს დაუხოცავს და ისევ ციხეში გამოცხადდება. ნამდვილი ამბავი გამოირკვევა. აბდულას, რომელსაც ათი წელი უკვე მოხდილი აქვს უდანაშაულოდ, ახლანდელ დანაშაულს ამაში ჩაუთვლიან და ათავისუფლებენ.

„ორ განაჩენში“ზედაზნელ გლეხს — მენახშირე ბაჩილას თავისი ძმა შემოაკვდება. ციხეში დაჩიავებულ და დარდით განადგურებულ კაცს სასამართლოში უდანაშაულოდ ცნობენ. ბაჩილა ადგილს ვეღარ პოულობს, სასამართლოდან წამოსულ დედ-მამას დაედევნება და თავის ეზოში ურმის აპეურებზე თავს ჩამოიხრჩობს, საკუთარ თავს სიკვდილის განაჩენს გამოუტანს.

დამახასიათებელია, რომ მ. ჯავახიშვილი თავის მოთხრობებში ყველგან ტრაგიკულ, დრამატულ სიტუაციებს გვიხატავს. ავტორს აინტერესებს ბნელი ცხოვრების, კაცისმკვლელების, ბუნებისაგან გაუბედურებული ადამიანების ფსიქოლოგიური ტიპების გამოხატვა და ამიტომ არაიშვიათად ამ გმირთა სულიერი სამყარო ერთფეროვანია.

ყველაზე უფრო გულისდამაღონებელი, ტრაგიკული სურათია გამოხატული მოთხრობაში — „პაპა დიმო“. პაპა დიმო 40 წელიწადს ვაჭრობდა არმავირსა და როსტოვში. ღვინო ვაგონობით მიდიოდა. დონურ წითელს კახურ საფერავს შეურევდა, ცოტა შაქარსა და სპირტსაც მოუმატებდა და ასე ყიდდა. ფული ბლომად მოიგო, მაგრამ ჭკუა ვერ მოიხმარა: ერთი დიდი სახლი იყიდა და მონაგარი იმ შენობაში ჩაყარა. ბერე, ქვეყანა რომ აირია და ის სახლი ჩამოართვეს, ხელცარიელი ამბოკარი სამშობლოში წამოვიდა. ცოლი როსტოვში დამარხა, შვილი — კავკავში, ხოლო რძალი — თბილისში. ბოლოს ერთადერთი, ოთხი წლის შვილიშვილი რეჯანი შერჩა და აი, ახლა ყველაფერი გაყიდა, საბანიც ბაზარზე გაიტანა, პაპის ქურქი, ძველი ჩექმები, დახეული ლექსიკონი და საცვალიც გაყიდა, შემდეგ საკუთარი ოქროს კბილებიც დაიძრო და ექიმს მიყიდა. ამ ფულის იმედი აქვს მას, ამ ფულით უნდა გადაარჩინოს ავადმყოფი რეჯანიც. ეს არის ამიერიდან მისი უკანასკნელი საკვები. ჩვენ ვხედავთ ამ ადამიანის მთელ უნიადაგობასა და ტრაგედიას.

ზემოდასახელებული მოთხრობები დაწერილია 1923—25 წლებში. მით უფრო სამწუხაროა, რომ აქ თანამედროვეობა სავსებით არ იგრძნობა. აქ სავსებით გვერდავლილი იყო რევოლუციური სინამდვილე, საბჭოთა სინამდვილე. მოქმედება წარმოებდა ჩვენს დროში და არსად არ იგრძნობოდა ახალი ცხოვრების სიო. საუბარიც, აღწერაც, თხრობაც, გმირების ბედის გამოხატვაც, კილოც და ავტორის მიერ გამოტანილი ვანაჩენიც ჩვენი ცხოვრების, ახალი საბჭოთა ცხოვრების მიღმა მიმდინარეობდა. ნაწარმოები ერთგვარად ეთიშებოდა დროს, გარემოს და სინამდვილეს. მაგრამ შემდეგ დიდად ნიჭიერი მხატვარი მ. ჯავახიშვილი მიხვდა, რომ ასეთი გამოთიშვა ეწინააღმდეგებოდა ცხოვრების ლოგიკას. და აი, თანდათანობით ჩაება იგი და კონტაქტი დაამყარა თავისი მოთხრობების მიხედვით ცხოვრებასთან, ახალ დროსთან. პირველი ასეთი მოთხრობა, სადაც ჩვენი სინამდვილე გამოვლინდა, გახლავთ მოთხრობა „ქურდი“.

სტეფანე ჩირაძე ნაკაცარია, წინათ, რევოლუციამდე, ყველაფერი ჰქონდა — ატესტატი, მუნდირი, უფლება და ჯამაგირი. სასამართლოს მოხელე იყო ჯერ დუშეთში, მერე თელავში, უფრო გვიან — თბილისში. ამ მოსამართლეს საგულეში, გულის ნაცვლად, ქვის ლოდი ედო. აი როგორ ხატავს მწერალი ქვის გულიანი კაცის პორტრეტს: „საგულეს, გულის ნაცვლად, ქვის ლოდი ედო, იყო მკაცრი, ვითარცა რომაელი, მიუკარებელი, ვითაარცა ლორდი, მშრალი და პირქუში, როგორც ათი წლის ჩირი და დინჯი, ვითარცა ბებერი კამეჩი“. ვინც აქ ფრაზების აღნაგობას და ლექსიკას დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს, რომ ერთმანეთს ცვლის წიგნური და ხალხური მეტყველების ლექსიკონი და ხასიათი ამის მიხედვით იხატება. და აი, ამ კაცს მეტსახელად მგელი შეარქვეს. ამ მგელს საბჭოთა ხელისუფლების დროს თავში მელიის ტვინი და ძალა აღმოაჩნდა. ამის წყალობით 8 წელს შერჩა მოსამართლედ. ბოლოს სამსახურიდან გააგდეს და ეს ნაკაცარი სრულიად გაკოტრდა, ყველაფერი გაყიდა და მაინც მშიერი დარჩა. მცირე ოჯახი — ცოლი და შვილი სრულიად დაემშა. შიმშილისაგან შეწუხებული ეს ნაკაცარი სახლიდან გაიქცა, მაღაზიაში შევიდა. რიგში დადგა და ქურდობა გადაწყვიტა. დაიჭირეს და აი, ახლა ეს ყოფილი მოსამართლე საბჭოთა სასამართლოს იმ დარბაზში დგას, სადაც წინათ თვითონ იყო მოსამართლე. ამ ძველ მოსამართლეს საქმე ყოველთვის უსამართლოდ გადაუწყვეტია და თავისთავის მიმართაც ამასვე

მოელის. სასამართლოს თავმჯდომარედ ის კაცი აღმოჩნდა, რომელიც მას თელავში გაუსამართლებია და უმიზეზოდ გადაუსახლებია. მაგრამ საბჭოთა მოსამართლე ობიექტური კაცი აღმოჩნდება და ამ ნაკაცარს გაამართლებს. ეს სავსებით მოულოდნელი იყო მისთვის. მართალია, აქ მწერალს მაინც ყველაფერი გადატანილი აქვს პიროვნულ ხასიათზე, მოსამართლეზე, მაგრამ მაინც ამ მოთხრობაში ნათლად იგრძნობა ახალი დრო, ახალი ცხოვრება. ეს უთუოდ ახალი გზა იყო მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში. უფრო ძლიერად ეს განწყობილება გამოხატულია პატარა მოთხრობაში — „ფინჯანი“.

ამ მოთხრობაში მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია ნოდარ შუბიძე. იგი საზღვარგარეთ გაიქცა. აქ დიდხანს დახეტიალობდა სამშობლოდან გაქცეული ეს ემიგრანტი, მაგრამ მას უცხოეთში, საფრანგეთში, ყოფნის დროს მაინც არ ასვენებს ბედი სამშობლოსი, ცოლშვილისა, თუმცა აქ მას ყურებს გამოუყრუებენ, რომ „აი, დღეს თუ არა ხვალ მოეწყობა ლაშქრობა საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, გაათავისუფლებენ საქართველოს“. რვა წლის ემიგრანტულმა ცხოვრებამ დაარწმუნა იგი, თუ რა „ბედნიერებაა“ ამგვარი ცხოვრება, შეაზიზღა მას ეს „ბურჟუაზიული სამოთხე“ და გადაწყვეტს — სამშობლოში გამოიქცეს. საზღვარზე მას აქედან გაქცეული სარდიონ გურჯიშვილი შეხვდა, მისი ყოფილი ნაცნობი და მეგობარი. ის დაარწმუნებს მეგობარს, რომ ამაოა იქ წასვლა, ტყუილად ჰგონია, რომ იქ ბედნიერებაა. და ეს კაციც მასთან ერთად ბრუნდება სამშობლოში. მათ საუბარში კარგად ჩანს, როგორ უყვარს ნოდარ შუბიძეს თავისი ქვეყანა, საქართველო, როგორ გრძნობს ის თავს ბედნიერად, როცა ის საბჭოთა საქართველოს მიწა-წყალზე შედგამს ფეხს. მაგრამ, როცა ის თავის ოჯახს მიადგება, გაიგებს, რომ ცოლი გათხოვილა, მის მეგობარს ლევანს წაჰყოლია. შეურაცხყოფილი კაცი მაინც მტკიცედ გადაწყვეტს, თავის ქვეყანაში დარჩეს. მას თან მოაქვს ფინჯანი, რომელიც ფოლადზე უფრო მაგარია. ის აჯერებს მეგობარს, რომ საიდუმლოება ამ ფინჯანის გაკეთებისა არავინ იცის მთელ ევროპაში, მან მოიტანა ეს თავის სამშობლოში, რომ ძლიერი, მდიდარი გახადოს თავისი ქვეყანა: თავის გულწრფელობაში იგი ლევანს არწმუნებს. ასე ხდება თავისი ქვეყნის პატრიოტი ეს ყოფილი ემიგრანტი.

საბჭოთა ხელისუფლების სიყვარული და მისი უპირატესობა ბურჟუაზიული სამყაროს, „ევროპული სამოთხის“ წინაშე ამ მოთხრობაში

ნათლად არის გამოვლინებული. აქ მ. ჯავახიშვილი ნათლად გამოჩნდა. როგორც პატრიოტი საბჭოთა ქვეყნისა, მაგრამ იგივე არ ითქმის მოთხრობა „დამპატიჟეს“ შესახებ.

„დამპატიჟე“ მ. ჯავახიშვილმა 1928 წელს გამოაქვეყნა „არიფიონში“. 20-იან წლებში ეს ჟურნალი იყო ერთ-ერთი მემარჯვენე ჟურნალი, რომელიც საბჭოთა საზოგადოებრივ სისტემას აკრიტიკებდა „ცივილიზაციის აკადემიური პოზიციებით“.

პარაზიტი, უქნარა დამპატიჟე კისერზე აზის მშრომელ მებაღეს — თევდორეს. ეს ისევე მოულოდნელად მოხდა, როგორც მოულოდნელად გაიგო თევდორემ, რომ სადღაც რაღაც მოხდა და შემდეგ თევდორეს არგუნეს ბაღიც და სახლიც. პატრონი კი მაშინ დაიკარგა, როდესაც სადღაც რაღაცა მოხდა, „სადღაც რაღაცა“ — ეს ოქტომბრის რევოლუციაა.

თევდორეს ერთ დღეს მოულოდნელად ვიღაცა დამპატიჟე შეუსახლეს, აქაც არაფერი არ ჰკითხეს, ისე შუაზე გაუყვეს მამული. ირკვევა, რომ დამპატიჟეს ვიღაც დიდი კაცი სწყალობს. შემდეგ ამ დამპატიჟეს, ამ პარაზიტ კაცს, თევდორეს ქალიშვილი მოეწონება, ქალიშვილი დააორსულა, მერე კი ცოლად შეირთო. თევდორემ ყველგან იჩივლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მუქთახორა დამპატიჟემ თევდორე მოჯამაგირედ გაიხადა. პარაზიტი, უქნარა, სხვის ხარჯზე მცხოვრები ოქროპირი-დამპატიჟე, ავტორის განმარტებით, ეს პროლეტარი, ვიღაც დიდი კაცის მეოხებით დაუსჯელად დადის და უკანონო საქმეებს აკეთებს. თითქოს ბატონყმობა კვლავ დაბრუნებულა ახალი ფორმით, ოღონდ ეს ახალი ბატონი — ოქროპირი უფრო უტვინოა, უფრო ხეპრე და გაუთლელი, ვიდრე თვით ძველი მებატონეები იყვნენ. ისე დაპარპაშობს ეს დამპატიჟე, რომ გიკვირს კაცს, სად არის საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა საზოგადოებრიობა!

მწერალს ისე აქვს აქ განზოგადებული სინამდვილე, რომ ის არსებითად ბრალს დებს საბჭოთა სისტემას, საბჭოთა საზოგადოებრიობას ამ პარაზიტების დამცველად ხატავს, ხოლო ახალ ცხოვრებას ბატონყმურ ცხოვრებაზე უფრო საშინელ უსამართლობაზე აგებულ სისტემად წარმოგვიდგენს. თავის დროზე მ. ჯავახიშვილის ეს მოთხრობა ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ მკაცრად გააკრიტიკა.

მ. ჯავახიშვილის მოთხრობების მეორე ჯგუფში მოქმედების ცენტრში დაყენებულია სასიყვარულო თავგადასავალი, ქალ-ვაჟის ვნებათა ღელვა. მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში პირველად შ. არაგვისპირელმა მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება სასიყვარულო ამბების მოპასანურად გამოხატვით. მაგრამ შ. არაგვისპირელმა, როგორც რეალისტმა მხატვარმა, მებრძოლი რეალიზმის წარმომადგენელმა, ამ სასიყვარულო ამბებს სოციალური საფუძველი გამოუძებნა და სიყვარულის ნიადაგზე წარმოშობილ ორპირობასა და მატყუარობას, გაუტანლობასა და ვნებათა ღელვას კაპიტალისტური ცხოვრების ამორალიზმი და წუმპე დაუდო საფუძვლად და ამის საპირისპიროდ სიყვარულის კეთილშობილური ძალა და მნიშვნელობა ასევე სოციალური ცხოვრების ფონზე, წარსულის ნიადაგზე და მთიელთა ცხოვრების ფონზე გამოხატა. მ. ჯავახიშვილისათვის ამგვარი საფუძვლის ძებნა არ არის დამახასიათებელი. მან სიყვარულის მოპასანისებური მძაფრი კოლიზიები ცხოვრების გარეგნული ნიშნების მიხედვით გამოხატა. აქ მეტ შემთხვევაში პორნოგრაფიული, ავადმყოფური ვნებათა ღელვაა გამოხატული. და არავინ ქართულ მწერლობაში ისე შორს არ წასულა ამ მხრივ, როგორც მ. ჯავახიშვილი; გაშიშვლებული ვნების, მხეცური ეინიანობის, ავადმყოფური ხორციელი გატაცების ეპიზოდები არავის ისე მუქად არ გამოუხატავს ქართულ ლიტერატურაში, როგორც მ. ჯავახიშვილს. აქ ქართულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გამოხატული კეთილშობილური სიყვარული შეცვლილია პურეუაზიული ბულვარული რომანების ქარგებითა და მოტივებით. ამ თვალსაზრისით სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეს თავის დროზე მ. ჯავახიშვილის რომანები, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მ. ჯავახიშვილს, როგორც ჭეშმარიტ მხატვარს, სიყვარულის გამოხატვაშიაც აქვს მეტნაკლებად დაცული ზომიერება და გადაჭარბებაც. არ შეგვიძლია არ განვიმსჭვალოთ თანაგრძნობით იმ გმირების ბედის მიმართ, რომლებსაც მ. ჯავახიშვილი ასეთი ზომიერებით გვიხატავს. მაგალითად, აქ უნდა დავასახელოთ მისი საინტერესო მოთხრობა „ყბაჩამ დაიგვიანა". ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, 18 წლის ბრმა თინა მწერალს აღჭურვილი ჰყავს გულწრფელი სასიყვარულო ვნებებითა და განცდებით. ამ

ქალის სიყვარულს ყველგან დიდი კეთილშობილება და ადამიანური თვისებანი აქვს შენარჩუნებული.

დარაჯი თომას ქალიშვილი თინა 6 წლისა იყო, როდესაც ავადმყოფობის გამო დაბრმავდა. სანამდის დედა ცოცხალი ჰყავდა, ამ ბრმა ქალიშვილს უვლიდა და ოჯახური ხელსაქმეც შეასწავლა. შემდეგ თინას დედა გარდაეცვალა და მამის ამარა დარჩა. თინას მეზობლად ცხოვრობდა ღარიბი გლეხის შვილი ყბაჩა. მათი ბავშვური ურთიერთობა შემდეგ სასიყვარულო განცდებში გადაიზარდა. მაგრამ ღარიბს და ღატაკ ყბაჩას არა მარტო ის აბრკოლებს, რომ ბრმაა თინა, არამედ ისიც, რომ არაფერი აქვს, ღარიბია. ის მოჯამაგირედ დადგება. ხორცით და ვნებით აღსავსე 18 წლის გოგონა დაღონებულია. ის ინსტინქტით გრძნობს გაღვიძებულ ვნებათა ღელვას და გამოსავალს ეძებს. ამ დროს ამ ოჯახში გამოჩნდება ქალაქელი მახინჯი, დაბალი, ხნიერი, კუზიანი, პირსახედამწვარი გონჯი სოლო. ბრმა თინა მასში მხოლოდ მამაკაცს გრძნობს, იცის რომ კოჭლია, მაგრამ ვერ წარმოუდგენია ეს სიკოჭლე. და აი, სოლოს მეოხებით ქალაქში ჩასულ თინას იმავე სააავადმყოფოში, სადაც სოლო წევს, ოპერაციას გაუკეთებენ და მხედველობას დაუბრუნებენ. ამ დროს ყბაჩაც გამოჩნდება. როცა თვალახელილი თინა შეხედავს, ერთი მხრივ, ამ გონჯს, კოჭლს, კუზიანს და პირსახედამწვარ სოლოს, ხოლო, მეორე მხრივ ახალგაზრდა, მოსხლეტილ, ბრუსა და ლამაზ ყბაჩას, მას სევდა შეიპყრობს. მაგრამ ბედს თავისი განაჩენი უკვე გამოუტანია, გვიანაა, და ეს კეთილშობილი ქალი მწარედ აქვითინდება. „—ყბაჩა, რად დაიგვიანე, რად დაიგვიანე, ბიჭო, რად დაიგვიანე, შე ურჯულოვ... შე ჩემი ცოდვით სავსე, შენა". მიუხედავად მკაცრი სინამდვილისა, ის სოლოს ერთგული მეუღლე რჩება. „მე სოლოს ცოლი ვარ, წადი, დამივიწყე, სოლო ჩემი ქმარია. სოლო ისეთი კაცი ყოფილა, რომ სოლომ თვალები ამიხილაო", ამბობს ის.

ასევე საინტერესოდაა გამოხატული სიყვარულის მწველი გრძნობა მოთხრობაში, რომელსაც ჰქვია „მესამე". გიმნაზიის მოსწავლე ირინე ალავერდის სპილენძის ქარხნის ინჟინერს, ჟან შოვერს, ექსკურსიის დროს გაეცნობა და მათ მაშინვე ერთმანეთი შეუყვარდებათ. მათი სატრფიალო თავგადასავლის მოწმეა ჟანის მოწაფე, მისივე მოსამსახურე, ქართველი ახალგაზრდა სანდრო, რომელსაც ასევე გულწრფელად უყვარს ეს ქალი, მაგრამ ვერ გაუმხელია. თავის მხრივ ირინე და-

ნიშნულია მეზობლის — ახალგაზრდა შალვას მიერ. ირინე ცოლად გაჰყვება ჟან შოვერს. ის ბედნიერი ცხოვრებით ნებივრობს, მაგრამ ბედნიერება ერთბაშად დაარღვია მსოფლიო ომმა. ჟან შოვერი ჯარში გაიწვიეს, შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ახლა ეს ქალი, მწველი სიყვარულით შეპყრობილი, ქმრის მოლოდინში შვილის სიყვარულით იტანს ყველაფერს. გადის დრო და მოდის ცნობა, რომ ჟან შოვერი დაიღუპაო. ირინესთან განაახლებს ურთიერთობას შალვა და, ბოლოს, ცოლად ირთავს. ირინეს ვაჟიშვილი შეეძინა შალვასაგან და თითქოს ბედნიერია, მაგრამ შალვა ეჭვიანი აღმოჩნდება, მეტისმეტად ეჭვიანი და სიცოცხლეს უმწარებს ქალს. ამ დროს გამოირკვევა, რომ ჟან შოვერი ცოცხალია. ირინეს ფული მოსდის მისგან: ჟან შოვერი შესთხოვს ყოფილ ცოლს ბავშვი მაინც აჩვენოს, რაკი ის გათხოვილია და მასზე უფლება აღარა აქვს. ირინე, მისი მეგობრის — ელოს რჩევით მიიპარება პარიზში, და რას ნახავს აქ! ჟან შოვერის აჩრდილიც აღარ დარჩენილა... შეშფოთებული ირინე და თავისი შვილი უკან გამორბიან, მაგრამ შვილს მამას უბრუნებენ და ირინე ისევ თბილისში ჩამოდის. აქ ელოსაგან გაიგებს, რომ შალვას ელო შეურთავს, მისი შვილი კი სოფელში გაუგზავნია. გაწბილებულ, ცხოვრებისაგან გულგატეხილ ირინეს ამ დროს სანდრო ესტუმრება და მისი ცხოვრების მესამე მეგობარი გახდება.

მთელი ეს სატრფიალო თავგადასავალი ამ მოთხრობაში გამოხატულია დიდი ზომიერებით და მწველი სიყვარულის გრძნობებით. მ. ჯავახიშვილს ქალ-ვაჟის დამოკიდებულება უმეტესად ავადმყოფურ, ფიზიოლოგიურ გრძნობათა სფეროში აქვს გადატანილი. ასეთია, კერძოდ, მოთხრობა „ოქროს კბილი". ქალებისაგან დაშინებული და შემდეგ ქალების ავადმყოფურად მოტრფიალე თომა აქ დახატულია, როგორც პათოლოგიური ტიპი. ჯერ მის მიერ მოპარული ქალის საცვალი, შემდეგ მისივე თანამშრომლებთან დამოკიდებულება და, ბოლოს, ერთი შეხედვით ნანახი ქალით — თამარით გატაცება, აღწერილია აქ, როგორც ავადმყოფური ვნების გამოვლინება. სქესთა ურთიერთობა აქ თავიდან ბოლომდე ამ ავადმყოფურ, პათოლოგიურ განწყობილებას ეფუძნება. ასეთი ტიპია არა მარტო თომა, არამედ თამარიც. ვინც დაკვირვებით წაიკითხავს „ოქროს კბილში" თამარის წერილს დისადმი, ისეთსავე ავადმყოფურ, პათოლოგიურ გრძნობებს დაინახავს, როგორც თვით თომას მთელ თავგადასავალში მოთხრობის მანძილზე.

ეროტული, ავადმყოფური სიყვარულია მოთხრობილი „მუსუსში“. ასეთი ხაზი გასდევს მ. ჯავახიშვილის რომანებსაც, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჯაყოს ხიზნები“.

*

მ. ჯავახიშვილმა თავისი შეხედულებანი, მრწამსი, მხატვრული სტილი და ბუნება, როგორც მხატვარმა, მთელი სრულყოფილობით რომანებში გამოხატა. ჩვენი ბელეტრისტი აქაც ორიგინალურ გზას გაკაფავს ქართულ მწერლობაში და თავისებურ რთულსა და წინააღმდეგობით აღსავსე გზას გაივლის, როგორც რომანისტი.

1923—26 წლებში მ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა რომანები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“ და „თეთრი საყელო“.

„კვაჭი კვაჭანტირაძეში“ ავტორმა სცადა დაეხატა ძველისა და ახლის ურთიერთობა გარდასულ ისტორიულ მოვლენათა ფონზე. ამ ურთიერთობის დახატვის დროს მ. ჯავახიშვილმა უფრო დიდი ყურადღება დაუთმო საქმოსანი ადამიანების გამოსახვას, ცხოვრების მიერ უკანონოდ ამოტივტივებული, გაქნილი საერთაშორისო ავანტიურისტის — კვაჭი კვაჭანტირაძის ხასიათის გამოხატვას. მან ერთგვარი რომანტიკული სურნელება მოაფრქვია ამგვარ ხასიათებს და თავისი პოზიცია, თავისი დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილისადმი, როგორც მხატვარმა, მკვეთრად არ გამოავლინა.

ძველისა და ახლის ურთიერთობის ვრცელი სურათები გამოხატა მწერალმა აგრეთვე რომანში — „თეთრი საყელო“. ამ ნაწარმოებში თითქმის უფრო ნათელი იყო მწერლის პოზიცია. მოთხრობაში აღწერილია სპილენძის საძიებლად ალაზნის სათავეებისაკენ — მაღალ ბორბალოს მთებში მოგზაური ვაჟიკას თავგადასავალი. ცივილიზებულ ბარზე გულაყრილი კაცის მოგზაურობა მიუვალ მთებში — ხევსურეთში აღწერილია მოთხრობაში დიდი რომანტიკით. ნაქერალასა და გომბორის მთების გადალახვის დროს ვაჟიკას თვალწინ წარმოუდგება ლეგენდარული, ძველი ტრადიციების ერთგული დამცველი ხევსურები.

„ცხადი გათავდა, ლეგენდა დაიწყო; ლაშქარი პირუკუღმა დაჭედილი ბედაურებით, აგერ, ის ბახტრიონი რომ გამოგლიჯა შაჰინშაჰს ხეპრული ხერხით...

დღესაც აბჯარ-დაშნა-ჩაფხუტით შეჭედული ხევსურები აქ არიან ყველანი და ყოველივე ზღაპრისა და ლეგენდის ნავლით შეხავსულა.

დიდი ბუჩქის ძირში ბუნდოვანი მითი ფუსფუსებს, პიტალო კლდეზე რაინდული არაკია გაკრული, ხოლო ვარდნილ ხეებსა და მოლიპულ ქვებზე ჟანგიანი ლურსმნებით გალექსილი ეპოსია ამოჭრილი".

აი ასეთ ქვეყანაში მოხვდა ცივილიზებული ბარის პირმშო ვაჟიკა — ელიზბარი.

მწერალს აღწერილი აქვს ამ კაცის უთავბოლო ხეტიალი მიუვალ მთებსა და სალ კლდეებში, მისი შეხვედრა ძმადნაფიც ხევსურ ჯურხასთან. ამას მოსდევს ამბავი ამ ძმადნაფიც ჯურხას შესახებ.

ჯურხა ხევსურია. როდესაც იგი თბილისს გამოემგზავრა და გზად ბარის სოფლებში ფრთოსანი ფრინველები დაინახა, იმანაც გააოცა, ეტლმა და მანქანამ სულ თავბრუ დაახვია, ქალაქში მთლად დაიბნა; კინტოების, ბაზრის ბიჭების გაპამპულებას ვერ გადაურჩა. კინტოებმა იგი დუქანში მიიპატიჟეს, დაათვრეს, გაფცქვნეს და მეორე დღეს სასაფლაოზე იპოვნეს გაფცქვნილი და არაყით ნამთვრალევი. ქალაქის ჯოჯოხეთში გამოვლილმა, ძლივს მიაგნო შორეულ ბიძას — თოთია წიკლაურს. აი აქ გაიცნო პირველად ჯურხა ელიზბარმა. ჯურხას მისი სახელი არ მოეწონა, — ელიზბარი რა ვაჟკაცის სახელიაო, — და ვაჟიკა შეარქვა. აქვე გაიცნო მან ძიძიგურის ცოლი იამზე, მისი ქალიშვილები — მზექალა და ხათუთა. ჯურხამ მზექალა დანიშნა. შემდეგ ელიზბარს რუსეთში წაჰყვა, ომის ფრონტზე მოხვდა და სიკვდილს თავი ძლივს დააღწია. ომიდან დაბრუნებული, თავის საყვარელ ხევსურეთს მიუბრუნდა.

ჯურხა ოცნებობს, რომ ბაგრატიონის გვარი კვლავ გამეფდეს, „პირობის წიგნი" რუსებმა რომ გააფუჭეს, ერეკლე მეორეს რომ პირობა დაურღვიეს, ის კვლავ აღდგეს.

აი, ამ მეგობარს ესტუმრა ახლა ხევსურეთში სპილენძის საძიებლად წამოსული ელიზბარი, უფრო სწორად, საბჭოთა მთავრობისაგან უფლებებით და თანამდებობით განებივრებულ ცოლს გამოქცეული.

ჯურხა უამბობს მეგობარს თავისი სოფლის ამბავს, გააცნობს მას ხათუთას და საიდუმლოდ ეუბნება: „ჯერ ჩვენს სოფელში წითელი ეშმა არ მოსულა და იმას ვემალებითო".

ხათუთა — ეს ულამაზესი ხევსური გოგონა — იმავე ღამეს ჩაუწვინეს ელიზბარს ლოგინში და ამას მოსდევს წაწლობის აღწერა, რასაც მწერალი დიდ დროსა და ენერგიას ანდომებს. ელიზბარს გულწრფელად შეუყვარდა ხათუთა, მაგრამ მოწინააღმდეგენიც აღმოაჩნ-

დნენ. ცნობილ ხევსურ ვაჟკაცებს — დათიას და აპრაკუნეს ასევე უყვართ ხევსური გოგონა. ხევსურეთში გამოიწვრთობა ელიზბარი, ვაჟკაცობას და სახელს დაიმკვიდრებს, ხათუთასთვის შეჯიბრებაში არა ერთხელ მოუგებს ხევსურებს იარაღის ხმარებაში და სროლაში.

ასე გააწიკლაურა ჯურხამ ვაჟიკაც, რომელმაც მეტოქე დათვია, როგორც ხევსურმა, ისე მოკლა. ჯილდოდ კი ხათუთა ერგო ცოლად.

ამას მოსდევს ჯურხასა და ვაჟიკას ნადირობის სცენა. სწორედ ამ ნადირობის დროს წააწყდებიან ისინი სპილენძის მდიდარ საბადოებს, მაგრამ ჯურხა შეგნებით განარიდებს მას, სთხოვს ხელი აიღოს თავის განზრახვაზე, რადგან ამას ის მოჰყვება, რომ „გზა გაიკაფება, მავთული გაიბმება, მილიცია მოვა და ხელისუფლება, სამართალი, გადასახადი, მანქანა, ორთქლი და ათასი ეშმაკეული გაჩნდება“, და ეს არ უნდა ჯურხას — ფარსმან მეფის ეპოქის დარაჯს. ამავე გარემოების გამოა წინააღმდეგი ჯურხა განათლების. „განათლება ხევსურებსაც დაალპობს, გადააშენებს, წითელ რჯულზედ გადაიყვანს“.

ელიზბარი-ვაჟიკა დიდხანს ისმენს ხევსურთა ამ ქადაგებას და მათი იდეების პირუთვნელი მოტრფიალეც ხდება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგი, ცივილიზებული ბარის პირმშო, ვერ შეეგუება საბოლოოდ ხევსურეთს და გადაწყვეტს გაეპაროს ძმადნაფიც ჯურხასაც, სატრფო ხათუთასაც და საყვარელ ხევსურეთსაც. გზააბნეულს ისევ ხევსურები იხსნიან. მათი სიკეთე იმდენად დიდია, რომ არ უნდა მას უმადური იყოს მთის სიკეთის მიმართ, მით უმეტეს, რომ სწორედ მთას მიმართა მან გადასარჩენად. გაპარვის წინ ასეთი ბარათით მიმართავს ხათუთას: „დინჯად და მშვიდად გეუბნები — ქვეყნის ქარიშხალმა გამომწურა და დამწრიტა. ამიტომ დავრჩი ჯურღაანთ უბანში. ამიტომ გავწიკლაურდი. თქვენი სოფელი მიწის ძუძუდ მომეჩვენა, მეც დავეწაფე და დავისვენე. უთვალავია თქვენი მადლი, წიკლაურებო, განუზომელია თქვენი სიკეთე, ხევსურებო, აუწონავია-მეთქი თქვენი სიყვარული, მაგრამ რკინასავით მძიმეა, ვერ ვზიდე, ვერ მოვერიე. მიშველეთ, მომხსენით, ამიშვით, გამიშვით! გამიშვით, თორემ აქლემივით დავვარდები და ვეღარავინ ვერ ამაყენებს. ეხლა მშობლიური ბარი მეძახის — მიბრძანებს. გარდუვალია კანონი და უძლეველია ძალა მისი. ამიტომ მივდივარ, მიტომ ვუბრუნდები უძღები შვილი ჩემს ბარაქიან მშობელს—ბარს, ქალაქს, ხალხს, ცხოვრებას და ნამდვილ მიწას, ქა-

ლაქში მდუღარე ორთქლი და გახამებული საყელო, ჯადოსნური ელექ-ტრონი და თეთრი საყელო მომელის, ცოცხალი რკინა და კბილის საწ-მენდი, წიგნი და რადიო, ხრონომეტრი და რენტგენი, საპონი და აბანო ბელოდებიან. თქვენი კი აღარა მჯერა, ჩემო უვიწყარნო: აღარც კუდია-ნი ოჩოპინტრე, აღარც თეიმურაზ ბატონიშვილი, არც ჯავშანმუზა-რადნი, არც ფარსმან მეფე, არც დაშნა და არც თარი, არც კაჟიანი თოფი და აღარც მაზუხარა, არც იაპონია და აღარც ხინკალი, აღარც კუდიანი წუხრა. ყველას უღრმესი სალამი და მადლობა, — თქვენცა და ოჩოპინტრესაც, თეიმურაზსაც და ხინკალსაც. ფარსმანსაცა ღა ჩაფხუტსაც, კაჟიან თოფსაც და იაპონიიდან მომავალ ბატონიშვილ-საც. ყველამ თავისი შეასრულა და წავიდა. წავიდა და აღარ დაბრუნ-დება. მე კი ბარში და ქალაქში მომელის ჩვენი მომავალი, მომელის და თოკით მიმათრევს, თოკით! ამ თოკის ბოლოს აქ ვტოვებ, ყელზე გექნებათ მიბმული. მე იქიდან მოვწევ, თქვენ აქედან მომზიდეთ, — ვნახოთ, ვინ გადასწევს — თქვენ თუ ქალაქი: თუ ჩაგითრიეთ, ვცხონ-დებით. თუ მაჯობეთ — ვაი ჩვენი ბრალი, ვერც იაპონია გვიშველის მაშინ და ვერც ოჩოპინტრე, ვეღარც ხინკალი აგვაყენებს და ვეღარც ფარსმანი გაგვაცოცხლებს. მაშ აგრე, ძვირფასო მამებო, დედებო, ძმებო და დებო! მშვიდობით და მადლობთ!"

ასე კარგად ჩამოაყალიბა მწერალმა თავისი დამოკიდებულება მთასთან, პირველყოფილობასთან. მართალია, მ. ჯავახიშვილმა დიდი რომანტიკით გამოხატა პირველყოფილი მთა, მაგრამ მისმა რეალიზმ-მა აქაც იჩინა თავი და მთის მადლთან ერთად მისი ნაკლიც სააშკარაო-ზე გამოიტანა. საბოლოო ანგარიშში, როცა აწონ-დაწონა, უპირატე-სობა ბარს მიანიჭა.

ასე მოაშურა ბარს ბარზე, ცივილიზაციაზე, საბჭოთა სინამდვი-ლეზე გულაყრილმა კაცმა ვაჟიკამ და თან ჩამოიყვანა თავისი ცოლი ხა-თუთა და შვილი ნოდარი. მას თან გამოჰყვა მთის ღონე და ძალა, მი-სი სიჯანსაღე და პირდაპირობა. თვითონ მოიხსნა ხევსურული ტალა-ვარი და თეთრი საყელო გაიკეთა.

ასე დამაჯერებლად გვიჩვენა მწერალმა ძველისა და ახლის ბრძო-ლაში უპირატესობა ახლისა, ახლისა, რომელიც ბარისა და ცივილი-ზაციის გზას უკავშირდება.

მიხეილ ჯავახიშვილმა ამ რომანში ერთმანეთს შეუსადარა პრიმი-ტიული, ჩაკეტილი ხევსურეთი და ცივილიზებული დიდი ქალაქი. ხევ-

სურეთი წარმოდგენილია პირველყოფილობის, პრიმიტივის დიდი რომანტიკით: ხევსურეთში შემონახული ზნე-ჩვეულებანი, ლეგენდები, შელოცვები, ტრადიციული ვაჟკაცობის კულტი, ხევსურული ტალავარით, ჯავშნითა და დაშნით შეიარაღებული ბუნების უშუალო შვილი, მარტივი განცდებითა და წარმოდგენებით, მტკიცედ შემოფარგლულია პირველყოფილობის ტრადიციებით. ხევსური გულდაჯერებულია ცხოვრების ასეთი წესის უპირატესობაში, იმდენად გულდაჯერებული, რომ ჯურხამ, რომელმაც მთელი ქვეყანა შემოიარა, ომისა და ბრძოლის ქარცეცხლში გამოიარა ევროპული და რუსული ქალაქები, ისევ მთას მიაშურა და მის ტრადიციებს დაუდგა დარაჯად. მას შეგნებულად სწამს ამ ტრადიციების, მთის ზნეობისა და ცხოვრების წესის უპირატესობა ბარზე, ქალაქზე. მწერალმა ამ მთას, მის ტრადიციას აზიარა ცივილიზირებული ელიზბარი. მან ქალაქზე გულაყრილი კაცის თვალით შეხედა მთების მთელ ამ ტრადიციას, ქალაქიდან გაქცეული გაწიკლაურებული ვაჟიკა ბოლოს და ბოლოს ვერ უძლებს მაინც პრიმიტივიზმის რკინის კანონს და ისევ ქალაქს დაუბრუნდება.

ამ ნაწარმოების ძირითადი იდეა და მწერლის ჩანაფიქრი ყველაზე კარგად თვითონ მ. ჯავახიშვილს აქვს ახსნილი. 1926 წელს მ. ჯავახიშვილი ვალია ბახტაძეს პირადი ბარათის პასუხად სწერდა:

„ძეტისმეტად ნუ გავამარტივებთ პრობლემას. მე ტილისა და რადიოს შედარება კი არ მინდოდა, არამედ პრიმიტივისა და კულტურისა, საშუალო საუკუნეების კარჩაკეტილობისა და დღევანდელი კარღიობისა, განდეგილობისა და ქალაქის სოციალობისა, ცოცხალი რომანტიკისა და მიწა-ქალაქის რეალობისა...

ორივე პირველ დედას უბრუნდება. ხევსური ჯურხა — ხევსურეთს, ქალაქელი ელიზბარი — ქალაქს. პირველი გაურბის ქალაქს, მეორე ქალაქს უბრუნდება.

ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ: თემატიკურად „თეთრ საყელოში“ ახალი არაფერია, ეს თემა, ქალაქიდან გაქცევა და პრიმიტივისა და კულტურის დაპირისპირება, რუსოს, ჰამსუნს, კელერმანს და სხვა მწერლებსაც გამოუყენებიათ. მე იმით განვსხვავდები მათგან, რომ გმირი ისევ ქალაქში დავაბრუნე. ე. ი. კარჩაკეტილობა დავგმე და გამარჯვება კულტურას მივაკუთვნე“*.

---

* იხ. „მნათობი“, № 11-12, 1934 წ.

ავტორის ამ განმარტებას უნდა დავეთანხმოთ. ოღონდ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ მ. ჯავახიშვილი უთუოდ ხედავს თავისებურ სიკეთეს მთის ცხოვრებასა და ტრადიციაში. ეს სიკეთე ქალაქის გაჯანსაღების დაუშრეტელი წყაროა. ამ თვალსაზრისით შემთხვევით როდია დაპირისპირებული ქალაქელი ქალი ცუცქია და ხევსური ხათუთა. ქალაქისაგან თავმობეზრებულ ელიზბარს მთისაკენ აუტანელი ცოლიც ებიძგებოდა. და აი, მთაში აირჩია და შეიყვარა მან ბუნების შვილი. კეთილი ქალი ხათუთა. ლირიკული სულისა და ვაჟკაცური გულის ქალი, შვილების და სიკეთის დიდი მოტრფიალე. გულგამოხრული ელიზბარის გაჯანსაღების თავისებური სათავე, და სიმბოლიკაც საქართველოს ერის გადარჩენისა და გამრავლებისა, — უთუოდ ამ ქალის ადგილის დედასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ამის გამო, როდესაც „თეთრ საყელოს“ ძირითად იდეურ ხაზს ვარჩევთ, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა იმდენად მთისა და ქალაქის, პრიმიტივისა და ცივილიზაციის დაპირისპირებაზე (ასეთ დაპირისპირებას ჩვენ აქ არ ვხედავთ), არამედ პრიმიტივისა და ცივილიზაციის, მთისა და ქალაქის შედარებაზე, მათი ღირსებისა და ნაკლის აწონ-დაწონაზე, და, ყველაფერი ეს მოცემულია მწერლის მიერ დიდი დაფიქრებითა და დაკვირვებით. ეს შედარებითი ლაიტმოტივი თან გასდევს რომანს ბოლომდის, მხოლოდ ამ შედარების შემდეგ მაინც ნათელია, რომ ჯავახიშვილს დაგმობილი აქვს კარჩაკეტილობა და პირველყოფილობა თავისთავად, დამოუკიდებლად და ამ ფონზე სიკეთეთა უპირატესობა ცივილიზირებული ქალაქისა უფრო ნათელი ხდება.

ამის მიხედვით, მ. ჯავახიშვილის პოზიცია, როგორც მწერლისა, ნათლად მოჩანს. მართალია, იგი საბჭოთა ხელისუფლებას ხან ეშმას სახელით გვიხატავს, ხან წითელი ეშმაკუნას ფრაზაში გვაძლევს, მაგრამ მაინც დიდ მხატვარს სჯერა, რომ გზა საქართველოს მომავლისა დაკავშირებულია იმ ბართან, ცივილიზაციის იმ გზასთან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას დაუკავშირა ისტორიამ და ისტორიის კანონი ისეთი ძლიერია და გარდუვალი, რომ მას პიროვნული სიმპათიები ან ანტიპათიები ვერ შეცვლის.

მ. ჯავახიშვილი უბადლო რეალისტია, მაგრამ რეალისტი ბურჟუაზიული ეპოქის მიერ ჩამოყალიბებული მწერლის ტიპისა, ამიტომაც ძირითადი ტენდენცია ახალი სოციალისტური საზოგადოებისა მისთვის ყოველთვის ნათელი როდი იყო. როდესაც იგი ძველ მომაკვდავ

კლასთა სახეებს ხატავდა, ან იძლეოდა ტრაგედიას იმ ადამიანებისა, რომლებიც დაუპირდაპირდნენ ახალს და მასთან ბრძოლაში ძველისაგან მოწაძლული მათი შეგნება გახდა მსხვერპლად ამ ახლისა, ან ხატავდა ჟულიკებსა და ბანდიტებს, — იგი ნახულობდა უხვ ფერებს, მდიდარ პასაჟებს. იჩენდა გასაოცარ ფერწერით ნიჭს მათს გამოსასახავად. ეს ძალა არ ჰქონდა იმ გმირებს, რომელთაც ახალი ცხოვრების გამოსახვის ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული. ჩვენი მწერლობისათვის, საბჭოთა მწერლობისათვის, პარტიული მხატვრობისათვის დამახასიათებელი მებრძოლი თვისება აკლდა მის რეალიზმს და აქედან წარმოდგებოდა მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა იდეური ხასიათის შეცდომები. მისთვის არ იყო უცხო ნატურალიზმიც — ეს იქნებოდა ყოფის, მორალის თუ ადამიანის სხვა თვისებების გამოხატვისათვის გამოყენებული. ეს გარემოება კი ხელს უშლიდა მას ყოველთვის სწორად დაენახა ცხოვრების რთულ სურათში რევოლუციური განვითარების მთავარი პროცესი, რომელიც მუდამ ძველთან ბრძოლაში გამარჯვებით მთავრდებოდა. მ. ჯავახიშვილმა სცადა, გამოეხატა ახალი, სოციალისტური სინამდვილით გამოწვეული ეს ცვლილებანი ცნობილ „ჯაყოს ხიზნებში“.

ეს რომანი დაწერილია 1924 წელს. მასში ვრცლადაა გამოხატული ძველი, ფეოდალური წყობილებისა და კლასების მსხვრევა და დაღუპვა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწის დიდი მფლობელები — ფეოდალები ხელშეუხებელნი დარჩნენ. ბატონყმობის ფორმალურმა გაუქმებამ მათ შეუნარჩუნა მიწის მფლობელობა და ისინი კვლავ მოქმედებდნენ სოფლად და ცხოვრობდნენ ძველის უფლებებითა და პრივილეგიებით. მართალია, ბურჟუაზიულმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ, რომელმაც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ სწრაფად მოიკიდა ფეხი საქართველოშიაც, შეარყია ფეოდალიზმის კედლები, თანდათანობით გამოსტაცა ქონებრივი სიმდიდრე და ხელთ იგდო უპირატესობანი, მაგრამ საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი სისტემა და მეფის ხელისუფლება ფეოდალიზმის ნარჩენებს, მემამულეებს კვლავ ზურგს უმაგრებდა. საბოლოოდ ისინი ბურჟუაზიასთან ერთად, მეფის ხელისუფლებასთან ერთად ძირს დასცა და მოსპო მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ.

ამ რომანში ასახულია სწორედ ეს უკანასკნელი პერიოდი. ძველი მემამულის, ნათავადარის, ამავე დროს, მწიგნობარისა და ნაველილარის

თეიმურაზ ხევისთავის ბედში ოსტატურად არის განზოგადებული და გამოსახული ფეოდალური კლასის საბოლოო მსხვრევა. რომანის ცენტრში ავტორმა დააყენა რევოლუციის მიერ უფლებააყრილი ახალი საზოგადოებრივი სისტემის მიერ, ოქტომბრის რევოლუციის მიერ განიარაღებული ნამამულევის ბედისტრიალი. ავტორი ვრცლად გადმოგვცემს ამ ადამიანის სულიერ ცხოვრებას, მის საზოგადოებრივ ინტერესებს, ფიქრსა და მისწრაფებას, იდეალსა და განზრახვას, რომელსაც ნიადაგი საბოლოოდ შეურყია და გამოაცალა ოქტომბრის რევოლუციამ. ვინ არის იგი? „თეიმურაზ ხევისთავი ორმოცი წლის ახალგაზრდა მოხუცი გახდა, ნათავადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი და ნავექილარი.

ერთ დროს ლიახვის ნაპირზე სოფელ ნაშნიდარში მას ჰქონდა პაპისეული ციხე-დარბაზი, ქვიტკირის მოზრდილი ბოსელი, მუხის ბეღელი, თავმონგრეული კოშკი, მარანი, ხუთიოდე დღიური ბაღ-ვენახი. კაკლის დიდი ჭალა და სამიოდე ათასი დღიური სახნავი. ლიახვის სათავეში მასვე ეკუთნოდა ოთხიათასი დღიური ხელუხლებელი ნაძვნარი, რომელიც თეიმურაზის მამამ ავთანდილმა ისე შეკრა და შეინახა, რომ სანამ ცოცხალი იყო — იმ ტყეში ერთ ხესაც არავის მოაჭრევინებდა, მერმე, როცა ავთანდილი გარდაიცვალა და თავისი მეუღლე სოფიოც თან წაიყვანა, ერთადერთმა მემკვიდრემ, ახალგაზრდა თეიმურაზ ხევისთავმა მოურავობაში დაბერებულ პეტრე დევდარაშვილს უთხრა: ტყეცა და სახნავ-სათესიც ხალხს ეკუთვნის, თავი დაანებე, ღალას ნუღარ გამოართმევ, ხალხი არ შეაწუხო, აყალმაყალს მოერიდე, თორემ ჩემი მტრები ისარგებლებენ, გაზეთებში გამლანძღავენ და საქვეყნოდ თავს მომჭრიან“. აი ამგვარი მემამულე კაცი, წიგნებში თავჩარგული, წიგნის ჭია, როგორც ავტორი უწოდებს, შემდეგ გაზეთების რედაქტორი და გამომცემელი, ათასგვარი ლიბერალური საგაზეთო წერილების ავტორი, მოფუსფუსე საზოგადოებრივი მოღვაწე მწერალმა დაგვიხატა, როგორც პოლიტიკურად უკიდურესი რადიკალი და ხალხოსანი. ეს ლიბერალი მწიგნობარი თავისებურად მომხრეა თავისუფლებისა და ხალხთა განთავისუფლების პროპაგანდითაც გამოდის. აქედან მოძდინარეობს მისი კეთილი განწყობილება გლეხობასთან, რომელსაც ყოველთვის წინ აღუდგება ხოლმე მისი ახალი მოურავი ჯაყო; იგი გავლენიანი კაცი იყო თავის პარტიაში, მისი პროგრამის მომხრენი მუდამ თეიმურაზს აწერინებენ პარტიის საპროგრამო წერი-

ლებს, ის გამოჰყავდათ ლიდერად სხვა შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში და კამათში და ამ მხრივ მას თითქოს თავისი გარკვეული ადგილი ჰქონდა საზოგადოებაში. ამითაც კმაყოფილი იყო და ბედნიერი, მით უმეტეს, სოფლის მამული, რომელსაც ფაქტიურად ჯაყო პატრონობდა, მაინც ჰყოფნიდა მას „მეწველ ფურად და აგარაკად". ამისდა მიუხედავად, მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ბედოვლათ მემამულეს არც მამულის მოვლის თავი ჰქონდა, არც შექმნილ ვითარებაში ერკვეოდა და ლიბერალური გზებით მიჰყვებოდა ცხოვრების ინერციას. ამით ისარგებლა, უპირველეს ყოვლისა, მოურავმა ჯაყო ჯივაშვილმა, რომელიც შემდეგ არსებითად გახდება ხევისთავის ქონების ბატონ-პატრონი და მისი ბედის გამგებელი.

რომანში ვრცლად არის გამოხატული ნამოღვაწარი ნათავადარის, თეიმურაზ ხევისთავის ეს გარეგანი ლიბერალური მისწრაფებანი და იდეალები. სწორედ ამის გამო იყო, რომ თებერვლის რევოლუციას, რომელმაც მეფის ხელისუფლება ძირს ჩამოაგდო, თეიმურაზ ხევისთავი მიესალმა. ამ ლიბერალ მემამულეს ეგონა, რომ ეს იყო ის გზა, რომელზედაც იგი ფიქრობდა და წერდა, ეგონა, რომ ეს მოუტანდა ნანატრ „თავისუფლებას და ქუდმოგლეჯილი დარბოდა და გაიძახოდა: თავისუფლებას გაუმარჯოს, ვაშა! რევოლუციას გაუმარჯოს. ძირს მეფე და ძალადობა და მეათასეჯერ წერდა და ილოღნიდა". მაგრამ ეს ლიბერალი, ძველი ფეოდალი მალე დარწმუნდა, რომ თებერვლის რევოლუციისა და მისი მომყოლი ოქტომბრის რევოლუციის გზა სულ სხვა გზა იყო, ამ ნათავადარის იდეალები კიდევ — სხვა, და თეიმურაზი მალე გაეყარა რევოლუციას, რევოლუციისა და თეიმურაზის გზები სხვადასხვა აღმოჩნდა. რევოლუციამ შეარყია და ძირს დასცა სწორედ ის დაბერებული მუხა, რომლის ტოტზე იყო ჩამოკიდებული თეიმურაზ ხევისთავი, და იგი მალე გადაუდგა რევოლუციის გზებს და მორთო წუწუნი: „გვიშველეთ, დავიღუპეთ, გვიშველეთ". როგორც მწერალი სამართლიანად შენიშნავს, მშველელი არსად ჩანდა. განწირულის კვილი და გოდება თანდათან მისუსტდა, მიიბნიდა და, ბოლოს, სადღაც ჯურღმულში მიწყდა. ახალმა ცხოვრებამ, რევოლუციურმა საქართველომ თეიმურაზისა და მის მსგავს მუქთახორათა ცხოვრების გზები დაანგრიეს და როცა თეიმურაზს ცხოვრებამ მიწამდე მოუღუნა კისერი და ულმობელად დაკეცა იგი, მოდრეკილმა მწიგნობარმა, განიარაღებულმა რევოლუციის მიერ ხელი მიჰყო თავისი ში-

ნაური ქონების ყიდვა-გაყიდვას, მაგრამ ვერც ამან უშველა, ახლად შერთული ლამაზი ფეოდალი ქალის — მარგოს ბედიც მისივე მსგავსად ამ ცხოვრების მძიმე კალაპოტში აღმოჩნდა. თეიმურაზი დარწმუნდა, რომ ძველებური დიდების გზები დაინგრა და მას ასპარეზი მოესპო. ცხოვრებამ იგი საბოლოოდ გარიყა „და უკვე უსაქმური თეიმურაზი ზოგჯერ მთელ დღეს ტრიალებდა საკომისიო მაღაზიებში, ცნობდა მეგობართა და ნაცნობთა საქვეყნოდ გატანილ ნივთებს, ჩუმის კვნესით კვნესოდა, გულამომჯდარი ჩიოდა და საკუთარის თვალით ხედავდა თავისივე თვალწინ დატრიალებულსა და საკუთარ კისერზე დაწერილ ახალს ულმობელ ისტორიას, რომლის წყალობით ერთნი ამ ქვეყნის ასპარეზიდან უკვე მიდიოდნენ და თავიანთ წარსულს ჰყიდნენ, ხოლო მეორენი ახალ ქვეყნიდან მოდიოდნენ და თავიანთ მომავალს ყიდულობდნენ“.

უასპარეზო, უნიადაგო ბედოვლათს, უყაირათო-მწიგნობარ ნათავადარს ცხოვრების გზა ვერ გამოუნახავს. იგი გადაემტერა ყველას და, უპირველესად ყოვლისა, ოქტომბრის რევოლუციის გზას, მაგრამ ამ ფუჭ მეოცნებეს არც მტრობის და ბრძოლის შნო აქვს. მწერალმა ამ სახეში დაგვიხატა სავსებით განიარაღებული, ფუჭი, მეოცნებე, ფეოდალი ინტელიგენტის სახე, ინტელიგენტისა, რომელსაც კბილები დააძრო ცხოვრებამ და სრულიად უნიადაგო კაცად აქცია. და ასე სავსებით გარიყულმა ცხოვრებისაგან, რომელსაც მთელი მამული და ქონება სოფლად რევოლუციას მიტმასნილმა ჯაყომ წაართვა, ჯერ დალალობას მოჰკიდებს ხელს, როცა აქედან არაფერი გამოუვიდა, შემდეგ ძველი ნაცნობები და მეგობრები მოიკითხა და დახმარებისთვის მიმართა. მაგრამ ძველმა მეგობრებმა ცხვირწინ კარები მიუკეტეს და ხელი აიღეს ამ უნიადაგო მეოცნებე ფეოდალზე. ქალაქში თორმეტოთახიანი ბინა ჯერ თვითონ გადაცვალა ექვსოთახიანზე, შემდეგ აქაც შეავიწროეს თეიმურაზი და აი, საბოლოოდ ნიადაგგამოცლილი ქალაქში გადაწყვეტს სოფელში დაბრუნდეს და თავის ყოფილ მოურავს შეეხიზნოს. ოდესღაც ბრწყინვალე ფეოდალი ახლა მისივე მოურავის ჯაყოს ხიზანი გახდება. აქ კი საბოლოოდ გამომზეურდა მისი უნიათობა, უბადრუკობა და უნიადაგობა. მან თავისი ბედი ბრმად მიანდო ისეთ გარყვნილს, მოხერხებულსა და გაიძვერა კაცს, როგორიც ჯაყო იყო. და მანაც, როგორც უბრალო ნივთი, ისე ათამაშა, სანამდის მთლად არ გაამასხარავა ეს ყოფილი ფეოდალი. ჯერ იყო და სა-

ხლში აბუჩად იგდებდა ამ ყოფილ მემამულეს, შემდეგ წაართვა საკუთარი ცოლი. ყველაფერი ეს მის თვალწინ, მის გვერდით ხდებოდა და მას არ ყოფნიდა არც ძალა, არც მორალური სიმტკიცე, არც გამბედაობა ქმრისა, რომ წინ აღდგომოდა თავის შეურაცხმყოფელ ჯაყოს; ის როგორც უბრალო ჩვარი, ისე ითელება ეკონომიურადაც და მორალურადაც ამ სოფლის გაკულაკებული, თავზე ხელაღებული პარაზიტის მიერ.

ჯაყომ, რომელიც რევოლუციას მიეტმასნა და რომელიც მოურავობის დროს კარგად გაიწვრთნა გაიძვერობაში, ახლა მთლიანად ჩაიგდო ხელთ თეიმურაზი. ჯაყოს აქვს ზოგიერთი უპირატესობა: იგი დათვივით მოუხეშავია, მაგრამ ძლიერი ძალაა, გარეგნულად ნაზსა და უნიათო თეიმურაზს ჯაბნის. ეს ფიზიკური უპირატესობა ჯაყოს გამოყენებული აქვს მთელი სისრულით. ამ განსხვავებულ სახეებს მწერალი რომანის დასაწყისშივე წარმოგვიდგენს:

„ჯაყო ჯილაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარბეჭს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა, რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირისახე შავი, ხშირი და აბურძგნილი ჯაგრით ჰქონდა შემოსილი.

ერთი ბტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებული ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ; ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ.

შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა, ცხვირი — მოკლე და აჭყლეტილი, თვალები—მსხვილი კაკლისოდენა და ამოყრილი, თანაც ცოცხალი და ცუღლუტი, მოელვარე და მოუსვენარი. თვალებს ზედ დასწოლოდა დაბურული, ხშირი და გრძელი წარბების ლარი, რომელიც მაღალსა და წინწამოვარდნილ კვინიხზე შუაზე გადატეხილი იყო. თავად ეხურა ყავისფერი ნაბდის ქუდი, ტანთ ეცვა შალის გაპოხილი ჩოხა, ხოლო ფეხებზე — ხალვათი პაიჭები, ჭრელი წინდები და ახლად ნაყიდი დაბახანური ჩუსტები, ერთი ადლის სიგრძე და ვერცხლით შეჭედილი თეიმურაზის პაპისეული ხანჯალი ტლანქსა და ბეჭვანიერ გოლიათს ხალვათ სიარულისთვის თეძოზე ჩამოეკიდნა.

ჯაყოს ერთ ხელში რკინით ნაჭედი მაჯის სისქე კომბალი ეჭირა, ხოლო მეორე იღლიაში ჭედილა ცხვარი ამოეჩარნა, რომელიც ისე ად-

ვილად მიჰქონდა, თითქოს ის ცხვარი ვარიაზე მძიმე არ ყოფილიყოს. ბეჭებზე რუსული თოფი ჰქონდა გადაგდებული, გულ-მკერდსა და წელზე სამი სავაზნე ჰქონდა შემორტყმული, ხოლო თეძოზე გრძელი მაუზერი ეკიდა“.

ძნელია გმირის დახასიათების ამაზე უფრო სრული მხატვრული სურათი წარმოვიდგინოთ. აქ იშვიათი სიზუსტით არის დახასიათებული ყოველი სულიერი მოძრაობა ჯაყოსი, მის გარეგნულ აღწერილობაში ხაზგასმულია უპირატესობა, რომელიც მან ძალით მიინიჭა და მოიპოვა რევოლუციასთან მიტმასნილი კაცის გაიძვერობითა და მოხერხებულობით: „ბეჭებზე რუსული თოფით და თეძოზე გრძელი მაუზერით“. ამ მოძალადე კაცს ხელს უწყობს თავისი ცხოველური გარეგნობა და მის მხეცურ ბუნებისაგან მინიჭებული ძლიერება ბოროტების სათავე გამხდარა. ეს გარემოება შესანიშნავადაა დახასიათებული ამ აღწერილობაში. აი, ამგვარ კაცს ჩაუვარდა ხელში ეს ყოფილი მემამულე, ჩაუვარდა და სულით ხორცამდის ჯიჯგნა და აწვალა „ახალმა“, ფიზიკურად უფრო ძლიერმა პარაზიტმა და მხეცმა ეს ძველი პარაზიტი, მაგრამ უქნარა და ბედოვლათი მემამულე. მწერალმა ასევე ზედმიწევნით ზუსტად დახატა უმზეო და უნიათო ბატონის პორტრეტი.

„ნაბატონევი თეიმურაზ ხევისთავი თავის ნამოურავალს იღლიამდე ძლივს სწვდებოდა. თეიმურაზი უმზეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ნაქანდაკევი, მაგრამ გამხდარი და გაძვალებული, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუფქულ ქათმის მინამგვანი, დაშრეტილი და დამდნარი ნაკაცარი, რომელსაც მომავალად თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი — ტკბილი მოგონებანი, საერთო პატივი, მეგობართა სიყვარული, მუდმივი მოლოდინი უცნაური მომავლისა და მარადიული დევნა ბუნდოვან ლანდებისა“. და აი, ეს დაშრეტილი ნაკაცარი, ბუნდოვანი ლანდების მადევარი ნათავადარი მწერალმა, მართალია, გაზვიადებული გადაჭარბებით და ხშირად ქართველი კაცის შეურაცხმყოფელი ბუნებით, მაგრამ დიდი შინაგანი სიმართლით გამოხატა, მისი ცხოვრების გზა სამარცხვინოა, მისი უნიადაგობა და დაჩიავება ყოველგვარ ადამიანურ ნორმაზე დაბალი. ამგვარ მეოცნებე ფეოდალს პრაქტიკული კულაკის ჯაყოს მოხერხებულობა საბოლოოდ სპობს და ანადგურებს. თეიმურაზი ჯერ ქონებრივად გაფ-

ცქვნა მოხერხებულმა ჯაყომ, შემდეგ მორალურად დასცა ძირს. სიზუსტით აქვს აღწერილი მწერალს, თუ როგორ ჩაიგდო ჯაყომ ხელთ თეიმურაზის ცოლი მარგო. მთელ ამ პორნოგრაფიულ აღწერაშიაც ნათლად ჩანს ამ უხეში ძალის, რევოლუციას მიტმასნებული კაცის უპირატესობა თეიმურაზის წინაშე და ამ გზაზე ტრაგედია ქალისა — მარგოსი. მარგოს არ ყოფნის შინაგანი ძალა, რომ ამხილოს ჯაყოს ბოროტებანი. პირველ დღეებში მას ერთგვარად აჩერებს რაღაც საიდუმლოება, ამ უხეშ ძალაში დანახული. ამ უხეშ ძალას ერთგვარი უპირატესობა აქვს თეიმურაზთან შედარებით. შემდეგ იგი თანდათანობით რწმუნდება, თუ რამდენად ჯაბნის ეს უხეში ძალა უქნარა, მაგრამ გარეგნულად ნაზ ნათავადარს და, ბოლოს, ჯაყოს ქონებრივი მდგომარეობა მარგოს ამ საშინელ ბედს უმორჩილებს. ამ ყოფითი დეტალების აღწერაში ნათლად ვლინდება თეიმურაზის უნიადაგობა, მისი განწირულება და ტრაგედია, ტრაგედია, რომელიც მსუბუქ ჰუმორის ფორმით აქვს წარმოდგენილი მწერალს.

თეიმურაზთან შედარებით, უფრო ჯანსაღი განწყობილებებით ხასიათდება ყოფილი ადამიანების წარმომადგენელი ნახუცარა ივანე. იგი რევოლუციის პირველ დღეებშივე გადაუდგა თავის მოძღვრებას; მღვდელი გაიკრიჭა და რევოლუციას მოემხრო. ეს, გონებრივად უფრო ფხიზელი კაცი, ურჩევს თეიმურაზს, უარყოს ძველი გზა და მიიღოს ახალი, თორემ ფიზიკურად დაიღუპება. იგი ურჩევს თავის მეგობარს, ამოიგდოს გულიდან ძველი ნაღველი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეჭამს მას ეს ნაღველი. თეიმურაზი გულწრფელად აღიარებს: „შემჭამა და გამათავა-მეთქი, ჩემი განკურნება ძნელია“. ნახუცარა ივანე ასე ეუბნება თეიმურაზს: სულიერი მშვიდობა „მაშინ დაგიბრუნდება, როცა შენც ჩემსავით დაუბრუნდები ხალხს და ეზიარები იმის სულითა და გულით, იმის ჭირითა და სიხარულით, იმედითა და რწმენით“. მაგრამ ნახუცარა გრძნობს, და მკითხველიც გრძნობს, რომ ხევისთავს არა აქვს ამის უნარი, მას საამისოდ არც ნებისყოფა ეყოფა და არც გამოცდილება. ხოლო, თვითონ თეიმურაზ ხევისთავს ახალ ცხოვრებასთან შერიგება არ სურს, ის ერთგვარი შესწორებით და დამატებით არის მომხრე მიემხროს ამ ახალ დროს. ივანემ კი იცის, რომ ამ უნიათო ნათავადარის „შესწორებანი და დამატებანი“ ისევე ფუჭია, როგორც მისი ავტორი, და იგი არავის გამოადგება. ამიტომაც ივანე კატეგორიული ტონით მიმართავს მას: „არავითარი შესწორება, არა-

ვითარი დამატება. ან უნდა უარჰყო სავსებით, ან უნდა მიიღო და შეურიგდე ყველაფერს: ავსაც და კარგსაც, მზესაც და ჭუჭყსაც, ბნელსაც და ნათელსაც, უნდა მიიღო იგი უკლებლივ, მთლიანად, უეჭვოდ, გულღიად, გულწრფელად და სიყვარულით. დიახ, გულწრფელად და სიყვარულით, თორემ ერთი წვეთი ეჭვი ისე მოგიწამლავს სიცოცხლეს და დღევანდელივით დაგაბნელებს. სთქვი, ურიგდები თუ არა დღევანდელ საქართველოს ამ პირობებით?" თეიმურაზ ხევისთავს არ შეუძლია უყოყმანოდ მიიღოს ახალი დრო და აი, ამ ყოყმანში და მეოყეობაში იგი თანდათან ითელება ცხოვრებისაგან და აშკარა ხდება მთელი მისი უბადრუკობა და უნიათობა. იგი თვითონაც აღიარებს: „საოცარია, საკვირველია, ჩვენი დასაფლავება ჩვენივე თვალწინ ხდება, ანდერძს გვიგებენ და ჩვენვე ვესწრებით ჩვენს ქელეხს". ამისდა მიუხედავად, ეს სავსებით განადგურებული კაცი მაინც არ ურიგდება ახალ დროს. კაცი, რომელსაც მთელი ქონება წაართვეს, რომელიც თავისივე ცოლის გაუპატიურებისა და შემდეგ მისი გათხოვების მოწმე გახადეს, კაცი, რომელიც ათასგვარად დაამცირეს და შეურაცხყვეს, მაინც რაღაც მომავალ დროზე ოცნებობს და ელოდება იმ დღის მოსვლას, როცა იგი თავის ნამდვილ სათქმელს იტყვის. მწერალმა შესანიშნავად გამოხატა ამ უნიათო, უნებისყოფო კაცის სულიერი ცხოვრების მთელი სიმდაბლე, ამ წუმპეში მყოფი ნათავადარის, ცხოვრებისაგან განწირული კაცის ბოდვანი და ოცნებანი. კაცს, რომელსაც არ ყოფნის ძალა თავი დაიცვას, ანდა თავი დაიხრჩოს, კიდევ რაღაცის მოლოდინი აქვს. ჯავახიშვილის მკაცრი რეალიზმი სავსებით ხდის ნიღაბს თეიმურაზის ოცნების უნიადაგობას. უნდა ითქვას ავტორი რამდენადმე ღალატობს რეალიზმს, როდესაც ამგვარი კაცის პირით ამხელს რევოლუციას მიტმასნებულ ჯაყოს ბუნებას.

„ჯაყო, დაანებე თავი რევოლუციას, თქვენ ერთმანეთს არც კი იცნობთ, რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია, შენ კი რევოლუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარო", ეუბნება თეიმურაზი ჯაყოს. ეს სავსებით მართალია, ოღონდ ეს სიტყვები ხევისთავს სრულიად არ შეეფერება, ამგვარი კრიტიკული ალღოთი არ არის დაჯილდოებული თეიმურაზი თვით მწერლის მიერ. მაინც, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მ. ჯავახიშვილს ეყო ცოდნა და ძალა იმისათვის, რომ სწორედ შეენიშნა, რევოლუციის გმირები არ არიან ჯაყოები, რევოლუციის ნამდვილი გმირი ხალხია,

აი, ის რიგითი ადამიანები, რომლებიც მოთხრობის უკანა პლანზე მოქმედებენ, მაგრამ მაინც გამოჩნდებიან ხოლმე. სწორედ ამ ხალხმა, რევოლუციის ძალამ ამხილა (და არა თეიმურაზ ხევისთავმა), განაიარაღა ჯაყო, გახადა უვნებელი. აქ სავსებით ნათლად გამოჩნდა ჯავახიშვილის მებრძოლი რეალიზმი.

„ჯაყოს ხიზნები" მხატვრულ ნარკვევსა და რომანის თავისებურ გაერთიანებას წარმოადგენს. აქ ბევრია ნარკვევის ელემენტი, მაგრამ ისე ეხმარება ეს ნარკვევი რომანის საერთო არქიტექტონიკას და გმირების დახასიათებას, რომ, რასაკვირველია, ამ ნაწარმოებს ნარკვევად ვერ მივიჩნევთ, იგი სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოებია, რომანია პუბლიცისტური შემართებით დაწერილი.

ამ რომანის დიდი ღირსება ისაა, რომ ავტორმა სწორად შენიშნა რევოლუციის პირველი წლების ვითარება და ამ ფონზე გამოხატა გარდასული პარაზიტული კლასების შეუთავსებლობა რევოლუციასთან და გვიჩვენა მათი დაღუპვის აუცილებლობა. მ. ჯავახიშვილმა კარგად დაინახა ეს წარმავალი ადამიანები და მათი თვისებანი და ხასიათი დიდი მხატვრული ძალით გამოხატა.

თეიმურაზი და ჯაყო ნამდვილი ტიპებია, დიდი სუნთქვით, დიდი სისრულითა და მხატვრული ხორცშესხმით გაცოცხლებული და დახატული. ამიტომაა, რომ ჩვენს ლექსიკონში „ჯაყო" და „თეიმურაზ ხევისთავი" კნინობითი სახელების საზოგადო სინონიმებად დამკვიდრდნენ.

*

მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი" პირველად 1933 წელს გამოვიდა. ამ რომანზე მუშაობა კი ავტორმა 1925 წელს დაიწყო და მისი ბეჭდვა ჟურნალ „მნათობში" დაამთავრა 1932 წელს. ავტორის სიცოცხლეში რომანი ოთხჯერ გამოიცა. ამ გამოცემებში მწერალმა სათანადო შესწორებანი შეიტანა. რომანმა ერთბაშად მიიპყრო ლიტერატურული საზრგადოებრიობისა და მკითხველთა ყურადღება. „არსენა მარაბდელი" ითარგმნა რუსულ, უკრაინულ და სხვა ენებზე. დიდი ხნის შემდეგ, 1956 წელს ამ რომანის მეხუთე ახალი გამოცემა გამოვიდა. იგი აგრეთვე ხელახლა გამოიცა რუსულ ენაზე. ასე დაფუძნდა ეს რომანი საბჭოთა ლიტერატურის ფონდში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიული რომანი.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ისტორიულ თემაზე დაწერილი ყოველი დიდი ნაწარმოები იდეური გადაწყვეტით მუდამ თანამედროვეობის სულით იყო გაცისკროვნებული და ამით იყო დაკავშირებული ის თავის დროსთან, თავის ხალხთან. „არსენა მარაბდელის“ დიდი ღირსება ისაა, რომ ამ რომანით მ. ჯავახიშვილი ეხმაურებოდა თავის დროის მშრომელი ხალხის ცხოვრებას ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა სახელოვანი წინაპრების გაცოცხლებით და გამოსახვით. არსენას ბრძოლა უსამართლობის, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მისი დიდი პატრიოტიზმი, ინტერნაციონალური ინსტინქტები და მიდრეკილებანი, რითაც გამოსახა მან ეს ცნობილი ხალხური გმირი, უმთავრესად ჩვენი თანამედროვეობის ანასხლეტი იყო.

მ. ჯავახიშვილმა თავის რომანში გამოიყენა ცნობილი ხალხური არსენას ლექსი, და გამოიყენა უხვად, უკრიტიკოდ. ამისდა მიუხედავად, ისტორიული ბიოგრაფიული მასალა ამ რომანში როდია განსაზღვრული ხალხური არსენათი. ავტორის ფანტაზია, არსენას იდეების სამყარო ვრცელია და მდიდარი, ხალხურთან შედარებით. ბელეტრისტის ფართო ფანტაზიამ ხალხური არსენას ამბავს ხორცი შეასხა, ახალი სული ჩაბერა. ასპარეზად მარაბდა, თბილისი, მცხეთა, ახალციხე მისცა, ფონად კი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ვრცელი ისპარეზი მოუხაზა.

საზოგადოდ, ხალხური არსენა ჩვენი წერილობითი ლიტერატურის პოპულარული წყარო იყო, რომელსაც მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის ბევრი მწერალი გამოეხმაურა. რომანტიკულ ფერებში დახატულმა არსენას მებრძოლმა სახემ ქართულ ლიტერატურას შთაგონების დიდი პათოსი მისცა, და მაინც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არავის არ მოუცია მ. ჯავახიშვილის რომანზე უფრო ვრცელი, მხატვრულად ფართო ტილოზე გაშლილი ხალხური არსენას ამბავი. რომანში გამოყენებული ფართო პოლიტიკური და სოციალური ფონი მწერალს საშუალებას აძლევს დახატოს ხალხური არსენა დიდი დიაპაზონითა და მებრძოლი იდეებით, აღჭურვოს იგი მოწინავე პოლიტიკური და სოციალური იდეალებით, განზოგადებულად და ამაღლებულად გარდასახოს იგი. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა არსენა მარაბდელსა და მის პირველწყაროს შორის.

ხალხურმა ლექსებმა სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით

შეამკო უსამართლობის, ბატონყმობისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრებული არსენა. ხალხმა არსენა შეიყვარა, როგორც მისი საქმისათვის უანგაროდ თავდადებული პიროვნება, ბატონყმობის, სოციალური ჩაგვრის, თაღლითობისა და მატყუარობის, ამორალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი. ეს უზადო თვისებანი ხალხის გმირისა მ. ჯავახიშვილმა ასევე უზადოდ და უნაკლოდ გააცხადა რომანში, განავრცო ეს თვისებანი, განაზოგადა ვრცელი ისტორიული და პოლიტიკური ფონით. როგორც ცნობილია, ისტორიას არ სჭირდება შელამაზება, მაგრამ არც დამახინჯებას ითმენენ ისტორიული ფაქტები. მთავარი მაინც ის არის, რომ სწორედ შენიშნო ეპოქის ისტორიული ძალები, დაინახო მისი ძირითადი ტენდენციები.

მ. ჯავახიშვილი ამ რომანში ამეღავნებს ისტორიული წყაროების ზუსტ ცოდნას. აქ აღწერილია პერიოდი, როდესაც მეფის რუსეთი მტკიცედ იმკვიდრებს საფუძვლებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, იპყრობს ახალციხესა და ერევანს. მთელი ეს საომარი და ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ხარჯები მძიმედ აწვება ხალხს, ყველაფერი ეს გლეხების კისერზე გადადის. არც თავადაზნაურობა იყო კმაყოფილი თავისი ბედით. მართალია, მისი ერთი ნაწილი, — მონახა რა საერთო ენა რუსეთის მეფის მოხელეებთან, მის აპარატთან, — სამხედრო სამსახურში შევიდა, მაგრამ ყოველივე ეს უფრო უმნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რაც სამეფო ტახტისა და მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლებმა დაკარგეს საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმებით. ამიტომაც ამ წრეში მძვინვარებდა უთანხმოება, ხალხისა და მათი უთანხმოების საფუძვლები სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ ეროვნული ინტერესებისათვის „ბრძოლის დროშით“ თავადაზნაურობა ცდილობდა ხალხის მიმხრობას, თუმცა საუკუნეებით დამცირებული და მონობაში მყოფი ხალხი უნდობლობით ეპყრობოდა ტახტისთვის მებრძოლ ფეოდალთა ამ წრეს. ამითაც აიხსნებოდა 1832 წლის შეთქმულების ვიწრო ხასიათი.

ისტორიაში არ არის დადასტურებული, რომ არსენას კავშირი ჰქონოდეს 1832 წლის ამ შეთქმულებასთან, მაგრამ ცნობილია, რომ შეთქმულთა ერთი წრე, პროგრესული ჯგუფი, ხალხთან კავშირის მომხრე იყო. ეს აძლევდა რომანისტს უფლებას, ისტორიული ცნობების უქონლობის მიუხედავად, არსენა, როგორც მეამბოხე გლეხკაცობის ტიპი, დაეკავშირებინა შეთქმულების მონაწილეებთან. ამ შემთხვევა-

ში ავტორი სწორად იქცევა და არ ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს, თუმცა საბოლოოდ არსენას და შეთქმულებს შორის კავშირის დამყარება შეუძლებელი აღმოჩნდა. არსენა, გაეცნობა რა შეთქმულთა პროგრამას, უნდობლობით ეპყრობა მათს საქმეს. ყოველ შემთხვევაში, არსენას დაკავშირება ამ შეთქმულებთან არის საშუალება რომანისტისათვის, დახატოს ხალხური არსენა ამაღლებულად, შეგნებული მებრძოლისა და მეთაურის როლში, ამავე გზით გვაჩვენოს მე-19 საუკუნის მებრძოლ გლეხთა თვისებანი და ხასიათი, შეიტანოს მათში გლეხკაცობისათვის დამახასიათებელი რევოლუციური სული. ასე და სხვა მსგავსი ძოვლენების საშუალებით მწერალმა არსენას ტიპი წარმოადგინა ამაღლებულად, მეამბოხე გლეხთა ორგანიზებულ მეთაურად.

ასევე ამაღლებულადაა წარმოდგენილი არსენას ხასიათი, როდესაც ის საფრანგეთის რევოლუციაზე და ნაპოლეონზე მსჯელობს, ან ცდილობს ინგლისში მყოფ რუსტანს მისწეროს წერილი და მასთან კავშირი დაამყაროს. შეიძლება ამაში ბევრი გადაჭარბება იყოს, მაგრამ რევოლუციური გლეხის ტიპის გამოხატვა დიახაც მოითხოვდა რომანისტისაგან ასეთ გადაჭარბებას. მხოლოდ ამ გზით შეეძლო მას ხალხურ არსენაში წარმოდგენილი პრიმიტიული მებრძოლი გლეხი ფართო პოლიტიკურ და სოციალურ ასპარეზზე წარმოედგინა.

ხალხურისაგან ასევე სრულიად განსხვავებული ქვეთემაა ამ რომანში ხალხთა ძმობის თემა. არსენას მებრძოლთა რიცხვს, მარაბდელი გლეხების გარდა, ამშვენებენ რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი მებრძოლები, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ამხედრებული ადამიანები. ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მტკიცედ შეკრული ეს ჯგუფი, არსენას მეთაურობით, წარმოდგენილია ამ რომანში როგორც გლეხთა მასობრივი ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. რომანისა და მისი მთავარი მოქმედი გმირის ფართო დიაპაზონზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მწერალმა ხალხური არსენა რომანში წარმოადგინა, როგორც კანონიერი მემკვიდრე ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულისა, მისი ნაციონალური და სამხედრო ტრადიციებისა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს რომანში ორი დროშის ამბავი, არსენა მარაბდელისა და სევასტი ლაცაბიძის დროშის ამბავი, რომანში არსენა მარაბდელი უფრო ზომიერი, დაკვირვებული მებრძოლის როლში გვევლინება, მასთან შედარებით ლაცაბიძე უფრო მემარცხენეა, უკიდურესობისა და ავანტიურისტული

მიდრეკილების ყაჩაღი, ამ განსხვავებული პოზიციების გამოხატვა მწერალმა ოსტატურად წარმოგვიდგინა არსენასა და ლაცაბიძის დროშების სახით.

არსენას დროშა ქართველების ისტორიული ბრძოლებისა და ქარტეხილებში გამოვლილი დროშაა, ბარათაშვილებისა და ორბელიანების ნაქონი დროშაა, თავადებისა და ფეოდალების მიერ გადაგდებული, კუთხეში უპატრონოდ მიტოვებული და მიგდებული. ავტორმა შესანიშნავად გამოხატა არსენას სიტყვებში ფეოდალიზმის უძლურება — დაიცვას ეს ქართული დროშა, მისი სახელი, მისი საომარი ტრადიციები:

„ჩვენ წინაპრებს ეს დროშა, — ამბობს არსენა, — იმდენად უთრევიათ და მის გულისთვის იმდენი სისხლი დაუღვრიათ, რომ იმ სისხლში მთელი ქალაქი დაიხრჩობოდა, მაგრამ თვით დროშაც დაძველდა და მისი მეთაური თავადობაც დაბერდა. ახლა ამ დროშას ჩვენ უნდა მოვუაროთ“. და მართლაც, არსენამ ზაალ ბატონიშვილის სარდაფში დაგდებული ეს დროშა გაიტაცა, ძველი წარწერა — „დაიცავი ტარი, ჩემო უფალო, და ციხე ჩემი მარადყავი“—წაშალა და მას ზედ წააწერა: „ძმებო, შრომა, მიწა, თავისუფლება, თანასწორობა და პატიოსნება“. არსენას სწამს, რომ ამ დროშამ უნდა დაიცვას ჩვენი დიდებული ტრადიცია. მისი ხალხის თავისუფლებაც აწმყოში. არსენას მეთაურობით ეს დროშა წინ წაუძღვება გლეხობის იმ მებრძოლ რაზმს, რომელთა ხმალი უფრო მტკიცეა და ფოლადიანი, ვიდრე თავადებისა. ასე ახერხებს მწერალი, რომ არსენა მარაბდელი ნაციონალური და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის როლში წარმოადგინოს. ასე სცილდება თავისი ფართო იდეური დიაპაზონით მიხ. ჯავახიშვილის რომანი ხალხურ არსენას. ამისდა მიუხედავად, როგორც ზემოთ ვთქვით, ავტორი მეტწილად ხალხურ არსენას მისდევს. რომანისტს ხალხური ლექსის ეს ჩარჩოები ერთგვარად ბოჭავს. კერძოდ, ჩვენი აზრით, ამ გარემოებამ თავი იჩინა რომანის ფინალში. ხალხურ არსენაში თავისი ვიწრო იდეური ჩარჩოების გამო შეიძლება გამართლება ჰქონდეს არსენას დევიზს:

ხუთმეტ წელს ყაჩაღად ვიყავ,
კაცის ცოდვა არ მადევსა.

მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს მოტივი არ გამოდგება ჯავახიშვილის არსენასათვის, იმ არსენასათვის, რომელიც რომანისტმა ამბოხე-

ბულ ყმა-გლეხთა რაზმის მეთაურის როლში წარმოგვიდგინა. რომანში ვერაფრითაა გამართლებული მისი უსისხლო თეორია. ეს ტენდენცია ანელებს რომანის სიუჟეტის სიმძაფრეს, ავტორი ამით ერთგვარად სცილდება იმ ბუნებრივ განვითარებას, რომელიც უნდა მიეცა მას დიდ სოციალურ ასპარეზზე გამოყვანილი გმირისათვის.

ეს რომანი გვხიბლავს არამარტო ვრცელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური სამყაროთი, ისტორიული ბიოგრაფიული მასალით, არამედ უმთავრესად, ადამიანების ხასიათების გამოძერწვით, გმირთა სულიერი ცხოვრების ჩვენებით, ტიპების შექმნით. საზოგადოდ, მ. ჯავახიშვილი იყო ტიპიზაციის უბადლო ოსტატი. მან შექმნა დაუვიწყარი, ხორცსავსე მხატვრული სახეები და ხასიათები, რომლებიც ხალხში გადავიდა, ისიხი ზოგად სახელებად იქცნენ. ეს თვისება მწერლისა, რომელიც ამავე დროს, იყო დიდი გამოცდა მისი ბელეტრისტული უნარისა, — მთელი სისრულით გამომჟღავნდა ამ რომანშიაც. აქ ოცდათხუთმეტამდე მოქმედი პირია გამოყვანილი. პერსონაჟთა ასეთი მრავალრიცხოვანების მიუხედავად, თითოეულ მათგანს მონახული აქვს თავისი კუთხე, თავისი გახსაკუთრებული თვისება, თავისი „ტერიტორია“ რომანში; აქ ადამიანები დახატულნი არიან განსაკუთრებული ფერებითა და ვნებებით.

ფიზიკურად გოლიათი, დიდი თავშეკავებით, ვნების დაოკებითა და ზომიერების გრძნობით დახატული არსენა დიდად განსხვავდება ფიცხი და დაუდეგარი, იმერეთის აჯანყების მონაწილე წერეთლის ნაყმევი ლაცაბიძისაგან. ყოყლოჩინა მეფის ოფიცერი, კარიერისტი, ბოროტი მაიორი ორლოვი ასევე განსხვავდება ნებიერი, თავკერძა და ჯიუტი ბარათაშვილისაგან. როგორც დადებით, ისე უარყოფით გმირთა დახასიათებისას ავტორს მონახული აქვს სპეციფიკური მხატვრული საშუალებანი და ინვენტარი, ფერები და საღებავები მათი თვისებების დასახატავად.

ეს განსხვავებული ხასიათები დახატულია მწერლის მიერ არა დეკლარაციულად, არამედ მოქმედებაში, ცხოვრებაში, ბრძოლაში. ამ გმირთა საქმიანობაში ვლინდება მათი ხასიათი. ეს სახეები — სისხლსავსე და ბუნებრივი — ამიტომაც დიდად შთამბეჭდავია და დასამახსოვრებელი. ფუნჯის რამდენიმე მოსმით აცოცხლებს ავტორი, ერთი მხრით, ფეოდალს, მეფის რუსეთის მრისხანე გენერალს, მეორე მხრით, სათნო, ქართველი პატრიოტი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ხასიათს,

ორბელიანისა, რომლის ლექსები ამშვენებდა ასევე ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონებს. ამ წრის ცენტრში დგას სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დიდი ფეოდალი ალექსანდრე ჭავჭავაძე — ეკატერინე დიდის ნათლული, ნაპაჟევი, ოდესღაც ვოლტერიანელი და აჯანყებული, მერე ყველაზე არისტოკრატიული ლეიბგვარდიის პოლკის ბრწყინვალე პოლკოვნიკი, ახლა კი ქართველი მოხალისე ლაშქრის მეთაური, პოეტი, შვილი 1783 წლის ტრაქტატის ავტორის, ერეკლე მეფის ელჩის გარსევანისა. მწერალი მათ გვერდით ხატავს იმდროინდელი მეფის დიდ მოხელეებს: ერმოლოვს, პასკევიჩს, ბარონ როზენს; ცნობილ რუს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს: გრიბოედოვს, პუშკინს; ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს: ალ. ორბელიანს, ვახ. ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს; დიდ ფეოდალებს, თავადებს: ბარათაშვილებს, ამილახვრებს, ბაგრატიონებს, ჩოლოყაშვილებს, ორბელიანებს და სხვებსა და სხვებს.

განსაკუთრებული სიყვარულით აქვს დახატული მწერალს ხალხის წარმომადგენლები ყმა გლეხების სახით, ეს იქნება ცალთვალა ღვთისავარი — რკინასავით მაგარი გლეხი, მტკიცე და გაუტეხელი მეოშარი შეწინავე შედროშე საბარათიანო დროშისა, ყმა გლეხი, რომელმაც ზეპირად იცის რუსთაველი. დინჯი, აუღელვებელი, ნებადაოკებული ნასალდათარი და ნაციმბირალი რუსი ყმა კარპიჩა, ახლა ზაალ ბარათაშვილის ხაბაზი; იგი ზაალ ბატონიშვილს მწევარი ძაღლის სანაცვლოდ მისცეს. ეს გაბოროტებული ყმა გლეხი დილით დილამდე ამასღა გაიძახის: „პუგაჩოვი გინდა, მოკალით, დახოცეთ, დავწვათ, დავანგრიოთ, — ნამდვილად კი ისეთი გული აქვს ბულბულსაც შეშურდება“.

მაგდანა, დედა არწივს დამგვანებული შავი ქვრივი, თავის ძმებთან ერთად ხმალაღმართული იბრძვის. ეს გამწარებული ყმა ერთობ განზოგადებული სახეა ყმა გლეხი ქალისა, რომელსაც ქმარი გაუყიდეს, პაპას გული გაუხეთქეს, შვილი დაუკარგეს, სახლი და ქონება გადაუბუგეს, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს. რუს და ქართველ ყმა გლეხებს — კარპიჩას და ღვთისავარს, ერეკლეს, ზურას, ლაშქარას, ქავთარს გვერდით ამოუყენა მწერალმა კარპიჩასავით ნასალდათარი უკრაინელი ოსტაპი; მაჯის სისქე შავი ულვაშები, დალალებივით ჩამოყრილი, ამშვენებენ მის გაბადრულ სახეს, მკლავის სისქე მაჯები ამტკიცებენ მის ვაჟკაცობას. იგი ბოლომდე ერთგულია და განუშორებელი თანამგზავრი არსენას რაზმისა. მათ გვერდით მწერალმა დახატა აზერბაიჯანელი და-

ლი ჰასანი — ეს დაბალი, ჯუჯა, კეტივით მაგარი, ყორანივით შავი, ღრმა ჭრილობებით სახედასერილი ყაჩაღი, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილის კაცად მოაქვს თავი. და ასე, ყოველ მოქმედ გმირს ამ რომანში თავისი დამახასიათებელი თვისება აქვს მოძებნილი და ამის მიხედვითაა დახატული ეს ადამიანები, როგორც განსხვავებული სახეები. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, რომანის ცენტრში არსენა დგას და მის გვერდით რუსი კარპიჩაც, უკრაინელი ოსტაპიც, სომეხი ბაღო, ოსი მეშთა თუ ყაჩაღი დალი ჰასანი წარმოდგენილი არიან, როგორც ამ ცენტრალური გმირის თანამებრძოლები, სულიერი და იდეური ძმები. დიდი სოციალური მატიანე გლეხკაცობისა ამ რომანში ამის მიხედვით არის გადმოცემული.

გლეხკაცობის ფიქრსა და ოცნებას ბატონყმობისა და სოციალური ჩაგვრის თავიდან მოცილება შეადგენდა, მათ იარაღი ამ ბოროტების წინააღმდეგ აღუმართავთ. არსენას რაზმის წევრები მხვნელ-მთესველი გლეხები არიან. მათ სახლი ჰქონდათ — დაურბიეს, ოჯახი ჰქონდათ — აუწიოკეს, ცოლი ჰყავდათ — ნამუსი ახადეს და ასე აიძულეს ტყეში გაქცეულიყვნენ. ახლაც ტყეში თავშეფარებულები ოჯახზე, ცოლზე, შვილებზე, თავისიანებზე, მშვიდობიან ცხოვრებაზე, მიწაზე ფიქრობენ. ხატოვნად ამბობს მწერალი: „მათი თვალის არე მხოლოდ სოფელია, მათი სიტყვა მხოლოდ მიწიდან მოდის. მათი აზროვნება მხოლოდ და მხოლოდ ბატონყმობაზე ტრიალებს და მათი გულიც მარტო გლეხობისათვის ფეთქავს.

ქალაქელს ხუთი გრძნობა აქვს, გლეხს კი ექვსი და მეექვსე მიწის ალღოა. და ეს გრძნობა მათ საუბარსაც, ნატვრასაც და სიზმარსაც ოხშივარივით ასდის და ტყის სურნელებაში იღვრება, ტყის ხიზნები ისე პირს არ დააღებენ, რომ ხორბლის ნაკადივით არ გადმოუშვან დარი და მოსავალი, ბაღ-ვენახი და ხოდაბუნები, ნახირი და ტურა-მგელი, ცის თაღი და მიწის გული“.

სოფლურ ამბებს თავისთავად მოსდევს გლეხის ნატვრაც: „ნეტა ბატონყმობა გადავარდებოდეს და გლეხი თავის თავადად გადაიქცეოდეს. ნეტა მოხელე წავიდოდეს და გლეხი თავის მსახურს თვითონვე აირჩევდეს“. ასე ოცნებობენ. იბრძვიან თავგანწირულად ისინი, რათა ქვეყანაზე მშვიდობა ჩამოვარდეს, გლეხს თავისი ნაოფლარი დარჩეს, სამუდამო ძმობა, ერთობა და თავისუფლება დამყარდეს. ამ იდეალის სული და გული არსენაა. ამ იდეალით ებრძვიან არსენა და მისი რაზმი

ზაალ ბატონიშვილის სახით — ბატონყმობას, ორლოვისა და მისი დამქაშების სახით — თვითმპყრობელობას. ორჯერ დამარცხებული არსენა მესამედ ჩაუდგება დიღმის ველზე გლეხკაცობას და ასე მიმართავს მას: „თავადობა რომ გადაგვარდა, სუყველაფერი მაგათი ბრალია. ეგენი გვყიდიან, ეგენი გვღალატობენ და ანგარიშიც ქალაქში გავუსწოროთ. ჩვენებურ თავადებსა და რუსხელმწიფეს ერთი პირი აქვს და ჩვენც ვაქკაცურად ერთმანეთი გავიტანოთ“. არსენა ამ მესამე შემთხვევაშიაც, დიღმის ველზე, კვლავ მარცხდება, მან ვერ მოახერხა გლეხკაცობის გაერთიანება და ერთი ძალით წარმართა მტრების წინააღმდეგ. უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ არსენას სინანულით აღმოხდა: „მე ან ნაადრევად დავბადებულვარ, ან ძალიან დამიგვიანია...“

რომანის ფინალში ავტორი ახერხებს არსენას და მისი რაზმის ეს სახალხო აჯანყება, ეს სახალხო მოძრაობა, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული, წარმოადგინოს დიდ ოპტიმისტურ პერსპექტივაში. არსენა კუჭატნელისაგან ვერაგულად განგმირული დაეცა. კარპიჩა, ღვთისავარი — ცალთვალა ბებერი დევი — შორეულ ციმბირში დალპა. მაგრამ დარჩა ხალხი, დარჩა არსენას შვილები, ცალთვალას შვილიშვილები... ცალთვალა დევისა და არსენას მებრძოლი სული ტრიალებს ამ ხალხში, იგი ეძახის და მოუწოდებს მათ კვლავ შური იძიონ მტარვალებზე. ეს მებრძოლი განწყობილება ქარქაშიდან ამოღებული ხმლისა და არსენას ნაქონი მეწინავე დროშის სიმბოლოდ წარმოადგინა მწერალმა რომანის ფინალში და ამით უდიდესი ოპტიმისტური სული ჩაბერა იმ საქმეს, რომელსაც არსენა და მისი რაზმი ემსახურებოდნენ. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ეს ვრცელი ისტორიული სოციალური რომანი.

რომანი დაწერილია უზადო ბელეტრისტული ხერხებით. ზოგი პასაჟი და სურათი მაღალ ლიტერატურულ ხარისხშია აყვანილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბატალური სცენები ახალციხეში, არსენას გაქცევის სცენები ორთაჭალაში და სხვ. ხშირად ავტორი მიმართავს ერთგვარ გაზვიადებას, ზოგან კიდეც გაზღაპრებულიაო, თითქოს, ამბავი, (არსენას დამარხვა ახალციხეში და სხვა), მაგრამ ამგვარი გადაჭარბება და გაზვიადება დამახასიათებელია დიდი რომანისტებისათვის.

„ქალის ტვირთი“ „არსენა მარაბდელის“ თავისებური გაგრძელებაა. „არსენა მარაბდელში“ გამოხატული მებრძოლი გლეხური სული 1905 წლის რევოლუციურ გარემოში, რევოლუციურ მუშათა კლასის

წრეში განსახიერებული ასახა მწერალმა დიდი რეალისტის თვალით, დიდი რევოლუციური და სოციალური ენებების ფონზე. ფიგურალურად რომ გამოვთქვათ, „არსენა მარაბდელის“ გმირები ოქტომბრის რევოლუციის პაპები არიან, „ქალის ტვირთის“ გმირები კი — უშუალო წინაპარნი, მამები. თუ „არსენა მარაბდელი“ სოციალისტურ ლიტერატურისაკენ წინ დადგმული დიდი ნაბიჯი იყო, რომანი „ქალის ტვირთი“ სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი წიგნია საქართველოში.

რომანში აღწერილია 1905 წლის რევოლუციის დღეები. ლოკალიზებულია ყველაფერი ეს თბილისის სინამდვილით, მაგრამ მის ფარგლებში ხშირად შემოიჭრება ლენინგრადიცა და მოსკოვიც, ნასაკირალიცა და ალიხანოვის დამსჯელი რაზმების თარეშის სურათი საქართველოში. რომანი დიდი რევოლუციური და სოციალური პლანის ნაწარმოებია. მასში ვრცლად არის აღწერილი მუშათა გაფიცვები, რევოლუციური თბილისის დემონსტრანტი მუშების დაუოკებელი ბრძოლა თვითმპყრობელობის სამხედრო ძალებისა და რეაქციის წინააღმდეგ. ვრცლადაა წარმოდგენილი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რევოლუციური კრებები, არალეგალური წრეები, პარტიის შიგნით მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გაჩაღებული ბრძოლა, მენშევიკების გამცემლური როლი რევოლუციის წინაშე. მენშევიკების ტაქტიკა ყველაზე სრულყოფილად დახატულია აკაკი ახატნელის ხასიათსა და მოქმედებაში. მისი სახით მწერალმა ნათლად წარმოადგინა ამ მერყეევი ინტელიგენტური, წვრილმანებით გატაცებული რეფორმისტული იდეალების, ლიბერალური შეხედულებების გამომხატველი გმირი, და ამ ფონზე ამ ფრაქციონერთა და რევოლუციის საქმის მოღალატეთა „ღვაწლი“ 1905 წლის რევოლუციის დღეებში.

მწერალმა ასევე ვრცლად წარმოადგინა თავადაზნაურთა კლასის რღვევა და მისი აშკარა გახრწნა 1905 წლის რევოლუციის ფონზე. თავადაზნაურობის გამყიდველი რეაქციონური როლი ყველაზე უფრო ნათლად რევოლუციის დღეებში გამოვლინდა. მწერალი დაუნდობლად ამხელს მათს რეაქციონურ ბუნებასა და ხასიათს. რომანში ამ ბანაკს მეთაურობს ანდრო ახატნელი, დიდი ფეოდალი, ახლა რუსეთის თვითმპყრობელობის ერთგული ფინია. იგი, კერძო საკუთრების, ფეოდალური დიდების მოყვარული და მოტრფიალე, გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილებს, სადაც იცავს არსებულ საზოგადოებრივ წესს და

ბმას იმაღლებს რევოლუციონერების წინააღმდეგ. ის ამ გზით, სავსებით ბუნებრივია, ყველაზე უფრო დაუნდობელი მტერი და რეაქციონერების ბანაკის ბურჯი ხდება. მწერალი მის ფიზიონომიას ნიღაბს ხდის ოჯახში, საზოგადოებაში, ადამიანთა დამოკიდებულებაში. და მაინც ყველაზე ნათლად გამოხატულია თავადაზნაურობისა და მისი რეაქციული სახე რომანის დასკვნითს ნაწილში.

1905 წლის რევოლუციამ თავის ზენიტს მიაღწია. გლეხკაცობამ სოფლიდან გამორეკა ეს მუქთახორა თავადიშვილები; ხალხს სათავეში ერობა ჩაუდგა. ამ ძლიერმა რევოლუციურმა ტალღამ, ქალაქისა და სოფლის გაერთიანებულმა მოქმედებამ ლამის ძირს დასცეს შერყეული მეფის ტახტი. დეზორიენტირებულია და დემორალიზებული მეფის ჯარი და მისი ჟანდარმთა შტაბიც. სწორედ ამ დროს თავადაზნაურობა განიზრახავს, ხელთ იგდოს ინიციატივა. თბილისის ქალაქის სამმართველოში თავს მოიყრიან ამილახვრები, ბაგრატიონები. თავადაზნაურობის რეაქციონური ბირთვი: გადაყენებული გენერლები და პოლკოვნიკები, სამოქალაქო თუ სამხედრო მუნდირებში გამოწყობილი, ეს ისტორიის სანაგვე ყუთში გადასროლილი, რეაქციის ბურჯი, გაღიზიანებული და აღტყინებული, ცოფს ყრის. მას სათავეში ანდრია ახატნელი უდგას. ისინი უსაყვედურებენ მეფეს და მის მოხელეებს მოქმედების სისუსტეს და აცხადებენ მზადყოფნას — თვითონ აიღონ ხელთ ხმალი და იარაღი და გაანადგურონ თავზეხელაღებული რევოლუციონერები. სწორედ ამ დროს გამოჩნდება დარბაზში, თავადაზნაურობის საკრებულოში, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სახელმოხვეჭილი მწერალი ილია ჭავჭავაძე. დარბაზი გამოურკვეველმა შიშმა და მღელვარებამ შეიპყრო. ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ეს უგვირგვინო მეფე, რომელმაც პირველ დღეებში რევოლუციის გზა სავსებით სწორად ვერ გაიგო, ახლა მოვიდა აქ, გლეხკაცობასთან, რევოლუციის ძალებთან. მან თავადაზნაურობის მხეცური ინსტინქტი და განზრახვა — საკუთარი ხელით ჩაეხშო რევოლუცია — გაიცხა, მათ ერის ძალების, თავისავე ხალხის მკვლელები უწოდა. ამ დიდი პროგრესული მოაზროვნე მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სიტყვები მოწონებას იმსახურებს, მას ტაშს უკრავს ყველა პატიოსანი და პროგრესული ადამიანი, ტაშს უკრავს ამ რომანის რევოლუციონერი პროგრესული გმირი ზურაბ გურგენიძეც. მწერალმა ამ დეტალში სავსებით ნათელი გახადა, თუ ნამდვილი რევოლუციონერები, რომელთაც სათავეში ბოლშევიკე-

ბი ედგა, როგორ აფასებენ ილიას ღვაწლს და როგორ ებრძოდნენ ცილისმწამებლებს, რომლებიც სახელს უტეხდნენ რევოლუციის სახელით ამ უმწიკვლო ქართველ პატრიოტს.

რომანში ასევე მხილებულია ფედერალისტების, ნაციონალისტების და სხვათა უბადრუკი წარმომადგენლები და შეხედულებები. მთელი ეს დიდი და რთული საზოგადოებრივი და სოციალური პრობლემები ამ რომანში გამოხატულია მკაცრი სიუჟეტური თანმიმდევრობით. ის, რაც ჩვენ ვთქვით, რომანის სიუჟეტურ შენაკადებს წარმოადგენს, მისი ძირითადი სიუჟეტი კი წარმართულია რევოლუციური ახალგაზრდობის იმ წარმომადგენელთა გამოსახვის გზით, რომელთაც სათავეში ცნობილი რევოლუციონერი ჯიქი, იგივე ზურაბ გურგენიძე უდგას. რეაქციის ერთგული გუშაგები, დაგეშილი აგენტები და პოლიციელები, ჟანდარმერიის როტმისტრი არტემ ავშაროვი, სამხედრო ოფიცერი კლიმიაშვილი და სხვები მიზანში სწორედ ამ ხალხს ამოიღებს.

კონფლიქტი იშლება იმ ნიადაგზე, რომ ქეთოს — ცნობილი მემამულის, ანდრო ახატნელის ქალიშვილს — მოსწონს ახოვანი, გარეგნობით ლამაზი, ჟანდარმერთა მუნდირში გამოწყობილი ავშაროვი, მაგრამ იგი გაიცნობს ზურაბ გურგენიძეს, ერთობის ამ დაუღალავ მებრძოლს, სპეტაკ რევოლუციონერს და ერთბაშად გაიტაცებს მას ეს მაღალი იდეალების კაცი. ახლა მასში მოწონება და სიყვარული იბრძვის. ზურაბს კი, თავის მხრივ უყვარს დიდი რომანტიკული გატაცებით მისივე იდეალის შეუდრეკელი რევოლუციონერი ქალი, მისივე სოციალური წრის პირმშო მართა. ამ უკანასკნელით კი გატაცებულია პატიოსანი რევოლუციონერი, უიმედოდ შეყვარებული ქეთო ახატნელის ძმა ნიკო. ნიკო ურჩევს ქეთოს, უფრო ძლიერად შეიყვაროს ზურაბი და ჰპირდება, რომ დაეხმარება ამ საქმეში. ამით ნიკოს სურს ჩამოიცილოს მისი მეგობარი, სატრფოს სიყვარულის მოზიარე ზურაბ გურგენიძე. თავის მხრივ, მართა ურჩევს ქეთოს, ცოლად წაჰყვეს ავშაროვს, რადგან მისი წრის ქალისათვის ეს უფრო შესაფერისი კანდიდატია. ამით მას სურს ზურაბზე არავინ გაათამამოს, მის სიყვარულში არავინ იყოს მოზიარე, მხოლოდ მას ეკუთვნოდეს და მისი იყოს ეს უბადლო რევოლუციონერი, ასევე უბადლო ვაჟკაცი.

მართა ხელოსანთა წრეში, მუშათა წრეში დაბადებული, აღზრდილი და ერთობის, რევოლუციონერთა ჯგუფში მოხვედრილი, სადა,

ნათელი აზრებისა და იდეალების მოტრფიალე, თავისი ბუნებითაც და ყოფაქცევითაც უბრალო და ნათელი ადამიანია. ქეთევან ახალგელი კი, რომელსაც ერთობის ტაძარში შესვლა გადაუწყვეტია და ამიტომ კანის ფერის შეცვლა განუზრახავს, ამას ადვილად ვერ ახერხებს იმიტომ, რომ იგი აღზრდით, ბუნებით, შეგნებით დაკავშირებულია მაღალი არისტოკრატიის წრესთან. ეს ლამაზი და მიმზიდველი გოგონა გარეგნობითაც, ჩაცმულობითაც გამოირჩევა ერთობის ტაძარში თავმოყრილი ადამიანებისაგან. ყველა ეჭვის თვალით შესცქერის მას. ქალური ინსტინქტით გრძნობს ქეთევანი, რომ ეს სულ სხვა წრეა, სხვა იდეალების ხალხი, მაგრამ ისეა გატაცებული იგი ზურაბ გურგენიძით და — მისი მეოხებით — ერთობის საქმითაც, რომ სურს იყოს ერთობის იდეალების ჯარისკაცი. ქეთო ისწრაფვის, უფრო ახლო დაუახლოვდეს, სულიერ მეგობრად გაიხადოს ზურაბ გურგენიძე და პარტიაში შევიდეს. ზურაბ გურგენიძე კი გრძნობს, რომ ამ რომანტიკოს ქალს, რომელიც ლექსებს უფრო გატაცებით კითხულობს, ვიდრე მარქსიზმის რთულ თეორიებს, გაუჭირდება ამ ტვირთის ატანა და იმასაც გრძნობს, რომ მას უფრო უყვარს და მისთვის ახლობელი მართაა.

„მართას დინჯმა ჭკუამ, მუდამ სწორმა ხასიათმა, უზადო ერთგულებამ, დაუზარებლობამ და ბავშვობიდან შესისხლხორცებულმა რწმენამ ისე ღრმად შეიზიდა ზურაბი, რომ მას უმართოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ის ჩემი მეუღლეა და სამუდამო მეგობარი. ქეთო კი გზაზე შემხვდა... ესეც მიყვარს, მაგრამ ქეთო დროებითია, სადღაც დამივარდება, ჩამომშორდება და თავისი გზით წავა“. ასე მსჯელობს ზურაბი. მაგრამ აი მას კვლავ ხვდება ქეთო, კვლავ გატაცებით ეალერსება ქალი ვაჟს, კვლავ მის სულის სიღრმეში მიიწევს, კვლავ ერთგულებას და მეგობრობას უმტკიცებს — ახლა კი ზურაბი „თითქოს რწმუნდება, რომ მართას გარდა ეს ქალი ჩაექსოვა მის სულს“. ასე რთული გზით წარმართავს მწერალი ამ ადამიანების ურთიერთობას, მაგრამ მკითხველი ნათლად გრძნობს ამ მეტად მგრძნობიარე, ვნებიანი და, ამავე დროს, ოდნავ მსუბუქი, მიამიტი და ადვილად მორწმუნე ქეთოს ხასიათის სუსტ მხარეს. ქეთო მიჰყვება ავშაროვს. მას ეგონა, რომ ამ გზით ერთობას დაეხმარებოდა. ის მძიმე ტვირთსაც კისრულობს: პირველსავე საღამოს ჟანდარმთა ოჯახში მოხვედრილი ქეთო საიდუმლო ამბებს მიაწვდის ერთობის მომხრეებს; „მას ასე ეგონა, ერთობაც მიყვარს და ქმარიცო“. ასე გაორებულია ქეთო ერთხანს, მაგრამ შემდეგ, როცა უფრო გაეცნო-

ბა ავშაროვს, რომლის ახოვანება მას იტაცებდა და ამის გამო მოსწონდა, მის სულიერ ცხოვრებაში დიდ სიბინძურეს აღმოაჩენს. ქეთო მორალურად გახრწნილს, საზოგადოებრივად საშიშ ავშაროვს შეიძულებს, შეიზიზღებს და უფრო ძლიერად ზურაბის ჯგუფისაკენ მიიწევს. ზურაბთან მას აკავშირებს პირადი გრძნობაც. რომანიდან ჩვენ ისიც ვიცით, რომ პირველი ღამის უფლება მან ზურაბს დაუთმო. მისი „ნამდვილი სიყვარულიც და პირველი მამაკაციც ზურაბი იყო". და ახლა, როდესაც იგი ავშაროვის წუმპეში აღმოჩნდა, უფრო ძლიერად ამ სუფთა, სპეტაკი, ზნეობრივად მაღალი დიდი იდეალების კაცისაკენ მიიწევს. მწერალი თანდათანობით აშკარას ხდის ამ ქალის გაორებული ბუნებიდან ავშაროვის წრის წინააღმდეგ მის აჯანყებას. და ის დიდი წვალებით კვლავ მიაგნებს ზურაბ გურგენიძეს იმ საიდუმლო სტამბაში, რომელსაც ავშაროვის დაგეშილი აგენტები დღეენიადაგ დაეძებენ. ეს გახდება ამ ორგანიზაციის და ქეთოს დაღუპვის საბაბიც. პოლიციის აგენტებმა ზურაბ გურგენიძე მაშინ შეიპყრეს და ეს საიდუმლო სტამბაც აღმოაჩინეს, როდესაც ქეთო ზურაბის გაფრთხილების შემდეგ კვლავ ამ საიდუმლო ბინაში ესტუმრება მას. ზურაბ გურგენიძეს მეტეხის ციხეში მოათავსებენ. ქეთო სახლში მოჰყავს ავშაროვს, პირისპირ ამხელს მას, როგორც მეფის და ქმრის მოღალატეს. და მტკიცე გადაწყვეტილებით მიჰყავს პოლიციაში ჟანდარმთა როტმისტრს, როგორც მეფის მოღალატე თავისი ცოლი. მეფის ტახტის ერთგულმა ავშაროვმა საკუთარი ცოლი გასწირა. არც ქალის მუდარამ გასჭრა და არც ცრემლმა, რომელსაც შემდეგ ქეთო ინანიებს. მაგრამ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა ავშაროვმა. სახლიდან გამოსულს, ქეთოს ძმა ხიკო და მართას ძმა, ყუმბარით ააფეთქებენ, თვითონაც დაიღუპებიან და ავშაროვსაც დაღუპავენ. მძიმედ დაჭრილი ქეთო სიკვდილს გადაურჩება. ახლა ის გონს მოდის, თავის წარსულ მოქმედებას გაჩხრეკს, გაზომავს, დარწმუნდება თავის შეცდომაში და გურგენიძეს სწერს ერთგულების, შეცდომების აღიარების ერცელ ბარათს და სთხოვს, უყვარდეს ბოლომდის და მზად არის გაჰყვეს მას, შორეულ ციმბირში გადასახლებამისჯილ კატორღელს. მაგრამ უკვე გვიანაა. ზურაბ გურგენიძესთან, ამ გაციმბირებულ კატორღელთან, ჯვარი უკვე დაუწერია მართას. სადგურზე ორივე მეგობარი — ქეთო და მართა — აცილებს ზურაბ გურგენიძეს. მართა, როგორც ოფიციალური ცოლი, თან მიჰყვება ზურაბს, ხოლო ქეთო, რომელიც მუცელში ზურაბის ბავშვს ატა-

რებს, უკან ბრუნდება გაწბილებული შეყვარებულისაგან და მიტოვებული ყველა მისი მეგობრისა და ამხანაგისაგან. ის ერთხელ კიდევ ცდის ბედს, მონახოს ვინმე ამქვეყნად, შვილი გაუზარდოს ზურაბს და, კატორღიდან დაბრუნებულს, აქ დაახვედროს. მაგრამ ყველა ეს ოცნება იმსხვრევა სინამდვილესთან შეჯახებაში. ქეთო, გაწბილებული ყველასაგან, განმარტოებული და დამარცხებული, თავს იხრჩობს. ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა მწერალმა ამ ქალს. აქ მთელი სიცხადით გამოჩნდა მ. ჯავახიშვილის რეალიზმის პრინციპის ძლიერება, მისი დიდი ალღო, მისი მკაცრი განსჯა, კლასობრივი პრინციპით ფეოდალური წრის ქალის გამოხატვა, რომელმაც სცადა რევოლუციის ტვირთი ეზიდა. მაგრამ მისი ბუნებისათვის შეუფერებელი ეს ტვირთი ვერ აზიდა და მასვე შეეწირა.

რომანში ყველა ხასიათი და ყველა გმირი გამოხატულია ძლიერი მხატვრული საღებავებით, ყველა მათ ჩვენ ნათლად ვხედავთ და ვგრძნობთ. — ვხედავთ ანდრია ახატნელის ოჯახის ნგრევას, ოჯახისა, რომლის ერთი შვილი ლოთი და ავარაა, მეორე — ლიბერალი და მენშევიკი, მესამე — რევოლუციონერი და თავდადებული, მეოთხე ქალი. ქეთო კი — ასეთი მერყევი და რთული წინააღმდეგობით გამოხატული. ანდრიას ოჯახის ნგრევის ისტორია 1905 წლის რევოლუციის ტალღებთანაა დაკავშირებული და ამ ნიადაგზე ნაჩვენებია რეაქციის ძალების სულიერი სიდამპლე და გამცემლობა. მეორე მხრით, ასევე ნაჩვენებია ის დიდი კეთილშობილება, რაინდული სიდიადე სულისა და მხნეობა რევოლუციონერთა წრისა, რომელიც დაკავშირებულია ზურაბ გურგენიძის წრესთან.

ამ ვრცელი სოციალური და საზოგადოებრივი სურათების გამოხატვის დროს, ნათლად ჩანს ავტორის მხატვრული ტენდენცია, ავტორისა, რომელიც ახალი სოციალური ურთიერთობის, რევოლუციის ჯარისკაცების ინტერესების დამცველი და გამომხატველია.

ამ ნაწარმოებში ერთხელ კიდევ გამოჩნდა მ. ჯავახიშვილის დიდი ნიჭი ტიპების გამოხატვისა. „არსენა მარაბდელის“ გამო მ. ჯავახიშვილი ერთგან შენიშნავდა: „მე კი იმ აზრისა ვარ, რომ მწერალმა თავდაპირველად ტიპები უნდა ჩამოასხას, ე. ი. ყველა იმ გმირს საკუთარი ხასიათი უნდა ემჩნეოდეს, და არც ერთი მათგანი მეორესა და მესამეს არ უნდა ჰგავდეს“. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მ.

ჯავახიშვილი, როგორც მხატვარი, აღწევდა ამ მოთხოვნის დაცვას ყველგან. ეს მიღწეულია ამ რომანშიც.

მ. ჯავახიშვილი, როგორც მხატვარი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამბის დაწყებას. ყველა მისი მოთხრობა და რომანი, თითქმის გამოუკლებლივ, ისე იწყება, რომ მკითხველს ინტერესი ფინალისადმი მაშინვე ებადება. პირველი ფრაზიდან მიღებული შთაბეჭდილება მკითხველს ბოჭავს და იმორჩილებს. ეს სტილური თავისებურებანი მწერლის პირველსავე მოთხრობაში გამოჩნდა.

„ბოლოს, ბევრი წვალებისა და ლაპარაკის შემდეგ, პოლიციის ბოქაულმა აღმოაჩინა, რომ 23 წელიწადია, რაც პოლიციელი პეტროვი ბაზარში მსახურობს, იქვე ცხოვრობს და აქამდის არც კი ცოდნია ჩანჩურას ნამდვილი გვარი და სახელიო“, ამბობს მწერალი. თითქოს აქ ამბის დასკვნა უკვე გაკეთებულია. ამბავი ყოველგვარი ექსპოზიციის გარეშე პირდაპირ იწყება. ასეთ ხერხს მ. ჯავახიშვილი ხშირად მიმართავდა. მაგრამ მისთვის არ არსებობდა სტანდარტი, — არც მოთხრობის დასაწყისისათვის იყო აღიარებული ასეთი სტანდარტი. სრულიად განსხვავებული დასაწყისი აქვთ „ქალის ტვირთსა“ და „არსენა მარაბდელს“. ეს უკანასკნელი ისე იწყება, რომ ჩვენ მაშინვე ვგრძნობთ მეამბოხე გმირის ხასიათსა და ბუნებას: „ქალის ტვირთის“ დასაწყისში კი მოცემულია ქარის დიდი კორიანტელის აღწერა და ამ კორიანტელის ფონზე პირდაპირ გვანიშნებს ავტორი რევოლუციას და მასთან რომანტიკული ქალის დამოკიდებულებას.

„ყველაზე უფრო ძნელია მოთხრობის დაწყება. დასაწყისი მთელ მოთხრობას აძლევს კოლორიტს, სტილს. უნდილად დაწყებული ამბავი უნდილადვე წავა, ძნელია შემდეგში ცეცხლის გაღვივება, სტილისა და რიტმის შეცვლა, ძნელიც არის და სახიფათოც. ამიტომ მე, დიდხანს ვეძებ ხოლმე დასაწყისს, რუსები ამბობენ ხოლმე, მოზვერს ერთბაშად სტაცე ხელი რქებშიო. და როცა დროს ვიხელთებ, ვცდილობ, უცბადვე დავწვდე რქებში და აღარ მოვადუნო. დასასრული სიძნელის მხრივ დასაწყისს არ ჩამოუვარდება. ადვილი არ არის უკანასკნელი წერტილის დასმა, ეს ლურსმანი ყველაზე ღრმად უნდა იყოს ჩარჭობილი“, — ასე წერდა მ. ჯავახიშვილი თავის ცნობილ წერილში: „როგორ ვმუშაობ“. აქ ყველაზე უფრო უტყუარად აქვს ავტორს გამოხატული ის, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვამბობდით.

მ. ჯავახიშვილის მოთხრობები გვიპყრობენ თხრობის ოსტატობით.

მ. ჯავახიშვილი როცა ჰყვება, თან ხატავს, ეს უბრალო აღწერა კი არ არის, არამედ ხატვა საგნის, მოვლენის, ცხოვრებისა თუ ადამიანის. მაგრამ ყველგან ეს ხატვა წარმოდგენილია სიუჟეტის განვითარებაში. ამბის მოყოლის ოსტატობა თითქოს ეჯიბრება ხატვას, ხატვის ოსტატობას. ამას აღწევდა მწერალი იმ დიდი და მდიდარი შთაბეჭდილების მეოხებით, დიდი დაკვირვების მეოხებით, რომელსაც ახდენდა იგი ცხოვრებაზე და რომლითაც ასე მდიდარი იყო მისი სულიერი სამყარო. მ. ჯავახიშვილი ერთგან კითხულობს: „რა მასალა უფრო მშველის — ავტობიოგრაფია, დაკვირვება, წიგნი და ჩანაწერები? ყველა ერთად, ცალკე კი არც ერთი. ყველაზე უფრო სახიფათოა მწიგნობრული მასალა, თავისუფალი შემოქმედების მაგიერ ღრმა მიმბაძველობა გამოვა. დაკვირვება ერთ დროს კულტად მქონდა გადაქცეული და ძალიანაც დამეხმარა. პროზაიკოსისათვის იგი ფრთებს უდრის, უამისოდ ვერ გაფრინდება. შესაძლებელია, მან ხალასი ფსიქოლოგიური რამე დაწეროს, მაგრამ ის ვერ შექმნის ცოცხალ ტიპს, ვერ დაგვიხატავს პეიზაჟს, ვერ დაგვანახვებს სულიერი და უსულო საგნების ურთიერთობას, ე. ი. ბუნებას, სიცოცხლეს, ცხოვრებას, მისი დანიშნულება კი სწორედ ეს არის და სხვა არაფერი. მან უნდა გვაჩვენოს და დაგვანახვოს (მწერალი სახეებით აზროვნებს, ხელოვნება შედეგებული ბუნებაა), ხოლო მსჯელობა, აღწერა და საუბარი სხვას უნდა დავუთმოთ, ვისაც დაკვირვების მარაგი არა აქვს, ის ვერც ვერაფერს გვაჩვენებს“. ამ სიტყვებში ნათლად არის განმარტებული მწერლობის დანიშნულებაც და ის მხატვრული თვისებაც, რაც მ. ჯავახიშვილს ახასიათებდა, როგორც მხატვარს.

მ. ჯავახიშვილის ზოგიერთი მოთხრობის სიუჟეტს ხელოვნურობის დაღი აძევს. მაგალითად გამოგონილისა და არაბუნებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს მოთხრობა „შურისძიების“ ამბავი. აქ მაიკოს, ქაიხოსროს და ლევანის დამოკიდებულების ახსნა და გამოხატვა მეტისმეტად ხელოვნურია და, ამიტომაა არადასამახსოვრებელი. ოღონდ მ. ჯავახიშვილის სტილისათვის ამგვარი ლიტერატურშჩინა არ არის დამახასიათებელი. ავტორი ყოველთვის ცხოვრებიდან იღებდა ამბავს და ეს ანიჭებდა ბუნებრიობას მის მოთხრობებს.

მ. ჯავახიშვილის სტილისთვის დამახასიათებელია მხატვრული გადაჭარბება, გაზვიადება, განგებ გაზვიადება. ასეა, მაგალითად, წარმოდგენილი „ოქროს კბილის“ გმირები და მათი ურთიერთობა, ასეთივე ეპიზოდები და დეტალები გვხვდება თვით „არსენა მარაბდელში“.

მ. ჯავახიშვილს ახასიათებს, აგრეთვე, განმეორება სიტყვებისა, ფრაზებისა, მთელი მხატვრული ფაქტურისა. ეს გარემოება უფრო დასამახსოვრებელს და შთამბეჭდავს ხდის ავტორის ჩანაფიქრს. აი ერთი მაგალითი: „დღეს დღე მისდევდა, კვირას კვირა და წელიწადს წელიწადი. ბევრი რამ შეიცვალა ბაზარში: ზოგმა ცოლი შეირთო, ზოგმა ახალი დუქანი დახსნა, ზოგი გაკოტრდა, ზოგიც გამდიდრდა. დარჩა მხოლოდ თავდიდა კურკა, რომელიც არც ბერდებოდა, არც მდიდრდებოდა, არც ცოლს ირთავდა. მას წინანდებურად აწვალებდნენ ბიჭბუჭები და ისიც წინანდებურად სტიროდა და ღრიალებდა:

— ყარაუ-ულ!.. მიშველ-ე-ე-ეთ! გარადოვო-ო-ოი!.. კაცო, რა გინდათ ჩემგან, კაცო, რატომ თავს არ დამანებებთ! რატომ არ მომასვენებთ, რას ჩამაცივდით!“ („კურკას ქორწილი“). აქ სიტყვები და ფრაზები ორ-სამჯერ მეორდება, და ეს ავტორს შეგნებულად აქვს გაკეთებული.

მ. ჯავახიშვილი იყო რეალისტი, ამ სიტყვის პირდაპირი და მაღალი მნიშვნელობით, — დიდი რეალისტი სიტყვიერი ქსოვილისა. „რაზე უფრო ვამყარებ სახეს, სმენაზე თუ თვალზე? — წერდა მიხ. ჯავახიშვილი, — უწინ ეს კითხვა სადაო არ ყოფილა, მხოლოდ ფორმალისტებმა და სიმბოლისტებმა წამოაყენეს იგი და პირველობა სმენას მიაკუთვნეს. ყველა გენიოსი მწერალი ჯერ სახეს და აზრს ხედავდა და მხოლოდ მერმე უფარდებდა მას მუსიკალურად გამართულ ფორმას. მხატვარი ღვიძლი ძმა არის მწერლის, კომპოზიტორი კი მეორე რიგის ნათესავია, მეორე რიგის დამხმარეა. მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ სიმბოლისტებმა და ნამეტნავ კი ანდრეი ბელიმ და მისმა მიმდევრებმა დიდი ზიანი მიაყენეს პროზას“. მ. ჯავახიშვილი რეალიზმის პრინციპს იცავდა ყოველთვის თანმიმდევრულად და მუდამ იყო დაუნდობელი მტერი სიმბოლიზმისა. ამ მხრივ მან გააგრძელა და განავითარა ქართული პროზის რეალისტური ტრადიციები.

დიდ ხატოვანებას, დიდ ბუნებრიობას მ. ჯავახიშვილი თავის მოთხრობებში აღწევს მდიდარი ენით, მდიდარი ლექსიკური მარაგით. მისი ქართული ენა ნასაზრდოებია ქართლ-კახური მეტყველების თავისებურებებით. მ. ჯავახიშვილი ამბობდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება... ლექსიკონი, სასულიერო წიგნები და, საერთოდ, კლასიკოსები —

აი ჩემი ყოველდღიური ენობრივი ულუფა. განუწყვეტელი ვარჯიშობა, — აი წინდი ყოველგვარი ხელოვნების გამარჯვებისა. ლექსიკის მუდმივი გამდიდრება და თავდაპირველად სასაუბრო ენის შესწავლა ის საძირკველია, ურომლისოდაც ვერავითარი სალიტერატურო ძეგლი ვერ შეიქმნის. მეტსაც ვიტყვი, თუ საშუალო ნიჭის ავტორმა ზედმიწევნით იცის ქართული, ის ქართულის უცოდინარს ძლიერ, ნიჭიერ მწერალსაც აჯობებს". არა მგონია, აქ რამეს შეცვლა ან დამატება შეიძლებოდეს.

მ. ჯავახიშვილი მოთხრობებში, ასევე რომანებშიაც, უმთავრესად ფსიქოლოგიურ ხასიათებს ქმნიდა არსებული პროტოტიპიდან. ეს დაკვირვებანი ცხოვრებაში შეხვედრილი მოვლენებიდან აღებული ფსიქოლოგიური ნახატები იყო. პროტოტიპის ხასიათის დონემდე აყვანა ჩვენი მწერლისათვის დამახასიათებელი მანერაა წერისა. წინათ ალბათ ბევრი შეხვედრია ბაზრებში თუ ქუჩებში ჩანჩურას, კურკას, ჯაყოს პროტოტიპს. აკი თვითონ მიუთითებს მწერალი, რომ ეს ტიპები მან ცხოვრებაში აიღო. ცხადია, ცხოვრებაში ასე ხალას ჯაყოს, ჩანჩურას თუ კურკას ვერსად შეხვდებით. ისინი მწერლის ფანტაზიით, მისი მხატვრული ფუნჯით ხელმეორედ გაცოცხლებული, ხელმეორედ შექმნილი განზოგადოებული ადამიანებია, ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებაში ვხვდებით ერთფეროვანი სახით. მ. ჯავახიშვილი ტიპების შექმნის სწორუპოვარი ოსტატია.

•

მე-20 საუკუნის ქართულ პროზას აქვს თავისი დიდებული ტრადიცია, ჰყავს თავისი სახელოვანი წარმომადგენლები. მათ შორის საპატიო ადგილი ეკუთვნის მიხეილ ჯავახიშვილს. დიდი წარსულის მქონე ქართულ მწერლობაში მან განსაკუთრებული პოპულარობა, განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა.

მ. ჯავახიშვილი იყო ბელეტრისტის ბუნებრივი და მაღალი ნიჭით დაჯილდოებული მწერალი. სიუჟეტის გამოგონების დიდი ოსტატი, ამბის მოყოლის უბადლო ხელოვანი, ადამიანის ფსიქოლოგიის დიდი მესაიდუმლე, ცხოვრებისეული მოვლენების დანახვის გასაოცარი მხედველობა, ტიპის მონახვის, დახატვისა და გამოსახვის უნარი, ცოცხალი, ხალხური მეტყველება, ამაღლებული ლიტერატურული ენის

მაღალ ხარისხში, — იყო ის დიდი ძალა, რომელიც ანიჭებდა ჯავახიშვილის პროზას მკითხველზე წარუშლელ ემოციურ ზეგავლენას.

მის რომანებსა და მოთხრობებში ყოველთვის არჩეულია ადამიანის ყოფისა და ინტიმური ცხოვრების ისეთი სურათები, რომლებიც უაღრესად ცხოვრებისეულია და ჭეშმარიტი. ცხოვრების მრავალსახოვან და მრავალფეროვან მოვლენათა საინტერესოდ და მიმზიდველად გამოსახვაა მისი წერის მანერის მთავარი თვისება.

ლეო ქიაჩელი

ეს იყო საქართველოს განაპირა მთიანი რაიონის პატარა სოფელ ობუჯში (წალენჯიხის რაიონი). ლეო ქიაჩელს თანასოფლელები დაბადების 70 წლისთავს უხდიდნენ. მდინარის პირას მდებარე ამ პატარა სოფლის ცენტრში იდგა ერთსართულიანი ფიცრული სახლი, რომლისთვისაც ბიბლიოთეკა-კლუბი დაურქმევიათ აქაური მცხოვრებლებს. მის ლამაზ, მწვანით მოსილ ეზოში, ასწლოვანი ჭადრის ძირში იდგა ლეო ქიაჩელი, თანასოფლელებითა და ქართველი მწერლებით გარშემორტყმული. იგი მოღიმარი სახით საუბრობდა თანასოფლელებთან, ხელით უთითებდა „ტარიელ გოლუაში“ აღწერილი სამი ცაცხვისაკენ... მთის ფერდობზე, მდინარის გაღმა ლამაზად მოჩანდა ეს სამი ცაცხვი, ბევრის მომსწრე და მოწამე. აქ პირველად, ამ 70 წლის წინათ, სოფლის რევოლუციურმა გლეხებმა საიდუმლო კრება გამართეს. აქ პირველად გაისმა სიტყვა „ამხანაგო“, აქ პირველად აღმართეს დროშა რევოლუციისა. მთელი ეს მიდამო ნაცნობი და ახლობელი იყო მწერლისათვის. მთელი ეს გარემო, ასევე „ტარიელ გოლუას“ მიხედვით, ნაცნობი და ახლობელი იყო თბილისიდან ჩამოსული სტუმრებისათვის, ქართველი მწერლებისათვის.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. ლეო ქიაჩელს სიტყვებით მიმართეს ქართველმა მწერლებმა. მისმა პირადმა მეგობარმა გერონტი ქიქოძემ გულწრფელი და მხურვალე სიტყვით მიულოცა ლეო ქიაჩელს 70 წლის სახელოვანი თარიღი და თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ტარიელ გოლუას“ ავტორი დიდი ხანია ჩვენმა ხალხმა შეიყვარა. მე პირადად მისი მეგობარი ვარ უკვე 40 წელზე მეტია, ამისდა მიუხედავად, მე სოფელ ობუჯში პირველად მოვხვდი. როდესაც მის ბუნებას, მის გარემოს, მის ხალხს გავეცანი, ჩემთვის ერთბაშად ნათელი გახდა, თუ რამდენად სიმართლით არის „ტარიელ გოლუაში“ აღწერილი და გამოსახუ-

ლი ეს მთა, ეს ბუნება, ეს მშვენიერი პეიზაჟი, ეს მთის დარბაისელი ხალხი...“

ლეო ქიაჩელს სიტყვით მიმართეს აგრეთვე მისმა თანასოფლელებმა. მათს სიტყვაში, მათს ქცევაში, მათს დამოკიდებულებაში მწერლისადმი ნათლად გამოიხატებოდა ის დიდი სიყვარული, რომლითაც დაკავშირებულია ჩვენი დროის გამოჩენილი მწერალი თავის ხალხთან, თავის კარის მეზობლებთან. ქართველი მწერლები, რომლებიც ლეო ქიაჩელს ახლდნენ, მოხიბლული იყვნენ ამ სოფლის მცხოვრებლების სიდარბაისლით, სტუმართმოყვარეობით. ჩვენ გარშემო ისეთივე ბრგე ვაჟკაცები, ახოვანი და დინჯი ადამიანები იდგნენ, როგორც „ტარიელ გოლუაში“ არიან გამოსახული. ლეო ქიაჩელი თავის სიტყვაში სამართლიანად ამბობდა, ჩემმა ხალხმა, ჩემმა მეზობლებმა ჩამინერგეს მე მწერლობის სიყვარული, მათ შორის აღმოვაჩინე მე ის ადამიანები, რომლებიც შემდეგ ჩემს რომანებში გამოვხატე განზოგადებულადო; ბავშვობაში აქ თქვენ შორის მინახავსო მე ის ბრგე ვაჟკაცი, ის გულმართალი, დინჯი და დაკვირვებული მებრძოლი გლეხი ტარიელ გოლუა, ის თქვენსავით უბრალო მხვნელ-მთესველი იყო თუ მეჯოგე, საქონლის მწყემსი; მისი მსგავსი და მისგვარი ბევრი იყო ამ სოფელში; კონკრეტულად მე მას ვერც ერთი კაცის სახელს ვერ დავარქმევდი. და არც დამირქმევია; აი ამ მრავალთაგან ამოვკრიბე მე ის ხასიათი და მხნეობა სულისა, შემართება და დაუოკებელი ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, რაც მე ტარიელ გოლუას ხასიათში დავიჭირეო...

სამი დღე გრძელდებოდა ეს საზეიმო შეხვედრები ლეო ქიაჩელთან სოფ. ობუჯში. რაიონულ ცენტრში, წალენჯიხაში, ზუგდიდში — ყველგან გულმხურვალედ ესალმებოდნენ საბჭოთა ადამიანები, მკითხველები თავის საყვარელ მწერალს. ეს შეხვედრები იყო დადასტურება იმ სიყვარულისა, რომლითაც აჯილდოებს მკითხველი ხალხის წინაშე ვალმოხდილ მწერალს, თავის საყვარელ მწერალს.

*

გამოჩენილი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი შრომა და მრავალფეროვანი ცხოვრება განუყოფლად არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის რევოლუციურ წარსულთან, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან. ლეო ქიაჩელს

მოწინავე მოქალაქისა და პატრიოტი მწერლის პოზიცია აკავშირებს მე-20 საუკუნის ცნობილ ისტორიულ მოვლენებთან. მან თავისი საუკეთესო ნაწარმოების ცენტრში დააყენა ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი რევოლუციონერი ადამიანის სახე. ხოლო ამ ახალი ცხოვრების დამკვიდრების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კეთილშობილურ ამოცანად გაიხადა საბჭოთა ადამიანების ნათელი და მართალი სულიერი სამყაროს გამოხატვა და მან, როგორც მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანმა ოსტატმა, მოახერხა შეექმნა მდიდარი გალერეა მე-20 საუკუნის მოწინავე ადამიანებისა; მათს მოქმედებასა და აზროვნებაში, განცდებსა და განწყობილებაში გადმოსცა რევოლუციონერთა მისწრაფებანი, საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებანი, ლეო ქიაჩელმა, როგორც პროზაიკოსმა, თავის მხრებით აზიდა XX საუკუნის რევოლუციური საქართველოს მღელვარე ისტორიული გზა.

რთული, შემოქმედებითი წინააღმდეგობათა დაძლევის გზით „ტარიელ გოლუასა“ და „სისხლის“, „გვადი ბიგვასა“ და „მთისკაცის“ ავტორი ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების — ილიასა და აკაკის, ვაჟასა და ალ. ყაზბეგის, გ. წერეთლისა და ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილისა და შ. არაგვისპირელის პლეადას გვერდში ამოუდგა, როგორც ცოცხალი კლასიკოსი ჩვენი დიდი ეპოქისა. ცხოვრების მღელვარების ცენტრში ყოფნა, შემოქმედებითად დაკავშირება ხალხთან და მის ინტერესებთან, რაც ასე ახასიათებს ლეო ქიაჩელს, ნიადაგს პოულობს კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებში.

ლეო ქიაჩელი ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად და გამავითარებლად გვესახება. ლეო ქიაჩელი, როგორც მოქალაქე და მწერალი, გვერდში ამოუდგა რევოლუციურ საქართველოს და მისი პირუთვნელი მემატიანე გახდა. რევოლუციური მოღვაწეობის, პოლიტიკური პატიმრობის, არალეგალური ცხოვრების სკოლაგავლილი ლეო ქიაჩელი თავის სულში განასახიერებდა რევოლუციური საქართველოს ფიქრებსა და ზრახვებს.

•

ლეო ქიაჩელი (ლეონ მიხეილის ძე შენგელაია) დაიბადა 1884 წლის 7(20) თებერვალს, საეკლესიო ჩანაწერის მიხედვით 1886 წ. სოფ. ობუჯში (წალენჯიხის რაიონი). მამამისი სოფლის თვალსაჩინო ინ-

ტელიგენტი იყო. დედა—მართა, ქართული მწერლობის დიდი მოსიყვარულე გახლდათ. ქიაჩელის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები დაემთხვა იმ დროს, როდესაც სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მისი ლენინური ფრთა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სათავეში ჩაუდგა რევოლუციურ მუშათა კლასს და აამოძრავა მთელი პროგრესული ძალები. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ასეთ ატმოსფეროში ყალიბდებოდა მომავალი მწერალი.

ლეო ქიაჩელმა საშუალო განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. გიმნაზიის მოსწავლეთა წრეს ჰქონდა პატარა ხელნაწერი ჟურნალი „მომავალი". ეს ჟურნალი სულ ათიოდე ცალი მზადდებოდა. ავტორები უმეტეს შემთხვევაში საკუთარი ხელითვე ჩაწერდნენ თავიანთ ნაწარმოებებს — ლექსებს, პატარა მოთხრობებს, წერილებს, ლეო ქიაჩელის პირველი ცდა — პატარა მოთხრობა, რომელსაც „სიზმარი" ერქვა, ამ ჟურნალის ერთ-ერთ ნომერშია ჩაწერილი. ეს ჟურნალი გამოხატავდა მოსწავლეთა რევოლუციურ სულისკვეთებას. რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მოსწავლეთა წრეში. ამას ხელს უწყობდა ბათუმის მუშათა გაფიცვები, როტშილდის ქარხნის მუშათა პოლიტიკური დემონსტრაციები. რევოლუციური იდეებით გატაცებულ გიმნაზიელთა წრის ერთ-ერთი მეთაური ლეო ქიაჩელი იყო. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ 1903-1904 წლებში ქუთაისში ცხოვრობდა თბილისის საოსტატო ინსტიტუტიდან რევოლუციური მუშაობის გამო გარიცხული ალიოშა ჯაფარიძე, შემდეგ ბაქოს სახელოვანი 26 კომუნარის ერთ-ერთი მეთაური, რომელიც ამ ხანებში რსდმ პარტიის „იმერეთ-სამეგრელოს" კომიტეტში შედიოდა. მისი ხელმძღვანელობით სწორედ ლ. ქიაჩელის ბინაზე ჩამოყალიბდა მოსწავლეთა რევოლუციური ორგანიზაცია. ლ. ქიაჩელი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ქუთაისის მოწაფეთა პირველი პოლიტიკური გაფიცვისა და დემონსტრაციისა (1904 წელს), რომელმაც მაშინ დიდი გამოხმაურება პოვა.

გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ, 1904 წელს, ლეო ქიაჩელი ხარკოვის უნივერსიტეტში ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ხარკოვის უნივერსიტეტი დროებით დაიხურა. ლ. ქიაჩელი საქართველოში დაბრუნდა. როგორც სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აქტიური წევრი, ლ. ქიაჩელი საქართველოში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაო-

ბის ცენტრში მოექცა. 1906 წელს ლ. ქიაჩელი მთავრობამ შეიპყრო შეიარაღებულ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. იგი დააპატიმრეს და ქუთაისში გაგზავნეს. 1907 წელს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ქუთაისის ციხეში გარედან გვირაბი შეიყვანა და პოლიტიკური პატიმრები მძიმე სასჯელს ააცდინა. ამ გვირაბით ციხიდან გაქცეულთა შორის ლ. ქიაჩელიც იყო. სწორედ ეს ბიოგრაფიული ეპიზოდი აქვს აღწერილი მწერალს რომან „სისხლში“.

1907—1912 წლებში ლ. ქიაჩელი მოსკოვში ცხოვრობდა არალეგალურად. სწავლობდა მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში ეკონომიური განხრით (1908—1912 წელი). იგი თანდათანობით ჩამოსცილდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას და ხელი მოჰკიდა მწერლობას. მოსკოვში ყოფნის პერიოდს ეკუთვნის ლ. ქიაჩელის პირველი მოთხრობები, გამოქვეყნებული თბილისის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. პირველი მისი მოთხრობა „წარსული აწმყოში“ დაიბეჭდა 1909 წლის 7 მაისის თბილისის ქართულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში — „ჩვენი აზრი“ ლ. მიხაძის ფსევდონიმით. შემდეგ მისი ფსევდონიმი ლ. ქიაჩელი გახდა.

1912 წელს ლეო ქიაჩელი მოსკოვიდან შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. ჟენევაში იგი უფრო აქტიურად ჩაება შემოქმედებითს მუშაობაში. 1914—1915 წლებში ლ. ქიაჩელმა დაწერა თავისი პირველი რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელიც 1916 წელს „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნდა. 1917 წელს, მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, ემიგრანტ-რევოლუციონერ ლ. ქიაჩელს უფლება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1917—1918 წლებში იგი მასწავლებლობდა თბილისის ქალთა გიმნაზიაში. 1919—20 წლებში მუშაობდა ზუგდიდში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლეო ქიაჩელი მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტზე. 1921—1923 წლებში — ლექტორად წითელარმიელთა კურსებზე. ამავე წლებში ხელმძღვანელობდა წითელი არმიის კლუბთან არსებულ ქართულ თეატრს, აგრეთვე კვირეულ ჟურნალს „ლომისს“, რომელიც შემდეგ გაზეთად გადაკეთდა.

ლეო ქიაჩელი 1932—1947 წლებში თავმჯდომარეობდა მწერალთა კავშირის პროზაიკოსების სექციას. იგი მწერალთა კავშირის დაარსებიდან გარდაცვალებამდე ითვლებოდა კავშირის პრეზიდიუმის წევრად.

1939 წელს ლ. ქიაჩელი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. 1940 წელს მას მიეკუთვნა სახელმწიფო პრემია რომან „გვადი ბიგვასათვის". 1946 წელს ლეო ქიაჩელი მეორედ დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1954 წელს, დაბადებიდან 70 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, დაჯილდოვებული იქნა ლენინის ორდენით.

ქართული ლიტერატურის მშვენება, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლეო ქიაჩელი გარდაიცვალა 1963 წლის 25 დეკემბერს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

•

XX საუკუნის დიდმა მოვლენებმა შთააგონეს ლეო ქიაჩელს ისეთი უბრწყინვალესი მხატვრული ტილოების შექმნა, როგორიცაა „ტარიელ გოლუა", „გვადი ბიგვა" და „მთისკაცი". მისი პოპულარობაც, როგორც მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატისა, ამ ნაწარმოებებმა განსაზღვრეს. მაგრამ სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დადგომამდე ლეო ქიაჩელმა საკმაოდ დიდ წინააღმდეგობათა შემცველი გზა განვლო.

ლეო ქიაჩელი სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის ათიან წლებში გამოვიდა. ეს იყო რეაქციის ხანა, რეაქციის ეპოქის სულიერი დაცემულობისა და გულგატეხილობის ატმოსფეროს გავლენა შეეხო არა მარტო მერყეულ რევოლუციურ თანამგზავრთა წრეს, არამედ პარტიული ინტელიგენციის ერთ ნაწილსაც. ლეო ქიაჩელი ამ წრეში მოექცა. რევოლუციური მოღვაწეობის, პოლიტიკური პატიმრობის, არალეგალური მკაცრი ცხოვრების სკოლაგავლილი ლეო ქიაჩელი ერთხანს ჩამოსცილდა ამ მოწინავე პოზიციას. ახალგაზრდა მწერალი მძაფრ სოციალურ-საზოგადოებრივ საკითხებს გვერდს უხვევს და ხელს ჰკიდებს ცხოვრების წვრილმანების აღწერას. ამ ნიადაგზე იგი უახლოვდება და ხარკს უხდის რეაქციის წლებში რუსულ და ქართულ მწერლობაში ევროპის დეკადენტური მწერლობის გავლენით აღორძინებულ ანტირეალისტურ სკოლებს.

იგი ქართული ლიტერატურის კარებს ნოველებით შემოაღებს. ეს ნაწარმოებები, ზოგიერთი რეალისტური ნოველის გამოკლებით, დეკადენტურ-სიმბოლისტური ხასიათისაა. ამ ნოველების ფილოსოფიურ

საფუძველს იდეალიზმი, მისტიციზმი წარმოადგენდა*. ნოველების მთავარი პერსონაჟები არანორმალური ადამიანები იყვნენ: სულით ავადმყოფნი, ავი ზნით დაავადებულნი, მუნჯები, ფიზიკურად და სულიერად მახინჯები, ამ ნოველების განწყობილება კი — სევდიანი, მისტიკური და მელანქოლიური. ნოველაში „ესკალადე“ მწერალს მიზნად დაუსახავს დამტკიცოს, რომ „ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე“. აქ ადამიანები წარმოდგენილი არიან, როგორც ნიღბები, მოჩვენებები, ცხოვრება კი გამოცხადებულია ჩვენი ფანტაზიის ნაყოფად, დაახლოებით ისევე, როგორც ადამიანის მიერ შექმნილი ნიღაბი. ეს აზრი ასეა გადმოცემული ნოველაში: სადღაც მასკარადი გაუმართავთ, ვიღაც კუდიანი ნიღბოსანი ქალი ახალგაზრდა ვაჟს აიყოლიებს. ნიღბოსანი ქალი ხეზე ადის, თან მისდევს ვაჟი, ქალი უცბად ნიღაბს მოიცილებს და სულ მაღალ ტოტზე გასტყორცნის. ვაჟსაც და ხალხსაც ხეზე ჩამოკიდებული ნიღაბი ნიღბოსანი ქალი ჰგონიათ. შურით შეჰყურებენ იმის მამაცობას. ხიდან ძირს ჩამოსული ქალი დასცინის გულუბრყვილო ბრბოს. ვაჟს ეუბნება: „აი, ჩემი იდეა ხომ კარგია! შეხედე, რა ამბავია? თითქოს ხეზე მართლა ვინმე იყოს!.. ხა, ხა, ხა, ხა, — რა სულელია ხალხი“, და შემდეგ „ხა, ხა, ხა, ხა, მეგობარო, არ გეცინება? როგორ მოგწონს ჩემი იდეა? არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეას, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი“.

ნოველის გმირი კაცობრიობის ბრძოლას საუკეთესო იდეალებისათვის სისულელედ აცხადებს. რამდენადაც ავტორი ყოველგვარი კომენტარების გარეშე გვაწვდის ამ მეშჩანი ქალის განმარტებას, ამდენად საწინააღმდეგო აზრს ავტორს ვერ მივაწერთ. ასეთი სკეპტიკური და მელანქოლიური განწყობილება ამ პერიოდის ნოველებში ხშირად გვხვდება.

ნოველაში „ცოდვის შვილები“ ადამიანები შიშით ცახცახებენ ღვთისნებისა და ბოროტი ძალების წინაშე. ავი ზნით შეპყრობილი და სულით ავადმყოფ ჯვებეს მამა ხატზე გადაუცია: „ასრულდა ღვთის ნება. ჯვებეს მამას სახეზე ცხელი წყალი გადაესხა, ქონიანი, სწორედ შო-

* შ. რ ა დ ი ა ნ ი — „ლეო ქიაჩელი“.

ბა დილას. თვალები ამოუგდო, მერე დიდ ტანჯვასა და წვალებაში აღმოხდა სული". ჯვებეს ძმებიდან ერთი ბავშვობისას დაგლიჯა ცოფიანმა ძაღლმა, მეორე კი, უკვე ვაჟკაცი, შემთხვევით იმსხვერპლა ხატობაში გასროლილმა ტყვიამ. ჯვებეს ერთადერთი და წყალში დაიხრჩო, მასაც ჯვებესავით ავი ზნე უვლიდა. შემდეგ მწერალი ამ ავი ზნით შეპყრობილ ჯვებეს შეახვედრებს ოჯახიდან გამოგდებულ ცოდვილიანს, ვიღაც განთქმულ მწყევარს ბეკოს. ბოლოს ორივე ეს ცოდვის შვილი ფატალურად იღუპება.

მწერალი მთელ ამ მისტიკურ ამბავს ასეთ რემარკას უკეთებს: „აი ერთი მოვლენა შეუცნობელი: სოფელი დათქვამს და უთუოდ ასრულდება! სოფელი კი თურმე დაბეჯითებით ამბობდა — შერისხული კერაა! ასე იცის ხატმაო! აღსრულდა ღვთის ნება, ხატზე გადაცემულს რა კარგი მოუვა!" ჩამორჩენილი სოფლის მორწმუნეთა აზრი განსაზღვრავს ამ ნოველის მთელ შინაარსს, გმირების მოქმედებას; მათს ბედს რაღაც შეუცნობელი ძალა განაგებს; ცხოვრების სურათი ისეა დახატული, რომ იგი აიძულებს მკითხველს ჩაუფიქრდეს რაღაც არარსებულ საიდუმლოებას, ცხოვრების ღვთაებრივ საწყისსა და ძალას. ამ მორწმუნეთა მისტიკურ აზრებს სოფლის ცხოვრების ჩამორჩენილთა სფეროში მოძებნილი აქვს ღვთისმოსავთა სამოსელი და ყველაფერი ეს მწერალს გარკვეული მიზანდასახულობით აქვს გამოყენებული,

სოფლის ცრუმორწმუნეობის სურათია აღწერილი აგრეთვე ნოველაში „ჯადოსანი". მწერალი ზღაპრული თვისებებით ხატავს მენახირე ტაგუს თვალების ჯადოსნურ ძალას. გველის ჯადოსნობა ტაგუს თვალებში ჩამდგარა და იგი ამ ძალით ყველაფერს იმორჩილებს. ხალხი გაურბის ამ ბოროტ ძალას, ეი, გაიანემ გადაწყვიტა, წინ აღუდგეს ამ ზეციურ ჯადოსნობას. მაგრამ ამაოდ. ტაგუს ჯადოსნურმა თვალებმა მონუსხა იგი და დაიმორჩილა. აქაც ხალხში გავრცელებული ცრურწმენა უაღრესად გამისტიკურებულია. ასევე გამისტიკურებულია სტეფანე ამავე სახელწოდების ნოველაში. სტეფანე, ტყუილების ეს ჯადოქარი და მუნჯ ადამიანთა მესაიდუმლე, ძოკოს მეგობარი, მწერალს გამოყენებული ჰყავს იმავე სკეპტიკური მიზანსახულობით. როგორც ცნობილია, ძირითადი საფუძველი სიმბოლიზმისა და, ასევე დეკადენტობისა, არის დუალიზმი — მოძღვრება ორ სამყაროზე — მიწიერ სამყაროზე და ღვთაებრივ სამყაროზე. სიმბოლისტების აზრით, იდეალურ სამყაროს წარმოადგენს შეუცნობელი მეორე სამყარო, მწერლის მოვალეო-

ბაა ანიშნოს, მიაგნებინოს, მიახვედროს მკითხველი საიდუმლოებით მოცულ მეორე სამყაროს სიდიადეს. მისტიკური, რელიგიური ფილოსოფია უდევს საფუძვლად დეკადენტური სკოლის მთელ სწრაფვას, კითხვის ქვეშ დააყენოს ობიექტური სამყარო, უარი თქვას მასზე და იდეალად აღიაროს მეორე სამყარო, ირეალური ქვეყანა, საიქიო.

ლეო ქიაჩელის ნოველების ერთი ნაწილი, უმთავრესად ის ნოველები, რომლებიც ავტორს მოსკოვსა და შვეიცარიაში ყოფნის დროს დაუწერია, უთუოდ განიცდის იმდროინდელი მოდური დეკადენტური სკოლის გავლენებს. მაგრამ აქ საჭიროა ერთი რამ შევნიშნოთ.

ლეო ქიაჩელის პირველი მოთხრობები (მხედველობაში მაქვს „წარსული აწმყოში“ და „მამა ოქროპირი“) რეალისტური ქართული მწერლობის ტრადიციებს ეყრდნობა, ამ ტრადიციებიდან გამოდის. მათთვის ჯერ კიდევ სავსებით უცხოა დეკადენტური სკოლის გავლენა. პირველ მოთხრობაში — „წარსული აწმყოში“ აღწერილია ლეო ქიაჩელისათვის კარგად ნაცნობი დადიანების სოციალური წრე. ისტორიულად უკვე დაკნიჭების გზაზე დამდგარ დადიანებიდან სამიღა დარჩენილა. როგორც მწერალი შენიშნავს, თუმცა ამ დიდებული გვარის მთავრული ვარსკვლავი დიდი ხანია, რაც ჩამქრალა, მაგრამ აწინდელ მის წარმომადგენლებს ეს არ სწამდათ და ისტორიის განაჩენს გადაჭრით უარყოფდნენ. თავი ისე ეჭირათ, როგორც ნამდვილ მთავრებს შეეფერებოდათ. და აი, ამ გვართა ტრადიცია, მათი ყოფა, დაკავშირებული ერთ წვეულებასთან, ნადიმთან, აღწერილია ამ მოთხრობაში საყოფაცხოვრებო დეტალების იშვიათი ცოდნით. ყოველი ამ პასაჟის აღწერისას, სოფლის ცხოვრების სურათების გადმოცემისას ნათლად იგრძნობა ქართული კლასიკური რეალიზმის ტრადიცია და ძალაც. ამ მოთხრობაში ასევე გარკვეულად მოჩანს პატრიოტული ქართული მწერლობის მაცოცხლებელი კვალი. და ამ ფონზე ნათლად არის გამოხატული ერთიანი საქართველოს იდეალი. ლევან ბატონიშვილი აღელვებით ჰყვება: „ამ დროს მაგონდება, ბატონებო, ჩვენს ოჯახში დღემდე შემონახული წმინდა გადმოცემა, რომ თამარ მეფეს ხელში ჭერია პირთამდე სავსე (საუბარი შეეხება ტრადიციულ ყანწს „დიდებას“), როცა რუქნადინის დამარცხების შემდეგ ბასიანიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისთვის ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცავთ... საგულისხმიერია, რომ ეს ისტორიული განძი, ეს წმიდათაწმიდა. ეს ჩვენს

ოჯახშია დაცული, როგორც სიმბოლო ქართველი ერის მთლიანობისა და მისი ისტორიის უწყვეტლობისა დასაბამიდან, ვიდრე აქამდის“.

ლეო ქიაჩელის მეორე მოთხრობა „მამა ოქროპირი“ „ტარიელ გოლუას“ თემატიკური რკალის პირველი მოსინჯვაა. აქ აღწერილია რევოლუციის დამარცხების შემდეგ სოფლად გამეფებული პოლიტიკური დეპრესიის ის ატმოსფერო, რომელსაც მწერალი დროებით მოვლენად მიიჩნევს. ამ მოთხრობაში ხაზგასმულია, რომ სოფლად დამყარებულ „მშვიდობიან ცხოვრებას“ ნამდვილად ჯერ კიდევ არ ეტყობოდა ქედის მოხრა და შერიგება მდგომარეობასთან. ავტორი ხაზს უსვამს ამ ამბავს:

„მაკოთის მოძღვარი და მისი მეგობარი აზნაურები „პოლიტიკის“ დიდი მოყვარულები იყვნენ, თუმცა გლეხებსაც არანაკლებ „პოლიტიკოსებად“ მოქონდათ თავი და საზოგადო საკითხებისადმი უდიდეს ინტერესს იჩენდნენ.

დრო იყო ისეთი, რომ „პოლიტიკა“ ყველას იზიდავდა. ეს იყო 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დამდგარი რეაქციის ბატონობის დრო“.

ეს ძირითადი აზრი განსაზღვრავს მოთხრობის შინაარსს. „მამა ოქროპირი“ — სოფლის მოძღვარი, ისევე როგორც აზნაური სოლომონი, ამ მოთხრობაში წარმოდგენილია რეაქციის ერთგულ ძალად, რომელიც სასტიკად უსწორდება რევოლუციურ გლეხობას და გადასახადებით სულსა ხდის. ამ მოთხრობაში ასევე ხაზგასმით არის გადმოცემული ის უკმაყოფილება და შფოთი, რომელიც გლეხკაცობაში სუფევს რეაქციის ხანაში. ყოველივე ამის გამო ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლეო ქიაჩელი თავის შემოქმედების ამ ადრინდელ პერიოდშიაც არ იყო ტიპიური დეკადენტი მწერალი, და შემდეგაც, როდესაც მან დეკადენტური მწერლობის ძლიერი გავლენა განიცადა, მაშინაც კი თავისებურ მერყეულ პოზიციაზე იდგა. ამ გარემოების აღუნიშვნელად ლ. ქიაჩელის ადრინდელი პერიოდის შემოქმედების დახასიათება არ იქნებოდა მართებული და სრული.

რევოლუციური ბიოგრაფიის მქონე მწერალი თავისებურ განსაზღვრულობას და შეზღუდულობას გრძნობდა მოდერნიზმის სქემაში. ხშირად მისი თემატიკური ჩანაფიქრი და ამ ჩანაფიქრის განხორციელებისათვის გამოყენებული მხატვრული აქსესუარი სრულიად საწინააღმდეგო პოზიციებზე აყენებდა მწერალს. დიალოგის, ფრაზის, მხა-

ტვრული შედარებების მთელი ინვენტარი უპირატესად აღებული იყო რეალისტური სკოლის სალაროდან, საკითხის იდეური გადაწყვეტა კი მოდერნისტულ სქემებს ემსახურებოდა. ამგვარ წინააღმდეგობას ჩვენ ვხედავთ ჩვენ მიერ დასახელებულ ნოველებში — „ჯადოსანი“ და „სტეფანე“. ასეთივე წინააღმდეგობა გვაქვს ნოველებში „წუთისოფელი“ და „პატარა ისტორია“. ლეო ქიაჩელმა შემდეგ ხელი აიღო რევოლუციური საქართველოს ცოცხალი მემატიანესათვის უცხო, მოდერნისტულ ნოველებზე და კლასიკური პროზის რეალისტურ გზას მოაშურა.

პირველი ნაწარმოები, რომლითაც ის ქართული კლასიკური პროზის დიდი ტრადიციის სახელოვან განმგრძობად გვევლინება, არის „ტარიელ გოლუა“.

*

„ტარიელ გოლუაში“ მოცემულია ფართო მხატვრული ტილო 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეებისა. მოქმედება წარმოებს სოფლად. სოფლის ყოფა ჩვენი ლიტერატურის, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მწერლობის, უმთავრესი თემა იყო. უპირატესად სოფლის ცხოვრება, სოფლის ადამიანები, მათი კლასობრივი ურთიერთდამოკიდებულება ასახა მე-19 საუკუნის ქართულმა პროზამ. ამ პერიოდის პროზა, თვით ხალხოსნების ჩათვლით, მჩაგვრელთა და ჩაგრულთა ბრძოლისა და ურთიერთობის პოზიტიურ აღწერას ვერ გასცილდა, ან, უკეთეს შემთხვევაში, კლასობრივი ბრძოლის ინდივიდუალური ხასიათი გამოკვეთა. სულ სხვა სურათი სოფლის ცხოვრებისა აისახა ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“. XX საუკუნის ახალი რევოლუციონური სიტუაცია სოფლის რევოლუციონური ამოძრავება, რევოლუციონური განწყობილების შეჭრა სოფლად, გლეხთა ფართო ფენების მონაწილეობა და ბრძოლა მეფის თვითმპყრობელური ტახტის დასამხობად — ეს ისტორიული სიმართლე 1905 წლის რევოლუციისა მთელი სისრულით აისახა ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“. ეს არის პირველი რომანი, რომელშიაც ასე ვრცლად, ასე სრულყოფილად, ასე საინტერესოდ და ოსტატურად არის დახატული 1905 წლის სახალხო რევოლუციური მოძრაობის გრანდიოზული სურათი სოფლად.

რომანი საინტერესო ბელეტრისტული ხერხებით გვიპყრობს და გვაჯადოებს. უაღრესად დრამატიზებული სიუჟეტი რომანისა დაძა-

ბული აღმავლობით ვითარდება. იგი იწყება სოფლის მშვიდობიანი ცხოვრების აღწერით, შემდეგ სოფლის ამ იდილიას ერთბაშად ცვლის ერთობის მომხრეთა ფიცის სურათი, მისი მეთაურის ლევანის მიერ დავითის ქალიშვილის გატაცების სცენა და აქ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაჯახებული ორი ბანაკი: ერთობის მომხრეთა და რეაქციის ბურჯთა საწინააღმდეგო წრე. შემდეგ ამ ეპიზოდებს მოსდევს რევოლუციის მიერ გამოღვიძებული და ამოძრავებული სოფლის სურათები. მდინარე ბროლიას პირას სამცაცხვის ძირში რევოლუციონერი გლეხების კრებას, რომელსაც ტარიელი და ლევანი მეთაურობენ, შევყავართ 1905 წლის რევოლუციის მღელვარე დღეების მოგონებაში. ამოძრავებულ და ამბოხებულ რევოლუციურ სოფელს თავს ესხმის მეფის მოხელეთა ხროვა. მაზრის უფროსი აპატიმრებს აჯანყებულთა მეთაურს ტარიელს. სოფლის შეიარაღებული რევოლუციონერები იარაღით ათავისუფლებენ თავიანთ მეთაურს და ასე ვეცნობით სოფლის რევოლუციონერთა პირველ შეიარაღებულ შებრძოლებას, — რევოლუციურ ნათლობას. პირველი გამარჯვება, პირველი სიხარული, რევოლუციის მიერ მოტანილი, ათამამებს სოფელს. მაგრამ მტერი არ ცხრება. რევოლუციისადმი მიტმასნილი ადამიანების საშუალებით მეფის პოლიციის მოხელეები ცეცხლით გადაბუგავენ რევოლუციონურად განწყობილ სოფელს და მისი მოწინავე ადამიანების ოჯახს. შური იძიეს ერთობის მეთაურ ტარიელზე და მის ოჯახზე. მწერალი თანდათან გვაახლოებს რომანის დრამასთან. მოგზავნილი მტერი — გაიოზ ბადალენდია — ვერაგულად ცლავს ლევანს. მაგრამ ვერც დარბევა, ვერც გადაწვა, ვერც ეს ვერაგული მკვლელობა საბოლოოდ ვერ კლავს სოფლის რევოლუციურ სულს. რომანის ეპილოგში მწერალი გვიხატავს დიდ ოპტიმისტურ სურათს, რეაქციის ძალების მიერ დროებით დამარცხებული სოფლის გამოღვიძებას. ახალ საბრძოლო ამხედრებას მოუცავს სოფელი. სტუდენტის ფორმაში გამოწყობილ სოფლის ახალგაზრდობას გვერდით ამოუდგება გაუტეხელი, ფოლადის ნების მქონე ტარიელ გოლუა. ასეთია აქ მოთხრობილი ამბავი.

ძნელია მოინახოს მეორე ნაწარმოები, რომელიც ასე სრულყოფილად ასახავდეს საქართველოს რევოლუციური სოფლის ცხოვრებას 1905 წლის დღეებში. მებრძოლი იდეური ჩანაფიქრი, რევოლუციური და რეაქციული ძალების სწორი დაპირისპირება და ბრძოლა, მოწინავე ადამიანთა გამოკვეთილი ხასიათები, სრულყოფილი ტიპები, ადამიანე-

ბის ფსიქოლოგიური ასპექტით' დახატვის ოსტატობა და, ბოლოს, დიდი ოპტიმისტური ფინალი, — ყოველივე ეს სწორუპოვარ ნაწარმოებად ხდის ამ რომანს.

„ტარიელ გოლუაში" ნაჩვენებია პირველად ქართულ მწერლობაში სოფლის რევოლუციური გამოღვიძება, გლეხთა კლასობრივი შეგნება და აქტიური პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის ტახტის დასამხობად. როგორც ცნობილია, მუშათა კლასის რევოლუციურმა ბრძოლამ, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შედეგად მოპოვებულმა გამოცდილებამ თავისი გამანაყოფიერებელი გავლენა მოახდინა გლეხობაზედაც. სოფლად შეიჭრა რევოლუციური სული. ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან სოფლად დაბრუნებული წინანდელი გლეხები სოფლის ცხოვრების მიმართულებას არსებითად შეცვლის. სოფლად დაიწყო მასობრივი ბრძოლა მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ქალაქთან ერთად სოფელიც აღდგა უსამართლობის წინააღმდეგ. გლეხები ილაშქრებდნენ მემამულეების წინააღმდეგ. მთელ რიგ ადგილებში გლეხები ხელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწებს. მეფის მთავრობა ჯარისკაცებს და ყაზახებს გზავნიდა გლეხთა აჯანყებების ჩასაქრობად. ჯარები ხვრეტდნენ გლეხებს, აპატიმრებდნენ მოთავეებს, სცემდნენ და აწამებდნენ მათ, მაგრამ გლეხები ბრძოლას არ წყვეტდნენ.

ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებულმა აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო საქართველოს მთელ რიგ სოფლებში. ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" მთელი სისრულით გამოხატავს სოფელში მომხდარ ამ გარდატეხას, სწორად გადმოგვცემს 1905 წლის რევოლუციის ვითარებას და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ლეო ქიაჩელმა პირველმა შენიშნა რევოლუციური შეგნების შეჭრა სოფლად და ამ მოძრაობის ფართო სახალხო-რევოლუციური ხასიათი. მწერალი ერთი სოფლის მაგალითის მიხედვით გვაძლევს სოფლად რევოლუციური მოძრაობის განზოგადებულ, დამახასიათებელ სურათს. მწერალი შესანიშნავად გადმოგვცემს სოფლის საბრძოლო განწყობილებას. რევოლუციისა და რეაქციის ძალების შეტაკებას და ასე გვიხატავს რევოლუციურ სოფლის ტიპიურ სურათს:

„სოფ. ნ-ი ასმაურდა და არაჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა გაისმა ყოველ კუთხეში. დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს, ყველას პირზე ეკერა ახლა ერთობის სახელი, რომელსაც აქნობამდის ძვირად თუ ვინმე ახსენებდა.

მამასახლისმა როსტომ გენეიშვილმა ყურები დაცქვიტა. ერთი მხრით, ლევან გოლუას შესახებ მოხსენება წარადგინა, სადაც ჯერ არს. მეორე მხრით კი, მოციქულობა გამართა თვითონ ხალხთან და, განსაკუთრებით, ტარიელთან, როგორც გავლენიან პირთან. უნდოდა სოფელი ნ-ი დაეცვა „ახალი თაობის“ გავლენისაგან და ამისთვის ორი მხრით მოქმედებდა. ერთი მხრით, მთავრობას მორჩილებდა, მეორე მხრით კი, ცდილობდა ხალხისათვის თავისი ერთგულება დაემტკიცებინა. „მისი აზრით, ასეთი მოქმედება დროს შესაფერისი იყო და, რაც უმთავრესია, საუკეთესო იმ მიზნისათვის, რომელიც მას დასახული ჰქონდა“. ტარიელ გოლუასთან მოციქულობამ სასურველი შედეგი არ მისცა მამასახლისს. ზურგს უკან რაღაც ძალას უნდა გრძნობდეს ტარიელი, — მოახსენეს მოციქულებმა როსტომ მამასახლისს. მაგრამ მაზრის უფროსის წინაშე შუამდგომლობამ და მოხსენებამ ის ნაყოფი მოიტანეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს როსტომს ფიცხელი განკარგულება მოუვიდა ლევან გოლუას შეპყრობისა და სამაზრო ციხეში წამოყვანის შესახებ. დაფაცურდა მამასახლისი“... მაგრამ ლევანის დაპატიმრება ვერ გაბედა. ბოლოს მოხერხებული მამასახლისი გაიძვერა მწერლის საშუალებით გამოითხოვს ყაზახ რუსებს რევოლუციური სოფლის ასალაგმავად. მაგრამ ხალხს რეაქციის ძალების მუქარა ვერ აშინებს, სოფლის რევოლუციური სულიერი განწყობილება თანდათანობით მტკიცე და შეუვალი ხდება; „დღეს მთელს სოფელს არაჩვეულებრივი უშიშროება და გამბედაობა ეტყობოდა. წინათ, როცა უფროსის ან ბოქაულის ჩამოსვლის ამბავი გავრცელდებოდა, შიში მოიცავდა ყველას და მცხოვრებნი ურთიერთისადმი უნდობლობის გამო გაურბოდნენ ერთმანეთს, ვინემ თავს ერთად იყრიდნენ. ახლა კი წინააღმდეგ. შეკრებით ბაასობდნენ და თავიანთ ფიქრებსა და აზრებს თამამად ამჟღავნებდნენ“.

ამნაირად, სრულიად შეცვლილია სოფლის სახე. რევოლუციური სოფელი თავის ძალას გრძნობს და ამ ძალის შეგნებამ „შეათამამა“, „გააამედიდურა“ იგი. რომანის მთელ მანძილზე ეს მაღალი, რევოლუციური შეგნება გამოღვიძებული და ამბოხებული სოფლისა ოპტიმისტური სულით არის დახატული.

რომანში მწერალმა დახატა რევოლუციური მოძრაობის მასობრივი სურათი. რევოლუციონერი გლეხები: ტარიელ გოლუა, ლევანი, ბეჟანი, ტაგუ, მუნჯი ბაჩუა სოფელში ერთობის ჩამოყალიბებისა და თვითმპყრობელობის ტახტის დასამხობად ამხედრებულ მებრძოლებად გვევ-

ლინებიან. მათი ფიქრი და ოცნება, მათი თავდადება და თავგანწირვა თავისუფლების საქმისათვის მწერალმა ხალხთან ურთიერთობაში დაგვიხატა; მეორე მხრით, ამ საყოველთაო-სახალხო რევოლუციურ ძალებს დაუპირისპირა რეაქციის ძალები: აზნაური დავითი, ბანდიტი გაიოზ გადალენდია, სოფლის მამასახლისი როსტომ ,ენეიშვილი, მაზრის უფროსი და მეფის სხვა მოხელენი. რომანის მთელ მანძილზე ვგრძნობთ რევოლუციური ძალების კეთილშობილურ ზრახვებს, მიზანდასახულობის სიწრფელესა და სიმართლეს. თავისუფლების გამარჯვების ეს რწმენა აძლევს ამ რომანს უაღრესად ოპტიმისტურ ხასიათს და მკითხველიც ამ მოწინავე აზრის გავლენის ქვეშაა დაყენებული.

მწერალი აღადგენს ჩვენს ხსოვნაში რეაქციის ძალების მიერ მოწყობილი შურისძიების შემზარავ ეპიზოდებს, ეგზეკუციების, სოფლის მშვიდობიან მცხოვრებთა აკლების, გადაწვის, სახრჩობელისა და დაპატიმრების სურათებს. დიდძალი მსხვერპლი გაიღო ხალხმა, მრავალი ტანჯვა და უბედურება გადაიტანა, მაგრამ ვერ გატეხეს მაინც ხალხის ნებისყოფა, მისი მისწრაფება მომავლისაკენ. ასეთია ნაწარმოებში იდეური დასკვნა და მასში ქრის რევოლუციის მიერ შემოტანილი საბრძოლო ოპტიმისტური სული.

ეს რომანი გვხიბლავს რევოლუციონერთა ხასიათებითა და ტიპებით. რევოლუციონერის ამგვარი იდეური პოზიციით გამოხატვა და მისი დაკავშირება ხალხის საბრძოლო იდეალებთან პირველი იყო ჩვენს ლიტერატურაში. ლეო ქიაჩელი ახერხებს შექმნას დაუვიწყარი სახეები ხალხისთვის თავდადებული რევოლუციონერებისა. ამ მხრივ რომანის ცენტრალური ფიგურაა მონოლითური, მტკიცე, შეუვალი, გაუტეხელი მებრძოლი გლეხი ტარიელ გოლუა. რომანის სიუჟეტის მიხედვით, ერთობის დამწყებად ტარიელის შვილი ლევან გოლუა გვევლინება. თვითონ ტარიელი ასე მიმართავს ლევანს: „ერთობის დამწყებად გსახავენ მეზობლები, მართალია?“ და ეს გარემოება თითქოს პირველობას აკუთვნებს ლევანს, ნამდვილად კი რომანის კომპოზიციურ გადაწყვეტაში წინა პლანზეა წამოწეული და შემდეგ ცენტრალურ ფიგურად გვევლინება ტარიელი. რომანის ექსპოზიციაშივე იგი შემოდის ისეთი მდგომარეობითა და დახასიათებით, რომ უმალ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ეს სახე შემდეგ თავისი გონიერებითა და რევოლუციური სინდისით, შეუპოვრობით რომანში თანდათანობით იზრდება და დიდების შარავანდედით იმოსება ჩვენს წარმოდგენაში. გონიერების, ზომიერების.

დიდი ტაქტის, მტკიცე ნებისყოფის გამოჩენით, შეუდრეკელი შემართებით, გაუტეხელი რწმენით თანდათანობით გვხიბლავს და გვაჯადოებს და, ბოლოს, წიგნის დახურვის შემდეგ, ჩვენს შეგნებაში რჩება ცოცხალი, მარადმოქმედი მონოლითური რევოლუციონერი გლეხის რომანტიკული სახე.

მწერალი დიდ დროს, დიდ ენერგიას და უხვ საღებავებს ანდომებს ამ სახის გამოხატვას. ტარიელის პირველსავე დიალოგში იგრძნობა, რომ ახალი დრო დამდგარა. „ტარიელი ხშირად ლაპარაკობდა ერთობაზე ამ უკანასკნელ დროს“. ამ რეპლიკით ავტორი ხაზს უსვამს უტუ მიქავას ყოფილი ჯარისკაცის, ახლა 1905 წლის რევოლუციის მეთაურის ბიოგრაფიულ შტრიხს. 65 წლის, ცხოვრების გამოცდილებით დამშვენებული გლეხი გოლუა ერთობის საქმეს მწყობრ მიმართულებას მისცემს, ერთობის მოტრფიალე ლევანს — თავის ერთადერთ ვაჟიშვილს — მცდარი გზიდან გადაიყვანს და უწინამძღვრებს. ამ რთულ სიტუაციაში თანდათანობით იკვეთება ტარიელის პორტრეტი.

ტარიელ გოლუას შვილს — ლევანს, განთქმულ ხელოსან-მებუხრეს, გატაცებით უყვარს აზნაურ დავითის ქალი, მაგრამ „წოდებრივი ზღუდე“ მას ხელს უშლის თავისი მისწრაფება განახორციელოს. ლევანი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ერთობას, ერთობის მომხრეთა დაფიცების მეორე დღესვე ცდილობს გამოიყენოს ის ახალი მდგომარეობა, რომელიც რევოლუციამ მოუტანა ხალხს. ლევანის აზრით, ერთობამ ბოლო მოუღო წოდებრივ ზღუდეს და ამის ნაყოფით, პირველ ყოვლისა, მან უნდა ისარგებლოს. აქ აჩქარდა ლევანი და საჭირო გახდა ტარიელის ჩარევა. საქმე ის არის, რომ ლევანმა უკვე მოაწყო დავითის ქალის გატაცება, მაგრამ აზნაურმა დავითმა არ დაუთმო. ახლა ძალას და იარაღს უნდა გადაეწყვიტა მათ შორის დავა. დავითს მხარს უმაგრებს ცნობილი ავაზაკი გაიოზ გადალენდია. ტარიელმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე შეეცადა ჩარეულიყო საქმეში და გამოესწორებინა ეს შეცდომა, — „ჩანს, ჩემი ვაჟი შემცდარა, და თუ ცოცხალს მივუსწარ, შეცდომას გამოვასწორებო“, ამბობს ტარიელი. მამის საქმეში ჩარევამ ლევანი ჩაახედა თავის დანაშაულში და მისი გუგმა შეცვალა. ტარიელი ლევანს და მის ამხანაგებს მიმართავს დამაჯერებლად და გადაწყვეტით: „ჰე, ყმაწვილებო... ტარიელის სიტყვას დაუჯერეთ! თოფი და ტყვია სხვა დროისათვის და საქმისათვის შეინახეთ, ნუ ღელავთ. თქვენ მიერ მიტაცებული ქალი მტერს კი არ მიჰყავს თქვენგან, არამედ

ტარიელ გოლუას“. მწერალი, თავის მხრით, უმატებს: „ტარიელს სხვისი ნების დამმორჩილებელი ბუნება ჰქონდა და მის ხმას არასოდეს გამოუმეღავნებია იგი ასე სავსებით, როგორც ახლა“. ლევანი თმობს თავის სატრფოს. შემდეგ, უკვე სახლში დაბრუნებულს, ჩადენილი საქმე ქენჯნის და საკუთარი მოქმედების მხილებას შეუდგება. მისი აზრით, ის, რაც მოხდა, იყო მისი პირადი ნებისა და გრძნობის აუწერელი, უანგარიშო აღტყინება, მისი გულის ჯინი... პირადული საქმე, საზოგადო, ერთობის დროშით დაფარული. ლევანმა გვიან იგრძნო ეს, ტარიელი უფრო ადრე მიხვდა ამას და დროზე ჩაახედა ლევანი თავისი შეცდომის არსში. საინტერესოდ ალოგში გახსნა მწერალმა ამ შეცდომის არსი:

„— შეცდი, ლევან! — მიმართა ბოლოს შვილს თანასწორული, თანამგრძნობიარე ხმით, — შეცდი სწორედ, რომ ერთობა ჩვენს სოფელში ასეთი სახით შემოიტანე...

— მე არ ვიცი, რამდენად დამნაშავე ვარ, — მიუგო ლევანმა. — ქალმა მთხოვა წამეყვანა მამის სახლიდან და მე უარი ვერ ვუთხარი... მით უმეტეს, რომ...

— დაიცა... მე არ ვამბობ, დამნაშავე ხარ-მეთქი... არა!.. შემცდარი ხარ: ვერ გიანგარიშებია კარგად, დამნაშავე არა, შემცდარი ხარ...

ტარიელი ამას ისე, გულწრფელად ამბობდა, რომ ლევანი გაჩუმდა, ნიშნად თანხმობისა. მცირე ხნის შემდეგ ტარიელმა კვლავ დაიწყო:

— ერთობის დამწყებად გსახავენ მეზობლები, მართალია?

სირცხვილი იყო კიდევ სიჩუმე... ჩვენღა ვდუმდით.

— სწორეა!..ყველგან ახალი სიტყვა ისმის, ახალი საქმე კეთდება.— და ტარიელი მოღიმარი სახით წინ დაუდგა ლევანს. — მე რატომ არაფერი მითხარი თუ ასეთი განზრახვა გქონდა? ჩემი აზრი ხომ იცოდი?

ლევანი გაწითლდა.

— მაგრამ გულში სხვა რამე გედო! — თითქოს წახუმრებით განაგრძო ისევ ტარიელმა. — სხვას ფიქრობდი და აი, შეშინდი, ტარიელი დამიშლისო, ამიტომაც დამიმალე, ხომ? — და დაუმატა უკვე სახეშეკრულმა: — ეს სწორედ მოგიაზრებია, ქალის წაყვანაზე ნებას არ დაგრთავდი!

ამ სიტყვებით მოშორდა ლევანს, ახალუხის ჯიბეში ხელი ჩაიდო და, ფიქრში წასულმა, გაიარა ოთახში.

— გამოუცდელი ხარ, ლევან, მაგისთანა ნაბიჯი ხალხის თვალში პატივს აგყრის. ამას ახლა, ალბათ, შენც მიჭვდარი ხარ... მაგრამ... არა-

ფერია, საქმე გამოსწორდება, თუ ამიერიდან წინდახედული იქნები... — შეწყვიტა ლაპარაკი, შედგა შუა ოთახში და შვილს შეხედა. — სოფელი, ლევან, გაცილებით უფრო რთულია, ვინემ შენ გაქვს წარმოდგენილი. ერთი დაკვრით სიმინდის ღერსაც ვერ შემოაცლი ღვარძლსა...“

უკვე ამ დიალოგში მეღავნდება ის უპირატესობა ხასიათისა, ის სიმტკიცე და შეუვალობა, რომელიც ტარიელს აქვს, ლევანთან შედარებით. ლევანი ნაკლებ დაკვირვებული, ნაკლებ ფრთხილია. ტარიელი გონებით, გამოცდილებით, ცხოვრების პრაქტიკული ცოდნით, დაკვირვებისა და ორიენტირების დიდი უნარით აღჭურვილი გმირია, ლევანი კი — გულსა და გრძნობას დანდობილი. ის ცდება არა მარტო მაშინ, როდესაც სიყვარულს აჰყვება და პიროვნულს საზოგადოებრივ საქმეზე მაღლა აყენებს, არამედ მაშინაც, როდესაც მეტისმეტად დაენდობა გაიოზ გადალენდიას. მწერალმა ხაზი გაუსვა ლევანის ხასიათის ამ სუსტ მხარეს.

ლევანის გული სიყვარულს ვერ თმობდა და ამის გამო იტანჯებოდა ფარულად. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად დუღდა მასში სიყვარულის გრძნობა. მასში წინ წამოიწევს პიროვნული გრძნობა. „ვერ გამიგია, რატომ უნდა დავთმო სიყვარული“, აცხადებს ლევანი და ამ გზით იგი ურთგვარ ეგოისტურ, ინდივიდუალისტურ უკიდურესობამდე მიდის. ჯანყების გამარჯვების შემდეგ, როდესაც იგი გლეხების მხიარულ სახეებს შეენიშნავს, მას ასეთი ფიქრი იპყრობს: ვთქვათ, ამათი ბედნიერებაა მიწა, თავისუფლება, ჩემი? გაუელვა მას და თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ ხალხსა და მის შორის განსხვავება სუფევდა. გრძნობით გამოწვეული ეს პიროვნული გაბზარვა რევოლუციური გმირისა უკვე არის სუსტი მხარე, და ეს არ-თმევს მას რევოლუციონერისათვის საჭირო ნებისყოფის სიმტკიცეს და შემართებას. ლევანი სუსტი ნებისყოფისა აღმოჩნდა მაშინაც, როცა იგი ასე უკრიტიკოდ დაენდო ავანტიურისტ გაიოზ გადალენდიას. აქაც მაღლა აღმოჩნდა ტარიელ გოლუა. ტარიელი ეჭვის თვალით უყურებდა გადალენდიას მოქმედებას. იგი ინსტინქტურად გრძნობდა მოღალატის სახეს. ერთობის ერთგულ მომხრეს, მაგრამ გულუბრყვილო გლეხის ტაგუს აღფრთოვანებას, რომელიც დარწმუნებულია გაიოზ გადალენდიას ბუნების გამოცვლაში, ტარიელი არ იზიარებს: „ვისაც როგორც უნდა, ისე იფიქროს, მე მაინც არ მომწონს ის კაცი და სრულიადაც არ მიხარია, რომ ის ასე დაგვიახლოვდა“, ამბობს ტარიელი.

ასეთ რთულ ზიგზაგებსა და წინააღმდეგობაში გამოჩნდება ტარიელ გოლუა, როგორც გონიერი, დაკვირვებული რევოლუციონერი. ტარიელ გოლუაზე უფრო ძლიერი სახე მებრძოლი გლეხისა ძნელია მოინახოს XX საუკუნის ქართულ პროზაში, და რომანი „ტარიელ გოლუაც", უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმით, რომ მწერალმა შეძლო მოეცა რევოლუციის ეს დადებითი გმირი ასე განზოგადებულად და ამაღლებულად, ასე შთაგონებულად და მისაბაძად. როგორც ცნობილია, დადებითი გმირის სრულყოფილად დახატვა უფრო ძნელია, ვიდრე უარყოფითი გმირისა. ლეო ქიაჩელის დიდი ძალა, როგორც მხატვრისა, იმაშიაც გამომჟღავნდა, რომ მან ასე ბრწყინვალედ გადაწყვიტა ეს ამოცანა.

ტარიელი და ლევანი განსხვავებული თვისებებით და ხასიათით დაგვიხატა მწერალმა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ჩვენს შეგნებაში ორივე ეს გმირი თანაგრძნობასა და სიმპათიას იმსახურებს. ლევანი, სუსტი მხარეების მიუხედავად, თავისი გულწრფელობით, რომანტიკული მომხიბვლელობით მკითხველში თანაგრძნობას იწვევს.

მოწინავე დადებით გმირთა სიაში უნდა მოვიხსენიოთ მუნჯი ბაჩუა. ეს სახე რომანში დიდი სიყვარულითაა დახატული. მასში მოცემულია ხალხისა და მისი საქმისათვის ერთგული მებრძოლის, უპრეტენზიო მუნჯი ადამიანის თავგადასავალი. იგი გვერდში უდგას ტარიელსა და ლევანს; მას უყვარს რევოლუციის ეს უბადლო გმირები, სძულს გადალენდია, დავითი და მისი მომხრეები. ეს მუნჯი ადამიანი ქვეცნობიერად გრძნობს და იბრძვის ამ უთანასწორო ბრძოლაში. იგი ეწირება ხალხის საქმეს, რევოლუციის საქმეს. დადებითი პერსონაჟების წრეს ამთავრებენ ბეჟანი და პატარა გიო. ასე მოხდენილად დახატული ეს პორტრეტები რევოლუციის ერთგული ჯარისკაცების საინტერესო სახეებია.

რომანში, დადებითი გმირების გვერდით, რეალისტურადაა გამოძერწილი უარყოფითი ხასიათები. მათ შორის, უფრო რელიეფურად გამოხატულია გაიოზ გადალენდიას სახე. გაიოზ გადალენდიას, რომელსაც მთელ კუთხეში საშიშარი და ბოროტი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, დავითის ქალის ტრფიალი სჭირდა. მის ავაზაკურ ბუნებას, ბოროტ განზრახვას მიზანში ამოეღო ქალის მიერ გულწრფელად შეყვარებული ერთობის ერთი მეთაურთაგანი ლევანი. როცა გაიოზ გადალენდია მუქარით, შანტაჟით ვერ მოინადირებს თინას გულს, შეეც-

დება ბოროტების გზით მიაღწიოს საწადელს და აი, აზნაური დავითის ერთგული, მისი იდეების ძოხიარე ავანტიურისტულ გზას აირჩევს. გაიოზი ხალხის მოსატყუებლად დავითს ჩხუბს აუტეხს, ხელში დაჭრილი ერთობის მომხრეთა ბანაკში გამოცხადდება. ატირებული ვაჟკაცი მოითხოვს, ჩაქოლონ როგორც უღირსი, ხალხის მოღალატე: „ღირსი არა ვარ თქვენი მოშველებისა და შეცოდებისა... სამარცხვინო და სასიკვდილო გზას ვადექი და ყოველი ახია ჩემს თავზე. ნურავინ შეწუხდება, ნურავინ, სულ ნურავინ, თქვენი ჭირიმე!.. მე ის მკლავს, რომ ვერაფრით შემიძლია მოვინანიო ჩემი ცოდვები და ქვეყნის თვალში პატიოსანი კაცის სახელი დავიმსახურო“. ის იარაღს აიყრის, ხალხს ჩაბარებს და ასე მიმართავს: „მე იმას კი არ გთხოვთ, რომ მაპატიოთ, მე იმის მთხოვნელი ვარ მხოლოდ, რომ თქვათ: ცუდი და ოხერი კაცი იყო, მაგრამ ერთობის ძალამ ისიც კი მოაჭკვიანა, ძველი ცხოვრება დააგმობინა, და თუმცა გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც სწორ გზაზე გამოიყვანაო“. ავანტიურისტის ამ ეშმაკურად გათამაშებულმა სცენამ თავისი ნაყოფი გამოიღო. პირველად ტაგუ დაენდო მას და მეგობრობა შეჰფიცა. გზა გაეხსნა გადალენდიას თავისი ბოროტი განზრახვის შესასრულებლად, — ის ერთობის მომხრეთა ჯგუფში შეპარული, ღალატით კლავს ლევანს და დავითის შუამდგომლობით პოლიციის მოხელედ ხდება, მაგრამ რევოლუციონერების რისხვას მაინც ვერ გადაურჩება; მასზე შურს იძიებს ბეჟანი.

არაჩვეულებრივი ოსტატობით არის შესრულებული გაიოზ გადალენდიას მიერ ბოროტი გადაწყვეტილების მიღება და სათანადო დიალოგი დავითსა და გაიოზს შორის. მხატვრული თვალსაზრისით ეს ერთი უბრწყინვალესი ადგილია რომანში. გაიოზს „უმსგავსო, საშინელი, რაღაც უცნაური აზრის სახით უღიტინებდა გულზე და მისი ნებისყოფის დამორჩილებას ლამობდა!!!. ღამე მის გარეშე არსებული მოვლენა კი არ ეგონა, არამედ საკუთარი სულის ხატება, მისი შინაგანი ინტიმური არსება...“ და აი, მას იდუმალი ხმა ჩააგონებს: — რატომ ახლა გაგიჭირდა მტრის მოკვლა? იოლი უნდა იყოს საქმე შენთვისო. და ამ გრძნობით აფორიაქებული, იგი მიეა დავითთან და მისალმების შემდეგ მათ შორის გაიმართება საუბარი. იმდენად საინტერესოა ეს ადგილი, რომ უნდა მოვიყვანოთ მთლიანად, რათა მისი ძალა ვიგრძნოთ:

„ — იცინოდი მგონია!

— არა... წვიმდა და მოგეჩვენებოდა.

— მე კი ვიფიქრე: ეს არის მოვიდნენ-მეთქი... მაშ წავიდეთ აივანზე. წვიმს, ხომ ხედავ.

— წავიდეთ! — გრძლად უპასუხა გაიოზმა და გაჰყვა. მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ კი სრულიად გამოცვლილი ხმით მიმართა დავითს:

— საქმე მაქვს, დავით, შენთან და მომისმინე... დამავიწყდა ვეთქვა.

— კარგი, გეთაყვა, — უპასუხა მისი ხმით ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა დავითმა და შეეცადა ერთგული მეგობრის სახე დაუნახა, — რამე ახალი ხომ არ გაგიგონია?

— კი... თუმცა ახალი არაფერი, — კიდევ სხვანაირი ხმით მიუგო გადალენდიამ.

— ისე იცვლი ხმას წამდაუწუმ, რომ რაღაც კი არის... მაინც?

— აი, ავიდეთ და გეტყვი... შენ ხომ იცი, რომ ციხე ყოველთვის შიგნიდან გატყდება ხოლმე...

ვერაფერი გაუგო დავითმა. გაკვირვებული დარჩა. აივანზე რომ ავიდნენ, გადალენდიამ დამუჭული ხელი გაუწოდა და უთხრა:

— გამომართვი ეს, დავით...

— რა არის? — მიუგო დავითმა და მყისვე ხელი მიაწვდინა. გაიოზმა თინას მიერ ლევან გოლუასთან მიწერილი ბარათი გადასცა.

— წაიკითხე და შემდეგ ვილაპარაკოთ...

— კი მაგრამ, ვისგან არის?

— წაიკითხე და შემდეგ ვილაპარაკოთ, — იმავე ხმით გაუმეორა გაიოზმა, მიტრიალდა და აივნის კუთხეში მიდგმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

ერთ ხანს კიდევ შეჩერდა დავითი გაიოზის წინ განმარტების მოლოდინში, მაგრამ რაკი გაიოზი სდუმდა, მიბრუნდა, სახლში შესავალ კარს მიაშურა, რომ უცნაურ პირობებში მიღებული ბარათი სინათლეზე წაეკითხა.

— იცოდე, არავისთან დაძრა ხმა... იმას სრულიად არ აგრძნობინო, თუ რამე იცი, — მიაძახა დაბალი ხმით დავითს და თინას ოთახზე ანიშნა.

მოთმინებადაკარგულმა დავითმა სწრაფად გააღო კარი და ოთახში შევიდა".

გაიოზ გადალენდიამ სულ ადვილად მოახერხა დავითის დამორჩილება.

გავიდა ცოტა ხანი. დავითი და გაიოზი აივანზე ისხდნენ...

გაიოზი პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, დავითი კი სკამის ზურგზე მიწოლილიყო და თვალებდახუჭული ფიქრებს მისცემოდა...

„— რას იტყვი, გაიოზ... რა ვქნა?...ა?... — დაარღვია სიჩუმე ბოლოს დავითმა და პატარა თეთრი ქაღალდი — თინას წერილი — ხელში შეათამაშა. — ერთადერთი შვილია ჩემი და ჩემი ხელით როგორ მოვკლა, როგორ გავწირო?.. თუ არა და ხედავ, რას სჩადის?

გაიოზმა არაფერი უპასუხა და კვლავ სიჩუმე დამყარდა.

ცოტა ხანი და ყავრის სახურავზე წვიმის მომსხო წვეთებმა გაიბრახუნეს... გრილმა ნიავმა დაჰქროლა... კვლავ წვიმა წამოვიდა.

ძაღლები ყეფით აივნის კიბეზე შევარდნენ.

გაიოზი წამოდგა. კედელზე მიყუდებული ნაბადი მხარზე მოიგდო.

— ავი ტაროსია.

— კვლავ გადიღებს.

ისევ დამკვიდრდა სიჩუმე.

დავითის გულშიც წვიმდა. წერილის წაკითხვის შემდგომ სულ ერთსა და იმავეს ფიქრობდა იგი, მაგრამ ვერაფერი მოეფიქრებინა.

დროა ასეთი, თუ რა მოუვიდა? დავითს არ ახსოვს, რომ ასე გამწარებულიყოს და თავისი კი არ გაეტანოს. მართლაც, ვიღაც ბალღია ყოველივე ამის მიზეზი, თუ რამე სხვა ძალა?

— დავით, ერთი გზაა მხოლოდ მხსნელი!..

— ა?... რომელი?... თქვი! — და დავითმა გაიოზს ყური ახლოს მიუტანა, მაგრამ გაიოზი დაჩუმდა. მთელის მკერდით გადაყლაპა მოქაჩული კვამლი და შემდეგ ნელ-ნელა გააბოლა.

— უნდა მოკვდეს ის ბიჭი! — წარმოთქვა ბოლოს.

შორს, სადღაც ეზოში თითქო ფიჩხი გატყდა. ძაღლები გაანჩხლდნენ, დაეშვნენ კიბეზე და დიდი ამბით რაღაცას შეუტიეს.

— ჰაჰა... მიდი!.. ჰო!.. ფსს... — გასძახა დავითმა ერთგულ ძაღლებს. მერე გაიოზს წასჩურჩულა:

— კი... მაგრამ როგორ?

— როგორ? — კითხვითვე უპასუხა გაიოზმა და ადგა, წყნარად გაიარ-გამოიარა აივანზე. შეჩერდა, კვლავ გაიარა.

— ჩემი ვარსკვლავი ან სულ არ არსებობს, დავით, ან თუ არსებობს... ცოდვის თვალია იგი, — თქვა რაღაც დანჯღრეული, აკანკალებული ხმით. მიუახლოვდა დავითს და ყური ათხოვა, აბა ამაზე რას იტ-

ყვისო, მაგრამ დავითი ხმას არ იღებდა. იგრძნო გაიოზმა, რომ უადგილოს ამბობდა, გაისწორა:

— თინა სახლიდან არსად არ უნდა გავიდეს ერთი წუთითაც... ქვრივის გოგო, აქ რომ ხშირად დაიარება. დასანახადაც არ უნდა გაეკაროს თინას... გესმის? დასანახავადაც... სანამ არ ასრულდება, ასე უნდა იყოს...

— ჰმ... მესმის, — იდუმალ უთხრა მას დავითმა.

— მეტი არაფერი დამრჩენია, რომ... ჰმ... — შეჩერდა გაიოზი, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, მერე თვალები დაიპატარავა და ალაყაფის კარებისაკენ გაიხედა... თითქო თეთრი სვეტის დანახვა უნდოდა, რომელზედაც წელან იყო მიყუდებული, — მეტი არაფერი დამრჩენია, რომ... ჰმ... ხერხი ვიხმარო, როცა ღონე არა სჭრის".

ამ ბოროტ გამზრახველთა ფიქრებისა და მისწრაფების ასეთ ღრმა ფსიქოლოგიურ ახსნას იძლევა მწერალი. აქაც არ იშურებს იგი მხატვრულ ენერგიას და ფერებს, ხატავს ამ ბოროტი პერსონაჟების ცოცხალ, გამოკვეთილ, ორიგინალურ სახეს. გაიოზ გადალენდია ავაზაკისა და ავანტურისტის უბრალო სქემა კი არ არის, არამედ რთული, ღრმად შენიღბული, საშიში და ბოროტი ადამიანის ზოგადი სახეა. გაიოზ გადალენდიამ თავის ბოროტ განზრახვათა განხორციელება ადვილად ვერ შეძლო და მწერალი აქაც საინტერესო ფსიქოლოგიურ სურათს გვიხატავს.

მეგობარს დანდობილი, კეთილი გული, კეთილშობილი ლევანის მოკვლა ადვილად ვერ მოახერხა ისეთმა ავაზაკმაც კი, როგორიც გაიოზ გადალენდიაა და აი, ლევანთან ერთად ღამე მიმავალი მარტოდ მასთან მყოფი ეძებს საშუალებას, რომ ცხვარივით კეთილი ადამიანის წინააღმდეგ ფსიქოლოგიურად მოამზადოს თავისი ავანტიურისტული გული — „ბრაზმა გული უნდა მოფხანოს, რომ ლევანი მოკლას". გაიოზ გადალენდია ყველაზე უფრო ინტიმურსა და საიდუმლო გრძნობას შეეხება და ამ შეხებით შეურაცხყოფილ გრძნობას გამოაღვიძებს. ის ლევანს თინას სიყვარულზე ჩამოუგდებს საუბარს და პირდაპირ მიმართავს მას: „იქნებ მეცა ვარ შეყვარებული, — ჩემი მდგომარეობა შენზე უარესია: ვინც მიყვარს, იმას არ ვუყვარვარ, ჩემი უბედურებაც ეს არის" და მაინც ქალისაგან გაწბილებულის მდგომარეობის მოგონება და ამით თავის გაღიზიანება საკმარისი არ აღმოჩნდა გადალენდიასათვის. ის იძულებულია აღიაროს: — „ნეტავ ცხვარივით უწყინარი

კაცი არ იყო, ლევან. ტკბილი ხარ და ნაზი... აი, წადი, თუ გინდა, ყაზახ-
რუსებში. ოღონდ თავი გააცანი მათ, და თავს დავდებ, თუ გაგიმეტებენ.
შენს გულს ტყვიაც კი გვერდს აუხვევს... შენი მკვლელი ძალზე მთვრა-
ლი უნდა იყოს, უსინდისოდ უნდა იყოს მთვრალი, ან ღვინით ან...“
აქედან კარგად ჩანს, თუ რამდენად კეთილშობილი, ძლიერი ადამიანუ-
რი რომანტიკული სახეა ლევანი, რაკი ის ასეთ ავაზაკსაც ასე იმორ-
ჩილებს, მაგრამ აქედან ისიც ჩანს, თუ რამდენად ბოროტი, ბანდიტი და
ავაზაკია გაიოზ გადალენდია, რომ იგი მაინც თავის უიდუმალეს და
უსაშინელეს განზრახვას სისრულეში მოიყვანს და კლავს ამ ცხვარი-
ვით კეთილ ადამიანს. აქაც ლეო ქიაჩელი პიროვნების თვისებას მოხერ-
ხებულად შიფრავს და ქსოვს და ასე ქმნის ამ საპირისპირო თვისებათა
გამომხატველი ადამიანების განზოგადოებულ სახეს.

ნაწარმოების ძირითადი იდეური ჩანაფიქრი, მისი მებრძოლი რევო-
ლუციური სული რომანის მთელ მანძილზე მიჰყავს ტარიელ გოლუას.
ბროლიას ხეივანში დაწყებული საიდუმლო კრებიდან რევოლუციური
გამოსვლების სურათების ხატვით, რეაქციისა და უსამართლობის წინააღ-
მდეგ ამხედრებული ხალხის მეთაურის როლით დამთავრებული, ტა-
რიელ გოლუა ჩვენ წინ წარმოდგება, როგორც რევოლუციონერის
უაღრესად განზოგადებული და ამაღლებული სახე. ნაწარმოების ფი-
ნალში იგი კვლავ გამოჩნდება, როგორც მონოლითური რევოლუციონე-
რი. ტარიელი ვერ გატეხა ვერც სახლისა და ოჯახის დარბევამ, შვილის
დაღუპვამ, ციხემ. იგი თავის საქმის ერთგული რჩება ბოლომდის. და აი,
როდესაც რეაქციის მიერ დროებით განელებული რევოლუციის ცეცხ-
ლი კვლავ გაღვივდება, იგი ისევ გამოჩნდება მებრძოლთა რიგებში:
სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ხალხში აგიტაციას
ეწეოდა, კრებას რაზმში ჩასაწერად მოუწოდებდა შავი რეაქციის ძა-
ლებთან შესაბრძოლებლად.

ახალგაზრდა სტუდენტის მოწოდებაზე პირველად ვერავის გაებედა
ხმის ამოღება, მიტომ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

„მე მოვდივარ! — გაისმა ბოლოს თამამი ხმა ხალხიდან და წინ წარ-
სდგა სვანური ქუდით შუბლზე ჩამოფარებული, თეთრი თმა-წვერ-ულ-
ვაშით მოსილი ტარიელ გოლუა. იგი მოკეთებულიყო ციხიდან გამოს-
ვლის შემდეგ და თუმცა სავსებით არა, მაგრამ მაინც დაბრუნებოდა
ძველებური ვაჟკაცური იერი. უკან კისერთან, ქუდქვეშ ჭაღარა თმის
წნული მოუჩანდა, ლევანის სამგლოვიაროო, და თავით ფეხამდე შავი
ეცვა.

ტარიელის ხმის გაგონებაზე და მის დანახვაზე ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. მაგრამ მალე მიწყდა და სიჩუმე დამკვიდრდა.

ახალგაზრდა სტუდენტი შეკრთა, გაკვირვებულად მიმოიხედა, მაგრამ ხალხის ღრმა ფიქრით მოცულ სახეზე მომხდარის ამოცანა ვერ ამოიკითხა, — მისთვის უცნობი იყო ტარიელ გოლუას ოჯახის თავგადასავალი...

— მეც, — გაისმა შემდეგ ცოცხალი კრიალა ხმა და ტარიელს გვერდით ამოუდგა კოხტად შეიარაღებული ბექანი.

— გზა მომეცით, ყმაწვილებო!.. ტარიელს გვერდში ამომიყენეთ, გლახა ბაჩუას სული მაცხონებინეთ, მისი მაგივრობა გამაწევინეთ, — გაისმა ტაგუს ხმაც.

ხალხი გამოერკვა, სულ მცირე ხანში, რაც კი ახალგაზრდობა მოიპოვებოდა, ტარიელისაკენ ყვირილით გაეშურა.

— ყველანი შენთან ვართ!... მოვდივართ!... ტარიელი მამაა ჩვენი და წინამძღოლი!.. — აღფრთოვანებით ამბობდა ახალგაზრდობა და საყვარელ ადამიანს გარს ეხვეოდა.

ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროის ქარიშხლით ტოტებშემომსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვმაგარი და ტანძლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩ ტყეში“.

ეს უძლიერესი ეპილოგია. იგი ძლიერია არა მარტო მხატვრული გადაწყვეტით, არამედ ოპტიმისტური ჩანაფიქრით. და თუ მოვიგონებთ, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია 1914-15 წელს, მაშინ უფრო მნიშვნელოვანი იქნება ეს მხარე. რევოლუციის გამარჯვების რწმენა, ხალხის მომავლის რწმენა, თავისუფლების გამარჯვების ურყევი აზრი, — აი რა განწყობილებაა გამოხატული ფინალში. ამიტომ იყო, რომ „ტარიელ გოლუა“ ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში რევოლუციონერთა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა ნიადაგ საკითხავ წიგნად ითვლებოდა.

ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი წიგნია.

*

„ტარიელ გოლუათი“ ლეო ქიაჩელმა მტკიცედ დაიმკვიდრა რეალისტური პროზის გამოჩენილი ოსტატის სახელი. ამის შემდეგ სრულიად

ბუნებრივი იქნებოდა, რომ ეს ხაზი გაგრძელებულიყო მის შემოქმედებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მთლად ასე არ მოხდა. ლეო ქიაჩელი კვლავ მიუბრუნდა რეაქციის წლების დეკადენტურ თემებსა და მოტივებს. ასეთ ნოველებს შორის ჩვენ უნდა დავასახელოთ „შეურაცხყოფილი". „არსებობს თუ არა მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად, ან, როგორც გერმანელები იტყვიან, an sich, თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია?" მწერალი წინასწარ აფრთხილებს მკითხველს: თუ ამ საკითხს ფილოსოფიურად განსჯით, უთუოდ დაიბნევითო, მაგრამ ფილოსოფია მაინც საჭიროა და მწერალი გადმოგვცემს ამბავს, რომელიც ზემოთდაყენებული საკითხის განმარტებას ისახავს მიზნად. ნოველის გმირი ილიკო მოგვითხრობს ამ ამბავს. იგი თურმე მოსკოვში ყოფნის დროს ერთ პატარა ხის სახლში ცხოვრობდა. სახლის პატრონმა ილიკოს გვერდით ვიღაც ქალი დააყენა, მათს ოთახებს თხელი კედელი ყოფდა. ილიკომ პირველ საღამოსვე გაიცნო ეს ახალგაზრდა ქალი. ვაჟი დაინტერესდა ქალით.

„ჩემი უბედურება ის იყო, — ამბობს ილიკო, — რომ მეზობლის ოთახიდან თვითეული ჩამიჩუმი ისმოდა. გავლა-გამოვლა და სხვა ასეთები თითქოს ჩემ გვერდით ხდებოდა. ზედმიწევნით მესმოდა, თუ როგორ დალია ქალმა ჩაი, შემდეგ სუფრა როგორ მიალაგა, ადგა, კარი გააღო და მაშინვე ისევ მიხურა, ალბათ, წავიდა, გავიფიქრე..." შემდეგ გრძელდება წარმოდგენით გადმოცემა იმისა, თუ როგორ გააღო ჩემოდანი ქალმა და თეთრეული ამოალაგა, როგორ დაივარცხნა თმა, როგორ გაიხადა ტანთ: „მიუხედავად ჩვენ შორის კედლის არსებობისა, სრულიად გარკვეულად დავინახე ჩემი მეზობელი ქალი, თვალწინ გამომესახა მკვრივი ძუძუებით მორთული გაშლილი გულ-მკერდი, რომელზედაც შავი, გრძელი თმა უხვად გადაფენოდა". შემდეგ: „წარმოვიდგინე, ალბათ ღამის პერანგს იცვამს საჩქაროდ დაწოლის წინ, მაგრამ ხელს უშლის სავსე ძუძუების შეუდრეკელი სიმკვრივე და ამას ეომება-მეთქი". ამ ფანტაზიით გაღიზიანებული და ენებააშლილი კაცი ერთბაშად ქალის ოთახში გაჩნდება. ოთახში ასეთი სურათი წარმოუდგა ვაჟს: „პირველად ლოგინს დავხედე, აუშლელი მეჩვენება, შევვოცდი. არ დავიჯერე და ხელი გადავუსვი ფრთხილად, ყოველ შემთხვევისათვის, რომ მძინარე ქალი არ შემეშინებია, დავრწმუნდი: მართალი იყო, რაც პირველად თვალმა მანიშნა — არც ლოგინზე და არც ლოგინში ქალის ნატამალიც კი არსად იყო". მწერალი მთელ ამ ის-

ტორიას ასე ამთავრებს: „აი მოვლენა თავისთავად და აი, იგივე მოვლენა, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი, მაგრამ, არა, მე არ მინდა ამის იქით წავიდე და რამე უფრო ზოგადი ხასიათის დასკვნა თავს მოგახვიოთ... ეჭვიც კი არ მინდა თქვენში გამოვიწვიო ამდაგვარი: მაგალითად, ვაი ჩვენ, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენ თავად...

არა, ამის აშკარა თქმის უფლება ჩვენ თავს არ უნდა მივცეთ, ვიყუჩოთ ჯობია, მით უმეტეს, სულ ნამდვილი სინამდვილე არავინ იცის“.

ავტორისეულ ამ რემარკაში მთელი ობიექტური სამყარო, რეალური სინამდვილე და მისი არსებობა კითხვის ქვეშაა დაყენებული. მწერალს ეჭვი შეჰქონდა ადამიანის ცოდნაში, ნამდვილი სინამდვილის არსებობაში, ეს იყო რეაქციის პერიოდის სკეპტიკურ განწყობილებათა გზისაკენ მიბრუნება. შემდეგ, ერთ დროს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშიაც ამგვარი განწყობილებები გამომჟღავნდა ნოველებში „ისკანდერი“, „მე და ჩემი ორი მე“, „რაც იყო და რაც არ იყო“, მაგრამ ლეო ქიაჩელის სასახელოდ უნდა ითქვას, იგი სულ მალე დარწმუნდა, რომ სრულებით შეუფერებელი იყო ამგვარი განწყობილებანი ჰუმანისტი მწერლისათვის, „ტარიელ გოლუას“ ავტორისათვის. და მან უარყო ეს გზა როგორც ნოველებში, ისე რომანებში.

1926-27 წლებში ლ. ქიაჩელმა გამოაქვეყნა ახალი რომანი „სისხლი“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაწერილი ეს რომანი თავისებური გაგრძელებაა იმ თემატიკური რკალისა, რომელიც ავტორმა „ტარიელ გოლუაში“ აირჩია. „სისხლში“ აღწერილია ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარება, რომელიც 1905 წლის რევოლუციის დამარცხებას მოჰყვა. აქ დახატულია განსხვავებული სოციალური წრისა და პოლიტიკური მრწამსის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი გალერეა. მათი ცხოვრება და პოლიტიკური ბრძოლა გამოხატულია რეაქციის პერიოდის ვითარებაში.

რომანში სწორად არის წარმოდგენილი რეაქციის ხანა: „დიდი რეაქციის თარეში იდგა საქართველოში...

სამხედრო წესები. საველე სასამართლოები, სახრჩობელები, ეგზეკუციები, მასობრივი გადასახლება. ხვრეტა. დარბევა.

აქრობდნენ 1905 წლის რევოლუციის ცეცხლს.

მაგრამ ხალხი მაინც არ ნებდებოდა, ბორგავდა. შფოთს განაგრძობდა.

ბევრი შეხიზნებოდა ტყესა და მთებს. უმთავრესად წითელარმი-

ელები. პროფესიონალ რევოლუციონერებს და პარტიის მუშაკებს კიდევ გაეჩინათ საიდუმლო ბინები. არ ცხრებოდნენ. ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ.

დაიწყო ტერორი და ექსპროპრიაცია.

თავდაპირველად ამ ბრძოლას დისციპლინის უღელი ედგა, მიზანშეწონილობის აზრი ჰქონდა, „გამოსვლების სადავე პარტიას ეჭირა ხელით“.

მაგრამ გამარჯვებული რეაქცია ფართო შემოტევას აწარმოებდა, გაშლილი ფრონტით მოდიოდა.

თანდათან შეიზღუდა რევოლუციური პარტიების გავლენის ფარგალი და ორგანიზაციული კავშირის თოკიც პარტიათა, ჯგუფთა და ცალკე პირთა შორის დამოკლდა.

მალე დემორალიზაციამაც იჩინა თავი“.

ასე აგვიწერს მწერალი სტოლიპინის რეაქციის შავბნელ დროს. აქ აღწერილი სურათი სავსებით მართალია, ოღონდ მწერალს, როცა ხაზგასმით აღნიშნავს ანარქიის გამეფებასა და დემორალიზაციის მომენტს, აქცენტიც ამ მომენტზე გადააქვს. რომანში მნიშვნელოვანი ადგილი არ ეთმობა ბოლშევიკების პარტიის პოლიტიკას რეაქციის პერიოდში. ცნობილია, რომ კონტრრევოლუციურმა პარტიებმა, მენშევიკებმა, კადეტებმა ხელი აიღეს რევოლუციაზე და ხელი მიჰყვეს რევოლუციურ პარტიის ლიკვიდაციას. ბოლშევიკებმა კი დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ამ ლიკვიდატორულ პოლიტიკას. ბოლშევიკები განუმარტავდნენ მუშებს და გლეხებს რევოლუციის დამარცხების დროებითს ხასიათს და მიზეზებს, კვლავ ამაგრებდნენ და ამტკიცებდნენ თავიანთ რიგებს და ემზადებოდნენ ახალი რევოლუციისათვის. მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის არსებული უთანხმოების ეს პოლიტიკური არსი არ არის რომანში აქცენტირებული და, ამდენადვე სწორად ახსნილი. წინა პლანზე სწორედ ეს უნდა წამოეწია მწერალს და ამ მიმართულებით უნდა გაეშალა რომანი. მართალი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ მწერალს ეს მხარე სრულებით გამორჩა. არა, რომანში არის როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების წარმომადგენლები დახატული, მაგრამ ისე უთანაბროდ არის განაწილებული მათი ადგილები და როლი რომანში, რომ ამ მხრივ ნაწარმოები ვერ იძლევა ბოლშევიკების როლის მართებულ და თანმიმდევრულ გაშუქებას.

რომანის ცენტრში დგას მენშევიკი, თავადთა წრიდან გამოსული ინ-

ტელიგენტი არჩილ დადაშიანი. მწერალი დიდ დროსა და ენერგიას ანდომებს ამ გმირის გამოხატვას. მეორე მხრით, არჩილ დადაშიანს უპირისპირდება ბოლშევიკი ნიკო, მაგრამ არც მისი დახასიათება, არც მისი მოქმედება არ არის ტიპიური, ბოლშევიკი მებრძოლის როლამდე ამაღლებული და განზოგადებული. ამიტომ რომანში მკრთალია ეს სახე.

არჩილ დადაშიანი უნებისყოფო, მერყევი რევოლუციონერია. ავტორი რომანში მის საეჭვო რევოლუციონერობას და მერყეობას საკმაო დასაბუთებას აძლევს. მთელი ის ოჯახური თუ ამხანაგური წრე, სადაც ის ატარებს თავისი ცხოვრების უმეტეს დროს, საზრდოს აძლევს მის მერყევ ბუნებას. არჩილ დადაშიანის დედა მაღალი არისტოკრატიის ნაშიერია. მისი ქალბატონური თავდაჭერილობა, დინჯი, აუჩქარებელი ლაპარაკი, ტრაბახი თავის წარსულით, — რომ ის დიდი ზურაბ დადაშიანის ჩამომავალია, — გვამცნობს იმ ოჯახურ წრეს, სადაც იზრდებოდა არჩილი. დედა წყევლის არჩილის მეგობრებს და ამხანაგებს, რომლებმაც მისი სტუდენტი შვილი გადააცდინეს ნამდვილ გზას, ჩამოაცილეს თავადიშვილებს და დადაშიანთა წრეს. ეს არის ერთი შტო, რომელზედაც ზის მეოცნებე უნებისყოფო რევოლუციონერი არჩილი. მეორე მხრივ, არჩილის ახლო სულიერი მეგობარია შალვა რამაძე, იმერეთის შეძლებული თავადიშვილი. მამამისი ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს თვალსაჩინო წევრი იყო. ეს წრე თავის გავლენას ახდენს და კვლავ წარსულისაკენ ეზიდება არჩილს. თუ მწერალს დავუჯერებთ: არჩილი პარტიასთან უფრო ფსიქოლოგიურად იყო დაკავშირებული განცდებით, იგი გიმნაზიაშივე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წრის გავლენის ქვეშ მოჰყვა, მაგრამ ბოლოს არჩილი ნანობს კიდეც, რომ ის ამ რევოლუციური ახალგაზრდობის გზას გაჰყვა, თავის ბედის გამო კიდეც შესჩივის შალვა რამაძეს: „უნდა გამოგიტყდე, ძალიან ძნელია არალეგალური მუშაობა, პირობები პირდაპირ საშინელია, აუტანელი, არ მეგონა, რომ შევეჩვეოდი, არც ისე იდეალური ყოფილა ეს მდგომარეობა, როგორც წარმოდგენილი მქონდა“, ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ რამაძის ნაციონალისტური იდეები დადაშიანს „სადღაც მიმალულ გრძნობებს უღვიძებდა“.

არჩილს ხშირად მოსდის თავში ასეთი აზრი: „სად მიდის, სად იკარგება ეს დრო, რა აზრი აქვს ყოველივე ამას?“ მას შეხედულებაც წამდაუწუმ ეცვლება, ინტელიგენტური მერყეობა მისი დამახასიათებელი თვისებაა. სავსებით სწორად ამბობს მწერალი: „ახლა რომ უკვირდება

არჩილი, რწმუნდება, რომ მას მთლიანობა აკლია, აზრის, გრძნობის, განცდის...“ უცნაურ გაორებას ყოველთვის გრძნობდა არჩილი, მაგრამ სწორად ვერ გვიხსნის მწერალი ამ გაორების ნამდვილ მიზეზს. „...ეს მისი შეგნებისა და ნების გარეშე ხდებოდა, რაღაც თავისთავად და უჩინრად“, — ამბობს ავტორი. ნამდვილად კი ამგვარი გაორება სავსებით დამახასიათებელი იყო მისი მენშევიკური ბუნებისა და სოციალური წრისათვის. გაორება და მერყეობა ახასიათებს მას არა მარტო რევოლუციის საქმეში, არამედ მერყევი და გაორებულია მთელი მისი ბუნება. ასევე გაორებულია იგი ინტიმურ-სატრფიალო გრძნობებშიაც: „გულში რაღაც ყოველთვის იდუმალ შიშს განიცდიდა მისადმი, არ ენდობოდა და არასდროს არ იყო სრულიად დარწმუნებული, რომ ცაცას იგი გულწრფელად უყვარდა, იჭვიანობდა, თვითონაც რაღაც არეულად განიცდიდა სიყვარულს, ერთ წამს უყვარდა, მეორეში არა, — ამიტომაც იგი პატარა ბავშვივით ებუტება თავის სატრფოს“. ასეთი უნებისყოფო გმირია იგი, მას აკლია ორიენტირების, მდგომარეობაში გარკვევის უნარი, მეოცნებე, ფანტაზიორი, მერყევი პიროვნებაა. თვითონ მწერალი ხშირად სწორად ახასიათებს მისი ხასიათის ამ მხარეს.

„თვითონ არჩილიც ვერ იდგა თავის ღირსების სიმაღლეზე. თავი ვერ გაართვა, ყოველ შემთხვევაში, ისე ვერ იქცეოდა, როგორც რევოლუციონერს შეეფერებოდა.

ყველაზე უფრო ეს ცაცასთან ურთიერთობაში გამოაშკარავდა.

ასე გამოდის, რომ არჩილს ნებისყოფა არა აქვს და სხვის ნებაზეა დამოკიდებული, უაზროდ, ბრმად ემორჩილება გარემოებებს, რომლებიც მას იქით მიაქანებენ, საითაც წასვლა არ უნდა. მეტიც: იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, რაც გულში გადაწყვეტილი აქვს“.

რომ უკვირდება ყოველივე ამას, ახლა არჩილს ისე ეჩვენება, თითქოს უფროსი კლასის მოწაფე იყოს, რომელმაც თვითონ არ იცის, რას მიედ-მოედება. მერყევი ინტელიგენტური ბუნება თან სდევს არჩილს ყოველ მოქმედებაში. ნამდვილად რომ ვთქვათ, ის არსად არ ჩანს, როგორც აქტიური მებრძოლი. ყველგან პასიური და მოწუწუნე ინტელიგენტის მდგომარეობაში გვევლინება. მას თვითონაც შეაქვს ერთგვარი ეჭვი თავის რევოლუციონერობაში. ის ხან ნაციონალისტური საკითხებითაა გატაცებული, ხან პარტიული, მარქსიზმისა და სოციალიზმის იდეებით; მტკიცედ არც ერთ პოზიციაზე არ რჩება; ეს მერყეობა ყველაზე მეტად გამომჟღავნდა ციხეში ყოფნის დროს.

„ნაჩვევი გაორების ნიშნებიც მოძალებოდნენ, წამდაუწუმ ისე იცვლებოდა, რომ თავის თავს ვეღარ ცნობდა...“ ციხეში საბოლოოდ გამოიარკვა მისი გაორებული ბუნების ხასიათი, მან მოსვენება დაკარგა, გრძნობს, რომ საჭიროა მისი ცხოვრების გადასინჯვა, გადაფასება. მის გაორებას საზღვარი უნდა დაედოს, მაგრამ ამას ვერასდროს ვერ ახერხებს და ასე გაორებული რჩება ბოლომდის. როდესაც ამხანაგები, რევოლუციონერები ციხიდან განთავისუფლებას აწყობენ, მის წინაშე კითხვა დგება: რატომ გამოვიდეს ციხიდან, რას უნდა მიაღწიოს, ან რომ მიდის არჩილი, სად მიდის და რა უნდა გააკეთოს? აი რა კითხვები იპყრობს რევოლუციონერს, როდესაც მის წინ განთავისუფლების საკითხი, ხალხთან და რევოლუციასთან დაბრუნების მომენტი დგება. იგი ვერ პოულობს ნამდვილი რევოლუციონერისათვის საჭირო მოქმედების პროგრამას. მის გაორებულ, მერყეულ ბუნებას, მის თამაშს რევოლუციურ და ნაციონალისტურ იდეებს შორის, მის გატაცებას სახარების კითხვით, წარსულით საფუძვლად უდევს გაორებული მსოფლმხედველობა. მწერალმა ეს მხარე სწორად შენიშნა, მაგრამ, რატომღაც, კატეგორიულად არ გაიმეტა ასეთი გმირი.

რომანში ნაციონალისტური იდეების მედროშედ გამოყვანილია ‘ალვა რაზმაძე. მწერალს სწორად ჰყავს დახასიათებული ეს გმირი. უფრო მეტი: ის უფრო მთლიანი პიროვნებაა თავის ამ შემცდარ პოზიციაზე, ვიდრე არჩილ დადაშიანი. ამიტომაც ადვილად იმორჩილებს არჩილს, თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევს.

რომანში სიმპათიურადაა დახატული დიდი ‘ასო. მენშევიკურ და ნაციონალისტურ ინტელიგენციას მწერალი უპირისპირებს ნიკოს, სამსონს და ანდრო ქარევაძეს. აქვე უნდა შევნიშოთ, რომ რომანში ბოლშევიკ ნიკოს მეტისმეტად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. იმდენად მცირედ არის იგი ნაჩვენები მოქმედებაში, იმდენად არა ჩანს მისი გონივრული, პარტიული, პოლიტიკური, შეგნებული მოქმედება, რომ იგი ნაკლებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბოლშევიკის ტიპიურ და დამახასიათებელ სახედ. ხშირად ის დახასიათებულია მენშევიკების ტენდენციური ეპითეტებით. მოურიდებელი ლაპარაკი სჩვეოდა, ხმას ბრძანების კილოს ატანდა და თავისებურ, ხანგრძლივ პარტიულ მუშაობაში შეძენილ რიხს. მისი მოქმედება ხშირად დაუფიქრებელია, წინდაუხედავი, ამიტომ მის ხასიათში ნაკლებად ჩანს გამართლება მწერლის სიტყვებისა: გაბედული მებრძოლის და ორგანიზატორის სახელი ჰქონდა მოხვეჭილიო.

რომანში უფრო ბუნებრივი და კოლორიტული სახეა ანდრო ქარევაძე. ანდრო, გლეხის წრიდან გამოსული ახალგაზრდა რევოლუციონერი, დახატულია რომანში საინტერესოდ. ჯერ სოფლად პროკლამაციებით ხელში, ვეცნობით ამ სრულიად ახალგაზრდა მებრძოლს, შემდეგ ფოთში ბოლშევიკებისა და მენშევიკების უთანხმოების მონაწილეა. აქ მიიღებს ის რევოლუციონურ ნათლობას. ბოლოს ქუთაისში კაცთმოძულე და დესპოტ მელიტონ აბლანდიას, რომელმაც სატრფო წაართვა მას და რევოლუციონერები აწამა, კლავს.

ამავე დროს ანდრო ქარევაძის სახეს უკავშირდება რომანის საექსპოზიციო ნაწილი. „სისხლი“ იწყება მეტად საინტერესო მხატვრული ხერხით. საიდუმლოებათა გახსნის ინტერესი რომანის დასაწყისშივე აღიძვრება. სულ უბრალო დეტალით აღწევს მწერალი იმას, რომ თავიდანვე დააინტერესოს მკითხველი ანდროს ბედით. შემდეგ ეს ინტერესი თანდათანობით ფართოვდება და სიუჟეტშიაც უფრო ვრცლად შემოდის ანდრო, როგორც მოქმედი პირი. ანდროს გულწრფელი სიყვარულით უყვარდა თავისი მეზობელი ქალი ვარდო, მაგრამ იგი, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ქუთაისის ციხის უფროსს მელიტონ აბლანდიას მიათხოვეს, ამით გული მოუკლეს ძებოძოლ ახალგაზრდას. მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გატეხეს. ანდრომ იცის, რომ „მდიდარი ჩინოვნიკი,' „ბუნტის ჩამხშობი“ ანდროს მტერიც არის. მან წაართვა ქალი ანდროს, მან დალუპა ის. ანდროს შეეძლო თავისი მეგობრების დახმარებით გაეტაცებინა ქალი, გამოეგლიჯა მტრისთვის, მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადადგა, რადგან მის პიროვნულ ბედნიერებას საზოგადოებრივი ინტერესი ეწირებოდა. ამას შეიძლება ამხანაგების შევიწროება, ორგანიზაციის დარბევა მოჰყოლოდა. იგი რწმენით ცოცხლობს: „იცოდეს ყველამ, რომ ჩვენი დრო კიდევ დადგებაო“. თავის ინტერესს ამ დროს უფარდებს, მაგრამ სიყვარულის გრძნობა ტანჯავს, ვარდოსადმი უმანკო სიყვარულის გრძნობა შურისძიების გრძნობით აღავსებს მას. ის აქტიურ რევოლუციურ სკოლას გაივლის და, ბოლოს, რევოლუციონერების დავალებით კლავს თავის და ხალხის მტერს აბლანდიას, აბლანდიას, რომელიც ასე სასტიკად გაუსწორდა რევოლუციონერებს და არ დაზოგა თავისი საკუთარი ცოლიც. მეფის ჯალათი, ციხის უფროსი მელიტონ აბლანდია ეჭვს მიიტანს უსაფუძვლოდ ახალგაზრდა ვარდოზე, სცემს და აწამებს მას, გულქვა და ვერაგი ქმრისაგან აბუჩად აგდებული, გაწამებული ვარდო თავს იხრჩობს. მწერალს შესანიშნავად აქვს დახატუ-

ლი აბლანდიაზე შურისძიების შემდეგ ანდროს წასვლა ვარდოს საფლავზე და ამ ფონზე მისი განცდები.

მხატვრულობის მხრივ „სისხლი“ უთუოდ საინტერესო ნაწარმოებია. თუ იგი ტარიელ გოლუას ჩამორჩება თავისი მთლიანი, იდეურად გამართული კონცეფციით, მხატვრულად არ შეიძლება ეწოდოს მას სუსტი ნაწარმოები, თუნდაც „ტარიელ გოლუასთან“ შედარებით. აქ არის ბევრი შესანიშნავი სურათი, უზადო მხატვრის ხელით შესრულებული. ასეთია, კერძოდ, ქუთაისის ციხეში გვირაბის გაყვანისა და პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლების ეპიზოდი, ვარდოსა და აბლანდიას დამოკიდებულების ტრაგიკული ფინალი, რომელსაც ამთავრებს ანდრო ქარევაძის მუნჯი სცენა ვარდოს საფლავზე და სხვ.

ლ. ქიაჩელის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ისე ღრმად შეიჭრა 1905 წლის რევოლუციური დღეების სურათები, ისე ორიგინალური და დამახასიათებელი გახადა მისი სულიერი სამყაროსათვის პროფესიული რევოლუციონერის ეს განცდანი, რომ მწერალს თან სდევს ეს თემა, როგორც მისი სულიერი ცხოვრების ორეული. ჯერ იყო და მისი კვალი აღიბეჭდა პირველსავე პატარა მოთხრობაში „მამა ოქროპირი“, შემდეგ კი — „ტარიელ გოლუაში“. ამავე რკალს განეკუთვნება რომანი „სისხლი“. სამამულო ომის დღეებში მწერალი კვლავ მიუბრუნდა ამ თემას და გამოაქვეყნა ორი პატარა მოთხრობა „მოქცევა“ და „ლუკმაპურის ისტორია“. პირველ მოთხრობაში აღწერილია თბილისის რკინიგზის დეპოს მუშების გაფიცვა, „ცხრაას ხუთის ისტორიული საყოველთაო გაფიცვასა და შეიარაღებული აჯანყების“ წინა დღეებში მომხდარი. ამ მოთხრობაში არაჩვეულებრივი ძალით არის გამოხატული ძლიერი, გაუტეხელი ნებისყოფის, რევოლუციონერი ქალის — მარიამის სახე, რომლის მტკიცე გადაწყვეტილებამ და შთაგონებამ მერყევი მუშა მიხო აქტიური მებრძოლის როლში გამოავლინა. აქ ყოველი ეპიზოდი, ყოველი ფრაზა რევოლუციური წარსულის დიდი რომანტიკით ცოცხლობს. ასევე რომანტიკული სურნელებით გვიპყრობს პატარა მოთხრობა „ლუკმაპურის ისტორია“. აქ მოთხრობილია, თუ როგორ ააწყვეს ეს პირველი არალეგალური წიგნი საქართველოში, როგორ გავრცელდა იგი დეპოს მუშებს შორის და როგორ დააკავშირა ამ წიგნმა მუშები ერთიან ბანაკად, ადმინისტრაციისა და პოლიციის წინააღმდეგ. ორივე ეს მოთხრობა ინტერესით იკითხება.

*

„სისხლს“ მოჰყვა ლეო ქიაჩელის რამდენიმე საინტერესო რეალისტური ნოველა. მათ შორის უნდა დავასახელოთ „ჰაკი აძბა“, რომელშიაც ასახულია საქართველოში მენშევიზმის უბადრუკი დღეები. მოქმედება წარმოებს 1918 წელს აფხაზეთში, კერძოდ, სოხუმში. ქალაქში ხმა გავრცელდა, ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“ ქალაქს უახლოვდებაო. კრეისერს ხელმძღვანელობს ბოცმანი კუზმა, სახელგანთქმული ბოლშევიკი და პარტიზანელი. ქალაქის თავმა სამსონ დავანაძემ, რომლის მერყევ ხასიათსა და დამფრთხალ ბუნებაში კარგად არის გამოხატული მენშევიკის უნიათო ტიპი, არ იცის, როგორ მოიქცეს. იგი იძულებულია შეხვედრა მოუწყოს ბოლშევიკების კრეისერს. კრეისერის საბჭოთა ჯარისკაცები სოხუმის ქუჩაში გადაეყრებიან უჯუშ ემხას, რომელსაც მეფის გენერლის ეპოლოტები აქვს. მეზღვაურებმა ააგლიჯეს მას ეს ისტორიის სანაგვე ყუთში გადასროლილი ხელისუფლების ნიშნები. ამ შეხლა-შემოხლაში ერთ-ერთ მეზღვაურს კლავს უჯუშ ემხა. საბჭოთა მეზღვაურები შეიპყრობენ ჰაკი აძბას, უჯუშ ემხას ძიძისშვილს, რომელიც თავს აცხადებს მეზღვაურის მკვლელად. მაგრამ კუზმას ჯარისკაცები მალე აღმოაჩენენ ნამდვილ მკვლელს, უჯუშ ემხას. შეიპყრობენ და დახვრეტენ მას, ხოლო ჰაკი აძბა თან მიჰყავთ გემით, რომ ეს გლეხის წრიდან გამოსული აფხაზი რევოლუციის მომხრე გახადონ. მაგრამ ჰაკი აძბას ტრადიციის ფსიქოლოგიის გავლენა ვერ დაუძლევია და იგი ეწირება უჯუშ ემხას მონურად. მწერალი ხაზს უსვამს, რომ სოციალისტური რევოლუციის ქარიშხალი დაღუპვით ემუქრება როგორც ისტორიულად განწირულ კლასებს, ისე ტრადიციის მონურ ფსიქოლოგიას, ყველაფერს ძველს, რაც წინ აღუდგება ახალს, რევოლუციურს.

ლეო ქიაჩელის მხატვრული ოსტატობა, მისი დიდი ნიჭი და დაკვირვების უნარი ადამიანის რთული ფსიქოლოგიური განცდების გამოხატვისა, ყველაზე ნათლად გამოვლინდა მოთხრობაში „ალმასგირ კიბულან“. აქ დიდი რეალისტური ძალით არის გამოხატული მამისა და შვილის სიყვარული, და შემდეგ, შვილის დაღუპვით გამოწვეული ტრაგედია და მამის სულიერი განცდანი. მოთხრობის მთავარი გმირი სვანი გლეხი — ალმასგირ კიბულან — სხვა მის მეზობელ გლეხებთან ერთად, ენგურზე ხუბერჭალას შესართავთან, ლენხერში ხე-ტყეს ამზადებს.

ალმასგირს აქ თან წამოყვანილი ჰყავდა 15 წლის ვაჟი გივერგილ, საკვირველი მონადირე, ლამაზი შესახედაობის ვაჟი, გამბედავი და გამრჯე. მოთხრობაში კარგად არის აღწერილი მუშაობის პროცესი, სვანი გლეხების ძმობა და მეგობრობა შრომასა და ტრადიციის დაცვაში. ისინი პირნათლად ასრულებენ მოიჯარადრე კაუზა ფიფიას დავალებას, ამზადებენ ხე-ტყეს. მაგრამ ხეების დაცურებას გაბედული, ფოცხვერივით მარდი გივერგილ შეეწირა, ენგურის ტალღებმა შთანთქა იგი. ალმასგირ კიბულანი ცოფმორეული მხეცივით ღმუოდა, ამ საშინელების დამსწრე.

ალმასგირ პირველად მოიჯარადრეს მივარდა:

„—კაუზა, აჰა შენი ფული, დამიბრუნე ჩემი გივარგილ! — ფული ამოიღო, გაუწოდა, მერე უბეშივე ჩაუდო საკუთარი ხელით. — აჰა, ძმაო... — ორთავე მკლავზე ხელები მოკიდა, შეეკვედრა, შეანძრია, — აჰა, შენი ფული, წაიღე, ჩემი შვილი დამიბრუნე, — კვლავ ვედრებით მიმართა; მაგრამ, რადგან კაუზა ხმას არ იღებდა, ერთხელ კიდევ შეანძრია და შეაქანა. უცებ კაუზას ზურგს უკან ამართული მაღალი კლდის შავი კედელი წითლად შეიღება. ზედ ტვინგარეული სისხლი შეესხა, წინწკლებად დადინდა, ალმასგირს სახეზე შეეშხაპუნა. ცოცხალ ფიფიას ნაცვლად, ახლა კიბულანს ჩოხის მოგლეჯილ სახელოში გაყრილი უტანო მკლავები ეჭირა. ძირს კი, მის ფეხებთან მოიჯარადრის უთავო ტანი ეგდო“. შემდეგ ეს გაბოროტებული მამა ღრიალით გაცოფებულ ენგურს მისდევს შავი ზღვის შესართავამდე და შვილს დაეძებს, მაგრამ ამაოდ,— ვერსად იპოვის. ამის შემდეგ თვითონაც ზღვას შეერია, „მაგრამ მას ზღვა არ უგრძვნია, ხოლო არც სიკვდილი უგრძვნია სიკვდილის წინ, რადგანაც თვალგახელილი შვილის მოღიმარი სახე თვალთაგან არ მოშორებია...“ ასე მთავრდება ეს დიდი ფსიქოლოგიური ნახატი.

ძნელია კაცმა წარმოიდგინო ამაზე უფრო ძლიერი სურათი. შვილის დაღუპვით გამოწვეული სულიერი ტრაგედია ადამიანისა აქ დახატულია საოცარის ძალით, და ისე მონოლითური და მთლიანია ეს სახე, ისეთი ძლიერი და გაუტეხელი, რომ ეს ხელს უწყობს მამის ტრაგედია ფსიქოლოგიურად ერთბაშად მართალი და მღელვარე გახდეს. ყაზბეგის შემდეგ არავის გამოუხატავს შვილის დაღუპვით გამოწვეული ტრაგედია ამაზე ძლიერად, ამაზე საინტერესოდ. თავისთავად ალმასგირ კიბულანის სახე მწერალს ხატოვანი სიტყვიერი შტრიხის საშუალებით აქვს გადმოცემული.

„აიმრიზა ალმასგირ კიბულან, დევის ლანდივით საშინელი და იმ აღშართს შეეფინა გულჩათხრობით, რომლითაც გივერგილა სანადიროდ გაიჭრა.

მზისგან შერუჯულ კლდეებს შორის თვითონაც გვერდებშელეწილ კლდეს ჰგავდა, რომელსაც სული ჩადგომოდა და ამოძრავებულიყო.

ახმახი იყო, უსწოროდ ნაგები, უხორცო, კუთხეებჩამოხეთქილი, ნაკვთსა და ნაკვთს შორის შეღრუებული, მხრებსა და გულ-მკერდში სვანური რკინით შესალტული. გამოხედვა ირიბი ჰქონდა, უნდობი და მალი, ჩამოზნექილ შუბლზე წარბები შავი ფრთებივით ესხა, რომლებიც მოყვითალო, ხორბლის მარცვლისფერ თვალებს უჩრდილავდნენ“. ასეთია ამ უზარმაზარი სვანის გარეგნული აღწერილობა. ამ ვეება კაცს ბავშვივით გული აქვს, მოსიყვარულე, კეთილი გული. იგი თვალის ჩინივით უფრთხილდება თავის პირმშოს, თავის შვილს. და აი, ახლა სანადიროდ წასული ვაჟის ბედი აწუხებს. „დედაკაცმა დამაბარა, შვილს გაუფრთხილდიო, წამოსვლის წინ სიზმარი ენახა, ახლა მენიშნა“. და მკითხველი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ამ ვაჟის ბედს, მამის განცდებს, თითქოს სიზმარი უნდა ახდეს. მაგრამ იგი ნადირობიდან მშვიდობით ბრუნდება. მოლოდინი ამით არ მთავრდება. ამას მოსდევს სურათი ამ ახალგაზრდა ვაჟის შეჭიდებისა მორებთან და შემდეგ მისი დაღუპვა ენგურის ტალღებში. ყველაფერი ეს აღწერილია დიდი დაკვირვებით ადამიანის განცდების, მისი ფსიქოლოგიური ნიუანსების ზუსტი გადმოცემით, ამაღლებულად და განზოგადებულად.

ნოველაში „თავადის ქალი მაია“ ლეო ქიაჩელმა დიდი ოსტატობით დაგვიხატა ფერგადასული თავადი ქალის ვნებათა ღელვა, მისი განწირული ვნებააშლილი სიყვარული. მას უპირისპირდება ახალგაზრდა გლეხის გოგონა დაფინო. ასევე დაუპირისპირა მწერალმა ერთმანეთს ბონდო, ეს თავადის უქნარა ნაშიერი, ამბაკოს, გლეხ რევოლუციონერს, რომლის ხელითაც კვდება ამორალიზმის წუმპეში ჩაფლული თავადი ბონდო. ქიაჩელის ფხიზელი რეალისტური წერის მანერა ამ ნაწარმოებში მთელი სისრულით გამომჟღავნდა. აკი თვითონ წერდა ლეო ქიაჩელი: „ჩვენი ახალი ნოველები („ალმასგირ კიბულანი“, „თავადის ქალი მაია,“ „ჰაკი აძბა“) არსებითად ემთხვევა „ტარიელ გოლუასა“ და „სისხლის“ გზას. ეს კი არის რევოლუციური რომანტიზმისა და სოციალისტური რეალიზმის გზა“. ეს გზა თანდათან მიიმართებოდა ახალი დიდი რომანისაკენ.

ეს რომანია „გვადი ბიგვა“.

„გვადი ბიგვა“ საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზე იშლება. აქ ავტორი გვიხატავს, თუ როგორ იმსხვრევიან სოციალისტური სოფლის ნიადაგზე კაპიტალიზმის უბადრუკი ნაშთები, მეორე მხრივ, საკოლმეურნეო ცხოვრების გამარჯვების შედეგად როგორ ხდება ადამიანის გარდაქმნა. მწერალი ხატავს ახალი სოციალისტური სოფლის გარემოს და მის შემოქმედებითს ზეგავლენას ადამიანების ცხოვრებაზე. ამ რომანის ყურადღების ცენტრში დაყენებულია სწორედ საკოლმეურნეო ადამიანები; მათი ფიქრების გამოხატვას ეძღვნება რომანის საუკეთესო ადგილები და ეპიზოდები.

მწერალმა რომანის ცენტრში დააყენა საკოლმეურნეო ცხოვრების ‘ძეხებელი ძოწიხავე ადაძიახები და ‘ანც რომანის მთავარ გმირად აირჩია არა ეს ახალი ადამიანები, არამედ ძველი ცხოვრებისაგან დასახიჩრებული, თაღლითობის, უქნარობის, ცუღლუტობის ნიშან-თვისებით დაავადებული გვადი ბიგვა. მწერალმა ამოცანად დაისახა, ეჩვენებინა, თუ ახალმა საკოლმეურნეო წყობილებამ როგორ მოიყოლია თავისი გავლენის ქვეშ, როგორ გარდაქმნა ასეთი მერყევი ელემენტი.

ნაწარმოებში ჩვენ ვგრძნობთ ახალ სოციალისტურ გარემოცვას, რომელსაც ნიადაგი გამოუცლია თაღლითობაზე, ორპირობაზე, სიზარმაცეზე აგებული ძველი ცხოვრებისათვის. გვადი ახლა ასე ადვილად ვერ გადის ფონს. ჯერ საკუთარ ბავშვებთან სჭირია დიდი მლიქვნელობა, მოხერხება, რომ ოსტატურად დააღწიოს თავი და მოახერხოს, მოპარული მანდარინებით და თიკანით სამუშაო დღეს ბაზრისაკენ გასწიოს. მაგრამ აი, გზაზე მას გამრჯე და მოწინავე კოლმეურნე ქალი მარიამი გადაეყრება. გვადი ბიგვა ახალი სოციალისტური გარემოცვის ატმოსფეროში მოქცეული თავს შეაბრალებს ქალს, დაუსაბუთებს, რომ აუცილებელია ქალაქში წავიდეს, რომ იგი ავადაა და თავს უნდა უმკურნალოს. მაგრამ გვადი გრძნობს, ძნელია ამ ძველის მარაგით იცხოვრო, გრძნობს, რომ გზა უნდა მოინახოს. მთელი ამ ჭაპანწყვეტით და მოხერხებით თავის დაღწევა შვილებისაგან, მარიამისაგან, ქალაქად იმედის გაცრუება, იქიდან დაბრუნებულ კოლმეურნეებთან მეგობრული შეხვედრა გვადის თანდათანობით ეზიდება ახლისაკენ. იგი რწმუნდება რომ ძველი გზა უვარგისია.

გვადი ბიგვა რთული ფსიქოლოგიური ტიპია. წინათ ფორიების მოჯამაგირე, სხვისთვის მშრომელი გვადისთვის შრომა მხოლოდ მონობის

ულელი იყო, ამიტომ ძველმა ცხოვრებამ შეიმუშავა შრომისადმი ეჭვიანი დამოკიდებულება და სიძულვილი. ახალ დროშიაც, საკოლმეურნეო ცხოვრების დროშიაც, იგი ვერ განთავისუფლებულა ამ ძველი მორალისა და შეხედულებისაგან. მწერალი რომანის დასაწყისშივე, რელიეფურად გამოხატავს ამ გმირის სახეში დაბეჩავებული და დაჩიავებული გლეხის სახეს: სახებანჯგვლიანი, ცალ მხარეზე დაგლეჯილი ნაბადმოგდებული, მუცელგაბობერილი, დახეული ქალამნებით და ჩვრებით შეფუთული ფეხები, თასმებით აკრული, — უკვე ასეთი გარეგნობა წარმოგვიდგენს გვადი ბიგვას, როგორც ძველი ცხოვრებისაგან დაბეჩავებულ კაცს. ის ისეა დაწიხლული ძველი ცხოვრებისაგან, რომ ავადმყოფური ეჭვით შეჰყურებს თავის დღევანდელ მდგომარეობას. როდესაც მას თავისი თორმეტი წლის ბიჭი პატარა ბარდღუნია საყვედურით მიმართავს, რომ იგი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის გერასათვის მიცემული პირობის თანახმად, დღეს სამუშაოზე უნდა გასულიყო, და თუ ის დღეს ტყის გაჩეხას დააკლდება, სახლის სიიდანაც ამოშლიან, ამის პასუხად გვადი ბიგვა შვილს მიმართავს: „სახლიო, ამბობ შენ... პაპაჩემს ვერ აუშენებია ოდა და არც მამაჩემს... ალბათ, არც მე შემეფერება... არა შეჯდა მწყერი ხესაო, ხომ გაგიგონია... ზღაპარია მშენებლობის ამბავი, ჭირიმე, ზღაპარი". მაგრამ გვადი, ამასთანავე, გრძნობს, რომ საჭიროა შრომა და საკოლმეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. ამიტომაც შვილს თავს აცოდებს, რომ ავადმყოფია და „დოხთურთან" უნდა წავიდეს.

„—აი, ეს მკლავს, ბარდღუნია... აქ მაქვს ის წყეული ტყირპია თუ რაღაცა. ბაბუაშენიც მაგან მოკლა აი, ამ ჯარგვალში, მგონია დედაშენსაც ტყირპი სჭირდა. მეც ეს მომიღებს ბოლოს ამავე ჯარგვალში და ის იქნება.. მაშინ სახლის სიიდანაც ამომშლიან და... — შესაბრალისად დაიჯღანა, ამოიკვნესა და ამოიგმინა. მერე განაგრძო: — ჩემო ბაბაია, შრომადღე ჩააწერინე... ღუტუნიაც გაიყოლე, ერთ კალანჩხას მაინც მოკრეფს ის წყეული... ასე... ამ ტყირპს რომ მოვირჩენ, უფრო იოლად წავალთ..." გვადი ხედავს, რომ მომავალი ეკუთვნის შრომას. შრომა სახელის, დიდების და ყოველგვარი სიკეთის საფუძველია, მაგრამ მას არ ყოფნის ნებისყოფა ამისათვის. სამაგიეროდ, შვილებს უნერგავს შრომის სიყვარულსა და პატიოსნების გრძნობას.

გვადი ბიგვა შვილებს ასევე უნერგავს ქურდობის სიძულვილს. თვითონ კი ხელმრუდე საქმეს, რომელსაც ძველთაგანვე შეჩვეულია,

ახლაც არ ერიდება, როდესაც შესაფერ მდგომარეობაში ჩავარდება. ნამდვილად სძაგს ქურდობა, ძველი ცხოვრების ეს ჭუჭყი უნდა მოიცილოს. ამიტომ, პირველ ყოვლისა, სურს ააცილოს ამ უბედურებას საკუთარი შვილები. და როდესაც გაიგებს, რომ მისი საკუთარი ბავშვი ბარდღუნია მანდარინის ქურდს ეძებს და ამ ქურდობის ჩამდენი კი თვითონაა, მწარე გმინვა აღმოხდება: „ვაი შენს პატრონს, გვადი, რომ საკუთარ ეზოში მანდარინებს იპარავ“.

ამ შეგნებით შთაგონებული, ასე მიმართავს შვილებს:

„— ბარდღუნია უფროსია, ბაბაია, უნდა გაუგონოთ ყველაფერი. ჭკუას გარიგებთ: ქურდობა არ ქნათო, ტყუილი არ სთქვათო, არ გავიგონო, ბაბაია თქვენი ქურდობა და ტყუილის თქმა... არამც და არამც გულშიც კი არ უნდა გაივლოთ არც ერთი და არც მეორე, არასოდეს. თუ არა, არ გაიზრდებით, ბაბაია, ასეა. თუ მაინცდამაინც გაიზარდეთ, გლახა და ცუდი სახელი დაგერქმევათ“. გულწრფელად წინააღმდეგია გვადი ქურდობისა და ავკაცობისა. ამიტომაა რომ რომანში დიდი მხატვრული დინამიკურობით ხდება გვადის სახის ცვლა. ის, ერთი მხრით, ძველი ფსიქიკით დაავადებული, ძველის ბრმა მონა, ხშირად ისეთ რამეს აკეთებს, რაც ეწინააღმდეგება ახალი ადამიანის ბუნებას. ამას გრძნობს და ამ წინააღმდეგობათა შუა მერყეობს გვადი ბიგვა. ის ძველი და ახალი ცხოვრების მიჯნაზე მდგომი გმირია, რომელსაც ახლის ძალა და უპირატესობა უგრძვნია, მომავალი რომ ახალს ეკუთვნის, ამას მიხვედრილია, მაგრამ ძველთან მაინც თავისდა უნებურად კავშირი ვერ გაუწყვეტია. ასეთ რთულ ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობაში ხატავს მწერალი გვადი ბიგვას.

საკოლმეურნეო ცხოვრების მესვეურნი, პირველ რიგში, გერა, ხედავენ გვადი ბიგვას ამ ორ მხარეს. გერა შეეცდება ხელი ჩასჭიდოს გვადის, გაათავისუფლოს ცხოვრების ამ ძველი ჭუჭყისაგან და ახალი ცხოვრების გზაზე დააყენოს. გვადი ბიგვას აქვს ზოგიერთი საამისო თვისება. გვადი ბიგვას უსაზღვროდ უყვარს თავისი შვილები, და ეს სიყვარული შვილებისადმი, ოჯახისადმი ეწევა მას შრომისაკენ, პატიოსანი ადამიანის მოქმედებისაკენ. მეორე მხრით, გვადი ბიგვა თავის გამოჩენის უსაზღვრო სურვილით არის შეპყრობილი. ის მოხერხებული და ჭკუამახვილი კაცია. გვადის ჭკუამახვილობას სოფელში არა აქვს გასავალი, რადგან მოქნილ ენას არ შეუძლია მის გატეხილ სახელს უშველოს. ამიტომაც უყვარს მას ქალაქად სიარული. იქ გვადის უსმენენ,

როგორც ენამახვილ კაცს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, გერამ, სცადა ამ მომენტების გამოყენება, და აი, გვადი ბიგვას სრულიად დაუმსახურებლად ირჩევენ სანარიელებისა და ორკეთის კოლმეურნეობათა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების კომისიის წევრად. ამ გარემოებამ ისე ძლიერად იმოქმედა გვადიზე, რომ აქედან დაიწყო მისი სულიერი გარდაქმნა. გვადისთვის ცხადი შეიქმნა, რომ მან საბოლოოდ უნდა გაწყვიტოს კავშირი არჩილ ფორიასთან, რომლის მავნებლური საქმის მოზიარედ გამოდიოდა იგი ხშირად. ის ადრეულ შემზადებულია შურის საძიებლად ფორიასადმი.

არჩილ ფორია გვადის უყურებდა, როგორც თავის მოჯამაგირეს. და ყმას. არჩილი ჩვეულებრივად მიმართავდა ხოლმე გვადის ბატონყმური დამოკიდებულების ლექსიკონიდან ამოღებული სიტყვებით: „შე ძამაძაღლო“, „ყურუმსაღო“, „სულძაღლო“ და სხვ. საკმაოდ შეურაცხყოფილი გვადი ოცნებით კიდეც იძიებს შურს ფორიაზე. მან თითქოს თოკი ხის ტოტზე მაგრად გამოაბა, შიგ არჩილ ფორიას თავი გააყოფინა და ასე გამოგუდა. მაგრამ ესეც არ აკმარა მას, ახლა უნდა ხელმეორედ მოკლას ჩამოხრჩობილი კაცი. შემდეგ დანა გალესა, კარგად შეამზადა და ღორსავით ყელი გამოსჭრა. შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად აქცია და იმავე ხურჯინში ჩაალაგა, რომლითაც მისი ნაქურდალი ბარგი მოსდიდა. კმაყოფილი და მორალურად ამაღლებული ამ სიზმრით და წარმოდგენით, დილით ადრე დაფაცურდა და ბავშვებს საჭმელი შეუმზადა. მაგრამ მეორე დღეს არჩილ ფორიამ კვლავ მოახერხა უნებისყოფო გვადის დამორჩილება და ხელში ჩაგდება. ხოლო მას შემდეგ, რაც გვადი საკოლმეურნეო კრებამ წარჩინებულთა რიცხვში ჩარიცხა და კომისიაში აირჩია, ის საბოლოოდ გაწყვეტს კავშირს არჩილ ფორიასთან და ახალი ცხოვრებისათვის შეემზადება. ჯერ ის გარეგნულ სახეს იცვლის — ძველ სკივრში შენახულ ჩოხა-ახალუხსა და ყამას ტანზე მოირგებს. როდესაც გამარჯვებული და ბედნიერებით დამტკბარი გვადი შინ დაბრუნდა, მას კვლავ დახვდება ფორია, რომელსაც ახლაც სურს მავნებლობის უშუალო მონაწილედ გაიხადოს იგი. ხალხის მტერი ფორია თამაშდებობიდან მოუხსნიათ და ახლა მამისეული ქარხნის გადაწვა განუზრახავს. მაგრამ გვადი მას არ გაჰყვება.

ახლა გვადისათვის ცხადი გახდა, რომ უკანასკნელმა შეხვედრამ მათ შორის საბუდამოდ ჩატეხა ხიდი. თავს გამარჯვებულად გრძნობდა

და გული სიამაყით უცემდა. გვადი ბიგვა თანდათან თავისუფლდება ცხოვრების ძველი ტრადიციებისაგან. უფრო მეტი: მან საკუთარი ხელით მოკლა კოლმეურნეობისა და ხალხის მტერი არჩილ ფორია, რომელმაც კოლმეურნეობის ქონების, სახერხი ქარხნის გადაწვა განიზრახა. ასე დაიწყო გვადი ბიგვას გადაგვარება, მისი განთავისუფლება ძველი ტრადიციების ბრჭყალებისაგან და მასში საბჭოთა ადამიანის შეგნების დაბადება. გვადის სულიერ სამყაროში უდიდესი გარდატეხა მოხდა. ძველი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამახინჯებული, ძველი მორალით დამძიმებული, წარსულით დაბეჩავებული გვადი ბიგვა საკოლმეურნეო ცხოვრების ძალით საბოლოოდ განთავისუფლდება წარსულის სიმახინჯისაგან და საბჭოთა ადამიანების ცენტრში მოექცევა. ამ რთულ ფსიქოლოგიურ პროცესს რომანში საკმაო დამაჯერებლობა და დასაბუთება მოეპოვება.

თავისებური სახეა რომანში გოჩა სალანდია. გოჩა საშუალო გლეხის წარმომადგენელია. მესაკუთრე, კერპი გლეხი, მესაკუთრე მთელი თავისი ბუნებით, ჯიუტი, მაგრამ გამრჯე და მშრომელი. ასე ხატავს მწერალი გოჩა სალანდიას. მის ეზოში გაშენებული მანდარინის ხეები საუკეთესო იყო მთელ ორკეთში. იგი ისე, როგორც გვადი, გაურბის საკოლმეურნეო შრომას, კოლმეურნეობას. ამიტომ არის, რომ გერა ასე მიმართავს კომკავშირელ ნაიას მისი მამის გამო: „მამაშენზე ვისაუბრეთ, გვადიზედაც ბევრი ვიმსჯელეთ“. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანი ხშირად არიან გოჩა და გვადი, მაგრამ მათ შორის უთუოდ დიდი განსხვავებაა. აი როგორ აღწერს მწერალი ამას: „გოჩას გვადისთან ის ჰქონდა საერთო, რომ ისიც კოლმეურნე იყო და კოლმეურნეობისათვის გვადისავით ისიც თავს არ იზუზებდა. დღეს დღეზე აცდენდა. სხვა მხრივ კი მათ შორის დიდი უფსკრული იყო. გოჩა საშუალო შეძლების გლეხად ითვლებოდა სოფელ ორკეთში, დიდი შრომისმოყვარე და იშვიათი მეურნე იყო, ლიმონის და მანდარინის მოვლა-მოყვანის ისეთი მცოდნე იყო, რომ აგრონომებსაც კი არ ჩამოუვარდებოდა. ამ კულტურების პირველ შემომტანად ითვლებოდა თავის სოფელში. მისი პატარა ეზო ნამდვილ სახიმუშო ბაღს წარმოადგენდა, ხოლო მისი თხუთმეტწლიანი ორი ლიმონის ხე მთელ რაიონში თითით საჩვენებული იყო“. და რაკი გოჩა სალანდია მშრომელია, კოლმეურნეობა ცდილობს, ეს „უტეხი და კერპი“ გლეხი ჩააბას საკოლმეურნეო ცხოვრებაში და ამიტომ გერა ბევრ რამეს უთმობს მას. მოეგონოთ კოლ-

ძეურნეებსა და გოჩას შორის გამართული ხელჩართული ჩხუბი ტყეში. კოლმეურნეები გრძნობენ, რომ თავმჯდომარე მეტად ლმობიერად მოექცა თავგასულ სალანდიას. მაგრამ „მიკერძოება და გერა ერთად ვერ წარმოედგინათ“, ამიტომ უთმობენ მას. აქ აშკარად იგრძნობა კოლმეურნეობის ძალა. კოლმეურნეობა მართლაც ახერხებს, გოჩა სალანდია ჩაბას აქტიურ საკოლმეურნეო შრომაში.

რომანში მკვეთრად გამოხატულია არჩილ ფორიას ავანტიურისტული და მავნებლური სახე, მისი ანტისახელმწიფოებრივი ინტერესებითა და საქმიანობით; არჩილ ფორია მხილებული იქნა, როგორც კოლმეურნეობის მტერი. ფორიას მავნებლურ ბუნებას მწერალი მძაფრი ფერებით ხატავს.

შედარებით ძუნწად, მაგრამ მაინც ძლიერად არის დახატული კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა ბიგვა. მისი როგორც დაკვირვებული მუშაკისა და ხელმძღვანელის როლი ყველგან იგრძნობა, — იქნება ეს გვადის გარდაქმნის საქმე, გოჩა სალანდიას საკოლმეურნეო ცხოვრებაში ჩაბმა თუ არჩილ ფორიას მხილება. ასევე ესკიზურია ელიკოს სახე. უფრო ძლიერია და მკვეთრი კომკავშირის უჯრედის მდივნის ნინას დახასიათება. რომანის ერთ დიდ ღირსებას ის შეადგენს, რომ ბარდღუნიას სახით მწერალმა შესანიშნავი ფერებით დაგვიხატა ახალგაზრდა თაობა, მისი მორალური სიმაღლე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დამკვრელი კოლმეურნე ქალი მარიამი. მდიდარი საღებავებით ხატავს მწერალი ამ მოწინავე საბჭოთა ადამიანს. მტკიცე, გამრჯე, გავლენიანი და შრომისმოყვარე ქალი გამოძერწა მწერალმა მარიამის სახით.

რომანი „გვადი ბიგვა“ მეტად საინტერესოა სიუჟეტური ხერხითა და ზომიერი ჰუმორით. უქნარა, ზარმაცი და ცუღლუტი გვადი ბიგვა თავის ბოქმედებითა და ქცევით სერიოზულ სიტუაციას ვერ უძლებს, ვერ ეგუება, კომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი გვადი ბიგვა თავის დასაღწევად ხშირად თავისებურად ჭკუამახვილობას მიმართავს და იქ იგი ხშირად გვაგონებს ხალხურ ნაცარქექიას. გვადის დიალოგებსა და საუბარში საკმაოდ მჟღავნდება მწერლის მიერ მოფიქრებული გმირის რთული ფსიქიკა და სახე. მსუბუქი ხალხური ჰუმორით დაწერილი ეს რომანი მკვეთრად განსხვავდება ლ. ქიაჩელის იმ რომანებისაგან, სადაც ტრაგიკული კილო და ინტონაციები წარმართავენ სიუჟეტს („ტარიელ გოლუა“, „მთისკაცი“, „ალმასგირ კიბულან“).

„მთისკაცის“ სახით „ტარიელ გოლუას“ და „გვადი ბიგვას“ სახელოვანმა ავტორმა, ფხიზელმა რეალისტმა ლეო ქიაჩელმა უაღრესად საინტერესო ნაწარმოები შესძინა საბჭოთა ლიტერატურას.

ლეო ქიაჩელმა პროზის გამოჩენილი ოსტატის სახელი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებისა და აქტუალური საკითხების მხატვრული ასახვის გზით მოიპოვა.

მწერალმა მეოცე საუკუნის საბჭოთა რევოლუციამდელი წლების ყველაზე მღელვარე თემა — 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები ასახა. ასეთი რიგის აქტუალური, საბჭოთა ეპოქის უდიდესი პრობლემა —კოლექტიური სოფლის ცხოვრების თემა დაუდო საფუძვლად ქიაჩელის „გვადი ბიგვას“, და უნდა ითქვას, რომ აქაც ბრწყინვალე შედეგს მიაღწია მწერალმა. საბჭოთა რეალიზმის ნამდვილმა ძალამ და ოსტატობამ კვლავ იჩინა თავი „მთისკაცში“. ლ. ქიაჩელი ამ რომანით უშუალოდ ეხმაურება საბჭოთა ქვეყნის უაღრესად მღელვარე დროს — დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებს. ამიტომაც იგი მწერლის მიერ „ტარიელ გოლუასა“ და „გვადი ბიგვაში“ არჩეული ხაზის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს.

რომანი „მთისკაცი“ დიდი სამამულო ომის წინა დღის სურათით იწყება. მთელი საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომით ცხოვრობს, ასევე მშვიდობიან შრომას ეწევიან საქართველოს დასავლეთის კართან, ბზიბის ხეობის განაპირას მდებარე პატარა სოფელ სოუშიც. ხალხის ეს მშვიდობიანი ცხოვრება ერთბაშად შეცვალა ფაშისტური გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აღდგა პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ. ისტორიას არ ახსოვს ხალხთა ასეთი ერთსულოვნება შემოსეული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფრონტი და ზურგი ერთიან საომარ ბანაკად იქცა. დიდი სამამულო ომის მრისხანე ხანძარმა კავკასიის მთების ორრწოხებს მიაღწია. მომხვდურ მტერს, საბჭოთა ჯარის გმირულ ნაწილებთან ერთად, სოუელმა ვაჟკაცებმა საკადრისი პასუხი გასცეს. მტერი უკუიქცა. გმირი სოფლის სოუს სახელი საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ხოლო სოუს დაცვას დიდი მსხვერპლიც მოჰყვა. „მტრის წინააღმდეგ მიტანილ იერიშებს საუკეთესო ვაჟკაცები შეეწირნენ, რომლებიც საბჭოთა ჯარის მეომრებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ“.

ასეთია რომანის ქარგა, რომელსაც მწერალი ექსპოზიციაშივე აც-

ნობს მკითხველს. მაგრამ ნამდვილი ამბავი ამის შემდეგ იწყება, — ამბავი ამაღელვებელი, მშობლიური და ახლობელი ჩვენი ხალხისათვის. ვაუკაცური ამბავი სამამულო ომის გმირების, სახელოვანი ფრონტისა და ზურგის თავდადებისა, საბჭოთა ადამიანებისა, რომელთაც სამშობლოს სახელი დიდებით შემოსეს.

რა არის ამ რომანის ამოცანა, რას გვასწავლის იგი? მწერლის მისწრაფებაა, აჩვენოს საბჭოთა ადამიანის ახალი თვისებანი, მისი მაღალი პოლიტიკური მორალური სახე და შეგნება. რომელიც მან სამამულო ომის მძაფრ გამოცდაში გამოავლინა, ახალი საბჭოთა ადამიანის თვისება, რასაც იგი სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე ავლენდა და ავლენს. შეძლო თუ არა მწერალმა ამ საინტერესო განზრახვის, ჩანაფიქრის მხატვრული გარდასახვა? უთუოდ შეძლო. რომანში ძირითადად სწორად არის გადაჭრილი ეს ამოცანა.

რომანის ცენტრში დგას სოუელი მოწინავე კოლმეურნე ბათუ ქარდუა, მთისკაცის სახელით ცნობილი. იგი რომანში შემოდის ფხიზელი საბჭოთა ადამიანის მორალური შეგნებით. მთისკაცი, რომელმაც ძლივს იცის ხელისმოწერა, ცხოვრობს და მოქმედებს საბჭოთა ადამიანის მაღალი შეგნებით. ეს ყოველდღე თავისი ახლობლის, თავისებური სწავლული მდივნის მანუჩას საშუალებით სოხუმიდან მოტანილ გაზეთებს ეცნობა და ეი, როცა ომის ამბავი ჭორის სახით შეაღწევს სოუში, მთისკაცს არც სურს ყური დაუგდოს ჭორს და მოუთმენლად მოელის გაზეთებს, რომ მანუჩას წააკითხოს და გაიგოს სინამდვილე. გონებრივად და მორალურად ფხიზელი საბჭოთა ადამიანის ეს სახე რომანში შემდეგ თანდათან იზრდება, ამიერიდან ომით გამოწვეული მსხვერპლისა და საფრთხის პირისპირ მთისკაცის საზრუნავი საქმე სოციალისტური სამშობლოს დაცვა ხდება. გამარჯვებისათვის ზრუნვა და ფიქრი არ ასვენებს მას. სოუდან სანჭაროს ბილიკით სოხუმს მიმავალი მთისკაცის გონება კვლავ ომის, სამშობლოს ბედის და შვილის საკითხს უტრიალებს. მთისკაცს, ცნობილ ნამეჯოგარს, სახელგანთქმულ ვაუკაცს და უშიშარ მონადირეს, ბზიბის ხეობისა და აჭავჭარის საშიშ უღელტეხილთან შეზრდილს სამშობლოს დიდებული მთების ნახვამ, მისმა მშვენიერმა ბუნებამ თითქოს ყურადღება უფრო გაუმახვილესო: „აჭავჭარა იყო მისი ვაუკაცობისა და მოწიფულობის პირველი დამრწევი აკვანი, აქ მას სწორი არ ჰყოლია არც ღონეში და არც სიმარჯვეში“. მთისკაცის მოგზაურობას მწერალი შესანიშნავად იყენებს და გზადაგზა გვა-

ცნობს ამ გმირს, ამ მშობლიურ მთებთან შეზრდილს, რომ შემდეგ ამ უღელტეხილზე კვლავ შეგვახვედროს მასთან, როგორც გმირ პატრიოტ საბჭოთა ადამიანთან. მწერალი აქ მოხერხებულად ურთავს ბუნების სურათებს. შეიძლება ითქვას, რომ ლ. ქიაჩელს არსად ისე ვრცლად არ წარმოუდგენია საქართველოს მშვენიერი ბუნება, არსად ისეთი თვალისმომჭრელი სილამაზით არ დაუხატავს მისი სიმშვენიერე, როგორც ამ რომანში. საქართველოს ბუნების ეს მომხიბვლელობა აქ გამოყენებულია მთისკაცის პატრიოტული შეგნებისა და ფსიქოლოგიის გამოსამეღავნებლად. მზესთან გაჯიბრებული მთისკაცი აჭავჭარას უღელტეხილიდან სოხუმამდის ჩვენს შეგნებაში დიდი პატრიოტი საბჭოთა ადამიანის შეგნებით ცოცხლდება.

ლ. ქიაჩელი მთისკაცს გვიხატავს, როგორც საბჭოთა პატრიოტსა და შვილის მოსიყვარულე მამას. მეტისმეტად ბუნებრივია და ადამიანური მთისკაცის სახე: „შეგნებით მთისკაცს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ახალმა დრომ ახალი თაობა გამოიყვანა საზოგადო ასპარეზზე, გარდასულის, ძველის მაგიერ. ეს იყო ჯოტოსა და მისი ტოლების თაობა. ვის უნდა დაეცვა ქვეყანა მტრებისაგან, თუ არა თვითონ მათ? როგორ უნდა გადგომოდა მისი სახელმოხვეჭილი შვილი თავის დროს და ბრძოლაზე ხელი აეღო. რა თქმა უნდა, ჯოტო თავის მოვალეობას ვერ უღალატებდა, სამშობლოს დაცვაზე უარს ვერ იტყოდა, მაგრამ...

მამის გული კიდევ სხვას ეუბნებოდა მთისკაცს და თვითონაც გრძნობდა, რომ წინააღმდეგობაში ვარდებოდა“. ასე ბუნებრივ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აყენებს მწერალი თავის გმირს.

მთისკაცმა კარგად იცის, რომ ომის ბედთან დაკავშირებულია მისი ერთადერთი შვილის ბედი, მთელი საბჭოთა ადამიანების ბედი, სამშობლოს ბედიც. მთისკაცი დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ინტერესითა და რწმენით ცოცხლობს და მოქმედებს და მისი ყოველი ვადაწყვეტილება, ყოველი ფიქრი და ოცნება ამ ასპექტში ტრიალებს. იგი როდესაც სოხუმს მისული გაიგებს, მისი ერთადერთი შვილი თავისი სურვილით წასულაო ჯარში, თვითონაც უკვირს ასე ჩქარა როგორ შეუერიგდა ჯოტოს ჯარში წასვლის ამბავს. მთისკაცს უყვარს შვილი. მაგრამ ასევე უყვარს სახელოვანი კაცი. საბჭოთა ადამიანის ღირსების საქმეს კაცობის სახელით ზომავს. ამიტომ ის სახელოვან შვილს სცემს პატივს და არა უსახელოს. აი როგორ უხსნის თავის გულისნადებს მის მეგობარ მანუჩას:

„ვაჟკაცური სიკვდილი და მისგან დარჩენილი სახელი რომ სჯობს გამოუჩინარ ხანგრძლივ სიცოცხლეს, მე ეს მწამს, მანუჩა“. რუსთაველისაგან შეეთვისებინოს თითქოს ეს სიბრძნე მთისკაცს.

ასევე იცის მთისკაცმა, რომ „ხიფათი ცხოვრების თანამგზავრია. მასთან ბრძოლაში ალღო ისევე შველის ადამიანს, როგორც გონება, ხშირად კი უფრო მეტადაც, რადგან თუ უეცარია ხიფათი, უეცარივე უნდა იყოს შველაც, სანამ გონება თვალს გაახელდეს“. ვაჟკაცური ტრადიციით აღზრდილი და შთაგონებული მთისკაცი საკუთარი შვილისაგან, ომში წასული ჯოტოსაგანაც სახელოვან საქმეს მოელის. როდესაც მან შვილის გმირობის ამბავი გაიგო, ის გულის სილრმემდე შესძრა, სიამაყის გრძნობით შემოსა ამ ცნობის წაკითხვამ. მთისკაცის მეგობრები, სამართლიანად, ჯოტოს გმირობაში მთისკაცის სახელოვანი ტრადიციის გაგრძელებას ხედავდნენ. — „მამაკაცის დიდება და სამკაული ვაჟკაცობაა, მთისკაცო... მაგ დიდებით შენ იყავი მთაში შეძკული... ამიერიდან ჯოტო შეგცვლის თავისი დიდი სახელით... ჩვენს მთაში კი არა მხოლოდ, მთელ საბჭოთა კავშირში, კიდით კიდემდე!“— ასე მიმართავს მთისკაცს მოწინავე საბჭოთა ადამიანი მაკი ზურუბაია.

მთისკაცი, როგორც ძლიერი ხასიათი, მართალია, სულ სხვა სიტუაციაში, მაგრამ მაინც შორეულად ტარიელ გოლუას გვაგონებს. თავისი მაღალი შეგხებითა და ვაჟკაცობით იგი გვახსენებს ტარიელის სახეს. მთისკაცი მოფიქრებით, თავგანწირვით, ვაჟკაცობითა და მოსაზრებულობით თავისი დროის მოწინავე ადამიანია, ისევე როგორც ტარიელი იყო. ეს ქმნის შორეულ მსგავსებას მთისკაცს — საბჭოთა მოწინავე ადამიანსა და პირველი რევოლუციის მოწინავე ადამიანს — ტარიელს შორის.

საბჭოთა ადამიანების ხასიათსა და თვისებათა განზოგადებას მწერალი არა მარტო მთისკაცის სახით აღწევს, არამედ რომანის სხვა პერსონაჟებითაც. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კირილე გორაკოვი და მაკი ზურუბაია. დიდი რუსი ხალხის წარმომადგენელ გორაკოვის ხასიათში მწერალმა დახატა საბჭოთა პატრიოტისა და უშიშარი ვაჟკაცის მომაჯადოებელი სახე. ეს როგორ ახასიათებს მწერალი ამ გმირს: „კირილე გორაკოვი ყუბანელი ყაზახი იყო, ახალგაზრდობიდან სოფში დასახლებული. თუმცა იგი ზურუბაიების გვარს ჰყავდა ჩამოსიძებული, მაგრამ მთელ სოფელს მთლიანად თავის საამაყო ხიძედ მიაჩნდა.

კირილე გორაკოვი დამაარსებელი იყო სოფს კოლმეურნეობისა და მისი საქმიანობის გულისჩამდგმელიც. დაუღალავი, მარჯვე და გაბედული, ქვასაც კი წყალს გამოადენდა, როცა ამას მისი კოლმეურნეობის ინტერესი მოითხოვდა.

კირილე დიდი მცოდნე იყო მეცხოველეობისა და მეფუტკრეობისა, რაც სოფს კოლმეურნეობის შემოსავლის ორ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. მისი მეცადინეობით სოფს კოლმეურნეობის თაფლს მეტოქე არ ჰყავდა ბაზარზე, ხოლო სოფს მესაქონლეობის ფერმა პირველთაგანი იყო მთელ კუთხეში... კირილე გორაკოვი ძველი მებრძოლიც იყო, ჩრდილოეთ კავკასიის უმძაფრესი სამოქალაქო ომის მონაწილე.

იგი ამაყობდა თავისი წარსულით და მკერდზე მოუშორებლად ატარებდა რევოლუციონერი პარტიზანის საპატიო ნიშანს...“

გორაკოვი და ზურუბაია ნამდვილი საბჭოთა ადამიანები არიან, თავისუფალი ყოველგვარი პანიკისა და ზეიმელობისაგან. მოვიგონოთ ის ადგილი რომანში, სადაც აღწერილია გერმანელი დივერსანტების ცდა, ჯაშუშების ბინძური განზრახვა, ჩირქი მოსცხონ მთისკაცს. რა დაკვირვებით, საქმის სიყვარულითა და შეგნებით მოქმედებენ გორაკოვი და ზურუბაია...

ისინი ასწონ-დასწონიან შექმნილ ვითარებას, ღრმად უფიქრდებიან მტრის მიერ დაგებულ მახეს. აი ეს დიალოგი:

„— მთისკაცის პატიოსნებაში რომ ეჭვის შეტანა არ შეიძლება, ჩემთვის ცხადია, ამხანაგო კირილე.

ეს თქვა მხოლოდ და გაჩუმდა, ისევ გაუსწორდა გორაკოვს. კირილე გვიან გამოეხმაურა მის სიტყვებს.

— წარმოიდგინეთ, მეც ასე მგონია... თითქმის მიმხვდარი ვარ. საიდან ძომდინარეობს ეს არასასიამოვნო ამბავი... მაგრამ იცით, ამ ეთ დროს რამდენი სიფრთხილის გამოჩენა გვევალება... ბუნებითა და გამოცდილებითაც ეჭვიანი რომ არ ვიყო, პოლიტიკური სიფხიზლე მაინც გვიკარნახებს, რომ დაფიქრება ზედმეტი არ იქნება საბოლოო დასკვნის გამოტანამდე... ჯაშუშმა ხომ გარკვეულად თქვა, მთისკაცთან გამომგზავნესო, რატომ მასთან მაინცდამაინც და არა შენთან, მაგალითად? ამას გარკვევა უნდა.

გაიარეს.

— ჩემი აზრით, — დაიწყო ერთი ხნის შემდეგ მაცმ, — ორნაირად შეიძლება აიხსნას მთისკაცის დასახელება, ამხანაგო კირილე.

— აბა მითხარი...

— ან ვერაგი მტერი მიზნად ისახავს ჩვენს შორის უნდობლობა დათესოს. აგვრიოს... მაგალითად, დღეს მთისკაცს დაადოს ხელი, ხვალ ჩემში შეატანინოს ეჭვი ამხანაგებს და ასე...

— ან?

— ან ის, რომ მთისკაცი ხომ მეჯოგე იყო?... ისედაც ვავლენიან პირად ითვლებოდა აქაც და იმ მხარეშიც, სადაც ახლა ჩვენი მტერი დგას...

— მესმის. შენ გინდა თქვა, რომ მტერი მაგისთანა ხალხის მიმხრობას ცდილობს... ჭკუასთან ახლოა ეს შენი აზრი.

— გარდა ამისა, — უფრო თამამად განაგრძო კირილეს სიტყვებით წაქეზებულმა ზურუბაიამ, — ვინ იცის, იმათში, ვინც მეჯოგედ იცნობდნენ მთისკაცს ახლა არაერთი მოღალატე ურევია... ალბათ, მოაგონდათ ძველი ხაცნობი მთისკაცი, შემოუთვალეს, მოვდივართ, დაგვხვდი, ვაგაბედნიერებთო... და ეს დივერსანტი გამოუგზავნეს მოციქულად. ის გარეშოება კი, რომ მთისკაცი დღეს სხვა ბედნიერებას შეტრფის და ჯოტოს გარეშე მას სიცოცხლე ვერც კი წარმოუდგენია, მათ არ იციან? სცადეს, ანკესი ვადმოუგდეს!

— შენი მოსაზრება, უნდა გამოგიტყდე, მომწონს, ამხანაგო მაკი, იგი მეც მიტრიალებდა თავში, მაგრამ მოდი, კიდევ ვიფიქროთ... იმიტომ, რომ სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო. ხომ გაგიგონია? ერთხელ კიდევ მოვსინჯოთ მთისკაცისადმი ჩვენი რწმენის და ესოდენ ნდობის საფუძვლები, ამით არა დაგვიშავდება რა. ისიც უნდა გითხრა, ძვირფასო მაკი, ვინ იცის, რამდენი ხვეული აქვს ადამიანის სულს და რომელი მათგანი რა ზრახვასა და საიდუმლოებას ფარავს. პირდაპირ ჩხრეკით ვერაფერს გაიგებ, მაგრამ ზოგჯერ მოხდება, რომ ხმის კილო, თვალის გამომეტყველება და უნებლივ წამოცდენილი სიტყვა უბრალო საუბრის დროს, რომელიც საგანს, იქნება, არც კი შეეხება, მოულოდნელად ფარულ ზრახვათა კვალს მიგაგნებინებს...“

ჩვენ წინ დგანან საქმიანი, გამოცდილი, ღრმად დაკვირვებული, შექმნილი რთული მდგომარეობის ორიენტირების უნარით აღჭურვილი საბჭოთა ადამიანები. მათ ვულუბრყვილოდ არაფერი სჯერათ, მაგრამ არც ზერელედ წყვეტენ საკითხს, მათი სწორი ალღო და შეუმცდარი წინათგრძნობა მთისკაცის მიმართ საბჭოთა პატრიოტი ადამიანის მაღალი შეგნების დამახასიათებელია.

რომანში საინტერესოდ არის დახატული ჩვენი ქვეყნის ახალთაობა. საბჭოთა ახალგაზრდების პატრიოტიზმს მწერალი გვიხატავს არა მარტო ჯოტოს სახით, რომელსაც სიტყვიერი ადგილი არა აქვს რომანში, მაგრამ რომანის მთელი მოქმედების მანძილზე მთავარ გმირად რჩება, — არამედ მისი ტოლი მეგობრების მოქმედებითაც, ეს იქნება თეშური, იულონ გარსიას შვილი, რომელიც ჯოტოსთან ერთად მოხალისედ წავა ომში, კომკავშირის ორგანიზაციის წევრები, რომელნიც სოუს აღებაში თავდადებულ მებრძოლთა რიგებში პირველნი არიან, თუ სიცოცხლით აღსავსე, მკვირცხლი და ცოცხალი პატრიოტი გოგონა ლია, რომლის რომანი ჯოტოსთან მწერალმა დიდი რომანტიკული კდემამოსილებით დახატა.

ლეო ქიაჩელის ეს რომანი ყურადღებას იპყრობს ლიტერატურული წერის მანერითაც. მე მხედველობაში მაქვს სიზმრის ოსტატური გამოყენება, როგორც გარკვეული პოეტური ხერხისა რომანში. სიზმრის გამოყენების ეს ხერხი შორეულად გვაგონებს აკაკი წერეთლის „ბაში აჩუკს". ლ. ქიაჩელის რომანში სიზმარს მატერიალური საფუძველი და ახსნა გააჩნია. იგი სავსებით თავისუფალია ღვთაებრივი საწყისისა თუ ცრუ რწმენისაგან. სიზმარი უკავშირდება ნამდვილი ამბის განცხადებას და ის რომანის საერთო სიუჟეტში მკვიდრ მხატვრულ საფუძველს წარმოადგენს. სიზმრის ახსნას ინტერესი, დაძაბულობა შეაქვს რომანში და დიდ ეფექტს ახდენს მკითხველზე.

დიდი სამამულო ომის სურათებს მწერალი სოუს აღების მაგალითზე გვაჩვენებს. ეს პატარა ეპიზოდური ისტორია დიდი სამამულო ომის ძეხერხებულად არის გამოყენებული. მწერალი ისე ოსტატურად ატრიალებს სურათს ამ ეპიზოდების გარშემო, რომ ჩვენ წინ იშლება ომის დიდი და მრისხანე სურათი, რომელიც ასახავს ჩვენი ადამიანების ვაჟკაცობის და თავდადების, პატრიოტობისა და თავგანწირვის, განსაცდელისა და გამარჯვების საერთო განწყობილებას.

რომანში ბევრია ამაღელვებელი, და დაძაბული სურათი. იშვიათად თუ აუწერია ვისმე დიდი სამამულო ომის უფრო მძაფრი და ამაღელვებელი სურათი, ვიდრე ამ რომანშია გადმოცემული უცნობი ჯარისკაცის სიკვდილის აღწერა. სამ მეომარს მოჰყავს დაჭრილი ჯარისკაცი. დაღლილ მებრძოლებს უკვე არ შეუძლიათ წინსვლა გააგრძელონ. ამ დროს შეხვდებათ მათ მანუჩა. იგი დაჭრილ მეომარს საკუთარ ცხენს უთმობს და ეხმარება. მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრილი მეომარი კვდე-

ბა. ამ ჯარისკაცის სიკვდილი და მისი უკანასკნელი სიტყვები ძნელია კაცმა აუღელვებლად წაიკითხოს.

მაგრამ, რაოდენ მოხდენილიც უნდა იყოს ამ ცალკეული ეპიზოდების ეფექტურობა და ძალა, რომანის ყველაზე ძლიერ ადგილს მაინც წარმოადგენს ბოლო თავი, ნაწარმოების ფინალი.

ფინალში მთისკაცი კვლავ გამოჩნდება სამშობლოსათვის თავდადებული რაინდის, თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად ამხედრებული მებრძოლის ნებისყოფის გოლიათური ძალით, მთისკაცი მრავალგვარ დაბრკოლებას ძლევს და ასრულებს მთავრობის დავალებას. იგი აჭავჭარას მიუვალ ბილიკებში საბჭოთა ჯარს წინ მიუძღვის, როგორც მეგზური. მტრის მიერ დაპყრობილ სოფს მისადგომთან პირველად მთისკაცის სიტყვა გაისმის, როგორც უეცარი თავზარი მტრისათვის: „ჰკა მაგათ“ და ჯარი შეტევაზე გადადის, მტერი მარცხდება. საბჭოთა ჯარი იმარჯვებს. ამ ბრძოლაში გმირულად დაეცემა მთისკაცი. შეუძლებელია კაცმა აუღელვებლად წაიკითხოს რომანის უკანასკნელი სტრიქონები: სასიკვდილოდ განწირული ვეება მთისკაცი მიწაზე წევს. გონებადაკარგული ადამიანი უკანასკნელად ეძახის ჯოტოს, მიეშველოს მამას და სოულებს მტრის დამარცხებაში. მთისკაცი ოცნებით ქმნის სურათს: ჯოტო მოსულა კიდეც, ეშველება მამას, მეზობლებს, მტერს ამარცხებს. მას გვერდში უდგანან გორაკოვი, ზურაბაია... წყდება ეს მოგონება, გონს მოდის იგი, თვალს გაახელს და უკანასკნელად ნახავს: თავზე ადგას გორაკოვი და ამ ფოლადივით მტკიცე კაცის თვალებზე პირველად შენიშნა მთისკაცმა ცრემლი.

ეს უაღრესად კულმინაციური ნაწილი რომანისა დაწერილია ამაღელვებელი, ღრმა ფსიქოლოგიური განცდითა და დიდი ტაქტით. თავისთავად ეს შეტად მძიმე სურათია და აქ იხატება მთელი ის დიდი მსხვერპლის განცდა, რაც ჩვენმა ხალხმა გაიღო დიდ სამამულო ომში გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩვენი ადამიანებისათვის ომით მიყენებული გულისტკივილი, მწუხარება და ჭრილობა გამოთქმულია მთისკაცის უკანასკნელ სიტყვებსა და მისი სიკვდილის აღწერაში. მაგრამ ამ გულის დამაღონებელ სიტყვებს საერთო არა აქვთ რა უსასოებასთან, უნუგეშობასთან. ეს არის გმირული ხილვა ფაქტისა, მსხვერპლისა, რომლის იქით იწყება ოპტიმიზმის, იმედის, გამარჯვების ნათელი პერსპექტივის წარმოდგენა: სასიკვდილოდ განწირული მთისკაცის თავზე გამარჯვების დროშები ფრიალებენ და ყურში გესმით მთისკაცის

ძეექარე ხმა. „ვაშა, გამარჯვება ჩვენია“. წიგნს ვხურავთ და ჩვენს ხსოვნაში ღრმად ალბეჭდილი გმირული სახე მთისკაცისა არა გვშორდება. მისი კეთილშობილური გმირული საქციელი, პატრიოტული თავგანწირვა და ვაჟკაცური სიკვდილი, უჭკნობი შარავანდედით შემოსილი, განუშორებლად დარჩება მკითხველის შეგნებაში მტკიცედ დამკვიდრებული. ეს სახე ხდება სამშობლოსათვის თავდადებული საბჭოთა ადამიანების სულიერი სიდიადის, გაუტეხელი ნებისა და კეთილშობილების სიმბოლოდ.

ჩვენი დიდი პარტიის წარმმართველი როლი და მნიშვნელობა არ არის ხაზგასმით აღნიშნული ამ რომანში, მაგრამ არც ის ითქმის, რომ სავსებით დავიწყებული იყოს ეს გარემოება (მაგალითად, მთისკაცის გაწვევა სოხუმში და იქ დავალების მიცემა). რომანს აქვს ზოგი ნაკლიც, მაგრამ ეს ცალკეული დეფექტები ვერ ჩრდილავენ მის მაღალ ღირსებას.

„მთისკაცი“ რჩება ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად სამამულო ომის თემაზე შექმნილ წიგნებს შორის.

*

თანამედროვე ქართული პროზის გამოჩენილ წარმომადგენელს ლეო ქიაჩელს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე საბავშვო მწერლობის განვითარებაში. ჩვენი მწერლის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ცნობილი საბავშვო მოთხრობა. მათ შორის უნდა დავასახელოთ „დათუჩა“, „ნატვრის თვალი“, „ნუკას თვითმფრინავი“, „ჭინკა ბიჭი“, „მზე, ზღვა და ოთარიკო“. ეს საბავშვო მოთხრობები ჩვენი ნორჩი მკითხველების საყვარელი წიგნებია.

ლეო ქიაჩელი ავტორია, აგრეთვე, კრიტიკული წერილებისა და პორტრეტებისა. ესენია: „მაქსიმ გორკი“, „ქართულ რომანისათვის“, აკაკი წერეთლის „ბაში აჩუკი“, „ქართული თეატრი“, „დავით გურამიშვილი“, „რომენ როლანის „ჟან კრისტოფი“, „ანატოლ ფრანსი“, „დანტე“ და სხვა.

ლეო ქიაჩელს ეკუთვნის რუსულ და უცხოურ მწერლობის ნიმუშების თარგმანებიც. მათ შორის აღსანიშნავია: მაქსიმ გორკის რომანი „არტამონოვების საქმე“, სტენდალის „ვანინა ვანინი,“ ანატოლ ფრანსის მოთხრობები და სხვა.

ბელეტრისტის უნარის დიდი გამოცდა არის ტიპების შექმნა. ლეო ქიაჩელმა კი ამ მხრივ XX საუკუნის ქართულ პროზაში განსაკუთრებული სახელი დაიმსახურა. მან მრავალი საინტერესო ტიპიური ხასიათი შექმნა. აქ უნდა დავასახელოთ რევოლუციონერის შეუდრეკელი მონოლითური ტიპი ტარიელ გოლუა. XX საუკუნის ქართული მწერლობის მხატვრულ სახეთა შორის მნიშვნელოვანია მთისკაცი, გვადი ბიგვა, მარიამი და სხვა.

ორიგინალური სიუჟეტური კომპოზიცია, დახვეწილი, ლაპიდარული სტილი, ჩინებული ქართული ენა, მაღალი მხატვრული გემოვნება და ტაქტი ქიაჩელს პროზის გამოჩენილ ოსტატთა რიგებში აყენებს.

ლეო ქიაჩელის ბელეტრისტული ხერხები უაღრესად რეალისტურია. სიუჟეტის აგება, დიალოგი, ადამიანების ხასიათის ხატვა მკაცრად განსაზღვრულია რეალიზმის პრინციპით. ნაწარმოების ყოველი დეტალის დამუშავებაში, მისი ყოველი კომპონენტის შედგენასა და განლაგებაში სტილის დიდი გამჭვირვალობა და სინათლე იჩენს თავს.

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ლექსიკის შესახებ. ლ. ქიაჩელისათვის დამახასიათებელია ენერგიული ფრაზა, ნათელი, გამჭირვალე, ზუსტი ფრაზა. სიტყვიერი ქსოვილის დიდი რეალიზმი მუდამ იყო ლ. ქიაჩელის სტილის მთავარი თვისება. ეს რეალიზმი შენარჩუნებული იყო მაშინაც, როდესაც მწერალი ერთგვარ ხარკს უხდიდა დეკადენტურ მწერლობას. შემდეგ, როდესაც ლ. ქიაჩელი პრინციპულად გაემიჯნა დეკადენტიზმს და რეალიზმის გზას დაადგა, წერის რეალისტური მანერა მისი შემოქმედების მთელ იდეურ და მხატვრულ ინვენტარში გამომჟღავნდა. ქიაჩელის ენაში არაფერია ნაძალადევი და ხელოვნური, გამოგონილი და განგებ გართულებული, ბუნდოვანი, განგებ დანისლული სტრიქონები, ყალბი პათეტიკური ინტონაცია, სანტიმენტალური მეტყველება. ასეთი გამჭვირვალე სტილი ლ. ქიაჩელს XX საუკუნის ქართულ პროზაში ფრიად საპატიო ადგილს განუკუთვნებს.

ლ. ქიაჩელის რომანებსა და მოთხრობებს ნათელი, მკრივი სიუჟეტი აქვთ, ამიტომ ნაწარმოები კომპოზიციურად ისეა შეკრული, რომ არაფერია ზედმეტი და ყურით მოთრეული. ყოველივე ამის გამო სიუჟეტის განვითარება დინამიკურია. ლ. ქიაჩელის სტილის თავისებურებას შეადგენს სიუჟეტის წარმართვა მამათა და შვილთა ურთიერთობის ასპექტში. მეტწილად მწერალს მოქმედ გმირად გამოყვანილი ჰყავს

მამა და შვილი და მთელი ამბავი ამის გარშემო ტრიალებს. ამ სტილისტურმა ხერხმა პირველად თავი იჩინა „ტარიელ გოლუაში“ და შემდეგ მწერლის დამახასიათებელ წერის მანერად იქცა. მამათა და შვილთა დამოკიდებულება ლ. ქიაჩელის ნაწარმოებებში („ტარიელ გოლუა“, „ალმასგირ კიბულან“. „მამა და შვილი“, „მთისკაცი“) თავისებურად არის გადაწყვეტილი. XIX საუკუნის რუსულმა და ქართულმა კლასიკურმა პროზამ მამა და შვილი იდეურად მოწინააღმდეგე პოზიციებით გამოხატა და ამას დაუკავშირა თაობათა ბრძოლის მთელი ისტორია. წინააღმდეგ XIX საუკუნის რეალისტური მწერლობისა, ლ. ქიაჩელის ნაწარმოებებში შვილი და მამა იდეურად მოწინააღმდეგე ადამიანები როდი არიან. პირიქით, ისინი ერთ იდეურ პოზიციაზე მდგარი. მოწინავე, პროგრესული საქმისათვის მებრძოლი ადამიანები არიან. ასაკობრივი განსხვავება მათ პიროვნულ ბუნებაში ვლინდება და ამის მიხედვით დამოუკიდებელი ხასიათებიც იხატება, ხოლო მათს იდეურ და პატრიოტულ მრწამსში არაფერია საწინააღმდეგო, მოწინააღმდეგე თაობათა პოზიციების გამომხატველი. მათ საერთო სოციალური და პოლიტიკური შეხედულებანი აქვთ. ამ მხრივათაც ლეო ქიაჩელი განსაკუთრებით გამოირჩევა ქართულ მწერლობაში.

ასე გვესახება ჩვენი ეპოქის გამოჩენილი პროზაიკოსის, ქართული მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატის ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

ალექსანდრი აბაშელი

ალექსანდრე აბაშელი მწერალთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთა პოეტური ბიოგრაფია ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში ჩამოყალიბდა. რევოლუციამდელი პერიოდი აბაშელის შემოქმედებისა დაკავშირებული იყო ანტირეალისტურ ლიტერატურულ სკოლებთან, მაგრამ პოეტს ისე, როგორც მის სახელოვან თანამებრძოლებს, კავშირი არ გაუწყვეტია ქართველი მწერლობის რეალისტურ-დემოკრატიულ ნაკადთან. უფრო მეტიც: ალ. აბაშელი ამ პერიოდის პოეტური თემატიკით ერთგვარად ეხმაურებოდა, აგრძელებდა ირ. ევდოშვილისა და ნოე ჩხიკვაძის თემებსა და განწყობილებებს. სწორედ ამ გარემოებათა გამო ალ. აბაშელის ოქტომბრის რევოლუციამდელი შემოქმედება ისეთივე ხასიათის წინააღმდეგობების შემცველია, როგორიც მისი სულიერი მეგობრობის — გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილისა და ს. შანშიაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია.

•

ალ. აბაშელი დაიბადა 1884 წლის 15 აგვისტოს (ძვ. სტ.) სოფ. საჩოჩიოში (აბაშის რაიონი). მამამისი — ბესარიონ ჩოჩია ღარიბი გლეხი იყო, დედა — ქართული წერა-კითხვის კარგი მცოდნე. ალ. აბაშელს მამა 6 წლისას გარდაეცვალა. პირველად წერა-კითხვა ალექსანდრეს დედამ შეასწავლა; 7 წლისა მიაბარეს აბაშის ხუთკლასიან სასწავლებელში. 12 წლისა იყო იგი, როდესაც ეს სასწავლებელი დასრულა. 1897-99 წლებში სწავლობდა ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში. უსახსრობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო და დარჩა სოფლად, მამის ღარიბ ოჯახში. 16 წლისა იყო, დედა რომ გარდაეცვა-

ლა. ობოლი, დის ამარა დარჩენილი ბავშვი იძულებული გახდა სამუშაო მოეძებნა.

ალ. აბაშელმა თავისი ბავშვობის წლების უტყუარი სურათი დახატა 1925 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც ჰქვია „მეოცნების დღიური". პოეტი ასე იგონებს ბავშვობის მძიმე წლებს:

ვიყავი ბავშვი უნათესაო,
ვცხოვრობდი სოფლად, მქონდა გრძნობა მშვიდი, გლეხური.
მიყვარდა მუქი, მღვრიე აბაშა მე სათევზაოდ
და საბანაოდ — სუფთა ტეხური.
არ მყავდა მამა მოსარიდი და არც აღმზრდელი.
მარტოპერანგა. ფეხშიშველი და უდარდელი
დავრბოდი მინდვრად, სადაც ჩემებრ ნორჩ მწყემსებითა,
როგორც საკუთარ ყვავილებით ხარობდა ველი.
უხვი ოცნება გმირს მატოლებდა,
მეპირა ხელში ძეწნის ტოტი ერთი მტკაველი
და ჯოხის ცხენი ზღაპრულ რაშით დამაქროლებდა.
მხიბლავდა პანგი, დარჩენილი ძველ ლექსებიდან
და ღრუბლის კოშკზე ანთებული ოქროს წვეთები.
ყაჩაღს მეძახდნენ ტოლ-ბავშვების ცელქ ქარავანში.
ფეხმარდ სირბილში წევარივით ვიყავ ნაგეში,
და ჩემს პატარა ამხანაგებში
არავინ იყო ჩემი დამწეები.
როცა ღელეში ჩადგებოდა ცეცხლის სვეტები,
ვხოცდი ბაყაყებს გამხმარ ბელტებით
და მიყრუებულ ეკლესიის ჩუმ გალავანში
წყალში ჩაღუნულ ბებერ ცაცხვის ხშირ ფესვებიდან
მე გამომყავდა მარჯვენა ხელით
ცოცხალი კიბო და ხან კი გველი, —
მოულოდნელად თავზარდამცემი.

17 წლის ალ. აბაშელი მიემგზავრება ფოთში. ზღვით გატაცებული ჭაბუკი ვადაწყვეტს გემის კაპიტანი გახდეს და ყოველ გამვლელ გემის კაპიტანს ეხვეწება, თან წაიყვანოს და მოამზადოს ამ საქმისათვის. ასეთი კაციც აღმოჩნდა, ვინმე პლეშჩენკო, რომელიც ქ. ხერსონში საზღვაო სკოლაში წაყვანას დაპირდა ზღვის მოტრფიალე ჭაბუკს. მან დიდი წვალებით შეაგროვა ათიოდე მანეთი ნაცნობ-მეგობრებში და თან გაჰყვა ამ კაცს. მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა. მისი მეცენატი გზაში გარდაიცვალა, მეოცნებე ჭაბუკი კი უკანვე დაბრუნეს. იგი იძულებული გახდა, კვლავ დაბრუნებოდა თავის მშობლიურ სოფელს. აქ დიდი წვალებით მოეწყო აბაშის ფოსტის განყოფილებაში. რამდენიმე

ხნის შემდეგ აქედან ის გადადის ბორჯომის ფოსტის კანტორაში (1903-4 წ.) ეს ის წლებია, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. მეფის რუსეთის დამარცხებას ამ ომში მალე მოჰყვა 1905 წლის მღელვარე დღეები. რევოლუციის ამბებით გატაცებული ახალგაზრდა ალ. აბაშელი მთელი თავისი მისწრაფებებით ჩაებმება რევოლუციონერთა რიგებში. 1904 წელს იგი შედის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. მუშაობს პროპაგანდისტად ფოთსა, ბათუმსა და სამეგრელოს რაიონებში. 1906 წელს დააპატიმრეს ნაოღალევში (გეგეჭკორის რაიონი) და მოათავსეს ქუთაისის ციხეში. მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალგაზრდა მებრძოლი 1906 წელს გადაასახლეს ჯერ ოლონიცისა და შემდეგ ვოლოგდის გუბერნიაში, აქედან 1908 წელს ასტრახანის გუბერნიაში გადმოიყვანეს. 1909 წელს იგი გაათავისუფლეს და დაბრუნდა თბილისში.

1909 წელს ალ. აბაშელი მუშაობას იწყებს გაზეთ „ზაკავკაზიეს" რედაქციაში. 1910 წელს „ნოვაია რეჩის" კორექტორად მუშაობს და ამავე გაზეთში აქვეყნებს ლექსებს. 1910 წელს „თეატრსა და ცხოვრებაში" დაიბეჭდა მისი პირველი ქართული ლექსი „შავი აჩრდილი". ის უკვე ხელს ჰკიდებს ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1913 წელს გამოდის ალ. აბაშელის ლექსების პირველი წიგნი, რომელმაც სახელი გაუთქვა ახალგაზრდა პოეტს. 1913 წელს ალ. აბაშელი მუშაობას იწყებს გაზეთ „თემში", შემდეგ კი გაზ. „დილას" თანამშრომელი ხდება. 1913—14 წლებში ლექციებს ისმენს შანიავსკის სახელობის მოსკოვის საქალაქო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით გაწვეულ იქნა არმიაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, მეფის თვითმპყრობელობის ტახტის დამსხვრევას ალ. აბაშელი აღფრთოვანებით მიესალმება, ხოლო საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების წლებში აქტიური მონაწილე ხდება იმ ლიტერატურული ჯგუფისა, რომელიც თავს იყრის ჟურნალ „ცისარტყელასა" და სხვა მენშევიკურ გამოცემებში. 1917—1918 წლებში მუშაობს აბასთუმნის სანატორიუმში, 1919 წელს მთავრობის სასახლეში, ხოლო 1920 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1923 წელს გამოდის ალ. აბაშელის მეორე წიგნი „ანთებული ხეივანი".

1921-22 წლებში მუშაობს ხელოვნების კომიტეტში, შემდეგ სახელმწიფო გამომცემლობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი აარსებს და რედაქტორობს ჟურნალ „ხომალდს“. განსაკუთრებულ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა იგი კლასიკოსების გამოცემის საქმეში. 1934 წელს ის მუშაობას იწყებს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში და მთელი თავისი ენერგიით ცდილობს, ხელი შეუწყოს ქართული მწერლობის რუსულ ენაზე თარგმნისა და პროპაგანდის საქმეს. 1926 წელს არჩეული იყო თბილისის ქალაქის საბჭოს დეპუტატად. ამავე წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ. 1934-37 წლებში იყო ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ერთერთი ხელმძღვანელი. 1951-54 წლებში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირში ლიტ. კონსულტატად. 1929 წელს გამოდის ალ. აბაშელის მესამე წიგნი „გაბზარული სარკე“. 1938 წელს ქვეყნდება ალ. აბაშელის მეოთხე წიგნი „მზე და სამშობლო“, 1942 წელს — „გმირული დღეები“; ლექსების უკანასკნელი წიგნი იყო „ოქროს საფეხურები“. ძირითადად ამ ექვს წიგნშია მოცემული ალ. აბაშელის შემოქმედებითი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრული სახე.

1944 წლის ოქტომბერში ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ალ. აბაშელის დაბადების 60 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავი. იგი დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ალ. აბაშელი გარდაიცვალა 1954 წლის 27 სექტემბერს.

*

ალ. აბაშელმა პირველ წიგნს — „მზის სიცილს“ მოკლე წინასიტყვაობა წარუმძღვარა. არსებითად ამ ნახევარგვერდიან წინასიტყვაობაში მოცემულია მისი პოეტური კრედო. პოეტი გვიხატავს სულშემხუთავი რეაქციის შავბნელ სურათს.

იგი წერს: „მე ვხედავდი, როგორ ქრებოდნენ ცაზე ვარსკვლავნი.

ვხედავდი, როგორ იშლებოდა ღამის ფრთებით შესუდრულ ცის თაღზე შავი აჩრდილი სიკვდილისა.

შიშით მოცული დედამიწა პირს არიდებდა წყვდიადის სახეს და ნისლის მკრთალ ტალღებში ეხვეოდა.

ღამის სიჩუმე იპყრობდა სოფლის უიმედო ქვითინს და ფრთადა-

ნამულ ნიავის უსასოო ჩურჩულს ყურს უგდებდა ბნელში მთვლემაკი არე მიწისა“.

მაგრამ პოეტი მაინც არ კარგავს იმედს. მას ესმის შორეული რეკვა. „შორეული სიცილი ამომავალი მზისა“. მან დაინახა, რომ „ცისკიდურზე ღამის სამოსს ცეცხლი წაეკიდა“, და ამ იმედით შთაგონებული პოეტი მღერის, იგი ამბობს, „სუსტია ჩემი ხმაო“, მაგრამ დარწმუნებულია, მეგობრები, მკითხველები, ვისაც განუცდია საშინელება უძილო ღამისა, მიხვდებიან „მასში დაფარულ სულის ღალადს“. ასეთია ამ პოეტურ წინასიტყვაობაში გამოხატული მრწამსი ავტორისა. ვინც დაკვირვებით გადაიკითხავს ალ. აბაშელის პირველ წიგნს, იგი დაგვეთანხმება, რომ ეს წინასიტყვაობა ამ ლექსთა კრებულის პოეტური კრედოს დახასიათებაა.

ალ. აბაშელის „მზის სიცილი“ ორი მოწინააღმდეგე განწყობილების მთელი სისტემაა. ერთი მხრივ, მებრძოლი პოეტური ხმა, თავისუფლების გაძარჯვების რწმენა, ზოგჯერ, მართალია, აბსტრაქტულად გამოთქმული, აძლევს ამ წიგნს უფლებას, ითვლებოდეს იმდროინდელი რევოლუციური საქართველოს განწყობილების გამომხატველად, მეორე მხრივ, ამ წიგნში დიდი ადგილი უჭირავს მელანქოლიას, სევდას, მისტიკას, მუქი ფერებითა და საღებავებით დახატული დაცემულობის სულიერ განწყობილებას. მაგრამ, უნდა ვთქვათ, ამ სევდიან მოტივებს ყოველთვის სოციალური, საზოგადოებრივი საფუძველი აქვს, და ამით განსხვავდება სწორედ ალ. აბაშელის ამ წიგნში გამოხატული მელანქოლია სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლის მსგავსი მოტივებისაგან, მოტივებისა, რომელთა გავლენისაგან ალ. აბაშელი არ არის თავისუფალი.

წიგნი იხსნება პოეტის პირველი ლექსით „შავი აჩრდილი“. კაცთა სიავით გულმოკლული ბედით მომდურავი პოეტი მკითხველს უხსნის მიზეზს, თუ რატომ გადაუწყვეტია მას დაშორდეს დედამიწას, რომელიც სევდას ჰგვრის მას. პოეტი განმარტავს, რომ მას გულს უკლავს მშობლიური სოფლის ხვედრი, სამშობლოს ბედი. მისი სევდა — მიწიერი ცხოვრებით. სამშობლოს ბედით გამოწვეული სევდაა...

სოფელს ეძინა. არ ისმოდა ქვითინი მწარე,
ქვითინი მწარე, მიწის მკერდით ამონაკვნესი,
ნისლს დაებურა მშობლიური ობოლი მხარე.
ობოლი მხარე სისხლში ნაბან, ცრემლში ნალესი.

შავი აჩრდილი მოსვენებას უკარგავს პოეტს, „საუკუნე ჯაჭვის მჭედი“ გულს უკლავს, ძალას ართმევს ჭაბუკს. პოეტი ხედავს, რომ „გლოვამ მოიცვა სოფელი, ხანმოკლედ განაღიმები“, აქ პოეტი 1905 წლის რევოლუციის რომანტიკულ დღეებზე მიგვანიშნებს. ახლა კი პოეტი შიშით შეჰყურებს შავბნელ ეპოქას, რომელიც „შავი შიშის შრიალს შობდა“.

ალ. აბაშელი აცხადებს, რომ ამ უიმედობისა და სევდის, ამ წუხილისა და გოდების მიზეზი დროა — რეაქციის შავი ეპოქა. პოეტი დასტირის, შესჩივის სოფელს, რომელმაც დაკარგა მზე, მშვიდობა:

ლაჟვარდ სივრცემ მზე დაკარგა,
ცა დაობლდა სხივჩამქრალი,
ღრუბლით საფარ შავ ძაძაში
გაეხვია მთვარე მკრთალი,
უსიცოცხლოდ მთელემარ სოფელს
ჯოჯოხეთი ემუქრება, ცეცხლი ქრება.

პოეტს გულს უკლავს ადამიანების „საზარელი სულის კვნესა“. იგი ხედავს, რომ შავ ბურუსში ხელგაწვდილი ხიკვდილი დაცურავს სოფლად. ამ მდგომარეობაში მოხვედრილმა პოეტმა იცის, რომ გლოვის ჰანგი არ გამოდგება. ამიტომ აცხადებს იგი — ცეცხლის მგოსანს დაუძახეთო, რომ ქვეყანას მოევლინოს ბრძოლის სიტყვის მოკარნახედ, რომელსაც შეუძლია დაამსხვრიოს ბორკილები, თვითონ კი სულით ურწმუნო გამხდარა. იგი დაჯერებულია, რომ ლოცვას ვერ შეძლებს სული ურწმუნო, ეკვთა ქაოსით გარემოცული. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ პოეტს უკიდურესი სევდა იპყრობს.

განელო დრომ... ცხოვრებამ დამიხშო კარები.
განშორდი ქვეყანას, არვის ვეკარები.
რაც იყო, არ მჯერა, გამიქრა ყოველი,
მომავლის არა მწამს, აღარას მოველი.

ასეთ უკიდურეს უსასოებამდის მიდის პოეტი ხშირად, მაგრამ არასოდეს დაუკარგავს რწმენა საბოლოოდ.

ალ. აბაშელის ამ პერიოდის სულიერ განწყობილებათა პოეტური მრწამსი ყველაზე კარგად არის გამოხატული ლექსში „ორი სურათი“. პირველ სურათში პოეტი იძლევა რეაქციის შავბნელი ხანის დახასიათებას, „ღაბის ძანტიით შემოსულ სოფლის“ ცხოვრების სურათს:

ნიავის ფრთებით კაეშანი დაქრის ტყე-ველად,
სევდის ჰიმნები დასისინებს ყრუ არემარეს,
აქ სიკვდილია მიმალული სიჩუმის მცველად,
ბოროტი სული დახარხარებს უბედურ მხარეს.

ამ სევდიან სურათს ცვლის მეორე, უფრო ოპტიმისტური და მებრძოლი ხმა. პოეტი ხედავს, თუ როგორ იღვიძებს საოცნებო ბრძოლის იდეალით ქალაქი, „ქუჩა გუგუნებს, ქუჩა გმინავს, მაშვრალთ სავანე". სასტიკი ქარიშხლით აზვირთებული მშრომელები დარაზმულან ბოროტ სულთან შესაბრძოლებლად, „გრდემლის ზანზარში ხმალსა ჭედენ ამქუხრებულნი". პოეტი ოპტიმისტური განწყობილებით ამთავრებს სურათს:

კვნესა-ვაება, უბედობით გამოწვეული,
ერთვის განცხრომა-ფუფუნების კისკის-სიცილსა,
შურისძიების მძლე წყურვილი, მასში რეული,
ქმნის აკორდს ციურს, სიმთ აღერებს, სხივით ქსოვილსა.
და ამ აკორდში უცხო ჰიმნი ისმის ხმა-ტკბილი,
მასში გამოკრთის ამომავალ ვარსკვლავთ ციალი,
ეს ბრძოლის ხმაა, მომავლისა გამოძახილი,
მასში გაკივის საუკუნეთ ჩარხის ტრიალი.

ეს სტრიქონები მოგვაგონებენ ირ. ევდოშვილისა და ნოე ჩხიკვაძის ბებრძოლ ხმებს. ამგვარი გახწყობილებანი ამ პერიოდში ხშირად გვხვდება.

პოეტი ეტრფოდა სიცოცხლეს, უმღეროდა სიცოცხლის გაზაფხულს, უყვარდა „ძალა ვარსკვლავთ წარმომშვები", სწამდა, რომ „ცეცხლი არის მხოლოდ ერთი ოღვევის ძალა, ოისხვის ღმერთი". იგი შესტრფოდა მზეს, როგორც რევოლუციის, თავისუფლების სიმბოლოს. „პრომეთეს ამონაკვნესი ცეცხლი, სიცოცხლის უხვად მთესავი" ეჩვენებოდა პოეტს და ეძახდა მომავლისაკენ.

ჰიმნს ვუთხზავ ყოფადს გამარჯვებისას!
ციმციმებს ზეცა! ელვარებს ზეცა!
კვლავ მესმის ყღერა ციური ქნარის,
ვღაღადებ მეცა, ვღაღადებ მეცა,
იტაცებს ჩემს ჰანგს ხმა ნიავქარის.
(„თავისუფლება").

მეორეგან პოეტი მუზას ეუბნება: მიუხედავად იმისა, რომ მწუხრის ნისლმა დამიჩრდილა გზა მზისკენ მიმავალი, მაინც:

მსურს ქარიშხლის მახარობლად მოვევლინო ჩემს ქვეყანას
და ავხადო შავი ფარდა ბრძოლის მწარე გამოცანას...
რომ ზღვის ღელვით გადმოსროლილთ დაუამდეთ გული წყლული,
კვლავ აფეთქდეს რწმენის ცეცხლით განთიადის სიყვარული...
მე მოვძებნი ჩემს რკინის ხმალს, ბრძოლის ველზე მივიწყებულს,
რომ მტრის ლაშქარს შევეგებო ბოროტების დასამხობად,
დასამხობად!.. დასამხობად!..

ლექსში „ჩემს მუზას“ ალ. აბაშელი მებრძოლ განწყობილებას გამოხატავს:

შვილი მიწისა ვრეკავ ცის ზარსა,
იმედს ვუღვივებ ჭირში მყოფელსა.

მაგრამ, როგორც ვთქვით, პოეტი არ იყო თანმიმდევარი ამ მებრძოლი განწყობილების გამოხატვაში. მას ხშირად საწინააღმდეგო აზრი, უსასოება და სევდა იპყრობდა და იგი არანაკლები სიყვარულით უმღეროდა ამ მოტივებს; ალ. აბაშელს მკვეთრად აქვს მოცემული ამ პერიოდის თავისი შეხედულების მერყეები. იდეური პოზიციის კრიტიკა. პოეტი საყვედურით მიმართავს ზეცაში მოხეტიალე მუზას, რად დასტოვეო მიწა:

აქ რას ეძებ, ცის წიაღში, ვარსკვლავთ შორის მიწის შვილი,
რად დასტოვე დედამიწა, ბრძოლის ველად გადაშლილი,
რად გაექეც მიწის კვნესას, მიწის ნაღველს დაგუბებულს?
ტანჯვის ცრემლის ოკეანეს და სისხლის ღვრას აზვირთებულს?

და დაჟინებით მოითხოვს, გაეცანი მიწის სევდას, მიწას დაუბრუნდიო. მიწისკენ დაბრუნების იდეალი პოეტმა გამოხატა მეორე ლექსშიაც, რომელსაც ეწოდება „სევდის ჰანგი“. იგი პირდაპირ აცხადებს:

მაგრამ ბოლოს ცის სივრცეში ვერ გავუძელ მარტოობას,
სულს მოსწყინდა ცაში ფრენა, ისევ ავყევ მიწის გრძნობას,
მომაგონდა ცრემლის გუბე, მომაგონდა მონის ხუნდი,
და ცხოვრებით გულნატკენი ისევ მიწას დავუბრუნდი.

რად ებოდიშებოდა ალ. აბაშელი ასე მკითხველს? რით იყო გამოწვეული ეს ახსნა-განმარტება? საქმე ისაა, რომ ალ. აბაშელი ამ პირველ წიგნში უმთავრესად მზის კულტით გატაცებული პოეტი იყო. პოეტი უკვდავების იდეას, მარადიულობის იდეას ეძებდა და ამგვარ რამეს მზეში, ზეცაში პოულობდა. მიწისა და ზეცის ეს დაპირდაპირების გზა

ახალი არ იყო. ზეცაში ხეტიალის სურვილი და იქ მარადიული უკვდავების ძიება სიმბოლისტების დასაყრდენ მოტივს წარმოადგენდა.

ალ. აბაშელის გატაცება მზის კულტით, მიწისაგან დაცილების განუზომელი სურვილი, ერთი მხრივ, სიმბოლისტების სკოლის პრაქტიკას უკავშირდებოდა, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ალ. აბაშელი ამ მხრივ არ ყოფილა ისე თანმიმდევარი, როგორც, კერძოდ, რუსი სიმბოლისტი ბალმონტი იყო. ჩვენი აზრით, ალ. აბაშელის გატაცებას მზის მოტივით უფრო მეტად სოციალური ახსნა ჰქონდა, მაგრამ მაინც ლექსის სისტემის მიხედვით, და იმითაც, რომ ის ათავსებდა რა ამ განწყობილებას აბსტრაქტულ, ზოგადსიმბოლისტურ ჩარჩოში, ამით უთუოდ თავისებურად ხარკს უხდიდა სიმბოლიზმს, უფრო სწორად: ალ. აბაშელი მზის კულტის სიმბოლისტურ ზოგად აბსტრაქციას აწყვილებდა მზესთან, როგორც თავისუფლების, სოციალური განთავისუფლების სიმბოლოსთან. ეს იყო დემოკრატიული მოტივებისა და ირაციონალური სიმბოლისტური თეორიის თავისებური მორიგება. ამიტომაც ალ. აბაშელის შემოქმედებაში მზეს ზოგჯერ დაკარგული აქვს კონკრეტული სოციალური საფუძველი და ზოგადაბსტრაქტული მარადისობის სიმბოლოდაა ქცეული, ხან მზეს მხოლოდ სოციალური, კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მაგალითად, ერთ ლექსში პოეტი აცხადებს:

> მზე სატრფოა დედამიწის... მიწამ სული მზეში პოვა,
> უსრულებელ ნდომის შუქით მის მწველ სხივებს ჩაექსოვა,
> შეყრის წამის მონატრულმა ჩრდილთ სავანე ძირს დასტოვა,
> და სატრფოსკენ გაექანა, გაიძღოლა მნათობთ გროვა.

მეორეგან პოეტი მზეს მიმართავს, როგორც ისეთ ძალას, რომელმაც უნდა გააქროს დედამიწის შავი აჩრდილი.

> მსურს გავაქრო შენს წიაღში ცეცხლითა
> დედამიწის შავფრთიანი აჩრდილი.

ზოგან კიდევ მზე გამოხატულია, როგორც მარადიულობის იდეა. მზის წიაღში გრძნობს უკვდავების ძალას:

> ცეცხლის მორევში შევსრიალდი ხელებგაშლილი,
> მარადისობის ვიგრძენ ძალა და უკვდავება.

ამგვარ წინააღმდეგობაში მოქცეულ პოეტს მაინც ვერ აუხსნია, „რად ელვარებს მზე ზეცის წიაღში, სული მისი რად ისწრაფვის მაღლა

ცისკენ?“ მაგრამ პოეტი ზეცაში ვერ პოულობს მაინც იდეალს და უკმაყოფილოდ ისევ მიწას უბრუნდება. ჩვენი აზრით, არ არის მართალი ქართულ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, თითქოს ალ. აბაშელს მერყეობა და წინააღმდეგობა არ ახასიათებდეს და ის მონოლითური პესიმისტი იყოს. პირიქით, ალ. აბაშელისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა და მერყეობა. ამ გარემოებას თვითონ მიუთითა პოეტმა პირველი წიგნის ბოლო ლექსში:

ხან ცეცხლის ხმა ვარ, ხან — წყვდიადის, მუდამ ვიცვლები, —

აცხადებს პოეტი კატეგორიულად. ამიტომ მე ხან მწუხრის ჩრდილი მიტაცებს, ხან კიდევ განთიადის ცეცხლიო. ჩვენ უფლება არა გვაქვს პოეტის ამ განცხადებას არ დავუჯეროთ.

ასეთივე ორგვარი შეხედულება აქვს ალ. აბაშელს მოცემული ამ პირველ წიგნში უხვად წარმოდგენილი სოციალური მოტივის, რევოლუციური თემების გადაწყვეტაშიაც. პოეტი ხედავს, რომ ბოროტი სული დაძრწის ყველგან — სიკვდილი დაძრწის, სიცოცხლეს ცელავს. ამ მდგომარეობაში მაინც მას ცის კიდის ელვა იმედს უღვიძებს; „ელავს და ქრება და ისევ ბნელა, სხივს მივსდევ ფიქრით, დავეძებ მზესა, სიმართლეს ლტოლვილს მსურს დავეწიო“. და აბაშელი პოეტს მიმართავს:

გამაგრდი, გულო, მსურს გავაბნიო
მთით მონაბერი შავბნელი ნისლი.

რევოლუციის რწმენა, დაჩაგრულთა გამარჯვების იმედი უფრო ძლიერად გამოხატულია ლექსში — „აღდგომა“.

დეე, ბნელოდეს გარშემო, სვავნი, ყორანნი ყიოდნენ,
სერაბიმთ ნაცვლად ალქაჯნი სამოთხის ბჭეზე ჰკიოდნენ,
ცის თაღი, შავად მოსილი, მოვქარგოთ ვარსკვლავთ ვერცხლითა,
რწმენის ყვავილი გავფურჩქნოთ, გრძნობა ავანთოთ ცეცხლითა.

პოეტს სწამს, რომ მოვა დრო და ღამეს ჩასძირავს შუქურვარსკვლავის ციალი და ქებით მოიხსენიებს იმათ სახელს, ვინც თავი შესწირა თავისუფლებას, ვინც ჩვენთვის უმანკო სისხლი დაღვარა. მაგრამ არც აქ, რევოლუციურ მუშათა კლასთან დაკავშირებული მოტივების გამოხატვაშია თანმიმდევარი ალ. აბაშელი. მისი ცნობილი ლექსი „ჩაქრა დილა “სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს. პოეტი იგონებს თავი-

სუფლების დიად დღეს, 1905 წლის რევოლუციის დღეებს, თუ როგორ უყიოდნენ მაშინ საბრძოლველად დაუნდობელ ბედისწერას და, ამაყი ბრძოლით გამსჭვალულნი, მიილტვოდნენ ნათელი მზისაკენ. მაგრამ ქვესკნელი სამყაროდან უცებ ქარმა დაიქროლა და შავმა მტერმა დაჩრდილა შვების დილა, წუთიერად ანათრთოლი, ჩაქრა დილა, შვების დილა.

ეს პირველი წიგნი აბაშელს გვიხატავდა, როგორც იმ დროისათვის მოწინავე რეალისტ პოეტს. თვითონ პოეტს ეს წიგნი მიაჩნდა მისი რევოლუციური წარსულის ყველაზე უფრო ნათელ ფურცლებად.

ალ. აბაშელის მეორე წიგნი „ანთებული ხეივანი“ 1923 წელს გამოვიდა. ამ წიგნში ავტორმა უფრო გააღრმავა ის ანტირეალისტური, დეკადენტური მოტივები და თემები, რომლებმაც თავი იჩინეს პოეტის პირველ წიგნში. აბსტრაქტულობა, სევდა და მისტიკა ძლიერად გამოვლინდა წიგნში — „ანთებული ხეივანი“. მეორე წიგნი ნაბიჯია უკან სიმბოლისტურ-დეკადენტური მოტივებისაკენ. ამას თვითონ გრძნობდა პოეტი და ამიტომაც ამ წიგნის პირველ ლექსში ავტორმა გულწრფელად აღიარა: „მე „მზის სიცილი“ მაღალი თაროდან გადავიტანე დაკეტილ ყუთში“ და რომ ეს წიგნი არის ჩამქრალი ლექსების ცივი ნაცარი, ამიტომაც:

სჯობდა „ანთებულ ხეივნის“ ნაცვლად
მას დარქმეოდა „საფერფლე ურნა“.

ხსენებულ წიგნში დომინანტური უფლება აქვს მოპოვებული სევდასა და მისტიკას. საკმარისია დავასახელოთ ლექსების სათაურები, რომ ნათელი გახდეს წიგნის პესიმისტური კილო: „სული ეული“, „სულის შემოდგომა“, „სევდა“, „მირაჟი“, „ცისფერი ყვავილი“, „საღამო“ და მისთანანი. პოეტი პირდაპირ აცხადებს:

გაქრა ნისლივით ჟამი ყრმობისა,
აწ მომავლისგან აღარას ველი.
გულში მარხია ფერფლი გრძნობისა,
გაქრა ნისლივით ჟამი ყრმობისა,
ცად აღვავლინე სიტყვა გმობისა,
ვით ღაღადისი უკანასკნელი,
გაქრა ნისლივით ჟამი ყრმობისა
და მომავლისგან აღარას ველი.

მეორეგან პოეტი უფრო უკიდურეს დასკვნამდე მიდის. დამსხვრეული სული პოეტისა ასე ტირის:

სული ეული, უთვისტომო, კრული, წყეული,
ცა დაშვებული, ლანდად დაქრის მიუსაფარი.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლა (1921-25 წ.წ.) აღინიშნება მწვავე კლასობრივი წინააღმდეგობის გამოხატულებით. ისევე, როგორც, საერთოდ, არ წყდებოდა ჩვენში კლასობრივი ბრძოლა, ასევე არ წყდებოდა ბრძოლა ლიტერატურულ ფრონტზედაც. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში კვლავ განაგრძობდნენ ერთხანს არსებობას, ან ახლად იქმნებოდნენ ანტირეალისტური იდეების გამომხატველი ლიტერატურული დაჯგუფებანი. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭე მუშათა კლასისა და გლეხების ხელში იყო, რომ საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურა არსებობდა, — ეს ძირითადი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფაქტორი, — განსაზღვრავდა ამ პერიოდის ქართული კულტურის განვითარების გზას. და სწორედ ამიტომ ყოველივე მოწინავე ემხრობოდა სოციალიზმის გზას. ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებას განაპირობებდა საბჭოთა ლიტერატურის საერთო აღმავლობის გზა.

ანტირეალისტურ ლიტერატურულ სკოლებს შორის გამოირჩეოდა ე. წ. აკადემიური ჯგუფი. იგი წარმოადგენდა უკიდურეს მემარჯვენე ფრთას ჩვენს მწერლობაში. ამ ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ალ. აბაშელი.

ალ. აბაშელი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში აგრძელებს დეკადენტური მისტიკური თემებითა და განწყობილებებით მუშაობას პოეზიაში და, პირდაპირ უნდა ითქვას, იგი ამ პერიოდში აშკარა მებრძოლი დეკადენტური იდეებით საზრდოობს. ერთ-ერთ იმდროინდელ ლექსში პოეტი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას — თებერვლის გმირულ დღეებს — კრწანისის ველს ადარებს. ავტორი იგონებს ერეკლეს საქართველოს დამარცხების ტრაგიკულ დღეებს და სავსებით შლის საზღვარს ამ სრულიად სხვადასხვა ისტორიულ მოვლენათა შორის. წარსულის ავადმყოფური იდეალიზაცია და კონფლიქტი თანამედროვე ცხოვრებასთან დამახასიათებელია ალექსანდრე აბაშელის ამ პერიოდის ლექსებისათვის. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ალ. აბაშელის იდეური კავშირი მემარჯვენე აკადემიურ ჯგუფთან.

წარსულის განწყობილებანი ხშირად გვხვდება ალ. აბაშელის მაშინდელ ლექსებში. იგი უმღერის თამარის კოშკს, ძველ დიდებულ ივერს, შემდეგ იგონებს მენშევიკების დღეებს და ასკვნის: „დავკარგე ყველა საგანძური, თუ რამ მებადა, ვზივარ ცივ ქვაზე თავდახრილი, თვალმოხუჭული, რეკავს ეკვანი, სანეტარო მოგონებანი.“

1929 წელს გამოცემულ „გაბზარულ სარკეში“ აბაშელი არსებითად ამავე იდეების ტყვედ გვევლინება.

პროლეტარული პოეზიით გამოწვეული უკმაყოფილება გამოხატა პოეტმა ლექსში, რომელსაც ჰქვია, „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“. აქ იგი ამბობდა, რომ ახლა ყველაფერი ამაოა, რომ დაეცა ლოცვა და პოეზია, რომ ლექსს აღარ აქვს ძველი ბრწყინვალება, რომ არ ისმის ციდან ქუხილი ბარათაშვილის, მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა, რომ ახლა ქუხილი არ ისტამბება, ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან.

ანტირეალისტური ლიტერატურული ჯგუფები საქართველოში სოციალისტური მშენებლობის წარმატებასთან ერთად დაიშალა. ისეთ მგრძნობიარე ლირიკოსს, როგორც ალ. აბაშელი იყო, შეუძლებელია არ ეგრძნო სოციალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების ძალა და გულწრფელად არ მიეღო განახლებული და აღორძინებული საბჭოთა საქართველო. და მართლაც, ალ. აბაშელი ჯერ კიდევ „გაბზარულ სარკეში“ საყვედურით მიმართავს თავის თავს:

ცაში მზე დადის, შენს თვალებში რათა დგას ჩრდილი?
ჰაუ, ლაჩარო, საუკუნის არა ხარ შვილი,
როგორ ვერ ზიდე დროს სიმძიმე და სიმძაფრენი?
მოხსენი თვალებს სარკე ცივი და გაბზარული,
რომ დაინახო კლდე და ველი გადასაფრენი
და სთქვი სიმღერა ეპოქისთვის თანამგზავრული.

ეს ლექსი დაწერილია 1929 წელს და აქედან იწყება ალ. აბაშელის შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ბიოგრაფია, მისი ხელმეორედ სულიერი დაბადება. ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სწორედ ამ წიგნით — „გაბზარული სარკით“ — იწყება ალ. აბაშელის შემოქმედებაში უფრო კონკრეტული, საგნობრივი თემატიკით დაინტერესება. ყოფითი თემატიკა, ცხოვრების სურათები, კონკრეტული მოვლენები უკვე გაჩნდნენ ამ წიგნში. ამ მხრივ საინტერესოა ლექსები: „მაშის სიკვდილი“, „ბებიაჩემი“, „პაპაჩემი“, და სხვ.

ამ ლექსებში პოეტი იძლევა სოფლის ცხოვრების საინტერესო

ყოფითს სურათებს. წისქვილში წასული მამის ავადმყოფობისა და სიკვდილის ამბავი აღწერილია საინტერესო ყოფითი დეტალების ფონზე, აქ ყველაფერს მიწიერების სურნელება მოაფრქვია პოეტმა:

ორი დღე-ღამე ბრუნავს წისქვილი
და სიმინდს ღეჭავს ოთხი ყბა ქვისა,
ბაიასფერი სიმინდის ფქვილი
უხდება ტომრებს, ვით ოქრო ქისას.
შეაბამს ურემს ქედმორჩილ ხარებს,
დაუდებს ტომრებს, თითონ ზედ წვება,
იქნებ ავადმყოფს, სათბურით ღარიბს
ოფლი მოჰგვარონ ნაბდის ბეწვებმა.
არ გაწყდებიან აპეურები,
ტაბიკი მარჯვედ თუ გადარაზეს,
და ჭკვიან ხარებს მოჰყავთ ურემი
გადაუხვევლად ნაცნობ შარაზე.

ამ ყოფითს ლექსებში განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი „პაპა-ჩემი“. პოეტი გვიხატავს შესანიშნავ პორტრეტს ღმერთის წინააღმდეგ ამბოხებული გლეხისას. მოხუცს შვილი უკვდება. პაპამ შესთხოვა ხატს: რიგი ჩემია, მე მოვხუცდი, შვილი კი ახალგაზრდაა და მზე სწყურია, ამიტომ მე მომკალიო ავადმყოფი შვილის სანაცვლოდ. ღმერთმა არ უსმინა:

თავის გაწირვა იყო მისთვის ეს შეჰიდება,
დიდია მსხვერპლი, საუკუნოდ ტანჯვას თუ ელი,
მუდამ მამხნევებს მე ამ ბრძოლის მკაცრი დიდება:
მორწმუნე გლეხის ვაჟკაცური ღმერთთან დუელი.

და ასე, მორწმუნე გლეხმა უარი თქვა, სიკვდილის წინ ზიარება მიეღო, ელოცა იმ ღმერთის სადიდებლად, რომელმაც მისი თხოვნა არ შეისმინა.

ამ ლექსებზე ჩვენ იმიტომ შევჩერდით, რომ ისინი უმთავრესად საინტერესო არიან, როგორც ალ. აბაშელის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი მოტივების გამოხატულება. როგორც ვთქვით, ალ. აბაშელისათვის დამახასიათებელი იყო აბსტრაქტული, განყენებული თემები, რომლებიც შემდეგ ერთგვარი მებრძოლი დეკადენტური იდეებით შეიცვალა. ეს ახალი ლექსები კი დაბრუნება იყო კონკრეტული, ყოფითი თემატიკისაკენ, რომლებიც აახლოებდა მწერალს ცხოვრების სინამდვილესთან და ახალ შინაარსს აძლევდა მის პოეზიას. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, მესამე წიგნში (1929 წ.) ჯერ კიდევ სუსტად

ჰოისმოდა საბჭოთა პოეტის ხმა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ალ. აბაშელი „რაპპელების“ მიერ „გაუსწორებელ რეაქციონერ“ პოეტად იყო გამოცხადებული და მას თავგამოდებით ებრძოდნენ. სწორედ ამგვარ შემარცხენეებს გულისხმობდა ალ. აბაშელი, როდესაც ამბობდა:

მზეს რად ეტანებიო, — ამ საყვედურს ვიცნობდი.
ახლა კი დამცინიან: ჭაობში რად გდიხარო.
ნაგრიგალევ ხესავით როგორ წამოვიხარო,
თორემ კალამს უღონოს ხრამში გადავისროდი.
საწყენია უთუოდ და თან გასაკვირველი:
მოწინავე არ ხარო, მტუქსავენ და მარცხვენენ.

სოციალისტური მშენებლობის დიდმა წარმატებებმა, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ისტორიულმა პროცესებმა თავისი გავლენა მოახდინეს ალ. აბაშელის პოეზიაზე. პოეტი თანდათანობით ჩაქოსცილდა თავის ძველ გზას და მოწინავე საბჭოთა მწერლობის პლატფორმას მიაშურა. ეს შემოქმედებითი გარდაქმნა 30-იან წლებში დაიწყო. პირველი პოეტური ნაწარმოები, რომლითაც ალ. აბაშელი საბჭოთა პოეზიის ფართო შარაგზაზე გამოვიდა, არის ცნობილი ლექსი „ფოლადაური“. ამ ლექსით იწყება აბაშელის ახალი, მეოთხე წიგნი „მზე და სამშობლო“.

ამ პოეტური ქმნილებით ალ. აბაშელი შესანიშნავად ხატავს განახლებულ სოციალისტურ ეპოქას, სოციალისტური მშენებლობის იმ დიდ წარმატებას, რომელსაც ადგილი აქვს ყველგან ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, ჩამორჩენილ და მიუვალ განაპირა მხარეებში. ალ. აბაშელმა საგანგებოდ აირჩია ვაჟა ფშაველას პოეტური სამყარო, მთა, რომ ამის მაგალითზე ეჩვენებინა, თუ როგორ შეიცვალა ძველი ცხოვრება. პოეტი ბუნების გამოღვიძებას ადარებს მთაში მომხდარ დიდ სოციალისტურ გარდაქმნას:

დილა გადმოდგა გორაზე ქარვისფერ სამოსელითა,
კალთა სავსე აქვს ლალითა, მიწაზე დასაღვრელითა.
გადაიფარჩა მთა-ბარი ოქროს ძაფების ქსელითა,
ტყემ გადივარცხნა ქოჩორი სხივების სავარცხელითა.

პოეტი უმღერის ნისლების გაფანტვას, ცაში უეცრად გამოჩენილ ელვას, ზაფხულს, მოსილს მწვანით, და აღფრთოვანებით ამბობს:

თქვენმა უშრეტმა სინათლემ გონება გამიხალისა,
მახარებს ფერისცვალება თქვენის დევურის ძალისა,
თქვენს ძველ კერაზე ტრიალი ახალ ცხოვრების ძალისა,
მხნეობა დაუცხრომელი თქვენი ვაჟის და ქალისა,
წარსულის შარავანდედი, შუქი მზიანი ხვალისა.

პოეტმა იცის, რომ ახალ დროს ვერ გამოადგება მამაპაპეული ისარი, ახალ ბახტრიონს ახალი წესით უნდა აშენება, პოეტის ეს ოპტიმისტური განწყობილებანი, ჩვენი ქვეყნის განახლებით და დიდი მშენებლობით გამოწვეული, სავსებით ბუნებრივად დაკავშირებულია სტალინის სახელთან. პოეტი აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის სტალინს.

ამ ლექსებს მოჰყვა ახალი ნაწარმოებები, რომლებშიაც მოცემულია სოციალისტური მშენებლობის ფართო მხატვრული სურათები. ალ. აბაშელის "შეჭოქმედებაში ნათელი გამოხატულება პოვა ჩვენი ეპოქის იმ დიდმა ისტორიულმა ცხოვრებამ, რომელიც ხუთწლედების გმირულ დღეებს უკავშირდება. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ლექსი „ოქროს საწმისი". აქ ალ. აბაშელი კონტრასტული სურათებით გვაძლევს ჩვენი ხალხის შავბნელ წარსულს. „ოქროს საწმისის" ლეგენდა წარმოიშვა მაშინ, როდესაც „ბნელი იყო ცხოვრება და ბრწყინვალე ზღაპარი, როცა ფოთლის კარავში კაცი ეგდო მჩვარივით დალახული შრომითა, შრომა იყო ამაო, გარჯა იღუპებოდა", მაგრამ მოვიდა ახალი დრო. ამ ახალმა დრომ ფერი უცვალა, სახე შეუცვალა ჩვენს ქვეყანას. კოლხიდის ვრცელი ჭაობი ბაღნარად აქცია, და პოეტიც აღტაცებით უმღერის ამ განახლებულ ცხოვრებას.

ვხედავთ, ბოლო ეღება ავადობის მორიელს,
შრომა ბარაქიანი ჯანსაღ სხეულს აკაჟებს.
უემური და ციება წყალს თან გაჰყვა შმორიანს,
ნაღვლიანი სიმღერა თან მიჰყვება ლაქაშებს.
ათასწლოვან მტრის მიმართ ბრძოლა რომ არ შენელდეს,
გულში ცეცხლის ამგზნები ისმის ხმა მეთაურის.

სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული თემებია გამოხატული აბაშელის ცნობილ ლექსებში — „კოლხიდის კოლმეურნეს", „დილა სოფლად" და სხვ. აქ პოეტი ადიდებს საკოლმეურნეო ცხოვრების ძარღვმაგარ გლეხებს, რომლებიც ქმნიან და აშენებენ ახალ ცხოვრებას. პოეტს კარგად ახსოვს ძველი ნაღვლიანი სიმღერა მთაკორტოხზე და-

დგმული ფაცხის პატრონისა. ახლა კი გლეხი, ახალი ცხოვრების მშენებელი, ხარობს თავისი შრომის ნაყოფით და, როცა იგი, შრომით დაღლილი, ეზოში შევა, ესაუბრება მწვანე ნარინჯებს:

უახლოვდები ცისფერ კარიბჭეს,
შეხვალ ეზოში, უკვე ბინდია.
შენი ხელებით დარგულ ნარინჯებს
ესაუბრები, როგორც მინდია.

ალ. აბაშელის შემოქმედებაში განსაკუთრებით ძლიერადაა წარმოდგენილი საბჭოთა პატრიოტიზმის თემა. თუ ერთ დროს ვიწრო ეროვნული იდეები კვებავდა პოეტის შემოქმედებას, ახალა იგი ნამდვილი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით მეტყველებს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „სამშობლოსადმი". პოეტი იგონებს საქართველოს ისტორიულ წარსულს, მის დიდ ისტორიულ განსაცდელს:

შენი ხომალდის თეთრი აფრები
საუკუნეთა გლიჯეს ქარებმა,
გრიგალს ებრძოდი გულგამძაფრებით,
ელოდი ზეცის გამოდარებას.

და აი, ეს იმედიც გამართლდა:

გსურდა ჰაერზე ამოგეყვანა
დილეულში ბეღოფი ადამიანი,
აწ გაიხარე, ჩემო ქვეყანავ,
დღე გაგითენდა მართლა მზიანი.
ასრულდა, მიზნად რაც დაისახე,
ახალ ცხოვრების მედროშე ხდები,
მიგაქროლებენ ახალ მზისაკენ
თვალანთებული არწივის ფრთები.

ასეთივე აღტაცებით უმღერა პოეტმა ახალ სოციალისტურ სამშობლოს ლექსში „სიმღერა სამშობლოზე".

ბრწყინავს, როგორც ნატვრის თვალი,
ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი,
მრავალ ჭირთა ნატვირთალი,
დღეს დოვლათით გულდამტკბარი.

ალ. აბაშელის ახალი ლექსები, რეალისტური, ნათელი, მზიანი, პოეტის გულწრფელი აზრისა და ფიქრის მამცნე, ჩვენი ხალხის

აზრსა და განწყობილებას გამოხატავდა. პოეტი გულწრფელად ამბობდა: „გასწით, ლექსებო, თქვენს ყოველ ხმაში მე ჩემი გულის სინათლეს ცხედავ“.

ალ. აბაშელის ნათელი რეალისტური პოეტური ხმა, აღორძინებული და თავისუფალი სამშობლოსათვის თავდადების იდეა ახალი ძალით ამეტყველდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში. ალ. აბაშელის მთელი შემოქმედება მებრძოლ-პატრიოტულმა აღტყინებამ მოიცვა. იგი თავისი მგზნებარე პოეზიით გვერდში ამოუდგა საბჭოთა ხალხს და რწმენით უმღერა ჩვენი ხალხის გამარჯვების საქმეს. მთელი მისი შემოქმედება ამ პერიოდში ერთი აზრითა და ფიქრით განიმსჭვალა:

ყალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა,
გადაივიწყე სხვა ყველაფერი.

ალ. აბაშელის ამ სიტყვებში მთელი ჩვენი მებრძოლი მწერლობის აზრი იყო გამოთქმული. ალ. აბაშელის პოეზია ომის მრისხანე დღეებში ჩვენს ხალხში აღვიძებდა პატრიოტული თავდადებისა და სამშობლოს დაცვის კეთილშობილურ იდეებს. ჩვენს სამშობლოზე გერმანიის ფაშისტური ურდოების თავდასხმის მეორე დღესვე საბრძოლო განგაშად გაისმა ალ. აბაშელის სიტყვები:

ცამ დაიქუხა გუშინ,
მეხიც გავარდა ბევრი,
დილა გათენდა ქუში
და ფეხზე დადგა ერი.
ცამ დაიქუხა გუშინ,
კარს მოგვადგაო მტერი.

მტრის სიძულვილის გრძნობით აღტკინებული პოეტი, იარაღასხმული, ჩვენს ხალხთან ერთად მედგრად იბრძოდა დედა სამშობლოს დასაცავად. პოეტი კატეგორიულად კითხულობდა:

განა იმისთვის მოვსპეთ
შავი ჯალათი ძველი,
განა იმისთვის ვმოსეთ
სინათლით მიწა ვრცელი,
რომ განთიადის მომსწრეთ
კვლავ დაგვფენოდა ბნელი.

ალ. აბაშელის შემოქმედება ფრიად ნაყოფიერი იყო ომის წლებში. იგი მებრძოლი პოეტის, პატრიოტი პოეტის მგზნებარებით იბრძოდა და აღაგზნებდა ჩვენს ხალხს თავისუფლების დიადი გრძნობით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ალ. აბაშელის ლექსი „არ მოუშვა, დაჰკარი". კავკასიის კარიბჭესთან მომდგარი გერმანელი ურდოების წინააღმდეგ მრისხანედ გაისმა ალ. აბაშელის მებრძოლი ხმა:

ხედავ მტერი რას ჩადის,
როგორ მოგიახლოვდა,
შენს მიწაზეც დაეცა
ჩრდილი შავი ფრთებისა,
შენი კერა აქ არის,
პაპაც აქვე სახლობდა.
დღეს შენა ხარ დარაჯი
ამ დალოცვილ მთებისა...
მტერი მოდის, კისერზე
რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი,
არ მოუშვა, დაჰკარი!

ალ. აბაშელის ეს სტრიქონები 1942 წლის მრისხანე დღეებში იწერებოდა. როცა კავკასიის ჭაღარა მთებს ვერაგი მტერი მოადგა, ქართველმა ხალხმა დაიცვა თავისი სამშობლო, ვერაგი მტერი დამარცხებული იქნა. ამ ბრძოლაში ალ. აბაშელი გვერდში ედგა თავის ხალხს. იგი გულწრფელად წერდა:

მესმის მებრძოლი დღის მოწოდება,
ჭრიდეს კალამი, როგორც ხანჯალი.

ამ მოწოდებას მტკიცედ იცავდა პოეტი.

ალ. აბაშელი ძველი თაობის იმ სახელოვანი პოეტების რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც ახალ დროში, საბჭოთა ეპოქაში გულწრფელობითა და სიყვარულით ჩადგნენ მოწინავე საბჭოთა პოეტების რიგში და სახელოვნად უჭირავთ მოწინავე, მებრძოლი საბჭოთა პოეტის მაღალი დროშა. ამ სახელს იცავდა აბაშელი თავისი შესანიშნავი ლირიკული ლექსებით, რომელთა მთავარი ლირიკული გმირი საბჭოთა პატრიოტი ადამიანი იყო.

ომის დღეების მძიმე განსაცდელი ამიტომ მიიტანა ასე ახლოს გულთან უკვე ჭაღარა პოეტმა. ომის დღეების მღელვარება და შფოთია-

ნი ცხოვრება მეომარი საბჭოთა ხალხისა აისახა მის საბრძოლო ლექსებში.

ბიწა დაიწყებს ზანზარს
ულმობელ ცეცხლის ფრქვევით,
ძტერი დღეს ნახავს საზარს
ჩვენი ბიჯნების ქვევით.

და ჩვენმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის მიჯნების იქით გადარეკა კარზე მომხდური მტერი და საკუთარ ბუნაგში გაანადგურა. დამშვიდდა, დაწყნარდა ქვეყანა. გამარჯვებული ქვეყანა შეუდგა ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. ჩვენი ხალხის ცხოვრების ეს ახალი პერიოდი აისახა ლექსების წიგნში, რომელსაც პოეტმა უწოდა „ოქროს საფეხურები", პოეტი კვლავ თავის მოწოდებად აცხადებდა:

მენც ემსახურე მშვიდობის საქმეს,
ადიდე მადლი ჩვენი შრომისა,
რომ არ მიადგეს ვარდისფერ აკვნებს
გულშემზარავი ჩრდილი ომისა.

ალექსანდრე აბაშელმა რთული შემოქმედებითი გზა გაიარა, ამისდა მიუხედავად მისი ლექსების ინტონაცია ყოველთვის რეალისტური იყო, ნათელი, გამჭვირვალე, აზრობრივად თანმიმდევარი, ლოგიკური. მისი პოეტური საღებავებიც რეალიზმის პრინციპს ემორჩილებოდა. ალექსანდრე აბაშელი უფრო ინტელექტის პოეტი იყო, ვიდრე მგრძნობელობისა. გონებისმიერ ლექსებს არსად გაკრავდა სენტიმენტალობის ელერი. ზედმეტი პოეტური ზიზილპიპილოებიც უცხო იყო მისთვის. მის პოეტურ მანერას რეალიზმის მკაცრი პრინციპი განსაზღვრავდა. ამავე დროს ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი მხატვრული სახე აზრობრივად მკაცრად ჩამოყალიბებული, მკაცრ პოეტურ ფორმის ყალიბში ჩამოსხმული, დიდი შინაგანი აზრობრივი მთლიანობით იყო შეკრული. იგი სამოქალაქო ლირიკის ერთ-ერთი მეთაურია XX საუკუნის ქართულ მწერლობაში. ოღონდ მის მოქალაქეობრივ რევოლუციურ პათოსსა და ინტონაციას მუდამ მოძებნილი ჰქონდა ნიჭიერი პოეტური ფორმა. ამის საუკეთესო მაგალითია მისი ლექსი „უცნაური ამბავი". ეს ლექსი 1926 წელს გამოქვეყნდა. იგი პირველი დიდი ელექტროსადგურის — ავჭალის ამოქმედებას მიუძღვნა პოეტმა. მაგრამ ისეთი შესანიშნავი პოეტური საღებავები და ფერები მოძებნა, შე-

დარებები და ეპითეტები შეარჩია, რომ ეს ლექსი სამოქალაქო ლირიკის უჭკნობ ნიმუშად იქცა.

თბილისის ღამეს შიში სწვევია:
ამბავი მოაქვს მტკვარს უცნაური, —
ავჭალას ცეცხლი შემოხვევია,
ანთებულ რკინის ისმის ხმაური.
დაირღვა ძილი და მყუდროება,
მიეცა ღამე ერიამულს უჩვევს,
ნაძვის სვეტები თეთრ ურდოებად
შემოესია თბილისის ქუჩებს.

ეს ლექსი "შესანიშნავი მხატვრული აკორდით მთავრდება, რომელშიაც სიმბოლურად განზოგადებულია სინათლისა და სიბნელის ბრძოლა, სინათლის გამარჯვება ძველ სამყაროზე.

ვერას გახდება — ბევრიც იბრძოლოს,
და, რომ ინათებს დილა სისხამი,
წყვა და სადმე ქალაქის ბოლოს
თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე.

ალექსანდრე აბაშელი მთელი ნახევარი საუკუნე ემსახურა თავის ხალხს მხურვალე პოეტური გულით, ნათელი გონებით, წრფელი გრძნობით. XX საუკუნის რევოლუციური ალის აბრიალებაშიაც მიიღო მონაწილეობა. რევოლუციის გამარჯვებასაც გულწრფელად მიესალმა, თავის თვალით იხილა ჩვენი ხალხის გამარჯვება ისტორიაში არნახულ მძაფრ ომში და შემდეგ გამარჯვებულ საბჭოთა ხალხს მეორდში ამოუდგა, როგორც მისი საბრძოლო დღეების მემატიანე. უკვე ვალმოხდილი პოეტი თავის მეგობარს — თედო სახოკიას, გარდაცვალების წინა წელს, ასე მიმართავდა:

ჩვენ კიდევ ერთი კარიც შევაღოთ,
რომ დავინახოთ ახალი მთები,
ხვალინდელ დღესაც ხელი შევახოთ...

დიახაც, ეს შეეძლო ეთქვა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილს, საქართველოს სიყვარულში დაფერფლილ პოეტს, ჩვენი ქვეყნის დიდ პატრიოტს ალექსანდრე აბაშელს.

მიმრავი ქუჩიშვილი

არსებობს გ. ქუჩიშვილის ერთი ფოტოსურათი. ჩვენ ვხედავთ ფეხზე მდგარ პოეტს, რომელსაც შავი ხალათი აცვია, აბრეშუმისაგან დაგრეხილი ფოჩებიანი ქამარი შემოურტყამს და ბოხოხის ქუდი ახურავს. იგი გამხდარი და მწუხარეა და სადღაც შორს იყურება. ეს სურათი თქვენ გაგახსენებთ მ. გორკის ერთ ძველ სურათს, სადაც ასევე ფეხზე მდგარი ხმელხმელი და მაღალი ტანის კაცი, შავი ხალათითა და გარშემორტყმული ფოჩებიანი სარტყლით, შავი ფიქრებით შეპყრობილი სივრცეში იცქირება. თუ თქვენ ამ სურათებს გონების თვალით დააკვირდებით, უმალვე შეატყობთ უსაზღვრო სევდასა და მებრძოლ განწყობილებას, ფიქრთა ღრმა ნაკვალევს, მათს თვალებში რომ ჩამდგარა. ამ გარეგნულ ანალოგიაში ადვილად დაიჭერთ ყოფითსა და სულიერ კავშირს, რომელიც ამ ორ მწერალს შორის არსებობდა. მათ ერთმანეთის მსგავსად განიცადეს ძველი ცხოვრების მთელი საშინელება, დაუძმობილდნენ „ქუჩასა და ბრბოს“, ერთმანეთის მსგავსადვე აუჯანყდნენ ადამიანის დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ ძველ სამყაროს. ცხოვრებაში სრულიად უცნობნი, სულიერი ზრახვებით დაუკავშირდნენ ისინი ერთმანეთს, და თუ ანალოგიების გზას დავადგებით, ადვილად მოვძებნით იმ საერთო ძაფებს, რომლებიც მათ აკავშირებს ბიოგრაფიით, მრწამსითა და არჩეული გზით. ამ სულიერ მეგობრობას უფრო ცხადად ხედავთ და გრძნობთ გ. ქუჩიშვილის ერთ ლექსში, რომელიც მან მ. გორკის უძღვნა („მაქსიმ გორკის“).

გ. ქუჩიშვილი, თავის სულიერ მეგობარ და წინამორბედ იროდიონ ევდოშვილთან ერთად, ქართულ ლიტერატურაში აღებდა ახალ კარს, რომელიც რევოლუციური მუშათა კლასის გზასა და სახელს დაუკავშირდა. ქუჩიშვილი, იროდიონ ევდოშვილთან და ნოე ჩხიკვაძესთან ერთად, ამტკიცებდა და ამკვიდრებდა ქართულ ლიტერატურა-

ში სამოქალაქო ლირიკის იმ გზას, რომელიც გამოიწვრთო რევოლუციური მუშათა კლასის ბრძოლაში ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. გ. ქუჩიშვილი ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდის შავბნელ ეპოქაში გვერდში ამოუდგა თავის ხალხს, მებრძოლ მუშათა კლასს და აღაგზნებდა მას თავისუფლებისათვის ბრძოლის ჩაუქრობელი გრძნობით.

შენზე ძლიერ და მტკიცედ
არავინ მყვარებია,
შენი ჭირი და ლხინი
უბით მიტარებია.
როგორც სპარტაკის დედა —
გზრდიდი, გავაჟკაცებდი,
ხელში მახვილს გაძლევდი,
ბრძოლისკენ გიტაცებდი.
(„მუშათა კლასს").

*

გ. ქუჩიშვილი დაიბადა 1886 წლის 17 ოქტომბერს სოფელ მერეში (თელავის რაიონი). როგორც მამამისი აზნაური ანდუყაფარ ჩხეიძე, ისე დედა — სალომე ბაქრაძე ღარიბი წრიდან იყვნენ გამოსული. რვა წლამდე გიორგი სოფელში იზრდებოდა; წერა-კითხვა ბებიამ, პელაგია ბაქრაძისამ შეასწავლა. მანვე შეაყვარა პატარა გიორგის ქართული მწერლობა და ხალხური პოეზია. გიორგის ადრე გარდაეცვალა მამა, დედა იძულებული გახდა გიორგი თბილისში გამოებარებინა ერთ შორეულ ნათესავ უცხოელ ლოპატოსთან. აქ მეტად მძიმე პირობებში ჩავარდა გიორგი: ხელზე მოსამსახურედ გაიხადეს და, როდესაც სოფელში დაბრუნდა და დედამისს უამბო მისი ცხოვრების ეს სიდუხჭირე, ქვრივმა ბავშვი სახლშივე დატოვა. ისინი ერთხანს თელავში ცხოვრობდნენ, მაგრამ ოჯახმა აქ თავი ვერ გაიტანა და იძულებული გახდნენ თბილისში გადმოსახლებულიყვნენ. თბილისში ობოლმა გიორგიმ ბავშვობიდანვე იგრძნო სიღარიბისა და სიდუხჭირის მკაცრი სუსხი. იგი სამოქალაქო სასწავლებელშიც სწავლობს, მაგრამ ხელმოკლეობის გამო იძულებულია თავი დაანებოს სასწავლებელს. ერთხანს იგი სწავლობდა ბოტანიკურ ბაღთან არსებულ მებაღეობის სკოლაში, მერე მუ-

შაობდა მუკუზანში. აქედან იწყება მისი ცხოვრების მეტად მძიმე პერიოდი. გიორგი ათასგვარ დამამცირებელსა და დამტანჯველ ფიზიკურ მუშაობას ეწევა, ამის გამო პოეტი შენიშნავს: „ვინ მოსთვლის, სად არ ვიყავ შეგირდად (მოჯამაგირედ): მეწვრილმანესთან, ბაყალთან, მენახშირესთან, მენავთესთან, ღვინის სარდაფში (ბოთლებისა და კასრების მრეცხავად, სარაჯიშვილის არაყის ქარხანაში), ზეინკალთან, ოქრომჭედელთან და სხვ.“. გ. ქუჩიშვილს ბავშვობიდანვე ერგო წილად ის მძიმე ფიზიკური და დამამცირებელი შრომა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდის მუშის ხვედრი იყო.

1902-3 წლებში გ. ქუჩიშვილი უკავშირდება არალეგალურ მუშათა ორგანიზაციას, ხდება სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1907 წელს თავისი ძმის დ.თურდოსპირელის მიერ შაპიროგრაფზე დაბეჭდილ არალეგალურ ჟურნალში „ჩვენი დროშა“ იბეჭდება გ. ქუჩიშვილის პირველი რევოლუციური ხასიათის ლექსი. 1907 წელს ქუჩიშვილი მუშაობას იწყებს რედაქციებში ჯერ დარაჯად, შემდეგ გაზეთის დამტარებლად და, ბოლოს, კორექტორად. 1914 წელს რევოლუციური მუშაობისათვის იგი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს.

რეაქციის და მსოფლიო ომის წლებში გ. ქუჩიშვილი თავისი მებრძოლი რევოლუციური ლექსებით გამოდიოდა სალიტერატურო დილა-საღამოებზე მუშათა კლუბებში და აღაგზნებდა მშრომელ ხალხს რევოლუციის სულისკვეთებით. სცენა მისთვის იყო ერთგვარი ტრიბუნა, საიდანაც მედგრად გაისმოდა რევოლუციური ლექსები, „რასაც დაუსრულებელი ოვაციები მოსდევდა ბრძოლის ცეცხლით აღტყინებულ მუშათა აუდიტორიიდან“ და რაც შიშის ზარს სცემდა „იქ დამსწრე მთავრობის ოფიციალურ მოხელეებსა და საიდუმლო აგენტებს“.

გ. ქუჩიშვილი წერდა სხვა ფსევდონიმებითაც: გოგია უიშვილი, ქართველიშვილი.

გ. ქუჩიშვილი პროფესიონალი რევოლუციონერი პოეტია. მისი საყოფიერი მოღვაწეობა განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიშალა. რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი, ხალხის მომღერალი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას გულწრფელად მიესალმა და ძველი თაობის პოეტთა შორის ერთი პირველთაგანი დადგა საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე. პოეტი წერდა: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ჩემს

შემოქმედებაში ახალი, ჩემთვის მეტად ღირსშესანიშნავი იდეური და უფრო მაღალი პერიოდი".

გ. ქუჩიშვილი თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ქართველ ხალხს, რევოლუციურ მუშათა კლასს თავისი მომწოდებელი მებრძოლი ლექსებით. არ ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში არც ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელსაც იგი გულწრფელად არ გამოხმაურებოდა. 1946 წლის 25 ნოემბერს ლიტერატურულმა საქართველომ აღნიშნა პოეტის დაბადების 60 წლისა და სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. პოეტი ავადმყოფობის გამო საიუბილეო საღამოს ვერ დაესწრო. გ. ქუჩიშვილი გარდაიცვალა 1947 წლის 20 იანვარს. იგი დიდუბის პანთეონს მიაბარეს. მწერალთა სასახლეში და დიდუბეში სიტყვები წარმოთქვეს გ. ლეონიძემ, ა. ვასაძემ და სხვებმა. ხოლო მეგობარ პოეტს ლექსით მიმართა საქართველოს სახალხო პოეტმა გ. ტაბიძემ.

შენ გმირს უმღერდი ღამე და დღეცა, ვერ დაგვარწმუნებს გულცივი ზეცა,
რომ შევარდენი თავისუფლების აღარ არსებობს, მოკვდა, დაეცა...
ეხლა ჩვენს გულში რაც მორევია, ვერარა სიტყვა ვერ მორევია!
მშობლიურ არეს ჩანგებისგან სხივთა სიუხვე შემორევია!
მგოსნების გულში მზე არის მკვიდრი, პატიოსნება არსებობს ვიდრე
არ არის მკვდარი პოეტის გულში სხვა წარმატება და სხვა სიმდიდრე!
ხალხის გულისთქმის გამომსახველი, გამარჯვებაა შენი ძახილი.
გემშვიდობები ტოლი და სწორი: უკვდავ არს ქვეყნად შენი სახელი!

ჰო, რარიგად ეხმაურებოდა გალაკტიონის ეს ლექსი გიორგი ქუჩიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1933 წელს დაწერილი ლექსის „ჩემი ანდერძის" სტრიქონებს:

მჯერა ჩემს ცხედარს დაიტირებს გალაკტიონი, გვარად ტაბიძე და
ტიტულით „მეფე მგოსანი"...

*

გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედება შეიძლება ორ პერიოდად დაყოთ. პირველია რეაქციის, მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის წლები და მეორე — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხანა. ეს ორი პერიოდი გაერთიანებულია გიორგი ქუჩიშვილის რევოლუციური მებრძოლი ლექსებით.

გ. ქუჩიშვილი იყო პირველი მუშათა წრიდან გამოსული მუშა-პოეტი. მან საკუთარ თავზე განიცადა ის მძიმე ტვირთი, რაც მუშის ცხოვრებას თან ახლდა. ერთია საკუთარ თავზე განცდილი ცხოვრების გამოხატვა და მეორე — თვალით ნახულისა და გაგონილის აღწერა. გ. ქუჩიშვილის პოეზიის დიდი მებრძოლი პათოსი მუშათა კლასის ცხოვრებასთანაა ორგანულად დაკავშირებული. აქედან მოდის ის გულწრფელობა, რომლითაც გვხიბლავს მისი პოეზია. თუ არა ეს, სხვა მხრივ მას დიდად გაუჭირდებოდა ისეთ თამამად და თავამართულად შეეღო რუსთაველის ქვეყანაში პოეზიის დიდი კარი. ამაში უთუოდ მის ბიოგრაფიასაც გარკვეული როლი ეკუთვნის. რასაკვირველია. უმთავრესი მაინც იყო პოეტური ნაპერწკალი, რომელიც ასე უხვად ჰქონდა გ. ქუჩიშვილს ბუნებით მონიჭებული.

გ. ქუჩიშვილის ლექსების პირველი კრებულები 1914 წელს გამოვიდა. პოეტი მაშინვე სამართლიანად იქნა აღიარებული „ევდოშვილის ნამდვილ მემკვიდრედ და ნიჭიერ მემკვიდრედ". გ. ქუჩიშვილის ლექსების ამ კრებულებში თავმოყრილი იყო 1907 წლიდან დაწერილი ლექსები. ახალგაზრდა პოეტს კარგად ახსოვდა რევოლუციის მქუხარე წლები. ამ წლების მოგონება მასში აღძრავდა მომავლის რწმენასა და იმედს:

მახსოვს, იდგა გაზაფხული,
სურნელება ტრიალებდა.
ჩუხჩუხებდა ნაკადული,
შვების ცრემლი წკრიალებდა...
მახსოვს და ეს მოგონება
მსურს გადავცე დაჩაგრულებს,
რომ შთაბეჭდო კვლავ ის სული,
რწმენა — იმედდაკარგულებს.

პოეტი გულწრფელად ასრულებდა ამ დანაპირებს. მომავლის რწმენა და დიდი ოპტიმიზმი იყო ქუჩიშვილის რევოლუციური პათოსით ამღერებული სტრიქონების დამახასიათებელი თვისება. ამ რწმენით შეჰყურებდა იგი ხალხის მომავალს. პოეტი უკან არ იხევდა, წინ, მომავლისაკენ იცქირებოდა, მას გულწრფელად სწამდა ხალხის მომავალი, რევოლუციის გამარჯვების საქმე. რევოლუციის საქმისათვის მსხვერპლად შეწირული ადამიანების წინაშე იგი ფიცსა სდებდა, რომ არასოდეს არ უღალატებდა თავისუფლებისა და რევოლუციის საქმეს.

გ. ქუჩიშვილის შემოქმედებაში დომინანტური ადგილი მიკუთ-

ვნებული აქვს ამგვარი მებრძოლი განწყობილების გამომხატველ ლექსებს. სტოლიპინის რეაქციის შავბნელ ეპოქაში მძლავრად ეღერდა მისი ოპტიმისტური ხმა. პოეტი არა მარტო აღწერდა მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის, კაპიტალისტური ცხოვრების გერების შავბნელ ყოფას, დუხჭირ ცხოვრებას, არამედ შთააგონებდა, აღაგზნებდა მათ მებრძოლის გაუტეხელი სულით. ეს მებრძოლი პათოსი ქუჩიშვილის ლექსებისა მუშათა კლასის საერთო სიმტკიციდან გამომდინარეობდა. გ. ქუჩიშვილის მებრძოლ პათოსში რევოლუციური მუშათა კლასის მტკიცე ნებისყოფა მთელი სისრულით იყო გამოხატული:

ჩვენ არ გვიყვარს ოხვრა, კვნესა,
ჩვენ არ გვიყვარს მოთქმა, ცრემლი,
იმედებით ფეთქავს გული.
იმედებსვე სვედავს გრდემლი.
არ გამქრალა ხსნის იმედი,
არ გაქრება შრომის კერა,
კვლავ გუზგუზებს ცეცხლის კერა,
დოლის ხმაზე სვექს სიმღერა.

გ. ქუჩიშვილი იყო შრომისა და ბრძოლის პოეტი. მას სწამდა მშრომელი კაცის მომავალი. შრომასა და ბრძოლაში პოულობდა იგი ხალბის ბედნიერებას. ჩვენი პოეტი ხელოვნების დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ აღაგზნებდა მშრომელ ხალხს ბრძოლის წყურვილით, უნერგავდა მას მებრძოლ საზოგადოებრივ იდეალს, ერის მგოსანი უნდა იყოს დაუცხრომელი მებრძოლი. ეს აზრი ასე გამოხატა პოეტმა:

მგოსანი უნდა იყოს ერისა,
მოძმეთა ცრემლით ცრემლებსა ღვრიდეს.
გუგუნი მისი სიმთა ეღერისა,
საგმირთაგმირო სიმღერას ქმნიდეს.
მშრომელი ქვეყნის ბოლმით, ვალამით,
იტანჯებოდეს და ბობოქრობდეს,
ხალხს წინ უძღოდეს რწმენის ალამით,
მის სასიცოცხლოდ სიკვდილს ნატრობდეს.

გ. ქუჩიშვილი მთელი თავისი პოეტური გზნებითა და გულწრფელობით ემსახურებოდა აქ გამოხატულ მებრძოლ პრინციპს. იგი „მედგარი სულით, ანთებული ჩირაღდნით ხელში“ უმღეროდა მომავლის ძალებს, არაფერს ზოგავდა იმისათვის, „ოღონდ ქვეყანას გაუთენდეს

მზის სინათლეში“. ამ განწყობილების წყარო იყო რევოლუციური მუშათა კლასი, რომელშიაც ტრიალებდა იგი და პოულობდა სულიერ საზრდოს, შთაგონებასა და რწმენას. ქუჩიშვილი კარგად ხედავდა რევოლუციური პროლეტარიატის მაღალ მოწოდებას ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს მაღალი მოწოდება შეგნებული აქვთ მუშებს და ამიტომაც ამაყად დადიან მიწაზე, ამიტომაც არ ჰგვანან გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის საბრალო მუშებს. ეს ახალი დროის, მეოცე საუკუნის, მებრძოლი მუშათა კლასია, შეუდრეკელი, გაუტეხელი და ამაყი. აი როგორ ხატავს ამგვარ მუშას პოეტი:

ნუ, ნუ მიბრალებ. ნუ გგონივარ მონა-მორჩილი,
მონა საბრალო ცრემლის მღვრელი, სუსტი, უღონო,
მე მუშა მქვია, მუშა ურჩი, ზიზღით აღვსილი,
და მსურს სიტყვა ვთქვა, გესმის, სიტყვა საგასაგონო.

ამ ურჩ მებრძოლ მუშათა კლასს დაუკავშირდა გ. ქუჩიშვილის ოპტიმისტური მებრძოლი ლირიკული ამღერება. გ. ქუჩიშვილი იყო ერთი იმ პოეტთაგანი, რომელიც საბრძოლო განწყობილებით ცოცხლობდა და მღეროდა რეაქციის შავბნელ დროში.

გ. ქუჩიშვილი ბოლომდე დარჩა ერთგული თავისი პირმშო მუშათა კლასისა. მას გულს უკლავდა მუშების უნუგეშო ყოფა და ინაწილებდა მათს ჭირს:

თვალს არ გაშორებ, შრომისა შვილნო,
გულს მიკლავს თქვენი ურვა, ჩიეილი,
ო, მესმის, მესმის, ჩემო კეთილნო,
თუ რამ აღგიძრათ სულის ტკივილი...
საპყრობილეში თუ ბრძოლის ველად
თქვენთან ვიქნები, ვით თქვენი შვილი,
თქვენ აგღიარეთ დედად, მშობელად,
და თქვენთანვე მსურს ყოფნა, სიკვდილი.

ასე განუყრელად დაუკავშირდა გ. ქუჩიშვილი მუშათა კლასს და გაჰყვა მის საბრძოლო გზას. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ქუჩიშვილის პოეტური ხმა ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში როდი იყო ყოველთვის მტკიცე, თანმიმდევარი და მთლიანი. რეაქციის შავბნელმა დრომ თავისი დაღი დაასვა გ. ქუჩიშვილის პოეზიასაც. როგორც ცნობილია, გამარჯვებული რეაქცია სდევნიდა ყოველივე მოწინავეს და რევოლუციურს, ცარიზმის რეპრესიებმა ჩაახშეს ყოველივე

პროგრესული, მოწინავე. რეაქციის შავბნელი ხანა განსაკუთრებით მწვავე ხასიათისა იყო მეფის რუსეთის განაპირა ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში, სადაც სოციალურ და პოლიტიკურ ჩაგვრას მძიმე უღლად ემატებოდა ეროვნული ჩაგვრა, სტოლიპინის რეჟიმის მთელი საშინელება მწვავედ იგემა ქართველმა ხალხმა; ცარიზმის რეპრესიებმა დაარბია რევოლუციური ძალები ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციური ძალები, ვინც სახრჩობელასა და კატორღას გადაურჩა, ციხეებში ჩაყარეს, შორეული ციმბირის გზას გაუყენეს. სევდა და უიმედობა შავ ბურუსად ჩამოაწვა საზოგადოებრივ აზრს. ასეთმა პოლიტიკურმა ატმოსფერომ განსაკუთრებული დეზორგანიზაცია შეიტანა წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაში, რომელიც რევოლუციის აღმავლობის წლებში მებრძოლ მუშათა კლასს თანაუგრძნობდა. ინტელიგენციის ეს ნაწილი იწყებს შეხედულებათა გადაფასებას, ზურგს შეაქცევს რევოლუციის ძალებს. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება პოვა ლიტერატურაში. მოდად იქცა რელიგიური მისტიციზმი, პორნოგრაფია, დაცემულობის, ეგოცენტრიზმის ანტისაზოგადოებრივი ტენდენციები და მოტივები. ყოველივე ამან ევროპული და რუსული სიმბოლიზმის გავლენისათვის პოხიერი ნიადაგი შექმნა ქართულ მწერლობაში. მწერლობის ერთმა ნაწილმა ზურგი შეაქცია საზოგადოების საკითხებს, მებრძოლ მოტივებს და თავი შეაფარა ახალი მოდის დეკადენტურ მწერლობას. დეკადენტურ-სიმბოლისტურ მიმართულებას მიემხრო ახალგაზრდა ქართული მწერლობის ერთი ნაწილიც. დაცემულობის, მისტიციზმის მოტივები მთელი სისრულით გამოიხატა ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. ეს განწყობილებანი შეეხო რევოლუციური მწერლობის იმ ახალ დასსაც, რომელიც 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში მებრძოლ პროლეტარიატს გვერდში ედგა ცარიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ არ იქნებოდა სამართლიანი, ამ ახალი დასის მწერლობის, რევოლუციური დემოკრატიული მწერლობის სევდიანი განწყობილებანი ამ პერიოდში აღორძინებული დეკადენტური სიმბოლისტური მისტიციზმისაგან არ გაგვერჩია. მესამე დასის მწერალთა სევდიანი და ხშირად მისტიკური განწყობილებაც გამოწვეულია რევოლუციური მუშათა კლასის დამარცხებით. მათ სევდას სოციალური, საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. სიმბოლისტების სევდას და მისტიკას კი საფუძვლად ედო გარკვეული „თეორიული შეხედულებანი“, ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა, რო-

გორც ზმანებისა, მოჩვენებისა და იდეალური სამყაროს, საიქიოს აღიარება მარადიული ხელოვნების საგნად. სიმბოლისტების მისტიკა ანტიხალხური, ანტისაზოგადოებრივი იყო. მასთან განსხვავებით, ირ. ევდოშვილის, ჭოლა ლომთათიძის, ნოე ჩხიკვაძის და გ. ქუჩიშვილის სევდიან განწყობილებას სოციალური, საზოგადოებრივი ახსნა ჰქონდა. პოეტის სევდას სამშობლოს მდგომარეობა იწვევდა:

უნუგეშობა გვემულ ქვეყნისა
საკაეშანო ფიქრებსა მგვრიდა,
არსით არ ჩანდ. ნიშანი ხსნისა,
სამშობლო ჩემი კრემლებსა ღვრიდა...
მეც მასთან ერთად მიმქრალდღიანი
ცრემლით ვივსებდი უძილო თვალებს.

რეაქციის წლების სახალხო უბედურება უკლავდა პოეტს გულს და მისი ჩანგიც მწარედ დასტიროდა უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ მშრომელთა ბედს. ეს ასეა, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ რეაქციის წლებში გ. ქუჩიშვილის ლექსებშიც მძლავრად შეიჭრა სევდიანი და ცრემლიანი სტრიქონები. ამ განწყობილებათა დამახასიათებელია ლექსი „საფლავზე“, რომელიც 1909 წელსაა დაწერილი. პოეტი წერს:

სიმებს ჩამოვკარ ხელი მთრთოლვარე,
ნაღვლიან ჰანგით ავახმაურე,
ირგვლივ მოვდევი ხმა მგლოვიარე,
და ცრემლთ ნაკადი მდელოს ვაფრქვიე.
დამიჭკნა გული. მომიკვდა რწმენა...
მიყუჩდა გრძნობა. გაქრა ღიმილი,
არ მსურს სიცოცხლე შხამგესლიანი,
და მსურს სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი.

ამგვარად, რეაქციის ეპოქამ თავისი დაღი დაასვა გ. ქუჩიშვილის მებრძოლ განწყობილებას, იგი თავისებურად სევდისა და უიმედობის ბურუსში გაახვია. ეს გარემოება 1914 წელს გამოცემული ლექსების პირველი წიგნის წინასიტყვაობაში სწორადაა შენიშნული: „ქუჩიშვილის შემოქმედება იანუსისავით ორსახიანია. ერთი სახე აწმყოსაგან გამოწვეული, მწუხარების გამომხატველია, მეორე — მყოობადის იმედით აღფრთოვანებული, ენთუზიასტი“. ეს ასეა. სამართლიანობა მოითხოვს საზგასმით აღინიშნოს, რომ ცარიზმის, რეაქციის შავბნელმა ძალებმა ვერ მოახერხეს ჩაეკლათ ქართულ ლიტერატურაში იმედისა

და გამარჯვების ხმები. ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენა თან ახლდა გ. ქუჩიშვილის პოეზიასაც.

რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის წლებში აღორძინებული დეკადენტური, სიმბოლისტური სკოლების წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვა მოწინავე მწერლებთან ერთად, გ. ქუჩიშვილმა სახელოვნად დაიცვა და მოიტანა ჩვენ დრომდე მებრძოლი პოეზიის ტრადიციები. ეს კი გ. ქუჩიშვილის ისეთი დამსახურებაა, რომელიც ჩვენს პოეტს მუდამ შეუნარჩუნებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში საპატიო ადგილს. გ. ქუჩიშვილის მებრძოლი ხმა რეაქციის შაებნელ დროში მქუხარედ გაისმოდა:

არა, არა ვარ ჩვეული
სიმხდალის ცრემლის დენასა.
რაც დღემდის მწამდა, იგი მწამს,
ვერვინ შემიცვლის რწმენასა.
დიდი ხანია, რაც ვიძმე
ხალხის ჭირი და ვაება.
ერთია ჩემი ნიზანი:
ვიხსნათ ტყვედქმნილი ღვთაება.

გ. ქუჩიშვილის ძირითადი თემა, სოციალური, პოლიტიკური ლირიკა რევოლუციურმა ხმებმა განსაზღვრეს. კაპიტალისტური ქალაქის ფონზე დახატა მან მებრძოლი ადამიანების სახეები, ეს შავხალათიანი მუშები, რომელთაც კისრად იდეს ხალხის მომავალი და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა აღმართეს. მისი უმთავრესი საგანი ქალაქი იყო, ქალაქი ქუჩით, რევოლუციებით, ბარიკადებითა და დროშებით; მას გულწრფელად უყვარდა ქუჩის ხალხი, რომელსაც განსაკუთრებული თანაგრძნობითა ხატავდა. ამ ხალხის ბედში ხედავდა პოეტი იმდროინდელი ცხოვრების ბოროტებასა და უკანონობას. კაპიტალისტური ცხოვრების ეს გერები ქუჩიშვილს თავის თანამოძმეებად მიაჩნდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქუჩიშვილი ლუმპენპროლეტარიატის პოეტი იყოს. გ. ქუჩიშვილს არსად აქვს გაიდეალებული ეს ქუჩის ხალხი. მან იცის, რომ ისინი გუშინდელი მუშები არიან, ეს ის ხალხია, რომელიც 1905 წლის რევოლუციურ ბარიკადებზე იდგა, მუშათა დემონსტრაციებსა და საფაბრიკო ბრძოლებში მონაწილეობდა. ეს გუშინდელი წარმოების მუშა დღეს კაპიტალისტური საზოგადოების მიერ გარიყულთა და ულუკმაპუროდ მიტოვებულთა არმიაა. მათი ბედი გულს უკლავდა პოეტს და მთელი სიყვარულით თანაუგრძნობდა

მათ. ქუჩიშვილმა თავისი საუკეთესო ლექსების დიდი ნაწილი ამ ხალხის ცხოვრების გამოხატვას უძღვნა. ლექსების ამ ციკლს ავტორმა „ქუჩის სიმღერები“ უწოდა და ასეთი განმარტება მისცა: „მათ, რომელთა გმინვა-გოდებასაც დაუხეთქია მარმარილოს ციცი კედლები, მათ, რომელთა მომსკდარ ცრემლთა ღვართქაფსაც აუყრია ქუჩის ქვაფენილები, მათ, რომელთა სიშიშვლესა და სიძვალტყავესაც დამფრთხალ ცახცახით შემოუვლია სიმდიდრით სავსე დიდი ქალაქი და რომელთა საზრდოც ყოფილა ნერწყვი, მათ, რომელთაც არ გააჩნია თავშესაფარი, რომელთა მოთქმა-ვაებასაც დაურღვევია მყუდროება მძინარე ღამის. საყვარელ ჩემს ერს, პროსტიტუტკებს, ქუჩის დობილებს და ყველა ლოთებს, სამიკიტნოს შეზრდილ ძმობილებს, უსინათლო მემუსიკეებს, რომლებიც დადიან ქუჩიდან ქუჩაში, ეზოდან ეზოში და სტირიან მათთვის დაკარგულ მზეს, ათასი სენით, ათაშანგით პირდაჭმულ ქუჩებს და ამ ქუჩებში მოწანწალე ჩემს დიდს ტკივილებს: ოხერს და ობოლ ქუჩის ბავშვებს, ქუჩის ყვავილებს, რომელთაც ადრე შესწყვეტიათ ზრუნვა-ალერსი და უპატრონოდ იხრჩვებიან გარყვნილებაში — ვუძღვნი ამ ლექსებს“. ეს განმარტება ზედმიწევნით ახასიათებს გ. ქუჩიშვილის ლექსების იმ ციკლს, რომელიც მან ქუჩის ხალხს მიუძღვნა. ქუჩის ხალხი ქუჩიშვილის ცხოვრების ბიოგრაფიაში მტკიცედ იყო შესული. იგი გულწრფელად ამბობდა:

> აქ აღვიზარდე, აქ გავატარე
> ჩემი ბავშვობა, ჩემი ობლობა,
> ცრემლიც და სისხლიც ბევრჯერ დავღვარე.
> ბევრჯერ ვიგემე დაცინვა, გმობა.
> დღესაც აქა ვარ. აქ. ამ ქუჩებში,
> ვწანწალებ, როგორც ელიაზარი,
> აქ დავეცემი და ოხერ მკვდრებში
> მოვა, მიტირებს მეძავი ქალი.

ასე წერდა გ. ქუჩიშვილი რეაქციის მძვინვარე წლებში. ასე თანაუგრძნობდა იგი თავის ბედში მონაწილე მუშათა კლასს და მის შვილებს, ქუჩის ბოგანოსა და უპატრონო მათხოვრებს. გ. ქუჩიშვილი ბავშვობიდანვე დაუკავშირდა ამ წრეს და ბოლომდე შემოინახა თავის სულში მათი სიყვარული. ქუჩიშვილს რომ ამ ადამიანების ბედში მუშათა კლასის ცხოვრება ჰქონდა წარმოდგენილი, ჩანს ლექსიდან, რომელსაც ჰქვია „ბრბო“:

ეს ქვეყანა ბრბომ უნდა იხსნას!
ადრე თუ გვიან თავი თავისი
მან უნდა იცნას.
მაშ, მოიშორეთ, უმადურნო,
ეგ ცრუ ბრალდება,
ნუ ისაკუთრებთ, ნურც დასცინით
მის ღვაწლს და შრომას.
თორემ გახსოვდეთ:
ეგ სიმაღლე, ეგ ზეკაცობა,
ძირს დაემხობა. ქვეშ მოყვება
ბრბოთა აღდგომას.

კაპიტალისტური ქალაქის, მუშათა წრის ცხოვრება გამოხატა პოეტმა მეტწილად პროზაშიაც. გ. ქუჩიშვილი, ირ. ევდოშვილისა და ჭოლა ლომთათიძის მსგავსად, მახვილ პოლიტიკურ მინიატურებს წერდა. მწერალი აქაც მშრომელი ხალხის ბედს დასტრიალებს. აქაც მისი მთავარი გმირები — მუშები, ქუჩის გერები, მშიერთა არმიაა. თუ გავიხსენებთ მანქანისაგან ხელებდაგლეჯილი მუშის სიკვდილის აღწერას („ხელები"), ან აგურის მზიდველი მუშის ბედს („აგურის მზიდველი"), ვნახავთ, რომ ეს ადამიანები აგებენ ქარხანას, აშენებენ სასახლეებს და მათ აქ წილი არ უდევთ, ისინი მძიმე შრომაში იღუპებიან, როგორც მსხვერპლი კაპიტალისტური ცხოვრების წესისა. ანდა მოვიგონოთ მაღაროს ჯურღმულში („მაღარო"), მაღაროს ნანგრევებში მოყოლილი „ლუკმაპურის მსხვერპლთა ათასხმიანი გმინვა, რომელიც სასაკლაოში ყელგამოღადრულ საქონლის უკანასკნელ ღმუილს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ადამიანების ხმებსა. მაღაროს პატრონი კი განმარტოებით იდგა და სინდისდამშვიდებული ზარალის ერთგვარად ანაზღაურებაზე ოცნებობდა".

პროზაშიაც შეაქვს გ. ქუჩიშვილს სევდიანი კილო. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი მინიატურები („მთვარე", „ღრუბელი", „სასაფლაო"). „ღრუბლებო, შენ გენაცვალე, ღრუბლებო, რა კარგი რამ ხარ, თეთრყირმიზავ, რა კარგი რამ ხარ, საით გიკლიათ, ღრუბლებო, საით, ვის დაეძებთ, დაკარგეთ ვინმე, ჰა, საწყალო, საწყალო, წადი... კეთილი იყოს შენი გზა". ეს ნიმუში ჩვენ მოვიტანეთ იმისათვის, რომ გვეჩვენებინა, თუ რა ძლიერი ოსტატის ხელი ატყვია ამ მინიატურებს. ასეთივე ოსტატობით არის დაწერილი ქუჩიშვილის პატარა მოთხრობები: „ია" და „მიწის წყარო".

როგორც ცნობილია, ე. წ. დემოკრატიულმა მწერლობამ, ევდოშვილის სკოლამ, ერთგვარად გაამარტივა ქართული ლექსი. ამ გზას ისინი შეგნებულად დაადგნენ. თავიანთი გამარტივებული ლექსიკითა და პოეტური საშუალებებით მათი პოეზია დაუახლოვდა მუშათა აუდიტორიას. ამ მიდრეკილებამ თავი იჩინა ქუჩიშვილის პოეზიაშიც.

გ. ქუჩიშვილმა ლექსის ინტონაცია, მთელი მისი მხატვრული ფაქტურა შეუფარდა მუშათა აუდიტორიას. ეს იყო ლექსის შეგნებული გაუბრალოება. ჩვენს პოეტს რომ შესწევს ლექსის მაღალი ოსტატობის უნარი, ეს ჩანს იმ ლექსებიდან, რომელთა თემაა არა მუშათა კლასი, არამედ ისეთი ზოგადი თემა, როგორიც არის სიყვარული ანდა ბუნება.

ესთეტ პარნასელებს, წმინდა ხელოვნების მოტრფიალე დეკადენტებს ქუჩიშვილმა დაუპირისპირა მუშათა პოეზია, სამოქალაქო ლირიკა, მშრომელი ადამიანის მებრძოლი იდეალები. მან მოძებნა სათანადო კილო და ინტონაცია, დაიმკვიდრა სატირიბუნო, მქუხარე ხმა და პუბლიცისტური პათოსი ლექსის. ქუჩიშვილის თემატიკაში მუშათა კლასის ცხოვრების გამოხატვას დიდი ბუნებრიობა და უშუალობა ახასიათებს. გავიხსენოთ:

> დაჰკა, დაჰკა გრდემლს ჩაქუჩი,
> დაჰკა, დააგრიალე,
> მძარცველი და შრომის ურჩი
> მოსპე, გაატიალე.

ან კიდევ:

> დასრიალებს შალაშინი ხან შრიალა, ხან კი ურჩი,
> ბურბუშელის სდგება ზვინი, ვით ყვითელი აბრეშუმი.
> შარიშურობს შალაშინი, რანდიც მღერის მის ტკბილ ხმაზე,
> შრომაშია ჩვენი ლხინი, მუსიკა და სილამაზე.

აქ თითქოს გვესმის შრომის რიტმი და ხმა. პოეტის ხმები ამ შრომის რიტმს გვაგონებენ. ეს მოთქმა კი არ არის, არამედ ქუხილია, რომელიც „აფეთქების ცეცხლს ბადებს“.

გ. ქუჩიშვილმა ლექსის ახალი ინტონაცია დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში, ახალ ხმაზე ააწყო ლექსების რიტმი. ესაა მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლი პოეტის სატირიბუნო ინტონაცია, პოეტური ტონი, რომელიც ბოლომდის შერჩა მის პოეზიას, როგორც დამახასიათებელი სტილისტური ნიშანი.

გ. ქუჩიშვილი ყველაზე უფრო თანმიმდევარი მებრძოლი პოეტი იყო ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მან თითქმის პირველსავე წლებში მიიღო საბჭოთა რევოლუცია. ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქუჩიშვილის პოეტურ შემოქმედებაზე. მისი პოეზია ახალი სასიცოცხლო ძალითა და აზრით განიმსჭვალა. აქაც ქუჩიშვილი თავისი პოეტური სტილითა და მებრძოლი ინტონაციით გამოირჩეოდა. 1922 წელს დაწერილ ლექსში იგი მკვეთრად ილაშქრებს „ესთეტი პოეტების“ წინააღმდეგ. პოეტი გულწრფელად აცხადებდა:

თქვენი მუზაა ნაზი ამური,
მის საამური
ჰიმნიც შეესმენით,
მე კი რეტ, ქარხნებს
მიკაკუარ ,,,,,
და მედიდური
ხმათა მოსმენით
შევქმენ ლექსები
მუსიკალური,
პროლეტარული,
განცდით და რწმენით.

გ. ქუჩიშვილი მთელი თავისი გულწრფელი პოეტური სიტყვით გვერდში ამოუდგა სოციალიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში იგი უმღეროდა მებრძოლ საბჭოთა მუშათა კლასს, ახალი ქვეყნის მშენებელ მშრომელ კოლმეურნე გლეხობას. 1927 წ. დაწერილ ლექსში — „შრომის ფრონტზე“ იგი აცხადებდა:

გრგვინავს ქარხანა უზარმაზარი,
ისმის რიალი ფოლადის ხმათა,
ნიადაგს ისე გააქვს ზანზარი,
თითქოს ძვრა იყოს ვულკანურ მთათა.
აქ ტემპებია ხალისიანი,
აქ ფერხულია და არა ჭაფა,
გუგუნებს სიმი ხმა ზარფიანი,
და საქმიანი სწრაფვაა, სწრაფვა.

ინდუსტრიალიზაციის თემას უძღვნა პოეტმა ლექსები — „ზაჰესი“, „26 კომუნარი“, „ფერომარგანეცი“. იგი გულწრფელად მიესალმა პირ-

ველ დიდ ინდუსტრიულ კერას ზაჰესს, როგორც „ოქტომბრით მოვლენილ დიდი ლენინის გენიის ნაყოფს“. ასევე გულწრფელად უმღერა გ. ქუჩიშვილმა საკოლმეურნეო სოფლის მშენებელ ადამიანების შრომას („კოლმეურნეობა“, „საბჭოთა სოფელი“ და სხვ.).

გ. ქუჩიშვილის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს პატრიოტულ თემატიკას. მან ერთგვარად გააგრძელა ქართული კლასიკური მწერლობის დიდი პატრიოტული ტრადიციები. ამ ტრადიციების ერთგული პოეტი ჯერ კიდევ 1914 წელს წერდა:

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.
ვინც მისწვდება ჩემი მთების
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადიქცევა,
მზესთან ისაუბრებს,
საარაკო სილამაზე,
ხალხი სასახელო,
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო.

მხურვალედ გამოხატა პოეტმა თავისი სიყვარული თავისუფალ საბჭოთა საქართველოს მიმართ:

ახალგაზრდა ჭაბუკის გულს,
ლაღად დაბადებულს,
გამარჯვებულს, ამაღლებულს,
შრომით აყვავებულს —
სალამს უძღვნი, სალამს მზიურს,
ზვარებს,
ბაღებს,
მდელოს,
შრომის სხივით განათებულ
წითელ საქართველოს.

საბჭოთა საქართველო გულით უყვარდა პოეტს და მზად იყო თავიც დაედო მისთვის: „სამშობლო ჩემო, შენს ლაჟვარდ სივრცეს, შენს ზღვას, შენს ხმელეთს, ეგრე რომ გშვენის, არათუ მსხვერპლად მხოლოდ ჩანგს მივცემ, არამედ გულსაც, შენთვის რომ მიცემს“.

სამამულო ომის მძიმე წლებში, როდესაც სამშობლომ ყოველი პატ-

რიოტი საბჭოთა მოქალაქისაგან მოითხოვა საკუთარი მკერდით დაეცვა თავისი მამული, პოეტი გვერდში ამოუდგა ხალხს და, მიუხედავად ავადმყოფობისა, ფრონტზედაც დადიოდა და მებრძოლი ლექსებით შთააგონებდა სამშობლოსათვის თავდადებულ პატრიოტებს. იგი გულწრფელად აცხადებდა:

მტერს ზურგს ვინ აქცევს, ჯაბანის მეტი,
ვინ გაექცევა ჩვენს წმინდა ბრძოლას?
და მეც, მოლაშქრე თქვენი პოეტი,
დღეს მეც ხელთ ვიღებ პირმახვილ ფოლადს
და ბრძოლის ველზე თუ გავიგმირე —
პირზე ღიმილით დავკოცნი მიწას.

გ. ქუჩიშვილის, როგორც პოეტისა და პატრიოტის, აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან თავისი თვალით იხილა ჩვენი ქვეყნის გამარჯვება ვერაგ მტერზე. ამ გამარჯვებით აღფრთოვანებულმა პოეტმა ახალგაზრდული აღტაცებით უმღერა გამარჯვებულ საბჭოთა ხალხს:

რა დამღლის, რა დამაბერებს,
პანგთა საუნჯის მფლობელსა,
ხალხმა მშვა, ხალხი მამღერებს,
მარად გულგაუქრობელსა.
შენ ჩემო სიმხნის სიმღერავ,
სიყრმითვე ხალხის ტრფიალო,
საითაც იგი მიღელავს,
ჩანგიც იქ დავაგრიალო.
ჩანგი უმღერის დიდებას,
ვინც მტერი გაატიალა
და დროშა გამარჯვებისა
ბერლინში ააფრიალა.

ეს პოეტური აღტაცება, ეს გულმხურვალე სიყვარული თავისი მამულისადმი მუდამ თან ახლდა გ. ქუჩიშვილის პოეზიას. მას დაუბერებლად შემორჩა აღტაცება და სიყვარული თავისი ხალხისა, თავისი ქვეყნისა.

გ. ქუჩიშვილის პოეზია მუდამ დაუბერებლად იცოცხლებს ჩვენს ხალხთან ერთად, რადგან პოეტის მებრძოლი სტრიქონები გამთბარია ხალხის სიყვარულით.

სანდრო შანშიაშვილი

ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ამშვენებენ ისეთი ჭაღარა სახელები, რომელთა შემოქმედებითი ბიოგრაფია და შემოქმედების ეროვნული ძირები მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას უშუალოდ ებჯინება. ეს მწერლები ილიას, აკაკის, ვაჟას ფრთებქვეშ გაიზარდნენ და როდესაც ქართული მწერლობის ამ დიდმა არწივებმა ფრთები დაკეცეს, ისინი შესცვალეს, როგორც თაობათა გამგრძელებლებმა და მემკვიდრეებმა. ამ თაობის წარმომადგენლები მაშინ ჯერ კიდევ ფრთებგაუშლელი მართვები იყვნენ. ასე, რომ მათი ნამდვილი შემოქმედებითი დავაჟკაცება საბჭოთა ეპოქაში მოხდა, აქ გაშალეს მათ ნამდვილად შემოქმედებითი ფრთები, ისინი ჩვენი ეპოქის ღვიძლი შვილები არიან, მაგრამ შვილები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციას უკვე ფეხადგმულნი მოესწრნენ. ამ თაობათა რიცხვს ეკუთვნის მუხასავით ჯანმაგარი და დაუბერებელი ჩვენი სანდრო შანშიაშვილი.

1917 წელს უფრო ახალგაზრდა თაობის ერთი ყველაზე ნიჭიერი პოეტი ტიციან ტაბიძე წერდა ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“: „ეხლა ქართულ მწერლობას სამი დიდებული სამება ამშვენებს, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი და სანდრო შანშიაშვილი“. ტიციან ტაბიძე სავსებით სამართლიანად განასხვავებდა თითოეულ მათგანს, მათთვის დამახასიათებელი საკუთარი ინტონაციებით, სტილით, მდგომარეობითა და ოსტატობის ძალით, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ სამების ცნებით აერთებდა მათ და ეს არ იყო შემთხვევითი ფრაზა, უთუოდ ამ სამებაში სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია განსხვავებულიც იყო და თავისებურიც.

სანდრო შანშიაშვილი სოფლის ცხოვრების განუმეორებელი ფერმწერელია, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი, სოფლის ცხოვრებასთან უშუალოდ ზიარებული. ის კახელ გლეხივით ჯუგაანის ორღობეებისა

და ალაზნის ველის ღვიძლი შვილია. მის პოეტურ სტრიქონებში ნათლად ალიბეჭდა კახეთის, ამ დალოცვილი მიწის სურნელება, ჭიაურისა და ციხაანყურის ტყეების ჩუმი შრიალი, შრომისა და ბუნების სიკეთის ბარაქა. კახური ვენახების, ალაზნის ველის, გომბორისა და ჭიაურის მუხნარის სიდიადე პლასტიკური სურათებით გააცოცხლა სანდრო შანშიაშვილმა თავის ლექსებში:

არ აღგზნებია მას გული
ზექვეუნიური ალითა,
არც გამქვალულა წინაპრის
სიამაყით და ძალითა,
ვისაც კახეთი-სამოთხე —
ჯერ არ უნახავს თვალითა!
აღმოსავლეთით კავკასი,
ზეცამდის ამაღლებული,
მიდის და მისდევს გრეხილი,
ერთმანეთს მიჯგუფებული,
ზოგი კეკლუცად მზირალი
და ზოგიც ჩაფიქრებული!
მაღლა ღრუბელი მოშავო,
ძირს — ნისლი მიმქრალებული,
ნაპრალთა შორის მდინარე
მოქუხს და მოეჩქარება...
გამოიდარებს, — მზის სხივი
სველს მინდორს მოეფინება.
ნამი ციალებს მტევნებზე,
პატარძალს მოელხინება.
სჩანს ცისარტყელა ფერადი,
ღრუბლიანს, მაღალს მთაზედა,
ქალნი მიდიან წყაროზე,
სურა უდგიათ მხარზედა...
ღამე ურმული მოისმის
ორღობის შარა-გზაზედა...
კეკლუცნი იკაზმებიან,
გამოვლენ, კარზე დგებიან;
გამვლელ მაყრიონს ხელადით
და მწვადით ეგებებიან...
ჩაკრულოს, გრძელსა სუფრულსა
ამბობენ ყრმანი ჯერითა,
ქალწულნი ჩამოართმევენ, —
სტკბები და სტკბები სმენითა...

— მაშ, აბა თითოც! ორი გახდება!
თუ წუთიერად დარდებს ვივიწყებთ
და ღვინის ღმერთი ჩვენ გვაფრთოვანებს,
ხვალ, როგორც გუშინ, საქმეს დავიწყებთ,
ზრუნვა შეიპყრობს ყრმას და მხცოვანებს,
— მაშ, აბა თითოც ასწი.
ეგ ყანწი,
შემდეგ თამამად ბრძოლისკენ გასწი!

ეს გრძელი ამონაწერი შანშიაშვილის ცნობილი ლექსიდან „კახეთი" იმიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ ერთბაშად ნათელი გახდეს, თუ როგორ არის დაფუძნებული შანშიაშვილის ლექსები მიწაზე და როგორ თვალსაცემია ის განუყრელი კავშირი, რომელიც არის შანშიაშვილის პოეზიასა და ხალხის ცხოვრებას შორის. ამ ყოფით ლექსში პოეტის მხურვალება და სიყვარული მიწისა ისეთი დიდი ინტიმითაა დახატული, თითქოს მას ფიზიკურად ვხედავთ და განვიცდით. შანშიაშვილის პოეზია ამ უშუალობითა და ხალხურობით ეხმაურებოდა და აგრძელებდა XIX საუკუნის ქართული კლასიკური პოეზიის ეროვნულ ტრადიციებს.

სანდრო შანშიაშვილის ლექსების მიწიერი ხასიათი და გლეხური ფსიქოლოგია ტრადიციის გაგრძელებაც იყო და განვითარებაც.

*

სანდრო შანშიაშვილი დაიბადა 1888 წელს, სოფელ ჯუგაანში (სიღნაღის რაიონი) სოფლის მღვდლის (შემდეგ მასწავლებლის) ოჯახში. სანდრო პირველად სოფ. ტიბაანის ხირსის მონასტრის სამრევლო სკოლაში მიაბარეს. აქედან იგი თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს (1901—4 წ.). აქ ს. შანშიაშვილი რევოლუციურად განწყობილ ახალ თაობას დაუახლოვდა და მათი გავლენის ქვეშ მოექცა. მეშვიდე კლასიდან ის სასულიერო სასწავლებლიდან გარიცხეს. ერთი წლის შემდეგ ს. შანშიაშვილი შედის თბილისის გიმნაზიაში. აქაც ს. შანშიაშვილი მოწინავე ახალგაზრდობასთანაა. ამ წლებში ის უკვე ლექსებს წერს. რევოლუციური ახალგაზრდობის იდეებით გატაცებულ გიმნაზიის მოსწავლეს — ს. შანშიაშვილს მეფის ჟანდარმები აპატიმრებენ. იგი იძულებულია ერთხანს თავი მიანებოს სწავლას.

1911 წელს გიმნაზიის კურსდამთავრებული სანდრო შანშიაშვილი

მიემგზავრება შვეიცარიაში, აქედან 1912 წელს ჩადის გერმანიაში და ჯერ ბერლინის, შემდეგ კი ლაიფციგის უნივერსიტეტში ისმენს ლექციებს (1912—1914 წწ.). 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ის იძულებულია დატოვოს ლაიფციგის უნივერსიტეტი და საქართველოში ბრუნდება. საქართველოში იწყებს გაზეთის გამოცემას. 1916—18 წლებში რედაქტორობს გაზეთ „საქართველოს", ჟურნალ „მერანს". 1918 წელს ის ტოვებს თბილისს და გადადის საცხოვრებლად თავის სოფელში — ჯუგაანში. აქ სანდრო შანშიაშვილი, თავის მშობლიურ სოფელში, ახლოს ეცნობა სოფლის ცხოვრებას, ყოფას, ტრადიციებს, მდიდარ ხალხურ შემოქმედებას. ყოველივე ამან კეთილი გავლენა მოახდინა მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე.

ს. შანშიაშვილი სოფელში რჩება 1923 წლამდე. 1923 წელს ჩამოდის თბილისში და მუშაობას იწყებს გაზეთ „კომუნისტთან" არსებულ ქართულ საბჭოთა ლიტერატურულ ჟურნალ „დროშაში" პასუხისმგებელ მდივნად. ს. შანშიაშვილი ამ წლებში ფართოდ ჩაება ლიტერატურულ მოღვაწეობაში და თანდათანობით დაუახლოვდა საბჭოთა მწერლების პოზიციებს. ამავე წლებში ს. შანშიაშვილი შემოქმედებითად დაუახლოვდა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივს: თითქმის ყოველ წელიწადს ამ თეატრში იდგმებოდა სანდრო შანშიაშვილის ორიგინალური თუ ნათარგმნი პიესები. მწერლისა და თეატრის კოლექტივის ამ თანამშრომლობამ ფრიად დადებითი გავლენა იქონია სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაზე. ამ ლიტერატურულ ატმოსფეროში დაწერა მან „ანზორი" ვლ. ივანოვის პიესის „ჯავშნოსანი № 14—49"-ის მიხედვით, „ფოლადაური", „სამნი", „ყამირი", „არსენა", „გიორგი სააკაძე", „კრწანისის გმირები". ამ პიესებმა ს. შანშიაშვილს ნიჭიერი საბჭოთა დრამატურგის სახელი მოუპოვა. 1927 წელს სანდრო შანშიაშვილი აირჩიეს საქართველოს ცაკის წევრად. 1934 წელს მას მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება. 1936 წელს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1937 წელს კი — საპატიო ნიშნის ორდენით. 1948 წელს სანდრო შანშიაშვილს ლიტერატურული მოღვაწეობის 60 წლის იუბილე გადაუხადეს. 1949 წ. პიესების — „არსენას", „კრწანისის გმირებისა" და „იმერეთის ღამეების" ავტორს მიენიჭა სახელმწი-

ფო პრემია. ს. შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის 20-მდე ორიგინალური და 15-მდე ნათარგმნი პიესა. ნათარგმნი პიესებია: გოეთეს „ფაუსტი“, შილერის „ყაჩაღები“ და „დონ კარლოსი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, პუშკინის „ბორის გოდუნოვი“.

სანდრო შანშიაშვილი თანამედროვე საბჭოთა მწერლობის იმ თაობას ეკუთვნის, რომლის გამოსვლაც სამწერლო ასპარეზზე 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს დაემთხვა. ამ რევოლუციურმა ეპოქამ ამ თაობის შემოქმედებაში შეიტანა თავისი ძლიერი ოპტიმისტური ნაკადი, რომელიც რეაქციის შავბნელმა ხანამ ვერ დაჩრდილა. სანდრო შანშიაშვილის პირველი ლექსი „ვერ მოგიოლოცავ!“ 1905 წელს დაიბეჭდა. ამ წელს დაბეჭდილი ლექსები ჩვენი ხალხის გამარჯვების ნათელი რწმენით არის შთაგონებული. ეს რწმენა ის ნათელი სხივია, რომელიც ს. შანშიაშვილის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდელ შემოქმედებას ხალხის გამარჯვების იმედით ანათებდა. ს. შანშიაშვილი თავის პირველივე ლექსებში ამ რწმენით უმღეროდა ხალხს:

შემოკრბით ერთად,
დასძახეთ მედგრად,
თავი გავწიროთ,
მსხვერპლი შევწიროთ
და მოვიხადოთ მით ჩვენი ვალი.
ყრმანო, მებრძოლნო, აღმართეთ ხმალი.

1905 წლის რევოლუციის დღეებით შთაგონებულ პოეტს სწამდა, რომ ხალხს, ამხედრებულს და ამბოხებულს, შეუძლია ბრძოლით წალეკოს „ურიცხვი მტერი“ და დაიმკვიდროს თავისუფლების დიადი დღეები.

თავისი პირველივე ლექსებით ს. შანშიაშვილი გვერდში ამოუდგა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს, თავისი შემოქმედების მთავარ საგნად ხალხის სამსახური დაიკისრა და ეს კავშირი პოეტსა და ხალხს შორის არსებითად არასოდეს შეწყვეტილა. რეაქციის წლებში დაწერილ ერთ-ერთ ლექსში — „ხალხს“ იგი გულწრფელად აცხადებდა:

მოვსულვართ შენთან! ვეწაფები შენს დარდს, სიხარულს!
არ გიქადაგებ არც მშვიდობას და არც სიყვარულს,
ცეცხლსა და მახვილს ხელში გაძლევ, სისხლში დაფერილს,
იყავ სასტიკი! გზას შეუდექ, ეკლით დაფენილს.

ისე არ მოვკვდე, არ აღვმართო დროშა ძლევისა,
ისე არ მოვკვდე, არ დავძახო ჰიმნი ზღვევისა.
მუდამ შენ გიმღერ, შენთვის ბრძოლას თუ გადავურჩი:
შენ შემოგხარი, რომ ხარ მტკიცე და სულით ურჩი.

მაგრამ რეაქციის და იმპერიალისტური ომის შავბნელმა ხანამ თავისი დაღი დაასვა შანშიაშვილის ამ ოპტიმისტურ გზას და, ისევე როგორც ამ პერიოდის ცნობილი პოეტების — გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ა. აბაშელისა და სხვათა შემოქმედებაში, შანშიაშვილის პოეზიაშიც თავი იჩინა სევდისა და მისტიკის განწყობილებამ, ხშირად ეს განწყობილებანი უკიდურეს სიმბოლისტურ-მისტიკურ შეხედულებებში პოულობდა გამოხატულებას. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდის ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში ნათლად ჩანს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მოტივი: ერთი მხრით, მეცხრამეტე საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის მოწინავე ტრადიციების განვითარება, საზოგადოებრივ-სოციალური საკითხებით დაინტერესება, ეროვნულ-პატრიოტული და სოციალური მოტივები, მეორე მხრით, ბურჟუაზიულ-სიმბოლისტური სკოლის გავლენა — მისტიკის, სევდის, ცხოვრებისაგან განდგომის თემებით. ასეთი, ერთმანეთის საწინააღმდეგო განწყობილებანი ახასიათებდა შანშიაშვილის რევოლუციამდელ შემოქმედებას. სასომიხდილი პოეტი მწარედ მოთქვამდა:

ტყუილად ვეძებთ მოსვენებასა,
ფეხს ვერ აეუქცევთ ბოროტებასა,
ვიბრძვით და ვიბრძვით... და სამუდამოდ
სიკვდილში ვპოვებთ მოსვენებასა.
თუ წუთიერად გულს გაიღიმე,
მწარე ნაღველი მას თან მოჰყვება,
ხანგრძლივი ქვეყნად არა არის რა
და, მით უმეტეს, ბედნიერება.

უიმედობის გამოუვალ რკალში მოქცეულ პოეტს იპყრობს უაღრესად მელანქოლიური, პესიმისტური განწყობილებანი. ამ მდგომარეობაში მყოფი ეძიებს ადამიანის დანიშნულებისა და მისი რაობის განმარტებას. ასეთი რთული პრობლემების გადაწყვეტა შანშიაშვილის შემოქმედებაში მეტწილად მელანქოლიური ხასიათისაა. ერთ-ერთ ლექსში პოეტი წერს:

თეთრი ნისლი, წვიმა, ქარი,
მწუხარება, გლოვა, ზარი.
ამოცანად გარდამექცა
ჩვენი ყოფნა, დასასრული.
სიდან მოვალთ, სად მივდივართ,
რა მიზანი გვაქვს ჩვენ სრული?

კითხულობს სევდით შეპყრობილი პოეტი და ნათელ პასუხს ამ კითხვაზე ვერ პოულობს, ამიტომ შემთხვევითი როდი იყო შანშიაშვილის იმდროინდელ შემოქმედებაში ევროპული და რუსული დეკადენტური სკოლების თემები და მოტივები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ს. შანშიაშვილმა XX საუკუნის პოეტთა შორის პირველმა თარგმნა ელგარ პოს „ყორანი" (1909 წ.).

ს. შანშიაშვილის რევოლუციამდელ შემოქმედებაში შეინიშნება მისტიკური, სიმბოლისტურ-დეკადენტური მოტივებით გატაცება, ამ პერიოდში დაწერილ ლექსში — „სარკეში" ნათლადაა გამოხატული ფრანგი დეკადენტების გავლენა. აქ პოეტი მალარმესეული სიმბოლისტური პოეტიკის გზას იზიარებს, სინამდვილის ათვისების სარკისებული პრაქტიკა, რაც მალარმეს გავლენით ასე ძლიერად შემოიტანა ჩვენში ვალერიან გაფრინდაშვილმა, გამოხატულია შანშიაშვილის ამ ლექსშიაც. სარკის წინ მდგარი, თამბაქოს კვამლში გახვეული პოეტი რაღაც სასწაულს მოელის და ასე გვამცნობს თავის ფიქრებს:

თითქოს მოველი რაღაც სასწაულს...
გრძნეულსა ვინმეს თუ რამე უნდა —
მე რა შევიტყო ბოლის ნიშნები?
ეხ! ვიცი! მისებრ ვქრებით, ვიშლებით,
ვფიქრობ და ფიქრი მევე მღალატობს!
სჯაჭვავს ერთსა და იმავ კალაპოტს,
ჩემს წინ სარკეში მე უნდა ვჩანდე,
სულით თუ არა, მას სახივ ვგავდე.
მაგრამ ჩემს ნაცვლად ბოლის რკალებში
თეთრი სიკვდილი სდგას წინ სარკეში,
და მიცქერს იგი მკვეთრად თვალებში,
ჩემებრ თამბაქოს მძიმედ აბოლებს.

ბოლოს, პოეტი სარკეში დანახულ ლანდს, რომელიც, მისი აზრით, ნამდვილია, თვითონ კი მისი ორეული, მიმართავს: „...შენი ვარ, მე შენს სარკეში გარდავქმნი მუდამ ლმერთს და ასულებს".

დაკვირვებული მკითხველი ამ ლექსში ადვილად შეამჩნევს სიმბო-

ლისტების, კერძოდ, ქართველი „ცისფერყანწელების“ მოზიარე თემას (მოვიგონოთ ვ. გაფრინდაშვილის ლექსი „მე სარკეში“).

ს. შანშიაშვილის გატაცება ორეულობის კულტით სიმბოლიზმის სალაროდან ნასესხები მოტივი იყო. სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი თვითმიზნური გაგება ხელოვნებისა მოცემულია ს. შანშიაშვილის ლექსში „მე ვუმღერ მხოლოდ...“

> თვალის შეხედვა სიკვდილსა ჰკვეთავს,
> მე ვუმღერ მხოლოდ საკუთარ ჩემს თავს,
> რარიგად ვკოცნი ჩემს ჯადო თვალებს,
> როცა სარკიდან მომელანდება.
> ...მწვერვალზე ბროლის კოშკი ავმართე,
> ვესაუბრები საკუთარ ლანდებს.
> მუდამ ვარ ერთი და ვუმღერ ჩემს თავს.

სიმბოლისტურ-მისტიკური მოტივებით გატაცება იმ დროს ხშირად თავს იჩენდა ლეგენდებისა და ძველი ხალხური თქმულებების მისტიცირებულ დამუშავებაში.

ძველი ლეგენდებისა და თქმულებების გამოყენებას ს. შანშიაშვილი სიმბოლისტური თვითმიზნური პოეტიკის წესით აწარმოებდა. ამ რკალის ნაწარმოებთა განმარტების მიზნით პოეტი ერთგან შენიშნავდა, „არნახულის ნახვა მსურდაო“. იგი ხან უღრან ტყეში ეძებდა მიონას — ტყის ქალს, გრძნეულს, ხან ტყის გოგოს სახით ქაჯებს, ავ სულებს ეტრფოდა.

ჭინკები, ალქაჯები, მოჩვენებები — „თეთრი ალი“, „უძილო ღამე“, „მაჯლაჯუნა“, „აგუნა“ ედგარ პოს ლექსის — „ყორანის“ საერთო შთაბეჭდილებებით დაწერილი ლექსებია.

რეაქციის წლებში ასევე იყო შანშიაშვილი გატაცებული ანტიკური ქვეყნების ძველი თქმულებებით. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, ამ მიმართულებით, ისე როგორც საზოგადოდ, სხვა თემების მხრივაც, შანშიაშვილი არ მისულა სიმბოლისტების უკიდურეს საზღვრამდე. სიმბოლიზმის ნაკადი ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში პროპორციულად, მის რეალისტურ ნაწარმოებებთან შეფარდებით, ნაკლები მნიშვნელობისა და ადგილის მქონეა. ს. შანშიაშვილის ამდროინდელ შემოქმედებაში უფრო დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საზოგადოებრივ, სოციალურ და ეროვნულ საკითხებს. განსაკუთრებით კი 1905-12 წლებში, ვიდრე ს. შანშიაშვილი ევროპაში გაემგზავრებოდა, უფ-

რო ნათლად იგრძნობა რეალიზმის ნაკადის უპირატესობა მის შემოქმედებაში.

ს. შანშიაშვილი თავის სევდიან განწყობილებებს რეაქციის წლების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარებით ხსნის. გულმოკლული პოეტი ასე შესჩივის ბედს:

ულმობელი ხელით
დაუწყვიტეს ჩანგსა სიმები,
გაჰქრა ოცნება!..
აღარ მნათობს მზისა სხივები...

პოეტის ღრმა რწმენით, მისი სევდიანი სიმღერა არის პოლიტიკურად და სოციალურად დაჩაგრული ხალხის, „ობოლი ერის" ცხოვრების გამოძახილი:

ჩემი სიმღერა ჰანგია გლოვის,
თვით ობოლ ერის გამოძახილი,
მაღალმა მთებმა ჭაბუკს აღმიძრეს
ამაყი გული, გრძნობით აღვსილი.

მეორე ლექსში ს. შანშიაშვილი ამავე აზრს ავითარებს. მამულის მდგომარეობით, მისი უნუგეშო ყოფით ამხედრებული პოეტი წერს:

...განსაცდელშია ტურფა მამული,
მტერი ჯარს გვადგა გააფთრებული,
გსურს, — დარჩი ჩემთან, იბრძოლე მედგრად...
თავი შევწიროთ, დავეცეთ მსხვერპლად...

ს. შანშიაშვილის ამ პერიოდის ლექსებში მეტწილად გვხვდება ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ეროვნულ-საზოგადოებრივი მოტივების გამოძახილი. ამ მხრივ დამახასიათებელია 1909 წელს „მოწაფის ჩანგში" დაბეჭდილი ს. შანშიაშვილის წერილი. აქ იგი გამოდის ეროვნული დროშის ერთ-ერთ მეთაურად და მოუწოდებს ახალგაზრდობას, შეიყვაროს დედაენა, თავისი სამშობლო, თავისი ქვეყნის ლიტერატურა, ემსახუროს ხალხს, ტანჯულ ერს. მწერალი ხმას იმაღლებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „დღევანდელმა რეჟიმმა სული შეუხუთა ყველაზე მეტად ქართველ მოწაფეებს, სამშობლო ენა გულიდან ამოგლიჯა და გარუსების გზაზე დააყენა. ამის შედეგად ჩვენმა ახალმა თაობამ არც რუსული და არც ქართული იცის", და შემდეგ განაგრძობს: „ნუ ვიქნებით ბრმა იარაღი ბრმა მტრებისა.

მომავალი ჩვენია და ეს მომავალი გაწვრთნილ მებრძოლს მოითხოვს. სხვა ერის ლიტერატურასთან ერთად უფრო ღრმად სამშობლო ქვეყნის ლიტერატურით განიმსჭვალეთ“ და ამ გზით ისწავლეთო სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის.

ს. შანშიაშვილი მაშინ ხშირად აყენებდა აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებს, ეხმაურებოდა ეპოქის სასიცოცხლო პრობლემებს. მეფის მთავრობის 19 თებერვლის მანიფესტს, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხის მოტყუებას და ცარიზმის თვალთმაქცობის მორიგ გამოხატულებას წარმოადგენდა, პოეტი ასე გამოეხმაურა:

...ისევ მონა ხარ, მუშავ ჩაგრულო.
მშრომელი მაჯა დადუმებულა:
უწყალო ხელით სისხლი თქრიალებს,
ხმა სიმართლისა მიყუჩებულა...
...ირგვლივ ცრემლები... ჩაგვრა... მონობა...
აღმართულია წამების ჯვარი.
ისევ მონა ხარ, მუშავ ჩაგრულო,
და შენს წამებას არ აქვს საზღვარი...

რეაქციის წლებში საზოგადოებრივ-სოციალურ და ეროვნულ საკითხებს ს. შანშიაშვილი არა მარტო ლირიკულ ლექსებში, არამედ ეპიკურ ნაწარმოებებშიაც, კერძოდ, პოემებშიაც აყენებდა. ეს გარემოება ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმიტომ, რომ სწორედ რეაქციის წლებსა და იმპერიალისტური ომის პერიოდში დაკნინდა ქართული კლასიკური მწერლობის დიდი მხატვრული ფორმები.

ს. შანშიაშვილი მტკიცედ აგრძელებს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ტრადიციას. აქტუალური საზოგადოებრივი საკითხია გამოხატული ს. შანშიაშვილის 1909 წ. დაწერილ პოემაში — „ამირანი“, რომელშიც პოეტმა ოსტატურად გამოიყენა ამირანის თქმულება.

ამირანი ხალხს მხსნელად მოევლინა. მან განთიადი და ბედნიერება მოიტანა. მისი დახმარებით ხალხმა თავი დაიხსნა მონობისაგან:

...უწინ დევნილი, მონად ქმნილი და სევდიანი
დღეს თავისუფლად ნავარდობდა ადამიანი.
და ამირანმა მოაგვარა, საქმე წარმართა;
ხალხი უგონო მოაქცია, წელში გამართა.

განთავისუფლებული ხალხი ზეიმობს. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული. ბრძანება გასცა ქვეყნის მპყრობელმა: ბოლო მოეღოს

ხალხის თავხედობას, დაუყოვნებლივ შეიპყრან ხალხის ამმბოხებელი, ურჩი ამირანი. ბნელეთის მოციქულები გრძნეული დედაბრის საშუალებით ახერხებენ ხელთ იგდონ ამირანი. მთაზე, რკინის ბოძზე, მიაჯაჭვავენ ხალხის გმირს. მაგრამ თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ამირანი იმედს მაინც არ ჰკარგავს. „მე ხალხთან ვცხოვრობ და ხალხი ჩემთან“, — ამბობს იგი. მას სწამს, რომ კვლავ დადგება დრო, ხალხი ამხედრდება, შეიგნებს თავის ძალას და უკუაგდებს მონობის ტახტს.

რეაქციის შავბნელ ხანაში ეს ოპტიმისტური ხმა გაისმოდა, როგორც თვითმპყრობელობისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული მოწოდება. იგი აღაგზნებდა ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ რეალისტურ ოპტიმისტურ პოემებთან ერთად ს. შანშიაშვილს ჰქონდა მისტიკური ხასიათის პოემებიც. ამავე წლებში ს. შანშიაშვილი წერდა მისტიკურ-სიმბოლისტურ დრამებსაც.

ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გლეხკაცის თემას. ს. შანშიაშვილი კარგად იცნობდა სოფლის ცხოვრებას და ამიტომ მის შემოქმედებაში სოფლის ცხოვრების სურათები ფართო გამოძახილს პოულობდა.

ს. შანშიაშვილი განსაკუთრებით 1917—1922 წლებში იყო გატაცებული სოფლის, გლეხკაცობის ცხოვრებით. სწორედ 1918 წელს ს. შანშიაშვილი თბილისიდან სოფ. ჯუგაანში გადადის მუდმივ საცხოვრებლად და ხელს ჰკიდებს სოფლის მეურნეობას. ამასთან დაკავშირებით, მისი ამდროინდელი შემოქმედებაც უმთავრესად სოფლის საკითხებს მოიცავს. რევოლუციამდელი გლეხის უუფლებო და დაბეჩავებულ ცხოვრებას ს. შანშიაშვილი თანაგრძნობით და სიყვარულით ხატავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში გლეხი ხშირად გაიდეალებულია. ამ იდეალიზაციაში გარკვევით მოჩანს რ. ერისთავისა და, განსაკუთრებით, ხალხოსნების თემატიკის კვალი და გავლენა. ს. შანშიაშვილი გლეხს გვიხატავს კერძომესაკუთრული, ინდივიდუალისტური ინსტინქტებით. ამგვარი განწყობილება თავს იჩენს უფრო მოგვიანებით დაწერილ ლექსებშიაც.

ს. შანშიაშვილი გლეხს ინდივიდუალისტური სულისკვეთებით გვიხატავს და, რაც მთავარია, გლეხის სწორედ ამგვარ განწყობილებას უძღვნის ის თავის ჰიმნს.

ეს კერძომესაკუთრული გლეხური ბუნება იმდენად ძლიერია ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში, რომ მასში სიმბოლისტური სკოლის პრინციპებმა მთავარი ადგილი ვერ დაიმკვიდრეს. მიწის, ქვეყნიური ცხოვრების სიყვარული შანშიაშვილის შემოქმედებაში მუდამ იმარჯვებდა მისტიკურ ზეციურ ილუზიებზე. აქ ერთგვარი მოუხეშავი, პრიმიტიული, სოფლური ბუნება სძლევდა ქალაქურ, მერყევ-ინტელიგენტურ განწყობილებას. ამიტომ რევოლუციის წინა წლებში ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში ცხოვრების სიყვარული ყოველთვის სჭარბობდა მისგან განდგომის სურვილს. ამ წინააღმდეგობრივი შემოქმედების გზაზე რეალიზმის ნაკადი უფრო ძლიერი იყო. თავის ადრინდელ ლექსში — „მიყვარს ცხოვრება“ პოეტი სათანადო ხაზგასმით აღნიშნავს ამ ვარემოებას:

მიყვარს ცხოვრება მოუსვენარი,
ვით ზღვა მქუხარი, მარად მღელვარი.
თამამად სცემდეს ოცნების ფრთები,
ცხარე ბრძოლაში დავლიო დღენი.

მიყვარს ცხოვრება ფაფარაშლილი,
შფოთის მინდორი მასზე გაშლილი.
რაც გეღობება, ლახვრად ეკვეთო!
შეაქმნა! შექმნილი გარდააკეთო!
რად მინდა მყუდრო ტბა და ნაოკი?
გულს მოეკიდოს ხავსი და ობი!

*

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გახდა ს. შანშიაშვილის შემოქმედების თემატიკური მხარე. ს. შანშიაშვილი საბჭოთა ეპოქამ ჩააყენა ქართული პოეტური სიტყვის მოწინავეთა რიგში. 1923 წელს ს. შანშიაშვილი მუშაობას იწყებს გაზეთ „კომუნისტის“ გამომცემლობის ორგანოში ჟურნალ „დროშაში“, ამ გარემოებამ უფრო დააახლოვა იგი საბჭოთა სინამდვილესთან, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყოველდღიურ ცხოვრებასთან და გამოცდილი ოსტატის პოეტური ხმაც ახალი სოციალისტური სინამდვილის პათოსით განიმსჭვალა:

...ეპოქამ ასე გადამადნო ფოლადის ქაცად.
სხვა გრძნობით ვცოცხლობ: მოქალაქე ვარ საბჭოეთის.
ბრძოლამ არგუნა დიქტატურა პროლეტარიატს
და მეც მის ტალღებს შევერიე უკვე ნაწრთობი.

ს. შანშიაშვილის გულწრფელი პოეტური სიტყვა ახალი ეპოქის, საბჭოთა ეპოქის სადიდებლად გამოხატულია ლექსში „ელექტრო არმაზი", რომელშიაც პოეტი საქართველოში ერთ-ერთი პირველი დიდი სოციალისტური მშენებლობის ობიექტს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აღწერს. პოეტი გულწრფელად ამბობს: „ძველი დავტოვეთ... და ახალთან მივალ ალავერდს". ს. შანშიაშვილი იგონებს „ძველ საუკუნის ნგრევის ეპოქებს". საქართველოს ძველთაძველი დედაქალაქი მცხეთა იავარჰყო ძველი დროის ქარტეხილებმა. დღეს კი დრო იცვალა. აღორძინდა და განახლდა მთელი ჩვენი სამშობლო. პოეტმა იცის, რომ ახალმა დრომ საქართველოს დიდება არგუნა: „ერი განახლდა, დრო დიდებისა გათენებია". ის, რასაც ნატრობდა და „სიზმრად მოლანდებია პოეტს", ჩვენმა სინამდვილემ, საბჭოთა ხელისუფლებამ რეალობად აქცია. ს. შანშიაშვილი გადაჭრით და მტკიცედ დგება საბჭოთა პოეტის პოზიციაზე. ეს ლექსი ოცდაათიანი წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა.

ს. შანშიაშვილის „ბაქოს კომუნარებში" პოეტური სიტყვის მგზნებარებით ცოცხლდება 26 კომისრის უკვდავი სახეები. 1918 წელი... ბაქოელი კომუნარები... ინგლისელი იმპერიალისტების სისხლიანი თარეში... „ღმუილი... კვნესა, დაჭრილთ ხრიალი, სახლში, ეზოში, გარეთ, ქუჩაში, ქვაფენილზედ, ვრცელს მოედნებზედ, ყველგან გვამები". ინგლისელი ჯალათის, გენერალ ტომსონის განკარგულებით დაპატიმრებული 26 კომისარი... უკანასკნელად ბნელ საკანში შემოჰყავთ ალიოშა ჯაფარიძე. მან იცის, რომ ხვალ დახვრეტენ, ამხანაგებს კი არ უმხელს. ის მტკიცედ ამბობს:

შეეხვდეთ გმირულად!
წარბშეუხრელად!
დავმარცხდით, მაგრამ არ
დავმარცხდებით.

ვერ გატეხა კომუნარების მტკიცე გული და ნებისყოფა გამცემლების, ინგლისელი ჯალათების, იმპერიალისტების აღვირახსნილობამ.

26 კომუნარი, გამარჯვების რწმენით ანთებულნი, მტკიცედ აღიმართნენ ულმობელ მკვლელთა წინააღმდეგ. მწერალი შესანიშნავად აღწერს მათს ფიქრებსა და განწყობილებებს, უძილო ღამეს.

უთანასწორო ბრძოლაში დაცემულთა უკანასკნელი სიტყვებია:

> დავმარცხდით, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვებთ.

ასე ცოცხლდება ჩვენს შეგნებაში 26 კომუნარის მამაცური და ვაჟკაცური სახეები.

ძველი თაობის პოეტებს შორის ს. შანშიაშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის ლენინის გენიალური სახის მხატვრული გამოკვეთა სცადა. და, უნდა ითქვას, ამ მხრივ მწერალმა ბრწყინვალე შედეგსაც მიაღწია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ს. შანშიაშვილის საუკეთესო ბალადა „დედისერთა ლენინთან“. პოეტმა შეძლო ბალადაში ნათლად და სადად დაეხატა ლენინი, როგორც დიდი სახალხო ტრიბუნი, რევოლუციის უბადლო ოსტატი და ორგანიზატორი, უშიშარი მებრძოლი, ხალხის საყვარელი გმირი. ზღაპრად გასულა მისი სახელი ხალხში, ყველა ადამიანის ფიქრის, გრძნობის, იმედისა და ოცნების საგანი გამხდარა. აი მოხუცებული დედა, რომელსაც ერთადერთი შვილი სამოქალაქო ომში გაუგზავნია და ელოდება თავის პირმშოს, მაგრამ იგი არსად ჩანს. დედამ გადაწყვიტა, ლენინს მიმართოს ბარათით, რადგან მან იცის, რომ ლენინი ყველაფრის შემძლეა, ყველაფრის მცოდნე. დედა უცდის შვილს. დედის ეს მოლოდინი დიდი ექსპრესიითა და პოეტური ძალით არის აღწერილი შანშიაშვილის მიერ: ცრემლდამშრალი მოხუცი დედა ზის და თვლემს მოლოდინში, ისევ იღვიძებს და ასე ათენებს ღამეებს. და აი, დაღლილს კვლავ ძილი მოერია, ბურანში თითქოს ესმის შვილის მოსვლა, თითქოს კარს მოსდგომია და ეძახის:

> დედი! გახსენ ჭიშკარი!
> მე ვარ! ნუთუ არ გესმის?
> გარეთ ცივა, ქრის ქარი!
> შენი შვილი დაბრუნდა,
> დედისერთა ვაჟიკა;
> უვნებელი, მაგარი,
> როგორც სალი, კაჟი ქვა!
> გახსენ კარი, დედა, უ!
> შენს შვილს გარეთ რა უნდა?

ეს ხომ მე ვარ! არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!

ამ რომანტიკულ სურათს ცვლის მკაცრი სინამდვილე: დედისერთა, რომელსაც მტკიცედ გადაუწყვეტია, „გაჰყვეს ლენინს", იბრძოლოს ლენინიზმის საქმისათვის, რევოლუციის გამარჯვებისათვის, სამოქალაქო ომის მკაცრ ბრძოლებში იღუპება, კვდება. მან თავი დასდო ხალხისათვის, სამშობლოსათვის, ლენინისათვის. გმირმა მებრძოლმა „საძმო საფლავში" პოვა ადგილი. ხალხის საქმისთვის თავდადებული ამ ვაჟკაცის რომანტიკული სახე მთელი სიმძლავრით ცოცხლდება, დედის სევდიანი მოგონება და ლოდინის სცენა მეტ სიმძაფრეს აძლევს ამ ბალადას.

ლენინს უძღვნა ს. შანშიაშვილმა მეორე ლექსიც — „ლენინი ჯავშანოზე". ამ ლექსში აღწერილია ლენინის ჩამოსვლა პეტერბურგში 1917 წელს. ომის ქარცეცხლში გახვეულს, შიმშილის, უუფლებობისა და მონობის მდგომარეობაში მყოფ რუსეთს მსხნელად მოევლინა მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი:

...მაგრამ ნახეთ, ვინ გამოჩნდა დევნილი?
ჯავშანოზე მტკიცედ შედგა ლენინი!
ოქტომბერში საკე მარცხნით მიმართა,
ლახვარ სიტყვით ხალხს ქუჩაზე მიჰმართა:
უფლება და ძალა მხოლოდ საბჭოებს!
სხვას ნუ ატანთ თქვენი შრომის სარჩოებს!
აფრიალდა დროშა, სისხლის ფერადი.
ჯავშანოდან არ ჩამოდის ბელადი.
აქ შეერთდა: აზრი, ძალა და ნება.
მართველობა ოქროს აღარ ანება!

ს. შანშიაშვილი განსაკუთრებული სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით ხატავს კომუნისტურ პარტიას. პოეტმა იცის, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი მიღწევა უკავშირდება პარტიის სახელს. მან იცის, რომ კოლხიდის, ამ გაუვალი ჭაობის, წალკოტად გადაქცევა, თუ ქართლისა და კახეთის ველების განახლება და აღორძინება, ისევე როგორც მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი მიღწევა პარტიის სახელთანაა დაკავშირებული.

სტალინის თემაზე დაწერილ ლექსთა შორის ს. შანშიაშვილის „იოსებ სტალინს" სავსებით დამსახურებულად ითვლება საუკეთესო ლექსად.

ს. შანშიაშვილის პოეზია სამამულო ომის დღეებში, ჩვენი სახელმწიფოს ამ დიდი ისტორიული გამოცდის ჟამს, განუწყვეტლივ თან ახლდა ჩვენს ხალხს და მამულისადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობით აღაგზნებდა მას. ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და დაცვის საქმეს ემსახურებოდა ს. შანშიაშვილი თავისი გულწრფელი პოეტური სიტყვით სამამულო ომის მძიმე დღეებში.

ს. შანშიაშვილი ერთ თავის ადრინდელ ლექსში, მიმართავდა რა სტალინს, წერდა:

თუ ითავხედეს ჩვენზედაც,
მღერით გადავალთ ბრძოლაში;
ვეფხვს არ დააცვდეს კლანჭები
ძმასთან ერთგულსა ძმობაში!
დაგჭირდეს, შემოგვითვალე,
ჩვენი მახვილი მჭრელია!
არ დაჩლუნგდება ბრძოლაში,
მტერთან ის უძლეველია!

ეს პატრიოტული სიტყვები ჩვენი ხალხის საერთო აზრისა და ფიქრების გამომხატველი იყო. სამამულო ომმა ჭეშმარიტად დაადასტურა ამ აზრის მთელი გულწრფელობა და სიმართლე. ჩვენმა ხალხმა მკერდით დაიცვა თავისი თავისუფალი და ბედნიერი სამშობლო.

ს. შანშიაშვილმა სამამულო ომის თემას მრავალი ლექსი უძღვნა. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ პოემა „დედა". აქ ფართო ეპიკურ ტილოდაა მოცემული ჩვენი ხალხის ომის წინა პერიოდისა და ომის დღეების სურათები. პოემის პირველი სურათი გვიხატავს ჩვენი ხალხის ომამდელ მშვიდობიან ცხოვრებას; დოვლათიანი და მშრომელი ხალხი შრომასა და ლხინში ატარებს თავის ბედნიერ დღეებს. ამ სურათს ცვლის ომის მძაფრი დღეები. სამშობლოს ვაჟკაცები ფრონტზე წავიდნენ. კახელმა დედამაც თავისი ორი შვილი ფრონტზე გაისტუმრა. ს. შანშიაშვილი ჩვენი მებრძოლებისა და, მათს რიცხვში, ქართველი მებრძოლების ვაჟკაცურ თავგადასავალს და ომის სურათებს საინტერესოდ ხატავს. პოემაში განსაკუთრებით პატრიოტულად ეღერს უკრაინის ველზე ქართველ და უკრაინელ მეომართა საბრძოლო სცენები. პოემის მთელი რიგი ადგილები შესრულებულია მაღალი პოეტური ძალით. განსაკუთრებით ძლიერია დედა მარინეს სიზმრის სცენა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოემის ყველა ნაწილი არ არის თანაბრად და მხატვრული სრულყოფილობით დამუშავებული. ზოგი ადგილი მე-

ტისმეტად პრიმიტიულია და პოემის საერთო დონეზე არა დგას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ მოქმედ გმირთაგან ერთი გმირი თანდილა ისე მოულოდნელად გადის სცენიდან, რომ არ ვიცით ნამდვილად — რა ბედი ეწია მას. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. შანშიაშვილის ეს პოემა სამამულო ომის წლების თემაზე დაწერილი ერთ-ერთი ფრიად საინტერესო ეპიკური ტილოა.

სანდრო შანშიაშვილი ჩვენს ლიტერატურაში ცნობილია არა მარტო როგორც პოეტი, არამედ, და შეიძლება ითქვას უმთავრესად, როგორც დრამატურგი. ს. შანშიაშვილის რევოლუციის წინა პერიოდის დრამატულ თხზულებებს იგივე განწყობილებები და თემები ახასიათებდა, რაც მის პოეტურ ნაწარმოებთათვის იყო დამახასიათებელი („უგვირგვინო მეფენი", „ბერდო ზმანია", „ივერიკო", „ლატავრა", „როდამი", „სპარტაკი", „მათრახის პანაშვიდი"), ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ამჟამად მასზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. შანშიაშვილის ეს დრამატული ნაწარმოებები უმთავრესად დაწერილია საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ს. შანშიაშვილის, როგორც დრამატურგის, ადგილი განსაზღვრა საბჭოთა ეპოქამ, ჩვენმა სინამდვილემ. მას მრავალი ორიგინალური და გადმოკეთებული დრამატული ნაწარმოებები აქვს შექმნილი. მათ შორის ყველაზე უფრო პოპულარული მაინც დრამატული პოემა „არსენაა". ამ პიესამ საბჭოთა მკითხველისა და მაყურებლების საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. პიესის ცენტრში დგას ხალხური გმირი არსენა. ამბავი მძაფრად არის დრამატიზებული პირველი სურათიდანვე. გავიხსენოთ სცენა სამჭედლოსთან. პაპა ონისე, ძველი ისტორიის ეს ცოცხალი მოწმე, პატარა ზურიკოს უკეღმართი ცხოვრების ამბებს უყვება. „სისხლის წვიმების დროების მოწმე" ონისე იმედს მაინც არ კარგავს. ის ასე მიმართავს ცხოვრების მწარე სინამდვილით გულმოკლულ პატარა ზურიკოს:

„კარგი რომ გჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია?!"
ჩვენ უარესი გაჭირვება ბევრი გვინახავს,
როცა თბილისი — ჩვენი გული — დაუნგრევიათ
და ნგრევის ტალღა მარაბდასაც გადმოსწვდენია!
ზური, მზად არის შენი წალდუნა!
წაიღე, შვილო! დაეხმარე შენს ღარიბ ოჯახს!

ჩვენ თუ ნიადაგ პირში ვიყავით,
ვთხოვთ უზენაესს. თქვენ გაიზარდოთ!

ამ სურათს მოსდევს გამოსვლა ყრმა გონჯასი, რომელიც გამოხატავს ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მძიმე უღელქვეშ მგმინავი ხალხის ფიქრებსა და აზრებს, მათს განსაცდელსა და მწუხარებას. იგი ასე მიმართავს ხალხს: „კაცი გვინდა ვაუკაცი, გულის დარდი რას ქვია?“ წლობით ელოდებოდა ხალხი მეთაურს, და ასეთი კაციც გამოჩნდება. პიესაში ამგვარი როლი არსენას აქვს მიკუთვნებული. არსენა, ბატონებისა და რუსი მოხელეების მიერ უზომოდ შევიწროებული, „მუხასავით მძლე და მაგარ გლეხკაცობას“ სათავეში ჩაუდგება. იგი გულქვა ბატონის — ზაალ ბარათაშვილისა და მეფის რუსეთის თავგასული მოხელეების წინააღმდეგ ამხედრებს ხალხს. მწერალი ქმნის უშიშარი, მებრძოლი გმირი გლეხის არსენას რომანტიკულ სახეს. დრამატულ პოემაში დიდი სიყვარულით არის დახატული ყმა მებრძოლი გლეხის სახე. აქ შეტანილი სამიჯნურო თავგადასავალი არსენასი და ნენესი უფრო მკვეთრად ავლენს ავტორის ჩანაფიქრს.

სრულიად ახალ, იდეურ თემას წარმოადგენს რუსი და ქართველი ხალხების ძმობის იდეა. თუკი მეფის რუსეთი თავისი აურაცხელი მოხელეებით ქართველ ხალხს ჩაგრავდა, სამაგიეროდ, რუს ხალხს, რუს რიგითს კაცს, რომლისთვისაც ისეთივე დიდი უბედურება მოჰქონდა ორთავიან არწივს, როგორც ქართველი გლეხისათვის, გულით უყვარდა სოციალურად დაჩაგრული ქართველი ხალხი. ეს ხაზი ნათელი ზოლივით გასდევს პიესას. ამიტომაც შეიყვარეს არსენამ და მისმა თანამებრძოლებმა რუსი ჯარისკაცი მიტროხინი. ასევე თავდადებით იცავს და თავს სდებს არსენასათვის მიტროხინიც. გულწრფელად მიმართავს მიტროხინი არსენას და მის რაზმს:

„მუდამ საფრთხეში და გასაჭირში, თქვენებრ გლეხი ვარ და მიწის მუშა! მშობლებს მომწყვიტეს, დედა ტიროდა, მამაჩემიც ურჩობდა და იმ საბრალოს როზგები დაჰკრეს. მე თან გამომყვა დედის ცრემლი და ის მაგონებს, რომ იქ, რუსეთში, ჩემებიც ისე იტანჯებიან, როგორც აქ თქვენი მშობლები და ნათესავები! რას მემართლებით? რა დაგიშავეთ? მტერი არა ვარ! ძმა ვარ! მოკეთე!“

სანდრო შანშიაშვილმა სავსებით სამართლიანად შენიშნა სოციალური მდგომარეობით ერთ პირობებში მყოფ ხალხთა საერთო მიზანი. თუ რუსი ვასია მიტროხინი არსენას მეგობრის როლში გამოდის, სამა-

გიეროდ, არსენას და მისი რაზმის მოღალატის როლშია დახატული კულაკი გლეხი — მეცხვარე ფარსადანი. ფარსადანი ბარონ როზენისა და რუს მოხელე სლეპოვის დასაყრდენი ძალაა. აქაც ხაზგასმულია, რომ მჩაგვრელების მოკავშირედ ისევ მჩაგვრელი და მდიდარი გამოდის. ამ სოციალური აზრით სრულიად ახალი ელერა მისცა ავტორმა პიესას.

როგორც ვთქვით, პიესის ცენტრში არსენა დგას. არსენა ოძელაშვილი ისტორიული გმირია. იგი წარმოშობით და მდგომარეობით ყმა გლეხია, რომლის სახელიც ისტორიამ, უწინარეს ყოვლისა, ხალხური სიტყვიერების გზით შემოგვინახა. არსენას სახელი იქცა ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლთა საყვარელ სახელად. არსენას საგმირო საქმეები უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ შთააგონებდა დაჩაგრულ მშრომელებს. ეს სახელი ზრდიდა ჩვენს ხალხს მებრძოლი სულით. ხალხს უსაზღვროდ უყვარდა არსენა, მასში ხედავდა თავისი ინტერესების დამცველს. ამიტომ უმღეროდა მას და ქებას ასხამდა არა მარტო ხალხური პოეზია, არამედ ჩვენი ლიტერატურაც. მოვიგონოთ ილია ჭავჭავაძის კაკო და ზაქრო, აკაკის არსენა, ა. ყაზბეგის იმავე სახელწოდების პიესა და სხვა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში პეტრე უმიკაშვილს, როცა 1872 წლის კრებულში „არსენას“ ახლად გამოცემული ლექსის გამო წერდა: „მთელს საქართველოში არსენას ლექსი ასე გავრცელებულია და ყველგან მღერიან, რა სოფელი იყოს. რომ არსენას ლექსი არ იცოდნენ? მეფე ერეკლეზედაც არის გამოთქმული ლექსები, მაგრამ უფრო ქართლ-კახეთში და მთიულეთში. ეს არსენას ლექსი კი მთელს საქართველოში. შავი ზღვიდან მოყოლებული, ყველგან მოდებულია. არსენას ლექსსა მღერის მთელი საქართველოს ერი“.

როგორც ვთქვით, ს. შანშიაშვილის არსენასა და ხალხურ არსენას შორის არა მარტო სიუჟეტური, არამედ იდეური განსხვავებაც შესამჩნევია. ხალხურ ლექსში არსენას სტიქიური მებრძოლის სახეა მოცემული. ს. შანშიაშვილის არსენა კი წარმოდგენილია როგორც შეგნებული, რთული მდგომარეობის ორიენტირების უნარით აღჭურვილი მებრძოლი გლეხი. მწერალმა უფრო ამაღლებულად დახატა არსენას მებრძოლი ბუნება. გლეხის მებრძოლი ბუნების ეს ამაღლებული გამოხატვა ჩვენი დროის გაგებას გამოხატავს და მას დიდი სინათლე შეაქვს ჩვენი პოზიციებიდან ხალხური არსე-

ნას გაგებაში. ხალხური არსენასათვის სავსებით უცნობია ასეთი შეგნებული, მებრძოლი არსენა, თუმცა მისი პირველი წყარო მაინც, რასაკვირველია, ხალხური არსენაა. სანდრო შანშიაშვილის ამ პიესის ღირსება უმთავრესად ის არის, რომ მან ბატონყმობის წინააღმდეგ სტიქიურად მებრძოლი გლეხი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ შეგნებული მებრძოლის დონემდე აამაღლა და ასე დაგვიხატა მეფის რუსეთისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის ორიგინალური სახე.

სანდრო შანშიაშვილს „არსენას“ დრამატული და მხატვრული სრულყოფისათვის გულმოდგინე და სერიოზული მუშაობა გაუწევია. საკმარისია ავიღოთ და ერთმანეთს შევადაროთ პიესა „არსენას“ 1936 წლის გამოცემა (პირველი გამოცემა) მეორე 1946 წლის გამოცემას, რომ ეს განსხვავება ნათელი გახდეს. მეორე გამოცემა შევსებულია მთელი რიგი მხატვრული დეტალებით, სურათებითა და პასაჟებით. როგორც ცნობილია, ეს პიესა დადგმული იქნა რუსთაველის სახ. თეატრის მიერ. სცენამ აშკარა გახადა საჭიროება ზოგიერთი მოქმედების, სურათის და პასაჟის დაზუსტებისა თუ გამდიდრებისა.

პირველი გამოცემის მიხედვით მოქმედება იწყებოდა უშუალოდ, უექსპოზიციოდ. მოურავი მუქარით მიმართავს ხალხს:

> თვითეულ უბანს, თვითეულ გლეხს ვუცხადებ ყველას:
> დაუყოვნებლივ ბეგარაზე ხვალვე გამოდით
> ყოველ სამ კომლზე თითო კაცი, თითო ურემი...

რუსთაველის თეატრისა და ავტორის შემოქმედებითმა თანამშრომლობამ აშკარა გახადა საჭიროება ახალი სურათისა, რომელშიაც საექსპოზიციო მასალა იქნებოდა მოცემული და ეს მოქმედება სათანადოდ შემზადებული. და მართლაც, მეორე გამოცემიდან ჩანს, რომ ავტორს ასეთი მასალა დაუმატებია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პიესის დასაწყისი, სცენა ონისეს სამჭედლოსთან, ქურასთან. პაპა ონისე ზურიკოს მოუთხრობს ხალხის მძიმე ცხოვრებას. ამ დიალოგში ირკვევა, რომ ბატონისაგან შევიწროებულ სოფელს მეფის მთავრობამ ჯარის შესანახად ახალი ბეგარა შეაწერა. ამ მოქმედების შემდეგ, ამ დიალოგის შემდეგ, სრულიად ბუნებრივია მოურავის მუქარა: „თვითეულ გლეხს ვუცხადებ ყველას“... დაჩაგრული ხალხის აუტანელი ცხოვრების გამომხატველ ამ სურათს, პირველი გამოცემის მიხედვით, ასე-

ვე არაბუნებრივად მოსდევდა მოურავისა და ნენეს მოულოდნელი შეხვედრა. ახლა ეს მოქმედებაც, მეორე გამოცემის მიხედვით, სათანადოდ შემზადებულია. მოურავისაგან აწიოკებული ხალხის გმინვას, მეორე გამოცემის მიხედვით, მოსდევს ხილის საკრეფად წასული ქალების სცენა. და აი, აქ ხვდება მოურავის ნენეს. ასევე დამატებულია, მეორე გამოცემის მიხედვით, ნენესა და არსენას პირველი შეხვედრის სცენა, რასაც დიდი ბუნებრიობა შეაქვს არსენასა და ნენეს რომანულ თავგადასავალში. მეორე გამოცემაში დამატებულია აგრეთვე მძაფრი ეპიზოდი — ურჩი ყმის არსენასა და გულქვა ბატონის ზაალ ბარათაშვილის პირისპირ შეხვედრის სცენა. ამ დიალოგში ნათლად ვლინდება არსენას შეუდრეკელი მებრძოლი ხასიათი, ასევე ჯიუტი და გულქვა ბატონის ზაალ ბარათაშვილის უსამართლო საქციელი. აქედან ნათლად ჩანს, რომ მათი შერიგება ყოვლად შეუძლებელია. კლასობრივად და სოციალურად გადამტერებული ორი მოწინააღმდეგე ბანაკის — ყმებისა და ბატონების განზოგადებული ხასიათები გამოკვეთა ზაალ ბარათაშვილისა და არსენა ოძელაშვილის შეხვედრის ამ ეპიზოდის მიხედვით დრამატურგმა. მეორე გამოცემაში ასევე დამატებულია სუდაკოვისა და ბარონის საუბრის სცენა, საიდანაც ირკვევა, რომ სუდაკოვი დეკაბრისტული იდეებისათვის კავკასიაში გადმოსახლებული მოწინავე ადამიანი ახლა მეფის ოფიცრის ტანისამოსში კვლავ იცავს თავის პროგრესულ იდეებსა და ეურჩება ბარონს დარჩეს სოფლად ზაალ ბარათაშვილის მიერ აჯანყებული და აწიოკებული ხალხის დასამორჩილებლად. იგი პირდაპირ აცხადებს: „მე მირჩევნია ჯარისკაცი ვიყო უბრალო, ვიდრე აქ ხარკის ამკრეფი და ხალხის დამსჯელი“.

მეორე გამოცემაში უფრო გამართულია მიტროხინის ხასიათი. დამატებული მხატვრული სურათებითა და პასაჟებით ხაზგასმულია რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის სოციალური ძმობის იდეა. მიტროხინი გულწრფელად აცხადებს:

„ჟუდამ საფრთხეში და გასაჭირში თქვენებრ გლეხი ვარ და მიწის მუშა. მშობლებს მომწყვიტეს, დედა ტიროდა, მამაჩემი ურჩობდა და იმ საბრალოს როზგები დაჰკრეს, მე თან გამომყვა დედის ცრემლი და ის მაგონებს, რომ იქ რუსეთში ჩემებიც ისე იტანჯებიან, როგორც აქ თქვენი მშობლები და ნათესავები“. მეორე გამოცემაში ავტორს დამატებული აქვს ახალი მხატვრული სურათები და პასაჟები. ამ გარემო-

ებამ უფრო სრულყოფილი გახადა პიესის იდეური ჩანაფიქრი და სცენური მსარეც.

ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა თემატიკას. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა და სოციალისტური მშენებლობის პროცესის ასახვა არაერთხელ სცადა ს. შანშიაშვილმა. აქ უნდა დავასახელოთ პიესა „ანზორი". იგი გადმოკეთებულია ვ. ივანოვის ცნობილ პიესიდან: „ჯავშნოსანი" № 14—69". ს. შანშიაშვილმა სავსებით შეუცვალა ამ პიესას არა მარტო მთავარი პერსონაჟები, არამედ სიუჟეტური დეტალებიც.

ს. შანშიაშვილის პიესა რევოლუციური მოძრაობის ფონზე იშლება. სამოქალაქო ომის პერიოდია. თეთრები აოხრებენ ჩეჩნების სოფელს, შვილებს უხოცავენ ანზორს. ანზორის მეთაურობით აღდგება ხალხი. ჩეჩნები და ინგუშები თეთრებს გაუსწორდებიან. რევოლუციური მოძრაობის სურათები კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დეტალებს ერთვის და ასე იშლება გლეხთა რევოლუციური ბრძოლები მოწინავე პროლეტარიატთან კავშირში. პიესა უაღრესად რომანტიკული ფერებითა და განწყობილებით გვიხატავს ხალხთა რევოლუციური მოძრაობის გრანდიოზულ სურათებს.

შედარებით სუსტია პიესა „სამნი". ამ პიესაში ს. შანშიაშვილმა გვიჩვენა ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა ბოლშევიკების მეთაურობით მენშევიკების, დაშნაკელებისა და მუსავატელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ. შემდეგ ს. შანშიაშვილმა ეს პიესა მოთხრობად გადააკეთა და აქაც იმავე იდეურ და სიუჟეტურ ფარგლებში განავითარა იგივე ამბავი. როგორც პიესა, ისე მოთხრობა ხალხთა მეგობრობის იდეითაა გამსჭვალული. მასში ნაჩვენებია ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე დაწერილი პიესა „ფოლადაური".

მაინც უნდა ითქვას, რომ ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში უფრო მეტი ადგილი ისტორიულ თემებზე აგებულ პიესებს განეკუთვნება.

„არსენას" შემდეგ ამ მხრივ აღსანიშნავია პატრიოტულ-დრამატული პოემა „კრწანისის გმირები". ამ პიესაში აღწერილია ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული ეპიზოდი. ერეკლე მეფის გმირული ბრძოლა სპარს დამპყრობთა წინააღმდეგ,

ერის გადარჩენის გზის ძიება კრწანისის ველზე უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული მეფის მიერ, რუსეთთან კავშირის დასახვა ასეთ გზად — აი პიესის ძირითადი ქარგა. ქართულ ლიტერატურაში ეს ისტორიული ამბავი ადრეც ყოფილა აღწერილი. მოვიგონოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ვ. ბარნოვის „ისნის ცისკარი“. ამ უაღრესად საინტერესო თემას კვლავ მიუბრუნდა საბჭოთა მწერალი ს. შანშიაშვილი.

ეს ისტორიული ფაქტი მაშინ განასახიერა მწერალმა დრამატულ პოემაში, როდესაც ჭაღარა კავკასიის მისადგომებს დამპყრობი მოადგა. საბჭოთა ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ. ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იცავდა ჩვენს მიწა-წყალს. ასევე იცავდნენ თავის მიწა-წყალს ერეკლე მეფის მეომრები, კრწანისის გმირები. მაგრამ ისინი დამარცხდნენ სპარსელების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში. ერეკლე მეფე, რომელმაც „ოთხმოცი ომი გადაიხადა და სამოცდაორ წელიწადს მოუარა ქვეყანას“ (ალ. ორბელიანი), დარწმუნდა, რომ თურქთ და ირანელ დამპყრობთა გარემოცვაში აღარ შესწევს ძალა დაიცვას ქვეყნის დამოუკიდებლობა, თუ მას ძლიერი მოკავშირე არ ეყოლებოდა. და ერეკლემ გადაწყვიტა, საქართველოს ბედი ერთმორწმუნე რუსეთთან დაეკავშირებინა:

ფრიად ხანგრძლივი ცხოვრება განვლე!
თვალი გადავავლე ჩემს სიცოცხლეს, უკვე გარდასულს —
უფროსს, როდესაც ქართლის ბედიც მე დამეკისრა,
ვეძებ, შევნიშნო ბედნიერი თუნდა ერთი დღე,
მაგრამ ვერ ვპოვებ! ან რას ვპოვებ, როცა არ იყო,
განუწყვეტელი ბრძოლა, შფოთი შინა და გარეთ.
დღეს კი გაუწყებთ, შეეესწარით ბედნიერ დილას,
ცნობა მივიღე მე გარსევან ჭაჭავაძისგან:
დიდი რუსეთი დაპირებას ახორციელებს,
იმპერატორმაც გადმოგვხედა წყალობის თვალით
და გზავნის თორმეტ ათას მებრძოლს საქართველოში.

ამბობს ერეკლე.

ერეკლე მეფის გადადგმული ნაბიჯი ერთადერთი გამოსავალი იყო ქართველი ერის ფიზიკური მოსპობისაგან გადარჩენისათვის. ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიული სახე დიდი რუსი ხალხის დახმარებით შეინარჩუნა. და ამ საკითხის უშუალო გადაწყვეტა ერეკლე მეფის სა-

ხელს უკავშირდება. ამ ამბის მხატვრული გაცოცხლება თავისებურად ეხმაურებოდა დიდი სამამულო ომის დღეებს, როდესაც ახალი საქართველო, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, იცავდა თავის მიწა-წყალს.

ამ პიესაში კარგად არის გამოხატული ხალხის თავდადება და ერთგულება, ასევე მხილებულია თავკერძა ფეოდალების მოღალატური საქმიანობა ერეკლე მეფისა და ხალხის წინაშე.

ერთ-ერთი შესანიშნავი ეპიზოდია პიესაში კრწანისის ველზე დამარცხებული ერეკლესა და თედო გათენაშვილის შეხვედრის სცენა. მგზავრის სახელით მიადგება ერეკლე გათენაშვილის ქოხს. მოხუცებული გლეხი იღებს სტუმარს და როცა შეიტყობს, ის ქალაქიდან მომავალია, უმალვე ეკითხება ერეკლეს ამბავს. მგზავრი—ერეკლე პირდაპირ ეტყვის: დამარცხდაო მეფე ერეკლე, მტერმა აჯობაო. გათენაშვილი ერთბაშად აღშფოთდება. „ვინა ხარო შენ?“ ეკითხება. „ქართველი“, იყო პასუხი. „და თუ ქართველი ხარ, მაშ, როგორ ამბობ ამას?“ ბრაზმორეული გლეხი ასე მიმართავს მგზავრს:

— რაებს მიჰქარავ:
პატივისცემა სტუმრისა, თორემ
ეხლავე სახლიდან გაგაგდებდი, აი, პირჯვრის მადლმა,
მაგნაირ ჯორებს ავრცელებენ მოსისხლე მტრები.
არც შენ მგონიხარ მისი მოკეთე.

შემდეგ ნანობს პატრიოტი გლეხი — რას შემოვუშვი ჩემს ქოხში მეფის აუგის მთქმელი, არსად სწერია, რომ დამარცხებულიყოს ერეკლე მეფეო. მაგრამ როცა ის გაიგებს, რომ მის ქოხში შეხიზნული მგზავრი მეფე ერეკლეა, მის განცვიფრებას საზღვარი არა აქვს.

ასე იხატება ჩვენს ცნობიერებაში ხალხის პატრიოტული აზრისა და გრძნობის გამომხატველი თედო გათენაშვილის მომაჯადოებელი სახე. მთაში შეხიზნული მეფე სოლომონთან, თეკლესთან, გელა და თედო გათენაშვილებთან ერთად თათბირობს და საქართველოს გადარჩენის გეგმას აწყობს. ამ დროს მოდის ცნობა, რომ მოზდოკიდან რუსეთის ჯარი დაძრულა, რაც მეფეს და ხალხს რწმენას, საქართველოს გადარჩენის იმედს აღუძრავს. ისინი, აღფრთოვანებულნი, ემზადებიან მეფის რუსეთის ჯარის შესახვედრად და ასევე შეერთებული ძალით — მტრის შესამუსრად.

პიესაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეფე ერეკლეს

სამეფისკარო ინტრიგას. ერეკლეს ახლო ნათესავები — რევაზ ციციშვილი და სხვანი აქ წარმოდგენილი არიან, როგორც მეფის ურჩნი, მოღალატენი, მტერთან საიდუმლო კავშირის მქონენი. მეფის ერთგული მსაჯული სოლომონი ყოველივე ამას გრძნობს და კიდევაც აფრთხილებს მეფეს, მაგრამ ერეკლე მათ წინააღმდეგ არ იღებს გადამჭრელ ზომებს. ცნობილია, რომ მეფე ერეკლეს გადაუდგნენ ურჩი თავადები და ამ ინტრიგაში მისი ზოგიერთი შვილიც იყო გარეული. უნდა აღვნიშნოთ, რომ დრამატურგმა ცოტა გააზვიადა ეს ამბავი: იგი დამარცხების ერთადერთ მიზეზადაა მიჩნეული, რაც, რასაკვირველია, სიმართლეს არ შეეფერება.*

ს. შანშიაშვილის უკანასკნელი წლების ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იპყრობს დრამატული პოემა „იმერეთის ღამეები". პიესის თემად აღებულია კონფლიქტი იმერეთის მეფე სოლომონს და რაჭის ერისთავ როსტომს შორის. სოლომონი პიესაში დახატულია, როგორც საქართველოს განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, პატრიოტი მეფე. იგი ახალ ძალებს იკრებს და საქართველოდან თურქ დამპყრობთა გასადევნად ემზადება. მეფე სთხოვს რაჭის ერისთავს, გვერდში ამოუდგეს მას და თავისი ჯარებით დაეხმაროს საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ურჩი მფლობელი როსტომი და, განსაკუთრებით, მოღალატე და ვერაგი დედოფალი სალომე საიდუმლო კავშირს აბამენ თურქეთის სულთანთან და ღალატობენ სოლომონს. სოლომონმა იცის ზოგი რამ ამის შესახებ, მაგრამ მას არ სურს სისხლის ღვრა ძმათა შორის და შერიგების მიზნით თვითონ ეახლება ურჩ მფლობელს. სალომეს სურს, ვერაგულად მოაკვლევინოს სოლომონი პარმენ მოურავს. სალომე და მოურავი მზად არიან, მაგრამ ეს საიდუმლო იცის როსტომის შვილმა გიორგიმ, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების, სოლომონ მეფის მომხრედაა წარმოდგენილი. გიორგი კლავს პარმენ მოურავს ვერაგული განზრახვის შესრულების წინ და ამით იხსნის მეფეს. პიესის ფინალში ყოველივე ამას ფარდა ეხდება. როსტომისა და დედოფალ სალომეს ვერაგობა გამოაშკარავდა, მაგრამ გვიან. ამას მსხვერპლად ეწირება მეფის ქალიშვილი მარინე და როსტომის შვილი გიორგი. ასეთია პიესის სიუჟეტური ქარგა. აქედან ნათლად ჩანს, რომ პიესაში ჩვენი ისტორიული წარსუ-

* ბ. ეღენტი — „კრწანისის გმირებს".

ლის სურათია დახატული. უნდა აღინიშნოს, რომ ნახევრად კუთხური პატრიოტიზმის ფარგლებში მომწყვდეულ სიუჟეტურ ქარგას განზოგადების ძალა აკლია. რაც მთავარია, ამ პიესაში სავსებით არ ჩანს ხალხი, მისი წარმომადგენლები.

სანდრო შანშიაშვილი დრამატულ პოემებში მოხდენილად იყენებს თეთრი ლექსის იმ ზომას, რომლის კლასიკური ფორმა მოცემულია შექსპირის თხზულებათა მაჩაბლისეულ თარგმანებში.

ს. შანშიაშვილს უფრო ეხერხება უკვე შექმნილი სიუჟეტისა თუ ამბის გადმოკეთება, ვიდრე დამოუკიდებელი სიუჟეტური ამბის გამოგონება. ლიტერატურის ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის, როდესაც მწერლები მიმართავენ შექმნილი სიუჟეტის გამოყენებას. ჩვენი მწერლის დიდი ღირსება ისაა, რომ მას ამგვარი ლიტერატურული სიუჟეტებისა თუ ნაწარმოებების გადმოკეთების გზით დამოუკიდებელი ოსტატისა და მწერლის სახელი ყოველთვის შეუნარჩუნებია. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ „ანზორი“, „არსენა“ და სხვ. ს. შანშიაშვილი ამ ხერხს მიმართავს არა მარტო დრამატულ პოემებში, არამედ ამავე ხერხის ანარეკლი გვაქვს ლექსებშიაც. ასეთია, მაგალითად, ლექსი „ქართლის დედა“.

სიტყვის გამოცდილი ოსტატი, ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი სანდრო შანშიაშვილი უთუოდ კვლავ გაამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას ახალი, მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

იოსებ გრიშაშვილი

ქართული პოეზიის ბუმბერაზმა აკაკი წერეთელმა, სრულიად ახალგაზრდა პოეტი ი. გრიშაშვილი მეგობრებს წარუდგინა და ასე გააცნო: ახალგაზრდა პოეტებს შორის ქუხსო. ეს უბრალო მკითხველის პათეტიკური აღტაცებით წარმოთქმული სიტყვები როდი იყო, არამედ დიდი პოეტის დინჯი და მიუდგომელი შეფასება.

და ქართველმა მკითხველმა გაიზიარა ეს შეფასება.

ი. გრიშაშვილის პოეზიამ იმთავითვე მოიპოვა მკითხველის დიდი სიყვარული. იგი სულ მალე პოპულარული პოეტი გახდა. სრულიად ახალგაზრდა პოეტზე — ი. გრიშაშვილზე უკვე ლაპარაკობდნენ აღტაცებით, კითხულობდნენ ინტერესით. პოეტის ზოგი ლექსი დაბეჭდვისთანავე გავიდა ხალხში, აიტაცა და მიიღო მკითხველმა, როგორც ნიჭიერი პოეტური ქმნილება. პირველი შთაბეჭდილება, ის მღელვარება და აღტაცება, რაც გრიშაშვილის პოეზიამ გამოიწვია, დღემდე არ განელებულა. დიდი გულწრფელობა, უშუალობა, პოეტური სინათლე და ლირიზმი, რითაც ი. გრიშაშვილის ლექსი მკითხველის ინტერესს იწვევდა, დაუბერებელია და ამაშია მისი ძალა, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატისა.

*

იოსებ გრიშაშვილს თავისებური ბიოგრაფია აქვს. XX საუკუნის ქართველ პოეტებს შორის არავინ ისე არ არის დაკავშირებული ძველი თბილისის ფოლკლორთან, როგორც იოსებ გრიშაშვილი. ძველი თბილისის უბანი — ხარფუხი, მისი გარემო, მოჭიდავე და მოკრივე ყარაჩოხელები, ორთაჭალის ბაღის მოქეიფენი, ხელოსნები და ნოქრები — აი ის ატმოსფერო, სადაც ყალიბდებოდა გრიშაშვილის პოეტური შეგნება.

ი. გრიშაშვილი დაიბადა 1889 წლის 11 (23) აპრილს ქ. თბილისში, ხელოსნის ოჯახში, მამამისი გრიშა, ხელოსნად წოდებული გურული გლეხის, ბატონს გამოპარული ყმის — დათია მამულაიშვილის შვილი იყო, რომელიც ამის შემდეგ თბილისში, ორთაჭალაში მებაღედ დამდგარა (პოეტის ლიტერატურული ფსევდონიმი „გრიშაშვილი“ ნაწარმოებია მამის სახელისაგან: „გრიშა“). ქართული ანბანი მომავალი პოეტისათვის დედას უსწავლებია. შემდეგ სოსო ქართულ გიმნაზიაში მიუბარებიათ. მამის გარდაცვალების გამო ისედაც ღარიბი ოჯახის შვილს სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ ჰქონია და სოსო გიმნაზიის მესამე განყოფილებიდან გამოუყვანიათ. სასწავლებლის გარეთ დარჩენილ ნიჭიერ ბავშვს თვითგანვითარებისათვის მოუკიდია ხელი, დასწაფებია ქართული წიგნების კითხვას და საკმაო განათლებაც მიუღია. აკი თვითონვე ამბობს გრიშაშვილი, ვარ თვითგანვითარებული პოეტიო. თავის უბანში, ხარფუხსა და ორთაჭალაში, ი. გრიშაშვილი „წიგნის კაცად“ ითვლებოდა და ისიც დაუზარებლად უკითხავდა ამ უბნის ხელოსნებს, ამქრის წევრებს და მედუქნეებს, ნოქრებს „ქალვაჟიანს“, „ყარამანიანს“, „დავრიშიანს“, „შვიდვეზირიანს“ და სხვა საზღაპრო-სადევგმირო წიგნებს. ამ წიგნებმა შეაყვარა ი. გრიშაშვილს პირველად ქართული მწერლობა და ეს სიყვარული გადასცა მან თავის უბნის მეგობრებს. ამ წიგნებში მოთხრობილმა ზღაპრებმა და ქალაქურმა ფოლკლორმა გამოაღვიძეს ი. გრიშაშვილში პოეტი. მის ადრინდელ შემოქმედებაშიაც მძაფრად აღიბეჭდა ქალაქური ზეპირსიტყვაობის კვალი. ეს იყო მოსამზადებელი ხანა დიდ მწერლობაში შესასვლელად, როგორც ამას პოეტი იგონებს თავის ავტობიოგრაფიაში. ამ დროს მას მამა გარდაცვალებული ჰყავდა, დედა კი გათხოვილი: ცხოვრობდა ხარფუხში, ნესტიან ქვედა სართულში მარტოდმარტო. მომავალი პოეტის ბავშვობის დღეები მძიმე და გაუხარელი იყო. მის პოეტურ ფანტაზიას სარდაფის ბნელი კუნჭული აკვეცდა ფრთებს. ამ წლებში, მისი პირველი ლექსების მეოხებით იცნობდნენ მას. პოეტის მძიმე მდგომარეობის გამო ნოე ჩხიკვაძის და პ. ირეთელის ჟურნალი „სალამური“ 1911 წელს წერდა: „ბავშვობიდანვე იოსები სარდაფში ტრიალებს, აქაურ ჰაერს სუნთქავს, ყოველივე საზიზღრობას ხედავს, მისი ბუნებრივად სპეტაკი, მგრძნობიარე გული, ფაქიზი გრძნობა ვერ ურიგდება ამ ატმოსფეროს, ის გრძნობს, რომ სარდაფის ზემოთ სულ სხვა ცხოვრება სდუღს, მას ოცნება იქითკენ იტაცებს, მაგრამ ძალა

.არ შესწევს დააღწიოს თავი, ამოძვრეს სარდაფიდან. სინამდვილე, უკეთესმართი ცხოვრება მას თვალწინ უდგას და მის პაწაწა გულს მუხრუჭებს უჭერს". ბავშვობის ეს გაუხარელი დღეები პოეტმა აგვიწერა ცნობილ ლექსში: „პასუხად ახალგაზრდა მწერლებს".

ი. გრიშაშვილი ძველი ცხოვრების შავბნელ კლანჭებს გადაარჩინა მწერლობის დიდმა სიყვარულმა. იგი ქართულ ლიტერატურაში 1904 წლიდან ცდის თავის ნიჭს. თვითგანვითარებას დაწაფებული ახალგაზრდა სოსო, რომელიც ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ემზადებოდა, 1904 წლიდან ხარფუხში სცენისმოყვარეთა დასს დააარსებს და საკუთარ ერთმოქმედებიან სკეტჩებს თუ პიესებს წერს ამ დასისთვის. ესენია: „ტიმოთეს ლეღვი", „გაფიცვა ან ბოიკოტი", „ლოთები ორთაჭალაში", „ჯაშუში", „ცანცარა" და სხვ. ამ პიესებიდან ლიტერატურას შერჩა „ტიმოთეს ლეღვი", რომელიც 1911 წელს ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა. ი. გრიშაშვილი თავისი დასით მოგზაურობს თბილისის გარეუბნებში: დიღომში, წყნეთში, ავჭალაში, მცხეთაში, 1905-6 წლებში ამ დასს თავისებური რევოლუციური განწყობილება შეჰქონდა მაყურებელში. 1906 წელს გამოვიდა ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი ლექსების კრებული სათაურით: „ვარდის კონა, სხვადასხვა ლექსები და სიმღერები შედგენილი იოსებ გ. მამულაიშვილის მიერ". 1907 წელს გამოქვეყნდა მეორე კრებული: „ფანტაზია". 1908 წელს პოეტმა გამოსცა ლექსების კრებული: „ზურნა", 1909 წელს კი — „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან". ეს პირველი კრებულები თბილისური ფოლკლორის, ყარაჩოხული სასიყვარულო მოტივებისა და განწყობილებების კონას წარმოადგენდა. აქ ძლიერად იყო შეჭრილი ბესიკის, საიათნოვას, ვარდბულბულიანის პოეზიის ნაკადი, ქალაქური ფოლკლორი, არაიშვიათად უხეში ლექსიკითა და ანეგდოტებით შეზავებული. აი, რამდენიმე ნიმუში ამ ლექსებისა:

ბულბულო, წადი ჩემგან ფრენითა,
საყვარელს უამბე ტკბილის შტვენითა,
უთხარ, ვერა ვძლებ შენის წყენითა,
ქებას ვერ ვამბობ ჩემის ენითა.

(„ვარდის კონა").

ან კიდევ:

უშენობით დგომა არ შემიძლიან,
მარტო ყოფნა, ჯდომა არ შემიძლიან,

მუშაობა, შრომა არ შემიძლიან,
შენზე ვფიქრობ მარტო, მარტო შენთვისა.

(„ფანტაზია“).

ანდა გავიხსენოთ ლექსი შემდეგი სათაურით: „სად შენი და სად მარუსას თვალები“.

მსურს მის ტუჩებს დავაკვდე, დავეწებო,
მივიკრიბო სუსტმა მდევის ძალები;
გულის კლიტეე, სამოთხის გასაღებო,
სად შენა და სად მარუსას თვალები.

ჩვენც ერთმანეთს კოცნა ვტყორცნოთ,
დე რაყიფი ცრემლებს ღვრიდეს,
სულის კოლოფს დაგიწუწნავ,
ბაკაკაჯან, არ შეგცივდეს!

რა კარგია, კაკლის ხის ქვეშ
ვქეიფობდეთ, წვიმაც სცრიდეს,
მე გავიხდი, შენ ჩაგაცმევ,
ბაკაკაჯან, არ შეგცივდეს!

ვინც ამ სტრიქონებს დააკვირდება, აშკარად აღმოაჩნეს, რომ ამ ადრინდელ პოეტურ ვარჯიშზე დიდი გავლენა აქვს ბესიკის, საიათნოვას და, განსაკუთრებით, ქალაქის ფოლკლორს. ამის მიხედვით ნათელია, რომ ი. გრიშაშვილის შემოქმედების პირველი შენაკადი. პირველი წყარო მისი პოეტური შთაგონებისა ძველი ქართული პოეზია და ქალაქის ფოლკლორი იყო, და ეს გავლენა მის სულიერ სამყაროში მტკიცედ დამკვიდრდა.

1907 წელს ვ. გუნიას ჟურნალ „ნიშადურში“ (№ 9) იბეჭდება ი. გრიშაშვილის ლექსი ი. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო. ეს ლექსი უკვე ახალ ეტაპს წარმოადგენდა გრიშაშვილის პოეტურ ბიოგრაფიაში. როგორც თვითონვე აღნიშნავს, აქედან იწყება მისი გამოსვლა ქართული ლიტერატურის ასპარეზზე. აქ მკაფიოდ გამომჟღავნდა მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის პატრიოტული ნაკადი, და ი. გრიშაშვილიც მტკიცედ დაუკავშირდა ახალი ქართული ლიტერატურის გზას. უფრო მეტი: შემდეგ ამ მხრივ ის ერთ-ერთი მეთაური გახდა უახლესი ქართული ლექსისა, ახალი პოეტური ფორმებისა და ნოვატორული პოეტური საშუალებებისა. მან თავი დააღწია ადრინდე-

ლი. პრიმიტიული ფოლკლორული ლექსების ფორმას. საზოგადოდ, ვ. გუნიამ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ახალგაზრდა პოეტისადმი. 1908 წლიდან იგი მოკარნახედ მოაწყო ქართულ თეატრში. აქ გაეცნო სოსო ქართული თეატრის კორიფეებს — ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილს. კოტე ყიფიანს, კოტე მესხს, ნატო გაბუნიას და ქართული თეატრის სხვა ცნობილ მოღვაწეებს და მსახიობებს. აქვე ხვდებოდა გრიშაშვილი ჩვენს გამოჩენილ მწერლებს — ა. წერეთელს, ვაჟა ფშაველას, ი. გოგებაშვილს, შიო არაგვისპირელს და ასე შემოვიდა ის ქართული კულტურის ოჯახში, როგორც მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1910 წლიდან ი. გრიშაშვილი ხშირად გამოდიოდა სალიტერატურო საღამოებზე ა. წერეთლისა და ვაჟა ფშაველას გვერდით და მოხდენილი დეკლამაციით მსმენელთა გულწრფელ სიყვარულს იმსახურებდა. XX საუკუნის ათიანი წლებიდან ი. გრიშაშვილი ქართულ მწერლობაში უკვე თავის საკუთარ ადგილს იმკვიდრებს. 1914 წელს გამოდის ი. გრიშაშვილის ლექსების პირველი კრებული, რომელმაც მას სახელი გაუთქვა, როგორც ლექსის პირველხარისხოვან ოსტატს. 1918 წელს დაიბეჭდა გრიშაშვილის ვრცელი მონოგრაფია საიათნოვაზე. 1922 წელს დაიბეჭდა გრიშაშვილის ლექსების მეორე ტომი, რომელშიაც შევიდა 1914—1920 წლებში დაწერილი ლექსები. 1928 წელს გამოქვეყნდა გრიშაშვილის მეორე მონოგრაფია: „ძველი თბილისის ლეტერატურული ბოჰემა“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. გრიშაშვილი ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, როგორც ლიტერატურის მკვლევარი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოვიდა ა. ჭავჭავაძისა და ა. ცაგარლის ნაწარმოებთა სრული თხზულებანი; ა. წერეთელის აკადემიური გამოცემის III, IV, V, IX და X ტომები; ვ. რჩეულიშვილის, ს. გუგუნავას, შ. მღვიმელის ცალკე გამოცემანი.

გრიშაშვილმა დაბეჭდა და გამოაქვეყნა ნაშრომები: „ი. ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, „ქართული შექსპირიანა და ი. მაჩაბელი“, „ოსტროვსკი საქართველოში“, „ყაზბეგი როგორც მსახიობი“, „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში“; წერილები პუშკინზე, შევჩენკოზე, კრილოვზე, გორკიზე და სხვ.

გრიშაშვილმა გადმოაქართულა თანამედროვე რუსული და ჩვენი კარის მეზობლების — სომხეთისა და აზერბაიჯანის — ლიტერატურის ბევრი წარმომადგენელი.

მეტად მრავალმხრივი იყო ი. გრიშაშვილის მოღვაწეობა საბავშვო მწერლობის დარგშიც.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა გრიშაშვილის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით. 1947 წელს ი. გრიშაშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1950 წელს მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა ლექსების ერთტომეულისათვის.

იოსებ გრიშაშვილი გარდაიცვალა 1965 წლის 3 აგვისტოს. იგი დასაფლავებულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

*

1927 წელს ი. გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში" წერდა: „ახალმა ეპოქამ ახალი მოთხოვნილება და ახალი ხალხი წარმოშვა. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ რუსეთში დაწყებული მოძრაობა საქართველოშიც გადმოვიდა. ეროში განთავისუფლების იდეა გაიფანტა. ხალხს ისე აღარ აინტერესებდა ყარაჩოხული რომანტიკა, ეს სალხინო და „საამო სასმენელი" ლექსები. თუ წინათ მუშები და ხელოსნები თავიანთი ამქრის მეტს არავის ამჩნევდნენ, ეხლა ესენი ნაროდნიკებსა და ნაციმბირალ ხალხსაც ეცნობიან. თუ წინათ თბილისის ბოჰემურ შაირებს ისმენდნენ, ეხლა პოლიტიკურ შინაარსის წერილებსაც ეწაფებიან". ხალხის პოლიტიკური შეგნებულობა განსაკუთრებით მძლავრად გაიზარდა 1905 წლის რევოლუციის დღეებში. 1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ თავისი გავლენის ქვეშ მოიყოლია ის ღარიბი ხელოსნები და ამქრები, რომელთა სულიერი მეგობარი ი. გრიშაშვილი იყო, და ხარფუხისა და ორთაჭალის ხელოსნებისა და ამქრების მწიგნობარ პოეტს არ შეიძლებოდა ამ გარემოებისთვის ყურადღება არ მიექცია. მართლაც, ვინც ი. გრიშაშვილის შემოქმედების ადრინდელ პერიოდს დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს მასში შემოჭრილ ამ რევოლუციურ მოტივებს და თემებს. ერთ წერილში ი. გრიშაშვილი შენიშნავს, რომ ჩემს შემოქმედებაში სამოქალაქო ლირიკის ხმა ოქტომბრის რევოლუციამდე მცირედი იყო, იგი უფრო ძლიერად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შემოვიდა ჩემს პოეზიაშიო. პოეტის ამ განცხადებას უნდა და-

ვეთანხმოთ, მაგრამ „ის მცირედი“, რაც სამოქალაქო ლირიკის სახით გამოვლინდა მის ადრინდელ პოეზიაში თავისებურ განმარტებასა და ახსნას მოითხოვს. 1905 წლის რევოლუციისა და შემდეგ, რეაქციის პერიოდმა, ამ რთულმა და დაძაბულმა სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ, სათანადო გავლენა მოახდინა ი. გრიშაშვილის პოეზიაზე და მას „მცირედი კვალი“ გარკვევით დააჩინა.

ი. გრიშაშვილი თავისი ადრინდელი ლექსებით ეხმაურებოდა 1905 წლის რევოლუციას. რევოლუციის აღმავლობის წლებში იგი გატაცებით მიესალმა რევოლუციას და თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა მის წინაშე. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „ტუსაღის სიმღერა“. რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის კვალი, ა. წერეთლის საბრძოლო სამოქალაქო ლირიკის კვალი ძლიერად არის აღბეჭდილი ამ ლექსში. რევოლუციის გამარჯვების რწმენით შთაგონებული პოეტი წერდა:

მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს,
მტარვალთა ხროვავ, არ შევშინდები,
მალე გავარღვევ საკანთა კედლებს,
თავისუფლებას შევხვდებით ძმები.
და თუნდ, მტარვალნო, მაწამოთ ისე,
როგორც იესე ნაზარეველი,
არ ვუღალატებ მაინც ჩემ საგანს,
ჩემის მოძღვრების გავხდები მცველი.

ი. გრიშაშვილი ხან ასეთი მოწოდებითი ლექსით, ხან ალეგორიულად ჩაგრული ხალხის განთავისუფლებაზე და რევოლუციაზე წერდა დიდი რწმენითა და სიყვარულით. რევოლუციის დღეებით აღფრთოვანებული პოეტი აცხადებდა:

მოსწყდი მძლავრად ნიაღვარო,
შეარყიე მთლად სამყარო.
(„ნიაღვარი“).

მეორე ლექსში ერთგვარი ალეგორიული ფორმით პოეტი მკაცრ პროტესტს გამოთქვამს „ზამთრის“, საზარელი რეაქციის მიმართ და აცხადებს:

ირგვლივ სიბნელე
მეფობს ყველგანა,
ღმერთო, გვიშველე

და ეს სიბნელე,
გთხოვ, გაანელე,
იხსენ ქვეყანა!

ნუთუ გაზაფხულს
ვეღარ შეეხვდები,
და მრავალტანჯულს
ჩემს ტურფა მამულს
იმედით შემკულს
ვერ ვეღირსები?

პოეტის აზრით, ბრძოლით, მედგარი ბრძოლით შეიძლება მოიპოვო თავისუფლება და ვიხსნათ ტურფა მამული. მოთმინებით, ქედის მოხრით არაფერი გამოვა, საჭიროა ბრძოლა. ევდოშვილის რევოლუციური მებრძოლი ხმა გვესმის იოსებ გრიშაშვილის ლექსში, რომელსაც ჰქვია „ბრძოლა“:

შევაბრუნოთ ქვეყნის ჩარხი,
წინ წავიდეთ საბრძოლველად,
ან დავიხსნათ ჩვენი ხალხი,
ანუ გავწყდეთ ბრძოლის ველად.
(„ბრძოლა“.)

დამახასიათებელია ერთი ფაქტიც: ი. გრიშაშვილმა 1907 წ. გამოსცა ლექსების პატარა წიგნაკი „ფანტაზია“. აქ მოთავსებული ოთხიოდე ლექსი მთლიანად აღმოსავლურ სატრფიალო მოტივს მიეძღვნება, ხოლო, როგორც დამატება, ისე მისი უკანასკნელი გვერდი მთავრდება საინტერესო სოციალური, მებრძოლი ხასიათის ლექსით. აი ეს ლექსი:

დილით განთიადს ვაღვიძებ
და მამალივით ვყვირი მე,
გაიღვიძენით, აღსდექით,
მუშებო, თქვენი ჭირიმე!
ვუყურებ თქვენსა ტანჯვასა
და მიტომ მოვთქვამ, ვსტირი მე,
არ შეუშინდეთ მტარვალსა,
მუშებო, თქვენი ჭირიმე!
კმარა, რაც სირცხვილი ვჭამეთ,
მით გამიშავეთ პირი მე,
ეხლა მტარვალი ძირს დავცეთ,

მუშებო, თქვენი ჭირიმე!
სიბნელე მძაგს, მეჯავრება,
მიყვარს სინათლის გძარი მე,
მხოლოდ სახელი დაგვრჩება,
მუშებო, თქვენი ჭირიმე!
არა ვარ ბერი, არც მღვდელი,
და არც მოხელე გზირი მე,
მხოლოდ ვარ მუშა მშრომელი.
მუშის მარჯვენის ჭირიმე!

ფორმის მხრივ ეს ლექსი არ არის ორიგინალური, აქ არ ჩანს პოეტის საკუთარი ხმა და წერის საკუთარი მანერა, მაგრამ ეს ლექსი გვაცნობს, თუ როგორ აისახა ისტორიული 1905 წელი იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში, როგორ შეიჭრა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში რევოლუციის სულისკვეთება და როგორ ააწყო მისი ქნარიც საბრძოლო ხმაზე.

დაბერე, ქარო, დაბერე,
გაფანტე ბნელი წყვდიადი,
დაჩაგრულ მოძმეს აღირსე
სხვა ძალა, სხვა განთიადი.
(„დაბერე, ქარო").

ასეთი იყო ეს მოქალაქეობრივი, რევოლუციური ნაკადი გრიშაშვილის ადრინდელი პოეზიისა, მაგრამ პოეტმა ვერც მოტივების და ვერც ფორმის მხრივ ვერ მოასწრო, რომ ეს საბრძოლო სამოქალაქო ლირიკა დაემთავრებინა. რეაქციის შავი ნისლი მძიმედ ჩამოაწვა საქართველოს ცას. პოეტმა მწარედ განიცადა ეს ბურუსიანი დღეები. ამ სინამდვილით გულმოკლული პოეტი აცხადებდა:

ყვავ-ყორანი ედემის ვარდს
კვლავ ჯიჯგნიდნენ შეუაზარად
და მტირალ ცას, ერთ დროს ლაჟვარდს,
კვლავ ეხვია ნისლი ჯარად.

რეაქციის პერიოდში ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში მძლავრად გაისმა მარტოობის, უსასოობის და სევდის გამომხატველი მოტივები:

მომიკვდა გული... მიყუჩდა გრძნობა...
დამიკნა რწმენა... გაქრა ღიმილი.
არ მსურს სიცოცხლის არარაობა...
და მსურს სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი.

პოეტი სიკვდილში ეძებს გამოსავალს;

უხმოდ ჩავიკალ ამონაკვნესი,
გადავეხვიე საფლავის აჩრდილს,
დავკკნი, აღარ ვარ, ვილეი, ვქრები,
სასომიხდილი ვეძახი სიკვდილს!

რეაქციის პერიოდმა ი. გრიშაშვილის პოეზიაზეც მოახდინა თავისი უარყოფითი გავლენა, თუ ერთხანს იგი ვერ ურიგდებოდა რეაქციის სუსხიან დროს და მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა, შემდეგ პოეტი სევდამ შეიპყრო. ერთ ლირიკულ ლექსში, რომელიც ლამაზ ქალს უძღვნა, თხოვნით მიმართავს მას: ნუ მილოცავ გაზაფხულს, იგი ვერ ამიტოკებს ჩამკვდარ გულის სიმს, ძველ სიხარულს ვერ დამიბრუნებსო:

ვით მოგილოცო, ჩემო დაია,
ვით გაგაგონო უცხო, ამო ხმა,
სად მოგიკრიფო ვარდი და ია,
იმედის ბუჩქი ჩაკკნა, ჩამოხმა.

და აი, ასე, რევოლუციის დღეების მოგონება ოცნებად იქცა, რომანტიკის საგანი გახდა. სინამდვილე პოეტს უხეში, გულისმომკვლელი გრძნობებით აჯილდოებს. ეს აზრი ყველაზე კარგად გამოხატა ი. გრიშაშვილმა ლექსში, რომელსაც ჰქვია „იშვა ქრისტე". ეს ლექსი შედგება სამი სურათისაგან. მთის ძირას მიძინებულს დაესიზმრება, რომ ქვეყანას შავი ძაძა გადაეფარა. პოეტი მოსთქვამს ადამიანის უბედურებას, დასტირის მის უუფლებობასა და უნუგეშო ყოფას. მეფე იჯდა ტახტზე და ქვეყნად კრულვა ქუხდა. სიმართლე ფეხქვეშ ითელებოდა. ასეთია პირველი სურათი.

უცბად ამოვარდება ძლიერი ქარიშხალი, გაქრება ეს ბურუსი, მზემ სძლია სიბნელეს, აღდგა ქრისტე, ხალხი ლიტანიობს, ჩაგრულმა მხარემ გაიხარა, ხალხი ზეიმობს გამარჯვებას. ასეთია ლექსში გამოხატული მეორე სურათი. მაგრამ ბოლოს კვლავ ბურუსმა დაფარა ქვეყანა, მზემ ჩააქრო სიბნელე, გამოეღვიძა პოეტს და ასეთი სურათი წარმოუდგა:

გამეღვიძა და რა ვნახე?
მტარვალთ ქსელი, შიგ ობობა —
კვლავ იუდას ბნელი სახე,
ღმერთო ჩემო, კვლავ მონობა.

ყვავ-ყორანი ედემის ვარდს
კვლავ ჯიჯგნიდა შესაზარად
და მტირალ ცას, ერთ დროს ლაჟვარდს,
კვლავ ეხვია ნისლი ჯარად.

ამ ლექსში ზუსტად არის გამოხატული რევოლუციის აბობოქრებით გამოწვეული აღფრთოვანება და რეაქციის მძვინვარებით აღძრული სევდაც. პოეტი ირყეოდა იმედსა და დაცემულობას შორის, იგი, გულგატეხილი და სევდით შეპყრობილი, ვერ პოულობდა გამოსავალს. ასეთ სულიერ განწყობილებაში მყოფი პოეტი კითხულობდა:

ვერსად ვერ ვპოვე სულის სიმშვიდე,
ვერ დავიწყნარე სურვილი მწვავი,
სად ვპოვო მხსნელი,
ნავთსაყუდელი,
სად შევაჩერო ობოლი ნავი?

პოეტი ეძებდა პასუხს და ბოლოს, არსებული სინამდვილით გულგატეხილმა, თავი შეაფარა ისეთ ნეიტრალურ თემას, როგორიცაა ქალი და სიყვარული.

სიყვარულის თემა, მიუხედავად ერთგვარი სევდიანი განწყობილებისა, გრიშაშვილის შემოქმედებაში მაინც სიცოცხლის მიღების, ამქვეყნიური სიხარულის განცდისა და ცხოვრებასთან, მიწასთან დაბრუნების გზა გახდება. „ჰაეროვანმა კოცნამ პოეტი ხელმეორედ შობა და სიყვარულმა შექმნა პოეტად“. ათიანი წლებიდან ი. გრიშაშვილის პოეზიაში თითქმის გაქრა სამოქალაქო ლირიკის მოტივები და მთლიანად სატრფიალო ლირიკამ მოიცვა მისი პოეზია. 1910 წელს გამოვიდა ი. გრიშაშვილის ლექსების ახალი წიგნი „ოცნების კოცნა“. აქ გამოჩნდა გრიშაშვილის დამახასიათებელი სატრფიალო ლირიკა თავისი ახალი, დახვეწილი ფორმით. ეს იყო პირველი პატარა წიგნი, რომელშიაც პოეტმა უკვე თავისი ადგილი და თავისი ხმაც მოძებნა ქართულ პოეზიაში. მაგრამ იგი იყო, ამავე დროს, ერთგვარად გადახვევა ამ პერიოდის სამოქალაქო, საბრძოლო, დემოკრატიული პოეზიის მოტივებიდანაც. საყურადღებოა, რომ ამ წიგნს 1911 წ. სპეციალური რეცენზიით გამოეხმაურა ჭოლა ლომთათიძე. იგი აქებდა ლექსების პოეტურ მხარეს და ამავე დროს უსაყვედურებდა პოეტს ცხოვრებისაგან, სამოქალაქო მოტივებისაგან ერთგვარ გამოთიშვას, უსაგნო სატრფიალო ლირიკით გატაცებას. ჭ. ლომთათიძე წერდა: „ყვე-

ლა ადამიანი საზოგადოდ, და, განსაკუთრებით, მწერალი — საზოგადო მოღვაწეა; ის მოწამეა ცხოვრების ისტორიის, რომელიც მომავალს ეუბნება: „თუ რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით", ის შესჩივის ისტორიას თავისი დროის ტკივილებს, თავისი დროის დანიშნულებას, თავისი დროის ტანჯვას და სიხარულს. იწვევს ისტორია გრიშაშვილს და ეკითხება: აბა, ბ-ნო გრიშაშვილო, რას იტყვი? გრიშაშვილი იღებს უბიდან თავის ლექსთა კრებულს და ეუბნება: აი ჩემი სათქმელი, აი რა ვიხილე მე ცხოვრებაში, 1906 წლიდან მოკიდებული, ე. ი. იმ დროს, როცა ასეთი მღელვარე ცხოვრება იყო. გრიშაშვილის წიგნაკში ნახავენ ამ ცხოვრების სურათს? ვერ ნახავენ. და გრიშაშვილი ისტორიის ცრუმოწმე იქნება. ვუსურვებ, რომ მასე არ გაეთავებიოს მას თავისი კარიერა".*

ასე მკაცრად გააკრიტიკა ჭ. ლომთათიძემ გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკა. მართლაცდა, გრიშაშვილის ამ წიგნში სამოქალაქო პოეზია, ხელოვნების საზოგადოებრივი აზრი, რომლის დიდი დამცველი ჭოლა იყო, შეცვლილია კოცნის მოტივებით, მაგრამ, როგორც ჩვენ ზევით ვნახეთ, არ იქნებოდა მართალი, რომ გრიშაშვილის ამ პერიოდის შემოქმედებაში სრულიად არ შეგვემჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების გამომხატველი განწყობილებანი, საბრძოლო სამოქალაქო ლირიკის მოტივები. არა, გრიშაშვილის პოეზიაში არის ეს თემები და ეს მოტივები, მაგრამ, როგორც ზევით დავრწმუნდით, ეს მოტივები პოეტურად სუსტია და თემატიკურად მკრთალი და, რაც მთავარია, ი. გრიშაშვილს იმ წიგნში, რომელსაც ჭოლა განიხილავს, არ შეუტანია არც ერთი ეს ლექსი, რადგან ისინი, პოეტის გაგებით, არ იყო მისთვის დამახასიათებელი.

*

ყოველ ჭეშმარიტ მწერალს აქვს თავისი საკუთარი პოეტური სტილი, თავისი ახლობელი და საყვარელი თემა, რომელსაც ეფუძნება მისი დამოუკიდებელი პოეტური ხმა და ინტონაცია. ი. გრიშაშვილის პოეზიის მთავარი თემა, მისი შემოქმედების ძირითადი ატმოსფერო სატრფიალო ლირიკა იყო. გრიშაშვილის პოეტურ სამყაროში მთავარი სიყ-

* ხასანა (ჭ. ლომთათიძე), გაზ. „ცხოვრების საქმე", № 2, 1911 წ.

ვარულის გრძნობაა. მის პოეტურ სამყაროში მძაფრად დამკვიდრდა ვნებიანი, ხორციელი, ამქვეყნიური სიყვარული მთელი მისი მრავალფეროვნებითა და ვარიაციებით. ი. გრიშაშვილის პოეტურ ხმაში ბესიკის, ა. ჭავჭავაძის, საიათნოვასა და გრ. ორბელიანის ხმები მოისმოდა, მაგრამ ისე ახლებურად ჟღერდა ეს ნაცნობი ხმა, ისე ორიგინალური პოეტური მადლი და ეშხი ჰქონდა გრიშაშვილის პოეზიას, რომ მას ამ მხრივ ბადალი არ ჰყოლია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

ი. გრიშაშვილის ღირსება ის იყო, რომ მან უბრალოდ კი არ მიბაძა თავის წინაპრებს, არამედ სრულიად ინდივიდუალური და ორიგინალური სახე მისცა ძველ თემებს და დამოუკიდებელი პოეტური ხმით მოგვევლინა. პოეტის ისეთი პოეტური ქმნილებები, როგორიცაა „რა კარგი ხარ, რა კარგი", „ხელთათმანის ღილი", „ქორწილი ჩვენს უბანში", „გენაცვალე", „ზღაპარი გამაკში", მუდამ დარჩებიან ჩვენს პოეზიაში, როგორც სატრფიალო ლირიკის, პოეტური ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშები. ცნობილი და პოპულარული პოეტის სახელი ი. გრიშაშვილს ამ თემამ მოუპოვა, უპირველეს ყოვლისა. შემთხვევით როდი აცხადებდა პოეტი, რომ „მე სიყვარულმა შემქმნა პოეტადო", და არც ის იყო შემთხვევით, რომ 1914 წელს გრიშაშვილის ტრადიციულ ლიტერატურულ საღამოზე გამოვიდა დიდი ოკეკი, რომელიც სატრფიალო ლირიკის საკითხებს შეეხო და განაცხადა, რომ ქართულ მწერლობაში სატრფიალო ლირიკას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავსო და თავისი დებულების საილუსტრაციოდ სატრფიალო ლირიკის ოთხი ნიმუში წაიკითხა: ა. ჭავჭავაძის „სიყვარულო, ძალსა შენსა", ნ. ბარათაშვილის „საყურე", თავისი „თვალად, ტახად" და იოსებ გრიშაშვილის „შენ ხარ ღვთაება". ა. წერეთელმა ყველაზე კარგად და უტყუარად შეიგრძნო გრიშაშვილის პოეზიის სატრფიალო ხასიათი და სწორედ ამ გარემოებას გაუსვა ხაზი სალიტერატურო საღამოზე.

ი. გრიშაშვილის სატრფიალო ლექსები მეტად მრავალფეროვანია. მკვეთრად შეიმჩნევა ორგვარი ნაკადი: თუ ლექსების ერთი ნაწილი თავისი ჩანაფიქრითაც და პოეტური ფორმითაც წმინდა, ამაღლებულ სიყვარულს უმღეროდა, ლექსების მეორე ჯგუფი თემატიკურად და განწყობილებითაც ვნებიანი, ეროტიკული ხასიათისა იყო. ძალიან ხშირად ეს ეროტიკული ნაკადი იყო უხეში გაშიშვლება ვნებათა ღელვისა. ეს ერთგვარად გადახვევა იყო ქართული კლასიკური პოეზიის იმ გზიდან, რომელიც სათავეს რუსთაველთან პოულობს. ასევე პოეტი

რამდენიმედ ემიჯნებოდა მეცხრამეტე საუკუნის მწერლობას და ეხმაურებოდა უფრო ადრინდელი პერიოდის ჩვენს მწერლობას — ბესიკისა და საიათნოვას პოეზიის ხაზს. ამავე დროს, ის ამ შემთხვევაში ქალაქური ფოლკლორიდან ნასესხებ ნატურალისტურ ჩანახატებსაც მიმართავდა. პორნოგრაფიული, გაშიშვლებული ვნება და, აქედან წარმომდგარი, უხეში შედარებანი და სახეები, ფრაზები და სიტყვები უხვად გვხვდებოდა ამგვარი ხასიათის ლექსში. ეს ნაკადი, დაწყებული ცნობილი ლექსიდან, — „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან“ გრძელდებოდა გრიშაშვილის პოეზიაში. დამახასიათებელია ლექსი, რომელსაც ეწოდება „ნახტომი“. აქ პოეტს დასაბუთებული აქვს სიყვარულის წარმავალი, ხორციელი თვისება და პოეტიც ამ გზას მიჰყვება:

ეხ, მეც მყავდა ერთი ვარდი! ვყავდი უმანკოებას,
ეხ, მეც ვიყავ სიყვარულის მგოსანი ზეციერი,
მაგრამ მეც დამარწმუნეს ქვეყნის ამაოებას,
რომ მარტოდენ გატაცება არსებობს წუთიერი.
მაშ რას ელი? სულო ჩემო, შეხტი, შეინავარდე,
შეგიძლიან ყველას კარებს დაჰკრა, დაუკაკუნო!
არ არსებობს წმინდა გული — მაშ ვის უნდა უყვარდე?
არ არსებობს სიყვარული მუდმივი, საუკუნო.

ხორციელი სიყვარულის ქებათა ქებას წარმოადგენს გრიშაშვილის ცნობილი ლექსი „ოქროს ფეხი“. ქალწულის ოქროს ფეხი პოეტს მომავლის გზად დაუსახავს და სიკვდილის შემდეგაც მის საფლავზე ქალწულის ფეხი უნდა დაადგან. ეს იქნება მისი ძეგლი, ძეგლი ხორციელი და ვნებიანი სიყვარულისა. ხორციელი სიყვარულის ძლიერი ჰიმნია ლექსი „ტყეში“. წამო ტყეში — მიმართავს პოეტი ქალს,— იქ მთვარის სხივი ვერ ატანს და ამიტომ სირცხვილის დაფარვაც ადვილია. იქ გასწავლი წამწამების საუბარს, ავამღერებ შენს მოხასხასე ტუჩებს და ვნებიანი გრძნობით გავანებივრებ შენს სხეულსო. ამგვარივე განწყობილებაა გამოხატული ლექსებში: „დარჩი, ნუ მიხვალ!“ „სძინავს დედოფალს“, „უძილო ღამე“, „მანოლა“ და სხვა. პოეტის წარმოდგენით, „ქალი შექმნილ-დაბადებულია ალერსისათვის, ვნებისათვის“, ამიტომ ქალის სიყვარული მხოლოდ ვნებათა გამოვლინებას უკავშირდება. ქალი ხორციელი გრძნობის საგანია, სხვა დანიშნულება მას არა აქვს ამქვეყნად.

ვნებათაგან დაცლილი ქალი დაკნინებული და დაჩიავებულია:

ვაი, როგორ გაფუჭდი! შენც სიბერე გხლებია,
შუბლს ჩამოგყვა ნაოჭი, თმები შეგვერცხლებია,
და ეგ მკერდი, რომ თრთოდა უწინ, როგორც ჯეჯილი —
დღეს გამხდარა საბრალოდ დათენთილ-დაღრეჯილი.
დღეს ეგ შენი ღიმილი შუქნაცრეცით მკრთომარე,
გარდასულთა ძეგლია სამარეზე მდგომარე.
სადღა არის ის მზერა ცეცხლოვანი, ალური,
სადღა არის მაგ ტანის რხევა მუსიკალური?
დაჭკნა, გაქრა, წავიდა, ვეღარ იგრძნობ სიხარულს,
ეხ, ასეა, როდესაც ასნეულებ სიყვარულს.

არ იქნება სწორი, თუ ი. გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკას მხოლოდ ამგვარი განწყობილებითა და თემებით შემოვფარგლავთ. არა, ი. გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკაში ძლიერადაა წარმოდგენილი სიყვარული, როგორც ადამიანის ამამაღლებელი, კეთილშობილური, უკვდავი და წარუშლელი გრძნობა. ჩვენი პოეტის სატრფიალო ლექსების ერთ ჯგუფში სიყვარული მიჩნეულია, როგორც ადამიანის უმაღლესი და უფაქიზესი გრძნობა. პოეტის აზრით, სიყვარულის გრძნობა უკვდავია, მას ვერ დააბერებს ვერც დრო და ვერც სივრცე:

მაგრამ, როცა დაებერდებით, მოვხუცდებით, შეეირხევით,
როცა წარსულს მოვიგონებთ ჩიფჩიფით და თავის ქნევით,
და ჩვენს თმებში, ოქროს თმებში, როს შევამჩნევთ ვერცხლის სიმებს,
ნეტავ, კიდევ ჩვენი გული ასე გრძნობით გაიღიმებს?
გაიღიმებს, რადგან სული — შეყვარებულთ წმინდა სული
თვით ბუნების დროთა ცვლაში არ იქნება დაქსაქსული,
და ეს ჟინი ჭაბუკური, ეს ქცევა და ეს თარეში,
თან ჩაყვება სამარეში

ი. გრიშაშვილი აქ ლაპარაკობს შეყვარებულთა წმინდა სულზე, სიყვარულის უკვდავებაზე. ამგვარი განწყობილებანი გრიშაშვილის პოეზიაში ხშირად გვხვდება. პოეტს როცა სატრფოს სულის სიდიადე და სიმდიდრე აინტერესებს, მაშინ სიყვარული წმინდაა და სპეტაკი. ეს ღრმად სწამდა ი. გრიშაშვილს და ამიტომაც აცხადებდა იგი:

მე მხოლოდ მიყვარს სული ქალისა,
სხვა არაფერი, სხვა არაფერი!

ეს განცხადება პოეტს ნამდვილად სწამდა და სჯეროდა.

ი. გრიშაშვილი თავისი ლექსების პირველ წიგნში ასე მიმართავდა სატრფოს:

თუ მოგენატროს ზექვეყნიური,
წმინდა, უმწიკვლო, მძლე სიყვარული,
აფურცლე წიგნი და იქ დაგხვდება
ჰანგი მზიური, ჰანგი მთვარული.

(„ჰა, ჩემი წიგნი“).

ი. გრიშაშვილს, მრავალი სატრფიალო ლირიკული ლექსის ავტორს, უთუოდ ჰქონდა ამის თქმის უფლება. მის სატრფიალო ლირიკაში არ ჩანს ის მწვავე კოლიზია, რომელიც ახასიათებს, მაგალითად, ბარათაშვილის ლირიკას. გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკის გმირი ხშირად უჩივის სიყვარულში გაუტანლობას, სატრფოს ღალატსა და ორგულობას, გმირებმა იციან ღალატი, გაუტანლობა, მაგრამ აქედან წარმომდგარი სევდა პოეტისა ნაზი და მსუბუქია. მართალია იგი ხშირად მრისხანე სიტყვებით მიმართავს მოღალატეს, წყევლის საშინელი სიტყვებით („წყევლა ჟამსა ლოცვისასა“), მაგრამ აქ არ არის გამოუვალი სასოწარკვეთილება. ეს მრისხანება, ეს ბრაზი უმალვე გაუვლის პოეტს, რადგან მას შეუძლია სხვა სატრფო იპოვოს. ეს იმიტომ, რომ პოეტის მიჯნური ერთი კი არა, რამდენიმეა. ამ კუთხით ი. გრიშაშვილი უფრო ბესიკსა და საიათნოვას ეხმაურება, ვიდრე ბარათაშვილს. ასევე ენათესავება იგი ა. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკას. მოვიგონოთ ა. ჭავჭავაძის ლექსის ერთი ადგილი:

მე არ ვგონებ, მას ხმა მეტი ეჩინოს;
მაგრამ... ან მეცა რისთვის მეწყინოს?
ჩემსა იგი გირჩევნია, გერჩივნოს,
შევცდი და რაჰ, რაღას მარგებს აწ, ვაჰმე,
წარვედ მასთან... იგი ჩემთვის არ ჰწბილდეს,
არ გაცალოს, რომ მისი ხმა მოგწყინდეს,
მან დაგასწროს უდრომელმა, გაფრინდეს,
და გაწამოს, ვითაც შენ მე მაწამე.

(„კომბლე და ხლოე“).

ეს ლექსი ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს ბესიკ-საიათნოვა-ჭავჭავაძის იმ მსუბუქ სევდიან განწყობილებას, რომელიც სატრფოს ღალატს უკავშირდებოდა. ი. გრიშაშვილიც ამ გზას მიჰყვებოდა სატრფიალო ლირიკაში. მოვიგონოთ ლექსი „ხანძარი“:

მე არ გეტრფი! არა, არა, რაღას ჩამაცივდი!
თუ შენი გული გაგრილდა? აი დარდი, მეც გავცივდი.

ი. გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკისათვის დამახასიათებელია ამგვარი უდარდელი კილო და მსუბუქი სევდა.

*

ი. გრიშაშვილის პოეზიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს თბილისის თემას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურაში არავის ისე მადლიანად, ისე მრავალფეროვნად და გზნებით არ გამოუხატავს თბილისი, მისი კოლორიტული ბუნება, რომანტიკული სურნელება, როგორც გრიშაშვილის პოეზიას. ი. გრიშაშვილი ბავშვობიდანვე ძველი თბილისის უბნებში ტრიალებდა, მის პოეტურ ოცნებას ორთაჭალის, ხარფუხის, კლდისუბნის და ისნის ზღაპარი და ფანტაზია ზრდიდა. აქ დაიბადა, აქ აღიზარდა, აქ შეესხა ხორცი მის პოეტურ ფანტაზიას. აქ მან თვალით ნახა და გულით შეიყვარა ორთაჭალის მწვანე მდელოზე ვნებიანად ფეხმორთხმული, ღვინით შუბლგახურებული და ტოლუმბაშის სადღეგრძელოებით ამღერებული ყარაჩოხელი ძველებური, დარდიმანდული, უდარდელი ტონითა და მუხამბაზური კილოთი. გრიშაშვილის პოეზიას ეს ნაკადი აძლევდა თავისებურ სურნელებას, აქედან წარმომდგარი სევდა თუ სიყვარული ძველი თბილისელი მოქალაქის რომანტიკულ გაცოცხლებას უკავშირდებოდა. ის, რაც ბავშვობაში იგრძნო გულით ძველი თბილისის ტრუბადურმა, ძლიერად და ინტიმურად გაამჟღავნა თავის პოეტურ სიტყვაში. აკი ი. გრიშაშვილი გულწრფელად წერდა: „აქ, ძველ თბილისის გულის სიღრმეში, გაჩოჩნდა ბუნებრივი ვეძა — ანკარა წყარო და დასაწყისი ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა, მე შევსვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩემს ძარღვებში მისი მადლიანი ნაკადი მჩქეფარებს... ბავშვობიდანვე შემიყვარდა იგი, მზიური ნისლით დაპურული ნარიყალას ისტორიული ნაშთი, ღრმა საიდუმლოებასავით იყო ჩემს წინაშე ამართული, ჩემი პოეტური ფანტაზია და ოცნების წმინდა სიხარული მხოლოდ ლექსის ლერწმებში დავაპატიმრე“ („ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“). აქედან წარმოდგება ის დიდი უშუალობა და გულწრფელობა, რომელიც ი. გრიშაშვილის იმ ლირიკულ ლექსებს ახასიათებს, რომელთა თემა ჩვენი თბილისია.

არც ეს თემა იყო ახალი ქართული ლიტერატურისათვის, ოღონდ ი. გრიშაშვილმა აქაც ახალი კოლორიტით გაამდიდრა „ეს საყვარელი

ალაგი“ ქართველი პოეტებისა. ი. გრიშაშვილის ლექსებს თავისებურ იერს აძლევდა გარდასული თბილისის რომანტიკა. ძველი თბილისის რომანტიკულ-ესთეტიკური განცდებით არის შთაგონებული ჩვენი პოეტის მთელი რიგი ლექსები. ძველი თბილისის კოლორიტულ ასახვაში პოეტს შეჰქონდა თავისებური პატრიოტული ნაკადიც:

ო, დააჩუმეთ, რას კივის მოლა?
იგი იგონებს ალბათ აზანით,
როცა სპარსეთმა ხმლით დაიმონა
პატარა კახი და ალაზანი.
როცა საკუთარ დედაქალაქად
გამოაცხადა თბილისი ჩვენი
და მკვდრები მტკვარში გადაალაგა,
როგორც ემბლემა გადასასვენი.

ასე იგონებდა პოეტი საქართველოს ამ ყველაზე ტრაგიკულ შემზარავ ფურცელს და ძველი თბილისი რომანტიკულ მოგონებას ბუნებრივად შეერთოდა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობა. ი. გრიშაშვილის პოეზიაში ამიტომაც საქართველო და თბილისი განუყრელი, განუშორებელი ცნებებია და მისი პატრიოტული მრწამსი განუყოფელად დაკავშირებულია საქართველოს დედაქალაქის ისტორიასთან, მის წარსულთან, მის შემართებასთან მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი დედაქალაქის ბედნიერებისა და სიხარულის, მისი გამარჯვებისა და ამაღლების ყველა მწვავე მომენტი იოსებ გრიშაშვილს გადმოცემული და გაცოცხლებული აქვს თავის ლირიკულ ლექსებში. ყოველივე ამის გამო არ იქნებოდა მართებული, რომ ი. გრიშაშვილის რევოლუციამდელი პოეზია მარტოოდენ სატრფიალო ლირიკის თემებით განგვესაზღვრა. გრიშაშვილის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა პატრიოტულ მოტივს. „სიყვარულის მგოსანს“ დარდად შემოაწვებოდა ხოლმე თავისი ქვეყნის ტანჯვა და ეროვნული ჩაგვრა. თითქოს სინანულის გრძნობით, გამომწვევი ტონით წერდა პოეტი:

ვის შეუძლიან ცილი დამწამოს,
ვის შეუძლიან მითხრას ართქმული,
რომ არ მიყვარდეს ჩემი სამშობლო,
ჩემი ერი და ჩემი მამული?

და ეს ლიტონი განცხადება როდი იყო. პოეტს მხურვალედ უყვარდა თავისი ქვეყანა და მრავალი შესანიშნავი პატრიოტული სტრიქონი უძ-

ღენა მის დიდებას. გრიშაშვილს გულს უკლავდა რევოლუციამდელი საქართველოს ბედი, მისი უუფლებობა. ჩვენს პოეტს სამშობლოს სიყვარულის გრძნობები თითქოს დიდი ილიას ტრაგიკულმა სიკვდილმა გაუმახვილა. დიდი ქართველი პატრიოტის, ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მედროშის ტრაგიკული სიკვდილით გულმოკლული პოეტი წერდა:

ტყეს სცვივდება ფოთოლი,
არ ხმაურობს მთა-ველი,
აღარა გვყავს ილია...
გლოვობს ყველა ქართველი.
გლოვობს ყველა... მხოლოდ იქ
განცხრომა აქვთ მტარვალებს!..
ქართველნო, დაჩაგრულნო,
როდის გაახელ თვალებს?

სამიოდე წლის შემდეგ უფრო კატეგორიულად და გამოკვეთილად აცხადებდა პოეტი:

და შენ კი, ბრბოვ, რაც ქმენ, აღარ მოგწყინდა,
ნუთუ არას გაგრძნობინებს მთაწმინდა?
ნუთუ მოთქმა ამ ხალხის და ამ ერის
ჩვენს სამშობლოს, სისხლით შემკულს შეპფერის?
რაც გსურთ, ქმენით, რაც გსურთ, გაიმეორეთ,
ოღონდ მგოსანს ნუ დამარხავთ მეორეთ!

აკაკის მსგავსად, ი. გრიშაშვილი სამშობლოს სატრფოს უწოდებდა. პოეტის სამშობლო, საქართველო დაცემული და ლეჩაქახდილი იყო. ეს აზრი პოეტს კარგად აქვს გამოხატული ლექსში: „სატრფო ავად მყოლია“, რომელსაც ეპიგრაფად აკაკის სიტყვები აქვს წამძღვარებული: „მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არის?“

დე, მე ვიყო ზვარაკი, დე, დამენთქას მე ბედი,
ოღონდ სატრფო მიცოცხლე მომავალის მორბედი!

ქართველთა ბედი, ეროვნულად დაჩაგრული და სოციალურად დაბეჩავებული ჩვენი ხალხის ბედი აწუხებდა და აფიქრებდა პოეტს. სამშობლოს დასტრიალებდა მისი ფიქრი და ოცნება, მის პატრიოტულ ლირიკასაც, თბილისის თემასაც ყველგან თან გასდევდა ეს მოტივი, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი შენაკადი გრიშაშვილის პოეზიისა.

მხოლოდ გული იმასა სწუხს, მხოლოდ გული მიტომ კვდება,
რომ სნეული ივერია, ვინ უწყს, როდის განახლდება?

ასე მწვავედ განიცდიდა პოეტი ქართველი ხალხის ეროვნულსა და სოციალურ ბედს. ქართველი ხალხის ეროვნული მეობა, მისი გაუტეხელი, ქედმოუხრელი ეროვნული სული საინტერესოდ გამოხატა პოეტმა ა. სუმბათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში. ეს არის ერთი საუკეთესო ლექსთაგანი ი. გრიშაშვილის პოეზიაში, რომელშიაც ასე საინტერესოდ არის გამოხატული ჩვენი ქვეყნის ეროვნული შეგნებაცა და საბრძოლო განწყობილებაც:

ხოლო როცა საქართველოს, ისეც დამწვარს, დატანჯულსა,
უყიდიან მიწა-წყალსა, უგინებენ ენას, რჯულსა,
მაშინ მყისვე მაგონდება ანანია თავის ფიცით,
და მსურს მეც ვთქვა: ხანჯლის დაკვრა ქართველებმა გულში ვიცით.

ილიასა და აკაკის პატრიოტული ტრადიციების დამცველსა და გამგრძელებელს, ი. გრიშაშვილს, ნამდვილად სწამდა საქართველოს მომავალი, მისი ხვალინდელი დღე. ამ რწმენით შთაგონებული პოეტი წერდა:

თავისუფლება, თავისუფლება,
აი ეს სიტყვა, სიტყვა თილისმის,
ვით მომხიბლავი ჩოგანის ცემა
ირგვლივ ხმაურობს, ირგვლივ გაისმის.
მტარვალო, გვეყო მძლავრთ უკმეხობა.
მტარვალო, გვეყო ტანჯვა სულისა,
ჩამოვიბერტყეთ შენი დიდება,
დაგიდგა ჟამი აღსასრულისა.
და რაც რომ იყო, ის აღარ არის,
და რაც რომ არის, არც ის იქნება.
ახალ ცხოვრების ახალ ყალიბში
ახალი აზრი ჩამოიქნება.

ამ სტრიქონებს წერდა ი. გრიშაშვილი 1914 წელს, მსოფლიო ომის დღეებში. მას თითქოს ესახებოდა თავისუფლების დიდი გზა, ბრძოლის, რევოლუციის მომავალი გზა. პოეტს სამშობლოს აღორძინების იმედი ჰქონდა და, ამ იმედით ჩაგონებული, წერდა: „და ჩვენც ვამბობთ აკაკივით, არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“. ი. გრიშაშვილის ისეთი ლექსები, როგორიცაა „ალექსანდრე სუმბათაშვილს“, „სამშობლო ნანგრე-

ვებში“, „ვახტანგ მეექვსეს“, „შენ გეჯავრები“, „ოღონდ მაცალე“ — საკმარისია მოვიგონოთ, რომ ერთბაშად ცხადი გახდეს, თუ რა საპატიო ადგილი აქვს მიკუთვნებული მის პოეზიაში პატრიოტულ-მოქალაქეობრივ ლირიკას. სამშობლოს სიყვარულით ღრმად აღგზნებული პოეტი წერდა:

მიყვარხარ, ქალო, ვფიცავ, მიყვარხარ,
მიყვარს ოცნება ცრემლით აღთქმული,
მაგრამ უფრორე, ჰოი, ქალწულო,
მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული.
გულში მიღვივის მამულის ტრფობა,
წინაპირთაგან გადმონაცემი,
სამშობლომ მომცა ნიჯი ღვთიური,
მას უნდა ვუძღვნა სიცოცხლე ჩემი!

ასეთია ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში პატრიოტული ლირიკის ის შენაკადი, რომელიც თბილისის რომანტიკულ გაცოცხლებას შეერთო.

ხშირად ძველი თბილისის რომანტიკულ მოგონებას უკავშირდებოდა ი. გრიშაშვილის პოეზიის აღმოსავლური ნაკადი. ძველი თბილისის ყოფითი დეტალების აღწერით, მისი პერსონაჟებით — ყარაჩოხელის, ამქრებისა, ხელოსნებისა და სხვათა ამეტყველებით ი. გრიშაშვილი ეხმაურებოდა მე-18 და მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის აღმოსავლური პოეზიის ტრადიციებს. დამახასიათებელია, რომ გრიშაშვილმა თავის ჟურნალშიც — „ლეილაში“ ყურადღება საიათნოვა-ბესიკისეულ მოტივებზე შეაჩერა და წინ წამოსწია ქართული მწერლობის ეს ნაკადი. ძველი თბილისის გარდასულ ყოფითს ადამიანებს, მათს ვნებიანობასა და ეშხს ჩვენი მგოსანი განსაკუთრებული სიყვარულითა და სიმპათიით ხატავდა. ამ ძველ გმირებში ყველაზე უფრო პოეტს მაინც ყარაჩოხელი უყვარდა. ი. გრიშაშვილი თავის საინტერესო გამოკვლევაში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ წერდა: „ყარაჩოღელი ძველი თბილისის ძველი თაობაა, ყარაჩოღელი სინთეზია ქართულ-სპარსული ურთიერთობისა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონაღობისა. ყარაჩოღელს საკუთარი ტრადიცია ჰქონდა...“ ეს თემა გრიშაშვილმა საგანგებოდ გამოხატა მთელ რიგ ლექსებში. მაგრამ რეალისტი პოეტი კარგად ხედავდა, რომ ახალმა ვითარებამ, ისტორიამ ამ ძველ რომანტიკულ გმირებს ნიადაგი გამოაცალა. ქალაქად გაჩნდა ყარაჩოხელის ანტიპოდი — ნავსი, თახსი-

რი კინტო. ეს პროცესი თავისებურად გამოიტირა ი. გრიშაშვილმა ლექსში „აშპაშხანისკენ“:

მოქეიფენო! ძველმა თბილისმა
მეც ჩამომართვა უძარღვო ხელი,
მაგრამ სად არის ძველი ღვინის ხმა,
სად არის ძველი ყარაჩოღელი?

კითხულობს პოეტი მწვავედ, გამომწვევად და თვითონაც კარგად გრძნობს ისტორიის იმ განაჩენს, რომელიც ამ ძველ გმირებს ახალმა დრომ გამოუტანა. ყარაჩოხელის ანტიპოდი კინტო პოეტს გულს უკლავს, ის მას არ უყვარს. აკი თვითონაც შენიშნავს:

გრძნობა ყალბი აქვს, ხმა — ნაქურდალი,
ბრაზით შევყურებ ამ სურათს უჩვევს,
და მერიქიფე, ლოთი, მურდალი,
ტუჩზე დამადებს გაქონილ ტუჩებს,

ასეთია, გრიშაშვილის წარმოდგენით, ყარაჩოხელის შემცვლელი კინტოს ბუნება.

პოეტს სევდას ჰგვრის იმის მოგონება, რომ ეს ძველი დარდიმანდული რაინდული ბუნების ყარაჩოხელები, ძველი თბილისის ყოფის ეს დარბაისელი ადამიანები უკვე აღარ არიან. ამ ადამიანების ნაცვლად, სხვა ხალხი მოსულა, სხვა მორალითა და სხვა ბუნებით. ახალი დროით უკმაყოფილება ამ ადამიანებთან დაპირისპირების ფონზედაც ნათლად გამოხატა ი. გრიშაშვილმა. გავიხსენოთ „ტრიოლეტები შაითანბაზარში“:

ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ჰამქარი,
ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრივი,
უსტაბაშს შვენის მოფარფარე მზის ყალამქარი,
(ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ჰამქარი),

და გალობს ზურნა დილის „საარს“ ჰანგ-ღვთაებრივი,
დღეს კი ამოტყდა ჩვენდა სამტროდ მსუსხავი ქარი,
და სადღა არის ყარაჩოღელთ ლხინი თუ კრივი?
ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ჰამქარი,
ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრივი.

ასე გამოესალმა პოეტი ძველ ყარაჩოხელებს, ამქრებს, უსტაბაშებს, გამოეესალმა სინანულით და თავისებური რომანტიკის საგნად ეს სამყარო დასახა. ასე შემოვიდა ეს მოტივი ი. გრიშაშვილის რევოლუ-

ციამდელ პოეზიაში, როგორც პატრიოტული მოტივის ერთ-ერთი შენაკადი.

მაგრამ რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს გრიშაშვილის პოეზიაში, მის რევოლუციამდელ ლირიკაში თბილისის, მოქალაქეობრივ-სოციალური თუ ეროვნული მოტივი, მაინც ფაქტია, რომ გრიშაშვილის პოეზიაში უმთავრესი ადგილი სატრფიალო ლირიკას ეკუთვნოდა. გრიშაშვილი იყო და დარჩება ჩვენს წარმოდგენაში, როგორც სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი სწორუპოვარი და უბადლო პოეტი, რომელმაც თავისებური შუქით გაანათა მთელი ჩვენი ქართული ლიტერატურა და ახალი სურნელება, ახალი ფერები, ახალი საღებავები შემატა ჩვენს მდიდარ და მრავალფეროვან ქართულ მწერლობას.

ამგვარი თემებით, განწყობილებებითა და სულიერი ცხოვრებით შეხვდა ი. გრიშაშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

•

ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცე საზღვარი დადო ძველსა და ახალს შორის. ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა საქართველო სოციალისტური რევოლუციის გზას გაჰყვა, ახალი ცხოვრების აშენებას შეუდგა. ახალმა, რევოლუციურმა აღტყინებამ მოიცვა ყველაფერი. რევოლუციის დღეების რომანტიკა, ახალის რწმენა ყველაზე ძლიერი, ყველაფრის დამმორჩილებელი გრძნობა იყო, მაგრამ ყველა როდი შეურიგდა ერთბაშად იმ რევოლუციურ ძვრას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში და რომელიც ძირფესვიანად ახალისებდა ჩვენს ცხოვრებას, ცვლიდა ადამიანის შეგნებას. რევოლუციამდელი თაობის ბევრი წარმომადგენლისათვის უცხო, გაუგებარი და ზოგჯერ მიუღებელი იყო ახალი ცხოვრების ეს ნაბიჯი, მათში ძლიერი იყო წარსულის რომანტიკა. მაგრამ თვით ამ თაობამაც სულ მალე დაინახა, რომ ყველაზე დიდი პატრონი და დიდი დამცველი ყოველივე იმისა, რაც კარგია ძველში, საბჭოთა ხელისუფლება იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ კვლავ აღადგინა ბევრი, დავიწყებას მიცემული, სახელი და თავის ხალხს დაუბრუნა. ნამდვილი პატრონობა და მზრუნველობა გაუწია ერის სულიერი ცხოვრების საუნჯეს, მის წარსულ კულტურას. ყველაფერი ეს არ შეეძლო არ ეგრ-

ძნო ისეთ ლირიკოსს, როგორიც ი. გრიშაშვილი იყო. მაგრამ ისტორიული სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ ი. გრიშაშვილს ერთბაშად არ მიუღია ეს ახალი, რევოლუციური სინამდვილე. დიდი ზიგზაგით, წინააღმდეგობათა დაძლევის გზით მოვიდა ის ახალ დროსთან, ახალ ცხოვრებასთან. ძველ ცხოვრებასთან გამოთხოვების ეს ისტორია მან დიდი მღელვარებითა და გულწრფელობით მოგვითხრო ლექსში — „გამოთხოვება ძველ თბილისთან" ანუ „დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს". პოეტმა, რომელიც ასე ეწაფებოდა წარსულს, პოეტმა, რომელსაც განუყოფელი სიყვარული აკავშირებდა ძველ თბილისთან, მის ყარაჩოხელებთან და ამქრებთან, მწვავედ განიცადა განშორება.

ეი სეირი ჯერ არნახული,
სადღაა ეშხი და სილამაზე,
არ ჩანს ურმები მოჩარდახული,
ღამის მთევლებით, ბოლნისის გზაზე.
ღვინოს საფლავზე არვინ მოგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი,
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს,
თავის დუქანთან მიბმული ყოჩით.

და შემდეგ პოეტი გვამცნობს თავის დამოკიდებულებას ახალ დროსთან:

დუდუკის ნაცვლად, ქარხნის საყვირი,
დუმბო და ზილი დაახრჩო რკინამ,
ბულბულს — ყაფაზი, გრძნობას — აღვირი,
აღარც დუდუკი, აღარც ყიჟინა...

ვინც ამ ლექსს დააკვირდება, ადვილად მიხვდება, რომ აქ ძლიერად ჩქეფს სიყვარული წარსულისა, აქ უფრო მეტია ძველის რომანტიკა, ვიდრე ახლის სიყვარული. პოეტის სიმპათია არა იმ ახალ ყლორტებს, ძველ ნიადაგზე წარმოშობილ ახალ ინდუსტრიულ ქალაქს უმღერის, არამედ ძველს, აღმოსავლურ, ძველ ქალაქ თბილისს. მაგრამ ამავე ლექსში პოეტი გრძნობს, რომ ძველით ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება, ეს იქნებოდა თვალის დახუჭვა სინამდვილის მიმართ და პოეტიც სულის მწარე ტკივილებით ეთხოვება ძველს და თითქოს გადაჭრით გაისმა პოეტის ხმა:

ძველო თბილისო, ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, გულში რომ ვინახავდი...

გადაწყდა, უნდა შეეცვალო გზები,
ძველო თბილისო, გტოვებ, ნახვამდის...

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. გრიშაშვილი მექანიკურად როდი გაემიჯნა ძველს, მან ძლიერად შემოინახა თავის სულიერ ცხოვრებაში თბილისის წარსულის სურნელება, მისი რომანტიკა. პოეტმაც ამ გარემოებას ამავე ლექსში გაუსვა ხაზი. იგი მიმართავდა ძველ თბილისს:

მაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი!

ეს ლექსი დათარიღებულია 1925 წლით. აქედან იწყება ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში ახალი სულიერი ცხოვრება, შემოქმედების ახალი გზა, რომელიც მან სოციალისტური საქართველოს, განახლებული თბილისის გზას დაუკავშირა.

საბჭოთა სინამდვილემ ახალი შინაარსით აავსო გრიშაშვილის პოეზია. სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულმა მასშტაბმა სულ მოკლე ხანში სახე უცვალა ჩვენს ქვეყანას. განახლდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი, გამშვენიერდა და გალამაზდა მისი ქუჩები, შეიცვალა ჩვენი სოფლები და ქალაქები. ახალმა ინდუსტრიულმა ცენტრებმა დასერეს მისი ველები. უკვე პირველ დიდ ინდუსტრიულ გიგანტს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს მძაფრი ცვლილება შეჰქონდა რევოლუციამდელი საქართველოს აგრარული ქვეყნის ცხოვრებაში. შეიცვალა არა მარტო ეკონომიური სახე ჩვენი ქვეყნისა, არამედ ძირფესვიანი გადატრიალება მოხდა ადამიანის შეგნებაში, მის ფსიქიკაში. ახალი აზრი და განწყობილება დაეუფლა ჩვენს ხალხს. არ შეიძლება ამ უდიდეს ისტორიულ პროცესს თავისი გამანაყოფიერებელი გავლენა არ მოეხდინა ისეთ გულწრფელ ლირიკოსზე, როორიც ი. გრიშაშვილი იყო. კარგად ამბობდა პოეტი:

რომ არ ვიგრძნო, განა ხე ვარ,
ყაბახიდან აბანომდის
გამარჯვებულ დროშის რხევა
სათარ-აღას ჰანგად მომდის!
აღარ მოსთქვამს ტატოს მტკვარი,
არ აწუხებს ძველი ელდა,
ჩანს, სამშობლოს სატკივარი
მოუშუშდა, გაუმთელდა.

პოეტი სიყვარულით მიესალმა ახალ საქართველოს აღორძინებას. მართალია, ი. გრიშაშვილი ერთბაშად არ მოსულა საბჭოთა სინამდვილესთან, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში მას ახასიათებდა გარკვეული შეცდომები, რეციდივები. ამ პერიოდს ეკუთვნის ლექსები „ბებუთი მაგიდაზე", „თბილისის მიწა", „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე". ამ ლექსებში ძლიერია იდეალიზება წარსულისა და ერთგვარი წუწუნი და უკმაყოფილება რევოლუციის მიერ შეტანილი იმ დიდი გარდატეხის მიმართ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მაგრამ ი. გრიშაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სულ მალე მოახერხა კავშირი გაეწყვიტა ამგვარ განწყობილებებთან და მთელი გულწრფელობით უმღერა ახალ სინამდვილეს.

1935 წელს ი. გრიშაშვილმა თავისი თვალით ნახა ის დიდი გარდაქმნები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში. და აი, ცნობილ ლექსში — „ერთი დღე სოფელში" პოეტმა ნათლად აღბეჭდა თავისი შთაბეჭდილება, განახლებული სოფლით გამოწვეული. ძველი სოფელი, რომელსაც არ ახლდა სინათლე, ძველი სოფელი — თავადებითა და მათი მათრახებით — წარსულს ჩაბარდა. პირველი ღამის ლამაზი მსხვერპლიც დავიწყებას მიეცა. ძველი გაწმინდეს, როგორც ყირიმის თოფი. ადამიანები, თავისუფალნი და ბედნიერნი, აშენებენ სოფლის ახალ ცხოვრებას. პოეტი ამ ახალ სოფელს მიესალმა:

> რა დამავიწყებს იმ ნეტარ სურათს,
> იმ გრძნობის კოცონს, იმ მზის სიალეს,
> მე მივესალმე მწყემსებს მწყემსურად
> და მათი შუბლი გავიზიარე.

1935 წელს კი ი. გრიშაშვილმა ზედიზედ გამოაქვეყნა ლექსები: „პილოტი ქალის სიმღერა", „მესაზღვრის სიმღერა", „სადღეგრძელო", „დედის წერილი ახალწვეულ კომკავშირელს", რომლებშიაც ნათლად გამოხატა ავტორმა სიყვარული ამ ახალი და განახლებული ცხოვრებისადმი. საბჭოთა პოეტი გულწრფელად ათქმევინებდა საბჭოთა დედას:

> შვილო, საზღვარს გაუფრთხილდი,
> არ მიენდო მტრის ოინებს,
> ასი ყური გამოისხი,
> ასი თვალი იქონიე.
>
> („დედის წერილი ახალწვეულ კომკავშირელს").

ი. გრიშაშვილის, როგორც საბჭოთა პოეტის, ლირიკული ხმა მთელი გულწრფელობით დაუკავშირდა თავის საყვარელ ქალაქს, ჩვენი თბილისის აღორძინებისა და განახლების გზას. 1935—39 წლებში ი. გრიშაშვილმა გამოაქვეყნა ლექსების მთელი ციკლი, მიძღვნილი ახალი თბილისისადმი. ესენია: „კალიაევის აღმართი“, „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“, „კიროვის ბაღი“, „ლენინის მოედანი“, „ახალი თბილისი“, „სტალინის მთა“. აქ კარგად არის გამომჟღავნებული პოეტის გულწრფელი სიყვარული ახალი, განახლებული თბილისისადმი. ლექსების ციკლს თბილისის შესახებ დაუკავშირდა ი. გრიშაშვილის გულწრფელი სადიდებელი ახალი ქვეყნისადმი. მას კარგად აქვს შეგნებული საბჭოთა პოეტის საპატიო მოვალეობა. ეს მოქალაქეობრივი ვალი საბჭოთა პოეტისა მან ასე განსაზღვრა:

გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ,
ჩაეზარდე მშობელ მიწას ფესვებით,
ახალ თბილისს, ახალ კოკორს ნაღვიძარს.
უგალობე ნამუსიან ლექსებით.

ეს იყო გულწრფელი ლირიკოსის გულწრფელი განცხადება. ძველი თბილისის ტრუბადური ახლა ახალს, აღორძინებულს და განახლებულ თბილისს გულწრფელი ლირიკული ლექსებით მიესალმებოდა, და ამ ლექსებში გამოხატული სურათი წარმტაცი და გრანდიოზული პანორამა ჩვენი დედაქალაქისა გულით ახარებდა ჩვენს პოეტს. ვაზივით დაგრეხილი ძველი ვიწრო ქუჩების მომღერალი პოეტი ახალი თბილისის, მისი განიერი ქუჩებისა და მონუმენტური შენობების, მისი ახალი ადამიანების მომღერალი და მოტრფიალე გახდა. პოეტი გულწრფელად აცხადებდა:

ვიზრდებით და ცეცხლად ვღვივით,
აღარ გვყოფნის სიგრძე, განი,
რუსთაველის ბეჭებივით
დგას თბილისის გალავანი.

ახალი თბილისით აღტაცებული პოეტი ხშირად აღფრთოვანებას და გაკვირვებას ვეღარ ფარავდა:

ეს რა ხეა აქ დარგული,
ეს რა ქვები ალაგია,
ეს თბილისი, ქართლის გული,
გორგასალის ქალაქია?

პოეტის აღტაცებისა და აღფრთოვანების სიტყვები დაუშრეტელ წყაროს ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომაში პოულობდა. გრიშაშვილის პოეზია ცოცხლობდა საბჭოთა ქვეყნის ამ განახლებული ცხოვრებით. პოეტმა შექმნა ლირიკული სიმღერა ამ ახალი ცხოვრების შესახებ. ამ სიმღერის ყოველი სიტყვა, ყოველი ფიქრი, ყოველი ოცნება ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს, ჩვენს დედაქალაქს — თბილისს თავზე ევლებოდა. თბილისი, ჩვენი თბილისი, პოეტის შემოქმედების მუზა, მისი ლექსების მასწავლებელი, მისი ოცნების წყარო ახალი ძალით ცოცხლდებოდა ხანში შესული პოეტის შეგნებაში:

ჰაბუკობისას, მეგობრებო, ვიყავ ჰაბუკი,
მოვხუცდი, მაგრამ ჩაჩანაკი მაინც როდი ვარ!
პოეზიაში მე თბილისის მიწით მოვდივარ,
სიტყვის წკრიალით, რითმის ჩაბუქნით...
თავს დამციმციმებს მშობლიური ცის კამარები,
შრომის ფერხულმა ამიყვავა მე მწვანე ველი,
თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი
და, ალბათ, მის გულს ვესამარები!

ი. გრიშაშვილი უაღრესად ლირიკოსი პოეტია. მისი ხმა ნაზია და მსუბუქი. აკი თვითონაც ამბობს პოეტი, ბუმბულზე მძიმე არასოდეს არაფერი მყვარებიაო. 1938 წელს გრიშაშვილი გრიშაშვილურად მღეროდა:

ჩემს სიცოცხლეში ზამბახზე მძიმე
არ წარმომითქვამს სიტყვა და ლექსი,
პეპელას ფრთებზე გამოვიძინე,
მინანავებდა სიოს ალერსი.

როდესაც ჩვენს ქვეყანას ფაშისტური გერმანიის ურდოები მოადგა, ეს ნაზი ლირიკოსი მრისხანე მებრძოლი პოეტური სიტყვებით აღდგა — ჩვენს ხალხთან ერთად — მამულის დასაცავად. საბჭოთა ხალხის ამ დიდი ისტორიული გამოცდის ჟამს ი. გრიშაშვილის საბრძოლო ლექსები დაეხმარა ჩვენს ხალხს, როგორც დიდი მორალური ძალა. გულწრფელად აცხადებდა პოეტი:

სამშობლოსათვის, როგორც რიგითმა
მებრძოლმა, უნდა ვიხადო ვალი,
ავინ! და ჩემი სათუთი რითმა
ომში ავარდეს, ვით ქარიშხალი.

სამამულო ომის დღეებში მტრის ვერაგობით განრისხებული და აღშფოთებული პოეტი წერდა: „კალმის მაგიერ ხმალს ვტაცებ ხელსა, პოეტებს აქაც გავეჯიბრები“.

სამშობლოს სიყვარულის უწმინდესი გრძნობით შთაგონებული პოეტი მოუწოდებდა ჩვენს ხალხს დედასამშობლოს დასაცავად. სამამულო ომის პირველსავე დღეებში მოწოდების ხმად გაისმა მისი სიტყვები:

ცეცხლი ვერაგებს მკაცრი და მწველი.
ერთად ვიფიქროთ ბრძოლის საგანზე,
გავხსნათ გულების წმინდა საგანძე,
ვიხსნათ სამშობლო წაუბილწველი.
ავასრულებდეთ შოთას დანაბარს —
დავცხოთ, დავარტყათ, ერთად თანაბარ.

სამამულო ომის წლებში ვერაგმა მტერმა ცეცხლს მისცა ჩვენი სოფლები და ქალაქები, გადაწვა და გადაბუგა შრომითა და სისხლით აშენებული ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი. გმირმა საბჭოთა ხალხმა ამ მძიმე ომში დიდი ზარალი ნახა, მაგრამ არ შედრკა, არ გატყდა მტრის წინაშე და შემდეგ უკუაგდო მტერი. პირველი დიდი დარტყმა ჩვენმა ხალხმა სტალინგრადის მიდამოებში აგემა მტერს. პოეტმა შესანიშნავი ლექსი უძღვნა ამ ბრძოლის ეპოპეას: „სტალინგრადის გმირებს“. მტერმა დიდი ზიანი მიაყენა სამი წლის განმავლობაში ბლოკადაში მყოფ ჩვენს უმშვენიერეს და ულამაზეს ქალაქს ლენინგრადს. ამ ქალაქის ბევრი ლამაზი ისტორიული და ხელოვნების ნიმუში დაინგრა. პოეტი, აღშფოთებული ამ სივერაგით, წერდა:

არაფერია, ვაი მტერს, თორემ
კიდევ გადმოვა აქ სიხალისე,
რაც სიძულვილმა გაანადგურა,
მას სიყვარული აღადგენს ისევ.

ომის წლებში ი. გრიშაშვილის ლირიკა გამდიდრდა პოეტური სიტყვის ისეთი საინტერესო ქმნილებებით, როგორიცაა „მეისტორიევ, წიგნი დახურე“, „ბალადა ხელმანდილზე“, „ორი სიტყვა“, „ბრძოლის გმირებს, სწავლის გმირებს“, „მოწოდება“ და სხვა მრავალი.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი მშვიდობიან მშენებლობას შეუდგა. გაჩაღდა ჩვენი ადამიანების შემოქმედებითი შრომა სოფლად და ქალაქად. ხალხი იშუშებდა ომი-

საგან მიყენებულ ჭრილობას, აშენებდა ახალ მძლავრ გიგანტებს და აი, საქართველოში სამამულო ომის დამთავრების პირველ დღეებშივე ამუშავდა ხრამჰესი, ამას მოჰყვა ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობა, სამგორის გადამხმარი ველის გამოცოცხლება, ახალი ბაღებისა და პარკების გახსნა, ახალი მოედნებისა და კულტურული კერების შექმნა, — ყველაფერი ეს საბჭოთა ადამიანების გულებს უაღრესად ახარებდა. ი. გრიშაშვილი, როგორც პოეტი, მთელი გულით მიესალმებოდა ამ გაჩაღებულ შემოქმედებითს შრომას. იგი წერდა:

ირგვლივ ქარხნების ჰანგი გაისმის,
ფოლადისა და რკინის დინება,
აი ეს არის ახალ მაისის
გამარჯვებული აღორძინება.

(„მოდის ქართული ავტომობილი“).

ხოლო ლექსში „სინათლე“ პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ დაიმორჩილეს ჩვენმა ადამიანებმა მდინარე ხრამი და იგი სინათლედ აქციეს:

უკვდავია ჩვენი ერი, ჩვენი მიწა, ჩვენი წყალი, —
კრემლს ვესროლეთ ქართული მზის კიდევ ერთი ნაპერწკალი.

ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსების ციკლს, მიძღვნილს დიდი ლენინისა და სტალინისადმი. აქ დიდი გულწრფელობითაა გამოხატული პოეტის პატივისცემა და სიყვარული კომუნისტური პარტიისადმი, ჩვენი სახელმწიფოს, მისი ძლიერებისა და მისი ყოველი წარმატების მეთაურისა და წინამძღოლის სახელი. ისეთი ლექსები, როგორიცაა „ლენინი“, „სოსელო“, „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“, „მე შენზე ლექსი არ მომწყინდება“, „ბალადა ხელმანდილზე“ („ლენინის ხსოვნას“) მუდამ დარჩება, როგორც ქართული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები.

ი. გრიშაშვილს ლექსების რჩეულ კრებულში ცალკე აქვს წარმოდგენილი ლექსების ციკლი, რომელსაც პოეტი უწოდებს „არმაღანებს“. აქ შეტანილია ლექსები, მიძღვნილი ყველა იმ დიდი და სახელოვანი კლასიკოსისადმი, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის სულიერ კულტურაში .ესენია ლექსები, რომლებიც მიეძღვნება რუსთაველს, პუშკინს, ჯამბულს, ილიას, ვაჟას, ა. ყაზბეგს, აკაკის და სხვ.

პოეტური ოსტატობის საინტერესო ნიმუშია გრიშაშვილის ლექსი

„შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში“. აქ ცოცხლად აღდგება ჩვენს მეხსიერებაში ჩაკეცილი ქუდით, ღიმილის კმევით მგოსნის ბიბლიოთეკაში შესული რუსთაველი. პოეტი რუსთაველის სახეში ჩვენი ხალხის ნიჭიერების უნარს, მისი ძლიერებისა და ეროვნული სულის განსახიერებას ხედავს.

გრიშაშვილის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ხალხთა მეგობრობის თემას. მან, ერთი მხრივ, დიდი სიყვარულით გამოხატა ჩვენი მოძმე ხალხის პოეტური სიტყვის საუკეთესო წარმომადგენლები, გააცოცხლა ისინი მხატვრულ სიტყვაში და ამით ჩვენი მკითხველების შეგნებაში ახალი ძალით წარმოადგინა მათი ღვაწლი და შრომა თავიანთი ხალხების წინაშე.

ამავე დროს, ი. გრიშაშვილმა დიდი შრომა გასწია მოძმე ხალხთა პოეტების საუკეთესო ნაწარმოებების ქართულად გადმოთარგმნის დარგში. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება სომხური, აზერბაიჯანული პოეზიის ნიმუშების გადმოქართულებაში. ი. გრიშაშვილმა თარგმნა სომხეთის შესანიშნავი კლასიკოსის ოვანეს თუმანიანის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა „ანუში“, „გიქორი“, „ერთი წვეთი თაფლი“, „საქართველოს პოეტებს“, „სომხეთის მთებზე“ და მრავალი სხვა. მანვე თარგმნა შირვან-ზადეს ცნობილი რომანი „ნამუსი“, ოვანეს ოვანესიანის „არტავაზდ“, აზატ ვშტუნის „აზერბაიჯანი“, ა. აკოპიანის „შირკანალი“ და სხვ.

ი. გრიშაშვილის ღვაწლი განუზომელია, როგორც საბავშვო პოეტისა. ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსების წიგნი „თქვენთვის, ჩემო პატარებო“ ერთი საუკეთესო და საყვარელი წიგნია ქართულ საბავშვო მწერლობაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ი. გრიშაშვილმა საბავშვო მწერლობას ხელი მოჰკიდა მთელი გატაცებით მხოლოდ საბჭოთა პერიოდში. „საბჭოთა ბავშვების ბედნიერმა ცხოვრებამ წამახალისა, — წერს ი. გრიშაშვილი, — და რაზედაც ადრე თითქმის სრულიად არ მიფიქრია, ახლა ის ჩემი შემოქმედების ორგანულ ნაწილად იქცა“. გრიშაშვილის საბავშვო ლექსებისთვის დამახასიათებელია დიდი პოეტური სისადავე, ნათელი პოეტური სახეები, დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი ამბავი.

ი. გრიშაშვილი ნაყოფიერ შრომას ეწეოდა ლიტერატურულ კვლევითს დარგშიაც. მის კალამს ეკუთვნის ისეთი შესანიშნავი გამოკვლევები, როგორიც არის „საიათნოვა“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „თბილი-

სის ლიტერატურული ბოჰემა“ და სხვ. როგორც საიათნოვას ლიტერატურული მემკვიდრეობის ნიჭიერ მკვლევარს, 1945 წელს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გრიშაშვილს სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა.

*

ი. გრიშაშვილი ლირიკული ლექსის პირველხარისხოვანი ოსტატია. ის მთელი თავისი ბუნებით ლირიკოსია, მისი პოეტური საშუალებანი და მხატვრული ინვენტარი ლირიკულ განწყობილებას ემორჩილება. გამოთქმისა და აღწერის ლაკონურობა, ნათელი პოეტური სახეები და შედარებანი, სასიმღერო-სადეკლამაციო რიტმი მის ლექსებს ძლიერ ემოციურ ძალას ანიჭებენ. ქართულ პოეზიაში გრიშაშვილმა, ერთი მხრივ, განაგრძო ძველი, უპირატესად, აღორძინების ხანის პოეზიის ინტონაციები, იგი ამ მხრივ გამოეხმაურა ბესიკისა და საიათნოვას შემოქმედებითს სამყაროს. მაგრამ, ამავე დროს, პოეტმა ამ მემკვიდრეობაში თავისებურად შეაზავა ხალხური ლექსის ნაკადიც და ფორმაც. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ლექსები: „სალამური“, „ბოროტი და კეთილი“, „სიზმარი“, „ნატვრა“. მაგრამ შემდეგ ი. გრიშაშვილი თანდათანობით სცილდება ამ ნაკადს და თვითონ ქმნის ქართულ პოეზიაში ქართული ლექსის ახალ საფეხურს, თან შემოაქვს ახალი ინტონაციები და ახლებური ფორმები. ი. გრიშაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელია ლექსის დამყარება მუსიკალურ ელემენტზე. მისი ლექსი მეტ შემთხვევაში ამღერებულია. ამავე დროს, პოეტი არ ერიდება ლექსის მოჩუქურთმებას, ოღონდ ამ ჩუქურთმის ყოველი ნაკვთი ნაზია და სადა, შედარებებით და სახეებით განათებული. გავიხსენოთ, თუნდაც, ისეთი ლექსი, როგორიცაა „რა კარგი ხარ, რა კარგი“:

რა კარგი ხარ, რა კარგი,
კოხტა, ზღვისფერთვალება,
თმებზე ღამე გიცინის,
პირზე დღის ბრწყინვალება,
რა კარგი ხარ, რა კარგი,
შუშპარა და მჩქეფარე,
როცა მოვკვდე, გენაცვა,
ძეგლად გადამეფარე.

ვინც ამ ლექსს დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ მუსიკალურ ელემენტზე დამყარებული ლექსი არა მარტო შედარებებით არის მდიდარი, არამედ მასში, აგრეთვე, შეჭრილია ქალაქური ლექსიკა და განწყობილება. ეს საერთოდ, გასდევს გრიშაშვილის ლექსს, როგორც დამახასიათებელი მხარე. ჩვენი პოეტისათვის დამახასიათებელია მხატვრული დეტალების სრულყოფილობა, რიტმისა და მელოდიკის გულდასმით დამუშავება. გრიშაშვილი დიდხანს და გულმოდგინედ მუშაობს ლექსზე. ამიტომ მის ლექსებს ყოველთვის ახასიათებს მთლიანობა, დიდი გამჭვირვალობა და სინათლე.* სოსო თავის ბუნებით სრულიად საწინააღმდეგო პოეტი იყო, ვიდრე სიმბოლისტები. მისთვის არ არის დამახასიათებელი დანისლული სტრიქონები და ლექსის ბუნდოვანება, აქვე უნდა ითქვას, რომ მან, როგორც ახალი ნოვატორული ლექსის ერთ-ერთმა მეთაურმა, სიტყვიერ მასალაზე მუშაობის დიდი ხელოვნება შეითვისა და მიიღო. სწორედ ამის წყალობით შეინარჩუნა მან მაღალი პოეტური კულტურა. ცნობილია, რომ პოეზიაში მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ლიტერატურულ ძიებას, საკუთარი პოეტური სტილის მოპოვებას. ამ მხრივ ი. გრიშაშვილი ფრიად საინტერესო პოეტია. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ის ლექსში პოეტურ შედარებებს. ერთგან ის თვითონაც ამბობს: „ჩემო კარგო, ვით მგოსანი, ყველგან ვეძებ შედარებებსო“. იგი, როგორც სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი, გვანცვიფრებს მხატვრული შედარებებითა და ამით გამოწვეული მოულოდნელობით:

ო, მისი ლექსი ისე მძაფრია,
როგორც სურნელი გალეწილ ხორბლის.

ან კიდევ:

ხომლის აფრას დასთამაშებს
ვით ქალის მკერდს თმის ნაწნავი.

ან კიდევ:

შენს სიარულს აჯავრებს
დარხეული მთის წყარო.

იოსებ გრიშაშვილი რითმების დიდი ოსტატია, იგი ყოველთვის ეძებს და კიდეც პოულობს ორიგინალურ საინტერესო რითმებს. რითმა

* გ. ჯიბლაძე — იოსებ გრიშაშვილი — კრიტიკული ეტიუდი.

ლექსის მარტოოდენ გარეგნული სამკაული როდია. იდეის გადმოცემას, მის განვითარებას რითმა გარკვეულ ესთეტიკურ სისტემაში აყენებს. ამიტომაც რითმას ლექსში არა მარტო პოეტური დანიშნულება აქვს, არამედ ესთეტიკურიც. მაგრამ, თუ რითმას თვითმიზნური ფუნქცია აქვს დაკისრებული, თუ იგი ჯადოსნური თამაშია მხოლოდ, მაშინ მას აზრის ორგანიზაციის ფუნქცია ეკარგება. მკითხველი არასოდეს იწყნარებს სიტყვების უმიზნო, უაზრო ვარჯიშს, სიტყვიერ ჟონგლიორობას. თუ პოეტური სახე აზრის გახსნას არ ემსახურება და არ შეაქვს მასში სინათლე, ისე არც ერთი პოეტური სახე არ მისულა ხალხის გულამდე. ი. გრიშაშვილი ამას აღწევს მეტად ორიგინალური რითმებით. ი. გრიშაშვილს ძალიან უყვარს სიტყვების განმეორება:

ტოკავდა, ტოკავდა, პატარა ნარგიზი,
პატარა ნარგიზი კოხტა და ფაქიზი,
ტოკავდა და მიკვირს, თუ რამ აატოკა,
ტოკავდა უქაროდ, ტოკავდა მარტოკა.

აქ განმეორებას უაღრესად პოეტური ფუნქცია აქვს დაკისრებული და იგი დასამახსოვრებელს ხდის პოეტურ ჩანაფიქრსა და აზრს.

ასეთია გრიშაშვილის მიერ განვლილი მდიდარი და საინტერესო პოეტური გზა.

პონსტანტინე გამსახურდია

ქართული მხატვრული სიტყვის დიდმა ოსტატმა კ. გამსახურდიამ რთული შემოქმედებითი გზა განვლო. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რთული წინააღმდეგობის შემცველი გზა, ამასთანავე, მუდამ საინტერესო და ლიტერატურული ცხოვრების ყურადღების ცენტრში მოქცეული შემოქმედებითი ბიოგრაფია ბევრ ქართველ მწერალს არ ჰქონია.

ძნელია ყოველთვის პირუთვნელი ვიყოთ კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის შეფასების დროს. აქ საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ ყველა ჩვენგანს მასთან პირადი ურთიერთობა და დამოკიდებულება გვქონია მთელ იმ ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც ამ 40 წლის მანძილზე ყოფილა ჩვენში, და მაინც კრიტიკოსი, განსაკუთრებით ლიტერატურის ისტორიკოსი, ვალდებულია ამ სუბიექტურ მომენტზე მაღლა დადგეს და ჭეშმარიტებას, ლიტერატურულ ფაქტებს გაუწიოს, უპირველეს ყოვლისა, ანგარიში.

•

კ. გამსახურდია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა როგორც პოეტი. იგი კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით წერდა ლექსებს. ამ ყრმობისდროინდელი ლექსების ლიტერატურული ღირებულება არ არის იმდენად მნიშვნელოვანი და სრულფასოვანი, რომ ისინი საგანგებო განხილვის საგანი გავხადოთ, მაგრამ აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: კ. აბაშისპირელის ლექსებში ქართული მწერლობის ტრადიციის საერთო იერი, საერთო გავლენა იგრძნობოდა. ისინი უშუალოდ ეხმაურებიან მეოცე საუკუნის ათიანი წლების ქართული მწერლობის საბრძოლო განწყობილებას. 1909 წელს დაწერილ ერთ ლექსში

კ. გამსახურდია აკ. წერეთელს ჩაგრული ერისა და ხალხის მგოსანს უწოდებს და იქვე დასძენს: „შენ გვიძღვებოდი ბელადად, გზა გაგვიკაფე ბნელია“, და ჩვენ, შენი მოწაფეები, მუდამ შენი გზის ერთგული ვიქნებითო. კ. გამსახურდია, ამ ლექსის მიხედვით წარმოგვიდგება როგორც სამოციანი წლების სახელოვანი პლეადის დიდი ტრადიციების გამგრძელებელი.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ამ წლებში კ. გამსახურდიამ რამდენიმე კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა (მაგ., „გლეხკაცის საკითხი მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში“). აქ კ. გამსახურდია რეალიზმის პრინციპს იცავს და სოციალურ და ეროვნულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. მწერლობის დანიშნულებას იგი იმაში ხედავს, რომ ემსახურებოდეს ხალხს, გამოხატავდეს მის ჭირსა და მწუხარებას, მის ფიქრს, ოცნებასა და სიხარულს. ეს მოტივები და ეს განწყობილებები ამ ადრინდელ ლექსებში ისე მკაფიოდ არის გამოხატული, რომ მათ არ შეიძლებოდა სათანადო კვალი არ დაეტოვებინათ კ. გამსახურდიას შემოქმედებითს სამყაროში. თუმცა ყრმობის პერიოდის ეს განწყობილებანი შემდგომ წლებში დაიჩრდილა, უკანა პლანზე გადავიდა. კ. გამსახურდია სხვა გზების, სხვა ლიტერატურული პრინციპების ტყვეობაში აღმოჩნდა.

*

კ. გამსახურდია დაიბადა 1891 წლის 5 მაისს სოფ. აბაშაში. მამამისი — სიმონი შეძლებული კაცი იყო; სოფლის მეურნეობას თავად უძღვებოდა და უფროსი შვილის აგრონომობაზე ოცნებობდა. მაგრამ უფროსი შვილი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება და სულ მალე დააპატიმრეს და გადაასახლეს. მამა თან გადაჰყვა შვილის დარდს. კ. გამსახურდია დედის მზრუნველობით იზრდებოდა. დედა — ელისაბედი, აზნაურ თოფურიძის ასული, ქართული ენის კარგი მცოდნე იყო, „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა და მეგრულ ხალხურ სიმღერებს ჩონგურზე ამღერებდა. ასეთ ოჯახურ წრეში იზრდებოდა კ. გამსახურდია. აქ ძლიერი იყო თავადაზნაურული საქართველოს სიყვარული და ინტერესი, ძველი, გარდასული ცხოვრების სურნელება და არომატი, ბავშვის სულიერ ცხოვრებაში ამ გარემოებამ თავისი ადგილი პოვა.

კ. გამსახურდია შეჰყავთ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომლის სრული კურსი მან 1911 წელს დაამთავრა. ამავე წელს იგი მიემგზავრება გერმანიაში და შედის კენიგსბერგის უნივერსიტეტში. შემდეგ ლაიპციგის უნივერსიტეტში ისმენს ლექციების კურსს. 1914 წელს გადადის მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძლებლად. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, იგი დააპატიმრეს გერმანელებმა, როგორც უცხო ტომის წარმომადგენელი და საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. მწერალ თომას მანის ჩარევით და დახმარებით იგი გაათავისუფლეს. თომას მანისავე დახმარებით კ. გამსახურდია თანამშრომლობდა გერმანულ ჟურნალში, სადაც გამოაქვეყნა ლექსები და ნოველები. გერმანიაში ყოფნის დროს, 1911-1919 წლებში, გამსახურდიამ იმოგზაურა იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, სკანდინავიაში. ევროპაში ყოფნამ და ამ მოგზაურობამ მისი შთაბეჭდილებანი ერთობ გაამდიდრა. ამავე დროს, იგი დაუახლოვდა ევროპულ მოდერნისტულ მწერლობას და მათს გზას გაჰყვა.

გერმანიაშივე გამოაქვეყნა ცალკე ბროშურად „კავკასია მსოფლიო ომში". ეს წიგნი ითარგმნა ინგლისურად და დაიბეჭდა ამერიკაში. 1918 წელს გამსახურდია თბილისში დაბრუნდა და თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა. ამავე წელს დააარსა ჟურნალი „პრომეთე". ამ ჟურნალში თანამშრომლობდნენ ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, იოსებ გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, პავლე ინგოროყვა, სიკო ფაშალიშვილი

1919 წელს გამსახურდია ისევ დაბრუნდა გერმანიაში და დაასრულა ბერლინის უნივერსიტეტი. აქვე მიანიჭეს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

1921 წელს საქართველოში დაბრუნებული კ. გამსახურდია ლ. ქიაჩელთან და გ. ტაბიძესთან ერთად „ლომისს" რედაქტორობდა, შემდეგ ჟურნალ „ილიონს" (1922 წ.) და გაზეთებს „საქართველოს სამრეკლოს" და „ქართულ სიტყვას" (1923 წ.). 1922 წელს ალექსანდრე აბაშელთან, იოსებ გრიშაშვილთან, პავლე ინგოროყვასთან ერთად შექმნა მწერალთა აკადემიური ასოციაცია. ეს იყო მემარჯვენე ჯგუფი ქართულ მწერლობაში, რომელიც რევოლუციის პირველ წლებში პარტიის საალიტერატურო პოლიტიკისაგან განსხვავებულ პოზიციას იცავდა.

1923 წელს კონსტანტინე გამსახურდია მიემგზავრება საფრანგეთში და შედის სორბონის უნივერსიტეტში. 1924 წელს ის საბოლოოდ ბრუნდება სამშობლოში და პროფესიონალი მწერლის ცხოვრებით ცხოვრობს.

მისი ლექსები, ნოველები, რომანები, კრიტიკული წერილები სისტემატურად იბეჭდება „ლომისში," „ხომალდში, „ილიონში", „ქართულ სიტყვაში", „საქართველოს სამრეკლოში", „კავკასიონში", „მნათობში", „ქართულ მწერლობაში".

1944 წელს კონსტანტინე გამსახურდია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1965 წელს რომანისათვის „დავით აღმაშენებელი" მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა მწერლის დაბადების 70 (1961 წ. 27 ივნისს) და 80 წლისთავი (1972 წ.) ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კონსტანტინე გამსახურდიას თავისი ცნობილი ლექსების, რომანების, მოთხრობებისა და ნოველების გარდა გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები: „უკრაინის თემიდა", „ნატახტარი", „კოლხეთში", თარგმანები — დანტეს „ღვთაებრივი კომედია" და გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი", კრიტიკული წერილების, ესეების ორი ტომი. გამსახურდია აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი იყო და არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის უცვლელი წევრი, ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთების კოლეგიის წევრი. მან მეტად რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა გაიარა. ამ გზაზე როდი იყო დაზღვეული წინააღმდეგობებისა და შეცდომებისაგან, მაგრამ მას მუდამ დიდი ლიტერატურული ცხოვრების მაღალი ინტერესები ამოძრავებდა და ამოქმედებდა, როგორც დიდებულ მამულიშვილსა და მებრძოლ მწერალს. ამიტომ გულწრფელია, როცა იგი აცხადებს: „ყველაფერი, რაც შემიქმნია ჩვენი ერის სახელოვანი წარსულის სადიდებლად (ჩვენ დაუმატებდით თანამედროვეების თემაზედაც — ს. ჭ.), განკუთვნილია ჩემი ხალხის დღევანდელი დღისა და მისი მომავლისათვის, რომლის მედაფედ და მეაბჯრედ მომაქვს კიდევაც თავი".

•

კ. გამსახურდიას პირველი ნოველები შესრულებულია იმპრესიონისტული წერის მანერით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ არ ყოფილა მოდერნიზმის, კერძოდ, ექსპრესიონიზმის ბრმა მიმბაძველი. ქართული მწერლობის დიდი ტრადიციები, ქართული ხალხური ფრაზეოლოგიზმები, თქმულებანი, ქართველი კაცის ფსიქოლოგია მწერლის მოდერნისტულ სტილს თავისებურ იერს აძლევდა და მის შემოქმედებაში რეალისტურ ნაკადს აძლიერებდა. იმპრესიონისტული სტილის ერთგულებას თავისებურად ხელს უწყობდა მსოფლმხედველობა, რომელსაც მწერალი ამ ადრინდელ მოთხრობებსა და ნოველებში იცავდა: მარტოობის, სევდის, ადამიანის ძალისადმი ურწმუნოების იდეურ სამყაროში დასავლეთ ევროპიდან მომდინარე მოდერნისტული სტილი თავის ნიადაგს პოულობდა. ყველა ეს ადრინდელი ნოველა მკაფიოდ ატარებს მოდერნისტული სკოლის სტილურ ნიშნებს. ავტორი იზიარებს გერმანელი ფილოსოფოსის, სუბიექტური იდეალიზმის მეთაურის ფ. ნიცშეს უარყოფისა და გახახლების ზეკაცურ თეორიას".

კ. გამსახურდიას ადრინდელ ნოველებს შორის მწერლის განწყობილებას ნათლად გამოხატავს ნოველა „მკვდართან შეხვედრა". მოქმედება მიმდინარეობს ბერლინში. ნოველის ლირიკული გმირი ქალაქგარეთ გაისეირნებს, რათა შეისვენოს, ამოისუნთქოს, გადაიჩრდილოს ბერლინის საშინელი სიცხისაგან თავდაღწეულმა. უკვე საღამოა, გმირი ტყეში შედის, საშინელ სიჩუმეს მოუცავს არემარე. აქ ადამიანთა ნელი ჩურჩული და ვნებიანი კვნესა გაისმა მხოლოდ. ადამიანი ადამიანს ეძებს ტყეში. ნოველის გმირი კი არავის ელის და მას კვნესა აღმოხდა: „მე მარტო ვარ ჩემს ფიქრებში, მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე". ამ ფიქრებით გართული, ტყეში ხეზე ჩამოკიდებულ კაცს გადაეყრება. შეშინებული უკან გამორბის. ოთახში დაბრუნებული ფიქრობს და განაჩენი გამოაქვს თავისი საქციელისათვის: „ფუი, შენს კაცობას, შე მშიშარა, შე მშიშარა... ვწევარ პირაღმა იატაკზე და ვფიქრობ: ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდივართ დღედაღამ და გამეღელ-გამომვლელს ველრიჯებით: ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანო!" ასეთია დასკვნა. აქ სრული განწირულობისა და უპერსპექტივობის სურათია გამოხატული, აქ ყველაფერი მუქი ფერებითაა ამეტყველებული. ნოველა დაწერილია კალმის ერთი მოსმით, ერთი ამოსუნთქვით, სიტ-

ყვიერი მასალის დიდი ეკონომიით. მაგრამ ყველაფერი ეს მოდერნისტულ სტილსა და ასპექტშია წარმოდგენილი.

ასეთივე სულიერი განწყობილება და წერის მანერა არის გამომჟღავნებული ნოველაში — „პორცელანი". ქრონოლოგიურად იგი უფრო ადრეა დაწერილი, 1916 წელს. მოქმედება მიუნხენში წარმოებს. ხელოვანთა მასკარადზე ორი ნიღაბოსანი ერთმანეთს გაეცნობა. შემდეგ ისინი მეგობრები ხდებიან და ხშირად იმართება მათ შორის საუბარი ხელოვნებაზე, მწერლობაზე, მხატვრობაზე. ამ პაექრობის აი ერთი ადგილი: — „საერთოდ, ხელოვნება დღესაც ბანალურ რეალიზმში იღრჩობა...

— აი გეტყვით. მე ბარონ როსტრუპი მიტომაც შემიყვარდა, რომ იგი უფანტაზიო კაცია, იმ ხანებში იგი ბაქტერიოლოგიით იყო გატაცებული. ერთხელ, მარტო ყოფნის დროს, მეც ავიღე ხელში მისი მიკროსკოპი, ნამდვილი სინამდვილე მაშინ ვნახე, სულ სხვა ფერადი. სულ სხვა ხაზმოსმა, ვიდრე ის სინამდვილე, რომელსაც ჩვენ შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ.

— მაშასადამე, — ვიფიქრე მე, — ჩვენი სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა–მეთქი. კიდევ ყოფილა მეორე სინამდვილე. ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა, მხატვრის მიკროსკოპში დანახული. ამ შეგნებამდის ამ ათიოდე წლის წინად მივედი და ირაციონალის ფერების შეხამება დავიწყე. მაშინ სად იყვნენ ექსპრესიონისტები? მე მათდა დამოუკიდებლად მივაგენი ირაციონალ ექსპრესიონიზმს. სულ მიკროსკოპის წყალობით.

იგი გაჩუმდა. ჩემს სულს ახალი ჭეშმარიტება ჩაეწვეთა".

ასეთ რემარკას უკეთებს ავტორი ამ საუბარს. და აქ სრული სიმართლეა. ევროპაში მოგზაურობამ, ბურჟუაზიულ ხელოვანთა და შეხედულებათა გაცნობამ კ. გამსახურდიას სულიერ სამყაროს ეს ახალი ექსპრესიონისტული აზრი ჩააწვეთეს, შემდეგ ეს წვეთი მთელ მიმდინარეობად, შეხედულებად იქცა. კ. გამსახურდია საკმაო ხანს დარჩა ამ შეხედულების ერთგული.

ამ ნოველაში და, საზოგადოდ, ადრინდელ ნოველებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მსჯელობებს, მაგრამ ეს არ არის მსჯელობა აღწერით. არა, აქ გარკვეულ ფილოსოფიურ შეგონებასთან და დახასიათებებთან გვაქვს საქმე, რაც ჩვენი ბელეტრისტის წერის მანერაში შედის, როგორც საგნებისა და მოვლენების და მასთან მწერლის დამოკი-

დებულების გამომჟღავნების საშუალება. აქ ისიც სათქმელია, რომ გამსახურდიას ყოველ ნოველასა და რომანში არა მარტო ადამიანებს, არამედ საგნებს, ნივთებს თავის ფუნქცია აქვს. ისინი ნაწარმოების ქვეტექსტებად გვევლინებიან. აი რამდენიმე მაგალითი: „მე მგონია, ყოველი ერი და ყოველი პიროვნება ყოველდღიურ წვრილმანებშიაც ისე აშკარად აჩენს თავის სულიერ სახეს, როგორც თავის ფილოსოფიისა და მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებში. ცხოვრება სხვა რაღაა, თუ არა საგნებისადმი დამოკიდებულების გამომჟღავნება. ადამიანი წვრილმანში იჩენს თავის ხასიათს, რადგანაც დიდ საქმეში მას არაფრის დამალვა არ შეუძლია"; „მუზეუმი სხვა რაღაა, თუ არა უშველებელი სასაფლაო, სადაც ყოველი ერი თავის გრძნობებს მარხავს, დიდი საფლავი მიცვალებულ გრძნობათა. დრომოჭმულ ფერადებისა და რითმების", „ადამიანი ნელ-ნელა ამჩნევს ცვლილებას, ცვლილება რომ ერთბაშად შეგვენიშნა, ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცეოდა და არავის დასჭირდებოდა მეორე ჯოჯოხეთის გამოგონება"; „არიან ადამიანები — ნებაყოფლობით მგლოვიარენი. ისინი არ გრძნობენ არც ძრწოლას, არც მოწყენას, რადგან მათთვის უცნობია დიდი სიხარული"; „ისინი არ გრძნობენ გლოვას, რადგან მათ სულში არავის დაუთესია იჭვის გესლი. ისინი უკეთესს არ ინატრიან, რადგან უკეთესი ვერ წარმოუდგენიათ"; „თქვენ შეგიძლიათ განუსაზღვრელი სიხარული გიღვიოდეთ გულში. თქვენ შეგიძლიათ განუსაზღვრელი ბედნიერება გულჩათხრობილად ატაროთ თქვენს გულში. მაგრამ ვიდრე ამ სიხარულს, ამ ბედნიერებას მეორე ადამიანს არ უწილადებთ, სავსებით თქვენ ვერ შეიგრძნობთ მათ".

ჩვენ აქ განგებ მოვიყვანეთ ამონაწერები სხვადასხვა ნოველიდან. აქ გამოყენებულია ოდნავ განსხვავებული ფერები და საღებავები. ასევე განსხვავებულია განწყობილებაც, მაგრამ ვინც ამ ადგილებს დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს, რომ ამ შეკონებებში, ამ მსჯელობებში ისევეა გამომჟღავნებული დეკადენტური, იმპრესიონისტული წერის მანერა, რომელსაც მწერალი ამ დასახელებულ ნოველაში იცავდა, როგორც, საერთოდ, მთელ მის ადრინდელ შემოქმედებაში. მწერალი ახდენს ამ შეხედულებების ერთგვარ განზოგადებას და ქმნის გარკვეულ სისტემას.

კ. გამსახურდიასათვის დამახასიათებელი სტილური თავისებურებანი შეიძლება იყოს არა იმდენად სიუჟეტის გამოგონებაზე ყურადღების

გადატანა, რამდენად ყურადღების გამახვილება ხატვაზე, სურათოვნებაზე. გამსახურდია, უპირველეს ყოვლისა, ხატვის ოსტატია. ხასიათის გამოსახვა, მოვლენის და საგნის აღწერა სიტყვიერ ხატოვანებას ეფუძნება. ამიტომ მწერალი სიტყვიერი მასალის შერჩევას უდიდეს ყურადღებას უთმობს, ცდილობს ყოველი ფრაზა ხატი იყოს. აქ სიტყვა ეფუძნება არა იმდენად ხედვას, რამდენად მუსიკალობის, სმენის ორგანოს. მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში არავის ისე ორიგინალურად არ გაუერთიანებია პროზაში ხედვა და სმენა, როგორც კ. გამსახურდიას. ცნობილია, რომ კლასიკური პროზა მეტწილად ხედვას, დაკვირვებას და, ამის მიხედვით, სიუჟეტის მოთხრობას ეფუძნებოდა. მეოცე საუკუნის პროზამ ყურადღება გადაიტანა სმენაზე, მუსიკალობაზე, პროზაში რიტმის ელემენტები შემოიჭრა. უკიდურესობამდე მიიყვანეს ეს ხაზი სიმბოლისტებმა. უარყოფდნენ რა დიდი სოციალური და პოლიტიკური ვნებების გამოხატვას, მათ ყურადღება გადაჰქონდათ ადამიანის საკუთარ მეზე და სავსებით გამორიცხავდნენ თხრობითს ელემენტებს, ხედვის, დაკვირვების მნიშვნელობას მწერლობაში. ასე შეიქმნა დეკადენტობის გზა მწერლობაში, რომელსაც ყოველგვარი მოდერნისტები ებღაუჭებოდნენ და ემყარებოდნენ. მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში იყო ამ უკიდურესობათა გამოხატულებანი, მაგრამ ყოველივე ამან განვითარება ვერ პოვა. შეიძლება ითქვას, რომ გამსახურდიამ ერთგვარად აიცდინა დიდი უკიდურესობანი დეკადენტური სკოლებისა ამ თვალსაზრისით და სცადა თავისებური, საკუთარი გზა აერჩია. ეს გარემოება კი, პირობითად რომ ვთქვათ, თავისებურად გამოიხატა პროზაში სმენისა და ხედვის შერწყმაში, ხატოვანი სიუჟეტის პოეტურ გადაწყვეტაში. კ. გამსახურდია ერთგან შენიშნავს:

„მე იმ ხანებში ახალ მოთხრობების თემებს ვეძებდი.

თქვენ ბედნიერი ბგონიათ მწერალი?

მუდამ დამკვირვებლის როლშია. მთხრობელივით უთვალთვალებს ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს და ყველაზე მეტად თავის თავს, აბა, რა შენიშნოს, რა დაიჭიროს, რა დაიხსომოს.

მწერალს არ შეუძლია თავდაჭიწყება თვით უაღრესი ტკბობისა და ექსტაზის ჟამს. საყვარლის სარეცელზე, ხმელზე, ზღვაზე, ბუნების წიაღში, ყველგან, ყოველთვის აკვირდება იგი სამყაროს და თავის თავს“ („ქოსა გახუ“).

ასეთი რამ დეკადენტ მწერლებს არასოდეს წამოსცდენიათ. კ. გამ-

სახურდია აქ უკვე რეალიზმის საზღვარზე დგას, და ეს ისეთ უაღრესად მოდერნისტულ ნოველაში, როგორც არის „ქოსა გახუ“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კ. გამსახურდიამ, ქართული მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილმა მხატვარმა, თავისი სულიერი ცხოვრების სამყაროში მაშინაც შემოინახა რეალიზმის ეს ნაკადი, როდესაც იგი მოდერნიზმის გზას ქადაგებდა ლიტერატურაში.

კ. გამსახურდიამ თავისებურად მოარიგა მოდერნისტული სკოლის შეხედულებები ძველის, საქართველოს გარდასული ყოფის სიყვარულთან. იგი მისტიროდა ყოველივე ძველს, განსაკუთრებული რომანტიკული ფერებითა და სიყვარულით აცოცხლებდა ამ გარდასულ ყოფას. და მისი სულიერი ცხოვრების დიდი სევდაც აქედან წარმოდგებოდა. ეს განწყობილება ყველაზე ნათლად გამოვლინდა ნოველაში „ზარები გრიგალში“. აქ მთავარი გმირია მნათე ოქროპირი. ამ გაუთლელმა და უსწავლელმა კაცმა „ქვეყნის გამოცვლა“ გვიან შეინანია, ხოლო უფრო გაცნობიერებულნი ადრევე მიხვდნენ, მიხვდნენ და ნანობდნენ. „ამჟამად სოფელში ყველა ნანობდა“. — ასეთ რეპლიკას გვთავაზობს ავტორი რევოლუციის შედეგად გამოწვეული ახალი ძვრების გამო. ძველი ცხოვრების ერთგულნი, უფრო მოქნილნი და მოხერხებულნი, რევოლუციას მიეტმასნენ, ასე მოიქცა ამ სოფლის მღვდელი, იგი გაიპარა, გაიკრიჭა და სადღაც თემშარაზე სამიკიტნო გახსნა. და აი, ამ ნახუცარმა მიკიტანმა ერთ დღეს დაათრო მნათე ოქროპირი, ამ უკანასკნელში გაიღვიძა ძველმა მნათემ. ეკლესიის სამრეკლოს მიაშურა: „აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს, აწი ვინ შეაკეთებთ სამრეკლოს, ფიქრობდა ოქროპირი, ხელების ფათურით ადიოდა სამრეკლოს ბნელსა და მიხვეულ-მოხვეულ კიბეზე. მოავლო მნათემ ძველ თოკებს ხელი, ჩამორეკა ორი პატარა ზარი ღრიალით, წკრიალით გაქანდა პაწია ზარების ფოლადის სიცილი. ორი თეთრი მწევარი გამოუდგა დაკოდილ ნადირს. გახვრიტა, გააპო მიძინებული სოფლის კოშმარული ძილი, თავს გადაევლო გარინდებულ, ბამურულ ფაცხებს და ქოხებს, შეაკრთო მღელვარე თხემლნარევი, გადავარდა მიყრუებულ ღელეში, დაიკარგა მთვარიან ღამეში ნათქვამი ზღაპარი. მოვარდა ქარი ქლოშინით აქოჩრილი, ხახადაღებული ძუ მგელი, ეძგერა სამრეკლოს, შეარყია, შეანჯღრია, შეატორტმანა, რომელსაც პატარები მოპარეს ბუნაგიდან. ოქროპირმა მეორედ, მესამედ დაარხია ზარები, ბოლოს იმძლავრა ქარმა და წააქციეს ეს სამრეკლო და ეს ექსტაზში დაღუპული ზარების გრიგალში წაქცე-

ული მნათე ოქროპირი წმინდა ზაქარიას ეკლესიის ეზოში ეგდო, როგორც მკვდარი ღმერთის უშველებელი, უპატრონო ლეში“.

ამ ნოველაში განზოგადებულად არის დახატული პატარა კაცის, მნათე ოქროპირის ბედი, რევოლუციის გრიგალში დაღუპული კაცის ბედი. და რომანტიკა წარსულისა, თაყვანისცემა გარდასულისა გამოხატულია მწერლის მიერ დიდი სიყვარულით. ხოლო მისი შეჯახება ახალთან, რევოლუციის გრიგალთან და დაღუპვა გამოსახულია სევდით, რომანტიზებულად და ამაღლებულად. ასეთი დროგადასული, რევოლუციის გრიგალში წაქცეული ადამიანების ბედის გამოხატვაში იჩენდა მწერალი დიდ ოსტატობას. კ. გამსახურდიას სამართლიანად ებრძოდა ჩვენი კრიტიკა სწორედ წარსულისადმი გადაჭარბებული სიყვარულის გამო და უბიძგებდა მას, ეს დიდი ოსტატობა ადამიანის ვნებებისა და ხასიათის გამოხატვისა დაეხარჯა ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანის მხატვრული განსახიერებისათვის. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ კ. გამსახურდია წლების განმავლობაში იცავდა მოდერნიზმის პრინციპს და ამ გზას მიჰყვებოდა. ეს განწყობილება უმთავრესად გამომჟღავნებულია ნოველებში — „ლილ“, „ქოსა გახუ“ და „ტაბუ“.

ნოველაში „ლილ“ ნათლად ჩანს ერთგვარი უნდობლობა ადამიანების მიმართ. აქ ასეთი ამბავია მოთხრობილი: ბერლინიდან დრეზდენისაკენ მიმავალს, მატარებელში შეხვდა ვიღაც ბერძენი ლიკიარდეპულო, რომელიც სოხუმში ყოფილა და რომლისთვისაც ბოლშევიკებს წაურთმევიათ თამბაქოს პლანტაციები. მასთან საუბარში იხსენიებს ეს ლირიკული გმირი საქართველოს, რომელიც ეძახის მას თავისაკენ. ამ პლანტატორისაგან გაიგონა მწერალმა, რომ საქართველოში ყველაზე მშვენიერი დრო არის იხვების გადაფრენის დრო სოხუმში. და აი, მწერალი, რომელსაც სჯერა, რომ ვნებები ამოძრავებს ჩვენს ცხოვრებას, ნადირობის ტრფიალმა საქართველოში დააბრუნა და თავის ნათესავებს მიაშურა. ბიძა, რომელიც ემდურის რევოლუციას და ახალ ხელისუფლებას, ბუზღუნით ხვდება სტუმარს: „ბიძაჩემი მუდამ ბეგარებს მისტიროდა“, ამიტომ ამ ძველ მონადირეს აღარც მიმინო ჰყავდა, არც ძაღლები, აღარც სანადირო თოფი ჰქონდა. ეს განიარაღებული კაცი ასე შესჩივის მწერალს: „რა დროს ნადირობაა, ქვეყანა იქცევა, გამძარცვეს, მამულები წამართვეს, ცხენებს რეკვიზიცია უქნეს, წისქვილი დამინგრიეს, ხერხის ქარხანად გადააკეთეს“, შვილს „საცოდავ ნინუკას საბეჭდ მანქანაზე მუშაობით სამკეცი ტყავი აქვს თი-

თებზე გადამძვრალი“. მწერალი ეძებს პარტნიორს. ასეთ პარტნიორს მალე აღმოაჩენს: ეს ექიმი შარუხიაა, ისიც საკმაოდ უთრევია ბედს, ამ 15 წლის წინათ ციმბირიდან გაქცეულა ტოკიოში, იქიდან ევროპაში გადასულა, ვენაში სამექიმო ფაკულტეტი დაუსრულებია, 5 წელს უმსახურია ერთ ავსტრიულ სავაჭრო გემზე, შემოუვლია თითქმის მთელი წყნარი ოკეანე და ახალ ზელანდიაში ერთი ფრანგი ექიმისთვის ცოლი წაურთმევია და ორიოდე წლის წინათ სოხუმში გამოურიყავს ბედისწერას ეს საოცარი რობინზონი; უნგრელი ქალის გვარი „ლილ“ სახელად უქცევია. ნოველის გმირს მოეწონება ეს ქალი. მწერალი შემდეგ გვაცნობს ამ ადამიანთა შეხედულებებსა და განწყობილებებს. ექიმი შარუხია, ეს გულგამოჭმული სკეპტიკოსი, ყველაფერს ცინიკურად უყურებს, ძის კაცთმოძულეობის თეორიას ავტორი გზადაგზა აკრიტიკებს კიდეც. „ექიმი შარუხია, გულგამოჭმული სკეპტიკოსი, რომელსაც ცაზე ღმერთი არად მიაჩნია და ადამიანები სძაგდა, ან ებრალებოდა, ყოველ მოვლენაში გაცილებით მეტ მავნე მხარეებს ხედავდა, ვიდრე სასარგებლოს. ის არც პატრიოტია“. მას ამჟამად ყველაფერს ურჩევნია, ერთი დაკვრით რომ შეეძლოს, ხელი აიღოს ოჯახსა და სამშობლოზე, პირველ შეხვედრილ გემს გაჰყვეს თუნდაც უბრალო ფერშლად ისევ ახალი ზელანდიისაკენ, ოღონდ მის საცხოვრებელ მიწაზე არ ედოს ფუძე. მწერალს აოცებს ეს გარემოება, მაგრამ, საქმის ვითარება მაინც ისეა დახატული, რომ ნაწარმოებში უმთავრესი ადგილი შარუხიას კაცთმოძულეობის შეხედულებებს აქვს დათმობილი. ლამაზი ლილ, რომელსაც გატაცებით ესიყვარულებოდა ნოველის გმირი, თურმე რახიტიანი ყოფილა. ზღვაზე ბანაობის დროს შარუხია საკუთარ ცოლს, ლილს, შიშველს აჩვენებს ნოველის გმირს, რაც მწერალს გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ დაგვარწმუნოს: გარეგანი მშვენიერებისა და სილამაზის მიღმა იმალება ბევრი საიდუმლოება. საერთოდ, ჩვენი წარმოდგენები სიცრუეზე, სიყალბესა დ მოტყუებაზეა დაფუძნებული. ასეა გამოხატული ხატოვანი სიუჟეტით დეკადენტების სუბიექტური იდეალიზმის ფილოსოფია.

დროგადასული, რევოლუციის მიერ გარიყული ადამიანების სულიერი სამყაროა გამოხატული „ქოსა გახუში“. ნაყაჩაღარ ტაგუს და ნახუცარა იონას რევოლუციამ ყველაფერი ჩამოართვა. არაფერი შეარჩინა, ერთი მეწველი თხისა და ჩელტის ნალიას გარდა. „ნახუცარა იონა მაინც გულს არ იტეხდა, ეფუთში ეძებდა ბოლშევიკების წასვლის თა-

რიღებს, სასთუმლიდან არ იშორებდა ლოცვანებსა და წმინდა წიგნებს. დიდის პათოსით კითხულობდა იობის წიგნს, ხედავდა ალბათ რაღაც იდუმალ ანალოგიას განაწამებ ბიბლიურ კაცთან და ეს მხნეობას მატებდა ბერიკაცს". ვინ არის ახლა ეს ტაგუ? ტაგუ მანუჩარ ბატონიშვილისა და მისი მკვიდრი დის ხათუნას შვილია. როგორ თუ და-ძმის შვილი? „ცოდვა ადუღდა ნიკო ბატონიშვილის ოჯახში, მანუჩარი სიყმაწვილეში ავხორცი იყო, ხათუნა 12 წლამდის ძიძას ჰყავდა, და-ძმა ერთიმეორეს გადაეჩვია, მანუჩარი 15 წლის იქნებოდა, როცა ხათუნა ძიძამ მოიყვანა და იმ წლის სექტემბერში დატრიალდა ეს გაუგონარი უბედურება. მანუჩარს ცოლი შერთეს, ემუხვარის ქალი, ხათუნა საოფხაზოში გააქროლეს მოსალოგინებლად, მაგრამ შვილოსნობას გადაჰყვა საცოდავი. ორი წლის შემდეგ სამუგიათ მონათლა მანუჩარმა ტაგუ. ცოლის შერთვამდის შინ ყავდა, შემდეგ მიწა-მამული მისცა და თავის არეში ჩამოასახლა". ტაგუ, ახალ დროში გადარჩენილი ძველი კაცი, წინაპრების ცოდვებით დატვირთული, სულით ცოდვილი მწერალს განსაკუთრებული თანაგრძნობით აქვს დახატული. მწერალი იქვე აცხადებს: „მე ლმობიერად ვექცევი წინაპრების ცოდვებს", და ამ აღიარებაში სრული ჭეშმარიტებაა.

კ. გამსახურდია თავის ადრინდელ ნოველებში სწორედ სიმპათიებითა და თანაგრძნობით ხატავდა ამ ძველი ნაკაცარების, ნათავადარების, ავი ზნით შეპყრობილი დეგენერატების სიმახინჯითა და ცოდვით სავსე ცხოვრებას. ასეთია, კერძოდ, ეს სამუგია — ავანტიურისტი, კაცისმკვლელი, ნაყაჩაღარი, „ჩინებული მოსაუბრე, კარგი მონადირე, მაღალი და კაფანდარა, მუდამ შინდისფერი მოკლე აფხაზური ჩოხა რომ აცვია. გრძელი, თეთრტარიანი სვანური ხანჯალი რომ ჰკიდია და ცარიელი ბოღჩა სმიტისა და ვესონის რევოლვერისა. არც ერთ რეჟიმის დროს ხელი არ შეუვლია თოხისა და ერქვანისათვის. ორი ნალია სიმინდი ყოველ წელს ჭერამდის სავსე აქვს მაინც. ცალი ხარი ჰყავს და ერთი კვიციანი ჭაკი, ათიოდე თხა, ყანებიც აქვს და ბაღ-ბოსტანიც". ასეთია ამ ნაკაცარის სახე. იგი ადვილად არ შეეგუა ახალ დროს, მაგრამ მასთან ბრძოლაში სამუგიას ძარღვებში აზვავებული ბატონიშვილის სისხლი დამარცხდა.

მენშევიკების დროს სამუგია კოოპერატივის გამგეობაში გაძვრა, ყოველ კრებაზე პირველი ორატორი, ყოველ სუფრაზე შეუცვლელი თამადა იყო, ღამით აბრაგობდა, დღისით ნადირობდა. ჩვენს დროში

რომანტიკული დროების ავანტიურისტი თუ სადმე დარჩა, ეს გახლავთ ტაგუ სამუგია. ახალ დროსთან შეურიგებელი ეს კაცი ხშირად მოთქვამს: „აი დედასა, რა დრო წაგვივიდა, უბედურო ჩემო თავო. ასეთი დღეები მინახავს და ახლა ქუსლმოქცეული ოჩიგავა დამაჯდა თავზე“. ტაგუ წუხს, რომ მანუჩარის სასახლის პარკეტის იატაკი ალანიების ქალამნებმა წაბილწეს. ამ ადამიანის სულიერი წყვილია ქოსა გახუ, ჰკუაშერყეულ მანუჩარ ბატონიშვილის ცოდვების მსხვერპლი, ეს ბედდამწვარი გლახა. ეს მკვიდრი ძმა ტაგუს ძლიერ ჰგავდა თავის ქალის წყობითაც და შუბლითაც. „ყურები ნამდვილი დეგენერატისა, ნიკაპი თითქმისა სულ არ ჰქონდა, მის პროფილში ძლიერი გაბოროტებული გამომეტყველება გამოკრთოდა; რომელიღაც უხეირო მტაცებელი ფრინველის პროფილი. არც ისე ხნიერი ჩანდა, მაგრამ ქოსა ლოყები ნაზამთრალ უნაბივით შეეკნობოდა ყბებზე. ბეიტის ბურტყლივით ქერა, თხელი წვერი ხავსივით მოდებოდა სახეზე აქა-იქ. ტანმორჩილი, მკერდჩავარდნილი, წელში მოდრეკილი, გამხდარი, თხილის ჩურჩხელასავით გამხდარი, წვრილძვლებიანი, მოკლე და სწორი ფეხები, ბავშვური პატარა ხელები, ხმა დიაცური, წვრილი და უსიამო, ყურებში ზინთქი ჩასდგომოდა, თვალებში წირპლი. მონაზონის ჩოხის მაგვარი შავი ჯვალოს მოსასხამი ემოსა დალეულ ტანზე, ქერტლი და წიდა დალეკოდა კიდებწაჭმულ საყელოზე, ლაპარაკის დროს წვირიან ფრჩხილებს იძიძგნიდა, ნიადაგ მარჯვენა სახელური გაზანგული ჰქონდა ცხვირის ნაწმენდით. საჩვენებელი თითით მუდამ ცხვირს იჩიჩქნიდა“. ასეთია ამ ყოფილი ბატონიშვილის, დეგენერატი კაცის პორტრეტი. აქ შერჩეული საგნები და ადამიანები, თავისთავად მოდერნისტული ხასიათის გამოსახატავად მომგებიანი მასალაა. ნოველაში ირკვევა რომ ეს დამთხვეული — გიჟი, სულელი გახუ თავს განგებ იგიჟიანებს, რომ ამით რევოლუციის ქარიშხალს გადაურჩეს, ძველი ცოდვები მოინანიოს, თავისი ერთადერთი შვილი გადაარჩინოს, მაგრამ, როცა ამასაც ვერ გახდება, მაშინ უკვე თავის თავს ამხელს, თავის ნამდვილ სახელს ირქმევს. „...თავი მოვიგიჟიანე, — განაგრძო გახუმ, — სხვა გზა არ იყო. ცხონებულ მამაჩემს მთელი სოფლის გლეხობა გადაკიდებული ჰყავდა, ჯერ ჩემს ხსოვნაში ულვაშებს აგლეჯდა გლეხებს. წამოაქცევინებდა მოწიფულ ვაკაცებს, მკერდზე ცხელ ღომს დააგებდნენ და ძაღლებს დააპურებდნენ, იახადო, ხანდახან ძაღლები წაიკიდებოდნენ, და ისეთი შემთხვევაც ყოფილა, ხელ-ფეხშეკრული ვაკაცი რომ დაუკბენია ძაღლებს;

ბაგრამ მაშინ მე ბავშვი ვიყავი, იახადო, მე ახლა რა შუაში ვარ, იახადო, მე ჩემი თავმოყვარეობა დავთმე, ოღონდ თემრა გადამერჩინა, აწი სულერთია ჩემთვის, გინდ გიჟი ვეგონო, გინდ ჭკვიანი, აწი რაც ენებონ, ის მიქნან". შვილის სიკვდილის შემდეგ გახუმ სახლ-კარი გადაწვა, ტეხურში გადავარდა და თავი დაიხრჩო. როდესაც მისი დამხრჩვალი გვამი გლეხებმა ამოათრიეს და მანუჩარ ბატონიშვილის ნაშიერი შეიცნეს, ისევ მდინარეს მისცეს. ამ სურათის დამსწრე ტაგუ სამუგიაში გაიღვიძა ძმობის ინსტიქტმა, „სანთელივით გაფითრდა, ისევ გაწითლდა, სისხლი აუვარდა სახეზე; თვალი ვკიდე: ეს მანუჩარ ბატონიშვილის ნიღაბაფარებული სისხლი იყო, სისხლი ნააბრაგალისა და ფეოდალის, რომელიც სააშკარაოზე ვეღარ ბედავს გამოსვლას". ეს ნიღაბოსანი, რევოლუციის მოწინააღმდეგე ადამიანი, მტრის როლში წარმოდგენილი, კ. გამსახურდიამ საკმაოდ ამხილა, მაგრამ, როგორც ვთქვით, თანმიმდევრულად, ბოლომდე არ გაიმეტა და შეიბრალა, როგორც ამის შესახებ თვითონაც შენიშნავს.

ნოველა „ტაბუში" მოცემულია გაორებული ადამიანის პაექრობა თავის თავთან, თავის ლანდთან. დუელი ევროპელი ბინოკლიანი ინტელიგენტისა და ჩოხიანი თავადიშვილისა დახატული დიდი ტემპერამენტითა და გზნებით. აქ ყველაფერი გაორებულია, ამეტყველებულია მითების — უემურების, შელოცვების, ოჩოპინტრების, ლეგენდების სამყარო. ხალხის ხსოვნაში აქ აღწერილი ნაჭყვედის სოფელი მუდამ შიშის მომგვრელი იყო, მითების ამ სამყაროს ხალხი მუდამ ეკრძალებოდა.

მწერალი ყოფილ კაცს — დიაკონს მიაშურებს: „უნდა მენახა საბრალო მოხუცი, მისგან მაქვს ნასწავლი ანბანი და სიზმრის ახსნა. პირმოთნეობად ნუ ჩამომართმევთ და მე ვაკოცებდი მას დამჭკნარ სახეზე, ვეტყოდი მაინც, ძვირფასო მოხუცო, ეს შენ გამილე ზღაპრებისა და მითების დახშული კარი, შენ მასწავლე მთელს ქვეყანაზე ულამაზესი ქართული ასოებით მოხაზვა. შენი წყალობით ვყავ საცნაური ძველი დრო თავისი ლეგენდებითა და სასწაულით". და აი, ესტუმრა მწერალი ამ ნაკაცარს და მწუხარება დაეუფლა მის გაორებულ სულს. ოცი წლის შემდეგ ნახევრად ბნელ საკანში შეხვდნენ ისინი ურთიერთს. ახლა ყველაფერს უჩივის ეს ნაკაცარი, ამ წყეულ დროში თევზიც გაეშმაკებულა და ადამიანიც. აგურისფერი ჩოხა არავის აცვია და უძიროები, ხელზე მიმინო არავის უზის და სანადირო ძაღლებიც არავის

ჰყავს. ეს ყველაფერი ძველს ეკუთვნის. მაგრამ მწერალს ამ ძველი დროის ინვენტარიდან ბევრი რამე ხელმეორედ გაუცოცხლებია. „ჩოხიანმა მიმინო გადასცა და ხმადაბლა უთხრა ბინოკლიანს: „ორეულო, ჩემო მოსისხარო მტერო, დუშმანო, მომეწყინა ამ ქვეყანაზე უმიზნოდ ყოფილი, მინდა მატყლივით თეთრი წვერი მქონდეს, შორს ვიყო ადამიანებისაგან და განუზრახველის გამჟღავნება შემეძლოს და გიამბო ის, რაც მოხუცმა დიაკონმა მომითხრო“. ჩოხიანის სულის მსგავსი, მასთან ზიარებული დიაკონიც ალაპარაკდება. ნაჭყვედის გამო ჩხუბი ჰქონია ჭყონდიდელსა და დადიანს, ბოლოს ჩოხიანმა აჯობა ანაფორიანს. ბისკაიები ჩაასახლა ნაჭყვედურში. მათ მიმინოების მოვლის გამო აზნაურობა უბოძათ. მერე მოხდა უცნაური რამ. ბისკაიებს მიმინო დაეკარგათ, ხარბედიებს მოსთხოვეს, მოეძებნათ იგი; ხარბედიების ქალს ხვარამზეს სატანამ აღუთქვა დახმარება, მერე დაორსულა ეს ქალი. მან დაბადა მორიელი, რომელმაც ბისკაიებიც და ხარბედიებიც, გლეხებიცა და აზნაურებიც ამოწყვიტა. მწერალი აცოცხლებს მითების, ზღაპრების, სასწაულების, წარმართობისა და უძველესი დროის ჩამორჩენილი ადამიანების ავადმყოფური გონების ნაყოფს და ისეთნაირად გამოხატავს მთელ ამ სურათს, რომ გამითებული ეს სამყარო შიშსა ჰგვრის ადამიანს. ამ ნოველაში გამსახურდიას მიერ ცხოვრებაზე, ახალ სინამდვილეზე გულაყრილი კაცის წარმოდგენით გაცოცხლებულ სამყაროს არაფერი აქვს საერთო ჩვენს ცხოვრებასთან, ჩვენს სინამდვილესთან.

კ. გამსახურდია თავის ადრინდელ ნოველებში სათანადო მასალებს პოულობდა უმთავრესად ამ გარდასული ადამიანების სულიერ ცხოვრებაში, ამიტომ რევოლუციის მიჯნაზე მდგარი ადამიანები ნოველების უმთავრესი გმირები იყვნენ. ასეა ეს, კერძოდ, უფრო რეალისტურ ნოველაში წარმოდგენილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნოველა „დიდი იოსები“. აქ აღწერილია 25 თებერვლის ღამე. მენშევიკების მთავრობა გაიქცა, ყველა ბურჟუა, ყველა ფეოდალი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა და ამ რაღაც საოცარისა და არნახულის მოლოდინში მეკურტნე იოსები, დიდ იოსებად წოდებული, ვიღაც დიდმა კაცმა წაიყვანა, ოჯახის ნივთების ჩალაგებაში მოიშველია. შემდეგ ამ ნაოხრალ სახლს 30 წლის მეკურტნე რაჭველი იოსები დაეპატრონა. იოსებ ქველიძე ხედავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სოლოლაკის დიდი დარბაზიდან გამორეკა ეს ბურჟუები და მემამულეები და დაურიგა ნახალოვკიდან მოყვანილ მუშებს. იოსებსაც შერჩა თითქოს ეს სახლი, მაგრამ მას მოსვენება დაე-

კარგა: ეს მუქთად შეძენილი ქონება აწუხებდა. სადღა იყო ის აუმღვრეველი ძილი, ის ტკბილი სიზმრები, ავლაბრის სარდაფში რომ ენახა. ეზმანა დიდ იოსებს, ვითომ სახლის პატრონი დაბრუნდა და ანგარიში მოსთხოვა იოსებს. თვალებით იცნო დიდმა იოსებმა ბინის პატრონი, მუხლები მოეკეცა, შეეუდრა, ეპატიებინა მისთვის, რომ მან, დიდმა იოსებმა, რომელსაც არასოდეს სხვისი ნაოფლარი არ მიუთვისებია, სხვისი ქონება გაფლანგა. მაგრამ ამაო იყო მისი ცრემლები, მეპატრონის ხმალმა შუაზე გააპო იოსების თავის ქალა. მეორე დღეს, მართლაც, კომუნალური მეურნეობის აგენტმა ჩაიბარა დიდი იოსების ნადავლი ბინა, ხოლო თავად დიდი იოსები მეეზოვედ დააყენეს და ნესტიან ოთახში შეაგდეს. აქ გაიცნობს იგი ვიღაც სტუდენტს — გივის. მისი შეგონებით, შავ საქმეში ჩაებმება, ყალბი ფულების მომჭრელი სტუდენტის აგენტი გახდება. ეს სტუდენტი იოსებს ჩასჩიჩინებს, რომ მანქანა ლუკმაპურს წაართმევს მალე ადამიანებს, ყოველ ჩვენგანს შენი კურტანი მოუნატრებაო. ბოლოს ცუდ გზაზე დამდგარი ეს რაჭველი კაცი, მართლაც, მანქანამ გაიტანა და ასე უბადრუკად დასრულდა მთელი მისი ცხოვრება: რევოლუციამ უბედურება მოუტანა მეკურტნე იოსებს.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ კ. გამსახურდია არ იყოს სიმპათიით გამსჭვალული ამ მუშისადმი. არა, ის მას დიდი სიყვარულით ხატავს, თვითონაც შენიშნავს მწერალი: „მე არ ვთაკილობ პატარა ადამიანების სულში მომხდარი აღრევის გამოსახვას, ამიტომაც გულდასმით შევისწავლე დიდი იოსების ცხოვრება, თითქმის ყოველივე აქ მოთხრობილი ჩემი ზედმიწევნითი დაკვირვების შედეგია, ზოგი რამ თანდამსწრეთაგან გამოკითხული, მაგრამ მრავალგზის სინამდვილესთან შეწამებული.

უნდა გამოგიტყდეთ, ბავშვობიდანვე მიყვარდა რაჭველი მეკურტნეები, ხოლო ესენი არ თაკილობდნენ ერთ დროს თბილისის ქუჩებზე რუსთაველის ენაზე ლაპარაკს. ყოველ ქუჩის კუთხეში დაბანაკებულ თუშურქუდიანი მეკურტნეები ქართულ იერს აძლევდნენ ჩვენს დედაქალაქს. კურტანი, ნეტავი ვის მოუვიდა პირველად თავში ასეთი ბარბაროსული აზრი, ადამიანისთვის უღელის დადგმა. ბავშვობაში ფრიად სათაკილოდ მიმაჩნდა, რომ ეს ბრგე, ახოვანი რაჭველი ვაჟკაცები სოლოლაკის პლუტოკრატიის ხელით დადგმულ კურტანს ატარებდნენ თბილისში“. თითქოს ამის შემდეგ ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ავტორი რევოლუციის მიერ კურტნისგან განთავისუფლებულ ამ მუშის

ცხოვრებას სხვა ასპექტში წარმოგვიდგენდა, მაგრამ ეს არ მოხდა. აქაც კ. გამსახურდიამ ამ რიგითი კაცის ბედი ახალ მანქანურ ცხოვრებას დაუპირისპირა და ამ ფონზე გვაჩვენა დაღუპვაცა და მისი ტრაგედიაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს კ. გამსახურდიას ნოველა „ხოგაის მინდია". ეს ვრცელი მოცულობის ნოველა კ. გამსახურდიამ მაშინ გამოაქვეყნა, როდესაც იგი საკმაო მანძილით, საკმაო დროით იყო დაცილებული თავის ადრინდელ მოდერნისტული ნოველების სამყაროს. ამიტომ აქ ვითარებაც სხვანაირად არის გამოსახული. ეს არის თავისებური გამოპაექრება ვაჟას თემასთან. როგორც ცნობილია, ვაჟამ ქართული ხევსურული თქმულება მინდიას შესახებ გამოიყენა და თავისებურად გარდაქმნა. ამ ხალხურ თქმულების პროზაულ ვერსიას, რომელიც 30-იან წლებში გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, კვლავ მიმართა კ. გამსახურდიამ. როგორც ცნობილია, ხალხური ვარიანტები ხოგაის მინდიას შესახებ გასაოცრად ძლიერია და შთამბეჭდავი, ამიტომ შეიძლება ის დიდხანს იყოს წყარო, სათავე ახალი ნაწარმოებების შექმნისა. ვ. ბარნოვმაც მიმართა ამ თქმულებას.

ნოველაში კ. გამსახურდიამ თავისებურად დახატა ბედი ბრძენი კაცის — ხოგაიას მინდიასი. როგორც ხალხი, ისევე ვაჟა მინდიას სიბრძნეს გველს უკავშირებს, გველის ხორცის შეჭმას. კ. გამსახურდიასთან უფრო დაწვრილებით არის ახსნილი, როგორ ჩავარდა ხოგაის მინდია ტყვედ, როგორ შეიყვარა მან ალდიძის ქალი ხადიშათი. შემდეგ როგორ განთავისუფლდა ტყვეობიდან, მერე როგორ მოკლა საღირამ ჯიხვი მისი ხელმძღვანელობით და ღამე როგორ გაიტაცა ოჩოპინტრემ მინდია. გადაიყვანა გუგულების ქვეყანაში, სადაც მას აჭამეს გველის ხორცი: აქ გახდა იგი ბრძენი. შემდეგ მან გადაწყვიტა ხევსურებისა და ქისტების მორიგება და თავისი პირველი სატრფოს დაბრუნება, მაგრამ ბრძოლაში იგი სწორედ ვაჟკაცურად მეომარ სატრფოს მოკლავს. ამის შემცნე მინდია ხანჯალს გულში დაიცემს და კვდება.

მწერალმა მიწიერი ცოდვისაგან განთავისუფლება მინდიასი და მისი ზიარება ღვთაებრივ ცოდნასთან საინტერესოდ დაგვიხატა, მაგრამ მწერლის აზრით, ღვთაებრივი ცოდნა ადამიანში ვერ დამკვიდრდება, რადგან მიწიერი ცოდვებისაგან განუკურნებლად არის დამძიმებული ბრძენ მინდიას არ ყოფნის უნარი შეინარჩუნოს ღვთაებრივი ცოდნა ბუნების შესახებ და იგი ამ კონფლიქტში იღუპება.

ნოველის პირველი ნაწილი უფრო ბუნდოვანია, მეორე კი უფრო

ნათელი, დაწერის თვალსაზრისით — ფრიად საინტერესოდ შესრულებული. აი ერთი მხატვრული პასაჟი: „თოვდა და ბარდნიდა, დაუცხრომლად თოვდა და ბარდნიდა, მეზობელი მეზობელს ვერ არჩევდა. მითხოს აულში იძალა ქარბუქმა, თოვლმა დაფარა ხევსურების ზუჩები, თორჯავშანი და ტალავარი, აულის მისასვლელთან გზირს მოჰკრეს თვალი, დაცალკევდნენ ხევსურები, მინდია წინ წავიდა ფორთხვით, თოფის სასროლზე უკან მიჰყვნენ დანარჩენები, გაეპარნენ, როგორც იქნა, გზირს, ახლა მეორე შემოეყარა ხევში, ისევ დავარდნენ თოვლში, ფორთხვით გასცილდნენ საფრთხეს. თოვდა და ბარდნიდა დაუცხრომლად, ბნელოდა აულის ქუჩაბანდში, ქვიტკირის სახლებს სახურავამდის მისწვდებოდა თოვლი, დაიჭრიალებდა ციხის კარი, გაიელვებდა ყვითელი შუქი, ისევ დაემხობოდა დუმილი წოწოლა, ქისტურ ციხეების ზეთავზე“.

ამ ნაწარმოებს თან გასდევს ერთი ძირითადი მოტივი: ეს არის მინდიას სიყვარული ნაძმობი ალდიძის ქალიშვილისადმი. ეს მზისფერი ქალი და მისდამი უიღბლო სიყვარული მინდიას სულიერი სამყაროს ნათელი გამოვლენაა, ეს არის გზა ჰუმანიზმისა, ეს არის გზა ხევსურებისა და ქისტების დაძმობილებისა; ეს არის გზა ხალხთა საყოველთაო ძმობისა. ბუნებისა და ხალხების მეგობრობის მაძიებელი გონება მარცხდება. პატრიარქალური, გვაროვნული თემი არ იძლევა საშუალებას გაიმარჯვოს მინდიას ნათელმა აზრმა. ამ გზას შეეწირება მისი სიბრძნეც და მისი სიყვარულიც. „მყინვარი გადალახე თეთრი, ახლა მთა დარჩა ერთი, მთას გადაივლი, ბექობია ორკუზიანი, ბექობის კალთაზე აულია, აულზე თეთრი მისგითია, მისგითის მახლობლად ორი ციხეა, ერთში დოლაი ცხოვრობს, ხოგაის მკვლელი, მეორეში ალდიძე, მინდიას ნაძმობი და მისი ქალიშვილი ხადიშათ. ხადიშათ, სადა ხარ ახლა, სადა ხარ, მზისფერო ქალავ“. ნოველაში ეს ფრაზა, ეს სიტყვები რამდენჯერმე მეორდება რეფრენის სახით და ამაშია გამოხატული ნოველის ძირითადი აზრი და ხოგაის მინდიას ცხოვრების ტრაგედიაც.

ამ ადრინდელი ნოველების განხილვამ დაგვანახვა, რომ კ. გამსახურდია მაშინ განსაკუთრებული ყურადღების საგნად ხდიდა იმ ადამიანების ბედს, რომლებიც რევოლუციის მიერ უკუდგებული, უარყოფილი, განწირული კლასების წარმომადგენლები იყვნენ. ამ ნაკაცარების, ამ ზედმეტი ადამიანების, უნიადაგო და უასპარეზო ადამიანების ცხოვრების გამოსახვას მოანდომა მწერალმა დიდი დრო, დაუთმო. მათ

დიდი ადგილი და თავისებური თანაგრძნობითაც დახატა ისინი. რასაკვირველია, ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი, გვეთქვა, რომ კ. გამსახურდია ყველა ამ დამთხვეული, დეგენერატი და სულით ავადმყოფი ადამიანის ბოდვას და შეხედულებებს ისევე და იმავე ზომით იზიარებდა, როგორც აქ გამოხატული გმირები. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია, რომ კ. გამსახურდიას ნაწარმოებების საგანი ეს განწირული ადამიანები იყვნენ და მათ მწერალი, როგორც შესაფერის მასალას, იყენებდა იმ დეკადენტური ფილოსოფიისათვის, რომელსაც ავტორი, როგორც მხატვარი, ამ პერიოდში იზიარებდა. თვითონ ფორმა, რომელიც გამსახურდიამ აირჩია, მის მიერ არჩეული სტილი, წერის ექსპრესიონისტული მანერა მწერალს უბიძვებდა ამ ადამიანების სულიერი სამყაროს გამოსახვისაკენ.

ამავე მოტივებს და განწყობილებებს მან უფრო თანმიმდევრულად მოუყარა თავი 1925 წელს გამოცემულ რომანში „დიონისოს ღიმილი". მოქმედება წარმოებს საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ბოლოს, საქართველოში. ამბავს მოგვითხრობს გუდამშიერი აზნაური, ემიგრანტი კონსტანტინე სავარსამიძე. ევროპის ბურჟუაზიული ცხოვრებაც და საქართველოს ცხოვრებაც, მისი წარსულიც და თანამედროვე მისი ყოფაც ამ ადამიანის თვალით არის დანახული და შეცნობილი. სკეპტიციზმიცა და სულიერი ტრაგედიაც ზედმეტი ადამიანისა, წარსულის მოვლენებთან და ცხოვრებასთან დაკავშირებით, ქმნის ამ რომანში იმ სულიერ ატმოსფეროს, რომლის ფარგლებში მოქმედებენ მოქმედი პირები. მთელი ეს სულიერი ატმოსფერო მსოფლიო ომის და მისი მომდევნო წლების ეპოქას უკავშირდება და ამის მიხედვით უფრო გაღრმავებულია ამ ხელმოცარული, განწირული, ზედმეტი ადამიანების სულიერი ცხოვრების აგონია და მათი შეურიგებლობა ოქტომბრის რევოლუციის მიერ მოტანილ ახალ ცხოვრებასთან, ახალ სინამდვილესთან.

ამავე დროს, აქ არის ცდა, ამ სულიერ სამყაროთა გამომხატველ ადამიანებს გამოსახვის თავისებური ფორმაც მოუძებნოს და, უნდა ითქვას, „დიონისოს ღიმილი" ახალი ტიპის რომანი იყო — მოდერნისტული, ექსპრესიონისტული. როგორც ცნობილია, ყოველგვარი ჯურის დეკადენტებმა თავიანთი ეგოცენტრისტული ფიქრისა და განწყობილებების გამოსახატავად ადვილად „დაიმორჩილეს" მცირე ფორმის ჟანრები. ლირიკული ლექსი იყო მათი პოეტური სტიქიის უმთავრესი ფორმა.

ასევე მიაშურეს მათ პროზის მცირე ფორმებს — ნოველებს, ეტიუდებს, მინიატურებს. ბოლოს მოდერნისტები რომანსაც მისწვდნენ. ჩვენს სინამდვილეში, ქართულ მწერლობაში ამის პირველი მაგალითი კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილია". ამ რომანში დეფორმაცია განიცადა კლასიკური რომანის სიუჟეტმა. ასევე უარყოფილია ხასიათების გამოხატვის ის თანმიმდევრობა და ლოგიკა, სოციალური ვნებების ის ფართო გამოხატვა, რასაც კლასიკური რომანი მიმართავდა. აქ ავტორს შეგნებულად აქვს არჩეული მოვლენებისა და ცხოვრების სურათების გამოსახატავად პირველი პირი. რომანი 13 ქებისა და 52 ნოველისაგან შედგება და ამ ამბებს აკავშირებს კონსტანტინე სავარსამიძე — რომანის მთავარი გმირი.

„დიონისოს ღიმილი" იწყება ბურჟუაზიული ევროპის ცხოვრების სურათების ჩვენებით. ამ ცხოვრებას კონსტანტინე სავარსამიძე გვაცნობს, საქართველოდან წასული ეს გუდამშიერი აზნაური, რომელმაც საკმაო განათლება და ცოდნა შეიძინა, დიდხანს იხეტიალა ევროპის ქვეყნებში, იქ, გერმანიაში, საქართველოს „განთავისუფლებაზეც" იოცნება, ქართველთა რაზმიც კი შეადგინა ორთავიანი არწივის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ მისი მიზნები ისევე დაიმსხვრნენ, როგორც მისივე უნაყოფო ოცნებანი ემიგრანტობის გზაზე. ეს უასპარეზო და უნიადაგო ქართველი აზნაური, ემიგრანტი სავარსამიძე ლუქსენბურგის პარკში, პარიზში, ომის ინვალიდს უყურებს. ამ დამახინჯებული არსების შეხედვა მას ზიზღსა ჰგვრის და შიშსაც და უხარია, რომ ინვალიდი არაა, ორივე ფეხიც აქვს და ხელიც, „არც ცხვირი აქვს მოჭმული და არც სახე დასახიჩრებული". ომის საშინელების სურათით ავტორს შეეყავართ ბურჟუაზიული ევროპის ცხოვრების შუაგულში. შემდეგ ავტორი გვაცნობს კონსტანტინე სავარსამიძესთან დაკავშირებულ ამ ბურჟუაზიული საზოგადოების მესვეურებს, ამ საზოგადოების წევრებს, — იქნება ეს სპარსეთის ელჩი მირზა ხანი, მისი მეუღლე ჯენი, დამარცხებული გერმანიის სამხედრო ატაშები, თუ ჩინგახუნებული პოლკოვნიკები და კაპიტნები, ფრანგი ბურჟუები და იტალიელი მილიონერები... უნდა ვთქვათ, რომ ყველაფერი ეს დახატულია ამ ზედმეტი ადამიანის — კონსტანტინე სავარსამიძის თვალით, რომელსაც თითქოს შესძაგებია ეს ცივილიზებული ბურჟუაზიული სამყარო. „ჰოდა, ერთხელ შევეხვეწე ინგებორს, ბოლო მოეღო ჩემი ტკივილებისათვის. მან სავარძლიდან ამიყვანა ბავშვივით, მოიტანა უშველებელი ცივი

ქვა და თავი დამიმსხვრია. იცით, რა ვნახე? ჩემი ტვინის უჯრედები სულ გამოღრღნილი ყოფილა, ეს იყო დიდი ნათელხილვა და სასწაული, მთელი თავის ქალა გამჭვარტლული იყო თუთუნის ნიკოტინით, დიდი ქალაქის ქარხნების ოხშივარითა და მტვერით. აქ ყოფილან ნამცეცები ასფალტის, რკინის, ფოლადის, ბრინჯაოს, საფირონის, მარმარილოსი, ქაღალდების, გაზეთების, წიგნების, რეაქტივობის თეორიების, კანტის, აინშტაინის, აზიის, აფრიკის, მთელი ჩვენი უსულო ცივილიზაციისა და პათეტიური კულტურისა და შიგ შუა გულში, არ დაიჯერებთ, პატარა დაღმეჭილი, გაყინული, დაკოჟრებული, დაუნდობელი აგნესას გული. მე ავიღე ხელში ეს ცივი, მეტეორის ქვასავით გაყინული გული, რომელიც მაშინ ჩავარდნილა ჩემს თავში, როცა იგი ცეცხლმოდებული და აღგზნებული ვნახე იმ ღამეს კოპენჰაგენის ოპერაში — ჰოფმანის ზღაპრებში. მე ვთხოვე და ინგებორმა ეს უსიყვარულო გული ფეხით გასრისა, თავისი კოხტა ფეხით გასრისა". ამას ჰყვება კონსტანტინე სავარსამიძის მეგობარი ვიღაც გერმანელი იოჰანესი. ასეთივე ბედი ელის თვითონ კონსტანტინე სავარსამიძესაც. იგი შეგნებულად აუჯანყდა ადამიანის დამაჩიავებელ ამ ბურჟუაზიულ ქალაქს და გადარჩენა ეძია ძველი პატრიარქალური ცხოვრებისაკენ მიბრუნებაში. ესეც ნაცადი გზა იყო, ყოველი ჯურის მოდერნისტების მიერ ათასგზის გაჩხრეკილი და გასინჯული. კ. გამსახურდიამ ამ გზით გაატარა თავისი გმირი კონსტანტინე სავარსამიძე.

ძველისადმი სიყვარული განსაკუთრებით გაუცხოველდა კონსტანტინე სავარსამიძეს მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციამ საბოლოოდ გადაისროლა ისტორიის სანაგვე ყუთში ბურჟუაზიული ყოფაც და ფეოდალური პატრიარქალობაც, და ამით კონსტანტინე სავარსამიძეს გზა მოუჭრა უკან, საქართველოს პატრიარქალობისაკენ დასაბრუნებლად. კონსტანტინე სავარსამიძე ამიტომ ყოყმანობს, ვერ უბრუნდება თავის დედაბუდეს, აღარც იმის იმედი აქვს, რომ იხილავს იმ ძველი მისტერიების, ლიტანიების, შელოცვებისა და გამოლოცვების, ჭინკებისა და ოჩოკოჩების, ვეშაპებისა და დალების სამყაროს, მისი ბავშვობის სამყაროს.

ეს ხელმოცარული, ცხოვრებაზე გულგრილი ემიგრანტი, პარიზის ყავახანებში და სასტუმროებში მარტოდ შთენილი, იგონებს ბავშვობის დღეებს. „შებინდებისას ბავშვებს ფაცხაში შეგვრეკავდნენ, ოსეოფას არ გადავყოროდით სადმე, მხრებზე თაფლის სანთელს მიგვაწებებდნენ. ტანისამოსს სასთუმალს ქვეშ დავალაგებდით.

„ამელამ დიდი ამბავია ტაბაკონაზე, — იტყოდა ძიძა, — აწი დიდი როკაპი ძიუჯდება უშველებელ ცეცხლს, ქაჯები და ჭინკები ყანებისა და მინდვრებისაკენ გასწევენ ადამიანებზე სანადიროდ. თუ სადმე ბავშვი მოიხელთეს, თმებს და ტანისამოსს შემოაგლეჯენ, გულს ამოართმევენ, დიდ როკაპს წაუღებენ. თუ სადმე უბელო ცხენი ნახეს, შემოასხდებიან და გასწევენ ტაბაკონასაკენ... კი, მაგრამ, ძიძა, თუ ადამიანს გულს ამოართმევენ, მან რა უნდა ქნას, — ვეკითხები. ჰეი, დია, განა ცოტა დადის უგულო ადამიანი?“ ასეთ უგულო ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება თვითონ კონსტანტინე სავარსამიძეც. ბავშვობის ამ მოგონებას თან მოსდევს მისი აღმზრდელის ტაიას შეგონება. ტაიამ ასწავლა მას, თუ როგორ უნდა შეულოცოს გველს, მანვე ჩააგონა, თუ როგორ უნდა დაიპყროს მოპირდაპირე სქესი — „დედაკაცი ისე უნდა გათვალო, როგორც პეპელას გათვალავს გველი“.

ვინ იყო ეს ტაია შელია? აი როგორ გვაცნობს მას თვითონ კონსტანტინე სავარსამიძე: „ავყია, მეოცნებე, გაქსუებული, სახნისის, ნაჯახის და თოხის ხელის შევლება ეზარებოდა, არც კოჟრები უნახავს ვინმეს ტაიას ხელზე, მეთევზე და მეჯოგე, უბადლო მოჯირითე, შეუდარებელი მსროლელი. ხელში ან თოფი ეჭირა, ან სასროლი ბადე და ანკესი. მთელი ღამეები ნოთეზე დავყავდი, დღისით დუქნის წინ იჯდა, ლოთობდა, ან ნარდს თამაშობდა, ოხუნჯობდა, ქორწილებში პირველი თამადა, ქელეხებში — მოზარეთუხუცესი. ხანდახან ისეთ მიცვალებულს დაიტირებდა, სიცოცხლეში რომ თვალით არ ენახა. შორეულ სოფლებში მიყავდათ ტაია შეცხადებისა და ზარის მოსაწყობად. მისივე ხელობა იყო ხატზე გადაცემა, თავზე შემოვლება. მთელს სოფელს ეშინოდა მისი“. ასეთია ტაია შელია, მასწავლებელი და შთამაგონებელი კონსტანტინე სავარსამიძისა.

კ. გამსახურდია ამგვარი გლეხის განზოგადებულ ტიპს ხატავს. რასაკვირველია, ეს არ არის არც ე. ნინოშვილისა და არც ი. ჭავჭავაძის გლეხთა ტიპი. ეს აზნაურული ფსიქოლოგია როდი იყო ტიპიური და დაძახასიათებელი ძ'ძროძელი გლეხკაცობისა. ეს თავადაზნაურობას ძიტ'ძასნებული, "შეძდეგ მათი ნასუფრალით გამდიდრებული, ყოფილი მოურავები ან ხვალინდელი კულაკები რომ გამოზარდეს, იმათ წრეს განეკუთვნება. სწორედ ასეთი ფსიქოლოგიის კაცს დაუკავშირა გამსახურდიამ კონსტანტინე სავარსამიძე. კონსტანტინე სავარსამიძეს საქართველოში თავის წინაპრად თავადები და აზნაურები და ამგვარი „გლე-

ხები“ ეგულებოდა, მათთან იყო ის სულიერად დაკავშირებული. რევოლუციამ სწორედ ამათი ბუდეები მოშალა, ისინი გამორეკა მეთაურობისა და წინამძღოლობის მაღალი პოსტებიდან, რომლებიც მათ უკანონოდ ჰქონდათ მიკუთვნებული. და, აი, ამის მიხედვით, ოქტომბრის რევოლუციამ ყველა ბილიკი, საქართველოსთან მისასვლელი, დაუნგრია კონსტანტინე სავარსამიძეს და ამიტომ ადვილი როდია მისთვის, დაუბრუნდეს საქართველოს, ახალ საქართველოს. სავარსამიძე ისევ ოცნებობს: „მე დამ'შვენდებოდა შავი, ქართული ჩოხა, თეთრი დარაიის ახალუხი, სადა, თეთრი სპილოს ძვლის ქამარ-ხანჯალი, ძლიერ ვიწრო უძიროები, ლომისფერი ჯიშიანი ცხენი, ქორ-მიმინო, თეთრი მწევრები, ომები, ლხინი, მიჯნურობა და ნადირობა“. ამ თავადაზნაურული ჩაცმულობისა და იდეალის კაცი, ევროპაში მოხვედრილი „მტვრიან ბიბლიოთეკაში ჯდომამ ოდნავ გახარა ბეჭებში; გაზეთების, ავიაციის, ქიმიის, ასტრონომიის, ხელნაწერების, მინიატურების. ქალისა და სიყვარულის ისტორიამ დაშრიტა მისი სული. ეხლა უნდა კრისტალივით გამჭვირვალე იყოს, მაგრამ ამღვრეულია, როგორც კახური მაჭარი და ამას მოსდევს შეგონება: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა ამ ქვეყანაზე, იყო ერთი ქადაგი, ენაარეული მოუბარი, ბნელი წარსულის ოსტატი. იხმო ქადაგი იმ ქვეყნის მეფემ, შენზე ამბობენ, ენაარეული მოუბარი ხარ, ბნელი წარსულის ოსტატი, ალბად ჩემი გეშინია, მიტომაც ეწევი ბნელმეტყველებას. უპასუხა მეფეს ქადაგმა: „მე ოამბადებლის მეტის არავის მეშინია, დღეგრძელო მეფე, თუ მართლაც ენაარეული ძოუბარი ვარ და ბნელი საქმის ოსტატი, ეგ იმიტომ, რომ ეს ქვეყანა არეულია, და ბნელი, მერმე არ გეშინია ადამიანებმა ვერ გაგიგონ, შლეგი გიწოდონ?

„ქვეყანა ვრცელია, დღეგრძელო მეფევ, ყველგან ურიცხვი საგანია, ყველგან ურიცხვი სული, და არც ერთი მარცვალი სიცარიელეში არ ჩავარდება. ყოველი ხმაურობა ამ ქვეყანაზე ადრე თუ გვიან გამოძახილს პოულობს, მით უფრო, ადამიანის სიტყვა, ამიტომაც ენაარეულ მეტყველებას და ბნელ წართქმას ვერ გადავჩვეულვარ“. — უპასუხა ქადაგმა და მგზავრის ყავარჯენი მოიმარჯვა. მეც ამ იმედით ვწერდიო ამ სტრიქონებს გათენებამდის, — უმატებს, თავის მხრით, მწერალი. ამ სიტყვებში ნათლად არის გამოხატული სავარსამიძის მრწამსი და თვით ავტორის დამოკიდებულებაც სავარსამიძისადმი. სავარსამიძე გრძნობს, ხედავს, რომ ის ორი ქვეყნის მიჯნაზე დგას — ბურჟუ-

ბზიულ ცივილიზებულ სამყაროსა და ახალ რევოლუციურ საქართველოს მიჯნაზე, და ამ გზაზე მას ძველი, პატრიარქალური საქართველო ეძახის და ეზიდება. ამიტომ გულაღრძობილია იგი როგორც ბურჟუაზიული სამყაროს, ისე ახალი საქართველოს მიმართ. ამიტომ დგას მის წინაშე ასე მწვავედ საკითხი: საქართველოში რომ დაბრუნდეს, მიიღებს თუ არა მისი ქვეყანა?

„რა გავაკეთო, კიდეც რომ წავიდე? ჩვენი გზები რა ხანია გაყრილია. რაც ჟამი გადის, მით უფრო შორდებიან ისინი ერთმანეთს. მე — მისი თესლის ნაშიერი, მე — მისი იფლის ყლორტი, მე — მისთვის ასე მახლობელი და ასე შორეული, იგი მე არ მიცნობს, მას ჩემი არ ესმის, კიდევაც რომ დავბრუნდე უძღებ შვილივით, მიმიღებს? ვინ იცის, იქნებ იემი აღნაგობა ეუცხოვოს? მწარედ გაიცინოს, მე ჩემი თავმოყვარეობა მაქვს, ორმილიონიან საქართველოს — ორ მილიონჯერ მეტი“. ასეთია, კონსტანტინე სავარსამიძის ეჭვი. რევოლუციური საქართველოს, ახალი საქართველოს მიმართ. ეშინია, რომ ვერ გაუგებს ეს ახალი ქვეყანა მას. ასეც მოხდა. ბურჟუაზიულ სამყაროს გამოქცეულმა საქართველოს მოაშურა, მაგრამ აქ სანუგეშო საბოლოოდ ვერა იპოვა რა. ჯერ იყო და ისევ ტაია შელიას მიაშურა მთებში, აბასთუმანში, და თითქოს აქ უბირმა ბუნებამ, ჯოგში ყოფნამ განკურნა სავარსამიძე ერთგვარად. მას სიხარულით აღმოხდება: „ისევ აქა ვარ, ჩემს მიწაზე, ყოველთვის, როცა უცხოეთიდან საქართველოში ვბრუნდები, ასე მგონია, ხელახლა დავიბადე, მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა, მე არსად მინახავს ასეთი თეთრი აქატის ღრუბლები, ასეთი გამჭვირვალე ჰაერი. არც ბალახს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ უდის სხვაგან. ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გათენება. ეს მშვენიერი ამეთისტის ფერი, ეს გულჩათხრობილი ნაძვნარები, დაბლა ჭალა კი ვარდარებს... მზეო, მზეო, ამოაშრე ჩემს სახსრებში უცხოეთში შესუნთქული ნისლი, მასწავლე შენი უშუალო მზერა და ღიმილი, რადგან მე არ მინდა ვგავდე იმ მახინჯსა და სიცილგადაჩვეულ ინვალიდს. აქამდი მოეაღწიე და ისევ ჩემი უკვდავი დედის კალთაში ვწევარ მე, დედის ალერსს დანატრებული, მე — შორეთს გაფრენილი, საცოდავი, მარტოხელა, გულწითელას მართვე, შინ მობრუნებული“. ასე მიმართავს თავის ქვეყანას, საქართველოს, კონსტანტინე სავარსამიძე. მაგრამ ვერც ბუნების ამ იდილიამ იხსნა იგი. ეწერში მდგარ, უნაყოფო თხმელას ადარებს ის თავის თავს: „ვიტანჯე უცხოობასა და მარტოობაში

და რა უნაყოფოდ ჩაიარა ჩემმა ცხოვრებამ. ჩემი სამშობლო არც მიცნობს და არც მაფასებს“. სავარსამიძე ხედავს, რომ სიყვარულზე უფრო ძნელი დასაფარავი ყოფილა თურმე სიძულვილი. მას კი სძულს და არ უყვარს ეს ახალი. და, ბოლოს და ბოლოს, ხანგადასული ქალივით მოგონებებით ცხოვრება არ შეუძლია სავარსამიძეს. მხოლოდ ადამიანებს ვერაფერი გააგებინა ამ უნაყოფოდ გამხმარმა თხმელამ, და მას აღმოხდება: „ალბად ჩვენ დავიღალეთ, ჩვენი სისხლი მოიქანცა“, და იგი გულგრილად შესცქერის მომავლის დღეებს. არგვეთის მთვარის ხმლის მოგონება და ოცნება საქმეს არა შველის და არც დიდი სიძულვილი საბჭოთა საქართველოს მიმართ და არც მისი ზმანებითა და მოჩვენებებით წარმოდგენილი ძველი სამყაროც. მას, ბოლოს, აღმოხდება: „აღარც სიცილი შეგიძლია და აღარც ტირილი, ტანა შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა“. ასე დახატა კ. გამსახურდიამ ტრაგედია ამ ახალგაზრდა, 32 წლის გუდამშიერი ქართველი აზნაურისა — ახალ, რევოლუციურ საქართველოსთან კონფლიქტში. ეს კაცი მთელი თავისი სულიერი სამყაროთი წარმართულ საქართველოსთან, პატრიარქალურ-ფეოდალურ საქართველოსთან არის დაკავშირებული. მის იდეალებს არაფერი აქვს მომავლის ყლორტების მქონე.

კ. გამსახურდიამ „დიონისოს ღიმილში“ აგვისახა მსოფლიო ომის ბურჟუაზიული მარაზმის, უნიადაგო ადამიანის, ქართველი ემიგრანტის, ცხოვრებაში ხელმოცარულის, ზედმეტი ადამიანის სახე. თავადაზნაურული საქართველოს წარსულის იდეებით გატაცებული კონსტანტინე სავარსამიძე უაღრესად ინდივიდუალისტი და ეგოცენტრისტია. იგი გადაშენების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის უკანასკნელი ეპიგონია*, რომელიც ვერსად პოულობს ნიადაგს, თავის სამშობლოში უცხოელი ჰგონიათ, უცხოეთში — ემიგრანტი. კონსტანტინე სავარსამიძის ეპიკური, უსასო, მისტიკური განცდები წარმოდგენილია რომანში, აგრეთვე, ავადმყოფური ენებებით, პორნოგრაფიული დეტალებით, რასაც დიდი გატაცებით აღწერს მწერალი.

კ. გამსახურდიამ რომანის პირველ გამოცემაში 1925 წელს შენიშნა, მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე ჩემი ცოდვებიც მეყოფაო. რასაკვირველია, ავტორი აქ ნაწილობრივ

---

* დ. ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი — „კონსტანტინე გამსახურდია“.

მართალია, რადგან არ შეიძლება რომანის რომელიმე გმირსა და ავტორს შორის იგივეობის ნიშანი დაისვას. ავტორი თავის აზრსა და შეხედულებებს არა მარტო ერთი გმირის ცხოვრებაში წარმოგვიდგენს, არამედ გმირებისა და მათ აზრთა ჭიდილში. მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ ამ ახალგაზრდა კაცის სულიერ ტრაგიზმს, მის აზნაურულ ფსიქოლოგიას, მის ავადმყოფურ ეროტომანიას მწერალი არ უპირისპირებს სხვა გმირებს, სხვა ძალებს, სხვა აზრებს, და ამიტომ იქმნება ასეთი შთაბეჭდილება, რომ ავტორი მას არ იმეტებს, სადღაც უტოვებს ადგილს ამ ქვეყანაზე. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ავტორის განცხადებაც: „სავარსამიძე შენ გგავსო, — ასეც რომ იყვეს მერე რა? განა გმირი ავტორის ძვალი არაა ძვალთაგანი და სისხლი სისხლთაგანი.“

ძველის დანგრევისა და ახალის გამარჯვების მიჯნაზე ყოველთვის ჩნდება ზედმეტი ადამიანი, — ასეთი ადამიანი გაჩნდა ჩვენში ოქტომბრის რევოლუციის შედეგადაც. ძველისა და ახალის მიჯნაზე დაბადებულ ამ ზედმეტ ადამიანებს რევოლუციამ გამოაცალა ნიადაგი. უფრო მწვავე იყო მათი შებრძოლებაც ახალთან და მათი განცდილი ტრაგედიაც. როგორც ცნობილია, ზედმეტი ადამიანები გაჩნდნენ, აგრეთვე, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის მიჯნაზე. თუ ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ბრძოლის მიჯნაზე წარმოსახული ზედმეტი ადამიანების ტრაგედია მსოფლიო ლიტერატურამ მრავალგზის გამოსახა და გვაჩვენა ამ ადამიანების უნიადაგობა და უპერსპექტივობა, აქ მაინც მდგომარეობა სხვანაირი იყო. აქ ერთ კლასობრივ ფორმაციას მეორე კლასობრივი ფორმაცია ცვლიდა და ამიტომ ისეთი მწვავე არ იყო ამ კლასობრივ ინტერესთა ნიადაგზე წარმოშობილი ეს ტრაგედია. ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებს ფეოდალური საზოგადოების ბევრი დამცველი და ერთგული შეეგუა. ძველი კლასების წარმომადგენლები გადაურჩნენ ბურჟუაზიის ქარიშხალს. ამიტომ მათი ტრაგედია უფრო სხვანაირი იყო, ვიდრე ტრაგედია ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შექმნილი ზედმეტი ადამიანებისა, რადგან ოქტომბრის რევოლუციამ ისტორიის სანაგვე ყუთში დაუნდობლად გადაისროლა დრომოჭმული კლასები, საზოგადოდ, კერძომესაკუთრული გრძნობები და ინსტინქტები. ამიტომ უფრო გესლიანი იყო, უფრო მწვავე, უფრო დაუნდობელი ამის შედეგად დაბადებული ზედმეტი ადამიანების ტრაგედიაც და მათი შებრძოლებაც ახალ ცხოვრებასთან, ახალ სისტემასთან. კ. გამსახურდიამ, როგორც მხატვარმა, ეს კარგად შენი-

შნა. შეიძლება ითქვას, რომ „დიონისოს ღიმილის“ მთავარი გმირი კონსტანტინე სავარსამიძე ბევრ საერთოს პოულობს მსოფლიო ლიტერატურის მიერ გამოსახულ ზედმეტ ადამიანებთან, მაგრამ, ჯერ ერთი, აქ ჩვენ უნდა გავარჩიოთ ორი სახე ზედმეტი ადამიანისა: ერთი — ახალი იდეებისათვის მებრძოლი ზედმეტი ადამიანი, რომელსაც საკმაო ნიადაგი თავისი იდეალებისათვის არ გააჩნია და ამიტომ მეოცნებე ფანტაზიორის როლში გვევლინება, ოღონდ მტკიცედ უწამებია უვარგისობა არსებულისა და ამიტომაც მისი პროტესტანული სული არ ეტევა, ებრძვის და ხშირად გარბის ამ სინამდვილიდან. ასეთია, მაგ., ჩაილდ ჰაროლდი. ბაირონის ამ გმირის ხეტიალი აღმოსავლეთში სხვა რა არის, გარდა იმისა, რომ პოეტს უკეთესი და სევდა არსებულისა ამით განიშოროს. სხვა ასპექტია, როცა შატობრიანის რენეს წითელკანიან ველურებთან სურს პოეტს იდეალის განხორციელება. ნოვალისის ლირიკულ გმირს კი წითელი ყვავილების ძებნაში სურს განიქარვოს სევდიანი ფიქრები. მაგრამ აქ ყველგან სხვადასხვაგვარია ახალგაზრდა კაცის ტრაგედია. კონსტანტინე სავარსამიძე ხედავს, რომ ქართველი აზნაური, ევროპაში გაქცეული, კაპიტალისტურ სამყაროში ვერ პოულობს სულის სიმშვიდეს. სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილი არგვეთის მთავრის უკანასკნელი მოჰიკანი იგრძნობს, რომ სხვა გზა არ არის, თუ არა ისევ უკან დაბრუნება სამშობლოში, მაგრამ, უკანდაბრუნებული, სამშობლოში თავს ისევ ემიგრანტად გრძნობს. და ეს სავსებით ლოგიკური იყო: თავადაზნაურული კლასის ფსიქოლოგია, მისი იდეალები რევოლუციურ საქართველოს სინამდვილესთან ჭიდილში იმსხვრევა და ამის მიხედვით ნათელი ხდება უნიადაგობა იმ იდეალებისა, რომლებსაც 32 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა კონსტანტინე სავარსამიძე. რომანში ეს ძირითადი ლაიტმოტივი უთუოდ გამომჟღავნებულია, მიუხედავად იმისა, რომ კ. გამსახურდიამ ეს მისტიკოსი, ეროტომანი გმირი მკვეთრად არ გაიმეტა და მკაცრად არ ღათრგუნა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმ წლებში იწერებოდა, როდესაც გამსახურდია თვითონ არ იყო ამ შეხედულებათაგან სავსებით განთავისუფლებული, როგორც მხატვარი, როდესაც კ. გამსახურდია ხარკს უხდიდა მოდერნისტული ლიტერატურის სკოლებს და ამიტომ ამ რომანში ძლიერად არის წარმოდგენილი საამისო საბრძოლო განწყობილებაც. „ანტიკას და ფეოდალიზმს ჰქონდათ თავისი სტილი, კაპიტალიზმს ჯერ არ ჰქონია, ვგონებ, არც ექნება“, ამბობს ამ რომანის ერთი

გმირი, და კ. გამსახურდია ამ მოტივით ებრძვის კაპიტალიზმს და პატრიარქალობისაკენ დაბრუნების თეორიას ქადაგებს სავარსამიძის პირით. უნდა ითქვას, რომ ავტორი აქაც უკიდურესობამდის არ მიდის. თვითონ სავარსამიძეს აღმოხდება ერთხელ: „არ მინდა ვიყო საუკუნის ნაბოლარა და დეკადენტი". კ. გამსახურდია, როგორც მხატვარი, უთუოდ გრძნობდა, რომ დეკადენტობის გზა ჭეშმარიტი ხელოვნების გზად არ გამოდგებოდა და ამიტომ სცადა მან მოდერნიზმისა და რეალიზმის მორიგება.

თვით სათაური რომანისა „დიონისოს ღიმილი" ერთგვარი ირონიაა იმ ბედისა, რომელიც კონსტანტინე სავარსამიძეს ერგო. დიონისოა უარყოფისა და განახლების ღმერთი, ზამთრის შემდეგ გაზაფხულის მოსვლის სიმბოლო, სიმბოლო აღორძინების, დაბადების, ბავშვობის. ამის მიხედვით მწერალმა კონსტანტინე სავარსამიძე მრავალ დილეშათა წინაშე დააყენა. მას სურს მოხდეს განახლება წარსულის და ამ მიზნით წარმართობას მიელტვის, ქრისტიანულ ცივილიზაციას გაურბის. ტაია შელია ამ გზის მოძღვრად დაუსახავს, მაგრამ ვერც წარმართობაში, ვერც ტაია შელიამ და ვერც ფავრიზმა, როგორც სიმბოლომ ბავშვობასთან ზიარებისა და ნაყოფიერებისა, ვერ დაუბრუნა მას სიმშვიდე სულისა. ღვთისაგან და კაცისაგან განწირულ ადამიანთა ტრაგედიით დაგვიხატა მან კონსტანტინე სავარსამიძე. დაგვიხატა ერთგვარი სიმპატიითა და თანაგრძნობით.

*

კ. გამსახურდიას ამდროინდელ შემოქმედებას ორი ნაკადი ასაზრდოებდა: ქართული რომანტიკა წარსულისა და ევროპული მოდერნისტული მწერლობა. კ. გამსახურდიას თხზულებებში ამ ნაკადებმა პოვეს უცნაური განზოგადება, რასაც დიდი შინაგანი წინააღმდეგობა გააჩნდა, ერთი მხრით, მწერალი თითქოს ებრძოდა „ბურჟუაზიულ ცივილიზაციის ავადმყოფობას" და, პირველყოფილობის, რუსოსეულ თეორიას ქადაგებდა (ამ გზით მივიდა ის ექსპრესიონიზმამდე), ხოლო, მეორე მხრით, სოციალისტური რევოლუციის მიერ გადახნულ ნიადაგზე აღმოცენებულ ქართულ საბჭოთა სინამდვილეში ვერ პოულობდა დასაყრდენს და კვლავ ბურჟუაზიულ კულტურას აფარებდა თავს. ამ გზაჯვარედინზე გაჩნდა „დიონისოს ღიმილი". კ. გამსახურდიამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, აქ პირველად დას-

ვა კატეგორიული ტონით უნიადაგო გზის მაძიებელი ადამიანის, უფრო სწორად, მიმავალი სოციალური წრის ზედმეტი ადამიანის პრობლემა. ამ პრობლემას კ. გამსახურდია კვლავ დაუბრუნდა „მთვარის მოტაცებაში“, ოღონდ აქ სულ სხვა ასპექტით. აქ პირველად სცადა კ. გამსახურდიამ, დაეპირისპირებინა ურთიერთისათვის ორი ეპოქის, ორი სხვადასხვა სოციალური ყოფის ადამიანები — მიმავალი, თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ყოფისა და ახალი, სოციალისტური ყოფის ადამიანები. ამ დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლაში გვიჩვენა მან ცხოველმყოფელობა ახლისა და გარდაუვალი დაღუპვა და მსხვრევა ძველი ცხოვრებისა და კლასებისა. ყოველივე ეს მწერალმა მძაფრ სოციალურ-კლასობრივ და ადამიანურ ვნებათა ფონზე გამოხატა.

„მთვარის მოტაცებაში“ სოციალურ ფონად გამოყენებულია საბჭოთა სინამდვილის ისტორიული მნიშვნელობის პერიოდი. ეს ის დროა, როდესაც ბოლშევიკების პარტიამ აიღო კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა, როდესაც სოფლად დაიწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, ხოლო 1929 წლის დამლევს პარტიას შესაძლებლობა მიეცა გადასულიყო კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან ახალ პოლიტიკაზე, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. კულაკობა ექსპროპრირებული იქნა ისევე, როგორც 1918 წელს ექსპროპრირებული იქნენ კაპიტალისტები მრეწველობის დარგში. სოფლის მეურნეობაში ეს იყო დიდი რევოლუციური გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო. ამ დიდ ისტორიულ პროცესს ახლდა შეცდომებიც, ნაკლოვანებებიც, გამრუდებანი პარტიულ პოლიტიკისა საკოლმეურნეო მშენებლობაში. ეს შეცდომები, უხეში დარღვევები იყო საქართველოშიც. პარტიული ხაზის გამრუდებანი და „მემარცხენე“ გადახრები ლიკვიდირებულ იქნა. პარტიის საკოლმეურნეო პოლიტიკა სრული გამარჯვებით დასრულდა.

კ. გამსახურდიას ტრილოგიაში სოფლის მეურნეობაში მომხდარი ეს მოვლენები ყურადღების გარეშე არ არის დატოვებული. რომანში საკმაოდ არის წარმოდგენილი საკოლმეურნეო წყობილების პირველი წლების სურათები. ჩალმაზი არ იზიარებდა მთლიანი კოლექტივის ძალით შემოღებას, მაგრამ დუმდა. არენბა არლანს უკვე გაეტარებინა თავის რაიონში იგი (და თბილისიდანაც ასეთი დირექტივები მოსდიოდა ჩალმაზს).

„— აბა, რას ჰგავს ეს ამბავი, — ჩიოდა ჩალმაზი, — ქათმებიც კი შეაყვანია არლანმა კოლექტივში ხალხს. მე არ მგონია ეს იყოს პარტიის პოლიტიკა. ზარები არ დასტოვა მთელს აფხაზეთში და ეს საქმე ჰგონია არლანს“. ამგვარ დეტალებს რომანში შეეხვდებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი პათოსი ის არის, რომ მასში სწორედ ის შეცდომები და ნაკლოვანებებია განზოგადებული, რომლებიც მხილებულ და ლიკვიდირებულ იქნა პარტიის მიერ კოლექტივიზაციის პირველსავე წლებში. ამიტომ, ნაცვლად მოვლენების პროპორციაში დანახვისა, ნაცვლად იმ დიდი პროცესის ღრმა მხატვრული განზოგადოებისა, რომელიც მოასწავებდა უღრმეს რევოლუციურ გადატრიალებას, ნახტომს საზოგადოების ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალ თვისებრივ მდგომარეობისაკენ, — ამის ნაცვლად ტრილოგიაში გვაქვს ამ უარყოფითი მოვლენების წინწამოწევა. ძველისა და ახლის ბრძოლაში ისეა დახატული მოვლენები, რომ კულაკებს, ყოფილ თავადებს, აზნაურებს და საბჭოთა ხელისუფლების სხვა აშკარა თუ ფარულ მტრებს რომანში დიდი ადგილი ეთმობა იმისათვის, რომ აძაგონ ახალი დრო, ახალი ადამიანები — ბოლშევიკები, კოლმეურნეობანი. უდიდესი ენერგია, მხატვრული სიტყვის უდიდესი მარაგი გამოყენებულია ამ მიმავალ ადამიანთა ყოველი განცდისა და სულიერი ღელვის გადმოსაცემად. აქ ყოველი დეტალი დიდი ოსტატობით არის შესრულებული. ყველაფერი ეს არ ითქმის ახალი ადამიანების შესახებ. უფრო ძუნწია მწერალი იმათ მიმართ. ახალი ადამიანები, საბჭოთა ადამიანები უფრო მკრთალად არიან ნაჩვენები.

რომანის ცენტრში დგას თარაშ ემხვარი. იგი ძველი ფეოდალური გვარის უკანასკნელი მოჰიკანია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დაშინებულ მეფის რუსეთის გენერალი, თარაშ ემხვარის მამა ევროპაში გაიხიზნება და შვილსაც იქ წაიყვანს. მამას დიდ გაჭირვებასა და წვალებაში აღმოხდება სული. მარტოდ შთენილი თარაშ ემხვარი უცხოურ სამყაროში რჩება. შემდეგ, კაპიტალისტურ ქვეყანაზე გულაყრილი, საბჭოთა საქართველოში ბრუნდება. მისი სულიერი სამყაროსათვის სრულიად უცხო აღმოჩნდა საბჭოთა სინამდვილე. მის მიერ წარდგენილი სამეცნიერო შრომა საბჭოთა უნივერსიტეტმა დაიწუნა, როგორც იდეურად მიუღებელი. ბუდიდან ამოვარდნილი ვერ პოულობს ასპარეზს. ვერც სიყვარულმა, ვერც საკუთარმა დედამ ვერ გაუმთელა მას ჭიანაჭამი გული. ბოლოს სვანეთს

შეეხიზნა. „კულტურა ავადმყოფობაა თავად, ხოლო ბუნება—სიჯანსაღე“. ასე ფიქრობდა თარაში და ამ მიზნით გადაწყვიტა, დარჩეს სვანეთში. მაგრამ ბოლშევიკების მეოხებით სვანეთშიაც შეასწრო ძველი ცხოვრების დაგვიანებულ მგზავრს კულტურისა და განათლების ძალამ, ახალი, საბჭოთა ცხოვრების ძალამ და ის სამუდამოდ რწმუნდება: „მე, საერთოდ, არც უფლება მაქვს ამქვეყნად და არც წილი, მე წილდაკარგული კაცი ვარ, წილწართმეული. ცაზე ღმერთი არ მეგულება და მიწაზე მეგობარი. ხანდახან ისე შემომენთება მარტოობის ცეცხლი, ასე მგონია, სხვა პლანეტიდან პარაშუტით გადმოვმხტარვიყო“, — ათქმევინებს მწერალი თარაშ ემხვარს. ავტორმა თარაშ ემხვარი „ფუღურო ხეს, ფესვმომპალ, უნაყოფო, ფუღურო ხეს“ შეადარა და ამით ამ გმირის უნიადაგობა და დროგადასულობა სავსებით სწორად დაახასიათა. კ. გამსახურდია თითქოს კატეგორიული ტონით წერს: „მონანიებული აზნაურის ამბავი, ჩემის აზრით, ლიტერატორების ფანტაზიის ნაყოფია. ძერის ბახალამ რაც უნდა მოინანიოს, მტრედის მართვე მაინც ვერ გახდება“. მაგრამ კ. გამსახურდია ბოლომდე არ გაჰყვა ამ სწორ პოზიციას. ავტორი ხშირად გადაჭარბებული თანაგრძნობით ხატავს თარაშ ემხვარს და ამ ხაზს ისე შორს მიჰყვება რომანში, რომ ხშირად ეჭვი გეპარებათ, მართლაცდა ზედმეტი ადამიანია ემხვარი თუ არა! ამიტომ შემთხვევითი ფრაზა არ არის, როცა თარაში ამბობს: „მე მინდა გავჯანსაღდე, მშობლიური მიწის სურნელით განვიკურნო, მინდა უცხოური ჩვეულებანი უკუვაგდო და ჩემს ხალხს დავუბრუნდე“. მოკლედ რომ ვთქვათ, რომახში მკაფიოდ არ არის თარაშ ემხვარის იდეური პოზიცია ჩამოყალიბებული. იგი გადამეტებულად შეწყნარებული ზედმეტი ადამიანის როლშია წარმოდგენილი. თარაში იღუპება მოვლენათა ჭიდილში როგორც რომანტიკული გმირი.

თარაშ ემხვარი რომანის სიუჟეტურ კომპოზიციაში სოციალისტური რევოლუციის მიერ განადგურებული კლასების სულისკვეთების გამომხატველი გმირია. მაგრამ არ ვითარდება ეს პოზიცია გმირისა ლოგიკურად და, მეორე მხრით, არც მისი „მოთვინიერების“ თუ ჩვენს სინამდვილესთან შერიგების პოზიტიური გზაა ნაჩვენები. მეოცნების ფრაზიომანია და ზიგზაგები არ უშლის მას ხელს „მოსწონდეს ყველაფერი, რაც ატავიზმისა და ტრადიციების წიაღიდან გამოდის“; ხოლო, რაც შეეხება თარაშ ემხვარის დღიურებს, ეს ხომ ჰიპოხონდრიკის თუ ეროტომანიით შეპყრობილის აღსარებას ჰგავს. აქ ყველაფერი ერთიმეორეშია არეული.

მეორე გმირი, რომელსაც რომანის სიუჟეტში გადამწყვეტი როლი აქვს დაკისრებული, არზაყან ზვამბაიაა. არზაყანმა თითქოს საკმაო წრთობა მიიღო: იგი წითელ ჯარში და კომკავშირულ ორგანიზაციაში აღიზარდა, შინსახკომის ორგანოებში მსახურობდა და ებრძოდა ხალხის მტრებს. არზაყანმა კარგად იცის, რომ „ათას წლობით ემსახურებოდნენ შარვაშიძეებსა და ემხვარებს ზვამბაია, ეშბა, ხვიტია. მრავალი საუკუნის მანძილზე ჭირის ოფლი უღვრიათ მათთვის და, მადლობის ნაცვლად, სულ ორმოცდაათიოდე წლის წინათ სტამბოლში ჰყიდდნენ ისინი ზვამბაიას, ეშბას, ხვიტიას გვარის ნაშიერებს. მათ მაგივრად უთოხნიათ, მათ მაგივრად უხვნიათ, ზვამბაიას ქალებს ემხვარებისა და შარვაშიძეების ქალების ბავშვები უზრდიათ, რათა ძუძუ-მკერდი არ დაშრეტოდათ შარვაშიძეებისა და ემხვარების ქალებს. ახლა ზვამბაიების დროა, ახლა ჩვენი დროა, — ფიქრობდა არზაყან ზვამბაია. — სახნავიც ჩვენია და სათესიც, ზღვაც და ცაც“. არზაყანი თავდადებულია პარტიისათვის, მისთვის ყველაფერია პარტია: „მისთვის ბოლშევიკების პარტია წმიდათაწმიდა იყო მუდამ, რომლისთვისაც ყოველ წუთში გასწირავდა სიცოცხლეს. და განა ერთხელ შეუგდია არზაყანს სასწორზე თავისი ჭაბუკური სიცოცხლე პარტიის დავალებით, პარტიის გულისთვის?! უზომოდ უყვარდა არზაყანს პარტია და, ცხადია, პარტია უთუოდ დაეხმარებოდა არზაყანს და წინ წაწევდა“. არზაყანი ოცნებობს შევიდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პარტია აქაც დაეხმარება არზაყანს. და აი, იგი ოცნებით წარმოიდგენს თავის მომავალს: „არზაყან ზვამბაია სახელგანთქმული მეცნიერია. მაღალი, თეთრი სახლის მარმარილოს კიბეებზე ადის, მარჯვნივ და მარცხნივ ქუდს იხდის მოზიმზიმე ახალგაზრდობა. კრძალვა და რიდი ეხატებათ სახეზე არზაყანის ჭაღარის შეხედვისას. არზაყანი კათედრაზე ადის. ათასი ცნობისა და ცოდნის მოყვარე თვალი შემოსცქერიან. უცდიან, რას იტყვის ახალს უკვე ჭარმაგი მეცნიერი არზაყან ზვამბაია. გაზეთებში ხატავენ მის სურათებს და მთავრობა სიგელებს უბოძებს არზაყანს, არზაყანს შრომის გმირის საპატიო სახელი შესთავაზეს კოლხიდის ციებასთან გმირული ბრძოლისათვის“.

არზაყანი ერთ-ერთი ინიციატორია საკოლმეურნეო ცხოვრებისა სოფლად. მან ჩამოაყალიბა ოქუმში პირველი კოლმეურნეობა. არზაყანს თავი იმით მოაქვს, რომ იგი ახალი ცხოვრების, ახალი სოციალისტური ყოფის მშენებელთა არმიას ეკუთვნის: „მამა ამბობდა, — დაარ-

ღვია დუმილი არზაყანმა, — ამ ველზედ ოდესღაც დადგანისეული საანადირო ტყე იყოო, გაუვალი ჭაობი, ლისი, ლაქაში და უნაყოფო ეწერი. ასეთ დროს აქ შეიარაღებულ ცხენოსანსაც გაბდღვნიდნენ მგლები. ახლა ჩვენ ჩაის პლანტაციებს ვაშენებთ, ეგერ, ხომ ხედავთ, ოდნავ ბეუტავს ელექტროს ლამპიონი, იქ „საქართველოს ჩაის“ მეურნეობა ეწყობა“. როდესაც ამ ამბავს უყვებოდა თამარ შერვაშიძის ქალს, „ჩვენში“ ის საკუთარ თავსაც გულისხმობდა და ამით ამაყობდა შეყვარებულის წინაშე. კულაკებმაც ნიშანში ამოიღეს არზაყანი — „უფროს ლომკაცია ტარბას დაუქადნია ოქუმში, არზაყან ზვამბაიას მოვკლავ და კოლექტივი აგვცდებაო“. მაგრამ ყველაფერი, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით არზაყანის შესახებ, მაინც ერთი მხარეა. ამ სწორ იდეურ ხაზს არ მიჰყვება მწერალი ბოლომდე. არზაყან ზვამბაიას, როგორც საბჭოთა ადამიანის წარმომადგენლის, დახასიათებაში რომანში გადამწონავი ადგილი აქვს მიკუთვნებული არზაყანის აზნაურული ფსიქოლოგიისა და მანერების აღწერას. ამიტომ არზაყანს აკლია ტიპიური, შემკრებელობითი, კომკავშირელი ახალგაზრდისათვის საჭირო თვისებები. ის კომკავშირელის მკრთალი ანასახია, დამძიმებული ძველი აფხაზური ტრადიციებით, და მაინც ცოცხალი ყლორტია ახლისა.

ზედმეტი ტრადიციულობა და რომანტიკულობა, რომლის სამოსელშიაც გვევლინება ხშირად არზაყანი, აფერმკრთალებს კომკავშირელის, მოწინავე საბჭოთა ადამიანის თვისებათა მატარებელ ტიპისათვის საჭირო ძალას. იგი არათუ მარტო უბრალოდ დაავადებულია ძველი ტრადიციებით, არამედ მასში კომკავშირელს, მოწინავე მებრძოლ საბჭოთა ადამიანს, რევოლუციური იდეოლოგიისა და სულის ადამიანს ხშირად ცვლის ეგოისტური, მერყეევი ფსიქოლოგიის, ქალთან ფლირტით გართული თავდაუჭერელი მიჯნური (საზოგადოდ რომანში ეროტიკული მხარე წინა პლანზეა წამოწეული).

ამისდა მიუხედავად იგი ბოლომდე თანმიმდევარია, ერთგული დამცველი ახალი იდეებისა, ახალი სოციალისტური სამყაროსი. ამ ნიადაგზე სიძულვილის გრძნობაც კი უჩნდება მას თარაშ ემხვარისადმი, თვით მამისადმისაც კი.

რომანის ძირითადი სიუჟეტური ხაზი იშლება თარაშ ემხვარისა და არზაყანის დაპირისპირებით. და აი აქ რომანი ვითარდება ამ ორი სხვადასხვა იდეური სამყაროს, ძველისა და ახლის იდეური პოზიციების დამცველების ბრძოლის ფონზე, უცნაური ვნებებისა და ერო-

ტიკული გრძნობების საფუძველზე. თითქოს ვნებათა დოღი გაუმართავთ. ჯერ არის და თამარ შერვაშიძის ქალია ასეთ ვნებათა ბრძოლის ველი. მერე ძაბული, და ბოლოს, სვანი ქალი ლამარია.

არზაყანს „თარაშ ემხვარი გაახსენდა და ლეღვის ხეების შეხედვისას ისევ თამარი დაუდგა თვალწინ და გონების თვალით ძაბულის მიწვდა. თამარი თბილისში წამოვიდოდა მასთან, თბილისში ყოველივე გადაწყდებოდა მისი ფიქრით და შემდეგ ამისა ისევ შეეგუებოდა მისი გული თარაშ ემხვარს. ან რა ბრალი აქვს, კაცმა რომ სთქვას, თარაშ ემხვარს; მას არასოდეს ცუდი სიტყვა არ უკადრებია არზაყანისათვის, მუდამ ფაქიზად ექცეოდა თავის გამზრდელის შვილს“. ასე მსჯელობს არზაყან ზვამბაია. განა ასევე თარაშ ემხვარი მზად არ არის სატევრით აკუწოს ან ბრაუნინგის ტყვიით განგმიროს არზაყანი მხოლოდ იმისათვის, რომ სვან ლამარიასთან პირველად ინებივრა? ამგვარად, თარაშ ემხვარის, — ძველი, მიმავალი ადამიანისა და არზაყან ზვამბაიას, — ახალი საბჭოთა ადამიანის კონფლიქტს რომანში არსებითად საფუძვლად უდევს არა მარტო იდეური, მსოფლმხედველობრივი უთანხმოება, არამედ ქალის (თუ ქალების) სიყვარულით გამოწვეული კონფლიქტი.

საბჭოთა ადამიანი შეუპოვარია, როცა საქმე ეხება საბჭოთა იდეოლოგიის, კომუნისტური მსოფლმხედველობის დაცვის საკითხს. ეს შეუპოვრობა და პრინციპულობა არზაყან ზვამბაიასა და თარაშ ემხვარს შორის უფრო გაამძაფრა მწერალმა სიყვარულის ფონზე.

„მთვარის მოტაცებაში“ ჩანს ავტორის ღრმა და დიდი ცოდნა ცხოვრებისა, საგნებისა, მოვლენებისა, პროფესიებისა და სხვ. ტრილოგიაში ბევრია საინტერესო, მართალი, რეალისტური სურათი. რომანი კოლექტივიზაციის ფონზე იშლება და, ამდენად მოქმედება უმთავრესად სოფლად წარმოებს. მაგრამ აქვე საკმაოდ არის წარმოდგენილი ქალაქიც, სოფლად სოციალისტური მშენებლობის სურათების, კერძოდ, კოლხეთის მშენებლობის აღწერისას, მიუვალი სვანეთის მთებში გზების გაყვანისა და პატრიარქალური სვანეთის რღვევის, განახლებული და აღმშენებლობის გზაზე დამდგარი თბილისის სურათების აღწერისას უთუოდ იგრძნობა თანამედროვეობის სული.

მოვიგონოთ ერთი ადგილი.

რომანის გმირები, ავტორთან ერთად, სვანეთში მოგზაურობენ. ეს ის დროა, როდესაც ბოლშევიკებს მიუვალ სვანეთის მთებში საავტომობილო გზა გაჰყავთ. „ლაღუმების გრიალი გაისმა უცბად. აზან-

ზარდნენ ნაძვნარიანი მწვერვალები, გარეული ტახის ქოჩორსავით წამოქოჩრილნი, და დავინახეთ, თუ როგორ მოძვრა კლდეს უზარმაზარი ლოდი, დაიჭექა, სადავის დამოკლებაც ვერ მოვასწარით, ისე გადავიდნენ მგლურზე. ჩემზე წინ მიმავალ ემხვარის ცხენს უკანა ფეხი გადაუცდა, ძლივს გადაასწრო ბილიკს". ამას ასეთი დიალოგი მოსდევს: „ეს ცივილიზაცია შემოდის სალუტით და მთები ბანს ეუბნებიან, — ამბობს თარაშ ემხვარი, — ამ გზასაც გაიყვანენ და მერმე მშვიდობით სვანეთის თავისებურებავ. სვანეთი და ხევსურეთიღა იყვნენ უცხო გავლენის კიდეგან".

არზაყანმა ცხენი შეინაცვლა. ჩვენკენ მოეღრიჯა კისერი.

„— მაშ, შენ გინდა ჩიყვმა იმსხვერპლოს სვანები არა?"

„— სადაა ჩიყვი?" — იკითხა ემხვარმა.

„— გზაში ხომ ნახეთ ჩიყვიანები? ასეთებს ვინ მოსთვლის ამ მხარეში". — ჩავაგდე მე სიტყვა.

„— შენ და მამაჩემს არ მოგწონთ ამ ლაღუმების გრიალი, — ამბობს არზაყანი. — არც ჯოკიას, ცხენის დალალს".

„— სვანებს არ მოსწონთ გზის გაყვანა", — მიუგო ემხვარმა.

„— გააჩნია, რომელ სვანებს, ბობოლებს არ მოეწონება, უეჭველია, ბობოლებსა და ცხენის დალალებს, — ჩაილაპარაკა არზაყანმა და ცხენი ააჩქარა".

ამ დიალოგში უთუოდ ნათელია მწერლის დადებითი დამოკიდებულება ახალ ცხოვრებასთან, საბჭოთა სინამდვილესთან, და ამ ნიადაგზე იდეური უთანხმოებაც ემხვარსა და ზვამბაიას შორის. სამწუხაროდ, ასეთი ადგილები რომანში ცოტაა. ჩვენს სინამდვილეს, საბჭოთა სინამდვილეს შედარებით მცირე ადგილი აქვს განკუთვნილი რომანში, ვიდრე მიმავალ ადამიანთა ცხოვრების აღწერას. მეორეც, ესაა, რომ თანამედროვე ცხოვრების სურათები ხშირად მიმავალ ადამიანთა თვალითაა დანახული და გადმოცემული, ამიტომ ახლის პოზიტიური პათოსი აკლია ამ პასაჟებს. თბილისს, განახლებულ თბილისს პულსს თარაშ ემხვარი უსინჯავს, სოფელი და ბოლშევიკების საქმე სოფლად „გაკოტრებული აზნაურის, სულითა და ხორცით ბანდიტის" — გვანჯი აფაქიძის განსჯის საგანია. ალშიბაია ერთგან ამბობს: „მე ის მაინტერესებს ამჟამად, აგარის შაქრის ქარხანამ რა მოგვცა ამ წელში. კასპის ჭიდის ქარხანა როგორ მუშაობს, ან თბილისის მაუდის ტრესტი". და არათუ კაროლინას, არამედ მკითხველსაც უჭირს გაიგოს: „ეს რომელი

ალშიბაია იყო, კოლხეთის ძველი კულტურის მაქებარი, თუ ახალი აღმშენებლობის მეხოტბე?“

რაც მთავარია, ტრილოგიაში არ არის გამომჟღავნებული მკვეთრი, საბჭოთა მწერლისათვის აუცილებელი ტენდენციურობა, რომელსაც ენგელსი დიდი რეალისტების დამახასიათებელ ნიშნად თვლიდა. უარყოფითი და დადებითი პირების დაპირისპირებაში არ არის დაცული ადგილისა და მოქმედების პროპორცია, სიუჟეტური ხვედრითი წონა. ამიტომ გაშარჯვებულთა და დამარცხებულთა როლები ფინალში უფრო ხელოვნურად წყდება, ვიდრე ეს სიუჟეტის განვითარების ლოგიკით იყო მოსალოდნელი.

ტრილოგიაში ყოველი უარყოფითი ტიპი თუ ხასიათი დამთავრებულია. დიდი ვიზიონერული ძალითა და სრულყოფილი მხატვრული აქსესუარებით არიან დახატულნი ლანდად ქცეული თავადები. ნოშრევან ფარჯანიანი თუ გახუნებული მეფის გენერალი, ახლა კი მებორნე; ბანდიტები — გაკოტრებული აზნაური გვანჯი აფაქიძე თუ მისი სიძე ჯოტი გვასალია; გამოჩერჩეტებული ხუცესი ბაბუა ტარიელი თუ ლუკაია; პატრიარქალური ქორა მახვში თუ გაბოროტებული ლომკაც ესვანჯია. გასაოცარი ფერწერითი ოსტატობით არის გამოხატული ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრებული ტარიელ ხუცესი — მისი ბუზღუნი და წყევლა ახალი დროებისადმი, მისი უკმაყოფილება და ფორიაქი ოჯახში. ასევე გასაოცარი მხატვრული ალღოთი არის დახატული ლენჩი ლუკაიას პორტრეტი.

იგივე არ ითქმის ახალი ყოფის ადამიანებზე. როსტომ ლიჩელის, ჩალმაზის თუ სხვათა ხასიათები მეტისმეტად ესკიზურია და სქემატური. რასაკვირველია, არ შეიძლება ვიდავოთ იმაზე, რომ ახალი ადამიანების, საბჭოთა ადამიანების გამოვლინება, მათი მორალური და სულიერი სიმაღლის ტიპიზაცია გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე კლასიკური მწერლობის მიერ ათასი გზით და მრავალი ვარიაციით წარმოდგენილი ზედმეტი ადამიანების ხასიათებისა. საბჭოთა მწერლის უპირველესი ამოცანაა, ჩვენი ეპოქის ადამიანების, ძველი ქართული მწერლობისათვის უცნობი ახალი ადამიანების გამოკვეთა და გამოსახვა, მათი წარმოდგენა ტიპიურ მდგომარეობაში, მათი წარმოსახვა პერსპექტივაში. სწორედ ამ ამოცანებს აყენებს პარტია მწერლობის წინაშე. საბჭოთა მწერლისაგან, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვენ ისეთ წიგნებს, სადაც მკაფიოდ იქნება, როგორც მაგალითი, ნა-

ჩვენები მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული, მტკიცე, მაღალი სულიერი ღირსების მქონე საბჭოთა ადამიანის სახე, — თავის საქმეში დარწმუნებული ახალი ადამიანი, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.

რასაკვირველია, ამ მხრივ არზაყანს აკლია ფერები და საღებავები, რომ იყოს ტიპიური წარმომადგენელი საბჭოთა ახალგაზრდობისა. ეს რომანი მეტად საინტერესოა მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით. ტრილოგია დაძაბული აფეთქებით იწყება — მამისა და შვილის კონფლიქტით, ვითარდება შეჯიბრებით ენგურის ტალღებთან და შემდეგ მიემართება პერსონაჟების კონფლიქტის გზით. აქ კ. გამსახურდია ჭეშმარიტი ოსტატის როლში გვევლინება. მაგრამ რომანის ამ ცოცხალ სიმძაფრეს ანელებს თარაშ ემხვარის გაჭიანურებული და არეული დღიურები. საზოგადოდ, რომანის ძირითადი სიუჟეტური რკალი ერთგვარად გადატვირთულია წვრილმანებით, მეორეხარისხოვანი მოვლენებით. კ. გამსახურდია სწორად ათქმევინებს რომანის გმირს გვანჯ აფაქიძეს: „ეჰ, არა ღირს, ბიძი, ჩემი ცხოვრების უკუღმართობა სულ რომ გიამბო, არც ერთ წიგნში არ დაეტევა". მაგრამ ავტორი თვითონ არ იცავს მკაცრად ამ წესს და, მართლაც, ყველაფერს ათქმევინებს, რაც ენაზე მოადგებათ, მის დამთხვეულსა და მიხრწნილ გმირებს.

ამისდა მიუხედავად, გასაგებია კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულება და პოზიცია თანამედროვეობისადმი, ახალი ცხოვრებისადმი. ყველაზე უფრო ნათლად ეს პოზიცია რომანის ფინალში გამოჩნდა. თარაშ ემხვარი ენგურის ტალღებთან ბრძოლაში დაიღუპა, მთვარემ მოიტაცა ეს მიჯნური თამარისა და ძველი ცხოვრებისა. ამ ხელმოცარულმა კაცმა ვერც სიყვარულში ჰპოვა ბედნიერება და ვერც საზოგადოებაში მოძებნა ადგილი. იგი დაიღუპა როგორც უნაყოფო ხე, რაც სიმბოლურად მიგვანიშნებს თარაშისა და მისი კლასის დამარცხებას და გადაშენებას ახალთან ბრძოლაში.

რომანის არქიტექტონიკა, სიუჟეტის განვითარების ხერხი და რომანის მთელი მხატვრული აქსესუარი ბევრ საინტერესო საკითხებს აყენებს ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით. ტრილოგიის ეს წიგნი იყო კ. გამსახურდიას პირველი სერიოზული, დიდი მხატვრული ქმნილება. რომანი მდიდარია შესანიშნავი პოეტური საღებავებით დახატული პეიზაჟებით. ზოგი მათ შორის ისეთი მხატვრული სიცხადითა და რელიეფურობით არის გამოკვეთილი რომ ყოველთვის შეგიძლიათ

ოგი წარმოიდგინოთ, ხელშესახებად იგრძნოთ. ასე, მაგალითად: „მთვარემ გადაათოვა ველებს და მერე წამოვიდა შავი ზღვით ნასუნთქი ღრუბლები, შემოურა, შემოევლო, ზედ გადაეფოფრა მთვარეს, როგორც ბოლოგაშლილი ფარშევანგი თავის ნამლევს“. სვანეთის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და, საზოგადოდ, ზღვისპირა ბარის პეიზაჟების უფრო ბრწყინვალე სურათები ძნელია წარმოვიდგინოთ, ვიდრე ეს კ. გამსახურდიას ტრილოგიაშია დახატული: „და ეს საღამოც ისეთი ნაზი და მშვიდი იყო, ისე ტკბილი და აუმღვრეველი, როგორც არა ერთია ხოლმე ზღვისპირა ქვეყნების გამოზაფხულზე, როცა ნაზამთრავი მიწა მზეს შეეფიცხება, ბუნებას საოცრად ზანტი ზმორება აიტანს და მწვანე გადმოსკდება ბუჩქების, ყლორტების და ხეების კლერტოებიდან... სიმწვანე და სიხალისე შეჰპაროდა ჭრელად მოხატულ ტანებს ჭადრებისა, ნაქერქალზე შიშველ და ხასხასა ტალღები დატყობოდათ. იდგნენ გულამაყი ჭადრები და იშმუშნებოდნენ ამო ზეფირის ალერსით გულაჩვილებულნი... ზღვა უდრტვინველად თვლემდა. ასე ეგონებოდა კაცს, ზღვა კი არა, ველი არისო, მოლიბრო ჯეჯილით მოსილი. დასავლეთით ფრთაგაშლილი ქერუბიმებსავით ეთეროვანი ღრუბლები უმოძრაოდ ეკიდნენ სფეროში და ცის შუა გულიდან მოყოლებული სამხრეთისაკენ, შორს, ვიდრემდის თვალი მისწვდებოდა, გაჭიმულიყო თეთრ ეტრატსავით წაგრაგნილი ღრუბლები თხელი, გამჭვირვალე და მთვარისაგან გაბრწყინებული. მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ ზღვასა და ცას შორის გახიდულიყო ორფრთიანი მრუმე, რომელსაც ისე საოცრად ეტყობოდა ადამიანური ფორმა თავისა, ასე იტყოდი, უზარმაზარი ირიბფრთებიანი სატანა გახირულაო ზღვასა და ცას შორის...“ ასეთი ფერწერითი სურათებით მდიდარია ეს რომანი.

კ. გამსახურდია ერთგან წერს: „მე ისეთი უკიდურესი ესთეტიკური ჰედონისტური იდეებით ვიყავი გატაცებული, საბჭოთა საქართველოს ფარგლების გარეშე რომ დავრჩენილიყავი, ჩემთვის უთუოდ მიუწვდომელი იქნებოდა დიდ შემოქმედებასთან წილნაყარობა“. ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ავტორის ამ სიტყვებს.

კ. გამსახურდიამ იდეური და მხატვრული შემოქმედების მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა გაიარა. შემოქმედებითი ევოლუციის ამ გზაზე პირველი ნაწარმოები, რომელიც მას საბჭოთა მწერლობისაკენ ეზიდებოდა და მტკიცედ ამაგრებდა მის პოზიციებზე, უთუოდ ეს ბრწყინვალე ტრილოგიაა.

კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცების“ შემდეგ მწერლის შემოქმედების მთავარ პრინციპად თანამედროვეობის ასახვას აყენებდა. როგორც მწერალი აცხადებდა, მისი შემოქმედების „დიდი ბარიერი“ ახალი ადამიანის პრობლემა იყო. 1936 წელს იგი წერდა: „უეჭველია, ისტორიული რომანი საერთოდ მეორეხარისხოვანი ამბავია, არასოდეს ისტორიული რომანი არ ყოფილა წამყვანი ჟანრი. არც სტენდალი, არც ბალზაკი, არც დოსტოევსკი ცნობილი არ ყოფილან, როგორც ისტორიული რომანის ავტორები... წამყვანი რომანი თანამედროვე მასალაზე აგებული რომანია“. და შემდეგ ის უსაყვედურებდა თავის კოლეგებს: „ნაწილი აქტიური მწერლობისა ჩვენში პოპულარულ ისტორიულ თემებს და მათ დამუშავებას გადაჰყვა, მიივიწყეს თანამედროვე რომანის სიუჟეტისა და კომპოზიციის სიმძაფრისათვის ბრძოლა“. მაგრამ თვითონ კ. გამსახურდიამ „მთვარის მოტაცების“ შემდეგ სულ მალე ხელი აიღო თანამედროვეობის თემებზე; იგი თითქმის სავსებით გაიტაცა წარსულის, ისტორიული თემების ასახვამ. რასაკვირველია, ისტორიული თემა თავისთავად როდია უარსაყოფელი. წარსულის ტიპიური დახასიათება და ამ მოვლენების შევსება გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟებით, სახეებითა და ფსიქოლოგიით, საკმაოდ რთული საქმეა. აქ საჭიროა დიდი ცოდნა როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული წყაროებისა. საჭიროა მწერლის ძლიერი ფანტაზია და მხატვრული ალღო. ყოველივე ამის გამო ისტორიულ თემაზე მუშაობა ხელწამოსაკრავი საქმე როდია, მაგრამ ისტორიული თემატიკით გატაცება არ უნდა ემთხვევოდეს თანამედროვეობისაგან განდგომას და თანამედროვეობის მივიწყებას. აქ მთელი სიმწვავით დგას საკითხი ერთგვარი პროპორციისა. ყოველი დიდი თანამედროვე მწერალი თავისი ეპოქის, თანამედროვეობის ამსახველია, უპირველეს ყოვლისა, და მაშინაც კი, როცა იგი ისტორიულ თემას ჰკიდებს ხელს. ამ თემის დამუშავებაში მთელი სიცხადით უნდა მეღავნდებოდეს თანამედროვე მწერლის სული და დამოკიდებულება ისტორიული მასალისადმი, თანამედროვეობის გაგების და ისტორიული წარსულის შეფასების ნათელი პოზიცია უნდა განსაზღვრავდეს მწერლის დამოკიდებულებას ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენის საქმისადმი.

კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებს შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს უაღრესად პოეტური რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. იგი ჩვენი ხალხის ისტორიის მეტად საინტერესო პერიოდს

ეხება. ეს არის მე-10 საუკუნის დასასრულსა და მე-11 საუკუნის დასაწყისში საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა. ბაგრატ მეფემ, თავისი შორსმჭვრეტელი პოლიტიკის წყალობით, მოახერხა მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებისათვის. მისი საქმე ღირსეულად განაგრძო ბაგრატ III შვილმა, მეფე გიორგი პირველმა. რომანის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს სწორედ საქართველოს ეს სახელოვანი მეფე — გიორგი პირველი. რომანი ასახავს გიორგი პირველის მეფობის ხანას და მის ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში" სწორედ შენიშნავს იმ შინაგან წინააღმდეგობას, იმ ძლიერ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გიორგი მეფესა და სამთავროთა თავნება მფლობელებს შორის. მწერალი რომანის დასაწყისიდანვე ბოლომდე ფარდას ხდის ფეოდალური სახელმწიფოებრივი იერარქიის ამ მწვავე საკითხს. გიორგი მეფის ბრძოლა მამამზე ერისთავისა, თალაკვა კოლონკელიძისა, ტოხაისძისა თუ ჭიაბერის წინააღმდეგ, — ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა ერთიანი საქართველოს მედროშე მეფესა და საქართველოს დანაწევრებისათვის მებრძოლ თავნება თავადებს შორის. მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს — გიორგი მეფეს არ უყვარდა მოძმეთა სისხლის ღვრა, შინაური ომი სძაგდაო.

„ომი დიახაც ენატრებოდა, მაგრამ არა შინაური, არამედ გარეშე მტერთან. შინაური ომები სძაგდა ჟამის დღესავით მეფეს". ამიტომ ის არა ერთხელ, სანამ თვითონ, ტანისამოს გადაცმული, არ დარწმუნდებოდა „მოძმეთა" (ერისთავთა) ღალატში, მანამ არ აღმართავდა თავის მახვილს შინაური მტრების წინააღმდეგ. რომანში ბევრგანაა ნაჩვენები გიორგი პირველი, როგორც ხალხისათვის თავდადებული მეფე, მეფე მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. „ბასილ კეისარს ეს უნდა, — ამბობს გიორგი, — ერთმორწმუნე საქართველოც სომხების დარად გადასანსლოს როგორმე, სანამდი პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილ კეისარი". გიორგი დაუნდობელია და მრისხანე მტრების მიმართ. აი როგორ იგონებს ტოხაისძეს მეფის საქციელს მტრების მიმართ: „განა არ გახსოვს, ერისთავთ ერისთავო, ხურსის ამბულერი სარკინოზებთან რომ გაექცა მეფეს, ციხე წარუღო, ხურსის ვაჟების ძვლები ამოსთხარა აბუთელთა საძვალედან, ღორსა და ძაღლს ათრევინა". ამიტომ შიში და რიდი

აქვთ მამამზე ერისათავსა და ტოხაისძეს გიორგი პირველისა, მაგრამ თან დიდგვარიანთა შურის გრძნობა ამოძრავებს მათ. გიორგი მეფე ამ ფონზე ნაჩვენებია, როგორც ვაჟკაცი, წინდახედული მეომარი, გულუშიშარი რაინდი. მაგრამ „დიდოსტატის მარჯვენაში“ გიორგი პირველის მეფობის პერიოდის ისტორიული ვითარების და თვით გიორგი მეფის, როგორც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწის, თანმიმდევრულად დახასიათებას არა აქვს დათმობილი პროპორციულად იმდენი ყურადღება, რამდენიც საქართველოს მეფის გიორგი პირველის უიმედო ტრფობას ერისთავ კოლონკელიძის ასულის პირმშვენიერ შორენასადმი. ამ სამიჯნურო ქარგაზე იშლება რომანის სიუჟეტი. ამიტომ ხშირად გიორგი პირველის მთელი მოქმედება, იქნება ეს მეამბოხე ჭიაბერის ვერაგული მოკვლა თუ წარმართი კოლონკელიძის მიერ ხატების შემუსვრა და ამის გამო მისთვის თვალების დათხრა, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია შორენასადმი ტრფობით. „ზოგს ასე ჰგონია, კოლონკელიძის მიერ შემუსრული ხატების ბედი აწუხებდა გიორგის. ჭიაბერი რომ შორენას ირთავდა, ეს ახელებდა მეფეს“. ასე ახასიათებს მეფის მოქმედებას ჭიაბერის ძუძუმტე შავლეგ ტოხაისძე. და ეს ხაზი ბოლომდე გასდევს რომანს. გიორგი პირველისა და შორენას დამოკიდებულებაში მეფე ჩვენ წინ წარმოდგება, როგორც ეროტომანიით შეპყრობილი გმირი, გახელებული მიჯნური. პირველი ნახვისთანავე მცხეთაში საჯაროდ მიეჭრა გიორგი შორენას: აი, როგორ ახასიათებს მას ტოხაისძე: „შარშანწინ მცხეთობაში ნახა შორენა პირველად. სავსებით დაავიწყდა, რომ იგი მეფე იყო და თავდაჭერა მართებდა. კათოლიკოსს დედოფალი ტაძრეულს შეატოვა, ყმაწვილივით აგვეკიდა მე და ჭიაბერს, როცა წამოსვლა დავაპირეთ, შორენას მიეჭრა, ცხენზე ასვლაში უშველა თავათ, საწმერთულის ტოტი აუწია და აკოცა წვივზე“. შემდეგ საქმრო მოუკლა, თვალები დასთხარა მამას და სახლში წამოიყვანა მიჯნური, როგორც ტყვე, ციხეში ჩაამწყვდია ქალი და სპეტაკი შორენა ხალხის თვალში მეფის სიძვის დიაცად მოინათლა. მწერალი გიორგი პირველს ეროტიკული, დაუოკებელი ვნებებით გვიხატავს.

მეფე და გირშელი, ფხოვში ბიმავალნი, ასე მსჯელობენ:

„ლამაზებიც არიან შიგადაშიგ, — ეუბნება ხმადაბლა ყველისცი-ხის პატრონს გიორგი. — აბა, დააკვირდი ქარაფის პირად მიმავალთ, აშოლტილი გოგონებია ისინი. მე დავინახე ჯერ კიდევ მაშინ, როცა მთავარ გზაზე გადმოუხვიეს...

ცხენები ააჩქარეს, გაუსწორდნენ მეწინავეთა. შეფარვით უპვრეტ-დნენ ეს დიაცები თოროსან რაინდებს, შესწითლებოდათ დასიცხული ლოყები.

თავსაფრებიდან ელავდნენ ნაღვლიანი, ღამეზე უშავესი თვალები. სხვანიც შენიშნა გირშელმა: ქერათმიანი თეთრყირმიზა დიაცები, ოდ-ნავ ჭორფლიანი, მკერდსავსენი და თეძოსავსენი, სწორბარკლიანი, დროშის ტარივით აშოლტილი დედაკაცები.

უთვალთვალებდნენ დასიცხული მეფე და ერისთავი სიმრგვალისა და სირბილის ტოკვას ძაძით შეფარვულს, განიერ თეძოების რყევას.

მტრედის ხუნდივით პაწია და თეთრი ფეხები მიტოპავდნენ მტვერ-ში...

გიორგი კვლავ გადმოიხარა ცხენიდან, გირშელს ეუბნება ჩურჩუ-ლით:

„ვინ დასწყევლაო ეს მშვენიერი დიაცები, მუდამ მგლოვიარენი იყვნენ, ჭკნობას შეუნახონ მშვენება, რათა ერთ დღეს მოვიდეს სიკვ-დილი და ისე მოიმკას ისინი, რომ ერთხელ მაინც არავინ იგემოს მათი მშვენიერი სხეულის სიმწიფე!“ და შემდეგ:

„სიცხისაგან შეჭარხლული გირშელი გაოგნებული იჯდა უნაგირ-ზე, მაინც უთვალთვალებდა ფეხშიშველა დიაცებს. განზრახ ჩამორ-ჩებოდნენ მეფე და ერისთავი მხლებლებს, სტკბებოდნენ მრუში ამბე-ბის მოყოლითა და ბილწსიტყვაობით“.

ასეთი ეროტიკული დიალოგი იმართება მეფესა და გირშელს შო-რის იმ დროს, როდესაც მთელი ორი საერისთავო განდგომილა და ისეთ სახიფათო ექსპედიციებს აწყობენ, რომლებიც შეიძლება ტრაგი-კულად დამთავრდეს მთელი საქართველოსათვის. ასეა დახატული გი-ორგი პირველი, რომელსაც მემატიანე იხსენიებს, „როგორც ყოვლი-თა სიკეთითა სავსეს“ და რომელსაც გარდაცვალებისას „იგლოვდა ყოველი სიჭაბუკისა და სიკეთისა და აღფრთოვანებისა მისთვის“. აქ უთუოდ არის ერთგვარი გადაჭარბება, მაგრამ ამგვარი გაზვიადება თუ გადაჭარბება ლიტერატურაში დაუშვებელი როდია.

გიორგის პირველის შესახებ ცოტა რამ ვიცით ისტორიული საბუ-თების მიხედვით, მაგრამ ის, რაც ვიცით, დიდად მნიშვნელოვანია და არსებითი. რომ ბაგრატ III კუროპალატი იყო. შემდეგ ბაგრატსა და იმპერატორ ბასილს შორის უთანხმოება ჩამოვარდა: „ბასილმა დავით კუროპალატის სამფლობელოს უდიდესი ნაწილი თავისთვის დაიჭირა.

ამ მემკვიდრეობის გამო საქართველოსა და ბიზანტიას შორის კარგა ხნის განმავლობაში იყო ბრძოლა". ბაგრატ III შვილიც გიორგი პირველი საქართველოში აფხაზთა და ქართველთა მეფედ იწოდება. გიორგი ნაწყენია იმით, რომ დავით კუროპალატის კუთვნილი მიწები ბიზანტიამ უკანვე წაართვა. ბიზანტიასა და საქართველოს შორის ომი გამოცხადდა. კეისართან ბრძოლაში, ფეოდალების თვითნებური საქციელის წყალობით, იგი დამარცხდა და დაკარგა სამეფო ციხეები ტაოში და არტაანში. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით შთაგონებული მეფე მრავალგზის ცდილა ბიზანტიის ბრჭყალებისაგან გაეთავისუფლებინა საქართველო. ეს ისტორიული საქმენი მეფისა რომანში საკმაოდ ნათლად არის გამოხატული და პატრიოტი მეფის სახე თვალწინ გვიდგას, მაგრამ ავტორმა უცოდველი ბერის როლში როდი დაგვიხატა გიორგი პირველი და ამიტომაც მას ყურადღების ცენტრი — მხოლოდ გმირობის ამ მომენტებზე კი არ გადააქვს, არამედ გვიხატავს ამ მეფეს, როგორც მიჯნურსაც.

გიორგი მეფეს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, თითქოს ჩრდილს აყენებს გადაჭარბებული ვნებიანობა და ავადმყოფური საქციელი. მაგრამ თვით ურთიერთობა შორენას და მეფეს შორის და მეფის სიყვარული შორენასადმი მწვავე დრამატული კოლოზიებითაა დახატული. შორენასადმი სიყვარული მეფის ჩვეულებრივი სიმრუშისაგან უთუოდ განსხვავდება. თავდავიწყებით უყვარს მეფეს პირმშვენიერი შორენა. რაც უფრო მიუწვდომელია ეს სიყვარული, მით უფრო ახელებს მეფეს იგი.

„შესცქეროდა თეთრად მოქათქათე ხილნარს. სიყვარული, ღვინო და ყვავილთა სურნელება შემოგზნებოდა გულზე.

კიდევ შეხედა სასახლის სარკმლებს.

დარწმუნდა, ჩამოსულაო შორენა, რადგან ცაც ისეთი მაღალი იყო, ვარსკვლავებიც ნაზად ნაბავდნენ იისფერ წამწამებს... ოცნებასა და ზმანებას გაებანგა ქვეყანა სრულად",

გიორგი თავბრუდახვეულია შორენას ტრფობით. „როცა გიორგი მეფე მანდილოსნებს მიეახლა, შორენამ თავი აიღო, განსაცვიფრებელმა სილამაზემ შეანათა სახეში, ელდა ეცა გიორგის. მას არასოდეს ენახა ძაძას, მწუხარებასა და უბრალო სამოსს ასე გაემშვენიერებინოს ქალი... არა მიწიური მშვენებით ბრწყინავდა იგი, ამ წუთში გაცილებით უფრო მშვენიერი იყო იგი, ვიდრე სამი წლის წინათ, როცა იგი

პირველად ხატობის დროს ნახა, მცხეთაში ფხოურ ტანისამოსში მორთული, ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის". შორენას სიყვარულისაგან გახელებული მეფე გადაწყვეტს, გაეყაროს თავის კანონიერ ცოლს და პირმშვენიერი შორენა შეირთოს. მაგრამ ეს მეტისმეტად ძნელი ამოცანაა. გიორგის სულ წინ უდგას მელქისედეკ კათოლიკოსი, დედოფალი მარიამი და სამეფო კარის ინტრიგები. ამ მძიმე ხლართში იქმნება მძიმე სულიერი, ტრაგიკული სამიჯნურო თავგადასავალი მეფისა. შორენას სიყვარულით გახელებულმა მეფემ ჭიაბერის სიკვდილით და თალაკვა კოლონკელიძისათვის თვალების დათხრით მიზანს ვერ მიაღწია. მელიქსედეკ კათოლიკოსი მოითხოვს, შორენა ვისმეს მიათხოვონ, ან მონაზვნად შედგეს იგი. ამ შიშით შეძრწუნებული მეფე გადაწყვეტს, მკვიდრ ბიძაშვილ გირშელს დაანიშვინოს ქალი და ამით გადაარჩინოს იგი მონაზვნობას. ესეც იმიტომ განიზრახა, რომ ქალი არ დაეკარგა. შემდეგ გირშელის ჩამოცილება სცადა და ამასაც მიაღწია. გირშელის ჩამოცილების შემდეგ მეფეს ახალი მეტოქე გაუჩნდა აოსაკიძის სახით, რომელსაც შორენასთან ტრფობის გამო ფარსმან სპარსის ჩაგონებით მეფემ მარჯვენა მოკვეთა. და როდესაც ამ გზითაც ვერ მიაღწია მიზანს, უზომოდ გამიჯნურებული მეფე, საბოლოოდ განაწამები და სასომიხდილი, სატრფოს ბაგინეთის მონასტერში მონაზვნად აღკვეცავს. მშვენიერი შორენა თვითმკვლელობით ამთავრებს თავის სიცოცხლეს, მეფე კი გადაიკარგება და იღუპება.

რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლის ეპიზოდებს. ხშირად გიორგი პირველი ქრისტიანობაზე რწმენაშერყეული და წარმართული იდეების მომხრე მეფის როლშია წარმოდგენილი; თუმცა ქრისტიანული რწმენის შიში ძლიერ წამოყოფს ხოლმე თავს მეფის გულში. ჭიაბერის სიკვდილმა მეფეც დააეჭვა: „ვაი თუ ფარსმანის წამალს არც კი ემოქმედოს და მართლაც ძელისცხოველს მოეკლას ჭიაბერიო". ოლთისში შემთხვევით დამწვარი „უფლის სახლიც" მოსვენებას არ აძლევს გიორგის. „კავკასიის წოწოლა მწვერვალზე ცეცხლშემოგზნებული ეკლესია დგას, გუმბათამდის მისწვდენია ხანძარი... შეძრწუნდა გიორგი, მუხლი მოეჭრა, საფეთქლებიდან ოფლი გადმოსდიოდა. თვალს მოიფშვნეტს, კვლავ გასცქერის მთას. ლაპლაპებს ცამდე მწვდენი კოცონი, იწვის „უფლის სახლი" ისე, როგორც იმ საღამოს ოლთისში". ასეთი სურათი ელან-

დება ურწმუნო მეფეს. თუ ერთი მხრით, მას ეჭვი შეაქვს „ღვთის სახ-ლის“ ძალაში და ამბობს, „ჰო, რა ვუწყით, თუ რა არს კონცხსა მას, ან რას ვცემთ თაყვანსო“, მეორე მხრით, იგი შიშით შეპყრობილი წმიდა გიორგის ხატის „გაპარვით“, უხმობს ეზოსმოძღვარს და მთელი ღამე აკითხვინებს ფსალმუნს. ასეთია მერყეევი გიორგი მეფე, გამ-სახურდიას მიერ დახატული წარმათობასა და ქრისტიანობას შორის უპირატესობის გადაწყვეტაში. საერთოდ რომანში წინ არის წამო-წეული წარმართობასა და ქრისტიანობას შორის ბრძოლა და სამთავრო-თა უთანხმოების მიზეზიც ამ ფონზე იშლება ხშირად.

„დიდოსტატის მარჯვენა“ მდიდარია მრავალფეროვანი, მხატვრუ-ლად სრულყოფილი, დამოუკიდებელი სახის მქონე პერსონაჟებით. მწერალი ძლიერი საღებავებით ხატავს გიორგი მეფის, მამამზე ერის-თავის, შორენას, მელქისედეკ კათოლიკოსის, ფარსმან სპარსის, კონ-სტანტინე არსაკიძის ხასიათებს და სახეებს. კონსტანტინე არსაკიძის და გიორგი მეფის შემდეგ მხატვრული საღებავებით სრულყოფილი სახე რომანში მაინც ფარსმან სპარსია. ფარსმან სპარსის წარსული ბნელით და საიდუმლოებით მოცულია. გიორგის მამას, ბაგრატ კუროპალატს, ტყვედ ჰყავდა იგი ჩამოყვანილი. „ქვისმთლელთა და კირით ხუროთა უხუცესი და იდუმალთა მომთხრობი იყო ფარსმანი, არაბულ ალქიმიაში ფრიად განსწავლული, უებარი ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი აქიმი, უცნაური მეწამლე და მჩხიბავი. ფრიად ბნელ ამბებს უკავშირებდნენ მის სახელს“. არავინ იცოდა დაბეჯითებით, მართლა სპარსი იყო იგი, სარკინოზი თუ ბერ-ძენი. მისი ნამდვილი ვინაობა და ხელობა არავინ იცოდა. ყოველი ენა, ყოველგვარი ჯურის კანონი ზედმიწევნით იცოდა: ქართული, არაბუ-ლი, თურქული, ირანული და ბერძნული. ეს წარმართი „45 წლის კა-ცი მოანათვლინა მელქისედეკმა“. როგორც ყველა ავანტიურისტს, მა-საც რამდენიმე ხელობა ჰქონდა მომარჯვებული. ყოველ სარწმუნოე-ბას აპამპულებდა იგი. ამიტომ წარმართი შეარქვა მას კათოლიკოსმა. ფარსმან სპარსი დედათა მონასტერს შესჩვეოდა. მცირეწლოვან ქალ-წულებს საჩუქრებით გაიტყუებდა და ნამუსს ხდიდა თურმე. უკანას-კნელად ფანასკერტელის ქალისთვის აეხადა ნამუსი და კათოლიკოსმა სასამართლოს გადასცა ამის გამო. მაგრამ მეფემ გადაარჩინა იგი, როგორც საჭირო კაცი, რომელსაც სარკინოზთაგან ჰქონდა ნასწავლი სმლის და ფოლადთა იარაღის საიდუმლოებანი. შემდეგ რომანში მისი

ნამდვილი ვინაობა ირკვევა: ბავშვობისას იგი თუხარისის ციხის ჩარდახებზე მტრედებს დასდევდა, 16 წლის უკვე შესანიშნავი მხედარი და მეომარი იყო. ბაგრატ კუროპალატთან ურჩობისათვის ფარსმანის მამა ჩორჩანელი ოჯახიანად ბიზანტიაში გაიხიზნა. უცხოეთში ფარსმანმა რამდენიმე ქვეყანა შემოიარა, სუფიების მოძრაობამ გაიტაცა, მერე ისევ ხელოვნების საქმეს მოჰკიდა ხელი და კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. შემდეგ კონსტანტინეპოლიდან ეგვიპტეში გაიპარა და, ბოლოს, ბაღდადის ხალიფამ თბილისში გამოგზავნა. აქ შეირქვა ფარსმან სპარსი და მოაწყო პირველი ობსერვატორია. ტყვედ ჩაუვარდა ბაგრატ კუროპალატს და გიორგი პირველმა ხუროთმოძღვართა უხუცესად დანიშნა. ახლა, თავის სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილი, ურჯულოდ, უთვისტომოდ იღუპება თავის თვისტომთა შორის. მართალია, მეფემ გადაარჩინა იგი სიკვდილს, მაგრამ მას გააჯიბრა ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე, რომლის გეგმით დაიწყო სვეტიცხოვლის ტაძრის აგება. ფარსმანის თანამდებობა ახლა კონსტანტინე არსაკიძეს ებოძა. არსაკიძე გრძნობდა, მეფემ და კათოლიკოსმა უდიდეს ოსტატს რომ შეარკინეს იგი. მოხუცებულ ბრძენ კაცს უნდა შებმოდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი. მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი, ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში. ამ ნიადაგზე რომანში ძლიერი დრამატული კვანძი იქმნება. ამ კვანძს ქმნის ფარსმან სპარსისა და კონსტანტინე არსაკიძის ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში კონსტანტინე არსაკიძე იმარჯვებს, როგორც დიდი ხელოვანი და შემოქმედი. მაგრამ იგი იღუპება ფარსმან სპარსის ვერაგული დაბეზღებით.

კონსტანტინე არსაკიძე მეტად ორიგინალური სახეა გამსახურდიას შემოქმედებაში. ის არ ჰგავს გამსახურდიას ნოველებისა და „დიონისოს ღიმილის“ ნიადაგგამოცლილ, რწმენადაკარგულ, ლანდად ქცეულ ადამიანთა სახეებს. კონსტანტინე არსაკიძე ავტორმა დაგვიხატა, როგორც სახე ნამდვილი და ჭეშმარიტი ხელოვანისა, რომელიც მზად არის არათუ სიცოცხლე, არამედ სიყვარულიც კი, თვით მშვენიერი შორენას სიყვარულიც, ანაცვალოს ხელოვნებას. გასაგებია მისთვის, რომ ხელოვანი თავისი შემოქმედებითი შრომით დიად და უკვდავ იდეას ემსახურება, ხალხს, სამშობლოს ემსახურება „და თავად უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქე“. ეს იდეა წარმოაჩინა კიდეც ტილოზე დახატულ სურათში იაკობის შერკინებით ღმერთთან. არსაკი-

ძეს თავისი საკუთარი თეორია აქვს ხელოვნების შესახებ, იგი ხელოვანის შრომას ყველაზე მაღლა აყენებს, და აი, როდესაც მის წინაშე ისმება საკითხი — სვეტიცხოველი თუ შორენა, ის გადაჭრით სვეტისცხოველს, ხელოვნების ძეგლს უთმობს პირველობას. „სვეტიცხოველი თუ შორენა. — ორივენი ერთსა და იმავეს მოითხოვდნენ მისგან: სიცოცხლეს. განა მარტო სიცოცხლეს მოითხოვდა ქალი? ვაჟკაცური სიტყვის გატეხას, პატიოსნებას და ოსტატობის ნაყოფს უძვირფასესს.

მხოლოდ ახლა ეკითხებოდა იდუმალ თავის თავს:

ხომ არ ეწადა, წვიმას არ გადაეღო, შორენა არ მოსულიყო, არ მოსულიყო არც დღეს, არც ხვალ და არც არასოდეს, არც არაფერი ეთქვა მისთვის იმ „მეორე გზის“ გამო?

ხედავდა არსაკიძე, ეს გზა უკვე უიმედო იყო, როგორც შორენას წინაშე მდებარე ყოველი გზა“.

მიუხედავად ამისა, არსაკიძეს თავდადებით უყვარს შორენა. ასევე შორენას გული არსაკიძეს დაენდო. მხოლოდ მასში მონახა მან გულწრფელი მეჯნური. არსაკიძემ იცის, რომ სიყვარული უძლიერესი გრძნობა, „ან თუ ღმერთია სადმე ამქვეყნად, სიყვარულია, ალბათ, ის ღმერთიც... სიყვარული თავად ღმერთია ამ ქვეყანაზე“. კონსტანტინე გამსახურდიას არსად არა აქვს დახატული ისე გულწრფელად, ისე წმინდად, ისე ძლიერი რომანტიკული ფერებით ქალ-ვაჟის სიყვარული, როგორც ამ რომანში კონსტანტინე არსაკიძისა და შორენას შორის. არსაკიძე გულწრფელად ამბობს: „შენ ხომ სხვა დიაცებსავით მშიშარა არა ხარ. შენ არავის ჰგავდი შენს საქმეში, შორენა, ამიტომაც უფრო ადრე მიყვარდი, ვიდრე მე შევიცნობდი, თუ რა იყო ქალი და კაცი. შენ რაინდებზე უფრო მიეახლე მეფის ავაზს. შენ ისეთი წმინდანი ხარ, უმძვინვარესი მხეცებიც ვერ შეგბედავენ. თუ სიყვარული ღმერთი ყოფილა, შენ ხარ ჩემი სიყვარული და ღმერთი თავად. ამიტომაც გიგულებდი თანამდგომად მარტო ბრძოლაში“. მწერალი ასევე გულწრფელად ათქმევინებს არსაკიძეს: „ძლიერი მანამდის ვიყავი, სანამდის შენი სიყვარული დამათრობდა, ძვირფასო“. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გულწრფელია ეს სატრფიალო თავგადასავალი ქალ-ვაჟისა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე არსაკიძეს თავდავიწყებით უყვარს პირმშვენიერი შორენა, როდესაც კითხვა დადგება — რომელი უფრო უყვარს შემოქმედ არსაკიძეს: სვეტიცხოველი თუ ქალი, ის გადამწყვეტ უპირატესობას სვეტიცხოველს აკუთვნებს. ამი-

ტომ გულწრფელია არსაკიძეს სიტყვები: „მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზედ მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი“. არსაკიძე სწორად მსჯელობს: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე. უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება... ხელოვნება თავად უკვდავია... მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწევა სიკვდილი. ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“. არსაკიძის აზრით, თუ გინდა დაფასდეს შენი ნამოქმედარი, ის ხალხს უნდა აჩუქოო.

კ. გამსახურდიამ კონსტანტინე არსაკიძის სახით, რომელიც დაბალი ფენიდანაა გამოსული, მოწინავე აზრების ადამიანი დაგვიხატა. არსაკიძემ მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ჩააქსოვა უდიდესი სიყვარულით აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარს და იაკობის ღმერთთან შერკინების მხატვრულ სურათს. დიდი ხელოვანი არსაკიძე დახატა მწერალმა, როგორც შრომისმოყვარე, თავისი პროფესიისა და ხალხის სიყვარულით შთაგონებული გმირი. ამიტომაც არსებითად რომანის ცენტრალურ ფიგურას ყველაზე მეტად კონსტანტინე არსაკიძე წარმოადგენს. რომანის მთავარი გმირი არსაკიძეა, ხალხური თქმულებაც ამაზე მიუთითებს და რომანის სათაურიც. მწერალი სწორედ შენიშნავს, რომ დიდი ხელოვანისათვის, ჭეშმარიტი შემოქმედისათვის ფეოდალიზმის შავბნელი ეპოქა სრულიად შეუსაბამო ნიადაგი იყო. სწორედ ამიტომ სვეტიცხოველის უბადლო ოსტატიც, უკვდავ ქმნილებათა ხელოვანი ფეოდალიზმის, ეგოისტური განაჩენის მსხვერპლი გახდა. ამით სავსებით სწორად აღნიშნა მწერალმა მოწინავე ხელოვანსა და ფეოდალურ სისტემას შორის არსებული კონფლიქტი და უფრო ძლიერად გამოკვეთა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული დიდი შემოქმედის — არსაკიძის სახე და უაღრესად თანადროული ელერა მისცა ისტორიულ რომანს.

ასევე საინტერესოა შორენას დახასიათება; შორენა მეტად საინტერესო ტიპია ქართველი ქალისა. ქალური სათნოება, გმირული და ვაჟკაცური სული, პატრიოტული გრძნობა და გულწრფელი მიჯნურობა — ყველა ეს თვისება შორენასი დიდი ოსტატობით და ტაქტით და-

.გვიხატა გამსახურდიამ თავის რომანში. თალაკვა კოლონკელიძის მხოლოდშობილი ქალი — პირმშვენიერი შორენა რომანში წარმოდგენილია, როგორც სპეტაკი, კეთილი გულის და სათნო გრძნობების, მაგრამ ვაჟკაცური საქმის შემძლე ქალი. კ. გამსახურდიას გმირ ქალთა შორის შორენა ყველაზე უფრო მაღლა დგას თავისი მორალური სახითა და კდემამოსილებით.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ავტორი, ბრწყინვალე პეიზაჟურ სურათებთან ერთად, ქმნის კოლორიტულ საყოფაცხოვრებო დეტალებს, რომლის პოეტური წარმოსახვის ფონზე იგი ახერხებს სრულყოს რომანის აქსესუარი. ძველი ადათ-ჩვეულებებისა და წესების, საომარი მოქმედებისა და ციხე-ქალაქების აღწერით ქმნის მდიდარ პასაჟს, რომლითაც აღწევს ამ პერიოდის ისტორიული კოლორიტის მოცემას. საზოგადოდ, ისტორიულ თემაზე დაწერილ რომანებს შორის თავისი მხატვრული სრულყოფითა და პოეტური ოსტატობით „დიდოსტატის მარჯვენა“ ერთ-ერთი პირველთაგანია.

•

რომანი „ბელადი“, ტრილოგიის გამოქვეყნებული ეს ნაწილი, შეეხება სტალინის ბავშვობისა და მოწაფეობის წლებს. რომანი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მწერალმა სტალინის ბავშვობის დღეები დაუკავშირა ქართველი ხალხის კულტურულ ტრადიციებს, მის ისტორიულ წარსულს და სოციალური ცხოვრების მძიმე სურათებს. აქ თავისებურად არის, კონტრასტების სახით, წარმოდგენილი, ერთი მხრით, თავადაზნაურული გორი, ამილახვრების სასახლეებისა და ცხოვრების ფონზე და, მეორე მხრით, ღარიბი ხალხი, მთიელი მეცხვარის — უფლისა არაბულისა, ხელოსნის — ბესარიონ ჯუღაშვილისა, თუ მუშა-მენახშირის მამუკა არაბულის სახით.

რომანი იწყება მეტად საინტერესო თავით „უფლისა არაბული“. უფლისა არაბული ორმოცდასამი წელია, რაც ამილახვარიანთ მოჯამაგირეა. მას სამი თაობა გამოუზრდია, ცხოვრება მაინც უნუგეშო და მძიმეა მისთვის. ასევე მძიმეა ცხოვრება ოსტატისა, ხელოსანისა, მათ შორის ბესარიონ ჯუღაშვილისაც. მშრომელი ხალხის მდგომარეობა ასეა დახასიათებული ბესარიონის სიტყვებით: „შენი არ მიკვირს, ძია უფლისა, ამ ჩვენს დროში შრომით ვის აუგია ციხე-დარბაზი. ჩვენი ხელობა არაფერს იძლევა, წელებზე ფეხს ვიდგამ და ესაა... მე და ჩე-

მი დედაკაცი დღედაღამეს ვასწორებთ, კეკე ქარგავს, აუთოვებს, სხვის ოჯახებს ალევს ძალ-ღონეს...“

უფლისა და მამუკა არაბულის სახით მწერალმა დაგვიხატა მკვეთრი ხასიათი მთიელისა, დაჩაგრული, მაგრამ უდრეკი ქართველისა. უფლისა არაბული მაინც იმედით შეჰყურებს მომავალს. ეროვნული და სოციალური ბრძოლის ეს ოპტიმიზმი რომანს რეალისტურ ხასიათს აძლევს.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ გამსახურდიას რომანზე — „ვაზის ყვავილობა“.

ეს რომანი თანამედროვე სოფლის ცხოვრების სურათებს გამოხატავს, და ეს იმას ადასტურებს, რომ კ. გამსახურდია, როგორც ჩვენი თანამედროვე მხატვარი, თანმიმდევრულად ამდიდრებდა ჩვენს საბჭოთა მწერლობას ახალი, სოციალისტური ყოფის ადამიანებისა და შრომის გამოსახვის გზით. გამსახურდია ქართულ პროზაში თანამედროვეობის თემით შემოვიდა. პირველ წლებში ამ თემატიკაში, მის გადაწყვეტაში ბევრი რამ იყო სადავო და საკამათო, და ეს იმას ადასტურებს, რომ თავისთავად თანამედროვეობის თემა შეიძლება სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას პოულობდეს. ამიტომ თანამედროვეობის თემატიკა როდი ნიშნავს, რომ ის ყოველთვის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სასარგებლოდ მუშაობს. წლების განმავლობაში სამართლიანად ეკამათებოდა ქართული კრიტიკა კ. გამსახურდიას, ეკამათებოდა ამავე დროს, სიყვარულითა და იმ შეგნებით, რომ ქართული სიტყვის ეს დიდი ოსტატი ჩვენი ცხოვრების, საბჭოთა სინამდვილის, მისი ადამიანების სულიერი ცხოვრების მხატვრად გამხდარიყო, მწერლის კალამს ემსახურა თანამედროვეობის დიდი პრობლემების გადასაწყვეტად.

თანამედროვეობის თემატიკაზეა დაწერილი კ. გამსახურდიას სამი ისეთი განსხვავებული რომანი, როგორიცაა: „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“, მაგრამ სამივე ამ ნაწარმოებს ახასიათებს სამი სხვადასხვანაირი გადაწყვეტა, განსხვავებული მხატვრული პოზიცია და, ამდენადვე, განსხვავებული დამოკიდებულება თანამედროვეობისადმი. ამ ნაწარმოებების ანალიზით შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ გამსახურდიას შემოქმედების ევოლუცია. ამ მხრივ ამ რომანებს შორის ერთი საერთო გმირი სულ სხვადასხვანაირ გადაწყვეტას პოულობს. თუ „დიონისოს ღიმილში“ მოდერნისტული სკოლების გავლენა ძლიერი იყო და მწერლის მხატვრუ-

ლი პოზიცია — სადაო და საკამათო, „მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურდიამ სცადა გადაეხედა ამ მხატვრული პოზიციისათვის. აქ მწერალი უფრო ახლო მოვიდა თანამედროვეობასთან და მძაფრად გამოსახა გარდასული კლასებისა და მათი სულიერი ცხოვრების გადმონაშთების მთელი ავლადიდება, მას დაუპირისპირა ახალი სამყარო. ამ სამყაროს ადამიანები და ამ მხრივ მწერალმა კონსტანტინე სავარსამიძის სულიერი მემკვიდრე თარაშ ემხვარი სხვა პლანით, სხვა მხატვრული პოზიციით გამოგვისახა. ახალ ცხოვრებასთან კონფლიქტში იგი იღუპება, როგორც ზედმეტი ადამიანი. „მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურდიამ მაინც ერთგვარი თანაგრძნობით, სიყვარულითა და ავტორის გარკვეული სულიერი ნათესაობით დაგვიხატა ეს ზედმეტი ადამიანი. ერთგვარი თანაგრძნობისა და სიბრალულის გრძნობა ამ გმირისადმი რომანში შემონახული იყო.

სულ სხვაგვარი დამოკიდებულებით გამოსახა ავტორმა ძველისა და ახალის ბრძოლა „ვაზის ყვავილობაში“. ავტორმა მთელი გულწრფელობით უმღერა დიდების ჰიმნი ახალ ადამიანებს, ახალი ცხოვრების, სოციალისტური ყოფის გმირებს. თუ ერთგვარ პარალელს გავავლებდით „ვაზის ყვავილობასა“ და „მთვარის მოტაცებას“ შორის დადებითი გმირების გამოსახვის თვალსაზრისით, მაშინ ნათელი გახდებოდა, რომ არზაყან ზვამბაიას მოკბილე გოდერძი ელანიძე გამოხატულია „ვაზის ყვავილობაში“, როგორც ხორცშესხმული განსახიერება ახალი სოციალისტური მშენებლობისა და ყოფის ადამიანისა, თავდადებული მშრომელი, მოწინავე კოლმეურნე, შემდეგ საკოლმეურნეო ცხოვრების მეთაური, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბოლოს, სამამულო ომის ფრონტზე საარაკო მამაცობისა და გმირობის გამომჩენი, დიდი პატრიოტი, უზადო საბჭოთა ადამიანი. „მთვარის მოტაცებაში“ გამოყვანილი კოლმეურნე ქალის — ძაბულის მკრთალ სახეს კი ამ რომანში ცვლის ნუნუ უჯირაულის და სუსქია მინდელის, მოწინავე პატრიოტი ქალების მაღალი მორალური სახე. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ნუნუ უჯირაული. გოდერძის ერთგული სატრფო, მოწინავე მშრომელი ქალი, ბრიგადირი, დიდი მორალური სისპეტაკის განსახიერება, თავდადებული მებრძოლი ყოველგვარი ტრადიციულის და გარდასულის წინააღმდეგ, ეს მღელვარე სახე ქართველი კოლმეურნე ქალისა აქ გამოხატულია დიდი სიმართლითა და მხატვრული სრულყოფილობით.

ბოლოს, რომანის მთავარი გმირის — პროფესორ კორინთელის სახით ავტორმა მოგვცა საბჭოთა სინამდვილესთან სიყვარულით დაკავშირებული დიდი სპეციალისტის, საბჭოთა აგრონომის სახე. ამ ადამიანის სულიერ სამყაროში მოძებნა ავტორმა ძველ თაობათა ის დიდი გარდატეხა, ის გულწრფელი მოსვლა რევოლუციურ საქართველოსთან, რომელიც ასე ტიპიური და დამახასიათებელი იყო ყოველი პატიოსანი, რევოლუციამდელი გამოჩენილი ადამიანებისათვის. კ. გამსახურდიამ ძველი თაობის ეს სახელმოხვეჭილი ადამიანი გვერდში ამოუყენა ჩვენს ეპოქაში ფორმირებულ ახალ ადამიანებს. ღრმა თანაგრძნობით, სიყვარულით გამოხატა მწერალმა ჩვენი ცხოვრების ეს ახალი ყლორტები მაღალი მორალითა და ენებათა მღელვარებით.

ამ პატიოსან ადამიანთა ცხოვრების საფუძველს დედა სამშობლოსადმი თავდადებული შრომა და ერთგულება განსაზღვრავს. შეიძლება ითქვას, რომ კ. გამსახურდიამ დიდების ჰიმნი უმღერა ახალი ადამიანების შრომითს ღვაწლსა და ბუნებას. კორინთელის სიტყვები, როგორც შრომის ჰიმნი, ისე გაისმის მთელ რომანში: „შრომა უდიდესი ფაქტორია, არა მარტო მატერიალური დოვლათის მომხვეჭელი, არამედ ერთგვარი „კათარზისი“, განწმენდა ადამიანის ზნეობისა. ისინი, ვინც შრომას განიცდიან, როგორც სიძულვილს, ვერასოდეს მისწვდებიან ცხოვრების ამ დიდ საიდუმლოებას“. შრომის ჰეროიკა, შრომის ჰიმნი, შრომის სიხარული არის ის დიდი პათოსი, რომლითაც ცოცხლობენ და მოქმედებენ ეს პატრიოტი გმირები. „ვაზის ყვავილობის“ უმთავრესი ღირსება იმაშია, რომ კ. გამსახურდიამ მთელი თავისი მხატვრული ძალით, დიდი ერუდიციით, მოქალაქეობრივი შეგნებით გამოსახა ჩვენი ადამიანების შრომითი ბუნება. მათი თავდადება და შრომის ჰეროიკა რომანტიკულ ფერებსა და საღებავებში გააცოცხლა და ასე ამაღლებულად, განზოგადებულად, რეალისტურად გვიჩვენა შრომა, როგორც ყოველი სიკეთის, დიდი დოვლათისა და ადამიანის პირადი ბედნიერების საფუძველი. ყოველივე ეს, სიმბოლურად ბერმუხას სახელთან დაკავშირებული, იმას ასაბუთებს, რომ შრომა მუდამ იყო ცხოვრების სიკეთის საფუძველი, ისტორიის განვითარების მამოძრავებელი ძალა, ხალხი კი — მისი მატარებელი, და ამიტომ ხალხმა და მხოლოდ მშრომელმა ხალხმა გადაარჩინა ჩვენი ერი და ჩვენი სამშობლო.

შრომა რომ ადამიანის ღირსების და სახელის საფუძველია, შრომა რომ ადამიანს აკეთილშობილებს და ამაღლებს, მის სახელს უკვდავებას ანიჭებს, ეს ლაიტმოტივი კ. გამსახურდიამ ჯერ კიდევ ისტორიულ რომანში — „დიდოსტატის მარჯვენაში“ წამოაყენა და სწორედ მე-11 საუკუნის საქართველოს სიმტკიცე და მისი მომავალი შრომასა და ამ შრომის ადამიანებს დაუკავშირა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კონსტანტინე არსაკიძის ეს მონუმენტური სახე, დაფუძნებული შრომის ჰეროიკაზე. ეს ლაიტმოტივი მწერალმა ახალ რომანში უფრო მძაფრად, უფრო ნათლად, უფრო ხაზგასმით ჩამოაყალიბა. კ. გამსახურდიამ იცის, რომ ახლა შრომა არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების, არამედ ადამიანის პირადი ბედნიერების საფუძველია. თუ ფეოდალიზმის პირობებში დიდმა ხელოვანმა, მშრომელი ხალხის წრიდან გამოსულმა კონსტანტინე არსაკიძემ პირად ბედნიერებასთან წილი ვერ დაიდო, კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობის“ გმირები — გოდერძი, ნუნუ თუ სხვები შრომით აღწევენ არა მარტო საზოგადოებრივი დოვლათის მოპოვებას, არამედ პირად ბედნიერებასაც. მწერალმა ამით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახალი ადამიანი ბატონ-პატრონია ახალი საზოგადოების, ახალი ცხოვრებისა და მის მიერ შექმნილი შრომის დოვლათი ემსახურება ამ საზოგადოებას და მის პირად ბედნიერებასაც. აქედან მომდინარეობს ეს მძაფრი შრომის რომანტიკა, ამ გმირების სულის სიფაქიზე, მათი ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი. საზოგადოდ, უნდა ვთქვათ, რომ კ. გამსახურდია მუდამ უარყოფითად ეკიდებოდა მუქთახორებს, პარაზიტებს და მაშინაც, როდესაც ის ამ ყოფილ თავადებს, ყოფილ აზნაურებს, ყოფილ კულაკებს, ისტორიის მიერ განიარაღებული ადამიანების ცხოვრებას გვიხატავდა თავის ადრინდელ ნოველებში, მათს პარაზიტულ ცხოვრებას მწერალი დაუნდობლად ამხელდა. ეს ისე ნათლად გასდევს გამსახურდიას მთელ შემოქმედებას, რომ არ შეიძლება ამ გარემოებას ერთხელ კიდევ ხაზი არ გავუსვათ.

„ვაზის ყვავილობის“ დიდი ღირსება ისიც არის, რომ დადებითი გმირები ნაჩვენები არიან არა უბრალოდ, სწორხაზობრივად, სქემატურად, არამედ ცხოვრების დიდ წინააღმდეგობასა და ბრძოლაში. გოდერძის, ნუნუს და სხვა დადებით გმირებს მრავალგვარი წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდებათ, რომ დაიცვან თავიანთი რწმენა, თავიანთი დიდი სიყვარული ახალი ცხოვრებისადმი, ეს იქნება საკოლ-

მეურნეო შრომის მინდვრებზე თუ ომის ქარცეცხლში, ყველგან მძაფრ ბრძოლაში გამოატარეს მათ ახალი ადამიანის დროშა და ასე დაიცვეს უმწიკლოდ და შეულახველად ჩვენი ქვეყანა. კ. გამსახურდიამ იცის, რომ ცხოვრებაში მუდამ ბრძოლაა, კეთილისა და ნათელის, ბნელისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას შორეული ისტორიული წარსული აქვს. ახლა სიმართლისა და კეთილის დამცველად ჩვენი სახელმწიფო გამოდის და მაინც ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა ჩვენს დროშიაც.

კ. გამსახურდიამ გვიჩვენა, რომ სოციალისტური სისტემის დაცვა და განმტკიცება ჩვენს მოწინავე ადამიანებს უხდებათ ძველ გადმონაშთებთან, თავადაზნაურულ ფსიქოლოგიასთან, შრომის დეზერტირებთან შეუპოვარ ბრძოლაში.

„ვაზის ყვავილობაში“ შრომისმოყვარე ადამიანებს მწერალმა დაუპირისპირა კულაკური ფსიქოლოგიის ტიპიური წარმომადგენელი აბრია უჯირაული, ხულიგანი შოფერი კანკრე, სპეკულანტი და ხალხის მძარცველი კობერიძე, ძველი ტრადიციებით დაავადებული უკუღმართი ადამიანები — ქეთუა, მარუა, ცეროდენა თუ სხვები. ყოველ ამ ადამიანს ავტორმა საკუთარი საღებავი და ფერი მოუძებნა, მუქი ფერები, მუქი საღებავები, სოციალისტურ ყოფასთან შეურიგებელი და შეუთავსებელი. მწერალმა გამოიყვანა ისტორიის მიერ სანაგვე ყუთში გადასროლილი, ბებერ ევროპასთან სულიერად დაკავშირებული მეოცნებე ადამიანები, რომელთაც ნაფტალინის, შმორის სუნი ასდით. როდესაც მწერალმა დეიდა ვარას და მედიკო ვაჩნაძეს პარიზიდან ლუსი შარკუტიეს, ამ პარიზელი მევაბშისა და ვაჭრის, ქონების წილი აქ, კახეთში, ჩამოტანილი ყუთებიდან ამოალაგებინა და ეს გარდერობი გამოაფინა, ამით ჩვენ გვანიშნა, რომ არა მარტო ამ ნივთებს ასდით ნაფტალინის, სიძველის სუნი, არამედ მის პატრონებსაც, ამ უბადრუკ ადამიანებსაც.

კომპოზიციურად ეს ნაწარმოები ვითარდება ორი პარალელური რომანული ხაზით. გოდერძი ელანიძეს უყვარს თუში ქალი ნუნუ უჯირაული. პროფესორ კორინთელს პარიზიდან ჩამოჰყავს თავისი ცოლი მედიკო ვაჩნაძე, მას თან მოჰყვება დეიდა ვარა. ეს ყოფილი თავადიშვილები ბერმუხის ცხოვრებას ვერ შეეჩვივნენ, მათ სინანული იპყრობთ, რად გავეყარეთო მილიონერს, სულითა და ხორცით მახინჯ ლუსიენ შარკუტიეს. ამ წადილს უღვივებს მედიკოს კნეინა ვარა, ან-

ტისაბჭოურად განწყობილი ქალი. მშრომელი, პატიოსანი პროფესორი კორინთელი ოჯახურ სიამოვნებასა და ბედნიერებას მოკლებულია. ამ გზაზე იგი გადაეყრება სიჭაბუკის დროინდელ მეგობარს ექიმ ქალს — სუსქია მინდელს, ვაჩნაძეების ოჯახს ტოვებს და სუსქია მინდელთან ერთად ეწევა ცხოვრების უღელს. მწერალმა კორინთელის ოჯახური ბედნიერება რომანში დიდი მხატვრული ძალით გამოსახა. მართალია, ორივე ეს გმირი საბოლოოდ იღუპება, მაგრამ იღუპებიან ისინი, როგორც ახალი შრომითი ცხოვრების რაინდები, ერთი — როგორც ექიმი ქალი ინფექციასთან ბრძოლაში, მეორე — როგორც აგრონომი-მეცნიერი ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში.

უფრო სხვა პლანით გამოხატა მწერალმა გოდერძი ელანიძისა და ნუნუ უჯირაულის ცხოვრება. ბრიგადირი გოდერძი ელანიძე აქტივობით, შეუპოვარი შრომით სახელს და დიდებას მოიპოვებს, ბევრ ცუღლუტსა და ზარმაცზე თავის გავლენას მოახდენს. ბოლოს მას, როგორც მოწინავე, პატიოსან და თავდადებულ მშრომელს, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩევენ. აქაც ის თავს ისახელებს. მისი მეთაურობით ახალშენი არსდება. თუშები, ხევსურები და რაჭველები სახლდებიან აქ. ომის მძიმე დღეებშიაც ბერმუხისა და გველეთის ვაზნარის შესანარჩუნებლად ენერგიულად იბრძვიან ელანიძის კოლმეურნეობის წევრები. ფაშისტი ურჯუკები კავკასიის მისადგომებს უახლოვდებიან, გოდერძი ომის ფრონტს მიაშურებს და აქაც თავს ისახელებს. მან სამშობლოს შესწირა ყველაფერი, რაც გააჩნდა; იგი დაღუპულად ჩათვალეს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბერმუხაში ჩამოდის თავისი მახლობლებისა და მეგობრების მიერ უკვე გამოგლოვილი გოდერძი ელანიძე; მას მარჯვენა ხელზე მხოლოდ ორი თითი შერჩენია, საშინელ ბრძოლებში გამოვლილს, მეტყველება დაუკარგავს. ასეთია მისი შრომითი და ფრონტული საბძოლო გზა. ასეთივე სახელოვანი გზა გაიარა ნუნუ უჯირაულმა. ეს ბრიგადირი ქალი შეიყვარებს მოწინავე კოლმეურნეობის მეთაურს გოდერძის. ნუნუს მშობლები — ძველი ტრადიციისა და კოლმეურნეობისაგან განზე გამდგარი ადამიანები — წინააღმდეგი არიან, მაგრამ ქალი მაინც დაინიშნება გოდერძიზე. ვაჟს ომში ისე გაიწვევენ, რომ ხელის მოწერას ვერ ასწრებს. ნუნუ უჯირაულს გოდერძისაგან ეყოლება შვილი. ნუნუს დედინაცვალი, ქეთუა, აბრია, ლუი, უთი და ფოცხვერი უჯირაულები, ეს ყოფილი შავსიელები, აღშფოთდებიან, უკანონო ბავშვის გაჩენის გამო სიცოცხ-

ლეს უწამლავენ ნუნუს, იგი უნდათ ძალით მიათხოვონ სპეკულიანტ კობერიძეს. ნუნუ ენერგიის დიდი დაძაბვით, შეუპოვრობით შეინარჩუნებს კეთილშობილებას და პატივისცემას სატრფოს — გოდერძის მიმართ; ვერც დაშინებამ, ვერც მუდარამ ვერ გატეხა ეს ქალი. და აი, ომიდან დაბრუნებული გოდერძი და ნუნუ ხელს მოაწერენ, ხოლო მეტყველებდაკარგული გოდერძი ენას ამოიდგამს. ასე თავდება ამ დადებითი გმირების ცხოვრება — ბრძოლით, შრომით, წინააღმდეგობათა გადალახვით და დაძლევით.

თავისთავად ეს ფინალი საინტერესოა. ჩვენ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოითქვა აზრი, არ არისო ბუნებრივი და დამაჯერებელი, მეტყველებადაკარგულ კაცს ავტორთან საუბარში ენა რომ აედგა. მაგრამ აქ სწორედ სიმბოლურად არის ნაჩვენები სიტყვის ძალა, სიტყვისა, რომლითაც გამოძერწა ავტორმა ამ გმირების ცხოვრება, გმირებისა, რომლებიც მწერლის სიტყვებით ცოცხლობენ და მოქმედებენ ნაწარმოებში. მწერალი პატრიოტ გოდერძის ათქმევინებს: „გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, მე კიდევ დამრჩენია ორი თითი მარჯვენა ხელზე, და თუ საჭირო იქნება, ავტომატის ჩახმახს ესეც ეყოფა“. ამ სიტყვებით ხაზგასმულია ამ გმირების, მათი შრომისა და ბრძოლის, მათი ნაამაგარის უკვდავება. ეს ფინალი სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია ავტორის ჩანაფიქრის, რომანის ამ მოწინავე გმირების ხასიათის მიხედვით.

ყველაფერი ეს როდი ნიშნავს, რომ „ვაზის ყვავილობა“ უნაკლო იყოს. ძისი მთავარი ნაკლი ისაა, რომ კ. გამსახურდიამ ვერ შეძლო თანაბარი ძალით დაემუშავებინა ეს დიდტანიანი რომანი, მასში ბევრია მხატვრულად ჩავარდნილი ადგილები და პასაჟები. შესანიშნავი მხატვრული პასაჟების გვერდით რომანში მხატვრულად სუსტი ადგილებიცაა. განსაკუთრებით სუსტად არის დამუშავებული, ჩვენი აზრით, სამამულო ომის ეპიზოდები. აქ ბევრი რამ ულოგიკოცაა და უსწოროც. ჩანს, რომ გამსახურდია გონების თვალით უყურებდა და აღწერდა ჩვენი ხალხის ამ დიდ ისტორიულ გამოცდას და ამიტომაც რომანის მთელ რიგ ადგილებს აკლია უშუალობა, ბუნებრიობა, სიმართლე, ეპოციოხალური ძალა და დამაჯერებლობა. გმირის ზოგიერთ ხასიათს, ზოგიერთ მოქმედებას არ აქვს მოტივირება და დასაბუთება. ხშირად კ. გამსახურდია მეტისმეტად პირობითს გადაწყვეტაზე ამყარებს გმირის საქციელს. ასეა, კერძოდ, კორინთელის რომანი რო-

გორც მედიკოსთან, ისევე მინდელის ქალთან. რომანში არის კომპოზიციური ხასიათის ნაკლიც. ამ მხრივ შეიძლება ბევრი რამ ზედმეტი მოგვეჩვენოს. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ეს ნაკლი, რომანი „ვაზის ყვავილობა“ ქართული საბჭოთა პროზის ერთი თვალსაჩინო შენაძენია.

•

„ეგ დიდიხნის ოცნებაა ჩემი: ქართული ქრონიკების კრებულს გვერდში ამოვუყენო რომანების სერია, რომელსაც თავის დროზე ვუწოდებ „ქართლის ცხოვრებას“. ამ განზრახვათა გზაზე პირველი რომანი „დიდოსტატი“ იყო. ეს რომანი უკვდავი სიმღერაა ქართველი ხალხის, მისი მაღალი ხელოვნების უკვდავებისა. „მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწევა სიკვდილი“, აცხადებს არსაკიძე და ავტორი სავსებით იზიარებს ამ აზრს. და ამ განცხადებაში კონსტანტინე გამსახურდია გულისხმობს არა ერთი ოსტატის უკვდავებას გამოცალკავებულს ხალხისაგან, არამედ მთელი ხალხის უკვდავებას. იმ დიდი საქმის უკვდავებას, რომელსაც ჰეშმარიტი მხატვარი, ოსტატი, ხელოვანი ემსახურება. არსაკიძეს მოკვეთეს მარჯვენა, დიდოსტატი წვალებაში გარდაიცვალა, მაგრამ დარჩა დიდოსტატის ხელთუქმნელი ქმნილება სვეტიცხოველი, როგორც სიმბოლო უკვდავებისა, როგორც გამობრწყინება დიდოსტატის გონებისა, როგორც გამობწყინება ქართველი ერის სულიერი ძალ-ღონისა. და ასე ანზოგადებს მწერალი დიდი ხელოვანისა და შემოქმედების განუყოფელ კავშირს თავის ხალხთან, ქართველი ერის სულიერ ძალებთან. ამავე განწყობილებას უფრო სხვა გეგმით, სხვა ასპექტით წამოგვიდგენს მწერალი უფრო ვრცელსა და დიდი მასშტაბის მხატვრულ ტილოში — „დავით აღმაშენებელი“. გაუთავებელ ლა გაბმულ ომებში, შფოთიანობაში, შინაგან აშლილობაში, საერთაშორისო მძაფრ ურთიერთობაში დაიცვა და აღამაღლა თავისი მამული სწორუპოვარმა მეფემ და საქართველოს დიდმა პატრიოტმა — დავით აღმაშენებელმა. თავდადებული ბრძოლით, შრომით, სისხლით და საკუთარ ბედნიერებაზე უარის თქმით აღაშენა და შექმნა ერთიანი საქართველო. კონსტანტინე გამსახურდიამ დავით აღმაშენებლის მონუმენტურ ხასიათში თავისებურად გააერთიანა დიდი ხელოვანი კონს-

ტანტინე არსაკიძე და ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლის დამწყები, სახელოვანი წინაპარი, ქედუხრელი პაპა — გიორგი I. ეს გარემოება იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ კონსტანტინე გამსახურდია ისტორიას მიმართავს არა როგორც საარქივო მასალას, „გმირების ცივ აკლდამს“, „ლანდების სამეფოს“, არამედ ჩაუმქრალ ლამპარს. სიცოცხლის უკვდავების, გმირობის უკვდავების პათოსით აცოცხლებს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს და მის თავდადებულ გმირებს. და ამ მხრივ ის სავსებით შლის საზღვრებს წარსულსა და აწმყოს შორის. „ისტორიული მასალის პოზიტირებას მხოლოდ მაშინ აქვს თანადროულობისათვის რეზონი, როცა თვით აღებული ეპოქა ან მისი გმირნი და მათი ხასიათი ეკორესპონდირება თანადროულობის იდეებს“. ასეთია მწერლის პოზიცია ისტორიულ თემებისადმი და ამ პოზიციას თანმიმდევრულად იცავს თავის ცნობილ ისტორიულ რომანებში.

ჩვენში ცოტა როდი დაწერილა ისტორიული რომანები, მათ შორის ბევრი საინტერესო და თკალსაჩინო ნაწარმოებია, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ნაკლი იმაში გამოვლინდა, რომ თითქოს ყველაფერი დამთავრდა იმ ბრწყინვალე წარსულით და ქვეყანა მხოლოდ ნანგრევთა გორას წარმოადგენს. ჩვენ ამ ავტორებს გადავყავდით შორეთში და მათი ლანდების სამყაროში ვცხოვრობდით. ასეთი გრძნობა უცხოა კონსტანტინე გამსახურდიას რომანებისათვის. პირიქით, გამსახურდია ერთბაშად ახერხებს დაფაროს მანძილი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის. როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას გმირთა სულიერ ცხოვრებას ვეცნობით, მათ საქმესა და მოქმედებას ვაკვირდებით, ასე გვგონია ისინი თითქოს ჩვენს შორის ცოცხლობენ. ისინი უაღრესად ახლობელი და თანამედროვენი არიან. მოგვიწოდებენ, გვაქეზებენ, აღგვაგზნებენ, როგორც ცოცხალნი, ხორცშესხმულნი, ძლიერი ვნებითა და მაღალი სულით შორეული საუკუნიდან ჩვენს საუკუნეში გადმოსახლებულნი. ისტორიის ამგვარ გაცოცხლებას უაღრესად აქტუალური და მომქმედი მნიშვნელობა აქვს. ამაში გამოვლინდა გამსახურდიას ისტორიული რომანების ყველაზე მთავარი თავისებურება. ეს შენიშნეს ჰიუგოსა და ბალზაკის სამშობლოში, როდესაც „დიდოსტატის მარჯვენა“ ფრანგულად ითარგმნა. ლენტრ ფრან სეზი წერდა: „კონსტანტინე გამსახურდიას რომანმა „დიდოსტატის მარჯვენა“ დასავლეთის სულიერად გამოფიტულ ლიტერატურას უჩვენა ვნებიანი

სიცოცხლისა და დაუცხრომელი ქმედითობის ახალი საწყისი". არც ის იყო შემთხვევითი, რომ „დავით აღმაშენებლის" პირველი და მეორე წიგნი დიდი სამამულო ომის წლებში დაიბეჭდა და მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში შებმულმა საბჭოთა მეომარმა ეს წიგნი აიტაცა როგორც ქედმოუხრელობის, ვაჟკაცობის, გმირობის სწორუპოვარი მაგალითი. ასე ეხმაურებოდა „დავით აღმაშენებლის" სამამულო ეპიზოდები ჩვენი ხალხის სამამულო ომის დღეებს. სწორედ ამაშია კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანების ის თილისმა, რითაც გვხიბლავს და გვაჯადოებს დიდი ოსტატის ეს უკვდავი ქმნილებანი.

სწორედ დავით აღმაშენებელმა ფენიქსებრ აღადგინა, პირველმა შეკრა და შეაკავშირა ერთიანი საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, შექმნა უძლიერესი ფეოდალური მონარქია. ამ რომანში მთელი სიდიადით წარმოდგა დავით აღმაშენებლის მონუმენტური სახე.

დავით აღმაშენებელი დიდი ისტორიული პიროვნებაააო რომ ვთქვათ, ცოტაა, დავითი საქართველოს დიდების დღეების, მისი ერთიანობის, სახელმწიფოებრივი ძლიერების შემოქმედიცაა და მამაც. თექვსმეტი წლის ჭაბუკი იყო ტახტზე რომ ავიდა, თვით მამამ დაადგა საშეფო გვირგვინი. ეს მოხდა 1089 წელს, 52 წლისა კი გარდაიცვალა. 34 წელი იმეფა. თავკერძა ქართველი ფეოდალებისაგან დაქუცმაცებული საქართველო გააერთიანა, ერთიან განუყოფელ საქართველოდ შეკრა. განუზომლად დიდი იყო ეს მისია. ამ მისიის მიღწევას შეალია მან მთელი თავისი უებარი ნიჭი, გოლიათური ვაჟკაცობა, სახელმწიფოებრივი გონიერება და სამხედრო ძალა. მთელი ეს რთული ზიგზაგი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრებისა ვრცლად არის გამოხატული ამ რომანში. ცოტანი როდი იყვნენ მაშინ დავით აღმაშენებლის, ამ ცენტრალისტური ხელისუფლებისათვის მებრძოლი მეფის მოწინააღმდეგენი. მათში — ლიპარიტ ორბელიანი პირველი მოქიშპე იყო მეფისა. თრიალეთ-კლდეკარის მფლობელი ორბელიანი არა მარტო ძლიერი იყო თავისი სამთავროთი, რომელსაც სამეფო როლი ჰქონდა მიკუთვნებული, არამედ უმდიდრესიც და უძლიერესიც. და რაც მთავარი იყო, ლიპარიტ ორბელიანი არ ერიდებოდა საქართველოს მოქიშპე მტრებთან, თურქებთან და სელჯუკებთან, შეეკრა კავშირი მეფის წინააღმდეგ ომში. აქ საქმეს ისიც არ-

თულებდა, რომ ლიპარიტ ორბელიანის პირმშვენიერი ასული, დედისიმედი, უყვარდა მეფეს. მწერალი აქ სიუჟეტში ურთავს ამ მიჯნურობის საუკეთესო ფურცლებს და ამ ფონზე უფრო მკვეთრად გამოხატავს სამშობლოსათვის თავგანწირული პატრიოტი მეფის სახეს.

როგორც კონსტანტინე არსაკიძემ შორენას სიყვარული შესწირა ხელოვნებას, ასევე მეფემ პირმშვენიერი დედისიმედის სიყვარული შესწირა სამშობლოს, საქართველოს დიდებისათვის მსხვერპლად მიიტანა. რთულ სიუჟეტურ კომპოზიციაში, პირად ინტიმურ მძაფრ განცდებსა და შინაურ და გარეშე მტრებთან შეუპოვარ ომებსა და ბრძოლებში იკვეთება დავით აღმაშენებლის რაინდული სახე. დავით აღმაშენებლის გონიერება, ნიჭიერება, განსწავლულობა, პოლიტიკური და სამხედრო გამჭრიახობა რთულს კომპოზიციურ ვითარებაში ვლინდება. ჯერ იყო და დავით მეფემ დათრგუნა ქვეყნის შინაგანი მტრები. ლიპარიტ ორბელიანის შემდეგ კახეთ-ჰერეთი შემოიმტკიცა. კახთა მეფე აღსართანი, რომელიც ასევე პირუმტკიცი და გამცემი აღმოჩნდა, დათრგუნა და დაამარცხა. დავით მეფემ ასევე დაუმორჩილა სახელმწიფოს, ერთიან ცენტრალურ ხელისუფლებას ეკლესია. რუისისა და ურბნისის კრებებმა მეფის პირით ერთხმად მოითხოვეს მღვდელთმთავრობისაგან მეფისა, მამულისა და რჯულის ერთგულება, ამიერიდან ისინი დაინიშნებოდნენ არა გვარიშვილობით, არამედ პირადი ღირსებით, ეკლესიის მსახურთა რწმენისა და სახელმწიფოს, რჯულის ერთგულებით. ამის მიხედვით რომანში დახასიათებულია მღვდელთმთავარნი: წილკნელი, ქუთათელი, ნინოწმინდელი, თუ ეპისკოპოსნი კახეთ-ჰერეთისა, ტაო-კლარჯეთისა თუ სხვათა. რომანში ასევე ვრცლადაა ნაჩვენები საქართველოს კულტურული ძლიერება. ტაძრების, ციხე-კოშკების მშენებლობა, განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის და სხვა კულტურული კერების აღორძინება. გელათი გახდა „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლებისად, სხუაად ათინად". დიდი მუშაობა წარმოებდა შიო მღვიმის მონასტერშიაც. აღორძინდა და განვითარდა კულტურის კერები საზღვარგარეთ: საბერძნეთში, შავ მთასა და პალესტინაში, ბულგარეთში, ასურეთში. ერთი სიტყვით, საქართველოს ნამდვილი დიდების დღეები დაუდგა. დავით მეფეს ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეთა ასრულებაში გვერდში ედგნენ თავისი დიდი თანამებრძოლები, ეს გმირები საინტერესოდაა დახასიათებული რომანში, არც

ამ გმირებს დააკლო ფერები და საღებავები მწერალმა. ყველაზე მეტის მოწიწებით ხატავს რომანისტი გიორგი ჭყონდიდელის სახეს: დავითის აღმზრდელი, საქართველოს ჯარების სპასალარი, სამეფოს ვეზირი უპირველესი, მეფის ჩამაგონებელი და მრჩეველი, მწიგნობართუხუცესი, დიდი პატრიოტი, უკეთილშობილესი მოქალაქე და რაინდი — ასეა დახატული მწერლის მიერ ეს ისტორიული პიროვნება.

გიორგი ჭყონდიდელი ერთიანი საქართველოს შექმნის დიდ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში გვერდში ედგა მეფეს, როგორც მრჩეველი, როგორც დამრიგებელი და მამა. დიდ საქართველოს ისევ მიელტვოდა იგი, როგორც მეფე დავითი, ამიტომაც მისი გარდაცვალება „იგლოვა ყოველმან სამეფომან". კონსტანტინე გამსახურდია თრიალეთის გამგებელის თევდორეს პირით ახასიათებს ამ დიდ მამულიშვილს:

— „ინებოს უფალმა, საქართველოს ხალხმა შენ მოგბაძოს, უკუნითი უკუნისამდე მტერთან ბრძოლაში. მშვიდობით, ჩვენი ხალხის დაუოკებელო და უკვდავო სულო!

შენი ხმალი და შენი ჯვარი მარადის წინ გაუძღვება ჩვენს ერს. შენს სხეულს ვერასოდეს იხილავენ მომავალი თაობანი, მაგრამ შენს სულს დიახაც უმღერებენ მომავლის მემატიანენი და მწერალნი. ვგონებ, გეყო მახვილის ქნევა. სამოცდათხუთმეტი ჭრილობა თან მიგაქვს სამარეში მტერთან ომებში მიღებული..."

მეფის ერთგული კაცია, შეუპოვარი მებრძოლი და პატრიოტი, ნიანია ბაკურიანი. შინაური კაცია მეფის კარზე მახარაი — ბაგრატ კურაპალატის უკანონო შვილი, გიორგი II-ს დროს ბიზანტიიდან დაბრუნებული, დასაჭურისებული, დამახინჯებული, ტახტის მოქიშპეთა დაუნდობელი მამხილებელი, თავდადებული ერთგული მეფისა. მეფის თანამებრძოლნი არიან შერგილ ლიპარტიანი, ჯონდი ერისთავი და მრავალი სხვანი. ყველა ამათთანაგანს რომანში მონახული აქვს თავისი კუთხე, თავისი ადგილი; დახატული არიან განუმეორებელი ფერებითა და საღებავებით. დავითის მამიდას მარიამ დედოფალს, ბაგრატ კურაპალატის ასულს, გიორგი II-ის მკვიდრ დას. ბიზანტიაში ორჯერ გათხოვილ დედოფალს, დიდ გავლენიანსა და პოპულარულს ბიზანტიაში და საქართველოში, თავის ტრაგიკული ბედის და მიუხედავად, დიდი ადგილი აქვს მიკუთვნებული რომანში. ტრაგიკულია ბედი მარიამისა. მას უზომოდ უყვარს მეფის ერთგული მეომარი ნიანია ბაკურიანი. არც ნიანიაა გულცივი დედოფლის

შიმართ, მაგრამ ის თავის მოძღვრის — დავით აღმაშენებლის დარად სამშობლოს სიყვარულს უფრო მაღლა აყენებს ქალის სიყვარულზე და მარიამიც იძულებულია მონაზვნად აღიკვეცოს.

რომანში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი რიგითი ხალხის შვილებს: მხვნელ-მთესველებს, ერთგულ ჯარისკაცებს, გუთნისდედა გაბრიელ ხორგაი იქნება ეს თუ მექათმე თეონა, რუსი მჭედელი ნიკოლა თუ სხვანი.

ავტორი მთელს რომანში ამზადებს მკითხველს თბილისის განთავისუფლებისათვის. მას შემდეგ რაც დავით აღმაშენებელმა გადაიხადა დიდი ომები ერწუხისა, დიდგორისა, გაათავისუფლა სომეხთა ქალაქი ანისი, შეუდგა ქალაქ თბილისის განთავისუფლებისათვის მზადებას და აღასრულა კიდეც საწადელი ქართველი ერისა. ოთხასი წლის შემდეგ თბილისი კვლავ დაუბრუნა საქართველოს, როგორც თავისი დედაქალაქი. აღდგა, განახლდა ერთიანი საქართველო.

დიდი და ვრცელია რომანის გეოგრაფიული არე, ქრონოლოგიური ფარგლები, აქ მოქმედებენ მრავალრიცხოვანი გმირები, აქ დახატულია მრავალ ქვეყანასთან ურთიერთობა საქართველოსი და ამ ფონზე ყველგან ნათელი ხდება დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი დიდი საქართველოს დიდი სახელმწიფოებრივი როლი და ადგილი. აქ აღწერილია დავითის საქართველოს ყოფა-ცხოვრების მრავალი შესანიშნავი ეპიზოდი, დახატულია ბუნების საოცარი სურათები, პროფესიონალური სიზუსტით აღწერილია სელჯუკელების თუ ბიზანტიელების, თურქებისა თუ ჯვაროსნების ჯარების ჩაცმულობანი, სასახლეთა მორთულობანი, ცხენთა მოკაზმულობანი თუ სხვანი, მაგრამ უმთავრესი ნიჭიერება მწერლისა მაინც ვლინდება ადამიანის სულის საიდუმლოებათა გამომჟღავნებასა და გამოსახვაში. და აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს გასაოცარი პოეტური ფერებით აღწერილი სამიჯნურო ინტიმი გმირებისა (დედისიმედი, მარიამი, დავითი, ნიანია და სხვანი), ღრმა იდეური, სახელმწიფოებრივი მრწამსისა და პატრიოტული გრძნობების გამოხატვა, რომელიც ადამიანის სულის საიდუმლოებათა უაღრეს წვდომაში მჟღავნდება. ამ მხრივ ერთიანი საქართველოს ერთგულთა და მის მოწინააღმდეგეთა საიდუმლო ზრახვათა აღწერა და ყველაფერ ამის გამოხატვა ხასიათების მიხედვით ამჟღავნებს ამ რომანის ავტორის დიდ ოსტატობას. ადამიანების ხასიათების პოეტურ გამოხატვაში სწორუპოვარი მხატვარია კონსტანტინე გამსახურდია.

კ. გამსახურდია ჭეშმარიტად დიდი ოსტატია ქართული სიტყვისა. ამ მხრივ ჩვენ ერთგვარ ანალოგიას ვპოულობთ კ. გამსახურდიასა და გალაკტიონ ტაბიძეს შორის.

დღეს უკვე აღარ არის ორი აზრი იმის თაობაზე, რომ გ. ტაბიძე ფუძემდებელია და მამა უახლესი ქართული ლექსისა, რომ ის დიდი ქართველი პოეტია, რომ მან თავისი დიდი წინაპრების, უკვდავი კლასიკოსების გვერდით დაიმკვიდრა უკვდავი ადგილი.

კ. გამსახურდიამ ქართულ პროზაში მოიტანა დიდი განახლება, გაკვალა ახალი გზები, ახალ ხმაზე ააწყო მთელი ინსტრუმენტი ქართული პროზისა, თავისებური მხატვრული ხერხებით გაამდიდრა და წინ წასწია მდიდარი კლასიკური ქართული პროზა, ნოვატორობისა და ძიების გზით გაითქვა სახელი. ახალი ნოვატორული პროზის მეთაურია ის ჩვენს მწერლობაში, „დიონისეს ღიმილის", „მთვარის მოტაცების", „დიდოსტატის მარჯვენის", „დავით აღმაშენებლის" ავტორს სხვა სახელს ვერ დავარქმევთ.

კ. გამსახურდია გ. ტაბიძის მსგავსად ახალ ბილიკებს ეძებდა ქართულ მწერლობაში და მოძებნა კიდეც. მან სათავე დაუდო, გზა გაკაფა, ახალი კარი შემოაღო ქართულ პროზაში.

არავის ქართულ პროზაში ისეთი დიდი მასშტაბი არ მიუნიჭებია ქართველი კაცის ხასიათისათვის, როგორიც ეს კ. გამსახურდიამ მიანიჭა. კ. გამსახურდიას რომანებისა და ნოველების მოქმედი გმირები პარიზის ყავახანებსა თუ ოქსფორდის უნივერსიტეტში, მიუნხენისა თუ ვატიკანის მუზეუმებში, ევროპის დიდ ქალაქებსა, მის სასტუმროებსა და სალონებში, როგორც ტოლნი და სწორნი ისე ეკამათებიან თანამედროვე პოლიტიკოსებს, მწერლებს, ევროპელ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ისინი თავიანთი ინტელექტით, მათთვის მიკუთვნებული მოღვაწეობის ფართო მასშტაბით არაფრით ჩამორჩებიან თავიანთ ევროპულ მოკამათეებს. კ. გამსახურდიამ წაშალა ვიწრო ეროვნული მიჯნები, ფეოდალური კარჩაკეტილობანი და ფართო ასპარეზი გადაუშალა ქართველი კაცის მოქმედებასა და სარბიელს.

მე-19 საუკუნის ევროპა რუსული მწერლობის გზით შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში, მე-20 საუკუნეში კი ქართული მწერლობის დიდი ჯგუფი უშუალოდ გაეცნო და ეზიარა კლასიკურ და ევროპულ მწერლობას. ისინი აქ მარტო არჩეულ სპეციალობას როდი სწავლობ-

დნენ, არამედ აქვე ევროპის ძველსა და ახალ კულტურას ეცნობოდ-ნენ. ესენი იყვნენ: ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი, ს. შანშია-შვილი, ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, გ. ქიქოძე, პ. იაშვილი — მწერ-ლობაში; ი. ნიკოლაძე, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი —მხატვრობაში (ასევე ჩვენ შეგვეძლო მეცნიერთა სახელებიც ჩამოგვეთვალა); ისინი უშუალოდ ეზიარენ ევროპის მეცნიერების, მწერლობისა და ხელოვ-ნების პირველ წყაროებს და მისი სიკეთეცა და სიმრუდეც თავისებუ-რად გადმოიტანეს და შეუხამეს ქართულ ნიადაგს, ზოგი მათგანის შემო-ქმედებაში ძლიერად იგრძნობოდა დეკადენტობის ის სენი, რომე-ლიც მაშინ მთელს ევროპაში იყო მოდებული: „დეკადენტობა ეს იყო ავადმყოფობა არა მარტო ჩემი, მთელი ჩემი და ჩემზე უფროსი თაო-ბებისა, ვინც ამ სენს საბოლოოდ თავი ვერ დააღწია, იგი შერჩა მოკ-ლე ლექსებსა და კურდღლის კუდის სიგრძის ნოველებს, რადგან სიმ-ბოლიზმი საერთოდ უარყოფს ეპიკას“, — წერს კ. გამსახურდია. ჩვენ ამ შენიშვნას იმას დავუძატებდით, რომ კ. გამსახურდიამ სწო-რედ დეკადენტობის დაძლევითა და ახალი გზების ძიებით მოიპოვა სრულიად თავისთავადი, დიდი ოსტატის სახელი.

კონსტანტინე გამსახურდიამ ახალი გზა გაკაფა ქართულ პროზაში, ახლებურად ააჟღერა ქართული ფრაზა, ახალი ინტონაციები, ფერები და საღებავები შემოიტანა ქართულ მწერლობაში, და ასე მოგვევლინა. როგორც ფუძემდებელი ქართული პოეტური პროზისა.

გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძე და XX საუკუნის ქართული პოეზია

ქართულ მწერლობაში მთელი 7 საუკუნის მანძილზე რუსთაველის ლექსით ვზომავდით ქართული პოეზიის ყველა ახალ მონაპოვარს. ქართველი პოეტები რუსთაველს ბაძავდნენ, რუსთაველის სალექსო ზომით წერდნენ და რუსთაველის გზას მიჰყვებოდენ. და აი, გამოჩნდა აკაკი წერეთელი! XX საუკუნის ქართული ლექსის მეტრი აკაკი გახდა. აკაკის ბაძავდნენ, აკაკის გზას და კვალს მიჰყვებოდნენ. ასე იყო ეს XX საუკუნის 10-იან წლებამდე. შემდეგ კი მდგომარეობა კვლავ შეიცვალა. გალაკტიონ ტაბიძემ ისეთი დიდი განახლება შეიტანა ქართულ ლექსში, ისეთი განსაცვიფრებელი ელვარება და ჯადოსნური ძალა მიანიჭა ქართულ სიტყვას, ისე ახლებურად ააწყო ქართული ლექსის მთელი ინსტრუმენტი, რომ ის გახდა მეთაურიცა და მეტრიც უახლესი ქართული ლექსისა. უახლესი ქართული ლექსის ყოველ მიღწევას გ. ტაბიძის ლექსის კულტურით ვწონით, ვზომავთ. ამით მან თავისი დიდი წინაპრების, უკვდავი კლასიკოსების გვერდით დაიმკვიდრა ადგილი.

გალაკტიონ ტაბიძემ მაშინ შემოაღო ქართული პოეზიის კარი, როდესაც მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის არწივებმა — ილიამ, აკაკიმ და ვაჟამ ფრთები დაკეცეს. ეს იყო დიდი ეპოქის დასასრული და დასაწყისი ახალი ხანისა. თვითონ გალაკტიონმა შესანიშნავად თქვა: „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი, რა ძძლავრად ქუხდა მათი სახელი, რა დიდი იყო მათი დიდება“... საჭირო იყო სიტყვის დიდი ოსტატი, რომელიც ეპოქის დიდ პოეტურ ტრადიციას განავითარებდა, წინ წასწევდა, ახალ სიმაღლესა და განს მისცემდა ჩვენს პოეზიას. ისტორიამ ეს მისია გალაკტიონ ტაბიძეს დააკისრა.

გ. ტაბიძემ, ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების მსგავსად, ლექსს უხ-

ვად მოაფრქვია მამულის ეშხი და სიყვარული. მის პოეზიაში გვესმის ამირანის გუგუნის ხმა, ხან კიდევ მტრისაგან გადაბუგულ ნანგრევებიდან იმზირება იავარქმნილი მამული („15 საუკუნე", „ციხის ნანგრევებთან", „წარსულის ჩრდილები", „დარიალისა ვიწრო კლდეებში"), ფეხზე ამდგარი პოეტი ადღეგრძელებს ჭაღარა თბილისს თუ დაჩოქილი ლოცულობს მამულზე, — ყველგან გვიხმობს და მოგვიწოდებს დავიცვათ ჩვენი მამული და ყოველივე ამით აღვივებს და აწრთობს ხალხის გულში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის უწმინდეს გრძნობას.

გ. ტაბიძის ლექსებში ხან მგლოვიარე ადამიანის ქვითინი და უდაბნოს მყუდროებაა, ხან კიდევ თავისუფლებისაკენ მომწოდებელი დაფდაფების ხმაზე ფეხზე ამდგარი მთელი საქართველო: მონასტერთა, სასაფლაოთა და უდაბნოთა ნაღვლიან მყუდროებას, ეჭვისა და ურწმუნოების უნაპირო სევდას აქ ხშირად სცვლის ამაყი და ბედთან დაუმორჩილებელი პოეტის უსამართლო წუთისოფელთან შერკინება („მიმღერე რამე", „უდაბნო", „შავი ყორანი"). გ. ტაბიძემ მოახერხა ადამიანის სევდისა და ტკივილების გატოლება ქარის, ღამის, წვიმის, შემოდგომის ფოთლის გასულიერებულ ფეთქვასთან და შემდეგ სამუდამოდ დააწყვილა ისინი ორ განუყოფელ მეობად („მე და შემოდგომა", „მე და ღამე", „ბინდის სტუმარი", „მე და ქარი"), ხან კი სიზმარივით გააგრძელა ჩვენი ცხოვრება სიყვარულის ტრაგიკული ინტონაციითა და ნაზი ჩურჩულით, ჩვენი სული აავსო ვარდისფერი და ცისფერი, მწუხარე და მომხიბვლელი ზეციური აღტაცებითა და მოლოდინით („მერი", „მესაფლავე", „გზაში", „ჩემს ვარსკვლავს", „უსიყვარულოდ".) პოეტი ასეთი დახლართული ბილიკებით შემოვიდა ჩვენს სულში და ერთბაშად გააპოეტურა ჩვენი ცხოვრება. თავიდანვე მის პოეზიაში გაისმა რევოლუციის ყრუ გუგუნი („იქ ნაკადული", „პირველი მაისი", „ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას"), ნელა ფეხადგმული ეს გუგუნი შემდეგ ცეცხლის ალად აბრიალდა („განახლდა გული". „რამდენიმე დღე პეტროგრადში", „დროშები ჩქარა", „ცხრაას თვრამეტი", „გემი დალანდი", „ჩვენ პოეტები საქართველოსი"). მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში ასე იალბუზივით აღიმართა გიგანტური ფიგურა პოეტისა.

გალაკტიონ ტაბიძე დიდი და განუმეორებელი ნოვატორია ქართული ლექსისა.

იგი სიტყვიერი ხელოვნების ნამდვილი ჯადოქარი იყო. სხვა სახელს ვერ დავარქმევთ ავტორს ლექსებისას: „ატმის ყვავილები!“, „მოვა, მაგრამ როდის“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „გურიის მთები“, „მთაწმინდის მთვარე“, „თოვლი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „რევოლუციური საქართველო“, „ღრუბლები ძაუგთან“, „ნიკორწმინდა“. ქართული ლექსის ინსტრუმენტი გალაკტიონამდე იშვიათად თუ აუწყვიათ ასეთი ჟრუანტელის მომგვრელი ემოციურობითა და განცდებით, იშვიათად თუ ვისმეს აუმღერებია ქართული სიტყვა ისე მსუბუქად და ფრთაასხმულად, როგორც ეს გ. ტაბიძის პოეზიაშია გამოვლენილი.

გ. ტაბიძემ, როგორც დიდმა ინოვატორმა, ახალი რიტმით ააღერა ქართული ლექსი. მას ჰქონდა რიტმის უმაღლესი გრძნობა და ამავე დროს არავის არ უხმარია ქართულ ლექსში ისეთი ორიგინალური რითმები, როგორიც გ. ტაბიძის პოეზიაში გვხვდება („სილაში ვარდი და სილაჟვარდე“, და მისთანანი).

გასაოცარი ტრაგიკული ხილვა სევდისა და სიხარულისა, სამყაროს დიდი კონფლიქტებით ათვისება, ცნების, სიტყვის, ფრაზის ახლებური პოეტური მონათვლა, ორიგინალური რითმა და რიტმი — ყველაფერი ეს ერთელი სამყაროა ქართული პოეტური სიტყვისა, რომლებიც ოქროს ზოდებად ძევს გ. ტაბიძის პოეზიაში. ეს პოეტურად გაბრწყინებული ლექსები აქავე დროს ღრმაა, უძირო, ისინი ერთხელ წაკითხვითაც გიტაცებს, გაჯადოებს, გხიბლავს, მაგრამ რაც უფრო მეტს წაიკითხავ, კელავ და კვლავ ახალ აზრებს ამოიკითხავ, ისე ღრმაა მათი ქვეტექსტი. მე-20 საუკუნის ყოველი კაცი, ღრმა ინტელექტისა თუ რიგითი მშრომელი, ყოველ საინტერესო კითხვაზე იპოვის პასუხს გ. ტაბიძის ლექსებში. მისი პოეზია ადამიანის სულის ამოუწურავი ენციკლობედიაა. ამიტომაც ვამბობთ დღეს ასე თამამად: გ. ტაბიძე არის ფუძემდებელი უახლესი, მე-20 საუკუნის ქართული ლექსისა, ფუძემდებელი ქართული საბჭოთა პოეზიისა.

გ. ტაბიძე ორგანულად აერთებს ქართული კლასიკური ლექსის დიდ პოეტურ კულტურასა და იმ ახალ რევოლუციურ ინტონაციას, რაც 1905 წლის რევოლუციას მოჰყვა. რეაქციის წლებში ქართული ლექსის პოეტურ გამოსახულებათა დიდი გაღარიბება და დაკნინება მო-

ხდა. სწორედ ამ ვითარებაში ქართული პოეტების ერთმა ჯგუფმა ლექსის ფორმალური დაქვეითებისაგან გადარჩენისათვის სიმბოლიზმის თეორიასა და პრაქტიკას მიმართა და ამ ნიადაგზე მათ უმართებულოდ ბრძოლა გამოუცხადეს ქართული კლასიკური ლექსის დიდ პოეტურ სიმდიდრეს, ზურგი აქციეს მას. სიმბოლისტებმა ხელოვნური გართულებისა და ქიმერების ბურუსში გაახვიეს ქართული ლექსი. გ. ტაბიძემ უკუაგდო როგორც პრიმიტივიზმის, ენობრივი ნატურალიზმის, ისე ქიმერებისა და აბსტრაქციული ფორმულების გზა. გ. ტაბიძემ, როგორც ჭეშმარიტმა ნოვატორმა, ქართული ლექსის განახლება მშობლიური მწერლობის დიდ ტრადიციებს დაუკავშირა. ამავე დროს მან ხელი გაუწოდა იმდროინდელ ევროპულ და რუსულ პოეზიას, ყველა მისი მონაპოვარი გამოიყენა და ბრწყინვალე ალმოჩენებით გაამდიდრა ქართული ლექსი. ყოველივე ამის გამო გ. ტაბიძე გახდა ფუძემდებელი ამაღლებული ქართული პოეზიისა. რასაკვირველია, ამ დიდ საქმეში მას გვერდში ედგნენ სახელოვანი თანამოკალმენი, მაგრამ ისტორიამ მას დააკისრა ამ დიდი მისიის შესრულება და მისმა ნიჭმა მას მიაკუთვნა პირველობა.

გ. ტაბიძემ პირველმა იგრძნო და აითვისა რევოლუციის რიტმი და თავის პირველსავე ჭაბუკურ ქმნილებებში გამოხატა მისი მოახლოებული გუგუნი და რამდენიც უნდა ამტკიცონ გ. ტაბიძის ვიწრო, ლირიკული კამერულობა, ფაქტი ის არის, რომ ასე გულგაშლილი, ასე შთაგონებულად, ასე რომანტიკულად და მღელვარედ არავის გამოუხატავს ჩვენი საუკუნის რევოლუციური ეპოქის ქარტეხილი, მე-20 საუკუნის რევოლუციური საქართველოს სულიერი ზრახვები და ფიქრები: „დროშები ჩქარა“, „ჯონ რიდი“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“. „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „ღრუბლები ძაუკთან“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ თითქოს ერთიანი მგზნებარე ჰიმნია რევოლუციურ საქართველოსი. სწორედ ამგვარი ლექსებით დაიმკვიდრა მან ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის სახელი.

გ. ტაბიძე იყო მძაფრი კონფლიქტებისა და ტრაგიკული ინტონაციების პოეტი. მან მღელვარედ აითვისა დიდი სოციალური ვნებები და საზოგადოებრივი კითხვები, ყველაფერი ეს შეუფარდა ადამიანის სულის ინტიმურ რხევას და ასე გამოხატა ჩვენი სამყაროს მრავალმხრივობა. ეს მრავალფეროვნება ქმნის იმ დიდ მუსიკას, რომელიც აგრერიგად გვიტაცებს და გვაჯადოებს. და სწორედ ამიტომ გ. ტაბიძის

სევდიანი სტრიქონებიც „უფსკრულის საზღვართან მდგარი“, როდია ჩვეილი ცხოვრებისაგან განდგომისა. ძველ სამყაროსთან უთანასწორო ბრძოლაში შეჭიდებული პოეტი ბევრჯერ მწარედ აქვითინებულა და ცხარე ცრემლები დაუღვრია, მაგრამ ეს იყო ის დიდი შინაგანი რწმენით გამთბარი სევდა, რომელიც ადამიანს უხმობდა ნათელი სიცოცხლისაკენ. გ. ტაბიძე ამ რწმენით, ამ სიყვარულით ზრდიდა თავის საყვარელ ქართველ ხალხს. და რაც დრო გავა, მით უფრო ამაღლდება, მით უფრო დიდი გამოჩნდება ეს განუმეორებელი პოეტური სახელი, დიდება და სიამაყე ქართველი ერისა.

გ. ტაბიძეს, ამ უბრწყინვალეს პოეტს, ბავშვივით გული ჰქონდა. პატარა რამე უსაზღვროდ გაახარებდა, პატარა წყენა და უსიამოვნება სევდას მოჰგვრიდა, ბავშვივით გაიბუტებოდა და შემდეგ განაწყენებული უბის წიგნაკში იწერდა და ვერ მალავდა ამ წყენას. ეს აღბეჭდილია მის დღიურებსა და პირად ჩანაწერებში, ლექსებსა და წერილებში. ასე ზიგზაგებით არის დასერილი მისი აწეწილი პოეტური სული, მუდამ მოფერება, ალერსი სწყუროდა მის პოეტურ სულს, დაუსრულებელი მოფერება და ალერსი. და როცა ეს აკლდა, ბრაზობდა, წუხდა, ჩვენ კი ხშირად ისე ვექცეოდით, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. ერთი მისი თანამედროვე წერდა: გალაკტიონი არ არის ჩვეულებრივი პოეტი და ამიტომაც მას სათუთად უნდა ეკიდებოდეს თავისი ერიო. სწორედ ამ გარემოებას ხშირად ვერ ითვალისწინებდა გალაკტიონთან ახლო მდგარი მისი მეგობრული წრე.

ასე გვესახება ჩვენ გ. ტაბიძის პოეზია თვალის ერთი გადავლებით. აბის შემდეგ უფრო ახლო გავეცნოთ გ. ტაბიძის ცხოვრების ქრონიკას და მის ზღვასავით დიდსა და ღრმას, ზღვასავით მღელვარესა და ბობოქარს, მშვიდსა და ნაზ პოეტურ სამყაროს.

* * *

გალაკტიონ ტაბიძე სოფელში დაიბადა. ტაბიძეები გლეხები იყვნენ. მას წინაპრების მსგავსად უთოხნია, უთესია, ვაზიც გაუსხლავს და ვენახიც შეუწამლავს. მიწის ძახილი, ტყის შრიალი — საიდუმლოებით მოცული — გალაკტიონს აქ შეუგრძვნია. აქ დაიბადა მისი დაკვირვებაც და წუხილი სულისა. ტყის დედოფალი და რიონის ოჩოკოჩიც აქ ეზმანა პირველად. სახლის გვერდით მდებარე სასაფლაოს შიშით გაშოწვეული ემოციაც აქ დაებადა. მაგრამ ეს ოჯახი არ იყო ტიპიური გლეხის ოჯახი. არა, აქ წიგნსა და გაზეთს მეტი პატივისცემა ჰქონდა, ვიდრე სხვა რამეს. აქ ხშირად ისმოდა სიტყვები — „ევერია“

და მამულიშვილობა, გაზ. „კვალი“ და რევოლუცია, საქართველოს კათალიკოსი. სწორედ ამგვარი ოჯახებიდან გამოდიოდნენ მაშინ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწენი. ტაბიძეების ოჯახსაც ემართა ეს ვალი და აკი ორმაგად გადაიხადა კიდეც. კალაკტიონ ტაბიძის ბაბუის—მღვდელ სტეფანეს ოჯახში დაიბადა და აღიზარდა ორი სახელოვანი პოეტი — გალაკტიონ ტაბიძე და ტიციან ტაბიძე...

გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წელს, 17 ნოემბერს, სოფელ ჭყვიშში (ვანის რაიონში) სახალხო მასწავლებლის ვასილ ტაბიძის ოჯახში.

„ჩემი წინაპრები, — წერს გ. ტაბიძე — მამის მხრივ იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული XIV საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით,, თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური შეუცვლელობით უერთგულესი მღვდელთმსახურობა. ერთი წინაპართაგანი, რომელსაც იცნობს ქართული მწიგნობრობის ისტორია, XVII საუკუნეში მიიწვია დედოფალმა ანნამ თავისი მდიდარი წიგნსაცავის მოსაწესრიგებლად. ის იყო საუკეთესო მცოდნე ბერძნულისა და არაბული ენების. სთარგმნიდა პლატონის დიალოგებს და ეხლაც ხშირად მხვდება ეს თარგმანები ინტიმური ზედწარწერებით: „მათს უმაღლესობას, დედოფალს ანნას — სვიმონ ტაბიძისაგან“. დედოფალ ანნასთან ერთად მიემგზავრება შემდეგში იგი მოსკოვში და იქ მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართული სტამბის დაარსების საქმეში. ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების შერვაშიძეთა გვარიდან — ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად ჩემში არის სამნაირი უსათუოდ ქართული სისხლი: აფხაზის, გურულის და იმერელის.

ბაბაჩემი გარდაიცვალა ძლიერ ახალგაზრდა, 23 წლისა.

მე არ მახსოვს ის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დავიბადე მამაჩემის გარდაცვალებიდან შვიდი თვის შემდეგ. მან დაგვიტოვა ჩვენ: სახლი მდინარე რიონის პირად, „მეფის ჭალა“ მდინარე რიონის გაღმა (იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ღრამატით მიცემული ჩემი წინაპრებისათვის „ერთგულების“ გამო, მეფის ჭალიდან დაწყებული ვიდრე სურამის მთებამდე“), „ადგილი შარაძენიძისეული“ და საკმაოდ ვრცელი წიგნსაცავი XVIII და XIX საუკუნეების წიგნებით.

მე მქონდა ძალიან კარგი, უდარდელი ბავშვობა.

როგორც წერა-კითხვა, ისე ნაოსნობა, ცურვა, მეთევზეობა, არ მა-

ხსოვს როდის ვისწავლე. კუნძული „მეფის ჭალა“, რომელიც ჩვენს სახლს ეკვროდა, იყო ჩემი საყვარელი ადგილი. კუნძულს გარს უვლიდა რიონის ორი ტოტი, ერთი — ჩქარზე უჩქარესი, მეორე — დინჯი, აუჩქარებელი. ორივე რიონი ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებით ზაფხულობით. აქ ვკითხულობდი დიკენს, ბაირონს, შელლის, მიუსეს, შატობრიანს, რუსსოს, პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოის, აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის წიგნებს“.

ვასილ ტაბიძე, პოეტის მამა, ნამდვილი სახალხო მასწავლებელი იყო. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული ვასილ ტაბიძე თავის სოფელში, ჭყვიშში, საკუთარი ხარჯით გამართულ სკოლაში, დიდის გულმოდგინეობით ასწავლიდა სოფლის ბავშვებს. იგი სკოლაში მასწავლებლობას არ ჯერდებოდა, ყოველ კვირაუქმე დღეს მოვიდოდა სასაფლაოზე და უკითხავდა ხალხს სხვადასხვა ქართულ წიგნს, რომლითაც მდიდარი იყო მისი ბიბლიოთეკა. ითვლებოდა საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად, თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“. ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ ნეკროლოგით აღნიშნა ვასილ ტაბიძის გარდაცვალება.

უმამოდ დარჩენილი მომავალი პოეტის აღზრდა დედას დაეკისრა. დედა — მაკრინე გიორგის ასული ადეიშვილი ქართული მწერლობის დიდი მოყვარული და დამფასებელი იყო; ძველი მწიგნობარი ქალებივით დიდად გატაცებული მკითხველი ქართველი მწერლობისა. დედამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა თავის შვილებს, გალაკტიონს და უფროს ვაჟს, პროკლეს (რომელიც შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი იყო), ქართული მწერლობის დიდი სიყვარული.

1899 წელს 8 წლის გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისში ჩაიყვანეს და სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ქუთაისი მაშინდელი საქართველოს კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპიური და დამახასიათებელი ცენტრი იყო. აკაკის სამაისო ქუთაისი, ლადო მესხიშვილის თეატრალური ქუთაისი, საშა წულუკიძის მარქსისტული წრეების ქუთაისი და ბოლოს ქართულ მწერლობაში დაბადებული ახალი ძიძართულების — ცისფერყანწელების ქუთაისი. თვით გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „სხვათა შორის აქაურმა ქალაქის სამკითხველომ ბევრი ახალი წიგნი მიიღო: მერეჟკოვის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ვიჩესლავ ივანოვის და სხვების“... მეორეგან გალაკტიონ ტაბიძე იგონებს: ბალ-

მონტი როცა „ვეფხვისტყაოსანს“ თარგმნიდა, ქუთაისში საგანგებოდ ჩამოვიდა, „იქ მეტი ლიტერატურული მოძრაობაა, ვიდრე თბილისშიო,“ ამის გვერდით იყო მეორე ქუთაისი, დაკნინებული თავადაზნაურობის დარდიმანდობის, ფართიფურთობის უნიადაგო მოყვარული, წვრილი ხელოსნებით და ვაჭრობით, მუშჩანებით, ბულვარული მოდებითა და წრეგადასული სკანდალებით. მაგრამ ყველაფერი, რაც პროგრესული და მოწინავე იყო, პირველ ქუთაისს მიჰყვებოდა. ამ პირველთა წრეში დაბადებული რევოლუციონერთა ქუხილი და მარსელიოზის ხმები ქუჩებსა და მოედნებს მოედო, სკოლებსა და თეატრებში შეიჭრა. გალაკტიონ ტაბიძე ამ წრეში ტრიალებდა, უფროსკლასელ ვლადიმერ მაიაკოვსკთან ერთად მონაწილეობდა 1905 წლის დემონსტრაციაში და მუშებთან ერთად რევოლუციურ სიმღერებს „მარსელიოზასა“ და „მეგობრებო წინ, წინ გასწით“ მღეროდა. რევოლუციონური ქუთაისი ღრმად აღიბეჭდა პოეტის სულში. ქუთაისი გახდა მისი პოეზიის აკვანიცა და მისი პირველი გმირიც. ბავშვობიდანვე გათვითცნობიერებული ჭაბუკი მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა არალეგალურ კრებებზე, რომელიც ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან იმართებოდა. „აქ ამხანაგების წრეში წავიკითხე ლექსი „პირველი მაისი“, — სიამაყით აცხადებს პოეტი.

1908 წელს 17 წლის გალაკტიონ ტაბიძე თბილისში ჩამოდის და სასულიერო სემინარიაში ეწყობა. რეაქციის მიერ დარბეული თბილისი, ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობით ჯერ კიდევ ჭრილობამოუშუშებელი საქართველოს ეროვნული ტკივილები გალაკტიონ ტაბიძემ მწვავედ განიცადა. ნიჭიერი ახალგაზრდა მგოსანი, სემინარიელი გალაკტიონ ტაბიძე გაზეთ „ამირანსა“ და ჟურნალ „ჩვენს კვალში“ აქვეყნებს თავის პირველ ლექსებს „მთვარე კაშკაშებს“ და „შავი ღრუბელი“.

„1908 წელს, როდესაც ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა, ჩემ ცხოვრებაში შემოიჭრა რაღაც ახალი. მე მეჩვენებოდა, რომ სადღაც გაიღო კარი და მე ვიწრო და ბნელ საკანიდან ამოვედი თავისუფალ ასპარეზზე და ყველგან, სადაც გასწვდებოდა, იყო მზე, მოძრაობა და სინათლე. ამ სულიერმა განწყობილებამ გასტანა მხოლოდ რამდენიმე დღეს... სულ ადვილი იყო დარწმუნება, რომ მე საქმე მქონდა არა ცოცხალ კულტურულ ადამიანებთან, არამედ უხეშ ბიუროკრატებთან“ პოეტი სემინარიის რეაქციულ სულს ვერ შეეთვისა და წინ აღუდგა:

„ბურსას ვერ შევეთვისე, — წერს გ. ტაბიძე, — ვცემდი რევოლუციურ ჟურნალ „ძუქს“. თბილისის სასულიერო სემინარიის ხელნაწერი ჟურნალი „ძუქი“, რომელიც 1908 წელს გამოდიოდა გალაკტიონ ტაბიძის რედაქტორობით, სემინარიელი მოწინავე რევოლუციური ახალგაზრდების სულისკვეთებას გამოხატავდა. 1909 წელს გალაკტიონ ტაბიძე აქტიური თანამშრომელი ხდება ჟურნალ „ფასკუნჯისა“. ეს ჟურნალი ფართოდ უღებდა კარს ევროპული და რუსული მოდერნისტული სკოლის ნიმუშებს. გალაკტიონ ტაბიძე ამ ჟურნალშიაც ისევე აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალებსა და გაზეთებში.

გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური ტკივილებით შემოვიდა პოეზიაში. მისი პიროვნული სევდა უფრო და უფრო ღრმავდება ილიას მკვლელობით გამოწვეული ეროვნული გლოვით დაბინდული თბილისის ცის ქვეშ. გალაკტიონ ტაბიძე უკვე 18 წლისა იყო და ვალდებული დამოუკიდებლად ეზრუნა და ეფიქრა, შეეფასებინა საკუთარი შესაძლებლობანი პოეზიაში თუ მის გარეთ. გალაკტიონ ტაბიძე საბოლოოდ გადაწყვეტს: პოეზია უპირველეს ყოვლისა. 1911 წელს იგი ტოვებს თბილისის სასულიერო სემინარიას და ერთხანს მასწავლებლობს დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

პოეზიის სამსახური და პოეზიით ხალხის სამსახური გახდა გალაკტიონ ტაბიძის მოწოდება. პოეტმა 1908 წლიდან ვიდრე 1914 წლამდე დაწერილ ლექსებს თავი მოუყარა და ერთ წიგნად გამოსცა. ლექსების ამ პირველმა წიგნმა ერთბაშად მიიპყრო მკითხველთა ყურადღება და პოეტს დიდი პოპულარობა მოუპოვა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო ქართულ პოეზიაში ახალ თაობათა გამოჩენისა და ჭაბუკობის წლები: 1913 წელს გამოვიდა ალექსანდრე აბაშელის წიგნი „მზის სიცილი“, 1914 წელს იოსებ გრიშაშვილის ლექსების პირველი წიგნი. ამავე წლებში გამოვიდა სანდრო შანშიაშვილის ლექსების წიგნი. ამ წიგნებმაც დიდი აღტაცება და მოწონება დაიმსახურეს, მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის ამ პერიოდის ლექსებში იყო რაღაც ახალი, საოცარი გრძნობა ლექსისა: „მე და ღამე“, „გურიის მთები“, თუ „რომელი საათია?“... მოვიგონოთ ეს უკანასკნელი:

ეხლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა.
გულში მწუხარებამ ღამე გაათია...
მაინც არ მასვენებს მწარე სინანული —
რომელი საათია? რომელი საათია?

ვდგევარ ფანჯარასთან, ღამე არ იცვლება,
მთელი შემოდგომა თავზე დამათია,
ეხლა მხოლოდ სამი იყოს, შეიძლება?
რომელი საათია? რომელი საათია?

სამის, შეიძლება, არის მესამედი,
მაგრამ გაიხედავ, მაინც წყვდიადია,
კივის სადგურიდან ზარი მეცამეტე —
რომელი საათია, რომელი საათია?

ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი,
ღამის მეეტლე რომ ვეღარ დაატია.
ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი, —
რომელი საათია, რომელი საათია?

ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი
თითქოს შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,
აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!
რომელი საათია? რომელი საათია?

იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი
თრობის საათია, ღვინის საათია!"
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე —
რომელი საათია?

1915 წელს გალაკტიონ ტაბიძე მიემგზავრება მოსკოვს. აქ იგი პირადად ეცნობა რუს სიმბოლისტებს: ბალმონტს, ბრიუსოვს, ბლოკს და ლიტერატურულ ურთიერთობას ამყარებს მათთან. ამავე დროს ლექციებს ისმენს შანიაევსკის სახელობის უნივერსიტეტში, მაგრამ უსახსრობის გამო 1916 წელს ბრუნდება საქართველოში და იმჟამად დაარსებულ ჟურნალ „ცისფერ ყანწებში" ათავსებს თავის ახალ ლექსებს. მაგრამ „ცისფერ ყანწელების" ლიტერატურულ კრედოს არ იზიარებს და სტოვებს მათ რიგებს. 1916 წლის დეკემბერს იგი თავის მეუღლეს ოლია ოკუჯავას სწერდა: „სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს მე, გაფრინდა-შვილი და იაშვილი, მათთან დიდი ჩხუბი მოგვივიდა. და უთხარით ერთმანეთს ისეთი სიტყვები, რომლებიც ამას შემდეგ დაახლოების ნებას არ მოგვცემს. მე არ ვნანობ. ამ დღეებში გამოვა მეორე „ცისფერ ყანწები."

1916 წლის ბოლოს გალაკტიონ ტაბიძე კვლავ მოსკოვს გაემგზავრა.

1917 წლის მარტს მოსკოვიდან ბრუნდება საქართველოში თებერვლის რევოლუციის დღეებს და თვითმპყრობელობის ტახტის დამხობას გალაკტიონ ტაბიძე მიესალმა ქუთაისიდან ცნობილი ლექსით „დროშები ჩქარა!“. სულ მალე პოეტი მიემგზავრება პეტერბურგს და სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული დღეების მოწმე ხდება. 1918 წელს იგი საქართველოში ბრუნდება გემი „დალანდით“ და სამშობლოში იგონებს იმ დიდ რომანტიკულ აღფრთოვანებას, რომელმაც მოიცვა პოეტის სული, იგონებს, თუ როგორ იხილა „ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა და მოიტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“. ამავე წელს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში ეწყობა გალაკტიონ ტაბიძის 10 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო, რომელზედაც პოეტი კითხულობს ლექსს „გემი დალანდი“. ამ საღამოზე პირველად გაისმა ქართულ პოეზიაში სახელი ლენინი.

1919 წელს გამოაქვეყნა ლექსების მეორე კრებული „არტისტული ყვავილები“. ამ წიგნს ფართოდ გამოეხმაურა პრესა: „ახალი ქართული პოეზია ზეიმობს თავის ფერისცვალებას და ამ განახლების პირველი ჩუმი და წრფელი აღსარება ეს წიგნია... სრულიად განსაკუთრებული გზით მიდის გალაკტიონ ტაბიძე, ასეთი გზა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. წარსულის პოეზიამ მას უანდერძა ბუნებრიობა, ესთეტიკური სისპეტაკე და ლიტერატურული სინდისიანობა. ამავე დროს იგი მთელი თავისი ტემპერამენტით, ნერვებით და ოცნებით ახალი კულტურის წინამორბედია. არ შეიძლება მის პოეზიას პესიმიზმი და ცხოვრების უარყოფა დაერქვას. დღეს ფორმის და სტილის დაძლევისათვის ბევრი ნიჭი ვირტუოზობს, მაგრამ გალაკტიონისებური ბუნებრიობა, მისებური სიმარტივით მიღწევა იშვიათია“ (ჟურნალი „თბილისი“, 1920 წელი, № 1, იოსელიანის წერილი „გენიალური გალაკტიონი“). ამ წიგნის გამოსვლა დაემთხვა დიდ რევოლუციურ ქარტეხილებს ჩვენს ქვეყანაში. ეს რევოლუციური ქარტეხილი თავისებურად აირეკლა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ამის პირდაპირი მინიშნება იყო ამ წიგნში შეტანილი ლექსი „გემი დალანდი“. წიგნის საერთო მოდერნისტულ განწყობილებაში დიდი დისონანსი შეჰქონდა ლექსს „გემი დალანდი“. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ გალაკტიონ ტაბიძე ძველი თაობის პოეტთა შორის ერთი პირველთაგანი მიესალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

1921 წელს გალაკტიონ ტაბიძე ჟურნალ „ლომისის“ (სრულად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი) ერთ-ერთი რედაქტორია. ჟურნალის მოწინავე წერილში პოეტი მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, არტისტებს მოუწოდებს ასახონ ახალი დრო, ითანამშრომლონ საბჭოთა ხელისუფლებასთან, ამ აზრს აღრმავებს 1922 წელს ერთდროულ გაზეთ „პოეზიის დღე“ში“, ხოლო ამავე წლის დეკემბერში აარსებს ჟურნალ „გალაკტიონ ტაბიძეს“, რომლის თანამშრომლებად იწვევს დავით კლდიაშვილს, შიო არაგვისპირელს, გიორგი ქუჩიშვილს, ცარლამ რუხაძეს, ვასილ ბარნოვს, ია ეკალაძეს და სხვებს. გალაკტიონ ტაბიძე ამ ჟურნალში რევოლუციური საქართველოს მხარეზეა. 1923 წელს რუსთაველის თეატრში გაიმართა გ. ტაბიძის 15 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო. გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთი დამაარსებელი, გენი და უახლოესი თანამშრომელი იყო პირველი დიდი საბჭოთა ჟურნალის „მნათობისა“ (1924 წლის თებერვალი). 1924 წელს ცალკე წიგნად გამოდის გალაკტიონ ტაბიძის „ჯონ რიდი“. ეს იყო პირველი ქართული საბჭოთა ლირიკული პოემა, ეს იყო თავისებური ლირიკული დღიური, ლირიკული ჩანახატები ოქტომბრის რევოლუციის გრანდიოზული დღეებისა.

1927 წელს სახელგამმა გამოსცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა სრული კრებული ერთ წიგნად. ამ წიგნს, რომელშიაც მთელი სისრულით გამოჩნდა ქართული პოეტური სიტყვის დიდი ჯადოქრის გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სიდიადე, ფართოდ გამოეხმაურა ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობა, მათ შორის ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, შიო მღვიმელი, შალვა დადიანი, გიორგი ქუჩიშვილი, ვალერიან გუნია, ია ეკალაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, პოეტი ქალი განდეგილი — დომინიკა ერისთავი, მწერლების უმრავლესობა მას უწოდებს „პოეტების მეფეს“.

1928 წელს გალაკტიონ ტაბიძე კომინტერნის VI კონგრესის დელეგატებთან ერთად მოგზაურობს საბჭოთა კავშირის უმთავრეს სამრეწველო რაიონებში. თავისი შთაბეჭდილებები და განწყობილებები მან გამოხატა ლირიკული ლექსების ციკლში, რომელსაც უწოდა პოემა „ეპოქა“. ამას მოჰყვა ამ ტიპის პოემები: „პაციფიზმი“, „საით მიდის რევოლუციური საქართველო“, „პრესა“...

გალაკტიონ ტაბიძის ამ წლების ჩანაწერებში ვკითხულობთ: „დაე, მან მთელი გვერდების მანძილზე მოიყვანოს ახალი დროის შეცდომე-

ბის მაგალითები, ეს მაგალითები ბევრია, მათი რიცხვი კიდევ შეიძლება უფრო მეტად გავაძრავლოთ, მაგრამ როდესაც შენდება ახალი სახელმწიფო, როდესაც მთელი ახალი კულტურა ხე-ტყეშია, ხარაჩოებშია, ისინი (მეცდომები) ბუნებრივი არიან" (1929 წელი) „...არიან ადამიანები, უკეთ რომ ვთქვათ, ადამიანების მთელი თაობა, რაც უნდა ზაჰესის, თავფარავანის კილოვატებით არ აანთო, მაინც გულგაუნათებელი დარჩება" (1928 წელი). „...მე ვამბობ იმ ძლიერ ადამიანებზე, რომელიც ნაწილია იმ მეორე დიადის, და ამგვარად პიროვნების იდეა გადასული კოლექტიურის იდეალში არის მშვენიერზე მშვენიერი იდეა, რომლისთვისაც ღირს ცხოვრება და ბრძოლა" (1932 წელი).

ასეთი განწყობილების საბჭოთა პოეტი სრულიად ბუნებრივია, რომ მრისხანე წერილით მიმართავს ყველა იმას, ვინც საბჭოთა სინამდვილის მღელვარე იდეალებით არ იყო გამსჭვალული. ამ მხრივ დამახასიათებელია გალაკტიონ ტაბიძის „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი":

„ამხანაგებო! პირადათ მე, გალაკტიონ ტაბიძე, ფედერაციის მემარჯვენე ფრთისაგან არ მოვითხოვ 180 გრადუსით გადმოხრას. მე მოვითხოვ, რომ მან იქონიოს გამბედაობა პირდაპირ შეხედოს თვალებში სინამდვილეს. ვიმეორებ: ეს ლიტერატურული ომები ხელოვნების სასახლეში, ჟურნალებში, გაზეთებში, სალიტერატურო საღამოებზე — მიდის ერთი ლოზუნგით: უნდა შეგწევდეს გამბედაობა, პირდაპირ შეხედო თვალებში სინამდვილეს. სინამდვილე კი აი როგორია: ჩვენი და მსოფლიო ლიტერატურის ბედი გადაწყდა არა გუშინ, არამედ 1917 წელს. მწერლობას მას შემდეგ არ უნდა შეშინებოდა არავითარი რეაქციის, არავითარი ძალდატანების, თქვენ კი საბედისწერო სისუსტე გამოიჩინეთ: გამოირკვა ულმობელი სიცხადით, რომ მემარჯვენეობა თავიდანვე თვითონ ცხოვრებისაგან იყო განწირული. ცხოვრება შეუბრალებლად უგულოდ გადაიხარა 180 გრადუსით, იგი შეუჩერებლად გაექანა მსოფლიო რევოლუციისაკენ, თქვენ კი ქრონიკული ალიანსებით და კომპრომისებით სუსტი, ხანდახან ავანტიურისტული ხელმძღვანელობის წყალობით მიუახლოვდით ნაპრალს, მიდით გადაჩეხვამდე. აი ეს არის სინამდვილე, რომელსაც პირდაპირ უნდა შევხედოთ თვალებში.

პროლეტარული ახალგაზრდობა, ინტერნაციონალური — პროლეტარული იდეოლოგია მოითხოვს, რომ ხელი შეუწყოთ შინაგან გადახალისების ორგანულ პროცესს, ამ ახალგაზრდობას სწყურია მდიდარი,

სოციალისტური მშენებლობის ხელისშემწყობი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა. თქვენ კი რას აწვდით მას? თქვენი მემარჯვენე ფრთა ჯიუტად იცავს თავის დანგრეულ პოზიციებს და ამით ხელოვნურად აკავებს პროცესს რევოლუციონურ-ლიტერატურულ ჯგუფთა გაერთიანებისას, ცდილობს მისი განვითარების შეფერხებას. ბოლოსდაბოლოს, რისგან შესდგება ეს თქვენი მემარჯვენე მიმდინარეობა? იგი შესდგება ნამსხვრევთა ნამსხვრევებისაგან, იგი შესდგება რევოლუციის მიერ შეურაცხყოფილი კლასების ნამსხვრევებისაგან; ეროვნული იხტერესები აქ არაფერ შუაშია, პირდაპირ უნდა შევხედოთ სინამდვილეს თვალებში და ვთქვათ: ეს არის ლიტერატურული სიყალბე და ისტორიული უნიადაგობა.

მემარჯვენეობა ისე იჭერს თავს, როგორც ძველი გვარდია ვატერლოოსთან, რომელიც კვდება, მაგრამ არ ნებდება. ამის დამნახველი, ალბათ, სიცილით კვდებიან ოლიმპიის ღმერთები, ეს ღრმად პატივცემული აკადემიური, მაგრამ ღრმად პროვინციალურად კომიკები.

ჩვენ გვინდა მდიდარი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა, რომელიც დაეხმარება სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ყოფის განმტკიცებას. პროლეტარული ახალგაზრდობა სავსებით მართალია: არ შეიძლება დიდხანს ყოფნა ასეთ სუბურულ მდგომარეობაში. უნდა გადახალისდეს ხელოვნების სასახლე, უნდა „ამოძრავდეს საბჭოთა მწერლობის აქტიური ენერგია". თუ თქვენ გამბედაობა შეგწევთ, უნდა დაჰყაროთ ფარხმალი, აღიაროთ თავისი სრული უძლურება და გზა მისცეთ ახალს, თორემ რასა ჰგავს? არავითარ ყურადღებას გარემო ამბებს თქვენ არ აქცევთ: ნუთუ მაინცდამაინც კატასტროფა უნდა მოხდეს, ნუთუ ციდან მეტეორიტი, ბოლიდი ან მთვარის ნატეხი უნდა ჩამოვარდეს, რომ თქვენ ჭაობიდან დაიძრათ? მიპასუხეთ: მე ამას მალაპარაკებს გრძნობა, რომელიც არ მასვენებს. მე ამას მალაპარაკებს მასსა, რომელიც მიყვარს. მე ამას მალაპარაკებს რევოლუცია, მე მიყვარს მასსა, მიყვარს რევოლუცია, მიყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც ებრძვის ძველ ცხოვრებას, საჭიროა არა ისეთი ცხოვრება, როგორიც მწერალთა კავშირშია, არამედ ცხოვრება ადამიანური, მაღალი, სპეტაკი, კოლექტიურად მიმართული ბრწყინვალე მომავლისაკენ.

დღეს საჭიროა მწერლობა აქტიურად მებრძოლი ახალი ცხოვრებისათვის, პროლეტარული რევოლუციის იდეალებისათვის. აი, რა არის თავი და თავი".

1933 წელს მადლიერმა საბჭოთა საქართველომ დიდი ზეიმით აღნიშნა გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის 25 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს მიანიჭა საქართველოს სახალხო პოეტის წოდება. გალაკტიონ ტაბიძე რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) წევრად. 1935 წელს გალაკტიონ ტაბიძე პარიზში მიემგზავრება კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესის დელეგატად. ეს იყო პირველი მსოფლიო ანტიფაშისტური კონგრესი, რომლის მოწვევა დაკავშირებულია ანრი ბარბიუსისა და რომენ როლანის სახელებთან. საბჭოთა მწერლობიდან ამ კონგრესზე მონაწილეობდნენ დელეგატებად: ალექსი ტოლსტოი, ილია ენერბურგი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ვსევოლოდ ივანოვი, ფეოდორ პანფეროვი, იაკუბ კოლასი და გალაკტიონ ტაბიძე. კონგრესი ირჩევს მას პრეზიდიუმის წევრად, გამოდის სიტყვით და მონაწილეობს კონგრესის მუშაობაში. საქართველოში დაბრუნებისას აბარებს ანგარიშს მწერალთა კავშირს — გამოდის ვრცელი მოხსენებით კონგრესის მუშაობის თაობაზე.

პარიზიდან დაბრუნებულმა პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების ციკლი. ეს ქართულ მწერლობაში პირველი ციკლი იყო, რომელიც საზღვარგარეთ მოგზაურობის შთაბეჭდილებით დაიწერა. 1936 წელს პოეტი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. 1937 წელს არჩეული იქნა რუსთაველისა და პუშკინის საიუბილეო კომიტეტების წევრად. 1938 წელს მთელ საქართველოში იმართება სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოები. სამამულო ომის წლებში გალაკტიონ ტაბიძე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რეაქციაში და საქართველოს მწერალთა კავშირში აწყობდა სამამულო ომში მონაწილე პოეტთა ლექსების კითხვა-განხილვას. 1943 წელს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში აღინიშნა პოეტის დაბადების 50 წელი. 1944 წელს იგი არჩეული იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1953 წელს აღინიშნა გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 45 წელი. 1953—56 წლებში გალაკტიონ ტაბიძე მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის თავმჯდომარედ.

დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე გარდაიცვალა 1959 წელს, 17 მარტს. ქართველმა ხალხმა თავის უწმინდეს მიწას, ქარ-

თული მწერლობის მამათა სავანეს — მთაწმინდას მიაბარა უახლესი ქართული ლექსის ბაბა, საბჭოთა მწერლობის ფუძემდებელი გალაკტიონ ტაბიძე. იგი ქართული მწერლობის დიდი ოჯახიდან ფიზიკურად წავიდა, მაგრამ ჩვენ შორის დარჩა თავის უკვდავი პოეტური სულით, დიდი პოეტური ვნებებით, ფიქრით და ოცნებით, თავის დაუბერებელი ლექსებით, და რაც დრო გავა, მით უფრო ცხოველმყოფელად, მგზნებარედ და გულმხურვალედ მოგვაფრქვევს თავის დაუბერებელ ლექსების ეშხსა და ძალას ქართული პოეტური სიტყვის ეს ჯადოქარი.

*

გალაკტიონ ტაბიძე დიდი პიროვნული და საზოგადოებრივი ტკივილების პოეტია. ისეთ ლირიკოსს, მთრთოლვარე სულის ჯადოქარ პოეტს, როგორიც გალაკტიონ ტაბიძე იყო, არ შეეძლო ყოფილიყო გულცივი და ნეიტრალური იმ საზოგადოებრივი ცხოვრებისგან, რომელშიაც მოექცა მისი დიდი პოეტური ნიჭი და ისიც მღელვარებით, თრთოლვით, სიხარულით განიცდიდა მე-20 საუკუნის რთულ ეპოქას, ან როგორც თვითონ ამბობდა, „სამი მძაფრი რევოლუციის ხანას, რომელიც იყო გუგუნი მთელი ეპოქის“, და პასუხობდა ამ მოვლენების მიერ დაყენებულ კითხვებს. პირდაპირ თუ მოარების გზით რევოლუციას იქცა გალაკტიონ ტაბიძის სულის განუყრელ ნაწილად, პოეტი ამაყობდა კიდეც თავისი რევოლუციური წარსულით.

იყო ბურუსი გაურღვეველი....
და კაკანებდა ტყვიისმფრქვეველი.
დღემ მოღუშულმა წარბი შეხარა,
დაცლილ ქუჩებში მკვდრები ეყარა.

უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა
და ბნელი ცისკენ გაინავარდა.
ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინახე,
როს იმედები სხვა დავინახე.

ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს:
მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს
თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში,
ტკბილად გეძინათ საქართველოში.

(„იყო“).

ამ ლექსს თარიღად უზის 1923 წელი. ხოლო მეორეგან პოეტს თავის გამოუქვეყნებელ დღიურებში მოჰყავს 1909 წელს დაწერილი ლექსის სტრიქონები.

ლოდინით შენით გულს ნუ გვითალხავ.
დაჰკარ, დაქუხე, ახალო ტალღავ.

ამ სტრიქონებს ასეთ კომენტარს ურთავს: „სწორედ ამ თაობას მოუხდა ჯერ სიმბოლისტების და დეკადენტების, შემდგომ უნიჭო ფუტურისტების თავდასხმების მოგერიება... მათ რომ გაემარჯვათ, ეს სამარცხვინო დაღი იქნებოდა XX საუკუნის ლიტერატურისათვის“. ამ განგანცხადებაში ყველაფერი დღესავით ნათელია. ნათელია პოეტის საზოგადოებრივი და ლიტერატურული პოზიცია. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თავად იყო რევოლუციური ქარიშხალი მწერლობაში, ამიტომ რევოლუციის ქარიშხალმა თავისუფლად იპოვა ბინა მის პოეზიაში. გალაკტიონ ტაბიძის მაღალ პოეზიაში რევოლუცია იგულისხმებოდა და რევოლუციაში პოეზია, ამიტომ არ დასმულა პოეტის წინაშე რევოლუციის მიღების თუ არ მიღების საკითხი. რევოლუციამდელი ბევრი ცნობილი ქართველი პოეტის წინაშე მწვავედ იდგა ეს საკითხი. გალაკტიონ ტაბიძის ყოყმანის ელემენტიც არ გამოჩენილა. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში რევოლუცია და პოეზია ტყუპი ძმები არიან. ტაბიძე რევოლუციის პოეტია, განუმეორებელი, დიადი, ორიგინალური, თვითმყოფადი. ვინც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, იმას ტაბიძის პოეზიისა არა ესმის რა, ან შეგნებულად გვერდს უვლის ამ ფაქტორებს. ჩვეხი რთული ეპოქის ტკივილებსა და აზრებს იგი თავისებურად გამოხატავდა, თავისი გულის საიდუმლო ფიქრებს და განცდებს აწყვილებდა ეპოქის კითხვებთან და განცდებთან. ამიტომაც მისი სევდიანი სტრიქონებიც, ტრაგიკული ინტონაციებიც ეპოქის ანასხლეტია. მის ინტიმურ ლირიკაში ისე ორგანულადაა შერწყმული საზოგადოებრივი საწყისები, რომ ძნელი ხდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსები დავყოთ ტრაფარეტულ, ტრადიციულ თემებად: ინტიმური ლირიკა, პოლიტიკური ლირიკა... არა, აქ ყველაფერი ერთ კანონს ექვემდებარება, პოეზიის მაღალ კანონს, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ეფუძვნება. ტაბიძის პოეზია ერთი გაბმული სიმღერაა, რომელიც თავისი ქვეყნის სუნთქვით ცოცხლობს, თრთის და მღერის. ამ მხრივ ტაბიძის პოეზია ჩვენი სულისა და გონების განუყოფელი

ნაწილია. იგი მუდამ ჩვენთან არის ლხინში თუ ჭირში. მის სტრიქონებს ვიმეორებთ, მის პოეზიას მოვუხმობთ ჭაბუკობის ჟამს:

...და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!

პოეტის სტრიქონებს ვიმეორებთ მაშინ, როცა ჩვენს სულს სევდა დაეუფლება, წარუმატებლობა გვეწვევა:

თუ გინდ ჯვარს ეცვი, საშველი არ არის, არ არის.

მის სტრიქონებს ვიმეორებთ ომში გაჭრილნი:

ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,
ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი.

მამულის სიყვარულის ეშხში შესულნი კვლავ პოეტის სტრიქონებს ვდუდუნებთ:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული...

გ. ტაბიძე ჩვენშია, ჩვენ ტაბიძის პოეზიით ვართ ამაყნი და წელგამართულნი და ამაშია მისი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი პოეზიის სახე გამოხატული. მის პოეზიაში ყველაფერი ადამიანურია, ადამიანური ყოველდღიური სევდაც, სიხარულიც, აღტაცებაც, ერთგვარი გაორებაც საკუთარი სულისა, უკმაყოფილობაც და მდურვაც. კმაყოფილება მის სულს არ მიჰკარებია, ჩვენ კი სიხარულს, რწმენას უხვად გვირიგებდა. მუდამ მაძიებელი პოეტი ბედნიერებას ვერ პოულობდა, ჩვენ კი ბედნიერებით, რწმენით, იმედით ყელამდე გვავსებდა. და აქ ყველგან გალაკტიონი ერთი იყო, ერთი მთლიანი, პოეზიის ღმერთკაცი.

ყოველივე ამის გამო გ. ტაბიძის პოეზია გასაოცრად რთულია. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გალაკტიონ ტაბიძის ესა თუ ის ლექსი მხოლოდ სიმბოლისტურია, ან მხოლოდ რეალისტური. ტაბიძე ერთ რომელიმე ლიტერატურული მიმართულების ფარგლებში ვერ თავსდება მაღალი პოეტური სულით, მომხიბვლელი პოეტური მრავალფეროვნებით, აზრობრივი სიღრმით, ადამიანური და საზოგადოებრივი ვნების ღრმა გააზრებით, დიდი პიროვნული და საზოგადოებრივი ტკივილებით. იგი ყოველგვარი ლიტერატურული მიმართულების სქემებზე მაღლა დგას. ამ პოეტურ მრავალმხრიობას ორი ნაკადი აქვს. გალაკტიონ ტაბიძე, უპირველეს ყოვლისა, ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებს

ეფუძვნებოდა და ემყარებოდა, ამ ტრადიციებით საზრდოობდა, მაგრამ „შეშოქმედებაში ახლებურ ელვარებას პოულობდა ქართული ტრადიცია. სწორედ ამ მხრივ წინ სწევდა და ანვითარებდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლექსის ტრადიციას. 1928 წელს გ. ტაბიძე წერდა: „მე არ ვიცი რა არის ცისფერყანწელების მიმდინარეობა, მე ვიცი უფრო მშობლიური ტრადიცია". მეორეს მხრივ გალაკტიონ ტაბიძე იცნობდა ევროპული და რუსული მოდერნიზმის მიერ მოტანილ ფორმების სინატიფეს და სიმძაფრეს. ყველაფერი ეს გ. ტაბიძემ ერთ მთლიან პოეტურ, ძწყობრი სტილისა და მანერის ფორმაში მოაქცია. ჩვენ ვიტყოდით, ეს საკუთრივ გალაკტიონ ტაბიძის სტილია. ეს არის ახალი ეპოქის, მე-20 საუკუნის ლექსის გალაკტიონისეული სტილი. შინაარსის, აზრის და ფორმის გასაოცარი სიახლით, მას შეეძლო თამამად ეთქვა: „როგორც ერთია სამყარო ვრცელი, ისე ერთია გალაკტიონი". ამ უაღრესად ნაზი და ამღერებული ლირიკოსის პოეზიაში მთელი სისრულით გამოვლინდა მე-20 საუკუნის სამი რევოლუციის — 1905 წლისა, 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების ისტორიული არსი და რიტმი. რევოლუციის რიტმის და განწყობილების ლირიკულ გახსნას ხშირად ენაცვლება რევოლუციის პათეტიკური, პუბლიცისტური სტილი და ინტონაცია. ერთ შემთხვევაში გალაკტიონ ტაბიძეს ასეთი ლირიკული ტონით შეუძლია გვაგრძნობინოს რევოლუციის რიტმი:

ეს წინათ იყო, მდინარეს თითქო
ვერცხლის ეფინა მძინარე ჩადრი
და კიდეებზე მდუმარედ იდგა
შეუცნობელი შრიალი ჭადრის.

შრიალი ვერხვის, შრიალი ყანის,
უდარებელი სამშობლო მხარე,
რა უწყალოა რონინი ხანის
აუსრულებელ იმედთა გარე!

და პოეტმა ეს ასრულება იმედისა, ოცნებისა, ფიქრისა ახალ დროს, ახალი ეპოქის ლირიკულ ტონებს და ინტონაციებს დაუკავშირა, უფრო სწორედ რევოლუციის გაზრება პოეტის სულში მაღალ მხატვრულ შინაარსში გამოიხატა. ლირიკულ რევოლუციური სურათის სწორუპოვარი ძხატვარია ის ლექსში, რომელსაც ჰქვია „კუმისი". ჩვენ ეს ლექსი უნდა მოვიყვანოთ მთლიანად, რომ ნათელი გახდეს პოეტის დიდოსტატობა.

სილაჟვარდე მთვარის ჩუმის
მოპფენია ცისფერ კუმისს,
ტბას დასცქერის მდუმარე ტყე
მოდარაჯე ჩამიჩუმის.

დაფიქრების, პირმოკუმვის
მორჩილება უვლის კუმისს,
ღელავს ფერი ხავერდისა
და სილბილე აბრეშუმის.

უეცრად შორს არღვევს დუმილს
ხსოვნა ცეცხლის და სამუმის
და ხმა ოძელაშვილისა
სიმშვიდეშიც აკრთობს კუმისს.

ამავე დროს გ. ტაბიძეს აქვს მეორე ციკლი ლექსებისა, რომელთა-თვისაც დამახასიათებელია პათეტიკური, პუბლიცისტური, სატირიბუნო ინტონაცია. აი, ამ ლექსთა ციკლის კლასიკური ნიმუში:

რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს.
უდიდესს თავის. ნებისყოფით, გმირულს უაღრესს,
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,
უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს
მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან,
ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას,
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან — გავიდეთ მზეზე.
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის,
რევოლუციურ საქართველოს,
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს, —
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არ გაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!

(„რევოლუციურ საქართველოს")

შენაცვლება ლირიკული და პათეტიკურ-პუბლიცისტურ ინტონაციებისა და ამ მხრივ გააზრება ახალი რევოლუციური საქართველოსი დამახასიათებელია მთელი მისი შემოქმედებისათვის, დაწყებული მისი პირველი ლექსებით და დამთავრებული სიკვდილის წინ დაწერილი ლირიკული აღსარებებით. აზრებისა და დიადი გრძნობის პოეზია გალ.

ტაბიძემ ხელოვნების გზად აღიარა. იგი პოეზიას უყურებდა, როგორც ადამიანის სულის განმასპეტაკებელ დიდ ზნეობრივ, საზოგადოებრივ ძალას:

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება,
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება,
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,
მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა,
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი,
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყველაფერში შუქით შემობურვილი
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლომ მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები — როგორც პოეტს შეეფერის,
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა,
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

ამაზე პოეტურად, ამაზე ნათლად, ამაღლებულად ამავე დროს რეალისტურად შეუძლებელია გამოიხატოს პოეტური სიტყვის რომანტიკული ღაღადისი.

ქართველმა ხალხმა ქართული პოეზია თავისი სულის ზიარად გამოაცხადა, ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად და წინამძღოლად გაიხადა. რუსთაველი, როგორც დროშა, ისე მიუძღოდა ქართველ ხალხს მრავალსაუკუნოვან უთანასწორო ბრძოლაში: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ — იმეორებდა ქართველი კაცი პოეტის ამ სიტყვებს და სახელოვნად იცავდა თავის მამულს.

მსოფლმხედველობის საკითხისათვის

გალაკტონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება ორი სრულიად სხვადასხვა ეპოქის მიჯნაზე გაიშალა. ერთი მხრით, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება დაიწყო და ვითარდებოდა სოციალისტური რევოლუციის წინა ეპოქაში, რეაქციის, პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოში მენ-

შევიკური მთავრობის ხანმოკლე, უდღეური ბატონობის დღეებში. ამ ეპოქამ თავისი დაღი დაასვა ტაბიძის პოეზიას. მეორე მხრით, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში მძლავრად გამოვლინდა მეოცე საუკუნის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, 1905 წლის, თებერვლისა და ოქტომბრის დიდი რევოლუციის ისტორიული ვითარებანი. ეს ფაქტორები თავისებურად გადაწყდა და აისახა გალაკტიონ ტაბიძის ოქტომბრის რევოლუციამდელ შემოქმედებაში. მას ამ ისტორიული ფაქტორების მიმართ ყოველთვის მებრძოლი, რევოლუციის პოეტის პოზიცია ეჭირა. პოეტმა ბრწყინვალედ გამოხატა ჩვენი ხალხის ნათელი ფიქრები, მისი უკეთილშობილესი მისწრაფებანი. ამ გზით მოვიდა ის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში საბჭოთა სინამდვილესთან და უყოყმანოდ დადგა მის პოზიციებზე.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში მტკიცედ დამკვიდრდა რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა სინამდვილის თემები. იგი გაემიჯნა რევოლუციის წინა პერიოდის წინააღმდეგობებით აღბეჭდილ შემოქმედებითს გზას, სიმბოლისტური, დეკადენტური სკოლების გავლენის გზას.

რევოლუციამდე გალაკტიონ ტაბიძის მსოფლმხედველობა ხასიათდება იმ მერყეობითა და წინააღმდეგობებით, რაც საზოგადოდ ამ პერიოდის მოწინავე მწერლობისათვის იყო დამახასიათებელი. როდესაც მწერლის მსოფლმხედველობაზე ვმსჯელობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის დამოკიდებულებას ამ დროის მოქმედ კლასებთან, ვინაიდან მწერლის მსოფლმხედველობა გარკვეულ კლასთან, საზოგადოებრივ ჯგუფთან დამოკიდებულებაში მეღავნდება. ასევე, გალაკტიონ ტაბიძის ოქტომბრის რევოლუციამდელი შეხედულებანი აუცილებლად უნდა დაკავშირებოდა ამ პერიოდის რომელიმე კლასს, საზოგადოების რომელიმე ჯგუფს. ასეთი კი მაშინ იყვნენ მუშათა კლასი, გლეხობა, ნიადაგგამოცლილი თავადაზნაურობა და ფეხადგმული ბურჟუაზია.

რომელ ფენასთან იყო დაკავშირებული პოეტის გზა?

როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით გ. ტაბიძე სოფლის ინტელიგენტის ოჯახში დაიბადა. მამამისი სოფლის მასწავლებელი, ხოლო ბაბუა მღვდელი იყო. შემდეგ იგი ქუთაისისა და თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის წრეში მოხვდა. აქ ის უფრო რევოლუციური ინტელიგენციის

წრეში ტრიალებდა, იმ რევოლუციური ინტელიგენციისა, რომელიც მუშათა კლასს ეყრდნობოდა და მშრომელთა განთავისუფლებისათვის იბრძოდა. მაგრამ, ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ გ. ტაბიძე არ ყოფილა ორგანიზაციულად დაკავშირებული რევოლუციურ მუშათა კლასთან.

გალაკტიონ ტაბიძე მეოცნებე ინტელიგენტის თვალით უყურებდა მთელ იმ გრანდიოზულ ბრძოლას, რომელიც ამ პერიოდში წარმოებდა. ზოგჯერ იგი ამ გზით ახლო მისულა მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესებთან, განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის ქარიშ-ხლიანი დღეების გავლენით, ხან კიდევ ცხოვრებისაგან განდგომასა და უსასოებას ქადაგებდა. ინტელიგენტური, მერყეევი წრე იყო მისი ნიადაგი და ატმოსფერო. ამიტომაც მის შემოქმედებაში ერთსა ღა იმავე დროს ვხვდებით ერთმანეთის საწინააღმდეგო განწყობილე-ებსა და თემებს. ამის დამადასტურებელია, ერთი მხრით, რევოლუცი-ური ლექსები: „პირველი მაისი", „ზევით ასწიეთ მზე, ზევით", „გურიის მთებს", „გემი დალანდი", მეორე მხრით — სევდიანი ლექსები: „ათოვ-და ზამთრის ბაღებს", „ცამეტი წლის ხარ", „ხელოვნება"...

გ. ტაბიძეს, როგორც პოეტს, არ ჰქონდა იდეურად მთლიანი, შინა-განად ძოწესრიგებული თანმიმდევრული პოზიცია. ამ ბრწყინვალე ლი-რიკოსს, პოეტურ შთაბეჭდილებათა ამ უბადლო ოსტატს გააჩნდა გა-ძლილ ოცნებათა დაულეველი ველი. ეს პოეტური ოცნება ხან ზევით ზეცის თაღებისაკენ ეზიდებოდა, ხან სევდით და სასოწარკვეთილებით აღავსებდა მას, ხან კიდევ მიწის შვილი დიდი შინაგანი ენერგიით უმღე-რდა ცხოვრების ძალას, მომავალს. სასოწარკვეთილებასა და განწირე-ლებასთან ერთად მის პოეზიაში ისმოდა მოწოდების და ბრძოლის ხმები, ეს ასე მერყეობდა ის საპირისპირო განცდებს შორის. თუ იგი ერთი მხრით აცხადებდა:

> იმედი, ერთადერთი იმედი
> გზას მისხიეოსნებს მომავალისას.
> ამ იარაღით თუნდ მთლად გავაქრობ
> გარს შემოხვეულს შავს ძალას მტრისას. —

მეორე მხრით იგი მწარედ მოსთქვამდა:

> ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
> ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი.

ასეთ წინააღმდეგობრივ შეხედულებათა რთულ ხლართშია მოქცე-ული გ. ტაბიძის პოეზია.

ამ გარემოებამ განსაზღვრა მთელი მისი შემოქმედებითი გზა. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლად ჩვენ ვერ ავხსნით გ. ტაბიძისათვის ერთდროულად დამახასიათებელ რეალისტურ, რევოლუციურ და დეკადენტურ მოტივებს, რომლებიც თავისებურად ერთიანდებოდა ოქტომბრის რევოლუციამდელ შემოქმედებაში. ცნობილია, რომ ამგვარ მერყეობას ვერ გადაურჩნენ ამ პერიოდის ისეთი მოწინავე რევოლუციონერი პოეტები, როგორებიც იყვნენ იროდიონ ევდოშვილი, ნოე ჩხიკვაძე, გიორგი ქუჩიშვილი და სხვები. გ. ტაბიძე, ამ მწერლებთან შედარებით, პოეტური თემებისა და ოსტატობის მხრივ უფრო მრავალფეროვანი პოეტი იყო, განუმეორებელი პოეტური ფენომენი. დასახელებული მწერლების თემებსაც და განწყობილებებსაც ის მგზნებარედ და ამაღლებულად გამოხატავდა.

გ. ტაბიძის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციასთან

გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსები 1908 წელს დაიბეჭდა; ეს იყო სტოლიპინის რეაქციის შავბნელი ხანა. როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ რევოლუციის თანამგზავრთა წრეებში დაშლა და რღვევა გამოიწვია. განსაკუთრებით გაძლიერდა რღვევა და დაცემულობა ინტელიგენციაში. სტოლიპინის რეჟიმის რეაქციული პოლიტიკა მთელი ბოროტებით დაატყდა თავს საქართველოს. ი. სტალინი რეაქციის ეპოქას ასეთ დახასიათებას აძლევდა: „საზოგადოებრივი აზრის შებოჭილობა, საერთო მოღლილობა და აპათია, გაჭირვება და სასოწარკვეთილება მუშებში, გლეხების დაბეჩავება და დაშინებულობა პოლიციურ-ძალმომრეობრივ-კაპიტალისტური ხროვის საერთო პარპაშის დროს... მათრახისა და სიბნელის სრული ზეიმი“.

ასეთი იყო რეაქციის წლებში საქართველოს საზოგადოებრივი მდგომარეობა, როდესაც გ. ტაბიძემ თავისი პირველი პოეტური ნაწარმოები დაბეჭდა. გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსები მოწინავე, პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველია. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური აზროვნების ფორმირება ქართული და რუსული კლასიკური, რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ზეგავლენით მოხდა და ეს დაემთხვა 1905 წ. რევოლუციის დღეებს. ამ დროს უკვე ჭაბუკი პოეტი მოწმე იყო, თუ როგორ აღდგა თავისუფლების მოსაპოვებლად ჩვენი ხა-

ლხი, როგორ აღმართა მან რევოლუციის დიადი დროშა. ამ ბრწყინვალე და ძღელვარე რევოლუციის დღეებმა წარუშლელი კვალი დატოვა ახალგაზრდა პოეტის სულიერ სამყაროზე. გალაკტიონ ტაბიძე მოწაფეობიდანვე ჩაება ამ სახალხო მოძრაობაში.

გალაკტიონ ტაბიძემ თავისი ერთ-ერთი პირველი ლექსი—„პირველი მაისი“ რევოლუციური ახალგაზრდობის არალეგალურ კრებაზე წაიკითხა, რითაც თავისი პირველი პოეტური სიტყვა რევოლუციურ მუშათა კლასს დაუკავშირა. ამ ლექსში აშკარად ჩანს პოეტის ოპტიმისტური დამოკიდებულება რევოლუციისადმი, ხალხის მომავლისადმი. პოეტი აღწერს რეაქციის პარპაშს. მკითხველის თვალწინ იშლება დარბევის, შიმშილის, ბორკილებისა და ციხის მუქი სურათები.

მეფეს კი, მეფეს კი —
ქარით და გრიგალით
თითქოს არავისა
და არარაისი —
ციხეში, ბორკილში,
შიმშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.
(„პირველი მაისი“).

პოეტი აქ არა სვამს წერტილს. მას სწამს, რომ მოვა დრო და რევოლუციური პროლეტარიატი კვლავ აღმართავს თავისუფლების დროშას. პოეტი ძთელი თავისი რომანტიკული გატაცებით მიესალმება „ამ ნათელ გაწვევას“.

დრო მოვა... და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს,
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ გაწვევას,
იმ პირველ მაისებს!
(„პირველი მაისი“).

ამ ლექსში გ. ტაბიძეს მოძებნილი აქვს ახალი საუკუნის, რევოლუციური საუკუნის რიტმი. ამ მხრივ რევოლუციური პოეზიის ინტონაციები სიტყვიერი ხელოვნების დიდ ოსტატობამდის არის აყვანილი.

ეს მოძრავი, მბორგავი, დაუდეგარი რიტმი შინაგანად ამაღლებული ლექსის ბუნებით შემდეგ გ. ტაბიძის პოეზიის თვისებად იქცა. თვით სევდიან ლექსებშიც, სადაც მინორული იყო ხმა, იქაც კი შეიჭრა ეს თავისებურება. პოეტი ხატს ქმნის ლექსში ხან ერთი სიტყვით, ხან ერთი ფრაზით მუსიკალური და ფერწერითი ხელოვნების სინთეზით. მუსიკალობა, ხატოვნება ტაბიძის წერის პოეტურ მანერად იქცა.

1909 წელს დაწერილ ლექსში გ. ტაბიძე აყენებს კითხვას, თუ „რა აკრთობს და აწუხებს აქ ადამიანს". დასმულ კითხვას ასეთ პასუხს აძლევს:

> თავისუფლება დავკარგეთ, თავისუფლება,
> შეისმინევი, ჰე, ბუნებავ, მუდარა ჩვენი!
> გრძნობა გვეკარგვის, სული შფოთავს, გული წუხდება,
> რად არ წყდებაო ჩვენი კვნესა, ტანჯვა ესდენი?
>
> („იქ ნაკადული").

ასე აქვს წარმოდგენილი მას ადამიანის სევდის, ნაღველისა და ცრემლის მიზეზი რეაქციის შავბნელ ეპოქაში.

გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც პოეტური ნათლობა 1905 წლის რევოლუციის გრანდიოზულ დღეებში მიიღო, ხშირად იმედით შეჰყურებდა ხალხის მომავალს. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, გ. ტაბიძის ოქტომბრის რევოლუციამდელი პოეზია სიმბოლიზმის ჩარჩოში ვერ თავსდება. ამ პერიოდის შემოქმედებას, როგორც მისი პოეზიის საღი მარცვალი, თან გასდევს ცხოვრების, ბრძოლისა და ნათელი რწმენის განწყობილება. სამართლიანი არ იქნებოდა სათანადოდ არ შეგვეფასებინა გ. ტაბიძის რევოლუციის წინა პერიოდის პოეტურ სამყაროში ეს მოწინავე მოტივები. ეს ხელს შეგვიშლიდა ჩვენი პოეტის მსოფლმხედველობის სწორ შეფასებაში.

1910 წელს დაწერილ ლექსში „ზევით ასწიეთ მზე, ზევით" პოეტი იძედით შეჰყურებს მზეს, თავისუფლების დიად სიმბოლოს.

> შორს ჩვენგან, ღამის წყვდიადო,
> შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო!
> თვალის ამხვევად შექმნილო
> და ბორკილებად ქცეულო!
> ჩვენ მზე გვსურს... ხალხო, შეერთდით, —
> ზევით ასწიეთ მზე, ზევით!
> მის აღდგომასთან მნათობის
> სხივებად გადავიქცევით!
>
> („ზევით ასწიეთ მზე, ზევით").

ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში იშვიათად თუ მოინახება მეორე უფრო ოპტიმისტური ლექსი.

ამავე წელს დაწერილ მეორე ლექსში პოეტი წერს:

ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას,
ბრძოლის ქუხილში მიილტვის სული.
ვერ ვუღალატებ საფლავთა მცნებას
ცხადად და ბილში აღშფოთებული.

პოეტი ხიხლით შეჰყურებდა შავი რეაქციის გუბეს, ხავსმოდებულ ძველ ცხოვრებას.

აშმორდა გუბე, მაგრამ მკაცრი საათი რეკავს,
გამოიღვიძეთ! შურისგება არყევს ნიობას —
გადაირღვევა ნაპირები... და გადალეკავს
ძველს, ეხლა მაინც დაღუპვის ღირსს კაცობრიობას...
(„გუბე“)

პოეტს სწამდა ხალხის მომავალი. ამ რწმენით შთაგონებული წერდა:

ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი
ბედნიერებად გადაიშლება,
დროც ხომ იცვლება? დროც ხომ იცვლება?
(„ველნი ყვავიან“)

პოეტს იტაცებს ქარიშხლიანი ცხოვრება:

დაჰქროლე, ქარო, მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჰქროლე, ქარო!
(„მგზავრის სიმღერა“).

პოეტის სიყვარული რევოლუციის ქარიშხალისადმი, მისი გატაცება „გაზაფხულით“, სიცოცხლის მშვენიერებით დიდი რომანტიკული გზნებით არის გამოხატული ცნობილ ლექსში „გურიის მთები“. აქ პოეტს იშვიათი ოსტატობით აქვს აღწერილი 1905 წლის რევოლუციის ცეცხლით განათებული ნასაკირალი, რომლის ხილვამ და „გაზაფხულის ძთების სიძწვანემ“ სიცოცხლესა და განახლებაზე აღუძრა ფიქრი.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი განწყობილება

დაგვენახა. არა, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას რევოლუციის წინა პერიოდში ახასიათებდა, და ძლიერადაც ახასიათებდა, სევდის, მისტიკის, რომანტიკულ-სიმბოლისტური განწყობილებანი. ეს მეორე ნაკადი აკუთვნებს პოეტს რევოლუციის წინა პერიოდის იმ თაობათა რიცხვს, რომელთა შემოქმედებაში ადგილი ჰქონდა სიმბოლისტურ მიმართულებათა გავლენას. ეს მოტივებიც ახსნასა და განმარტებას მოითხოვს. სხვა მხრივ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შეფასება ცალმხრივი და არამართებული იქნებოდა.

სიმბოლიზმის კვალი გ. ტაბიძის პოეზიაში

რეაქციის ეპოქამ თავისი დაღი დაასვა გალაკტიონ ტაბიძის პოეტური განვითარების გზას. შინაგანი სულიერი მარტოობის მწვანე ტრაგედია ნოყიერ ნიადაგს პოულობს. იგი მწარედ შესჩივის თავის ბედს:

ოჰ, ვის ესმის ჩემი კვნესა
და ტანჯვა სულის,
საუკუნეთა მსვლელობაში
 გაციებულის?
ადამიანო! ყოფნა შენი
კუბოდ იცვლება,
მე კი უბედურს თვით სიკვდილიც
არ მეღირსება.
(„გაშლილ ნალკოტში“).

გ. ტაბიძის ადრინდელ ლექსიკაში ფართოდ მკვიდრდება ისეთი. სიტყვები, როგორიცაა: კუბო, მონასტერი, სასაფლაო, ღამე, ბნელი შემოდგომის დღე და მისთანანი. გ. ტაბიძის იმდროინდელ პოეტურ მეტყველებაში დიდი ადგილი უჭირავს რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეტიკის სალაროდან ამოღებულ ლექსიკას. მაგრამ აქ არა მარტო პოეტურ ლექსიკაშია საქმე, არამედ იმ გარკვეულ განწყობილებაში, მხატვრულ ქსოვილში, რომლითაც მწერალი ასე უშუალოდ ეხმაურებოდა სიმბოლისტურ მიმართულებას. ცხოვრებისაგან, მარტოობისაგან გულმოკლულ პოეტს ხშირად სიცოცხლეც ბეზრდება. „ღამის სიცივისაგან სულის ქენჯნა-წვალებით“ გაწამებული პოეტი დაასკვნის:

...ვეტყვი, რომ ყველა მომბეზრდა ქვეყნად,
რომ დავიღალე მე ამ კუბოში,

რომ მას ველოდ'ი და მუდამ ასე
დაღონებული ვვიდოდი ბრბოში.
(„ხალხი ირევა").

ლექს'ში „ათოვდა ზამთრის ბაღებს" პოეტს ცხოვრება წარმოდგენილი აქვს დაუსრულებელი უსასოების, მწუხარებისა და სევდის სადგურად.

ათოვდა ზამთრის ბაღებს,
მიჰქონდათ შავი კუბო,
და შლიდა ბაირაღებს
თმაგაწეწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუბო.
მიჰქონდათ კიდევ კუბო...
ყორნების საუბარი:
დარეკე! დაუბერე!
ათოვდა ზამთრის ბაღებს.

ასე გამისტიკურებულია მთელი სამყარო. ასეთი მისტიკური ექსტაზით უცქეროდა ცხოვრებას გალაკტიონ ტაბიძე ბევრ თავის ლექსში. პოეტისათვის ეს ქვეყანა გაცრუებული იმედების სავანეა, ცხოვრება უდაბნოდ ქცეულა; სულიერი მარტოობის ღრმა ტრაგედია იპყრობს პოეტს. მას ხ'შირად წაგებული ეგონა ბრძოლა, „ჭეშმარიტად ამაოა ყოველივეო", აცბობდა იმედდაკარგული პოეტი. ეს ტრაგიკული განცდა სინამდვილისა და გამოუვალი მდგომარეობის შეგრძნება მან ასე გამოხატა:

სიყმაწვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი,
ჟამი მიჰქროდა ახალი დღით განრინებული,
არ მშვიდდებოდა ჩემში მაინც გული ვნებული.
დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა,
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.
(„უდაბნო")

ასეთი გამოუვალი მდგომარეობის ჯადოსნურ რკალში მოქცეული პოეტი არაერთხელ ცდილა გაერღვია ეს „სულის გამყინავი ბურუსი", რომ დაენახა თავის სამშობლოს „მთისა ქედები", მაგრამ შავი ყორანი „'შავბედად" სიყრ'	დანვე ასდევნებია პოეტს და თითქოს აღუკვეთიაო მისთვის სიცოცხლის, პერსპექტივისა და მომავლის რწმენა. ასეთი განწყობილება გადმოგვცა პოეტმა ლექსში „შავი ყორანი". გულისმომკვლელი უსასოებით შეპყრობილი პოეტი მწარედ მოთქვამს:

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი,
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!“
(„შავი ყორანი“)

ამ მდგომარეობაში მისთვის გაურკვეველია ცხოვრების გზა:

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა ჩანს,
ამ სიბნელეში გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.
(„შავი ყორანი“)

პოეტს სურს დროებით ძაინც დაიმშვიდოს სული და იპოვოს მეგობარი, რომელიც ძას სულიერ სიმშვიდეს მიანიჭებს. რაკი მან ასეთი ძეგობარი ვერ პოვა ადამიანებს შორის, რაკი ცხოვრებაში ვერ მოძებნა ძალა, რომელიც მომავლის რწმენით აღჭურავდა მას, პოეტი ფანტაზიით ქმნის, იგონებს, თხზავს ობოლი სულის ორეულს, „მეგობარს“. პოეტური ფანტაზიის ნაყოფი — ორეულები ის საშუალებაა, რომელშიაც გ. ტაბიძე კმაყოფილებას პოულობდა და სულიერ სიმშვიდეს ნახულობდა. ეს გზა ნაცადი იყო რომანტიკოსებისთვის. ამ ხერხმა თავის უკიდურეს განვითარებას ძიაღწია სიმბოლისტების შემოქმედებაში. გ. ტაბიძე რომანტიზმისა და სიმბოლიზმის შემაერთებელ გზაზე მთელი სისრულით ავითარებს ორეულების თემას.

გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „მე და ღამე“ ორეულების მთელი ფილოსოფიაა. აქ რომანტიზმისა და სიმბოლიზმის თავისებურ შერწყმასთან გვაქვს საქმე. პოეტი ოსტატურად გადმოგვცემს სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელ ღამის მისტიკურ არსს. სიმბოლისტების აზრით (ასევე — უფრო ადრე — რომანტიკოსების აზრითაც), ადამიანი თავის შინაარსს ნამდვილად ავლენს არა ჩვეულებრივს მდგომარეობაში, არა ხილულ და ობიექტურ ქვეყანაში, არამედ მის ბუნდოვანებაში. საღამოს ბინდში, ღამეში, ლანდებში, სარკეში დანახულ ორეულში. სიმბოლისტი პოეტი შეგნებულად ემიჯნება ობიექტურ სამყაროს და იძირება საკუთარ „მეში“, რათა იქ პოვოს „აბსოლუტის“ ნამდვილი გამოვლინება და შეუერთდეს მას. ამიტომ ის თავს ითავისუფლებს ცხოვრების ჩვეულებრივი სიმართლისაგან და მთელ თავის გულისყურს მიაპყრობს თავის საკუთარ „მეს“, შინაგან განცდებს. ცხოვ-

რებისაგან სრულიად გამოთიშული პოეტი მოჩვენებით ახალ სულიერ ცხოვრებას ქმნის. სულიერი ექსტაზის საუკეთესო დროდ სიმბოლისტებისთვის (ასევე რომანტიკოსებისთვის) აღიარებულია ღამე. ღამე თითქოს ადამიანს აახლოებს ირეალურ სამყაროსთან, ღამე აღვიძებს ადამიანის „მეში“ — ირეალური სამყაროს საიდუმლო აბსოლუტს. სიმბოლისტების აზრით, პოეტმა უნდა უკუაგდოს პოზიტიური შემეცნების გზა, უარყოს ძიზეზობრივი კავშირი საგანთა შორის, რადგან თვით ეს ობიექტური სამყარო უბრალო ზმანებაა, მოჩვენებაა, ჩვენი გრძნობების ორგანოების შეცდომებისაგანაა წარმომდგარი. ამის გამო, — მათი აზრით, — ის ჩვეულებრივი საშუალებები, რაც საგნობრივია, ობიექტურია, არ გამოდგება „ნამდვილი“ მეორე სამყაროს გამოსახატავად, მის საჩვენებლად. სწორედ ამიტომ სიმბოლისტების წინაშე მწვავედ დგას საკითხი, თუ რა საშუალებებით შეიძლება პოეტმა წარმოადგინოს მეორე სამყაროს მხატვრული სახე, და აი, აქ სიმბოლოების პოეტური ხერხი სიმბოლისტების პოეტიკის ქვაკუთხედი ხდება. პოეტმა „საიდუმლო ნიშნების“ საშუალებით უნდა მიგვახვედროს, გვანიშნოს ირეალური, ობიექტური სამყაროს მიღმა მდებარე „ჭეშმარიტად მუდმივი“ სამყარო. ჩვეულებრივი ენა ამისათვის არ გამოდგება, განსაზღვრულია მისი საშუალებანი გამოხატოს ადამიანის ნაფიქრი და ნაგრძნობი და ამ განსაზღვრულობას ენისას უშველისო სიმბოლოები. ამის საუკეთესო საშუალება არის ბუნდოვანობა. ყველა ამ გარემოების გამო სიმბოლისტებმა ხელოვნების პრინციპად აღიარეს არა დახატვა საგნისა, არამედ სიმბოლოების საშუალებით მინიშნება, მიხვედრება. მათი აზრით, ეს არის „ჭეშმარიტი გზა“ ხელოვნებისა, მწერლობისა. სიმბოლისტების ეს თეორია ნაწილობრივ გაზიარებული აქვს გ. ტაბიძეს, კერძოდ, „მე და ღამეში“.

გამოვიდნენ თუ არა „დღის სინათლეზე“ სიმბოლისტები, თავიანთ კრედოდ გამოაცხადეს — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ამით უნდოდათ მათ მხატვრული ლიტერატურა გაეთავისუფლებინათ და განერიდებინათ სინამდვილის ასახვისა და უტილიტარისტული აღმზრდელობითი ფუნქციებისაგან. თვით ჩვეულებრივი საგნები და მოვლენები, მთელი ობიექტური სამყარო ზმანებად და მოჩვენებად გამოაცხადეს, მწერლობას, ხელოვნებას საფუძვლად დაუდეს სუბიექტური გამოგონებანი, პოეტის საკუთარი „მე“, წუთიერი ჩვენებანი და შთაბეჭდილებანი. ხელოვნების დანიშნულებად კი მიიჩნიეს არაჩვეულებრივის, ირე-

ალურისაკენ მისწრაფების აღძვრა და ამ ნიადაგზე ფართოდ გაუღეს კარი ბუნდოვანობას, სიმბოლოებს, დანისლულ აზრს, სოციალური და საზოგადოებრივი შინაარსისაგან გამოცლილ თვითმიზნურ თამაშს სიტყვებისას. ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი ხდება უარის თქმა ობიექტურ საყაროზე, სინამდვილის ასახვაზე, გამოთიშვა ცხოვრებიდან, საკუთარ განცდებში ჩაკეტვა, საზოგადოებრივი თემების უარყოფა. ავადმყოფური სიმახინჯის, სკეპტიციზმის, ბოჰემის, ლოთობის კულტი, — აი, რით ხასიათდება სიმბოლისტური მიმართულება. ვერლენი, მალარმე, არტურ რემბო გახდნენ ამ სკოლის მეთაურები საფრანგეთში. ვერლენი პირდაპირ ამბობდა: „ჩვენ ვართ პოეტები დაცემის, სიკვდილის, განადგურების წყეული პოეტები". ფრანგი სიმბოლისტები უსაყვედურებდნენ ფრანგ რეალისტებს, რომ ისინი ასახავენ მოვლენებს, ნივთებს, მიმართავენ სინამდვილის აღწერას. მთავარია არა აღწერა სინამდვილისა, არამედ მინიშნება, მიგნება, — ამტკიცებდნენ ისინი. სიმბოლისტებმა უარყვეს რეალისტური სკოლის ჩვეულებრივი მეთოდი, აღწერის მეთოდი. მათ უარყვეს სიტყვა, როგორც ადამიანის აზრის, ურთიერთობის, გაგებინების საშუალება, სიტყვის ადგილი სიმბოლოებს დაუთმეს. არტურ რემბომ შექმნა სიმბოლისტური სიტყვების თეორია და მას უწოდა სიტყვების ალქიმია. არტურ რემბო თვლიდა, რომ მან „მონახა პოეტური ენა" ცხოვრების საიდუმლოებათა ამოსაცნობად. მეორე სიმბოლისტი სტეფან მალარმე ქმნის „ცხოვრების ლანდურობის" სარკისებური ასახვის თეორიას. მალარმე თვლიდა, რომ ყალბია პირდაპირ დანახული სინამდვილე. ადამიანის ლანდი სარკეში „ირეალურის ჭეშმარიტი დაბრუნებაა". ვერლენმა კი მუსიკას „უძღვნა ჰიმნი" და „სულის მისტიკური ერთიანობა" მუსიკაში დაინახა. სიმბოლისტების მთელი ეს „ძიება" რეალისტური სკოლის ტრადიციების წინააღმდეგ იყო მიმართული.

სიმბოლისტებმა ლიტერატურის ცენტრში დააყენეს საკუთარი მე. „პირველი, რომელსაც უნდა გაეცნოს პოეტი — ადამიანი, რომელსაც სურს იყოს პოეტი, არის თავისთავი", ის შეისწავლის თავის შინაგან ცხოვრებას ყოველ მის დეტალში. პოეტი უნდა შეეცადოს ყოველმხრივ გააფართოოს თავისთავის ცოდნა. მან თვით უნდა განიცადოს სიყვარული, ტანჯვა, სიგიჟე, სიმახინჯე, საწამლავი თუ სხვა, — ამტკიცებდნენ სიმბოლისტები. ირაციონალური ცხოვრება სულისა — აი, პოეტის საგანი. ამ გზით დაიწყეს სიმბოლისტებმა დიდი ტილოების

უარყოფა. რომანის, პოემის, მოთხრობის შეცვლა სუბიექტური ლირიკის ნიმუშებით.

რუსმა და ქართველმა სიმბოლისტებმა ეს თეორია გაიზიარეს. ქართველი სიმბოლისტები პირდაპირ აცხადებდნენ თავიანთ თავს ფრანგი სიმბოლისტების მემკვიდრეებად. მათ ჟურნალში — „ცისფერი ყანწები“ თავიანთ პრინციპად აღიარეს: „ოცნებადაკარგულ ხალხს ასწავლონ გზა ცისფერი ტაძრისაკენ. პირველი თქმა ჩვენი არის შხამური. ძლიერება ხალხის სულს და ავადმყოფ სხეულს. საქართველოს შემდეგი უდიდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდეთ, ხალხნო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები. — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე, და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“. ამავე მანიფესტში არის მოცემული აპოლოგია სიკვდილის, ლოთობის, სიმახინჯის. „ჩვენ ვცხოვრობთ სიმთვრალეში“, სიამაყით აცხადებდნენ ისინი, სიმბოლისტები პოეზიას ათავისუფლებენ სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციისაგან. ამიტომაც ისინი ეტრფიან ყოველივე ბუნდოვანს, ჩრდილოვანს, ნათელი გაგებინების ფუნქციისაგან განთავისუფლებულ სიტყვას. ხალხისა და საზოგადოების ინტერესებისაგან განდგომა, საკუთარ „მეში“ ჩაკეტვა, — ასეთი იყო ყველა ქვეყნის სიმბოლისტების პოზიცია.

ჩვენი მსჯელობანი სიმბოლიზმის შესახებ იქნებოდა არასრული, თუ ამ ლიტერატურულ მოძრაობაში არ დავინახავდით ზოგ რამ დადებით მხარესაც, რაც სხვადასხვა სიმბოლისტ პოეტის შემოქმედებაში სხვადასხვა ძალით ვლინდება. მთელი ამ სიმბოლისტი პოეტების, სიტყვის გამოჩენილი ოსტატების ნიჰილისტური უარყოფა არ იქნებოდა სამართლიანი. მაგალითად, არ იქნებოდა სამართლიანი ერთიანი საზომით შეგვეფასებინა ლიტერატურული დამსახურება, ერთი მხრით, ბლოკისა, ბრიუსოვისა, მეორე მხრით, ზინაიდა გიპიუსისა და მერეშკოვსკისა, ისევე როგორც არ იქნებოდა სამართლიანი გ. ტაბიძის მოდერნიზმი არ განგვესხვავებინა „ცისფერყანწელების“ სიმბოლიზმისაგან. ბლოკის, ბრიუსოვის პოეზიაში, თვით ვერლენისა და მალარმეს პოეზიაში ბევრი რამ არის ლიტერატურულად საინტერესო, დიდი პოეტური ძიების ნაყოფი. კერძოდ, გ. ტაბიძის სიმბოლისტურ ლექსებში ბევრი რამ იყო ნოვატორული, რითაც მან ლექსის დიდი ოსტატის სახელი დაიმკვიდრა. ასევე უმართებლობა იქნებოდა არ დაგვენახა ტ. ტაბიძისა და პ. იაშ-

ვილის თაობის პოეტური მიღწევები სიმბოლიზმის იმ უარყოფით მოვლენებთან ერთად, რომლებიც ამ სკოლის იდეოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენდნენ.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია XX საუკუნის ახალი ქართული ლექსის სათავე გახდა. გ. ტაბიძე არის მეთაური და მამა ახალი ქართული ლექსისა.

*

როდესაც ილია ჭავჭავაძე შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში თავისი მებრძოლი რეალისტური პრინციპით, მან ხელოვნების დროშას ცხოვრების სიყვარული, ამქვეყნიური ყოფის სამსახურის ლოზუნგი დააწერა. ხელოვნებას არა აქვს სხვა ფუნქცია, ვიდრე სამსახური ცხოვრებისა, ხალხის სამსახურიო, — აღიარებდა ილია ჭავჭავაძე. ცხოვრებისა და ხელოვნების ეს რეალისტური კონცეფცია ილია ჭავჭავაძემ მკვეთრად ჩამოაყალიბა თავის საპროგრამო ნაწარმოებში — „მგზავრის წერილებში". აქ ილია ჭავჭავაძე, როგორც რეალისტი, სიცოცხლეს. ბობოქარ ცხოვრებას, დღის სინათლეს შესტრფის. ილია, ცხოვრების ნათელი აზრის სიყვარულით შთაგონებული, აღტაცებით წერს: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და ოცნებითა მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამეო, მეჯავრები შენ მე!" ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს რეალიზმის დიდ წარმომადგენელთან. გავიდა დრო. მოვიდნენ ქართველი სიმბოლისტები და ბრძოლა გამოუცხადეს რეალიზმს, ბრძოლა გამოუცხადეს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებს. ისინი თვლიდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის თაობამ, „შეიარაღებულმა რუსეთის სამოციანელების ესთეტიკური შეხედულებებით", დაკნინა ქართული ლექსი. მათი ბრძოლა ძველი თაობის, არქაისტების წინააღმდეგ „იყო გამარჯვება სრული თერგდალეულთა, მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდგომი ხელოვნებისა. ამ დღიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ძალად და პოეზია — გაზეთად...

...თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით იმათ დამარხეს ქართული ლექსი". ასე მოურიდებლად ილაშქრებდნენ ისინი ნაციონალურ-

რევოლუციური გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი წარმომადგენლების, რევოლუციური დემოკრატების — ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის წინააღმდეგ. ეს ნაცნობი ხერხი იყო. ანალოგიური ხერხებით სცადეს რუსმა სიმბოლისტებმა დიდი სამოციანელების სახელის გატეხა. ამ გაცვეთილ გზას მიმართეს ქართველმა სიმბოლისტებმაც. ჩვენ დროშიაც, 1922 წელს ცისფერყანწელების წარმომადგენელი სანდრო ცირეკიძე წერდა: „აკაკი თავის თავს ეძახდა გარემოების საყვირს. ამ დიდმა კაცმა თავისი გრძელი სიცოცხლე პოლიტიკურ მესაზანდრედ იარა და იშვიათად მოიცალა ინტიმური განცდებისათვის. ბევრი უმცროსი დაღუპა მისმა მაგალითმა". ქართველი სიმბოლისტები ბრალს დებდნენ რეალისტ მწერლებს, რომ ისინი გატაცებული იყვნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების ასახვით. რეალიზმის ყველაზე სასიცოცხლო აზრის სინამდვილის გამოსახვის პრინციპის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ისინი და ამ მხრივ უპირისპირდებოდნენ კლასიკური რეალიზმის გზას. „რეალიზმი, — აცხადებდა ვ. გაფრინდაშვილი, — არის უხეში ანარეკლი სინამდვილისა... ჩვენ არ გვიტაცებს ის, რაც პირდაპირი სახით გვევლინება, ჩვენ გვინდა ნიღაბი... სახე ყოველთვის ერთია, სიმბოლო კი მრავალსახიანია. მისი შინაარსი უძიროა და ამოუწურავი, რაც სიმბოლოს აძლევს უპირატესობას, როგორც პოეტური შემოქმედების მეთოდს".

ქართველი სიმბოლისტების ბრძოლა რეალიზმისა და რეალისტების წინააღმდეგ წლების განმავლობაში გრძელდებოდა ქართულ ლიტერატურაში. სიმბოლიზმის ბრძოლას რეალიზმის წინააღმდეგ არ იღებდა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ბარათაშვილის და ვაჟა ფშაველას რეალისტური მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი მკითხველი. ასევე ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენლები როდი იზიარებდნენ სიმბოლიზმის გზას. თვით გ. ტაბიძე ბოლომდე დარჩა თანმიმდევარი დამცველი და თაყვანისმცემელი კლასიკური მწერლობისა"*.

გ. ტაბიძე სწორედ ამ წელში წერს თავის ცნობილ ლექსებს — „აკაკი" და „აკაკის ღაღადი". ამ ლექსებში გ. ტაბიძე იმ აზრს ავითარებს, რომ აკ. წერეთელი მუდამ იქნება ჩვენთვის, ჩვენს ლექსებსა და ფიქრებში ჩვენი შთაგონება, ხალხის სამსახურის მაგალითი. არასოდეს მოგვაკლებს

* ს. ბ ე ნ ა ძ ე — „გ. ტაბიძე".

მადლსა და შუქს ხალხისათვის შეწირული მისი პოეტური ლამპარი, კურთხეულ იყო პოეტის მადლით ანთებული აკაკის სანთლებიო, დაასკვნიდა. გ. ტაბიძის პოეზიაში, მის წერილებში ვერ იპოვით ვერც ერთ სიტყვას, ვერც ერთ ფრაზას, სადაც აუგად იყოს მოხსენებული კლასიკოსთა სახელები.

ამგვარად. გ. ტაბიძე, წინააღმდეგ ცისფერ ყანწელებისა, ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებში გვევლინებოდა, როგორც კლასიკური მწერლობის დამცველი და განმავითარებელი, მაგრამ მაინც გ. ტაბიძის შემოქმედებაზე მკაფიოდ გამოჩნდა სიმბოლიზმის გავლენა. ეს გავლენა მის შემოქმედებითს თემატიკაშიაც შეინიშნება, ეს გავლენა მკვეთრად მოჩანს ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ ლექსში — „მე და ღამე“.

გალაკტიონ ტაბიძე, რეალისტებისაგან განსხვავებით, თავის მეგობრად, თავის სულის მესაიდუმლედ ღამეს ხატავს. პოეტს იტაცებს მთვარის ნათელი, მტრედისფერი ცა, „ლურჯ სვეტებით დასერილი“. ეს „საიდუმლო შუქი“ მასში აღძრავს „უხვ გრძნობებს“. ღამის ეს სიცარიელე პოეტს საკუთარ მდგომარეობას აგონებს:

> საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
> ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

პოეტი თავის ფიქრს, განუზომელ ნაღველს, რასაც ასე საიდუმლოდ ატარებს გულში, როდი უმჟღავნებს მეგობრებს; მას ადამიანებს შორის ნამდვილი მეგობარი არც ეგულება. სულით ობოლი პოეტის გულისთქმათა მესაიდუმლე მხოლოდ ღამეა.

> მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
> იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
> იცის — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
> ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!

დამახასიათებელია, რომ მეორე ლექსში — „მახსოვს“ მხოლოდ მთვარემ იცის პოეტის საიდუმლო. იგი ამბობს: „მთვარეო, შენ იცი ეგ საიდუმლო, რომელსაც გულით დავატარებდი“. იქვე დასძენს: „შენ იცი მხოლოდ, თუ რასაც ვგრძნობდი მარტოობაში შუაღამისას, რომ ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი, უფრო ვწვდებოდი, ვინემ კაცისას“.

პოეტის ერთ-ერთი მისწრაფება იყო:

> და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
> ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა.

ალ. ბლოკი წერდა: „სიმბოლისტი პოეტი არის, უპირველეს ყოვლისა, მფლობელი საიდუმლო ცოდნისა, რომლის თანახმად ხდება მისი საიდუმლო მოქმედება. ამ საიდუმლოს, რომელსაც შემდეგ იგებს ქვეყანა, ის უცქერის, როგორც თავის საკუთრებას. ეს არის მისი საუნჯე". სიმბოლისტების ამ დებულებას თითქოს იზიარებს გ. ტაბიძე ლექსში „მე და ღამე".

ღამე, ბუნდოვანი მდგომარეობა პოეტს უღვიძებს მოუწვდომელისა და ირაციონალური ქვეყნის განცდებს, აღძრავს მასში „საიდუმლოს" ამოხსნის გრძნობას, და ეს „ამოხსნილი" სამყარო სრულებით არ ემსგავსება რეალურს, ემპირიულს, მისი მეგობრებისათვის ნაცნობ ცხოვრებას — ეს სულ სხვა მხარეა, რომელიც მხოლოდ პოეტმა იცის ღამეს თან ერთად. ექსტაზით წარმოდგენილი ეს „საიდუმლო შუქი" მუდამ თან უნდა ახლდეს მას. სწორედ ამ გარემოების გამო გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მე და ღამე" რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეტიკის ყველა წესის დაცვით შესრულებული ლექსების კატეგორიას მიეკუთვნება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსი გამონაკლისი როდია გ. ტაბიძის შემოქმედებაში. მას სხვაგანაც აქვს გამოხატული ღამის სიყვარული. გ. ტაბიძეს, საზოგადოდ, ისე როგორც რომანტიკოს-სიმბოლისტ პოეტებს, ბინდის დრო, საღამო ჟამი, ღამე უყვარს, ხოლო დღე, განთიადი, „სინათლე სტანჯავს". ეს განწყობილება აქვს გამოხატული გალაკტიონ ტაბიძეს ლექსში — „ბინდის სტუმარი".

ოჰ, გეეედრები, ნუ შემიშფოთებ
ლოცვას მხურვალეს, ლოცვას პოეტურს...
შუაღამეა... მოვთქვამ და ვგოდებ...
შენთან ყოფნა მსურს... შენთან ყოფნა მსურს...
ბინდი ღამისა გადაიშალა...
განთიადია... მე ვიტანჯები...
სად მიგაქვს სუნთქვა... სად მიგაქვს ძალა?
— შენთან დავრჩები... შენთან დავრჩები!

(„ბინდის სტუმარი").

ასე გამოხატა პოეტმა განსაკუთრებული სიყვარული ღამისადმი, განდგომა ბობოქარი, ნათელი ცხოვრებისაგან. ამაზე უფრო გარკვევით იშვიათად გამოუხატავს ვისმე რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეტიკის წესი და მრწამსი ქართულ ლიტერატურაში. გალაკტიონ ტაბიძეს XX საუკუნის სოციალისტურ რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში,

ერთ პირველთაგანს, შემოაქვს სიმბოლიზმის ელემენტები. მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის ამ ხასიათის ლექსებიც ორთოდოქსალურად როდი იცავს სიმბოლიზმის ფილოსოფიურ მრწამსს. იმის წყალობით, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ამ დროშიაც, ამგვარი ლექსების გვერდით, საკმაოდ მოეპოვება რეალისტური ლექსები (და ამის გამო არ შეიძლება ყოფილიყო ორთოდოქსალური დამცველი სიმბოლიზმისა), ჩვენი პოეტი თავისებურ ადგილს იკავებს რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში. თუ ერთი მხრივ, ლექსებში — „მე და ღამე", „ბინდის სტუმარი", „გახსოვს", „ლურჯა ცხენები", „დომინო", „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი", გამოხატული რომანტიკულ-სიმბოლისტური შეხედულებები პოულობდა წმინდა პოეტურ განვითარებას, მეორე მხრივ, ამავე რომანტიკულ-სიმბოლისტური ხასიათის ლექსებში პოეტი არღვევდა სიმბოლიზმის იდეურ მრწამსს. შემთხვევითი არ არის ის, რომ გალაკტიონ ტაბიძე ღამის ორეულებთან ერთად სულის სიმბოლიზაციის საშუალებად ხშირად ქარს, ქარიშხალს, ზღვას სახავს.

პოეტის მიერ შეთხზულ „ორეულებს" შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქარს. ქარი მრავალგზის გვხვდება როგორც რევოლუციის, 1905 წლის ქარიშხლიანი დღეების სინონიმი, სხვაგან კი — როგორც პოეტის სულიერი ობლობის, მარტოობის სიმბოლო; და რომ ქარი ერთგან პოეტს ქარიშხლიან დღეებს აგონებს, მეორეგან კი პოეტის სულიერი ობლობის, მარტოობის, სევდისა და კაეშნის სიმბოლოდ იქცა, აქაც ჩანს გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ თუ თემატიკურ წინაალმდეგობათა ის გზა, რომელიც მან ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში გაიარა.

შუალამისას, როდესაც პოეტი თავის სევდიან სტრიქონებს ქმნის, როდესაც ის უჩვეულო ფიქრს შეუპყრია, მას მხოლოდ ქარზე ფიქრი და ოცნება იტაცებს. ქარში პოეტი თავისი სულიერი მდგომარეობის ანალოგიას პოულობს.

გალაკტიონ ტაბიძე თავის ცნობილ ლექსში — „ქარი" ასეთ სურათს ხატავს:

ქარი ხან სტვენდა, ხან სტიროდა
გულამოსკვნილი,
ხან გამოუთქმელ სევგლახით
ჰკვნესდა... წვალობდა.
გული უსმენდა მას, ამ ქვითინს

გამოურკვეველს
და ოცნებობდა აუხდენელ
ფიქრ-მოგონებით;
ქარი კი ისევ ედებოდა
ქვითინით ტყე-ველს
და მჭკნარ ყვავილებს იტაცებდა
მოსხლეტილ ფრთებით...
მხოლოდ მე ვიყავ იმის მსგავსი
და იმისთანა
და მოწყენილ ხმებს მიტომ კვნესდა
სარკმელთან ქარი.

ასეთივე განწყობილებით გვიხატავს გალაკტიონ ტაბიძე ქარისა და პოეტის სულიერი მდგომარეობის ანალოგიას ლექსებში „წუხელის ღამით ქარი დაჰქროდა“, „ქარით დატირებული“. ყველგან აქ ქარი წარმოდგენილია როგორც პოეტის სევდიანი სულიერი განცდებისა და მდგომარეობის გამომხატველი. ქარის მარტოობა, „მოწყენილი ხმების კვნესა“ იმგვარად არის გასულიერებული როგორადაც თავისი მდგომარეობა წარმოუდგენია პოეტს. ქარის ასეთი მდგომარეობა მოაგონებს პოეტს იმ „წარსულსაც“, როდესაც პოეტი და ქარი ბედით კმაყოფილნი იყვნენ; ივი გაახსენებს თავის სულიერ მეგობარს — ქარს „ამ სიამის დღეებს“, დღეებს, რომელიც მათში თანაბრად აღძრავს იმედის გრძნობას. პოეტი ამბობს:

დასცხრი, გრიგალო! ყველაფერი
როდი დავკარგეთ,
რა ვუყოთ, გულში თუ სიამის
ჩურჩული მიწყდა?
რად დაგავიწყდა წყნარი ლოცვა
ქალწულის ბაგეთ,
და მოგონება დღეთა წარსულთ
რად დაგავიწყდა?

(„ქარი“).

პოეტს თავის „მეს“ მეგობრად მიაჩნია ვარსკვლავებიც. პოეტი ლექსში „ხომლი“ თავის სულის მესაიდუმლეს, თავის სულიერი მდგომარეობის ანალოგიას ვარსკვლავში ხედავს. თუ წინათ მხოლოდ ვარსკვლავებმა იცოდნენ ცაში, „რომ ქვეყნად ჩემზედ ბედნიერი არავინ იყო“, აი, ახლა, როდესაც შეეჩვია გული სევდას და ურწმუნობას:

ეხლაც კი, მხოლოდ ვარსკვლავებმა იციან ცაში,
ჩემი ფიქრები და წარსულის მწარე ზღაპარი.
(„ხომლი“).

ამგვარად, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში მრავალფეროვანია ის პოეტური ხერხი, რომელიც ორეულების გამოხატვის მიზნით არის გამოყენებული, და აქ გალაკტიონ ტაბიძე ზოგან სიმბოლიზმის პოეტიკის პოზიციის დამცველი, ხშირად არღვევს ამ მიმართულების საერთო კანონს.

პოეტი ხშირად ოცნებობდა:

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.
(„გზაში“).

გალაკტიონ ტაბიძის მისწრაფება ყრუ ადგილისაკენ, ადამიანთა საზოგადოებისაგან გაცილების ეს აზრი სიმბოლიზმის პრინციპების გაზიარებაც იყო. ამგვარ პოზიციაზე მდგარ პოეტს ხშირად იტაცებდა რომანტიკოსების საყვარელი ცისფერი, იდეალური სამყაროს ეს თავისებური სიმბოლო, რომელსაც სიმბოლისტებიც იყენებდნენ ხოლმე. პოეტი ამბობს:

აქ მრავალია ცისფერი ფერი!
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება.
როგორც ქალწულის სახელი — მერი
არის ცისფერი და მწუხარება.
გახედე შორს მთებს! გახედე სერებს!
გახედე ტალღებს, ჩაქსოვილს ტბაში.
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს
სამოსელს დღეთა ელვარებაში.
სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს,
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,
იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს.
(„გზაში“).

თუ, ერთი მხრით, გალაკტიონ ტაბიძის სიყვარული ცისფერისადმი ქართული რომანტიზმიდან მოდიოდა, მეორე მხრით, ოქტომბრის რე-

ოლუციის წინა პერიოდის ლექსების სუბიექტურ-კამერული მოტივები თავის სათავეებს პოულობდა რუსული და ფრანგული სიმბოლისტური სკოლების პოეტიკაში. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში არაერთხელ გვხვდება ვერლენის, არტურ რემბოს, ბოდლერის, ედგარ პოს, ბალმონტის, ბლოკისა და სხვათა სახელები და შეხედულებათა კვალი. ბევრ შემთხვევაში გალაკტიონ ტაბიძე მათ -მამებად- იხსენიებს. იზიარებდა რა რუსი სიმბოლისტის — ბალმონტის პოზიციას, გ. ტაბიძე შენიშნავდა:

თითქო ერთგვარად ხედავდა თვალი
დაბინდებული ნისლით და ყინვით
და ერთნაირად ვიყავით მთვრალი —
შენ შენი თოვლით, მე ჩემი ღვინით.

(„რუს პოეტს").

ლექსში „ჭიანურები" კი გ. ტაბიძე ამბობს:

ხშირად ვიგონებ ვერლენს,
როგორც დაღუპულ მამას,
დაღვრის შეშლილი ცრემლებს
მოგონებათა გამმას.

ან კიდევ:

იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი
თრობის საათია, ღვინის საათია!"
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე —
რომელი საათია?

(„რომელი საათია")

გ. ტაბიძე განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს ალ. ბლოკს: „პოეტი მეფე" — ასე უწოდებს მას.

ასევე ლექსები — „საუბარი ედგარზე", „ედგარი მესამედ" ნათლად მიუთითებს გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულებაზე რომანტიკოს-სიმბოლისტებთან. სიმბოლისტური პოეზიის გავლენით უნდა აიხსნეს, აგრეთვე, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში გამოხატული სიკვდილის თავისებური აპოლოგია. მას შემდეგ, რაც ვერ პოვა სულიერი მეგობარი ადამიანთა შორის, ვერ დაიმშვიდა მშფოთვარე სული ვერც ბუნებაში, ვერც სიყვარულში, — და გულმოკლული ამბობდა: „ეხლა მე ვწყევლი, ვწყევლი სიყვარულს", — გ. ტაბიძე სიკვდილში იწყებს გამოსავლის ძებნას.

ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა
ჭაღარა გულის ზმანება ავი —
ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!
გაივლის კიდევ ცამეტი წელი,
მოახლოვდება გზა ოცდაექვსი,
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,
ატირდება დრო და ჩემი ლექსი.
ოჰ! როგორ მიდის ახალგაზრდობა,
დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოა მზე შემოდგომის.

(„ცამეტი წლის ხარ“).

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ტაბიძის შემოქმედებაში ეს მოტივი არასოდეს არ ყოფილა თვითმიზნური და მუდმივი გატაცების კატეგორია, როგორც ეს სიმბოლისტებისათვის იყო დამახასიათებელი. უფრო მეტიც: ის არც ევროპელი რომანტიკოსების უკიდურესობამდე მისულა. მაგალითად, ნოვალისი თავის ფრაგმენტებში წერდა: „სიკვდილი არის გამარჯვება თავისთავზე და იგი ქმნის, როგორც ყოველი გამარჯვება, უფრო მსუბუქ ცხოვრებას“. მეტ უკიდურესობამდე მიდიოდა ლეოპარდი. იგი სწერდა მამას: „მე მშურს მკვდრების ბედი და მხოლოდ მათ მინდა გავუცვალო ჩემი მდგომარეობა“. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ეს უკიდურესობა მოხსნილია. მის რევოლუციამდელ ლექსებში სიკვდილზე ფიქრს ცვლის სიცოცხლეზე, სიყვარულზე ფიქრი. პოეტი ხშირად ოცნებობს ისეთ ძალაზე, რომელიც ბურუსს მოაცლის, სიკვდილს ააშორებს და ცხოვრებას დაუბრუნებს:

ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

(„სად?“).

მეორე ადგილას პოეტი ამბობს:

არცა თუ მცირედ შეუდგა გულს სევდა-ნაღველი,
რომ კვლავ შემეძლოს ზეცისაკენ აღვაპყრო ხელი.
ო, სადა ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცალიერის შავი ნისლი რომ გამაცალო!

(„უდაბნო“).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულისა და ბუნების თემას. ამ მხრივ იგი უშუალოდ ეხმაურება ქართული კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს, კერძოდ, ქართველი რომანტიკოსების ძვირფას პოეტურ მემკვიდრეობას.

არსებული სინამდვილით უკმაყოფილო პოეტები, სევდითა და ჭმუნვით შეპყრობილი რომანტიკოსები მიმართავენ ბუნებას, როგორც სულიერი ტკივილების გაყუჩების საშუალებას. ბუნებასთან აბამდნენ ისინი იდუმალ კავშირს, მას ანდობდენ სევდასა და წუხილს. ბუნების ამგვარ გააზრებას დიდი ადგილი უჭირავს გალაკტიონის შემოქმედებაში. გ. ტაბიძის ბუნება ცოცხალი არსებაა, ადამიანის ჭირისა და მწუხარების მოზიარე:

ბუნებავ ტკბილო! ვურიგდები ჩემს ამნაირ ხვედრს,
შენ შეითვისე და შეიტკბე მწუხარე შვილი!
უთხარი ნანა, როგორც დედა ეტყვის თავის შვილს
და მოასვენე შენს გულმკერდზე ღონემიხდილი,
რომ მარტოობის დამთურგვნელ და დამღუპველ ქამად
ჩემს სულს იდუმალ და შეუმჩნევ სიამეს გვრიდე.
განსაცდელშია დამსხვრეული და ცივი სული,
მიუალერსე ავადმყოფ გულს და დაამშვიდე.

ასე შემოსა ბუნება გალაკტიონ ტაბიძემ ცოცხალი განცდებითა და გრძნობებით. რომანტიკული გატაცებით უყვარდა პოეტს ბუნების სიმშვიდე, მისი საიდუმლო მყუდროება და თითქოს ეშინოდა:

და შიში, რომ ხმა ადამიანის
დაარღვევს ციურ იდუმალებას...

გ. ტაბიძემ ბუნების რომანტიკულ გაგებას ახალი შტრიხიც შემატა: პიროვნული ტკივილების ბუნების მოვლენებთან დაწყვილება. გ. ტაბიძის „შემოდგომის მოტივები“ ქართული რომანტიზმის თავისებურ გამდიდრებას წარმოადგენს. ბუნებაში ტაბიძე სევდიანი სულის თანატოლს დაეძებდა და ასეთი „ტოლი ობოლი სულისა“ შემოდგომის პეიზაჟებში ჰპოვა. შემოდგომის დრო სულის სიმბოლიზაციის საშუალებად იქცა და ეს ნიჭიერი მიგნება იყო პოეტისათვის. ქართველი რომანტიკოსების სამყაროში ეს ერთგვარი აღმოჩენაც იყო. გვიანი შემოდგომა, გაძარცული ბუნება, ყვითელი და დამჭკნარი ფოთლების ცვენა პოეტს თავის სევდიან სიყმაწვილეს, ნაადრევად დამჭკნარ ოცნებას

აგონებს, ხოლო ობოლი ფოთლები, — შემოდგომის გაძარცული ხე— სევდის იდუმალ გრძნობით აღვსილ ცხოვრებას. მაგრამ ეს ანალოგია, ეს მსგავსება წუთიერია და პოეტს თავისი ბედი უფრო უნუგეშო ეჩვენება, ვიდრე ბუნებისა:

შემოდგომისა ველურ ჰანგში
ჰკვნება ფოთოლი,
ყმაწვილი გული უნუგეშო
ფიქრებით დნება.
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს
კვლავ გაზაფხული
და სიყმაწვილე კი
არასდროს არ დაბრუნდება.

პოეტის სულის ბუნებასთან კავშირის ფილოსოფიური ჩაღრმავება და ჩახედვა უნაზესი ლირიკული სინატიფით და რომანტიკით არის გამოხატული ლექსში „მთაწმინდის მთვარე“.

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევა ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
ამ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

ამგვარი რომანტიკული და იმპრესიონისტული მანერით დაწერილი ლექსების („ვერხვები“, „კობელინი“, „თოვლი“) გვერდით უხვად გვხვდება უაღრესად პლასტიკური, რეალისტური მანერით დახატული ბუნების სურათები.

სალამი ამ მწიფობისთვეს!
მზე რომ სჯერა მცინარი.
ყველა გისმენს...
და კითხულობს: ვინ არი?

ფერით მზესა და ქარს მოჰყავს
სიხარულის შევსება
და შენს ლოყას
გზნება ეალერსება.

ან კიდევ:

ეს გაზაფხული გამძაფრებული
პატიმრობისას გაარღვევს საკანს,
გახარებული ხელის კანკალით
არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს.

გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე, ეხლა რაოდენია.

მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს,
მათ განახლებას ეუბნება ბანს.
ეს გაზაფხული უხარებს დღეებს
და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს.

გ. ტაბიძის პოეზიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეთმობა ინ-ტიმურ ლირიკას. მისი მრავალი საუკეთესო ლექსი ამ თემაზეა დაწე-რილი. სიყვარულმა ფანტასტიკური ალით გაანათა პოეტის გული, შემ-დეგ გაქრა და სევდით აავსო მისი გრძნობა. პოეტმა ბოლომდე შემო-ინახა გაწბილებული სიყვარულით გამოწვეული სევდა და კაეშანი („მერი," „თოვლი", „მერის თვალები", „მესაფლავე", „დიდი ხანია", „სანამ შორს იყავ," „სინანული", „ათი წლის წინათ", „მომაკვდავი", „ვწუევლი სიყვარულს", „უსიყვარულოდ", „მარტო არ ხარ", -ჟამსა სევდისა," „გახსოვს" და სხვა). პოეტმა განიცადა სიყვარულით გამოწ-ვეული სევდა და შემდეგ ტრაგიკული კილოთი და ინტონაციებით გად-მოსცა ეს განწყობილება. სიყვარული ჩვეულებრივი ინსტინქტი როდია, იგი უფრო ღრმაა, მარადიული და უკვდავი.

არ მჯერა, სული რომ დაიფანტოს,
შენზე ლოცვებით აღმონაცენი,
ის თვით სიკვდილის შემდეგაც მაინც
სამარადისოდ შენია, შენი.

პოეტმა იცის, რომ უსიყვარულოდ არ არსებობს ბედნიერება ადამიანური. სიყვარული ანიჭებს ადამიანს უკვდავებას.

და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ.

გ. ტაბიძის აზრით სიყვარულის განცდას თან სდევს მწვავე კოლიზია. სიყვარული სევდასა და გაუნელებელ დარდსაც მოასწავებს:

რას ვეძებ ნეტა ამ ხეტიალში?
ბედნიერებას? ო, არა, არა!
სიყვარულს? განა ამ სიყვარულმა
მე ოცნება არ დამისამარა?

ერთ დროს პოეტს სწამდა, რომ ცისფერთვალება ქალი იხსნიდა მას სულის ქენჯნისა და წვალებისაგან, აღუძრავდა ცხოვრების ძალას. მაგრამ პოეტის იმედის ეს დიდი სიმბოლო — ცისფერთვალება ქალი — მატყუარა აღმოჩნდა. სიყვარულისაგან გაწბილებული პოეტი სევდიანად შესჩიოდა თავის ბედს:

ნუ ერწმუნები, ნუ ერწმუნები
ქალის ნაზ ღიმილს და თვალთა ცქერას,
იგი წავართმევს სულის სიწრფელეს,
იგი მოშხამავს ციურ სიმღერას.

სიყვარულის სიდიადეს, მის ყოვლისშემძლე ძალას მთელი ხმით უმღერა პოეტმა. სიყვარულით აღგზნებული გულისა და სატრფოს ღალატით გამოწვეული სევდის უნაზესი გამოხატულებაა ლექსი „მერი". ლექსის მთელი მხატვრული ფაქტურა, მისი პოეტური სული სიყვარულის შუქით არის განათებული და ამაღლებული. საზოგადოდ, გ. ტაბიძის სატრფიალო ლირიკისათვის დამახასიათებელია უდიდესი პოეტური სინაზე და ღრმა ემოცია. აქ ვერსად შეხვდებით ავადმყოფურ ვნებიანობას და თავაშვებულობას. სიყვარულით გამოწვეულ განდგომასა და ღალატს პოეტი ღრმა ტრაგიზმით, ბუნებრიობით გადმოგვცემს. გ. ტაბიძის ლექსში მერი პოეტის სულის ორეულია, მისი ფანტასტიკური გრძნობებისაგან განუყოფელი. მის პოეტურ სულში იგი ისე ღრმად არის შესული, რომ ყველა სატრფიალო ლექსის სიმბოლოდ ეს სახელი — მერი იქცა.

პოეტი მიჯნურობის ამბავს რომანტიკოსებისათვის დამახასიათე-

ბელი პოეტური საღებავებით, სევდანარევი კილოთი და განწყობილებით გვიხატავს ვრცელ სიუჟეტიან ლექსში — „მესაფლავე". ამ ლექსში იგი განაზოგადებს ამ ამაღლებული და კეთილშობილური გრძნობის მიმართ ადამიანების სულმოკლეობას და უნებისყოფობას და სევდანარევი ღიმილით გვამცნობს მათ საქციელს.

ვინც გ. ტაბიძის პოეზიას ღრმად დააკვირდება, იგი ადვილად აღმოაჩენს იმ ტრაგიკულ კილოს, რომელიც სიყვარულის გამოხატვას თან სდევს პოეტის შემოქმედებაში. ამავე დროს ამ ტრაგიკულ ინტონაციაში დიდი პოეტური რომანტიკაა ჩაქსოვილი:

> რა დამავიწყებს იმ მწარე დღეებს,
> უგონო განცდებს და ფიქრებს ფარულს,
> აწ გვიან არის, ეხლა მე ვწყევლი,
> და ვწყევლი, ვწყევლი, ვწყევლი სიყვარულს.

გ. ტაბიძის პოეზია თავისი მრავალფეროვანი თემატიკით და განუმეორებელი პოეტური სტილით ქართული კლასიკური პოეზიის ძირებს უკავშირდება. ასეა ეს სატრფიალო ლირიკაშიც.

გ. ტაბიძის დამოკიდებულება XIX საუკუნის ქართულ პოეზიასთან

ყოველ დიდ მწერალს აქვს საკუთარი სტილი, ორიგინალური პოეტური ხმა. ეს საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა. მაგრამ ასევე ცნობილია, რომ თითქმის ყოველ მწერალს, რაგინდ დიდი შემოქმედი იყოს იგი, ჰყავს წინაპრები, ისევე როგორც მიმდევრები. პოეტი თავის წინაპრებში, თავისი ქვეყნის ლიტერატურის დამახასიათებელ პოეტურ ტრადიციებში პოულობს შემოქმედების სათავეს. როგორც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიამ მოახდინა გავლენა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაზე, ასევე გ. ტაბიძის შემოქმედებამ განიცადა ქართული კლასიკური მწერლობის გავლენა. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თავისი ნაციონალური საწყისებით ქართულ კლასიკურ პოეზიას უკავშირდება. მართალია, მეოცე საუკუნის პოეტთა შორის ტაბიძე პირველი გამოეხმაურა რუსულ-ევროპულ მოდერნისტულ მიმართულებებს. მაგრამ მისი ნამდვილი და უშუალო შთამაგონებელი — საქართველოს სინამდვილე და ქართული კლასიკური მწერლობა იყო.

დიდი მწერალი ყოველთვის თავისი ეპოქის მოწინავე იდეების გამომხატველია. მწერალს ამოძრავებს ის იდეა, რწმენა და ინტერესი, რაც მის ეპოქას. დიდი პოეტის ხმაში ეპოქის მოწინავე იდეები პოულობენ გამოსახვას, პოეტის სიტყვა ამ იდეებისაკენ ეძახის, მოუწოდებს, რაზმავს ხალხს. დიდი ლენინი გვასწავლის, რომ „თუ ჩვენ წინაშე ნამდვილი დიდი მხატვარია, მაშინ ზოგიერთი, თუნდაც არსებითი, მხარე რევოლუციისა მას უნდა აესახა თავის ნაწარმოებში!“ როგორც ზემოთ ვნახეთ, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მართლაც აისახა მეოცე საუკუნის მღელვარე ეპოქის, სამი რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის ფაქტები და მოვლენები. ჩვენი აზრით, ეს არ შეიძლება იწვევდეს დავას, აზრთა სხვადასხვაობას.

ქართველი ხალხის ყოფა, ჩვენი სამშობლოს ბედი სევდიანად აკვნესებდა მეცხრამეტე საუკუნის ქართველ კლასიკოსებს. „ჩვენს პოეზიაში წარსული ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა. პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს. საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის გაქანების, მანერა ბრძოლისა“, — წერდა ოცდაათი წლის წინათ გ. ტაბიძე. ჩვენი მგოსნის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს პატრიოტიზმის მოტივს, საქართველოს წარსულის სურათებს. ჩვენი ქვეყნის „ქარიშხლიანი წარსულის“ სურათებს იძლევა პოეტი ლექსში „15 საუკუნე“:

15 საუკუნე,
ჯვარზე გაკრული
თითქო განგებით,
ჯალალ-ედინებით,
თემურ ლენგებით.
15 საუკუნე —
ხსოვნას აზარებს,
ზღვა არაბების,
სკვითი, ბერძენი
ცვლიდნენ ხაზარებს.

ჩვენი ხალხი 15 საუკუნის განმავლობაში იცავდა თავის სამშობლოს გარეშე მტერთაგან. მტრისაგან აოხრებული და განადგურებული ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მოგონება გულს უკლავს პოეტს. პოეტი წერტილს აქ არა სვამს. მას სწამს, რომ:

აწ აღსადგენად
მოვა სხვა ძალა!

ეს სტრიქონი ოპტიმიზმის ახალი შუქით ანათებს ამ ლექსს. გ. ტაბიძეს სწამდა, რომ ქართველ ხალხს, — რომელსაც გმირულად დაუცავს თავისი სამშობლო უთანასწორო ბრძოლაში, მაშინაც, როცა „მოდიოდა ერთზე ასი", — მომავალიც აქვს. ამ რწმენით შთაგონებული პოეტი აცხადებდა:

სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.
ავდგეთ ფეხზე! ჩვენ ტფილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა.

გ. ტაბიძის პატრიოტული ოპტიმიზმი თავის სათავეს ქართულ კლასიკურ მწერლობაში პოულობდა.

სამშობლოს ბედით გამოწვეული უკმაყოფილებისა და პროტესტის გრძნობა აწმყოს მიმართ ქმნიდა კონფლიქტს მწერალსა და სინამდვილეს შორის. ეს მომენტი განსაკუთრებით შეინიშნება მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსების შემოქმედებაში.

უპირველეს ყოვლისა, ძველ ცხოვრებასთან უთანასწორო ბრძოლით შექმნილი განწყობილების საფუძველზე იშვა გ. ტაბიძის მძაფრი პოეტური სევდა. გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის პირველი პერიოდი იმ ხანას დაემთხვა, როდესაც ჩვენი სამშობლო ნახევრად კოლონიურ ქვეყანას წარმოადგენდა და ეს გარემოება უფრო ამძიმებდა სოციალურად დაჩაგრული ქართველი ხალხის ცხოვრებას. აქედან წარმომდგარ სულიერ განწყობილებას მოჰყვა 1905 წ. რევოლუციის დამარცხება და რეაქციის პარპაშით გამოწვეული დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო. ამ სინამდვილესთან კონფლიქტში დაიბადა და განვითარდა უმთავრესად გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში.

გალაკტიონ ტაბიძე თავისი ადრინდელი ლექსით გამოეხმაურა ნაციონალური რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის ძირითად თემას — პატრიოტიზმის თემას. ლექსში „შავი ღრუბელი", რომელიც 1908 წელს დაიბეჭდა (ჟურნ. „ჩვენი კვალი"), გ. ტაბიძე გვიხატავს რევოლუციამდელი საქართველოს გულსაკლავ სურათს:

სქელი ღრუბელი,
შავი და ბნელი
სამშობლო მხარეს გადაეფარა,
სხივთა მფენელი
მზისა ნათელი
ჩვენს სანუგეშოდ სჩანდა აღარა.
მაგრამ რა გაჰკრა ელვამ სივრცეზე,
მიკლაკნ-მოკლაკნა მისი სხივები,
სამარადისოდ მე მომეჩვენა
გარდმოვლენილნი ცით ნაპერწკლები.
ელვა მსწრაფლ გაქრა,
ისევ დაფარა
სამშობლო მხარე უკუნმა ბნელმა,
ცას ცრემლები სდის,
ვტირი მარადის,
გული წაიღო ისევ ნაღველმა!

გალაკტიონ ტაბიძის ეს ლექსი, სადაც ასე ოსტატურად დაუკავშირდა სამშობლოს ბედი 1905 წლის რევოლუციას, განვითარებაა, გაგრძელებაა XIX საუკუნის რევოლუციური პატრიოტული მოტივისა. ამ თემის სათავეა XIX საუკუნის პატრიოტული ლირიკა. ზემოხსენებულ ლექსში ელვა, რომელმაც მზის ნათელით გაანათა სამშობლოს ბნელი მხარე, 1905 წლის რევოლუციაზე მიუთითებს. მაგრამ მომდევნო სურათი — „ელვა მსწრაფლ გაქრა, ისევ დაფარა სამშობლო მხარე უკუნმა ბნელმაო“ — რეაქციის შავბნელ ეპოქას გვიხატავს. ასე უპასუხებს გ. ტაბიძე თავისი ეპოქის დიდ საზოგადოებრივ კითხვას და დასაყრდენს XIX საუკუნის კლასიკურ ლიტერატურაში პოულობს. ეს ლექსი უშუალოდ ეხმაურება ილია ჭავჭავაძის პატრიოტულ ლექსს — „ელეგიას“, ისევე როგორც პოეტის უფრო გვიანდელი ლექსი „ციხის ნანგრევებთან“ — „ყვარლის მთებს“. მოვიგონოთ აქ ილია ჭავჭავაძის „ელეგიის“ სტრიქონები:

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

ი. ჭავჭავაძის „ელეგიას“ და გ. ტაბიძის ზემოთ დასახელებულ ლექსს შორის პარალელი სავსებით ეჭვმიუტანელია: ეს ჩანს არა მარ-

ტო მხატვრულ აქსესუარებში, არამედ იმ მოწინავე საზოგადოებრივ-განწყობილებებში, რაც საერთოა ორივე ლექსისათვის. ამ ლექსებში თავისი დროის ისტორიული, კონკრეტული სინამდვილე გამოხატეს ილია ჭავჭავაძემ და გალაკტიონ ტაბიძემ ორიგინალურად, სხვადასხვა დროს. ასეთსავე ანალოგიას ვპოულობთ ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთებსა“ და გ. ტაბიძის ლექსს — „ციხის ნანგრევებთან“ შორის.

მოვიყვანოთ ამის ნიმუშებიც.

ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთები“:

სამშობლოს მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
რომ სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ერეოლასა...
იგი არ იყო შიშის ერეოლა, შიშის კანკალი,
იგი არ იყო ძვრა გულისა მფრთხალი და მხდალი.

გალაკტიონ ტაბიძის „ციხის ნანგრევებთან“:

გემშვიდობებით, მშობლიურო ჩვენო გორებო,
თქვენც, ნანგრევებო ბაგრატის ტაძრის,
გემშვიდობებით! მეძნელება ეს განშორება,
როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის...
მე რაღას მეტყვი, მჭეხარეო ზვირთო რიონის!
ყურს ვუგდებ ხმათა შენთა ელერებას!
რა ამბავს გატანს ჩემთან მთები კავკასიონის?
უბედობას თუ ბედნიერებას?

როდესაც გალაკტიონ ტაბიძისა და ქართული კლასიკური პოეზიის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო ის ცალკეული შეხვედრები ფრაზებსა და სიტყვიერ ქსოვილში, არამედ ამ აზრობრივ-თემატიკურ და იდეურ ურთიერთობაზედაც ვამახვილებთ ყურადღებას, რაც უთუოდ არსებობს გალაკტიონ ტაბიძესა და მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიას შორის. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გ. ტაბიძე ეყრდნობა და ავითარებს ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციას. ჩვენი პოეტი ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, დემოკრატიზმის, ხალხურობის მოტივებს უფარდებს ახალ ეპოქას და ამ გზით სრულიად დამოუკიდებლად და ორიგინალურად აღრმავებს მეცხრამეტე საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის

მოწინავე იდეების რეალისტურ ნაკადს. პოეტი უბრალოდ კი არ იმეორებს, ეპიგონურად კი არ ამუშავებს ამ თემებს, არამედ ქართული მწერლობის კლასიკურ ტრადიციას ახალ დროსთან შეფარდებით იყენებს. ამ თვალსაზრისით გ. ტაბიძე ეხმაურება ქართული კლასიკური პოეზიის ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა...

დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს.

აკაკი წერეთელი თავის ლექსში „ახალი წელი" გვიხატავს არსებული შავბნელი სინამდვილით გამოწვეულ უკმაყოფილო სულიერ განწყობილებას, რომელსაც ვერ ცვლიდა ახალი წელი, რადგან ის ისევე „ძველ ნაღველს" ჰგვრიდა პოეტს, ისევე სევდიანად აკვნესებდა პოეტის ჩანგს. როგორც „ძველი". ასეთივე აზრი გამოხატა ამავე სახელწოდების ლექსში გალაკტიონ ტაბიძემ. გ. ტაბიძის აზრითაც, ახალი წელი „კვლავ მოდის, მსგავსივე წელი" ძველისა, პოეტის მუდმივ თანამგზავრად „მოწყენილობა დარჩა უცვლელი". რომ უფრო ნათელი იყოს მსგავსება, გავიხსენოთ ეს ლექსებიც.

აკაკი წერეთლის „ახალი წელი":

მას უხაროდეს ახალი წელი,
ვინც კი ცხოვრებით კმაყოფილია,
ვისიც წარსული არ იყო მწველი,
და მომავალი ვისიც ტკბილია;

მას უხაროდეს... თორემ ნაღველი
ვინც შესვა ჩემებრ და სცნო მწარ-ძალა,
მას რაღად უნდა ახალი წელი?
მისთვის ერთია „დღესა" თუ „ხვალა"!

გალაკტიონ ტაბიძის „ახალი წელი":

და კვლავ იწყება ახალი წელი
და, ისე როგორც ძველი, თავდება;
დღე მომავალი, დღე ხვალინდელი
გუშინდელ დღისგან არ განსხვავდება.
დავასამარეთ ფუჭი ოცნება,
მოწყენილობა დარჩა უცვლელი,
ძლივს ძველი წელი საფლავს მივეცით,
მაგრამ კვლავ მოდის მსგავსივე წელი!

აკაკი წერეთლის ზემოდასახელებული ლექსის რომანტიკული ჩანაფიქრი გალაკტიონ ტაბიძის იმავე სახელწოდების ლექსში გადმოტანილია უფრო მუქი ფერებითა და აქსესუარებით. მაგრამ საერთო აზრი არსებული სინამდვილით უკმაყოფილო პოეტებისა ანათესავებს ამ ლექსებს.

ასეთივე ანალოგიაა ვაჟა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძეს შორის. ეს ანალოგია ყველაზე უფრო რელიეფურად გამოხატულია ვაჟას „არწივში“ და გ. ტაბიძის ლექსში „არწივებს ჩასძინებოდათ“. მოვიყვანოთ ამ ლექსებიდანაც სათანადო ადგილები:

ვაჟას „არწივი“:

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.
— ვაჰ, დედას თქვენს, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

გ. ტაბიძის „არწივებს ჩასძინებოდათ“:

არწივებს ჩასძინებოდათ:
ბედი არ სთვლემდა ცბიერი,
შორითშორს ალი ჩნდებოდა,
ცეცხლი გორავდა ძლიერი.
ცეცხლი! — მიდამოც გასწივის,
ცეცხლი! — ტყე ამბობს ტკივილით,
არწივებს გაკიდებული
ფრთებს ცეცხლი გადაეყარა,
ფრთებზე ცეცხლ-წაკიდებული,
შორით გაფრინდნენ ვეღარა.

გალაკტიონ ტაბიძის ამ ლექსის ბოლო სტროფი ამოღებულია ვაჟა ფშაველას ზემოდასახელებული ლექსიდან, რითაც პირდაპირ მიუთითა პოეტმა, თუ როგორ შთააგონა იგი ვაჟა ფშაველას ლექსმა. ეს მსგავსება დასათაურებაშიც ჩანს. მაგრამ ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა მარტო პოეტური ინვენტარის მსგავსება, არამედ აზრობრივი და

იდეური შეხვედრა: ვაჟას დაჭრილი არწივი უძლურია, ებრძოლოს ყვავ-ყორნებს, ასევე — გალაკტიონ ტაბიძის ცეცხლისგან ფრთებდამწვარ არწივებსაც არ შესწევთ ძალა, მტერს შეუტიონ...

ქართულ ლიტერატურაზე ზერელე დაკვირვებაც კი ერთ ნათელ სურათს წარმოგვიდგენს: სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის თემას საბჭოთა პერიოდამდე განუშორებლად თან სდევდა სევდისა და უკმაყოფილების კილო. სამშობლოს ბედით გამოწვეული რომანტიზმი იყო ქართული ლიტერატურის დამახასიათებელი თვისება. ისეთმა რეალისტურმა მწერლებმაც კი, როგორიც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ, ვერ აუქციეს გვერდი ამ გზას. ქართველი ხალხის ყოფა, ჩვენი სამშობლოს ბედი მუდამ სევდიანად ამღერებდა ჩვენს კლასიკოსებს. სამშობლოს ჩაგვრით გამოწვეული უკმაყოფილებისა და აწმყოს მიმართ პროტესტის გრძნობა ქმნიდა კონფლიქტს მწერალსა და სინამდვილეს შორის. ეს მომენტი განსაკუთრებით შეინიშნება XIX საუკუნის ქართულ პატრიოტულ ლიტერატურაში. სინამდვილესთან კონფლიქტი დამახასიათებელია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისთვისაც. პოეტს გულს უკლავდა და გრძნობას უწამლავდა უფლებააყრილი სამშობლოს ბედი. სამშობლოს უნუგეშო აწმყო მწარედ აკვნესებდა პოეტის ჩანგს. იგი გმობდა, წყევლიდა ასეთ ყოფას და ოცნებობდა ბედნიერ მომავალზე:

ვეთხოვებოდი სამშობლო მხარეს,
ღრმა ძილში შთანთქმულს, მაგრამ უზრუნველს,
შორს დავეძებდი მყუდრო სამარეს,
უცხოეთისკენ მე ვიშვერდი ხელს.

„მძულხარ, მონობავ!“ — ვამბობდი და ხმებს
ცელქი ნიავი სათუთად ჰკრებდა,
„მძულხარო“ — ასე უთვლიდა ზვირთებს,
„მძულხარო“ — თერგი იმეორებდა.

(„დარიალისა ვიწრო კლდეებში“).

რუსეთისაკენ მიმავალი გ. ტაბიძის პოეტური ფიქრები, მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, სამშობლოს დასტრიალებდა. პოეტმა ღრმა სიყვარულით გადაფურცლა საქართველოს ისტორია და თვალწინ დაუდგა წინაპართა გმირული სახე. გარდასულ დროთა გმირების ვაჟკაცობით აღფრთოვანებული პოეტი ასე მიმართავს ჩვენს წინაპრებს:

„ო, როგორ მინდა, მეგობრებო, რომ თქვენთან ერთად
მივიღო ჩვენთა წინაპართა ელვარე თასი —
ბევრი რამ არის მათ გრძნობაში კეთილშობილი,
მათი მხურვალე ოცნებით მსურს ვიამაყო.

(„წერილი მეგობრებისადმი“).

წარსულის გულმხურვალე მოგონების შემდეგ პოეტის ფიქრები საქართველოს აწმყოზე ჩერდება და სანუგეშოს ვერარას პოვებს. პოეტი გულმოკლული ამოიკვნესებს: „მძულხარ, მონობავ“. აწმყოთი უკმაყოფილო გ. ტაბიძე მომავალში ეძებს სამშობლოს ბედს. პეტროგრადში მყოფი პოეტის ფიქრები კვლავ საყვარელ სამშობლოს დასტრიალებს. იგი ოცნებობს სამშობლოზე, იგონებს „შფოთიან თბილისს“, რომელმაც მწუხარება და სევდა გაატანა რუსეთში მიმავალს.

პოეტი არ კარგავს იმედს. მასში იღვიძებს რწმენა, რომ „სტიქიის ბრძოლა დაუდეგარი გაფანტავს ბურუსს“ და საქართველო „წარმოდგება ძლიერად“:

...მოვა... მქუხარე, მაგრამ ნაზ სიტყვით
ძალას აღუძრავს თავდახრილ მონებს,
და დავიწყებულს, მაგრამ ნამდვილ ხმებს
კვლავ გაახსენებს, კვლავ მოაგონებს.

(„ზღვის პირას მდგარი“).

გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ განწყობილებას, სევდასთან ერთად, კვებავს იმედის რწმენა. ბურუსით მოცული „მომავალი“ პოეტს იმედიანად ეხატებოდა. „სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება, ადამიანი ზეცას შეხარის“, ასე წერდა იგი 1916 წელს ლექსში — „ციხის ნანგრევებთან“. ეს იმედი სამშობლოს აღორძინებისა ის შუქი იყო, რომელიც გ. ტაბიძის სევდიან პოეზიას ანათებდა.

ვინც კრიტიკულად შეხედავს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ლექსებს, სადაც ჩვენ ანალოგიას ვეძებთ, ერთი მხრივ, გ. ტაბიძისა და, მეორე მხრივ, მეცხრამეტე საუკუნის კლასიკურ პოეზიას შორის, ის შეამჩნევს, რომ ეს ურთიერთობა ისეთი ლექსების ბაზაზე შეინიშნება, რომელთაც საერთო რომანტიკული იერი აქვთ. ი. ჭავჭავაძის. აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში რომანტიკულ განწყობილებათა გამომხატველი ლექსები წარმოადგენენ მეტწილად გ. ტაბიძის შთაგონების წყაროს. ამ მსგავს განწყობილებაში მყარდება საერთო

ანალოგია. გ. ტაბიძის რეალისტური თემები უმეტეს შემთხვევაში რომანტიზმის საერთო შუქშია დამუშავებული. სწორედ ამიტომ გ. ტაბიძის ადრინდელი რომანტიკული ლექსების სათავეს, ჩვენი აზრით, უფრო ნ. ბარათაშვილის პოეზია წარმოადგენს. ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკულ პოეზიას ეხმაურებოდა გ. ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზიის სულიერი განწყობილება.

ნ. ბარათაშვილსა და გ. ტაბიძეს მთელი საუკუნე აშორებს ერთიმეორისაგან. პირველი XIX საუკუნის გარიჟრაჟს ამოჰყვა, მეორე კი XX საუკუნის განთიადზე დაიბადა, როგორც პოეტი. ეს განსხვავებული ეპოქები და მათი ინტერესები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როდესაც ბარათაშვილისა და ტაბიძის საერთო ნათესაობაზე ვლაპარაკობთ. თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ, პირდაპირ უნდა ითქვას, გალაკტიონ ტაბიძეზე დიდი გავლენა ნ. ბარათაშვილის პოეზიამ მოახდინა. ბარათაშვილი იყო მისი უშუალო შთაგონების წყარო. გალაკტიონ ტაბიძემ თანაბრად განიცადა ბარათაშვილის მებრძოლი განწყობილებისა და მისი სევდიანი სტრიქონების გავლენის ძალა, მაგრამ განიცადა ისე, რომ სრული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, როგორც ეს ორიგინალურ, ნიჭიერ მხატვარს სჩვევია. სწორედ ეს განსხვავებული ინტერესები ეპოქებისა და ეს დამოუკიდებლობა გ. ტაბიძის პოეტური შემოქმედებისა უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ამ ორი პოეტის ლიტერატურული ურთიერთობის საკითხს ვარკვევთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ნიჭის მომწიფებას წინ უძღოდა დიდი ეროვნულ-პოლიტიკური გარდატეხის ეპოქა. ბარათაშვილის პოეტური აზროვნება საქართველოს მეფის რუსეთთან შეერთების პირველ ათეულ წლებში ჩამოყალიბდა. ქართველ შეთქმულთა მოწინავე ნაწილის იდეა ასაზრდოებდა 14 წლის ჭაბუკის პოეტურ გრძნობას. ნ. ბარათაშვილი რომანტიკული აღტაცების მთელი ძალით თანაუგრძნობდა „შეთქმულთა საქმეს“. შეთქმულება დამარცხდა. ამ პერიოდის ქართული ინტელიგენციის უმრავლესობა მეამბოხეთა წრეში აღმოჩნდა. საქართველოს „უკეთესი შვილნი“ — სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე და სხვანი — შორეულ ქვეყნებში გადაასახლეს. დაცარიელდა კულტურული ასპარეზი, ცხოვრება მოდუნდა, ქართული პრესა და სა-

ზოგადოებრივი დაწესებულებანი გაქრა. სევდამ და უიმედობამ მოიცვა ქართული საზოგადოებრივი აზრი. ასეთ ვითარებაში მოხვდა ბარათაშვილის პოეტური გენია. პოეტის პირად ცხოვრებაში ფსიქოლოგიურად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი სევდიანი განწყობილებისათვის (მოვიგონოთ მისი ბიოგრაფია). ბარათაშვილის პოეზიაში მთელი სისრულით აისახა ამ ეპოქის სულიერი ვითარება. ახალგაზრდა პოეტს მისმა თანამედროვე სინამდვილემ არგუნა იმედის გაწბილება და მან დაკარგა „მშვიდობა სულის". პირადი ხვედრით გულმოკლული ნ. ბარათაშვილი ასე მიმართავდა ბოროტ სულს:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

(„სულო ბოროტო").

ბარათაშვილის პოეტური სევდა და სულიერი განწყობილება შავბნელი ეპოქის სიცარიელისა და ბურუსიანი დღეების გამოხატულება იყო.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური განწყობილება მისმა მღელვარე ეპოქამ მოამზადა. 1905 წლის რევოლუცია ახალგაზრდა პოეტმა მთელი ღატაცებით განიცადა. ჭაბუკის პოეტურმა ნიჭმა რევოლუციის ქარიშხალში გააზილა თვალი. რევოლუციის რომანტიკამ მოხიბლა იგი. წარუშლელი შთაბეჭდილებებით აივსო პოეტის სული. გავიდა დრო. რევოლუციის ქარიშხალი ჩადგა. გამეფდა რეაქცია, რომლის ბნელმა ძალებმა დაარბიეს რევოლუციური ორგანიზაციები. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი შორეულ ციმბირში გადაასახლეს, ნაწილი კი იატაკქვეშ მუშაობას შეუდგა. დაცარიელდა საზოგადოებრივი ცხოვრება. „დაცემულობამ, დემორალიზაციამ, განხეთქილებამ, დაბნეულობამ, რენეგატობამ, პორნოგრაფიამ შეცვალა პოლიტიკა, გაბატონდა მისტიციზმი" (ლენინი).

ასეთ ატმოსფეროში მოხვდა სრულიად ახალგაზრდა პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. რევოლუციისაგან მიღებული აღფრთოვანება რეაქციის სუსხმა დააზრო. პოეტის სული სევდით აივსო და წარსულზე ფიქრმა უიმედობის დაღით აღბეჭდა:

რა ადრე გაქრა გაზაფხულის
მზიანი ჩრდილი,
რა ადრე გაქრა ჩემი ყრმობა,
ჩემი სიზმარი!

(„ელეგია".)

ასე იგონებს პოეტი გაზაფხულს, — რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს.

გალაკტიონ ტაბიძისათვის ბრწყინვალე წარსული რევოლუციის მჭუხარე დღეები იყო, მისი აწმყო კი — რეაქციის სუსხიანი ხანა. პოეტს მთელი თავისი გატაცებით უყვარდა პირველი და სძაგდა მეორე. მისი სევდიანი პოეზიის გზაც ამ გარემოებამ განსაზღვრა.

ყმაწვილკაცობა, სიხალისე,
სიცოცხლე დილის
ისე გამიქრა, ვით ბურუსი...
როგორ ვეწამე!
მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო
და მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძლურდი
და მოვიშხამე.
ახალგაზრდათა დაცემის და
დაუძლურების,
ახალგაზრდათა მწუხარების
მე ვარ მოწამე.
მეც იმათ შორის უკურნებელ
წყლულებით ვკვდები.

უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული პოეტი სევდით მოცული ფიქრებით შესცქეროდა ქვეყანას და სულიერი ტკივილების მწვავე განცდებზე წერდა.

ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ეს ორი ეპოქა, ეს ორი მოძრაობა — 1832 წლის შეთქმულება და 1905 წლის რევოლუცია — თავისი ხასიათითა და მიზნებით მსგავსი ყოფილიყო. არა, ასეთი დასკვნა დიდი შეცდომა იქნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხის სხვა მხარე გვაინტერესებს. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ორივე პოეტის — ბარათაშვილისა და ტაბიძის — შემოქმედებითს მომწიფებას წინ უსწრებდა დიდი გარდატეხის ეპოქები, რომელთა პოლიტიკური და სოციალური შინაარსი სრულიად სხვადასხვა იყო.

ორი დიდი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში საგულისხმო შეხვედრებთან გვაქვს საქმე. ეს შორეული შეხვედრები მეტად ორიგინალურად და თავისებურად არის გადამტყდარი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ყოველივე ამას საფუძვლად ედო ორივე პოეტის კონფლიქტი არსებულ სინამდვილესთან. ამ თვალსაზრისით კი მეტად საგულისხმო პარალელებს ვამჩნევთ.

ნ. ბარათაშვილის სევდა, „კაეშნიანი პოეზია" თავისი ეპოქის უშინაარსობამ და სულიერმა სიცარიელემ წარმოშვა. მარტოობით გაწამებული პოეტი წერდა:

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,
ძნელია პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

(„სული ობოლი").

გალაკტიონ ტაბიძის სულიერი მარტოობაც „ცხოვრების არარაობის" განცდის საფუძველზე აღმოცენდა. მეგობრებსა და თანამგრძნობებს მოკლებული პოეტი წერდა:

რა წამებაა, როცა იმედთა
ნაცვლად გულს ჰმუნვა გარემო იცავს...
როცა მეგობართ გუნდი გეცლება,
როს თანამგრძნობი არავინა გყავს...
როცა არა ხარ მოხუცებული
და მაინც გრძნობ, რომ არავის ელი,
როცა მეგობართ გუნდი გეცლება
და უცხო არის შენთვის სოფელი...
ეხლა ხანდახან სავსე ფიალით
მოკლე ხნით გათრობთ ოცნებათ ზოლი,
მაგრამ რას აქნევ წუთიერ შვებას...
შენ სულითა ხარ ქვეყნად ობოლი.

(„იმედთა ნაცვლად").

გ. ტაბიძის პოეზიაში მკვეთრად გამოიხატა მარტოობის, სულიერი მიუსაფრობის განწყობილება. გალაკტიონ ტაბიძე ამბობდა:

მარტოდ მარტო ვარ... ვისაც ოცნება
ედემის ციურ ხატებად თელიდა,

ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვცემდი,
ყველა მომცილდა, ყველა წავიდა.

(„სად?“).

მარტოობისაგან გულდათუთქული პოეტი ეკითხება ობლად შთენილ თავს:

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?

(„სად?)“.

როგორ გვაგონებს პოეტის ეს სიტყვები ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილს მაიკო ორბელიანისადმი. ბარათაშვილი თავის მეგობარს სწერდა: „შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ენახე უგულო... ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად ეანისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

ნ. ბარათაშვილს „იდუმალი ხმა“ ჩასჩურჩულებდა: „ეძიე, ყმაო, შენ ხვედრი შენი, ვინძლო იპოვო შენი საშველი“, მაგრამ მთელმა ამ ძიებამ უიმედობითა და სევდით აავსო პოეტის გრძნობა.

მაგრამ მე ხვედრსა ჩემსას ვერ ვპოვებ
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ.

(„ხმა იდუმალი“).

ასევე, გალაკტიონ ტაბიძეს „იდუმალი გრძნობა“ უკარნახებდა:

დამშვიდდი, გულო, შეგიყვარდება
ვინმე ამქვეყნად... დამშვიდდი, გულო!
წავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღდგება გამქრალი ვნება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!

(„შემოდგომის დღე“).

მაგრამ პოეტის სურვილი „აუხდენელ“ ოცნებად დარჩა:

გაქრა ზაფხული... წავიდა ის დღე,
როს მეორე დღეს შვებით ვხვდებოდი,

მე ყვავილები მესიზმრებოდა,
ეხლა კი ბნელი შემოდგომის დღე
ვერ განაახლებს მზის ელვა-ციმციმს...
დაჭკნა ყვავილთა ნარნარი გროვა...
გული წუხს და წუხს...
გარეთ წვიმს და წვიმს.

(„გადაუღებლად").

ნ. ბარათაშვილი, ცხოვრების ამაოებისაგან გულმოკლული, ასე მიმართავს ბოროტ სულს:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

(„სულო ბოროტო").

წუთისოფლის გაუტანლობა და სულიერი ობლობა მსგავსივე განწყობილებით გამოხატა გ. ტაბიძემ:

დროო წყეულო, სად წარიღე
ჩემი ფიქრები!
დროო ბოროტო, სად დამარხე
ოცნება წყნარი?
მარქვი, ოჰ, გველო, რად დაგჭირდა,
რომ მოგეწამლა
ყვავილოვანი სიყმაწვილე
და ჩემი ქნარი?

(„ელეგია").

ან კიდევ:

ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო":

მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

გ. ტაბიძის „ელეგია":

ოჰ, რად მომექცა ასე უღვთოდ
მე ჩემი ბედი,

რად დამიმსხვრია სიყმაწვილის
წრფელი სიამე...

აქ არა მარტო გარკვეულ განწყობილებასა და განცდებშია მსგავსება, არამედ თვით ფრაზებშიაც კი. სევდიანი პოეტური ინვენტარითა და განწყობილებით ეხმაურება გ. ტაბიძე ნ. ბარათაშვილს. ასეთი პარალელები კიდევ შეგვეძლო მოგვეყვანა.

ზემონათქვამიდან ნათელია, რომ გალაკტიონ ტაბიძე სახელოვან ქართველ კლასიკოსს ნ. ბარათაშვილს სუბიექტური განწყობილებით, სამყაროსადმი დამოკიდებულების პირადი ბედით ეხმაურება. მაგრამ გ. ტაბიძე არა მარტო ამ ვიწრო ლირიკული თემებით გამოეხმაურა ნ. ბარათაშვილს, არამედ ზოგიერთი ზოგადი თემებითაც. ვნახოთ ეს მხარე მათი ურთიერთობისა.

*

გალაკტიონ ტაბიძემ 1910 წელს ალმანახში — „ახალი ტალღა" გამოაქვეყნა ლექსი, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ბარათაშვილის ცნობილი ლექსის სტრიქონები: „იქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით". ეს ლექსი საინტერესოა არა მარტო იმით, რომ აქ ბარათაშვილი პირველად გვხვდება, როგორც დიდი ავტორიტეტი ახალგაზრდა პოეტისათვის, არამედ იმითაც, რომ ეს ლექსი ბარათაშვილის ცნობილი ლექსის — „ფიქრნი მტკვრის პირას" პირდაპირი და უშუალო შთაგონებითაა დაწერილი.

ალმანახში დაბეჭდილი ლექსი „ახალი ტალღა" (თვით ალმანახის სახელწოდებაა) ეხმაურება ბარათაშვილის ლექსის — „ფიქრნი მტკვრის პირას" საზოგადოებრივ კითხვას. პოეტი ჯერ აღწერს ზღვის მიდამოებს, სადაც ყველაფერი „იმავე სევდით მშვიდად სუნთქავდა":

მუდამ თან მსრბოლი ფიქრი მწვავდა, ფიქრი მტანჯავდა,
გამოვექეცი გულის დამწველს მშვიდ არემარეს,
ნაპირი ზღვისა იმავ სევდით მშვიდად სუნთქავდა,
მას შესცქეროდა ზღვა ლაჟვარდი გულცივს, მდუმარეს.

ამას ასეთი საბრძოლო სტრიქონები მოსდევს:

არ მინდა, არა! სულს მოსწყინდა ეგ ერთფერობა,
სული ეძიებს ქარიშხალს და ბობოქარ ტალღებს,

შუდმივ დუმილში ვერ თავსდება ტანჯულის გრძნობა
და ნაზ სიმღერას, გულში აღძრულს, ზღვა შეღაღადებს:

შენს მოლოდინში
გულს ნუ მიდაგავ...
დაჰკარ, დაქეხე,
ახალო ტალღავ!

„მტკვრის პირად“ ჩაფიქრებულ ნ. ბარათაშვილსა და „ზღვის პირად“ მოსეირნე, სევდით შეპყრობილ გ. ტაბიძეს თანაბრად აწვალებთ საზოგადოებრივი საკითხი: „სოფლისთვის ზრუნვა“, ხალხის მომავალზე ფიქრი. ისევე, როგორც ნ. ბარათაშვილს ადამიანის დანიშნულება ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში გამოუსახავს, გ. ტაბიძესაც „ქარიშხლისა და ბობოქარი ტალღებისათვის“ მიუნდვია ხალხის მომავალი.

ამ ლექსში გალაკტიონ ტაბიძემ ახლებურად ააღერა ბარათაშვილის ლექსის საზოგადოებრივი აზრი ადამიანის დანიშნულების შესახებ. ბარათაშვილის მებრძოლი ბუნება ორიგინალურად დაუკავშირა ახალ ეპოქას, რევოლუციის ეპოქას და ასე თავისებურად გადატყდა დიდი წინაპრის — ბარათაშვილის ლექსის საზოგადოებრივი მნიშვნელობა გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიაში.

ხშირად გალაკტიონ ტაბიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის რომელიმე ნაწარმოებს უშუალოდ, კონკრეტულად არ ეხმაურება, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მის შემოქმედებაში ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული განწყობილების ზოგადი კვალი ჩანს. გალაკტიონ ტაბიძის შესანიშნავი ლექსის — „მე და ღამე“ უშუალო პროტოტიპს ბარათაშვილის პოეზიაში ვერ ვიპოვით. აქ არც საერთო პარალელზე შეიძლება ლაპარაკი (კონკრეტულ ნაწარმოებებზე მითითებით), მაგრამ ვინც ბარათაშვილის პოეზიას იცნობს, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ გ. ტაბიძის აღნიშნულ ლექსში ბარათაშვილის პოეზიის რომანტიკული სული ქრის, მაგრამ ისე ორიგინალურად, ისე დამოუკიდებლად, რომ აქ პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი შეუძლებელი ხდება. მით უმეტეს, იმიტომ, რომ „მე და ღამე“, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, რომანტიკულ-სიმბოლისტური ლექსია. ეს გარემოება ერთხელ კიდევ მიუთითებს, თუ რამდენად დამოუკიდებელი და ორიგინალური გზით გადატყდა ტაბიძის შემოქმედებაში ბარათაშვილის პოეზიის დამახასიათებელი განწყობილებანი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ტაბიძის რევოლუციამდელი პერიოდის ის ლექსები, რომლებიც წმინდა დეკადენტური ხასიათის იყო, ისე არ გასულა ხალხში და პოპულარობა არ მოუპოვებია, როგორც იმ ლექსებს, რომლებიც რომანტიზმთანაა დაკავშირებული („მერი", „მესაფლავე", „ატმის ყვავილები", „გურიის მთები"), ან იმ ლექსებს, რომლებიც რომანტიზმისა და სიმბოლიზმის თავისებურ შერწყმას წარმოადგენს, სადაც გ. ტაბიძე უკიდურეს სიმბოლისტურ განწყობილებამდე არ მიდიოდა („მთაწმინდის მთვარე", „მე და ღამე" და სხვ.). გ. ტაბიძის მაღალი პოეტური სახელი, ჩვენი აზრით, უფრო რომანტიზმთან არის დაკავშირებული, ვიდრე სიმბოლიზმთან. ალბათ ამისთვის უნდოდა გაესვა ხაზი გ. ტაბიძეს, როდესაც ის უფრო გვიან, სახელდობრ 1922 წ., წერდა: „რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთი უმთავრესი თვისება", ხოლო, გრძნობდა რა წინაპართა დამახასიათებელი ძველებური რომანტიზმის მიუღებლობას, ავტორი იქვე დასძენდა: „ახალი პოეზია ძველი რომანტიზმის განახლებული სულით აივსება". გ. ტაბიძე რომანტიზმის პოზიციებით დაუკავშირდა XIX საუკუნის ქართულ მწერლობას, კერძოდ კი — ნიკოლოზ ბარათაშვილს. ამ გზით ახერხებდა იგი, რევოლუციამდელი პერიოდის პოეტური განწყობილებებისთვის თავისებურად შეეფარდებინა მებრძოლი სოციალური და საზოგადოებრივი ხასიათის გამომხატველი მოტივები.

ყოველივე ზემონათქვამიდან შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ:

გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციის წინაპერიოდის სამწერლო პოზიციით, თავისი სულიერი განწყობილებით კლასიკური ქართული მწერლობის ტრადიციებიდან ამოვიდა — ამ გზით დაუკავშირდა იგი რომანტიზმს. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული იყო სიმბოლიზმი.

სიმბოლიზმმა, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, რომანტიზმის სკოლის პრინციპები გაიზიარა, ამ სკოლის ნიშან-თვისებანი განავითარა, წინ წასწია. გ. ტაბიძის პოეზია ქართული რომანტიზმისა და სიმბოლიზმის თავისებური შემაერთებელი ხაზი გახდა. ტაბიძის პოეტურმა განწყობილებამ რომანტიზმის სტილში ძლიერად პოვა განსახიერება (გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი). ამ გარემოებას ხელს უწყობდა რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის ეპოქის სულიერი დაცემულობის განწყობილებანი. თუ თემებით, განწყობილებებით, ამღერების მა-

ნერით გ. ტაბიძე, ერთი მხრით, რომანტიზმს, კერძოდ, ბარათაშვილს ენათესავებოდა, მეორე მხრით, სიმბოლისტურ ძიებაში პოულობდა თავის თავს და, როდესაც ბარათაშვილს ვადარებთ მას, ეს გარემოება არ უნდა იქნეს დავიწყებული. ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ მაშინაც, როდესაც პარალელებს ვეძებთ ბარათაშვილისა და ტაბიძის ცალკეულ ლექსებს შორის.

ზემოთ ჩვენ უმთავრესად ტაბიძისა და ბარათაშვილის ისეთ ლირიკულ ლექსებს ვადარებდით, რომელთა თემა აღებულია ვიწრო-სუბიექტური თუ ინტიმური ლირიკის სფეროდან. თან ისეთ ლექსებსაც ვარჩევდით, რომელთაც საზოგადოებრივი, სოციალური განწყობილებები ედო საფუძვლად. ყოველივე ამის მიხედვით, ლიტერატურულ ურთიერთობათა არსებობა დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ეს გარემოება იმას არ ნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძესა და ნ. ბარათაშვილს შორის თემების, განწყობილებების, მოტივების მხრივ იგივეობის ნიშანი დავსვათ. ასეთი რამ ჩვეულებრივ არ ხდება, როცა საქმე გვაქვს დამოუკიდებელი ხმის მქონე მწერლებთან. ასეთი დამთხვევა მით უმეტეს არ მოხდება ისეთი განსხვავებული ეპოქების მწერლებს შორის, როგორიც გ. ტაბიძე და ნ. ბარათაშვილია. ჩვენ აქ მხოლოდ ისეთ გავლენაზე ვლაპარაკობთ, რომელიც პოეტური ტრადიციების გამოყენებას გულისხმობს. და თუ ამ პოზიციით შევაფასებთ მათს ლიტერატურულ ურთიერთობას, მაშინ გამოირკვევა, რომ ნ. ბარათაშვილს ბევრჯერ დაუფიქრებია მეოცე საუკუნის პოეტი გ. ტაბიძე. ტაბიძეს მიუღია მისგან შთაგონება, გამოხმაურებია მის თემებს და განწყობილებებს, შეუფარდებია ისინი თავისი ეპოქის კითხვებისთვის და სულ სხვაგვარად აუქღერებია სახელოვანი წინაპრის განწყობილებები. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესოა პარალელი ნ. ბარათაშვილის „მერანსა“ და გ. ტაბიძის ლექსს — „გურიის მთებს“ შორის. „გურიის მთები“ უთუოდ ნ. ბარათაშვილის „მერანის“ მებრძოლი სულით შთაგონებული ლექსია, მაგრამ ისე, რომ აქ სავსებით შენარჩუნებულია გ. ტაბიძის პოეტური დამოუკიდებლობა. ასევე შეფარდებულია „მერანის“ მებრძოლი განწყობილება იმ ახალ ვითარებასთან, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ შექმნა. დიდი რომანტიკული გზნებით აცოცხლებს პოეტი მოგონებას „სიცოცხლისა და განახლების თვალით მზირალი“. ახლა კი მდუმარე „ნასაკირალის“ შესახებ. ნასაკირალი — ეს ისტორიული ადგილია, სადაც გურიის გლეხობამ რე-

ვოლუციური ნათლობა მიიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ფაქტი რომანტიკულად არის გაცოცხლებული ამ ლექსში. ამავე დროს, ეს ლექსი სიმბოლურად ეხმაურება ნ. ბარათაშვილის „მერანს“. ის იდეალი, რომელიც ბარათაშვილს შორეული ქვეყნისკენ ეძახოდა, გ. ტაბიძეს რევოლუციის განახლებაში აქვს დანახული. და ამ მხრივ აქ სავსებით ახალი შუქითაა განათებული „მერანის“ მებრძოლი აზრი.

წინ, მეეტლევ,
ეგ ცხენები გააქანე, გააქანე,
მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე,
მსურს, რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა
ოკეანე,
წამიყვანე!
...ვდგევარ მთაზე... და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა
და მიტაცებს სწრაფი ფრთებით პოეტური აღმაფრენა.
ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მდუმარ ნასაკირალს,
ვხედავ სოფლებს სიცოცხლისას, განახლების თვალით მზირალს.
ჩუმად! ვიღაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში,
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში.
...საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე...
მაშ, გარეკე ეგ ცხენები,
სადმე შორს, შორს წაიყვანე...
გამაქანე,
გამაქანე!

(„გურიის მთები“).

ამ სტრიქონებში უთუოდ გვესმის ბარათაშვილის მერანის მბორგავი და მებრძოლი სულის გამოძახილი. ასეთსავე ანალოგიას ვხვდებით ჩვენ, როდესაც ერთმანეთს ვადარებთ ნ. ბარათაშვილის ლექსს — „ფიქრნი მტკვრის პირას“ და გ. ტაბიძის ლექსს — „ახალი ტალღა“. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნ. ბარათაშვილის მებრძოლი, მოწინავე იდეების განვითარებასთან.

როგორც ცნობილია, „მერანის“ ავტორმა ცხოვრებისაგან გაცლის სურვილი კვლავ უკეთესი ცხოვრების ძიების მიზანში დასახა:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

(„მერანი“).

სხვანაირად წყდება ეს საკითხი ტაბიძის ლექსში — „ლურჯა ცხენები“.

სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყვილთა შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

ან კიდევ:

სიკვდილის გზა არა-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა,
რომ ამ გზაზე ზღაპარია, მგოსანთ სითამამე.
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები...
(„მთაწმინდის მთვარე“).

ასე შეცვლილია ყოფნა-არყოფნის მელანქოლიით გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ბარათაშვილის „მერანი“, მაგრამ ჩვენ აქ უკვე ვეხებით ტაბიძის პოეზიის მეორე მხარეს, რომელიც სიმბოლიზმთან არის დაკავშირებული. გალაკტიონ ტაბიძე ბარათაშვილის ლირიკის ზოგ მოტივს სიმბოლისტური პოეზიის პოეტიკის წესით ამუშავებს. ამ გზით ცდილობდა იგი დაეკავშირებინა რომანტიზმი სიმბოლიზმთან.

ეს მსგავსება ზოგიერთ სიტყვიერ მხარეშია გამოხატული. საკმარისია შეადაროთ ერთმანეთს ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“ და გ. ტაბიძის „მთაწმინდის მთვარე“, რომ აქ აღწერითი მხარის ანალოგია შენიშნოთ. ეს ერთგვარად გვანიშნებს, რომ გ. ტაბიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის დასახელებულ ლექსს შთაუგონებია.

ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის შედეგრში — „შემოღამება მთაწმინდაზე“ საღამოს ბინდის, მთაწმინდის პეიზაჟის ფონზე მთვარე ასეა აღწერილი:

სდუმდა ყოველი მუნ არემარე, ბინდი გადეკრა ცისა კამარას.
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას!
გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული!

გალაკტიონ ტაბიძეს კი საღამო ბინდისას, მთაწმინდის პეიზაჟის ფონზე ასე აქვს წარმოდგენილი მთვარე:

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე,
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

აქედან ნათელია, რომ გალაკტიონ ტაბიძის ამ ლექსის წინაპარი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსია — „შემოღამება მთაწმინდაზე". ამით მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ბარათაშვილის ლექსს მიუცია ერთგვარი ბიძგი, შთაუგონებია გ. ტაბიძე.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი მომენტი: „მთაწმინდის მთვარეში" (1919 წ. გამოცემაში) სტრიქონი — „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული" ასე იკითხება: „დაწყეველილ ყმას აქ უყვარდა ობლად სიარული". აქაც ნათელია, რომ ადრინდელ ვარიანტში ბარათაშვილის ბედი სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი სიტყვიერი ქსოვილითაა დახასიათებული: „დაწყეველილი ყმა".

გ. ტაბიძის პოეტური განწყობილებანი ბარათაშვილის რომანტიკულმა სიძღერამ გამოაღვიძა. ამ გარემოებაზე თვითონ გალაკტიონ ტაბიძემ მიუთითა:

ლურჯი ბურუსით იხვეოდა ხშირი ტყე-ველი,
კვლავ მყუდროება იყო ირგვლივ დაურღეველი,
ამ დროს მომესმა სევდიანი სიმღერა გზაზე,
გზაზე მხედარი ოცნებობდა სხვა ქვეყანაზე,
გადაიარა ჩემთ თვალწინ და მიიმალა,
სამარადისოდ გაურღეევი აღმიძრა ძალა.

(„თვალუწვდენელი და უსაბამო").

სხვა ქვეყანაზე მეოცნებე მხედარი აქ ნ. ბარათაშვილია, რომელმაც პოეტს აღუძრა ძალა. ამ პატარა ფაქტში მთელი სისრულით მეღავ-

ნდება ის დიდი ინტერესი, რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიასთან აკავშირებდა.

პოეტური, ფორმალური მხრითაც მნიშვნელოვანია ანალოგია გ. ტაბიძესა და ნ. ბარათაშვილს შორის (ამაზე ქვემოთ).

ნ. ბარათაშვილი, როგორც პოეტი, შავბნელ ეპოქაში დაიბადა; ამავე ეპოქამ დაასვა მას სევდის მძიმე დაღი. ნამდვილად კი ნ. ბარათაშვილი თავისი მაღალი პოეტური სულით და რწმენით ეკუთვნოდა უკეთეს ხანას, მომავალს. მას სწყუროდა განახლებული და თავისუფალი საქართველოს ხილვა. ამ სურვილს დარაჯად ედგა მისი სევდიანი ფიქრები, მაგრამ იგი ისე მოკვდა, სამშობლოდან გადახვეწილი, ნათესავთაგან დაუტირებელი, რომ თან წაიღო საიდუმლოებით მოცული ეს სევდა.

გალაკტიონ ტაბიძეს სულ სხვა ბედი ხვდა წილად. მისი პოეტური ნიჭი, ბარათაშვილის მსგავსად, ბნელითა და ბურუსით მოცულ ეპოქაში მოხვდა. განვლო დრომ და ეს ნიჭი სრულიად ახალ ვითარებაში, საბჭოთა ეპოქაში გაიშალა მთელი სისრულით.

გალაკტიონ ტაბიძე ოცნებობდა:

> როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
> როგორმე ქარმა თუ მიმატოვა...
>
> („თოელი").

და ჭეშმარიტად აღსრულდა პოეტის ოცნება: „გ. ტაბიძე გადაურჩა მეფის რუსეთის შავბნელ „ზამთარს" და ასე დასცილდა პოეტური ბედით ნიჭიერი მემკვიდრე სახელოვან წინაპარს.

რუსული კლასიკური მწერლობის მოწინავე ტრადიციებმა ფრიად დადებითი გავლენა იქონიეს XIX—XX საუკუნის ქართულ მწერლობაზე. გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში არაერთგზის გვხვდება გამოძახილი პუშკინის, ლერმონტოვის, განსაკუთრებით მ. გორკის, მხატვრული იდეებისა.

ერთგვარ ანალოგიას ვხედავთ ჩვენ, ერთი მხრით, გ. ტაბიძისა და, მეორე მხრით, ბლოკის, ბრიუსოვის, ბალმონტის პოეზიას შორისაც. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, როდესაც გ. ტაბიძის შემოქმედებაზე სიმბოლიზმის გავლენას ვარჩევდით.

გ. ტაბიძის შემოქმედებაზე მოწინავე რუსული მწერლობის დადებითი გავლენა თვალსაჩინოდ იგრძნობა ოქტომბრის რევოლუციის მომზადების და მის მომდევნო პერიოდში.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში კლასიკური მწერლობის რეალისტური ნაკადი, ის ოპტიმისტური რწმენა მომავლისა, რომელსაც 1905 წლის რევოლუციის მოწინავე იდეები ასაზრდოებდა, თანდათანობით ძლიერდება 1917 წლის რევოლუციის მოახლოებასთან ერთად. სევდიან ფიქრზე გამარჯვების რწმენას პოეტს რევოლუციის მოლოდინი აძლევდა. ამ იმედით აღფრთოვანებული პოეტი ასე მიმართავდა მეგობრებს:

ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები,
განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა,
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?

(„წერილი მეგობრებისადმი“).

ასეთი განწყობილებითა და იდეებით ეხმაურებოდა გალაკტიონ ტაბიძე მოახლოებულ 1917 წლის რევოლუციას. გალაკტიონ ტაბიძეს პეტროგრადიდან ქუთაისში დაბრუნებულს მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. პოეტი მიესალმა „ცეცხლის მზეს“, მან რევოლუციაში დაინახა განახლების გზა, თავისუფლების, ხალხთა ბედნიერების გზა. ამ რწმენით შთაგონებული პოეტი წერდა:

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა... დროშები ჩქარა.
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა, დროშები ჩქარა!..
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა. შეერთდით, შეერთდით, შეერთდით.
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა.

(„დროშები ჩქარა“).

აქ მკითხველს ხიბლავს არა მარტო ეს მებრძოლი რევოლუციური სული ლექსისა, არამედ ამაღლებული რევოლუციური ინტონაციები, ამღერებულ რიტმში გადასული. ეს არის მგზნებარე რიტმი რევოლუციის, ქვეყნის განახლების რიტმი. ეს არის მებრძოლი აკორდი რევოლუციური ეპოქისა, დასაწყისი განთიადისა, განახლებისა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გ. ტაბიძე კვლავ ბრუნდება საქართველო-

დან პეტროგრადში და მოწმე ხდება ოქტომბრის დღეებისა. იგი მოხიბ-ლულია სოციალისტური რევოლუციის გრანდიოზულობით. პოეტი ამაში დაინახავს საქართველოს მომავალსაც. ამ იმედით შთაგონებუ-ლი მოემგზავრება იგი სამშობლოში 1918 წელს. უდღეური მენ-შევიკური ხელისუფლებით უკმაყოფილო პოეტი თავის ქვეყნის განახლების გზას ოქტომბრის რევოლუციის მიღებაში ხედავს. ქარ-თველ პოეტებს შორის იგი პირველი უკავშირებს სამშობლოს ბედს ლენინსა და კრემლს. 1918 წელს დაწერილ ლექსში „გემი დალანდი" ტაბიძე ამბობს:

გემით „დალანდი" მოვდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა,
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი თუ მომაგონდა?

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი.
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი"
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

დამახასიათებელია, რომ ეს ლექსი შეტანილია გალაკტიონ ტაბიძის „არტისტულ ყვავილებში", სადაც ეგზომ დიდი ადგილი უჭირავს დე-კადენტურ ლექსებს. ამავე წიგნში შეტანილია მეორე ლექსი — „დაბ-რუნება", რომელიც რევოლუციური ნაწარმოებების აქტივში შედის და „გემი დალანდის" ციკლს განეკუთვნება.

სამშობლოში დაბრუნებული გ. ტაბიძე უკმაყოფილოა, მენშევიკების უდღეური სინამდვილე კვლავ უიმედობასა და სევდას ბადებს. სიცოცხ-ლეზე ფიქრს, „განახლებულ ცხოვრებაზე ჩუმ ოცნებას" კვლავ უსასო-ება ცვლის. ეს განწყობილება გამოხატა მან 1918 წელს დაწერილ ლექს-ში — „მას გახელილი დარჩა თვალები". „უამიდობით" გულმოკლული პოეტი სევდიანად მოთქვამს:

მიდის ზაფხული... ბაღში, მდელოში
სისინებს სიო, შრიალებს ნეშო,
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!
რისთვის, ძვირფასო? რისთვის, ნუგეშო?

პოეტის მოწოდება, შინაგანი ხმა სხვა სიცოცხლისკენ, სხვა მხარის-კენ ეძახის მას, ხოლო საქართველოში არსებული სინამდვილე ისევ სევდით ავსებს პოეტის სულს და ისიც მწარედ მოთქვამს:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

განვლო კიდევ დრომ და პოეტის სამშობლო ზეცა — საქართველო — ოქტომბრის რევოლუციის ალმა გაანათა და სიკვდილზე მეოცნებე პოეტი განახლების, სიცოცხლის სიყვარულის დიდი მომღერალი გახდა.

*

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეს სამშობლოს განახლების რწმენით შთაგონებული პოეტი მტკიცედ დგება რევოლუციური საქართველოს პლატფორმაზე. გალაკტიონ ტაბიძე, ოქტომბრის დიდი რევოლუციის გრანდიოზულობით მოხიბლული, ძველი თაობის მწერლებს შორის ყველაზე ადრე, მტკიცედ და გადაჭრით მივიდა რევოლუციურ საქართველოსთან. 1922 წელს ერთდროულ გაზეთში — „პოეზიის დღე“ გ. ტაბიძე წერდა: „ჩვენი სამშობლო — სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს — არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით, ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, რომ არ შეიძლება ჩამორჩე მას... არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არა აქვს — უარყოს თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული... მე-5 საუკუნის სტილი შვენის თვით მე-5 საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის იგი მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენა გვყავს ახლებიც, ისეთებიც, რომლებიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტექნიკურ მიღწევებს. ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია, არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი — ახალი სიტყვა. ქართველმა პოეტმა იცის — რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც, იცის შურისძიება და იცის თავგანწირვაც. ეხლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება, უნდა მოიცილოს შემბოჭველი სიცივე გარდამავალ ლანდებისა“. ამავე წელს გალაკტიონ ტაბიძე აარსებს თავის საკუთარ ჟურნალს — „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. ჟურნალის პირველი ნომრის მოწინავე წერილში — „მა-

ნიფესტში“ პოეტი გაბედულად აყენებს საკითხს: „საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევებს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერსად ვერ იპოვით. აირჩიეთ ორში ერთი: განახლება ან სიკვდილი. მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი. ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული შემოქმედების უნაყოფო ელემენტები, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას“. გალაკტიონ ტაბიძის სიტყვა გაისმოდა, როგორც ძლიერი მოწოდება საბჭოთა პოეტისა.

უფრო ადრე იგი („ლომისი“, № 1, 1922 წ.) წერდა: „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში... ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვყოთ კაფე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობის ხანის, დეკადანსის. აქ პოეზია ხდება „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამრთობად, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებთ. სრულიად უნდა განვთავისუფლდეთ აგრეთვე იმ კონსერვატიზმისაგან, რომლითაც ნაწილობრივ შებოჭილია თანამედროვე შეგნება პოეზიის“. დამახასიათებელია, რომ გ. ტაბიძის ეს წერილი დაწერილია მაშინ, როდესაც, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხელუხლებელ მდგომარეობაში“ იყო კაფე-შანტანების პოეზია“ — „ცისფერყანწელებისა“ და „სკანდალისტების“ — ფუტურისტების პოეზია. ამ პერიოდში საბჭოთა ხალხის ინტერესებისაგან გამოთიშული ანტირეალისტური სკოლების წინააღმდეგ გ. ტაბიძემ ასე გაბედულად აღიმაღლა ხმა, და ეს უთუოდ მისი დიდი დამსახურებაა საბჭოთა მწერლობის წინაშე. გადაჭრით და მტკიცედ გაისმა პოეტის მომწოდებელი ხმა:

> დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
> და სისხლიანი დგას ანგელოსი,
> ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
> ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

ეს ლექსი იყო მგზნებარე, გულმხურვალე, პოეტური მოწოდება მწერლობის, ხელოვნების შემოქმედებითი მუშაკებისადმი, მიეღოთ ახალი დრო და მისი მომღერლები გამხდარიყვნენ. ამგვარ მოწოდებას მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ეს-ეს

არის საფუძველი ეყრებოდა საბჭოთა მწერლობას. გ. ტაბიძე კი იყო მისი ერთ-ერთი მეთაური და ფუძემდებელი.

ქართულ მწერლობაში ისტორიულად წამყვან დარგს პოეზია წარმოადგენდა. ქართულ პოეზიაში კი დიდი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული პოემებს. აქ საკმარისია მოვიხსენიოთ რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი". რუსთაველმა სწორედ ეპიკური ფორმით — პოემით მოახერხა შეექმნა უკვდავი რომანი და მოეპოვებინა ქართული პოეტური სიტყვისათვის დღემდის სამაგალითო დიდება. რუსთაველის შემდეგ ქართულ პოეზიაში მტკიცედ დამკვიდრდა პოემის ტრადიცია. აქ უნდა დავასახელოთ თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა", არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა" (მე-17 საუკუნე), დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირი" და „ქაცვია მწყემსი" (მე-18 საუკუნე). აქვე უნდა დავასახელოთ ამ საუკუნეების გავრცელებული საზღაპრო-საგმირო, სამიჯნურო და დიდაქტიკურ-მორალური პოემები.

ქართული მწერლობის ეს მდიდარი ტრადიცია ახალმა მწერლობამ, მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ, ღირსეულად განაგრძო. ეს ტრადიციები ვრცლად გამოვლინდა ნ. ბარათაშვილის („ბედი ქართლისა"), ი. ჭავჭავაძის („კაკო ყაჩაღი", „აჩრდილი", „განდეგილი"), აკ. წერეთლის („თორნიკე ერისთავი", „გამზრდელი"), ვაჟა ფშაველას („ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი") სახელგანთქმულ პოემებში. ამის მიხედვით ადვილია დავასკვნათ, თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია პოეზიაში ეპიკურ ჟანრს. თუ პოემას ისტორიულად შევხედავთ, იგი არ იყო გაყინული ფორმის თვალსაზრისით. იგი იცვლიდა ფორმასაც და ჟანრობრივ ნიშნებსაც. ამრიგად იგი ეპიკურ ნაწარმოებთა რიცხვში შედიოდა ყველა თავისი მთავარი პოეტიკური ნიშნით. მაგრამ ყველა ამ განსხვავებული ნიშნის მიხედვით ერთი უდავოა: პოემა თხრობითს ნაწარმოებს წარმოადგენდა. თხრობას აქ იმ ერთგვარი მოტორის მნიშვნელობა ჰქონდა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა ნაწარმოების სიუჟეტი და ხასიათების მოქმედება. ასე იყო ეს ხალხურ თქმულებებში თუ სიმღერებში, სადაც სიუჟეტი ერთ ამბად აერთიანებდა საგმირო ეპოსსა და საზღაპრო სამიჯნურო პოემებსაც. ეს თვისება თხრობითი ნაწარმოებისა გადმოვიდა ლიტერატურაშიაც, ძველი ბერძნული მწერლობიდან დაწყებული („ილიადა", „ოდისეა") და რომაულით გაგრძელებული („ენეიდა"). გადმოვიდა ინდურ-

შიაც („რამაიანა“) და რომანტიკულსა და რეალისტურ პოემებშიაც (რენესანსი თუ მომდევნო ეპოქა). ყველა ამ პოემის უმთავრესი ელემენტი თხრობა იყო და თხრობის გზით ხასიათის გამოსახვა, მაგრამ თხრობის ელემენტს, სიუჟეტის სიმკვეთრეს ყველგან ერთნაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდი“, შელისა და ჰიუგოს პოემები უმთავრეს ყურადღებას მიაქცევდნენ ლირიკული გმირის განწყობილების გამოხატვას, მაგრამ აქ ელემენტი თხრობისა პირობითად რჩებოდა. ისტორიულად პოემის შინაარსიც იცვლებოდა და ფორმაც. ისტორიულად ჩვენ პირობით პოემის ორგვარ ჯგუფს ვარჩევთ: მკვეთრსიუჟეტიანს, სადაც უმთავრესი აქცენტი გადატანილია თხრობაზე, და ნაკლებად მკვეთრსიუჟეტიანს, სადაც წინ არის წამოწეული ლირიკული ელემენტები. ამგვარად, როდესაც ეპიკური ნაწარმოების ისეთი დარგის შესახებ ვმსჯელობთ, როგორიცაა პოემა, არ უნდა დავიიწყოთ, რომ პოემის ამ ორ სახესთან გვქონდა საქმე. ამის მაგალითს ქართული ლიტერატურის ისტორიაც გვაძლევს. რომ შევადაროთ ერთმანეთს სიუჟეტის სიმკვეთრის თვალსაზრისით რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და თეიმურაზ პირველის „ქეთევანიანი“, მათ შორის აშკარა განსხვავება აღმოჩნდება: რამდენადაც მკვრივი, გამჭვირვალე, მკვეთრი და მწყობრად ჩამოყალიბებულია სიუჟეტი „ვეფხისტყაოსანში“. იმდენად ნაკლებად მკვრივი და მკვეთრია „ქეთევანიანის“ სიუჟეტი, თუმცა პირველში უფრო მეტია ზღაპრული ელემენტი, მეორე კი ისტორიული პოემაა (ასახავს ისტორიული პიროვნების — ქეთევან წამებულის ცხოვრებას). ასევე, რომ შევადაროთ ერთმანეთს „ბედი ქართლისა“, „სადღეგრძელო“ და „გველის მჭამელი“ ან „ალუდა ქეთელაური“, მათ შორისაც დიდ განსხვავებას აღმოვაჩენდით სიუჟეტის სიმკვეთრის მიხედვით. ამისდა მიუხედავად, ყველა ისინი პოემებია.

შეიძლება გვითხრან, რომ ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ რომანტიკულსა და რეალისტურ პოემებს და განსხვავებაც აქედან წარმოდგება. მაგრამ აქ რომ ლიტერატურული მიმართულება არ არის მარტოოდენ გადამწყვეტი, ეს ჩანს სხვა მაგალითებიდან. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო კარგი საილუსტრაციო მასალა იქნება ილ. ჭავჭავაძის პოემები. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ი. ჭავჭავაძის პოემები — „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „დედა და შვილი“ და „განდეგილი“, რომ ერთბაშად ნათელი გახდეს, რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან სიუჟეტურად. რამდენადაც მწყობრა-

დაა მოთხრობილი ამბავი „განდეგილში“ და „დიმიტრი თავდადებულში“ ან „კაკო ყაჩაღში“, იმდენად მკრთალი და არამკვეთრია სიუჟეტი „აჩრდილისა“ და „დედა და შვილისა“. მაგრამ ვის შეუძლია აქედან დაასკვნას, რომ „აჩრდილში“ გამოხატული მოხუცის სახე და ხასიათი ან „დედა და შვილში“ მოცემული ქართველი დედის სახე ნაკლებად დასამახსოვრებელია და ნაკლებად ემოციური, ვიდრე, თუნდაც, ისეთ კლასიკურ პოემაში, როგორიცაა „განდეგილი“, გამოხატული ბერის სახე. ეს მაგალითები ჩვენ იმისათვის დაგვჭირდა, რომ ნათელი გაგვეხადა — რამდენად მცდარია მტკიცება იმის შესახებ, თითქოს პოემას მხოლოდ და მხოლოდ მწყობრი და მკვეთრი სიუჟეტი ქმნის და განსაზღვრავს და, სადაც ასეთ მწყობრ მომთხრობელობასთან არა გვაქვს საქმე, იქ პოემა არ უნდა ვეძიოთ. ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები ამ მცდარ დებულებას სავსებით აბათილებენ. როგორც კლასიკურ, ისევე თანამედროვე მწერლობაში მკვეთრად განირჩევიან ორგვარი პოემები: მკვეთრსიუჟეტიანი და ნაკლებად მკვეთრსიუჟეტიანი პოემები.

კლასიკური მწერლობის დიდი ტრადიცია საბჭოთა ლიტერატურამ მიიღო და განავითარა. ეს ტრადიცია მიიღო და განავითარა ჩვენმა მწერლობამ პოემების ჟანრშიაც. საბჭოთა ლიტერატურაში ჩვენ მკვეთრად გვაქვს გამოხატული მკვეთრსიუჟეტიანი და არამკვეთრსიუჟეტიანი პოემები. საბჭოთა ლირიკული პოემის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ვლ. მაიაკოვსკის პოემებმა. როდესაც ვლ. მაიაკოვსკის პოემებს ვეცნობით, იქნება ეს „კარგია“ თუ „ლენინი“, აშკარად ვხედავთ, რომ ავტორი აქ ნაკლებად ცდილობს მკითხველი გააკვირვოს სიუჟეტის გამომგონებლობით. მწერალი მკითხველის უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ხასიათისა თუ მოვლენის გამოსახვაში გამოხატოს თავისი და მკითხველის პოზიცია, აქ ლირიკულ ელემენტს წამყვანი პოზიცია აქვს მინიჭებული. ეს კი ავტორს ხელს არ უშლის, ზუსტად გამოხატოს ჩვენი დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან. ვლ. მაიაკოვსკიმ კლასიკურად ჩამოაყალიბა მე-20 საუკ. ლიტერატურაში ახალი ტიპის პოემა, და ამგვარმა პოემამ უდიდესი გავლენა მოახდინა ლიტერატურის განვითარებაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ნაკლებსიუჟეტიანი პოემა არ უნდა ავურიოთ იმ განზრახვასთან, რაც სიმბოლისტებს ჰქონდათ ეპიკური ნაწარმოების მიმართ. სიმბოლისტები, ებრძოდნენ რა კლასიკური მწერლობის რეალისტურ ტრადიციებს,

პირველ ყოვლისა, ილაშქრებდნენ ფართო მხატვრული ტილოების, კერძოდ, პოემის წინააღმდეგ პოეზიაში. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონდა რეალიზმის მოწინააღმდეგეებთან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მწერლობის დანიშნულება არ არის დიდი საზოგადოებრივი მოვლენების გამოსახვა, მწერლობის დანიშნულებაა ადამიანის საიდუმლო ფიქრთა, მისი ინტიმური, პირადული განწყობილების გამოხატვა. ამისათვის კი ყველაზე მოხერხებული ფორმა ლირიკაა. მთელი ეს პერიოდი ქართულ ლიტერატურაში, მართლაც, აღინიშნა დიდი მხატვრული ფორმების ერთგვარი დაკნინებით. ქართული მწერლობის დიდი ტრადიცია, მღელვარე საზოგადოებრივი პროცესებისა და მოვლენების გამოსახვა ყურადღების ცენტრში ლიტერატურამ კვლავ დააყენა საბჭოთა პერიოდში. დიდ ტილოთა შორის საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში კვლავ აღორძინდა პოემების ჟანრი. საკმარისია აქ მოვიგონოთ ს. ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე", გ. ლეონიძის „ფორთოხალა", და „სამგორი", ა. მაშაშვილის „მე და ბარათაშვილი" და „ენგური", გრ. აბაშიძის „გიორგი მეექვსე" და „ზარზმის ზმანება", ირ. აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი" და სხვ. ამ ახალი ტიპის პოემებში ნათლად გამოვლინდა ახლებური დამოკიდებულება ამ ჟანრთან.

გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ საბჭოთა პოეზიაში, პირველმა ააღორძინა ეპიკური ჟანრის პოემების ის ახალი სახე, რომელიც არამკვეთრი სიუჟეტიანი პოემების ტიპს განეკუთვნებიან. ამ მხრივ პირველი იყო „ჯონ-რიდი". ეს პოემა 1924 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში". მასში საინტერესოდ არის გამოხატული პოეტის დამოკიდებულება 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციასთან. ტაბიძე მონაწილე იყო ამ ისტორიული დღეებისა პეტროგრადში. მან საკუთარი თვალით იხილა ის „ათი დღე", რომელმაც შეძრა კაცობრიობა. ამ დღეების შთაბეჭდილებით დაწერილ პოემაში პოეტი მოგვითხრობს ამბავს, რომლის მონაწილეც თვითონ იყო. პეტერბურგში მეფე ჩამოაგდეს, ხალხი ზეიმობს გამარჯვებას. მაგრამ კერენსკის დროებითმა მთავრობამ იმედი არ გაუმართლა ხალხს. „ძველი რუსეთი ისევ ძალაში დარჩა". უკმაყოფილო ხალხი კვლავ აღდგა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. რევოლუციურ ხალხს სათავეში ლენინის პარტია ჩაუდგა. ამ დღეებით მოხიბლული პოეტი წერს: ნეტავ თუ არის სადმე ისეთი გამბედავი ხალხი, როგორიც რუსი ხალხიაო. მართალი რუსი კაცი, დიდის მოქმედი

რუსეთი შეებრძოლა ჩაგვრას, მონობას, უსამართლობას და ოქტომბრის დიდი დროშა აღმართა. ამ ისტორიულ დღეებში ქართველი პოეტი ლენინგრადში შეხვდება ამერიკელ ჟურნალისტსა და პოეტს ჯონ რიდს. გ. ტაბიძე იგონებს ამ ამაღელვებელ წუთებს და სიამაყით აღნიშნავს: ამ ისტორიულ პიროვნებასთან ერთად განვიცადე მე რევოლუციის მთელი სიდიადე და ორივე მივესალმეთ ოქტომბრის ცეცხლსო. ამ პოემაში ნათლად გამოვლინდა გ. ტაბიძის, როგორც პოეტის, პოზიცია დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიმართ. ოქტომბრის რევოლუციური იდეებით შთაგონებულმა პოეტმა მომხიბვლელად უმღერა იმ შთაბეჭდილებას, რაც მან, როგორც მოქალაქემ და პოეტმა, განიცადა პეტროგრადში. ეს იყო ახალი ტიპის პოემა, სადაც ლირიკული გმირი, თვითონ პოეტი, მოგვითხრობდა დიდი ისტორიული გარდატეხების ეპოქის შესახებ. ეს ხერხი ტაბიძემ თავისებურად გამოიყენა შემდგომდროინდელ პოემებში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „ეპოქა“, „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“, „პაციფიზმი“ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძე ბუნებით ლირიკოსია, ლირიკოსი ამ სიტყვის პირდაპირი და მაღალი მნიშვნელობით, მაინც ცდილობდა დიდი ტევადი, სიუჟეტიანი ტილოებისთვის მიემართა, რათა უფრო სრულყოფილი და მთლიანი სახით წარმოედგინა საბჭოთა საქართველოს სახე. ეს მიზანი ედო საფუძვლად გალაკტიონ ტაბიძის „ეპოქას“. როგორც ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძემ, მწერლების მსოფლიო კონგრესის მონაწილეებთან ერთად, მთელი საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები დაათვალიერა. ამ ნახულისა და მიღებულ შთაბეჭდილებათა პოეტურ მოთხრობას წარმოადგენს „ეპოქა“. პირველად იგი 1928 წელს პოემის სახით გამოვიდა ცალკე წიგნად. ეპიკური ნაწარმოებისთვის საჭირო სიუჟეტური მთლიანობა აკლდა ამ პოემას, რასაც თვითონ გრძნობდა პოეტი. შემდგომ გამოცემაში მან ეს პოემა ლირიკული ლექსების ციკლის სახით წარმოგვიდგინა (ასევე მოიქცია იგი „რევოლუციური საქართველოსა“ და „პაციფიზმის“ მიმართაც). აქ საინტერესო ის არის, რომ ყოველი ლირიკული ლექსი ამ პოემებში გულწრფელი სიყვარულითა და საბჭოთა სინამდვილისადმი ერთგულებით სუნთქავს და ცოცხლობს. ნამდვილი, ჭეშმარიტი საბჭოთა პოეტის ხალისით არის გამსჭვალული ამ ნაწარმოებთა ყოველი პწკარი. საბჭოთა ეპოქის ადამიანის განწყობილება და მრწამსია გადმოცემული ამ პოემების ცალკეულ ლექსებში. ეს მრწამსი იხატება მაშინ,

როდესაც პოეტი საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის გზას შეხარის („ეპოქა“). ეს მრწამსი იგრძნობა მაშინ, როდესაც პოეტი კოლექტიური ცხოვრების გზით მიმავალ სოციალისტურ სოფელს უმღერის („რევოლუციური საქართველო“). საბჭოთა ადამიანის მაღალი პატრიოტული იდეებით მეტყველებს პოეტი მაშინაც, როდესაც იგი საბჭოთა არმიას, წითელ არმიას, მოუწოდებს, დაიცვას რევოლუციის დიდი მონაპოვარი და ნიღაბს ხდის იმპერიალისტთა ზრახვას, ომისა და სისხლისღვრის გამჩაღებელთა ზრახვას („პაციფიზმი“).

გალაკტიონ ტაბიძე საბჭოთა მოწინავე პოეტის შეგნებით აშუქებს ამ უდიდესი ისტორიული ეპოქის წლებს. იგი მთელი ხმით უმღერის „ინდუსტრიალურ ალს“:

ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს
და პროლეტარულ აბობოქრებას!
(„ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“).

გალაკტიონ ტაბიძე საბჭოთა პოეტის სიყვარულით აღწერს ჩვენს ქვეყანაში გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას, ქება-დიდებას უძღვნის საბჭოთა ინდუსტრიას, „ინდუსტრიალურ საუკუნეს“, პოეტის მოწოდებად, ხელოვნების დანიშნულებად თვლის მიჰყვეს ეპოქის ნაბიჯებს და აისახოს ეს დიდი მშენებლობა:

ხელოვნებათა არმია! ჩქარი
ეპოქის გვერდით იარე, წადი!
(„ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“).

მწერლობაში უნდა ასახულიყო ახალი დრო. ის, რაც სოციალისტური შრომის პათოსში იქმნებოდა და იბადებოდა, ხელოვნებაში და მწერლობაში უნდა გადასულიყო, როგორც ახალი ცხოვრება, ახალი სამყაროს გამოძახილი.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება კვალდაკვალ მიჰყვებოდა ჩვენს ეპოქას და ეხმაურებოდა ყოველ დიდ მოვლენას. „ეპოქას“ მალე მოჰყვა ახალი, ფართოდ მოფიქრებული ლირიკული ლექსების ციკლი „რევოლუციური საქართველო“. ამ ნაწარმოებით მიესალმა პოეტი იმ დიდ სოციალურ ძვრებს, რომელთაც XX ს. 30-იან წლებში ადგილი ჰქონდა ჩვენი სოციალისტური სოფლის ცხოვრებაში. მან დიდებული ჰიმნი უმღერა რევოლუციური საქართველოს პირმშოს, ახალ კოლექტიურ სოფელს. „ჩვენი ზრდისა და მშენებლობის ურყევმა გამომსახველმა“

ინდუსტრიალიზაციის გზამ შესაძლებელი გახადა სოფლის შეიარაღება ტექნიკის ახალი სიტყვით. პოეტის აზრით, „სადაც რიონჰესია, იქ სოფლის გარდაქმნაც ადვილია“. სოციალიზმის გზაზე დამდგარ სოფელს ასე მიმართავს პოეტი: „დაეწიე, გაასწარი კოლექტიურ შრომის დროშით ყველას, ვინც შენზე წინ არი“.

ვინც ყურადღებით წაიკითხავს „ეპოქასა“ და „რევოლუციურ საქართველოს“, იგი ალბათ მიხვდება, რომ აქ ძლიერად შეჭრილია რევოლუციური ყოფის რიტმი, ახალი ცხოვრების პათოსი; ჩვენი ეპოქის ჰეროიკა გამოხატულია პოეტური ექსპრესიით, დიდი მგზნებარებითა და რევოლუციური ინტონაციებით. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამ რიტმულ ინტონაციებს თავისი სათავეები ჰქონდა ადრინდელ ლექსებში. აქ უნდა მოვიგონოთ მისი ცნობილი ლექსი „ქარი ქრის, ქარი ქრის...“ ოღონდ ამ რიტმის შინაარსი სავსებით შეიცვალა. ამ გარემოებამ გამოიწვია ისიც, რომ ამ რიტმში ძლიერად შემოიჭრა ჟურნალისტური და პუბლიცისტური ნაკადი. პოეტური ტალანტი გ. ტაბიძეს საშუალებას აძლევდა ყველაფერი ეს აემაღლებინა პოეტური სიტყვის ჯადოქრული ძალით. გ. ტაბიძის პოეტური სტილის და ორიგინალური მანერის თავისებურება, რევოლუციურ რიტმსა და პოეტური სიტყვისა და ფრაზის განმეორებებში ასე ოსტატურად გამოვლინებული, ახალ შინაარსს პოულობს ჩვენს დროში. ამის მაგალითია თუნდაც ლექსი „მხარი მხარს“.

გალაკტიონ ტაბიძემ შესანიშნავად გამოხატა ჩვენი ცხოვრების განახლებული რიტმი კოლექტიური შრომის დიდებულ ჰიმნში — „მხარი მხარს, მხარი მხარს“:

მხარი მხარს, მხარი მხარს,
კოლექტივო, მხარი მხარს.
აბა, ჰე, აბა, ჰე.
აბა, მივცეთ მხარი მხარს,
წავიდეთ, მოვედოთ
თავისუფალ მთა და ბარს.
მივიდეთ, მივუდგეთ
გაერთიანებულ ჯარს.
ჰარიქა, ჰარიქა,
ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს.
ჰარიქა, ბობოლა
ძველ ღობეებს უვლის გარს.

ობა, პე, ქალაქო,
ველით მანქანების ღვარს.

გალაკტიონ ტაბიძე სოციალიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მისწრაფებას გვიხატავს როგორც მშვიდობის მოსურნე ხალხების განწყობილებას. საბჭოთა ხალხს, სოციალიზმის მშენებელ გმირ საბჭოთა ხალხს ომი არ სურს. პოეტმა ეს აზრი კარგად გამოთქვა ლექსში — „ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა, ჩვენ არ გვინდა ომი“.

ყველაზე უფრო სრულად კაპიტალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტური ბუნება, მათი მისწრაფება ომისაკენ ნაჩვენებია პოემაში „პაციფიზმი“:

როგორც ზემოთ ვთქვით, 1935 წ. პარიზში შედგა კულტურის დაცვის პირველი მსოფლიო ანტიფაშისტური კონგრესი, რომლის დელეგატი იყო გ. ტაბიძე. მასზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა პირველი კომუნარების ქალაქმა პარიზმა, დიდი რევოლუციური წარსულის მქონე პარიზმა — თავისი ბრწყინვალე ძეგლებითა და მუზეუმებით. ამასთან ერთად, პოეტმა თავისი თვალით იხილა მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობა, ქუჩებში გამოსული დემონსტრანტი მუშები, მათი შეუპოვარი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ეს შთაბეჭდილებანი წარმოსახა მან ლექსების ციკლში, რომელსაც „ევროპის დღიურები“ ჰქვია. გალაკტიონ ტაბიძე აჩვენებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც ღრღნის კაპიტალისტურ სისტემას; შრომასა და კაპიტალს შორის არსებული წინააღმდეგობა, ბოლოს და ბოლოს, პოეტის რწმენით, ძირს გამოუთხრის კაპიტალიზმს. მან ეს აზრი გამოთქვა ლექსში „შეტაკება“.

პოლიტიკური ლირიკის საინტერესო ნიმუშია ლექსი „ოქტომბრის სიმფონია“. აქ ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ცხოვრებით და მიღწევებით სუნთქავს, დიდი პატრიოტისა და მოწინავე საბჭოთა ადამიანის ხმა მთელი სისრულით ჟღერს. აქ აღწერილია პირველი იმპერიალისტური ომის სურათები, როდესაც ხალხი გმინავდა, „ომს მკაცრსა და საზიზღარს ბოლო არ ეღებოდა“. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ხალხი კითხულობდა, გვეშველება თუ არაო, და თან მოითხოვდა „ნამდვილ რევოლუციას“, რომელიც მოიტანდა ზავს, პურსა და კაცურ უფლებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ძველი იმპერიისაგან მემკვიდრეობით მიიღო დანგრეული ქვეყანა:

არ დახვედრია ოქტომბერს
არც ოქრო, არც განძეული —
დახვდა ოქტომბერს ქვეყანა
ცივი, პარტახი, ნგრეული.

და საბჭოთა ადამიანები შეუდგნენ გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას. ქვეყანა იბრძოდა მშენებლობის ფრონტზე, „იმისი ომი ამჟამად ქვეყნის აღდგენის ომია“. რევოლუცია მტკიცე ნაბიჯით წავიდა წინ.

გალაკტიონ ტაბიძემ პოეტის მოწოდებად დასახა ემსახუროს ახალ დროს. „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ“, ამაყად ამბობს პოეტი; „პოეტი არის მჭედელი ახალი დროის, ახალი ცხოვრების“. „ეპოქის ვარ მე მხედარიო“, სიამაყით აცხადებს პოეტი; ტაბიძე არა მარტო საკუთარ თავს თვლის ვალდებულად, საბჭოთა პოეტის ვალი მოიხადოს თავის ქვეყნის წინაშე, არამედ ასეთსავე მოვალეობას აკისრებს ყოველ საბჭოთა პოეტს. იგი გულწრფელად ამბობს:

თვითეული პოეტი
ახლა ინჟინერია,
ახალ დღეთა აგება
მის დროშაზე სწერია.

(„თვითეული პოეტი ახლა ინჟინერია“).

როგორც ზემოთაც ვნახეთ, გალაკტიონ ტაბიძე „ხელოვნებათა არმიის“ მთავარ მოწოდებას ახალი დროის სამსახურში ხედავდა. თანამედროვე პოეზიის დანიშნულება სწორედ განსაზღვრა გალაკტიონ ტაბიძემ ჯერ კიდევ 1927 წელს დაწერილ ლექსში, სადაც იგი ამბობს:

დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე
ეს წელიწადი, დღე და საათი.
ჯრათუ წლები გადიქცა ტყდომად, —
ყოველი ლექსი, ყოველი პწკარი
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.

(„ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“).

ასეთია რევოლუციის პოეტის — გალაკტიონ ტაბიძის მრწამსი. ამ გარემოებამ განსაზღვრა მისი პოეტური გზაც. საბჭოთა ადამიანის მა-

ღალი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული პოეტი დიდი ოქტომ-ბრის რევოლუციის ჭეშმარიტი მხატვარი გახდა.

გალაკტიონ ტაბიძე კარგად ხედავს საბჭოთა ეპოქის იმ ძლიერ ოპტიმიზმს, რომელიც საბჭოთა ადამიანების, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობის დაუშრეტელი მამოძრავებელი ძალა გამხდარა. საბ-ჭოთა ეპოქამ ახალი აზრი და იდეები დაბადა. ახალი განწყობილება და ეუფლა ჩვენს ახალგაზრდობას:

ახალგაზრდობას, რომელმაც
შენ აღტაცება დაგარქვა,
არ განუცდია, რა არის
გულგამყინველი დაკარგა.
და ფრთები, მხოლოდ ფრთებია
შენი ხელების მტევნები,
ეგ სიხარული, ეგ ღიმი,
ეგ ბაღი, ეგ შადრევნები.
სხვისთვის კი ბედმა არც ვარდი,
არც გაღიმება ინება.
გიცქერ და გულნაღვლიანად
წარსულზე გამეცინება

(„გამონაკლისი“).

აქ შესანიშნავად არის დახასიათებული ჩვენი ახალი თაობა და ასევე საუცხოოდ არის მოცემული ძველი და ახალი ეპოქის განსხვა-ვების გრძნობა.

გალაკტიონ ტაბიძის დამახასიათებელი რომანტიკულობა ჩვენს დროში სრულიად ახალი განწყობილებითა და სულით ეღერს. ამ სი-ახლის, ამ რომანტიკის თავისებურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ლექსი „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“. სიყვარულის ისრით დაკო-დილი დე გრიესა და მანონის სევდიანი რომანის ისტორია პოეტურად არის გააზრებული. პოეტმა კარგად იცის, რომ ახლა სხვა დროა. „რუ-სოს ხანა, ოხვრა“ ისტორიას ჩაბარდა და ახალი ადამიანები მოვიდნენ, ახალი გრძნობებითა და ნერვებით. მაგრამ ისიც იცის პოეტმა, რომ

მაგრამ წიგნი მაინც დარჩა
ვაჟისა და ასულის,
როგორც სარკე, როგორც ფარჩა
დროის ფერგადასულის.

(„წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“).

და ეს წიგნიც ამ ძველი გარდასული დროის, ფერგადასული ეპოქის სარკეა.

გალაკტიონ ტაბიძის მრავალფეროვან პოეტურ ლირიკაში სამშობლოს სიყვარულის თემა განსაკუთრებული ორიგინალური ფერებით არის გააზრებული. ამის საუკეთესო ნიმუშია ლექსი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი"; ყოველ ადამიანს აქვს სასოებითა და სიყვარულით შენახული რაიმე ნაბოძები ნივთი, — ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კიდევ ბარათი, ბეჭედი, საფერფლე თუ საფულე და ზოგს წიგნი რამ ძნელად მონაპოვარი. ადამიანურ გრძნობათა ამგვარ რომანტიკულ სურათს მოსდევს „მძლავრი აკორდი" საბჭოთა პოეტისა სამშობლოს შესახებ: სამშობლოს სიყვარული ყველაზე უფრო ძვირფასი, ყველაზე უფრო დიდებული, ყველაზე უფრო მაღალი და სანუკვარი გრძნობაა ადამიანისა.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით გამთბარ სტრიქონებში გადმოგვცემს პოეტი თავისი სულის ინტიმურ რხევას, მაღალ პატრიოტულ შეგნებას, რომელიც სამშობლოსათვის თავდადებას გამოხატავს. სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის იდეაა გადმოცემული ლექსში „მშობლიურო ჩემო მიწავ". სამამულო ომის წინაადღეებში გამოქვეყნებული ეს ლექსი დიდი პატრიოტული ძალით ჟღერდა, ამიტომაც გახდა ის უაღრესად პოპულარული სამშობლოს განსაცდელის დღეებში. ჩვენ წინაპართა სახელოვანი ისტორია აქ ახალი ძალით ცოცხლდება, როგორც დიდი შთამაგონებელი ძალა, რომელიც სამამულო ომის მრისხანე დღეებში მოგვიწოდებდა, დაგვეცვა „წინაპართა ძვლები", ჩვენი მამებისა და ძმების სისხლით ნაპოვნი ახალი გზები. ყოველი საბჭოთა პატრიოტის აზრი და განწყობილებაა გამოთქმული პოეტის სიტყვებში:

მშობლიურო ჩვენო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

ეს არის ქართული პატრიოტული ლირიკის ახალი, მაღალი ფორმა, საბჭოთა პატრიოტიზმის უშესანიშნავესი ნიმუში. ამ ლექსში გამოხატულია მრავალსაუკუნოვანი ქართველი ხალხის პატრიოტული წარსულის, მისი აწმყოს, მისი მომავლის პოეტური სურათები. წინათ ჩვენი სამშობლო,

მიწა, სადაც ვხნავთ და ვთესავთ,
მოკირწყლული იყო ძვლებით.

ამ ფონზე პოეტმა ოსტატურად გამოძერწა სამშობლოსათვის თავ-ანწირული პატრიოტების სახე. ამ მხრივ საინტერესოდ არის წარმოდ-გენილი ილიას პორტრეტი:

აგერ წინამძღვრიანთკარის
ქარი არხევს ზვარის სამოსს
და ხავერდი საკსე მთვარის
მოფენია საგურამოს.
მეცხრამეტეე! განთიადით
გვეგებება ოხვრა კაკლის.

და ეს ოხვრა წარსულისა, ეს სევდა, ჩვენი ხალხის ისტორიული ბედით გამოწვეული, გაუფანტავს ახალ დროს. პოეტი სიმბოლურად მიუთი-თებს იმ ახალგაზრდაზე, რომელიც, მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე ლე-ნინის იდეებით შეიარაღებული, სათავეში ჩაუდგა ქართველ ხალხს:

ახალგაზრდა გოლიათი
ახლა ავსებს ამ დანაკლისს..

და ასე. ძველი სიდუხჭირის სურათების მოგონებას ცვლის ახალი დროის, საბჭოთა ეპოქის ბრწყინვალე სურათები.

გ. ტაბიძის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ხალხთა მეგობრობის თემას. პოეტი ჩვენი ეპოქის უდიდეს მონაპოვრად თვლის სწორედ ხალხთა მეგობრობას. დიდი რუსი ხალხის მეთაურობით შეკავშირებუ-ლი ჩვენი დიდი და მრავალერიანი ხალხების კავშირი ისტორიაში დღემ-დის არნახული ძმობისა და მეგობრობის ნიმუშია. კარგად ამბობს პო-ეტი:

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,
იგი ეყრდნობა ამქვეყნად პირველს
ხალხთა ძმობის და მეგობრობის
ურთიერთ რწმენით ურყევ საძირკველს.

გ. ტაბიძე იგონებს ძველ დროსაც, როდესაც თვითმპყრობელობა ერთა შორის მტრობას და სიძულვილს აღვივებდა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ძირითადი საგანი იყო და არის საბჭო-

თა პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის თემა. ამიტომაც გულწრფელად მიგვაჩნია პოეტის სიტყვები:

სამშობლოს წინსვლა
გასაკვირველი,
მზის მხურვალება
გარს რომ ავლია, —
აი, პირველი,
აი, პირველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია.

(„სამშობლოს“).

გალაკტიონ ტაბიძის ამ პატრიოტულმა მრწამსმა მთელი სისრულით პოვა გამოხატულება სამამულო ომის დღეებში. პოეტის შესანიშნავი პატრიოტული ლექსები, სამამულო ომის წლებში დაწერილი, გვერდში ამოუდგა ჩვენს ხალხს, მეომარ საბჭოთა ხალხს, როგორც ცოცხალი, მოქმედი ძალა. ეს პატრიოტული ლექსები აღაგზნებდნენ ჩვენს ადამიანებს სამშობლოს უბოროტესი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბევრი მათგანი გალაკტიონ ტაბიძისთვის დამახასიათებელი დიდი პოეტური ტალანტით არის გაბრწყინებული. მათ შორის უნდა დავასახელოთ ლექსები: „სამშობლო“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „ღრუბლები ძაუგთან“, „არ გიღალატებთ“, „მამულო სიცოცხლეო“, „თასი“ და სხვ.

არ გიღალატებთ, სანამ
მზე გვინათებს და მთვარე,
ყოველ მხარეზე კარგო,
ჩვენო სამშობლო მხარევ!

(„არ გიღალატებთ“).

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გ. ტაბიძემ კვლავ რამდენიმე საინტერესო ლექსი გამოაქვეყნა. მათ შორის საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ლექსი „1950“. პოეტი ამ ლექსით გამოეხმაურა 1950 წლის ღაწყებას, წლისა, რომელიც ამთავრებდა XX საუკუნის პირველ ნახევარს. მას, ვინც 1905 წლის რევოლუციას გამოეხმაურა მგზნებარე ლექსით „პირველი მაისი“, მას, ვინც 1917 წელს შეხვდა რევოლუციას ჰიმნით „დროშები ჩქარა“, მას, ვინც 1918 წელს ლენინსა და კრემლს უკავშირებდა საქართველოს მომავალს და ვინც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში წერს ლექსს „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, სრული უფ-

ლება აქვს თავისი შემოქმედება და ცხოვრება დაუკავშიროს XX საუკუნის პირველი ნახევრის უდიდეს მოვლენებს, რომელთაც თავისი გაქანებით პარალელი არა აქვთ ისტორიაში.

3. ტაბიძის პოეტური სტილის ზოგიერთი მხარე

საბჭოთა პოეზიამ, მათ შორის საბჭოთა ლირიკამ, თავისი არსებობის მოკლე ისტორიულ დროში შექმნა თვალსაჩინო ტრადიცია. მის საფუძველს წარმოადგენს განუყოფელი ერთიანობა პიროვნულისა და საზოგადოებრივი განწყობილებებისა, უაღრესად ინტიმურისა ზოგადთან. საბჭოთა ლირიკის გზა, თუ ის ჭეშმარიტად საბჭოთა მწერლობის პოზიციაზე დგას, არსად ემიჯნება ხალხურს, საზოგადოებრივ ინტერესებსა და სურვილებს. თავის უაღრესად პიროვნულ განცდაში საბჭოთა ლირიკოსი ხაზგასმით აზოგადებს ტიპიურსა და დამახასიათებელს საბჭოთა ადამიანებისათვის. იქ, სადაც გათიშულია პიროვნულის კავშირი საზოგადოებრივთან, ირღვევა ხასიათი საბჭოთა ადამიანისა, იქ, სადაც ლირიკოსი ჩაკეტილია ყალბად გამოგონილ პიროვნულ ნაჭუჭში, რომელსაც არა აქვს ამაღლებული და დამახასიათებელი ინტონაციები, წარმოადგენს გადახვევას საბჭოთა ლირიკის საფუძვლებიდან, მისი გენერალური პოზიციებიდან.

საბჭოთა ლირიკის ამ დამახასიათებელ მომენტს ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ იშვიათი როდია ისეთი ლირიკული ლექსები ჩვენს პოეზიაში, რომლებიც სწორედ რომ უხვევენ საბჭოთა ლირიკის ამ პოზიციებიდან. ლიტერატურული სკოლების მიერ ათასჯერ გადამღერებული სუმბური, რომელიც ჩვენი დროის ადამიანს არც აღელვებს და არც აფიქრებს, არც არაფერს ასწავლის, არაფერს აძლევს ჩვენს სულსა და გულს. ეს ათასჯერ გადამღერებული, შინაგანად გამოფიტული ლექსები, ეს ვიწრო სუბიექტური წუწუნი და ჩიჩქნა არატიპიურისა, არადამახასიათებელი გრძნობებისა მრავალჯერ სმენია ჩვენს ლიტერატურას წარსულში. აქ არა მარტო გვესმის ძველი ინტონაციები, არამედ მომაბეზრებლად გვაგონებენ ისინი ათასჯერ ნათქვამს და გადამღერებულს. ამიტომაა, რომ ამგვარ ლექსებს ეპიგონობის სუნი ასდით და აშკარად ატყობ სიყალბეს.

ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე სიტყვა ლირიკული გმირის შესახებ. ლირიკული გმირის ხასიათში აშკარად თუ ფარულად ავტორის

დამოკიდებულებაა გამოხატული საგნებთან, მოვლენებთან, სინამდვილესთან, ოღონდ ეს დამოკიდებულება გამოთქმულია ლიტერატურული გმირის მეშვეობით. ლირიკული გმირი კი თავად ავტორია, ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე ინტელიგენტი, ამ შემთხვევაში უფრო აშკარად და ნათლად გამოვლინებული ამ ინტელიგენტის სულიერი ცხოვრება, მისი მიზანსწრაფვა, მისი დამოკიდებულება სამყაროსთან და, ამის მიხედვით, მისი მსოფლმხედველობაც. არც ერთი ლიტერატურული გმირის მიმართ ისე უშუალოდ არ აგებს პასუხს ავტორი ამ გმირის ფიქრებისა და განწყობილების გამოხტვაში, როგორც ლირიკული გმირის მიმართ. ამიტომ, როცა ლირიკული გმირის შესახებ ვმსჯელობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა ლიტერატურის პოზიციების დაცვისათვის ბრძოლაში ავტორის პასუხისმგებლობა მეტია და არა ნაკლები, ვიდრე ეპიკური ტილოების ავტორისა. რასაკვირველია, საკითხს სავსებით არ ცვლის ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში ლირიკული გმირია და მეორე შემთხვევაში — ეპიკური. განსხვავება მხოლოდ იმაში შეიძლება ვეძიოთ, რომ ლირიკული გმირის მდგომარეობა ლიტერატურული ფორმის განსაზღვრული საზღვრების გამო უფრო ვიწრო მასშტაბისაა, ვიდრე ეპიკური გმირისა, მაგრამ ეს მცირე ფორმა სულიერი ცხოვრების გამოხატვისა ლირიკოს ავტორს უკარნახებს უფრო ღრმად, უფრო მოფიქრებულად წარმოადგინოს თავის დამოკიდებულება გარემო სამყაროსთან. როგორც ზემოთ ვთქვით, ლირიკული გმირის საფარველქვეშ თვით საბჭოთა პოეტი მეტყველებს. და თუ იგი ჭეშმარიტად საბჭოთა პოეტია, მას ყველაზე უფრო ნათლად უნდა ემჩნეოდეს საბჭოთა ადამიანის სულიერი ზრახვები და ფიქრები. საბჭოთა მკითხველმა უმალ უნდა შეიცნოს თავისი თავი ამ ფიქრებსა და განწყობილებაში, დაინახოს ის, რაც მას აწუხებს და აფიქრებს. ლირიკოსი ისევეა მემატიანე თავის ეპოქისა და ამ ეპოქის ადამიანების სულიერი ცხოვრებისა, როგორც დიდი ეპიკოსები. ოღონდ განსხვავება იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ერთნი საკუთარი სულის პრიზმაში უშუალოდ გამოხატავენ ამ ზარხვებს და გრძნობებს ლირიკული გმირის სახით, მეორენი კი ამ ზრახვებს და ფიქრებს ეპიკურ გმირს, სხვა ადამიანებს გამოათქმევინებენ. სწორედ ამიტომ ყოველი ჭეშმარიტი ლირიკოსი თავის დროსთან, თავის ეპოქასთან უაღრესად დაკავშირებულია. ვინც გ. ტაბიძის ლირიკას ამ თვალსაზრისით დააკვირდება, იგი უმალვე აღმოაჩენს, რომ გ. ტაბიძე, ეს უაღრესად ნაზი ლირიკოსი,

თავისი დროის, თავისი ეპოქის უაღრესად სასიცოცხლო კითხვებს გამოხატავდა.

ერთ დროს გ. ტაბიძე სავსებით სამართლიანად მოითხოვდა: „დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ეს წელიწადი, დღე და საათი" ლექსსო. ავტორის ამ პოეტურ განცხადებაში იგულისხმებოდა სწორედ ის, რომ არც ერთი დიდი და ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს ეპოქის და დროის გარეშე. ყოველ ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებაში, ასევე ლირიკულ ლექსშიაც უნდა ჩანდეს დროის სულიერი ცხოვრება. თუ ლირიკულ ლექსს დროის, ეპოქის დაღი არ აზის, მას არ უშველის ლექსის ბოლოს დასმული თარიღი. საქმე ის კი არაა, ლექსს უბრალოდ დრო მიაწერო, რამედ საჭიროა თვით ლექსის სულში აღიბეჭდოს დროის სუნთქვა, ეპოქის სული. დროის სწორედ ამგვარი გამოხატვით გამოირჩევა გ. ტაბიძის ლირიკული პოეზია, და ამაშია მისი დიდი ცხოველმყოფელობა.

გ. ტაბიძის პოეზიაში, ისე როგორც სარკეში, არეკლილია მეოცე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი სულიერი ზრახვები და ფიქრები. მისი ლირიკული ლექსებით შეიძლება აღადგინოთ სრული სურათი 1905 წლის რევოლუციისა და მასში დაინახოთ რევოლუციის მიერ გამოღვიძებული ადამიანის სულიერი ზრახვანი, პოეტის მიერ აღტაცებულ სიტყვებში გამოხატული. გ. ტაბიძის ლირიკულ ლექსებში თქვენ შეგიძლიათ ამოიკითხოთ რეაქციის ეპოქის შავბნელი სურათები და მასში დაინახოთ ამ დროის ადამიანის სევდიანი სულიერი ზრახვანი და ფიქრები. ამ ლირიკულ ლექსებში თქვენ შეგიძლიათ მკაფიოდ ამოიკითხოთ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციით გახხორციელებული დიდი რევოლუციური გარდატეხანი, ადამიანის სულიერ ცხოვრებაში მომხდარი. ასევე მკაფიოდ იპოვით მის ლირიკულ ლექსებში ხუთწლედის სოციალისტური მშენებლობის პათოსით შთაგონებულ ადამიანთა მოწინავე ზრახვებს, თუ სამამულო ომის მებრძოლი გმირების ვაჟკაცური შემართებისა და მამულისათვის თავდადების ხმაწყობილ სიმღერას. ეს ჭეშმარიტად მოწინავე საზოგადოებრივი აზრი და იდეალი ჩვენი დროისა ანათებს გ. ტაბიძის ლექსებს ძაღალი იდეალებით, და ყველაფერი ეს გამოხატულია დიდი ორიგინალობით, მაღალი პოეტური ფორმით. საზოგადოდ, ის ლირიკული ლექსები იმკვიდრებენ მყარ ნიადაგს საბჭოთა მკითხველებში, რომლებიც ადამიანის ფიქრსა და გრძნობას, მის მის-

წრაფებას, მის მაღალ იდეალებს გამოხატავენ — არა როგორც ფაქტების რეგისტრატორები, არამედ როგორც დიდი მხატვრები მოვლენებისა და საგნებისა. ისეთი ლირიკული ლექსი, — რომელიც აქტუალურია არა მარტო თემით, საკითხით, არამედ წარმოსახვის ძალით, — ასრულებს თავის ნამდვილ დანიშნულებას.

ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას საბჭოთა ლირიკის განვითარების გზაზე, საერთოდ, და თვით გ. ტაბიძის ლირიკის განვითარების გზაზე, კერძოდ. ყოველი ნიჭიერად დაწერილი ლირიკული ლექსი საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების მშენებელია. ამგვარი ლექსი მკითხველს განუშორებლად თან სდევს, მასთან ათევს ღამეს, მასთან ცოცხლობს... მაგრამ ასეთი უფლება მოუპოვებია მხოლოდ იმ ლექსებს, რომლებსაც სწორედ გამოუხატავთ ცხოვრებისეული ფიქრები და განწყობილება ადამიანისა. ადამიანის სულიერი ცხოვრების ამგვარ განმტკიცებაში უდიდესი როლი შეუსრულებია საბჭოთა ლირიკოსებს. საბჭოთა ლირიკამ რთული გზა გაიარა, და ამ გზაზე ცოტა როდი იყო შეცდომები და მარცხი. ერთნი, რომელთაც ასე წარმოედგინათ, რომ ლირიკის საზოგადოებრივი დანიშნულება მის სააგიტაციო ხასიათშია წარმოდგენილი, ლირიკის გზას ცალმხრივად წარმართავდნენ და ამან მიიყვანა ისინი სახოტბო პოეზიის ნაირსახეობამდის, სახოტბო პოეზიისა, რომელმაც წაართვა ლირიკას ადამიანის გრძნობების საზოგადოებრივად ამაღლებული თვალსაზრისით გამოხატვის ძალა. მეორე მხრივ, ძველმა ლიტერატურულმა სკოლებმა და მათმა გავლენამ ლირიკული პოეზია მოაქცია ვიწრო ნაჭუჭში და ავადმყოფური ვნებების ფარგლებში. ნამდვილი საბჭოთა ლირიკოსი მუდამ ებრძოდა ორივე ამ უკიდურესობას და საბჭოთა პოეზიის მებრძოლ ბუნებას, მის საზოგადოებრივ თვალსაზრისს ორგანულად უფარდებდა პოეზიის მაღალ მოთხოვნილებებს. ძლევდა რა ორივე ამ ცალმხრიობას, საბჭოთა ლირიკამ ჭეშმარიტად შექმნა ახალი საფეხური საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზაზე.

გ. ტაბიძეს ერთი უთვალსაჩინოესი ადგილი ეკუთვნის საბჭოთა ლირიკოს პოეტთა შორის. გ. ტაბიძისათვის არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი არც სახოტბო პოეზიის უკიდურესი ფორმები და არც დეკადენტური სკოლების ავადმყოფური გავლენები. ამიტომაა, რომ გ. ტაბიძის ლირიკული ლექსები, რომლებშიც ორიგინალურად გააზრებულია პოეტის სულიერ სამყაროში გამოვლინებული ჩვენი საზოგადო-

ებრივი ცხოვრების მღელვარე კითხვები და მოვლენები, მუდამ გვაღელვებენ და გვაჯადოებენ თავისი მაღალი პოეტური ფორმებით. ეს მოხდა იმიტომ, რომ აქ აზრები, ფიქრები, გრძნობები ლირიკული გმირისა ისეა ამაღლებული და გამთბარი საზოგადოებრივი გრძნობებით და ხასიათებით, რომ აქ ნამდვილად გვაქვს ის ერთიანობა პიროვნული და საზოგადოებრივისა, რაც დიდი პოეტური ქმნილებებისათვის არის დამახასიათებელი. რასაც არ უნდა შეეხოს პოეტი — ზღვას, გაზაფხულს, თბილისს თუ სიყვარულს, ყველგან ისეთი ორიგინალური კუთხე აქვს მოძებნილი, რომ ეს საკუთარი სულის ემბაზში გატარებული, საკუთარი თვალით ნახული და გულით განცდილი სურათები — ჩვენს სულში დიდი ძალით გადმოდიან და ცოცხლობენ ჩვენს წარმოდგენაში. პოეტის ინტიმს და უშუალობას, საგნებთან და მოვლენებთან დამყარებულს, ჩვენი ინტიმი და ჩვენი უშუალობა ეხმაურება, და ისინი ისევე ხდებიან ჩვენი, როგორადაც პოეტისა იყო. სიტყვის არაჩვეულებრივი მოქნილობით და პლასტიკურობით პოეტს თითქოს ის უთქვამს, რაც ჩვენ გვაწუხებდა და გვაღელვებდა, რაც თურმე ჩვენ უნდა გვეთქვა, მაგრამ ვერ გვითქვამს. ეს გარემოება გვაახლოებს ლირიკული გმირის სულიერ ზრახვებთან, იგივე გარემოება აგვამაღლებს ჩვენ მაღალი პოეტური ნაწარმოების გაგებამდის. ეს არის ყოველგვარი ჭეშმარიტი ლირიკული ლექსის დიდი ღირსება, და ეს ძალა აქვს გ. ტაბიძის ლექსებს მინიჭებული. ლექსის გარეგნულ ბრწყინვალებას და მის შინაგან დიდ სულიერ ცხოვრებას გადავყავართ ჩვენ პოეტის სამყაროში და ასე აბამს პოეტი ლირიკულ ძაფებს მკითხველის გულებთან და ფიქრებთან. როდესაც ჩვენ გ. ტაბიძის ლირიკულ ლექსებს ვკითხულობთ, ამგვარ კავშირს მკითხველისა პოეტთან ყოველთვის აღმოვაჩენთ, და სწორედ ამით აიხსნება ის დიდი პოპულარობა, ის დიდი სიყვარული, რომელიც გ. ტაბიძემ ქართულ მწერლობაში დაიმკვიდრა. თქვენ იქნებით უნივერსიტეტის სტუდენტთა აუდიტორიაში, სასოფლო კლუბში, კოლმეურნეთა თუ მუშათა აუდიტორიაში, ყველგან ამგვარ კავშირს აღმოაჩენთ, და ეს იმიტომ, რომ პოეტი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას მრავალმხრივად ეხმაურება. ლირიკული პოეზიის ეს მაღალი ღირსება მინიჭებული აქვს ჩვენი მწერლის ამ მრავალმხრივ თემატიკას ყველგან, იქნება ეს საკოლმეურნეო მინდვრების შესახებ დაწერილი ლექსი — „კოლექტივო, მხარი მხარს“, დაზგასთან მდგომ მუშის შრომის ჰეროიკა — „ინდუსტრიულ ალს გაუმარჯოს“, თუ

სატრფიალო ლექსები — „მერი“, „თოვლი“, ან „ელგუჯას დაბრუნება“. ჩვენი ადამიანების ფიქრებისა და გრძნობების პასუხს ყველგან იპოვით გ. ტაბიძის ლექსებში ამაღლებულად და განზოგადებულად. სწორედ ეს ცოცხალი შეჭრა ლირიკული გმირისა ჩვენს საზოგადოებრივ სინამდვილესთან გვაახლოებს გ. ტაბიძის ლირიკასთან და უაღრესად პოპულარულს ხდის მის ლექსებს.

გალაკტიონ ტაბიძის დამსახურება უახლეს ქართულ მწერლობაში პოეტური ფორმის განვითარებისა თუ გადახალისების საქმეში განუზომლად დიდია. მან მისცა არა მარტო ახალი ჟღერა ქართულ ლექსს, არამედ პირველმა შემოიღო ახალი ფორმები, ახლებურად ააწყო ლექსის რითმა და რიტმი, რითაც ქართულ ლექსში დიდი განახლება შეიტანა. აქვე უნდა მოვიგონოთ ის, რომ გალაკტიონ ტაბიძე მაშინ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც ჩვენს პოეზიაში ირ. ევდოშვილის სკოლის პოეტები მოღვაწეობდნენ. როგორც ცნობილია, ევდოშვილმა საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო ლირიკას და მტკიცე საფუძველი მოუძებნა მუშათა კლასის იდეებს მხატვრულ ლიტერატურაში. ეს უთუოდ ევდოშვილისა და მისი სკოლის დიდი დამსახურებაა. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ევდოშვილის სკოლის წარმომადგენლებმა მხატვრული გამოსახულების ხერხები ერთგვარად გაამარტივეს, გააუბრალოეს. საჭირო იყო ამ ნაკლის დაძლევა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს მისია ჩინებულად შეასრულა გალაკტიონ ტაბიძემ ამ პერიოდის მოწინავე ახალ თაობასთან ერთად.

აქვე უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის ათიან წლებში, განსაკუთრებით, რეაქციისა და მსოფლიო ომის წლებში, ქართული ენა დანაგვიანდა ევროპული დეკადენტური პოეზიის გავლენით. როგორც იდეოლოგიურად, ისე სტილის მხრივ ბურჟუაზიული დეკადენტური ხელოვნების კვალი ძლიერად აღიბეჭდა ქართულ ლიტერატურაში. უფრო მეტი: ამ პერიოდში ერთმანეთს ებრძოდა ორი მიმართულება, ორი გზა მწერლობაში: ერთი მხრივ, ქართული, რეალისტური, რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლა მწერლობისა და, მეორე მხრივ, სიმბოლისტური, დეკადენტური მიმართულება. გ. ტაბიძემ სცადა თავისებური სინთეზური გზა აერჩია თავისი რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის: ერთი მხრივ, რომანტიკული ლექსი, გართულებული კომპოზიციურად და სინტაქსური კონსტრუქციით, მეორე მხრივ, რეალისტური სკოლის ტრადიციები, რევოლუციური ფრაზეოლოგია, რეალისტური სახეები ერთდროულად გვხვდება გ. ტაბიძის შემოქმედებაში.

გ. ტაბიძის პოეტური ხერხები, როგორც აღვნიშნეთ, არ არის თავისუფალი სიმბოლისტური პოეტიკის გავლენისაგან, მაგრამ ისე როგორც იდეურად გ. ტაბიძემ გაარღვია სიმბოლისტების თემატიკური განსაზღვრულობა, ასევე დაძლია სიმბოლისტების ხელოვნური ჟარგონი პოეტიკის დარგშიაც. დამახასიათებელია, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ლექსიკისათვის უცხოა სიმბოლისტური პოეტიკის მახინჯი სახეები და ავადმყოფური განწყობილების გამომხატველი სიტყვები. „გაუცნაურებისთვის“ ხმარებული ტერმინები და ფრაზები გალაკტიონ ტაბიძეს არ ახასიათებდა. პირიქით, გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ პოეტურ სიტყვას გამოსახულების დიდი სინატიფე, მელოდიურობა და ლექსიკური მრავალფეროვნება მოუპოვა.

პოეტური, ფორმალური მხრითაც მნიშვნელოვანია ანალოგია გ. ტაბიძისა ნ. ბარათაშვილთან. ოღონდ აქ საჭიროა დავიცვათ ერთგვარი ისტორიული პერსპექტივა. ნ. ბართაშვილის პოეზიის ფორმალურ მიღწევას როდი შეიძლება დღევანდელი პოეტური ფორმის დონე პირდაპირ შევადაროთ. ნ. ბარათაშვილის შემდეგ ქართული ლექსის მხატვრული მიღწევანი განუზომლად გამდიდრდა. როგორია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ფორმა, რა სიახლე შეიტანა მან ქართულ ლექსში? ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურაში ორგვარი შეხედულება არსებობს. ზოგიერთის აზრით, ბარათაშვილი ტრადიციულ ფორმებს არ გასცილებია, ზოგის აზრით კი, ბარათაშვილი ქართული ლექსის მნიშვნელოვანი ნოვატორია. ჩვენ უფრო მართებულად მეორე მოსაზრება მიგვაჩნია. ნ. ბარათაშვილი ქართულ პოეზიაში მაშინ მოვიდა, როდესაც ანტონ კათოლიკოსის სკოლის ტრადიციული რუტინა ბატონობდა. ნ. ბარათაშვილიც ვერ გადურჩა ამ ნორმატივის გავლენას, მაგრამ მისმა პოეტურმა გენიამ ერთგვარად შეარყია ეს რუტინა. მან ქართული ლექსი გამოიყვანა ვიწრო რკალიდან და გაათავისუფლა იგი მუხამბაზურ-აშუღური პოეტიკის ნორმებისაგან. „ამასთან ბარათაშვილმა სრულიად ახალი ჟღერა მისცა თვით ქართული ლექსის ინსტრუმენტსაც, ახალ ხმაზე ააწყო იგი, ქართული ლექსის რიტმი ახალი მღელვარებით აავსო“ (პ. ინგოროყვა).

ანტონის სკოლის უნიჭო მიმბაძველთა მთელი წყების წყალობით ქართულ პოეზიას ცრუკლასიციზმის იერი დიდხანს გადაჰკრავდა. ეს იყო მძიმე სტილი, ლექსის ხელოვნური წყობა, შტამპიანი ლექსიკონი, ერთფეროვანი რითმები... ამგვარ ფორმაში წარმოდგენილ აზრს და-

კარგული ჰქონდა სიცოცხლე, გამოსახულების სიმართლე. ნ. ბარათაშვილი შეებრძოლა ამ სქოლასტიკურ სტილს და გაუკაფა მას განვითარების ახალი გზა.

ნ. ბარათაშვილის პოეზიას უდიდეს ძალას ანიჭებს მისი ემოციური მხარე. პოეტის მღელვარე განწყობილებანი, უპირველეს ყოვლისა, გადმოცემულია ლექსის ბობოქარ რიტმში. ბარათაშვილის მებრძოლი და პროტესტანტული სული ლექსის უაღრესად ორიგინალურ რიტმში პოულობდა სრულ განხორციელებას. საკმარისია აქ დავასახელოთ მისი ცნობილი ლექსები „მერანი" და „შემოღამება მთაწმინდაზე".

ქართულ ლიტერატურაში ნ. ბარაშვილის მიერ დანერგილ რიტმზე დამყარებული ემოციურობა ლექსისა გ. ტაბიძემ გამოიყენა.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-12 ტომში დაიბეჭდა პროზაული ვარიანტი პოემისა „საუბარი ლირიკის შესახებ". ირკვევა, რომ გ. ტაბიძეს წერილის სახით ჩამოუყალიბებია აზრი ლირიკაზე, დიდძალი ლიტერატურა გამოუყენებია ამ თემაზე და ასე დაუწერია ეს პროზაული ვარიანტი თუ ვრცელი სტატია. ეს დიდი მუშაობა პოეტს დასჭირებია იმისათვის, რომ შემდეგ ლექსად აეკინძა თავისი ნაფიქრი და ნააზრევი, რადგან ლექსი იყო გ. ტაბიძის სტიქია. ამ სტატიაში გ. ტაბიძეს საინტერესო მოსაზრებები აქვს წამოყენებული, მოსაზრებები, რომლებიც დიდად გვეხმარებიან გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული პოზიციის გამოსავლენად. პოეტი სტატიის დასაწყისშივე გვაუწყებს: „როგორც პოეტი და მოქალაქე მე შეძლებისდაგვარად ვემსახურები ხალხსა და რევოლუციას". — ეს ამოსავალი დებულებაა ამ სტატიისა. ამას მოსდევს საერთო განმარტება ლირიკის დანიშნულებისა. აქაც პოეტი რეალისტურ, რევოლუციურ პოზიციას იცავს: „ჩანგი არასდროს არ მდუმარებდა. ადამიანური საზოგადოების ყველაზე ადრინდელ საფეხურებზე, გრძნობებისა და აზრის აღმოცენებისთანავე გაჩნდა ლირიკა.

და ყველა ხანაში, ყოველ დროს იგი იყო ხალხთა სულიერი, პოლიტიკური და შრომითი ცხოვრების უდიდესი ძალა.... ჩემთვის მთავარია ფაქტი, რომ ლირიკა არის ძალა, რომელიც სუნთქავს მარადისი სიცოცხლიანობით და ვითარდება კაცობრიობის განვითარების სვლასთან ერთად". გალაკტიონ ტაბიძემ იცის, რომ ლირიკას შინაარსით შეეძლო შეჯიბრებოდა ფილოსოფიას, ფორმით კი ე. ი. „ხმათა შერჩევით, ანბანთა წყობით, ხმოვანებითა და რითმების სხვადასხვა ქარგით —

მუსიკას“. შინაარსისა და ფორმის მიხედვით განიხილავს და განასხვავებს გალაკტიონ ტაბიძე საბერძნეთიდან ჩვენს ეპოქამდე ლირიკის ისტორიას, და ამ ჟანრის გამოყენებას სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა თუ სკოლების მიერ. „მაგრამ იყო და არსებობს მიმდინარეობანი, რომელთაც პოეზია პოეზიისათვის, თვითმიზნად გამოაცხადეს“... ამ გზით პირდაპირ მიადგება იგი სიმბოლიზმს. „რაც უნდა საქმე არ გვქონდეს პოეზიის ამ სახის იდეურ უნაყოფობასთან, ტექნიკური კულტურისათვის მათ ძლიერ ბევრი გააკეთეს. მათი მისწრაფებათა საფუძველი იყო პოეტური ეფექტი, განსაზღვრული ზომიერების მკაცრი, მკაფიო გრძნობით, შეკრული, შეკონილი ენის მელოდიურობით. მათ ესთეტიკურ მანიფესტებს და პოლიტიკურ ლოზუნგებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე მნიშვნელობა ჩვენი თანამედროვეობისათვის. ჩვენი თანამედროვეობა აღზრდილია სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე, მაგრამ სოციალისტური აზრი ყურადღებით ეპყრობა წარსულის კულტურულ მიღწევებს და კრიტიკულად ამუშავებს მათ თავისი მიზნებისათვის.

...ჩვენ ეხლა შორსა ვართ ყოველგვარი მისტიკური თავბრუდახვევისაგან, ბურუსისაგან, სხვადასხვა სიმბოლისტების, დეკადენტების, პარნასელების თემატიკისაგან, მაინც უსარგებლო არ იქნებოდა, რომ მიეჩვიოს სმენა კეთილხმოვანებას, შეიგნოს ტექნიკა ჩვენს პოეტურ ღირებულებათა შესაქმნელად...

ჩვენ, საბჭოთა პოეტები, ვაგრძელებთ რა მსოფლიო პოეზიის კორიფეების უკეთეს ტრადიციებს, უნდა გამოვიდეთ როგორც ნოვატორები, რომელთაც უნდა შეათანაბრონ ლექსის ეროვნული ფორმა ინტერნაციონალურ თემატიკასთან“. ამ სტატიაში მოცემული სიმბოლიზმის ეს განსაზღვრებანი თვით გ. ტაბიძის რთული და საინტერესო პოეტური გზის განმარტებაც არის.

გასაოცარი ზრუნვა გამომსახველობითი ფორმისათვის, რითმებისათვის, რიტმისათვის, ინტონაციური აღმოჩენებისა და სიტყვების, ფრაზების გაბრწყინებისათვის, სიახლისათვის იყო მისი პოეტური მოწოდება. ეს სიახლე ეფუძნებოდა მოულოდნელობის სტიქიას. კონსტანტინე ჭიჭინაძის პოემის „რიონის აპოლოგიის“ გამო დაწერილ რეცენზიაში გ. ტაბიძე აღნიშნავდა: „საერთოდ წიგნი არის სიახლე, მაგრამ არ არის მოულოდნელობა, ნიუანსები, რასაც ასე მოითხოვდა ვერლენი (მუსიკა უპირველეს ყოვლისა)“. ეს ფრაზა — მოულოდნელობა,

ნიუანსები აქ შემთხვევით ნახმარი სიტყვები როდია. პოეტს პოეტის დახასიათებისას წამოსცდა (თუ შეგნებულად იხმარა?) ეს ფრაზა — მოულოდნელობა, ნიუანსები, ეს კი ერთგვარ გასაღებად მოერგება გ. ტაბიძის პოეზიას. გ. ტაბიძის სიდიადე მოულოდნელობის კანონის აღმოჩენა და დამკვიდრებაა ქართულ პოეზიაში. ეს აღმოჩენა ეფუძნება ქართულ ენაში მოძებნილი პოეტური მეტყველების ახალი შესაძლებლობების მიგნებას. პოეტმა ქართულში არსებული ლექსიკური არსენალი სიტყვებისა სულ სხვა ეშხით დაგვანახა და გვამცნო, მოულოდნელობის კანონით განალაგა ეს სიტყვები და გასაოცარი მუსიკალობა მიანიჭა. გალაკტიონ ტაბიძისეულ პოზაში განლაგებამ სულ სხვა ჟღერადობა და ემოციური დატვირთვა მიანიჭა ამ თითქოსდა ნაცნობ სიტყვებს. ამ გზით ქართული პოეტური მეტყველების სამყარო უაღრესად გაამდიდრა და წინ წასწია. არსებული სიტყვების ახალი ინტონაციური აღმოჩენით, რითმების, რიტმების, ლექსის მთელი ფაქტურის და ინტონაციის მოულოდნელობით გვაოცებს პოეტი, და რაც მთავარია, მოულოდნელობა სრულ ბუხებრიობას იძკვიდრებს ქართულ პოეტურ მეტყველებაში. მოულოდნელობის ბუნებრივად ქცევა არის ტაბიძის პოეზიის უმთავრესი თვისება. ლექსის კომპოზიცია, რიტმი და რითმები, პეიზაჟი და სახეები და პოეტურ განწყობილებათა მთელი იერარქია ამ მოულოდნელობის ბუნებრივად, ქართულ პოეტურ მეტყველებად ქცევას ემსახურება. და ამას აღწევს გალაკტიონ ტაბიძე დიდი თრთოლვით და ფრაზების, სიტყვების და სტროფების ნიუანსების შინაგანი პათოსით. ამ მხრივ გალაკტიონ ტაბიძემ ქართული პოეტური მეტყველების კულტურა მსოფლიოს უმაღლეს პოეტურ კულტურას გააჯიბრა.

ქართული პოეტური ტრადიციების, მხატვრული გამომსახველობითი ფორმების ახალ ევროპულ პოეტურ კულტურასთან დაახლოება ნ. ბარათაშვილმა დაიწყო და მთელმა XIX საუკუნის პოეზიამ განაგრძო ეს გზა. ხოლო გალაკტიონ ტაბიძემ ახალი ნიუანსები დაუძებნა და მანამდის მიუღწეველ სიმაღლემდე აიყვანა ეს ცდები. ასე გახდა იგი ფუძემდებელი მამა უახლესი ქართული ლექსისა.

პოეტურ განწყობილებათა და შთაბეჭდილებათა აღქმა მოულოდნელობის ნიუანსებით და მელოდიურობით გ. ტაბიძის პოეზიას ანიჭებს მაღალ მუსიკალობას.

ტაბიძის ლექსიდან წარმომდგარი რიტმის ხმა თითქოს გესმით ხში-

რად (ოღონდ, უნდა შევნიშნოთ, აქაც ხშირად მიმართავს პოეტი ფორმალისტურ სტილიზაციას).

ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს
გადირეკს ნოემბრის ბაღები.
მხურვალე ენებები გამივლის,
სასახლის ჩაქრება ჭაღები.
(„შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“.

ან კიდევ:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ მპოვებ ვერასდროს, ვერასდროს!
(„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“)

გალაკტიონ ტაბიძემ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ბგერის აკუსტიკური მხარის მოწესრიგებას ლექსში. მან მთავარი ყურადღება გადაიტანა ლექსის რიტმზე. რითმის მრავალფეროვნება და ჟღერადობა, ლექსის მუსიკალობა მისი პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა. პოეტური ლექსიკონის სიახლით, ლექსის რიტმით და მრავალფეროვანი ორიგინალური რითმებით გ. ტაბიძე განსაკუთრებით გამოირჩევა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

რითმების ორიგინალობა და მრავალფეროვნება ლექსის არა მარტო გარეგანი სამკაულია, არამედ იგი ლექსის ესთეტიკურ ღირსებას წარმოადგენს. პოეტური ფორმის ეს მხარე ლექსში იდეის განვითარების, მისი ათვისების გარკვეულ ესთეტიკურ სისტემას ქმნის. ერთფეროვანი, ერთხმიანი, უხმო რითმები აღარიბებს ლექსს, უკარგავს ორიგინალობას. რასაკვირველია, ჩვენ როდი ვართ მომხრე ისეთი ლექსებისა, სადაც რითმებს თვითმიზნური ფუნქცია აქვთ დაკისრებული. „დაწყვილებული სიტყვების“ ჯადოსნური თამაში, „რითმების დუელი“, როგორც ამას ხშირად ქართველი სიმბოლისტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, სიტყვათა უბრალო ჟონგლიორობაა. მაგრამ ერთია დეკადენტური გაგება რითმებისა და მეორე — როდესაც რითმებს იდეურ-ესთეტიკური ფუნქცია აქვთ დაკისრებული.

გალაკტიონ ტაბიძე ვირტუოზია პოეტური, მუსიკალური ფრაზებისა. მაშინაც კი, როდესაც გ. ტაბიძე დეკადენტურ მიმართულებას

ხარკს უხდიდა, ახერხებდა ასულიყო მუსიკალური ფრაზისა და ორიგინალური რითმების დიდ სიმაღლემდის. ამის მაგალითად გამოდგება მისი ცნობილი ლექსი „თოვლი“:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა;
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
...ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.

რასაკვირველია, რეალიზმის თვალსაზრისით მეტად რთული სახეა: „იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“, ან „მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის“, მაგრამ ისე ორიგინალურია მთელი მხატვრული ფაქტურა ამ ლექსისა, ისე მდიდარია იგი რითმებითა და მუსიკალური ფრაზებით, რომ ეს სახეობრივი სირთულე თვალში არ გვეცემა, თუ მას ცივი გონების თვალით არ დავაკვირდებით. ეს გარემოება მაინც იმაზე მიუთითებს, რომ გ. ტაბიძე ადრინდელ ლექსებში ხშირად მიმართავდა წერის იმპრესიონისტულ მანერას.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

და ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს,
ვარდისფერ ღილებს შეატყო ერქოლა,
ფრთა დაატოლა გაუშლელ ღილებს,
დასწვდა ბილილებს და აათრთოლა.

...მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.

როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი, —
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.

(„ატმის ყვავილები“).

ან კიდევ:

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

შემოიღამებს მთის ნაპრალები
და თუ როგორმე ისევ გათენდა —
ღამენათევი და ნამთვრალევი
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!

(„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში").

ზემოდასახელებული სტროფები ხასიათდება არა მარტო შინაგანი რითმებით (განსაკუთრებით პირველი სტროფი ლექსისა „ატმის ყვავილები": ავობს — ნანაობს, ქარი — მიქანაობს), არამედ მუსიკალური რიტმითაც, რაც ასე შეფარდებულია ლექსის ემოციურობასთან. ნატიფი გრაცია, მღელვარე ემოციურობა, ამაღლებული პოეტური ინდივიდუალობა, შთაბეჭდილება ზოგან გამისტიკურებული — ასეთია ამ ლექსების დამახასიათებელი მხატვრული მხარე.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსები საინტერესოა მეტრის თვალსაზრისითაც. მისი ლექსები მეტად მრავალფეროვანია. ტაბიძის ლექსებში გვხვდება ხუთმარცვლოვანი, შვიდმარცვლოვანი, ათმარცვლოვანი, თოთხმეტ, თხუთმეტ, თექვსმეტ და ოცმარცვლოვანი ლექსებიც. ძალიან ხშირად პოეტი ერთსა და იმავე ლექსში მეტრიკის ნაირნაირ ვარიაციას მიმართავს:

ღამეა, მთვარე. ხეივანი.
— ოჰ, მეგობარო!
მომჯადოებელ ვარდს ვეძახდი
გუშინ რუსუდანს.
— მაშ ეხლა უნდა მოგილოცო.
— თუ გსურს მართალი,
მე მშვენიერი მირჩევნია
ყველას თამარი!

(„ჩვენი საუკუნე").

გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში გვხვდება ქალური რითმები. ჩვეულებრივ სამმარცვლოვანი, დაქტილური და ორმარცვლოვანი ქალური. ქართულმა ლექსმა იცის ერთმარცვლოვნი ვაჟური რითმა, მაგრამ არსად ისე მრავალფეროვნებამდე არ მიუღწევია ერთმარცვლოვან ვაჟურ რითმას, როგორც ეს ტაბიძესთან გვაქვს. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია მისი ლექსი „მხარი მხარს".

მხარი მხარს, მხარი მხარს,
    კოლექტივო, მხარი მხარს!
აბა, ჰე, აბა, ჰე,
    აბა მივცეთ მხარი მხარს.
წავიდეთ, მოვედოთ
    თავისუფალ მთა და ბარს,
მივიდეთ, მივუდგეთ
    გაერთიანებულ ჯარს.
ჰარიქა, ჰარიქა,
    ჩავეჰიდოთ გუთნის ტარს,
ჰარიქა, ბობოლა
    ძველ ღობეებს უელის გარს.
    აბა, ჰე, ქალაქო,
ველით მანქანების ღვარს.

ჩვენი პოეტის ლექსები მეტრის თვალსაზრისით ხასიათდება არა მარტო დიდი მრავალფეროვნებითა და ორიგინალობით, არამედ რითმების ვარიაციებითა და ტაეპების ურთიერთშენაცვლებით.

ახალმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ შეცვალა არა მარტო შინაარსი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისა, არამედ ზოგიერთი სტილისტიკური თავისებურებაც შეიტანა მასში. ნაცვლად პოეტის ადრინდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მოჩვენებებისა, ზღაპრისა, ოცნებისა, მისტიკისა, — ახლა ძლიერად იჭრება ტაბიძის ლექსებში ცხოვრების სიყვარული, ობიექტური საამყაროსადმი ინტერესი, ამან გამოიწვია გარკვეული ფრაზეოლოგიური, ლექსიკოლოგიური და ფორმალური ხასიათის ცვლილებანი მის პოეტურ სტილში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ძველი პოეტური სტილი როდი უკუაგდო. „აღმოჩენილი სტილის“ უკუგდება არც ხდება მწერლობაში; ახალი შინაარსი ახალ ფორმას მოითხოვს, მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია, ჩვეულებრივ კი, მწერლობაში ახალი შინაარსი ძველ ფორმაშიაც ახერხებს მკითხველისათვის გასაგები გახდეს. ამის ნიმუშად გამოდგებოდა ლექსი „მხარი მხარს“. ფორმის მხრივ აქ სავსებით ისეთივე ვარიაციებია, როგორიც ადრინდელ ლექსში „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“, ან ლექსში „ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს“. ეს მაგალითი იმას ამტკიცებს, რომ ახალი შინაარსის მიხედვით ფორმის მთლიანი რეკონსტრუქცია როდი მოხდა. შით უმეტეს, რომ გ. ტაბიძემ რომანტიზმის სტილისტიკური მხარე ახალ დროშიც შემოინახა, ოღონდ სხვა შინაარსითა და სხვა ფერებით.

გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი ძირითადი პოეტური ხერხი იყო და არის პოეტური ფრაზებისა თუ სიტყვების განმეორება. იგი შეუდარებელი ოსტატია ამ პოეტური ხერხისა („ქარი ქრის", „კოლექტივო, მხარი მხარს"). ამის მაგალითები ბევრია. აქ დავასახელოთ თუნდაც „დროშები":

...დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

ან კიდევ:

თმას გაიშლის, დაემხობა და ცრემლები სცვივა, სცვივა.
სულს მიშფოთებს ეგ ქვითინი, გული მტკივა, გული მტკივა.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის კომპოზიცია რთულია, რაც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს. მართალია, იგი უმთავრესად ორტაეპიან ხანას ხმარობს, მაგრამ მასთან გვხვდება რთული სალექსო ხანებიც. სხვადასხვა მეტრული წყობისა და სტროფების შეერთებითა და რიტმის მდიდარი და მრავალფეროვანი გამოყენებით გ. ტაბიძემ სულ სხვაგვარად ააღერა ქართული ლექსი.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისათვის დამახასიათებელია არა მარტო მრავალფეროვნება რითმების, ლექსების ხანებისა და სტრიქონებისა, არამედ იშვიათი მრავალფეროვნებაც ფერების, პეიზაჟის... ჩვენი პოეტისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია აბსოლუტური სმენა, ლექსის მუსიკალური მელოდია, დიდი ემოციური ძალა ლექსისა. სწორედ აქედან მოდის, მაგალითად:

თავგანწირული
მოჰქროდა ქარი
სისინით, შხამით,
კოკისპირული
წვიმა და ღვარი
მოვარდა ღამით.

მიედიეარ. მკრთალი
სანთელი გაჰქრა
ჯერ ისევ გზაში;

ელვამ კლდეებზე
სინათლე გაჰკრა
და ჩაჰქრა მთაში.

(„ქარი“).

ან კიდევ:

სიცოცხლის აჩრდილს
სული არ ერთვის,
სხვა გამოძახილს
ვისმენ ყოველთვის.
მხიბლავს ეთერი
და ვმღერი... ვმღერი...
სხვა... ყველაფერი
ერთია ჩემთვის!

(„სხვა... ყველაფერი“).

მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?
და შრიალებდა ტოტი ვერხვისა
რაზე — ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,
ქარს მიპყვებოდა როგორც ნამქერი.

(„მერი“).

ასევე:

ბედნიერება არ არის ქვეყნად,
ისეთი, რასაც პოეტები ქმნით,
ეს არის მხოლოდ თქვენი ოცნება,
და ჩაფიქრება ისიც ცოტა ხნით...

(„ერთმა წუთმა“).

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ ცოდვილს,
ლუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს,
ლუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს
და ეხლა მძინარეს.
შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს — ჩემს თვალებს.
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დადაღულს,
მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს.
მე ველი სასწაულს.

(„სასწაულს“).

თუ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას პერიოდიზაციის პრინციპით განვიხილავთ და ამის მიხედვით ვცდით მის სტილისტიკური თავისებურების განსაზღვრას, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ პირველი პერიოდის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ლექსის რომანტიკული სტილიზაცია. აქედან წარმოდგება ჭარბი ბუნდოვანება. საერთოდ, ტაბიძის შემოქმედების ამ პერიოდის პოეტური სისტემა უფრო რომანტიკულ-დეკადენტური იყო, ვიდრე რეალისტური. და მაინც, ამ ხაზთან ერთად მის შემოქმედებაში შეინიშნებოდა რეალისტური სტილი და ეს აძლევდა პოეტს საშუალებას, შედარებით მოწინავე პოზიცია დაეჭირა იმდროინდელ დეკადენტურ-სიმბოლისტურ პოეტებთან შედარებით. მეორე პერიოდში გ. ტაბიძის შემოქმედებაში საბოლოოდ იმარჯვებს რეალისტური სტილი. ახლა აქ რომანტიკული ინტონაცია მთლიანად ემორჩილება ლექსის რეალისტურ კონცეფციას. კარგად თქვა პოეტმა:

კარგია ლექსი, მაშინ როს
ნათელია და ხალხური,
არ მოაკლდება არასდროს
მასის მღელვარე თვალ-ყური.

საბჭოთა პერიოდში ჩვენი პოეტის ერთგვარი პათეტიკურ-პუბლიცისტური სტილი თავისებურად უერთდება ლექსის სინატიფესა და მელოდიურობას.

ცნობილია, რომ გალაკტიონ ტაბიძე პეიზაჟის უბადლო ოსტატია. მან მომჯადოებელი პოეტური ძალით დახატა კავშირი ადამიანსა და ბუნებას შორის, წინათ პოეტი თავის სევდიან ფიქრთა ანალოგიას ეძებდა ბუნებაში. საბჭოთა სინამდვილეში იცვლება მის მიერ დახატული ბუნების სახე, ხასიათი და არსი, მაგრამ ანალოგიის ნაცადი გზა ძალაში რჩება. გალაკტიონ ტაბიძემ ბუნება კვლავ გააცოცხლა მთელი თავისი მრავალფეროვანი ძალით. ბუნება ნამდვილი ცოცხალი სანახაობაა, რომლის სადღესასწაულო სურათების ფონზე იშლება დიდი სოციალური და პოლიტიკური მოვლენები. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ლექსი „ელგუჯას დაბრუნება“.

გ. ტაბიძის დამახასიათებელი პოეტური ორიგინალობის ნამდვილი ნიმუშია „ელგუჯას დაბრუნება“. დაბრუნებულ მეომარს სანატორიუმის წინ ყვავილნარში პატარა გოგონა შეხვდება. გამოხედვა, თმა, სახე ბავშვისა შორეულ მოგონებას აღძრავს სტუმარში. მსგავსი სახე მას უნა-

ხავს სადღაც, ოდესღაც. ცნობისმოყვარე კაცი ბავშვს ვინაობას გამოჰკითხავს. გამოირკვევა, რომ ომში წასული მამა დიდი ხანია „დაკარგულა“. დედა სანატორიუმის ექიმია. გოგონა დედასთან მიიყვანს უცნობს. შემდეგ ბავშვი ტოვებს დედას და სტუმარს. „ევა!“ — აღმოხდა მაშინ მოსულს. — „ელგუჯა, შენა?!“ —იყო პასუხი, და ისინი მხურვალედ ჩამოართმევენ ერთმანეთს ხელს. ამ დროს გამოჩნდა კვლავ გოგონა, რომელმაც მოფანტა ალუჩებისა და ვარდების კონა ირგვლივ. „რა უნდა მეთქვა, — განაცხადა მან, — თქვენ მამაჩემის მკითხეთ სახელი, მას სახელად ერქვა ელგუჯა“. ინტიმური გრძნობის ფაქიზი შეხებით ცოცხლობს მთელი ეს მიმზიდველი სურათი.

პოეტური მეტყველების ღირსების უპირველესი მაჩვენებელი არის მისი ინდივიდუალობა, ორიგინალობა. ოღონდ, როცა ჩვენ პოეტური სტილის ინდივიდუალობაზე ვლაპარაკობთ, საქმე ისე როდი უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ მხრივ გ. ტაბიძე განმარტოებით იდგეს და არავის ჰგავდეს. არა, სტილის ყოველი დიდი ორიგინალობა, ამავე დროს, კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო მიღწევათა გამოყენების საფუძველზე მოპოვებული ინდივიდუალობაა, მასში აღბეჭდილია ნაციონალური ღირსებანი და თვისებანი პოეტური კულტურისა, მაგრამ ისე ორიგინალურად არის ყველაფერი ეს გადამტყდარი პოეტურ შემოქმედებაში, რომ აქ საქმე მიმბაძველობასთან კი არ გვაქვს, არამედ ინდივიდუალურ პროფესიონალობასთან, რომელშიაც პოეტური მეტყველების ახალი საფეხური ჩანს.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სტილი (განსაკუთრებით მისი შემოქმედების პირველი პერიოდი) ერთგვარი სტილიზაციით ხასიათდება, მაგრამ იმდენად ბუნებრივია და ზომიერი ეს მხარე ტაბიძის სტილისა და ასევე ორიგინალურად შეფარდებული ხალხური მეტყველებისა და, კერძოდ, კლასიკურ ქართულ პოეტურ სტილთან, რომ ამ მხრივ ჩვენს პოეტს სავსებით განსხვავებული პოზიცია ეჭირა სიმბოლისტ პოეტებთან შედარებით. ორთოდოქსალური სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი ავადმყოფური სახეები, უხეში ფრაზეოლოგია, არაბუნებრივი შედარებანი და ეპითეტები გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში შეცვლილია უფრო ნათელი პოეტური სტილით. ნ. ბარათაშვილის ემოციურობა, ა. წერეთლის მელოდიურობა თავისებურად გადატყდა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. ამ გზით სძლევდა ის სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელ სტილისტიკურ ბუნდოვანებასა და სიმახინჯეს,

თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, გ. ტაბიძე საბოლოოდ მაინც არ არის თავისუფალი სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი ბუნდოვანებისა და დანისლული პოეტური სტილისაგან. ამასთან, მის ლექსებში, არაშვიათი იყო მისტიკური ფრაზებიც.

ამგვარად, გ. ტაბიძის ადრინდელ შემოქმედებას ახასიათებს, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, სიმბოლისტური პოეტიკის ძლიერი გავლენით, ბუნდოვანი სახეები, ხშირად არალოგიკური გამოთქმები, რაც, საერთოდ, სიმბოლისტური პოეტიკის წესს ექვემდებარებოდა. გ. ტაბიძემ სიმბოლისტური სკოლის პოეტიკას თავის დროზე ხარკი გადაუხადა, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ უკუაგდო სიმბოლისტების სიმახინჯის ესთეტიკა.

გ. ტაბიძის ლექსებშიაც შეხვდებით ავტორის მიერ გამოგონილ კომპოზიტებსა და სიტყვებს. ამის ნიმუშები გვხვდება ისეთ რეალისტურ ლექსშიც კი, როგორიცაა „ჩემი სიმღერა". ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ამ ლექსში გადმოცემულია პატრიოტიზმის ძლიერი გრძნობა და სწორადაა გამოყენებული ხელოვნური სიტყვები, რომლებსაც ახალი სიცოცხლე მიანიჭა: „ცრემლნატბოვარი", „მსასოოვარი", „მგზოვარი", „მგლოვარი" და მისთანანი.

გ. ტაბიძის პოეტური აზროვნება ლირიკის ფორმაში გამოვლინდა მთელი გულით. იგი უბადლო ლირიკოსია. ოღონდ არ იქნებოდა მართებული, არ აღგვენიშნა ტაბიძის საინტერესო ცდები, სიუჟეტიანი პოემების ნიმუშები. სიუჟეტთან პოემათაგან უნდა დავასახელოთ „ამირანი". ეს საინტერესო პოეტური ჩანაფიქრი ხალხურ თქმულებაზეა აგებული: მწყემსების რატისა და მაყვალას ამბავი დაკავშირებულია ამირანის ლეგენდასთან. ამ ფონზე ოსტატურად არის გადმოცემული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის, რევოლუციის გამარჯვების რწმენა. გ. ტაბიძის ეს პოემა ყურადღებას იმსახურებს პოეტური ფორმითაც. და მაინც გ. ტაბიძე უმთავრესად ლირიკოსია.

ვ. ტაბიძის კონცეფცია, როგორც პოეტისა, ლირიკოსისა, კარგადაა გადმოცემული ნაწარმოებში, რომელსაც პოეტმა უწოდა „საუბარი ლირიკის შესახებ". ეს არის ვრცელი მოთხრობა ლირიკის ისტორიისა, სადაც ყველგან ხაზგასმულია ჭეშმარიტი პოეზიის კავშირი „მუდამ ხალხთა ცხოვრებასთან". პოეტი ლირიკას განიხილავს „როგორც ცხოვრების სახეობას, როგორც მის დილას". იგი ქებით იხსენიებს „სიმართლისათვის მებრძოლ ლირიკას" და ამის მიხედვით აფასებს პოეტის

ღვაწლს. პოეტი ხაზს უსვამს, თუ რა დაუღალავ შემოქმედებითს ძიებასა და შრომას მოითხოვს ჭეშმარიტი პოეზია. აქ იგი მაიაკოვსკის მიმართავს, საბუთად მოაქვს მისი გამონათქვამი პოეტურ სიტყვაზე მუშაობის შესახებ:

მართალი არის,
როს პოეტი
ამბობს თაობის:
გრამი შოვნისა ნაყოფია
წელთ მუშაობის,
მიღებულ იქნას
და ერთ სიტყვად
უნდა გადადნეს
ათასეული
ტონა მთელი
სიტყვიერ მადნის.

გ. ტაბიძის დიდმა პოეტურმა ორიგინალობამ და მრავალფეროვანებამ, რითაც ასე გამოირჩეოდა ის რევოლუციამდელ ქართულ პოეზიაში, მთელი სისრულით თავი იჩინა ჩვენს დროშიც.

პოეტური ოსტატობის საინტერესო ნიმუშია ლექსი „მშვენიერო ჩემო ზეცა“, სადაც ახალი, თავისუფალი ცხოვრების სიმბოლოდ გამოყენებულია საქართველოს ცა.

აი ეს ლექსიც:

მშვენიერო ჩემო ზეცა,
შენს სივრცეში ვჭრივარ მეცა
იმ გმირებთან ერთად, მომაქვს,
შთაგონებად რაც მოგვეცა.
არ შედრკება, შენ ნუ წუხარ,
ცად ასული დიდი მუხა —
უფლებისთვის ჩვენმა ხალხმა
სისხლი სისხლზე დაადუღა.

ანდა გავიხსენოთ პოპულარული ლექსი:

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს, ვინა ხარო,
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,

არ უნახია კი ვინ,
ისეც იცნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი.

ან:

აგე, მოდის მეგობარიც!..
შედგა, სადაც ვერხვია,
მერე მოსწყდა, სიხარულით
შემხვდა, გადამეხვია.
აკაშკაშდა ცაზე მთვარე,
სუფრა... რა დარებია...
ბევრი, ბევრი, ძმავ, კარგი დრო
ერთად გვიტარებია!
მოგონებათ ნაკადები
სიხარულის გფენია:
სიყმაწვილე, მეგობრები,
ლექსი, შოთას გენია.

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. ბგერების, სიტყვების, ფერების, რითმების შერჩევის დიდი პოეტური ვარიაციების ის თვისება, რაც წინათ გ. ტაბიძისთვის დამახასიათებელი იყო, სრული სახით გამოჩნდა ჩვენს დროშიც.

ოღონდ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ამ ბრწყინვალე ლექსების გვერდით პოეტს აქვს მდარე ლექსებიც, ბუნდოვანი ადგილები. მდარე ლექსები გვხვდებოდა ტაბიძის შემოქმედების პირველ პერიოდშიაც.

ყოველი ნიჭიერი პოეტური ნაწარმოები ღრმა განცდების, სულიერი მღელვარების, შემოქმედებითი ტკივილებისა თუ აღტაცების შედეგად შექმნილა. თუ მწერალი განსაკუთრებული პრინციპით არ არის დაკავშირებული იმ მოვლენასთან, რომლის შესახებაც წერს, ისე არავითარი ძალა არა აქვს მის მიერ დახატულ საგანს. იქ, სადაც მკითხველი არ გრძნობს, რომ პოეტს განუცდია თემა, რომ პოეტი აუღელვებია ამ თემას და ისე გამოუხატავს იგი, იქ არ შეიძლება დამყარდეს მწერალსა და მკითხველს შორის ურთიერთგაგება. თემის თავისებური და ახალი კუთხით გაშუქება ქმნის პოეტურ მრავალფეროვნებას.

გ. ტაბიძის ლექსების ღირსება, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რომ პოეტი ლექსებში მრავალფეროვნად ხატავს მოვლენასა თუ საგანს. მკითხველის შეგნებაში აღწერილი საგანი აღიბეჭდება სრულიად ახალი

ძალით, ახალი შინაარსით, ცოცხალი ფერებით, სურათებითა და სახეებით. ტაბიძის ლექსები, უწინარესად, თემის რომანტიკული შეგრძნობით ხასიათდება.* ამა თუ იმ ლექსის თემას და მის მიერ შექმნილ სულიერ განწყობილებებს გ. ტაბიძე სათანადო რიტმულ-მუსიკალურ მეტყველებას უფარდებს. ეს განწყობილებანი იქმნებოდნენ იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში იყო პოეტი ცხოვრებასთან, სინამდვილესთან. ასე გაიარა გ. ტაბიძემ საკმაოდ ვრცელი და პოეტური აღმოჩენებით აღსავსე გზა, დაწყებული რომანტიკულ-სიმბოლისტური განწყობილებებით და დამთავრებული სოციალისტური რეალიზმით, რევოლუციის რწმენითა და პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი პათოსით დამთავრებული და ეს თავიდან ბოლომდე ერთი პოეტური სტილია, სახელდობრ, ტაბიძის სტილი. ეს ერთი მთლიანი პოეტური სამყაროა, გალაკტიონის მიერ აღმოჩენილი პოეტური სამყარო.

---

* ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, „ლიტერატურული ნარკვევები“: „გ. ტაბიძე“.

გიორგი ლეონიძე

გიორგი ლეონიძე თანამედროვე ქართული პოეტური სიტყვის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მან სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრა გამოჩენილი საბჭოთა პოეტის სახელი არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ მთელ ჩვენს მრავალფეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენმა დიდმა თანამედროვეობამ მისცა ფართო ასპარეზი ლეონიძის პოეტურ ნიჭს. ფართო დიაპაზონის პირველხარისხოვანი ოსტატი გ. ლეონიძე საბჭოთა ეპოქის პოეტია, განახლებული და აღორძინებული ცხოვრების ჭეშმარიტი მხატვარი. სწორედ ამიტომ საკავშირო მწერალთა კავშირის საიუბილეო ადრესში გ. ლეონიძეს საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი უწოდეს.

გიორგი ლეონიძის პოპულარობა, როგორც პოეტური სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატისა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად დაწერილ ალალ და გულმართალ ლექსებს დ-უკავშირდა. ამავე დროს მას ჰქონდა უტყუარი გრძნობა ისტორიზმისა. ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მისი დიდებული აწმყოს თემაზე დაწერილმა ლექსებმა გ. ლეონიძის პოეტური სახელი საქვეყნოდ გამოაბრწყინეს.

გიორგი ლეონიძე დაიბადა 1899 წლის 27 დეკემბერს სოფ. პატარძეულში (საგარეჯოს რაიონი). მამამისი ნიკოლოზ ლეონიძე ვაჟა ფშაველასა და სოფრომ მგალობლიშვილის ყრმობის მეგობარი იყო, ვაჟასთან ერთად სწავლობდა იგი გორის საოსტატო სემინარიაში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. ნიკოლოზი თანამშრომლობდა „დროებაში", „თეატრსა" და „ივერიაში". აქვეყნებდა ნოველებს, მოთხრობებს, ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის წერილებს. იგი ჯერ

კიდევ ახალგაზრდა, 39 წლისა, გარდაიცვალა 1900 წელს. ობლად დარჩენილი მომავალი პოეტის აღზრდა და მზრუნველობა მთლიანად დედას დაეკისრა. პატარა გიორგიმ წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1907 წელს, ის შეიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში, რომლის სრული კურსი 1918 წელს დაამთავრა. ერთხანს გ. ლეონიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. 1909 წლიდან გიორგი ლეონიძე ლექსებს წერდა, ხოლო 1915 წლიდან აქტიურ ლიტერატურულ შემოქმედებას ეწეოდა. 1917 წელს იგი შეუერთდა „ცისფერყანწელების“ სკოლას და ამ ჯგუფთან ერთად ითვლებოდა სიმბოლისტური სკოლის ერთ-ერთ წარმომადგენლად საქართველოში.

1916 წელს გ. ლეონიძემ გამოსცა ლიტერატურული კრებული „საფირონი“, ხოლო 1923 წელს მისი რედაქტორობით გამოვიდა კვირეული სალიტერატურო გაზეთი „ბახტრიონი“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გ. ლეონიძე მუშაობდა ჟურნალებში: „გრდემლი“, „დროშა“, აგრეთვე „წითელარმიელი“, „საქართველოს ეკონომისტი“, როგორც ამ ჟურნალების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რედაქტორის მოადგილე. 1931 წელს სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ორგანიზაციის საქმეს. ამ მუზეუმის ხელმძღვანელად იყო იგი 1953 წლამდე. 1934—35 წლებში ლეონიძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, როგორც უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და პასუხისმგებელი მდივანი კრებულისა — „ლიტერატურული მემკვიდრეობა“. 1936 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე, სხვა ქართველ პოეტებთან ერთად ლეონიძემ ლექსად გამოთქვა საქართველოს მშრომელთა წერილი; 1941 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია; 1936 წელს არჩეულ იქნა საქართველოს საგანგებო მერვე ყრილობის დელეგატად; 1940 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გ. ლეონიძე დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1941 წელს — ლენინის ორდენით. 1949 წელს, 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ფართოდ აღინიშნა პოეტის იუბილე და ამ თარიღის აღსანიშნავად ის მეორეჯერ იქნა დაჯილდოებული ლენინის ორდენით. ამავე წელს ლე-

ონიძეს მიენიჭა სახელმწიფო პრემია სცენარისათვის „ჯურღაის ფარი“, ხოლო 1952 წელს — პოემებისათვის „ფორთოხალა“ და „ბერშოულა“.

გ. ლეონიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს 1946 წელს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი იყო 1959—1966 წწ. გ. ლეონიძე მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი იყო დაარსებიდან გარდაცვალებამდე, ხოლო თავმჯდომარე — 1951—1954 წწ.

1949 წელს გ. ლეონიძემ, როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრმა, იმოგზაურა და მშვიდობის დაცვის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. ამ მოგზაურობამ გაამდიდრა პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფია ახალი შთაბეჭდილებებით. ამას მოჰყვა ლექსების მთელი ციკლი უნგრეთის შესახებ: „სიტყვას ამბობს იანოში“, „მშვიდობისათვის“, „ხიდი“, „შიო“, „ბიძინა ბუქურაული“ და სხვ. აქ ნათლად ჩანს ჩვენი ხალხისა და პროგრესული ძალების მისწრაფება მშვიდობისაკენ, ხალხთა თავისუფლებისაკენ. გ. ლეონიძე აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა, როგორც მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი ლეონიძე გარდაიცვალა 1966 წელს. იგი დასაფლავებულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

*

გიორგი ლეონიძის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1911 წელს ჟურნალ „სინათლეში“, ამას მოჰყვა ლექსების მთელი ციკლი „განათლებაში“ და „თეატრსა და ცხოვრებაში“. ეს პირველი ლიტერატურული ცდები მისი ყმაწვილობის წლებს ეკუთვნის. ამ ლექსების ავტორი 14—16 წლის ყრმა არის, მაგრამ აქ უკვე მოჩანს ერთგვარი პოეტური გემოვნება და ორიგინალური წერის მანერა.

გიორგი ლეონიძის პოეტური ფორმირება რეაქციის ეპოქისა და პირველი მსოფლიო ომის წლებს დაემთხვა. ამ შავბნელმა ეპოქამ თავისებური გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე. ცნობილია, რომ სწორედ რეაქციისა და მსოფლიო ომის ეპოქაში პოვა თავისებური ნიადაგი და განვითარება ქართულ ლიტერატურაში ბურჟუაზიულ-დე-

კადენტურმა მიმართულებებმა. ვერც გიორგი ლეონიძის ყრმობის პერიოდის ლექსები ასცდენია დეკადენტური, სიმბოლისტური ლიტერატურული სკოლების გავლენას, მაგრამ აქ საჭიროა რამდენიმე განმარტება.

გიორგი ლეონიძე თავისი პოეტური ყმაწვილობის პერიოდის ლექსებში, უპირველეს ყოვლისა, საზრდოობდა კლასიკური მწერლობის მიღწევებით. იგი პირველი ლიტერატურული ცდებით გამოეხმაურა XIX საუკუნის ქართული პოეზიის შესანიშნავ ტრადიციებს და სცადა ამ გზით დაკავშირებოდა ქართული მწერლობის ძირებს. გიორგი ლეონიძის პოეზიის ამ პერიოდის თემა, ისე როგორც მთელი ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი თემა, პატრიოტიზმია, რომელსაც პოეტი თავისებური რომანტიკული განწყობილებით გამოხატავს. გიორგი ლეონიძემ თავისი პირველი ლექსი უძღვნა საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთას და მასში ნათლად გამოხატა პოეტის პატრიოტული თავდადება საქართველოს გმირული წარსულისადმი. ამ პერიოდის ბევრ ლექსში გაისმის ერთგვარი მებრძოლი ხმაც, რითაც ის სიცოცხლის სიყვარულს და ქვეყნის განახლებას უმღერის. ლექსში „გულს“ ყრმა პოეტი წერს:

სიცოცხლე სდევნის სევდის აჩრდილსა,
სიცოცხლე სდევნის არარაობას,
სიცოცხლე მიწის გვირგვინი არის...

სიცოცხლისა და ამქვეყნიური ყოფის მომღერალი პოეტი მეორეგან ასე გვიხატავს მომავლის რწმენას:

რა უყოთ, თუ შემოდგომით სევდით ყველა იმოსება,
ოქროს ჰანგად გაზაფხულზე გაიშლება მიწის ქება.

ამ რეალისტურ კონცეფციას გიორგი ლეონიძე თანმიმდევრულად იცავს პატრიოტულ თემებშიაც. იგი ხშირად ამბობს, სამშობლოს ქებას ვიტყვიო, ხოლო ვაჟა ფშაველასადმი მიძღვნილ ლექსში — „მზიურ ვაჟას“ პოეტი წერს:

ჩვენ ვუმზერთ განთიადს...
მოდის ცეცხლებრ მგზნებარე,
შენ კი მისი ლოდინით
ბნელ ღვიმეს მიებარე.

მეტად საგულისხმოა ერთი ფაქტი: 1914 წელს გიორგი ლეონიძე „თეატრსა და ცხოვრებაში“ ბეჭდავს წერილს — „ქართველი ქალი“, რომელსაც ეპიგრაფად ილია ჭავჭავაძის სიტყვები აქვს წამძღვარებული: „ქართვლის დედაო, ძუძუ ქართვლისა, უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“ და შემდეგ გიორგი ლეონიძე წერს: „ქალი იყო საქართველოს ცხოვრების მაგარი სვეტი... ქართველი ქალი ისეთ შვილებს ზრდიდა, რომელნიც დიდებული დროშის ქვეშ ამაყად გაიძახოდნენ: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. მაგრამ დრო შეიცვალა, ჩვენი ცხოვრების ჩარხი უკუღმა დატრიალდა და ქართველმა დედამაც ანაზდეულად აუხვია თავის მოვალეობას“. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას ოპტიმისტურ, პატრიოტულ ტრადიციებზე აღზრდილი მწერალი მაინც არ კარგავს იმედს და ასე ამთავრებს ამ საინტერესო წერილს: „ვხედავ რა ორიოდე „ძველებურ ქართველ დედებს“, გული მევსება ახალი იმედით, საუკეთესო მომავლისა... ეტყობა, რომ ქართველი დედა ისევ მოგვიბრუნდება და ისევ გააცოცხლებს დღეს ჩამკვდარს, გმირულ ბუნებას“. თუ ჩვენ აქ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს სტრიქონები ეკუთვნის 15 წლის ყრმა პოეტს, მაშინ უფრო ნათელი გახდება, თუ იმთავითვე გიორგი ლეონიძის პოეტურ ფორმულირებაში როგორი მტკიცე ნიადაგი ჰქონდა ქართული კლასიკური მწერლობის რეალისტურ ნაკადს. ასეთივე ოპტიმისტური განწყობილება გამოხატა პოეტმა 1914 წელს დაწერილ ლექსში — „მეცა მწამს“:

მეცა მწამს... მეც ვიცი, დრო დაგვიდგება
სამარადჟამო სიხარულისა, —
არწივის ფრთებზე განიავდება
სევდა, ვარამი ობოლ გულისა
და ნანგრევებზე აღიმართება
ტაძარი ტურფა სიყვარულისა.

ეს ეროვნული თემები, ეს ნათელი რეალისტური კონცეფცია ჰქონდა ალბათ მხედველობაში ვაჟა ფშაველას, როდესაც მან დამწყებ პოეტს გიორგი ლეონიძეს აღფრთოვანებული ლექსი უძღვნა. ქართული კლასიკური მწერლობის ეს ბუმბერაზი იგონებდა თავისი სიჭაბუკის დროს, მტირალი სამშობლოს ბედს, როდესაც იგი ეძებდა ქვეყნის დამხსნელ ძალებს და ვერ პოულობდა ამგვარ გმირებს. ახალა კი გამოჩნდნენ ეს გმირებიო:

დღეს ვხედავ, გაჰმრავლებიან
მშობელ ქვეყანას შვილები,
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები.
მირჩება წყლული გულისა,
ვყუჩდები ანატირები.

ასე დაულოცა დიდმა მწერალმა ყრმა პოეტს გზა და მასში თავის თაობის პატრიოტული იდეების გამგრძელებელი დაინახა. ეს ასეა, მაგრამ ეს თემები და მოტივები გიორგი ლეონიძის რევოლუციამდელი შემოქმედების მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ის არის, რომ გიორგი ლეონიძე ვერ ასცდა ამ პერიოდის დეკადენტური ლიტერატურის გავლენებს. ისევე, როგორც ამ პერიოდის პოეტების: გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, ალექსანდრე აბაშელის პოეზიაში, ლეონიძის შემოქმედებაშიაც უხვად გვხვდება სევდის, მისტიკის, უიმედობის განწყობილებანი. სევდით დაავადებული გული პოეტისა მიწაზე ვერ პოულობს შვებას და ზეცას მიმართავს ვედრებით, რომ სიკვდილის ბრჭყალებში გამომწყვდეული პოეტი მიიღოს და იქ დაუმკვიდროს ბინა. სევდის მგოსანს ასე ეხატება მომავალი:

დაჰკრავს წამი და გამიელვებს
პირმახვიანი სიკვდილის ცელი,
უსაზღვრო სოფელს მოვწყდები ისე,
ვით შემოდგომით ვერხვის ფურცელი.
მე წავალ იქით, სითაც მოვსულვარ,
სად იმყოფება ბინა სულისა,
და ამ მიწაზე დარჩება მხოლოდ
ობოლი ცრემლი სიყვარულისა.

ასეთი განწყობილების გამომხატველი ლექსები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში უხვად გვხვდება ლეონიძის შემოქმედებაში:

ჰე, გულმა ჩემმა ვერვინ შეიტკბო,
ვერ შეიყვარა, ვერ შეითვისა,
კაეშნით დამწვარს და ამაღლებულს,
ჯერ არ უგრძვნია ალერსი სხვისა.
ისიც იმღერე, თუ ასე ადრე
ვით შთაესახა გულს შემოდგომა.

(„შემოდგომის ცრემლი").

მეორე ლექსში კი პოეტს გამოეცხადა სევდის ღმერთი, რომელმაც ჩააქრო ნაპერწკალი რწმენისა და იგი მოთქვამს:

> კვლავ ვნაღვლობ... კვლავ მარტო ვარ,
> მენატრება სხივი მზისა.
> არცა სატრფო მეგობარი,
> ჩამესახა სევდა ცისა.

უიმედობის გამოუვალ რკალში მოქცეული პოეტი კითხულობს — „სად იწყება დასაბამი, დასასრული სად თავდება“? მაგრამ პასუხს ვერ პოულობს. ამგვარი განწყობილებით შეპყრობილი პოეტი ადვილად უმეგობრდება სიმბოლისტების ჯგუფს — „ცისფერყანწელებს“, რომლებიც ამ წლებში გამოდიან ქართულ ლიტერატურაში. ეს სკოლა ხელს აღმართავს ქართული რეალისტური ლიტერატურის წინააღმდეგ, დაუფარავად და პირდაპირ ქადაგებს სიკვდილის, ბოჰემის, ლოთობის, სიმახინჯის კულტს. ისინი თავიანთ სულიერ მამებად, წინაპრებად თვლიან ფრანგ სიმბოლისტებს — ვერლენს, არტურ რემბოს, ბოდლერს, სტეფანე მალარმეს და სხვ. გიორგი ლეონიძე ამ მოდერნისტების, დეკადენტების წრეში ხვდება და თავისებურ ხარკს უხდის ამ სკოლას. ლეონიძეს, ბოდლერის მსგავსად, სიცოცხლის მიზნად ეჩვენება: „ითვრებოდე მარად, ითვრებოდე დღე-ღამ ღვინით, რომ არ გახდე მონა ჟამისა“. მეორეგან იგი ცდილობს თავი იმართლოს თავისი აზიურობით ფრანგი დეკადენტების წინაშე და სწორედ „აზიურობაში“ მოძებნოს სიმბოლიზმის დასაბუთება. ლექსში „ავტოპორტრეტი“ იგი წერს:

> არტურ რემბოსთან ბოროტ ტყეპად ჩახუტებული,
> მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე.

ამგვარივე განწყობილებას გადმოგვცემს პოეტი ლექსებში — „მზე ტაბასტა“, „ოდა პიკასსოს“, „ლიტანია“. ასე შეეგუა გიორგი ლეონიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში ორი, ერთმანეთის გამომრიცხველი, საპირისპირო განწყობილება. ერთი მხრით, ქართული რეალისტური სკოლის კლასიკური ნაკადი და, მეორე მხრით, სიმბოლისტური, მოდერნისტული სკოლის მოტივები — ასეთი იყო ის წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი გზა, რომელსაც ადგა გიორგი ლეონიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის.

ნამდვილ, ჭეშმარიტ პოეტად გიორგი ლეონიძე საბჭოთა ეპოქამ აქცია. საბჭოთა ეპოქის გარეშე გიორგი ლეონიძე უმნიშვნელო დეკადენტ პოეტად დარჩებოდა. გიორგი ლეონიძემ ძველ იდეურ ტვირთს თავი დააღწია, გაარღვია კამერული პოეზიის ჩარჩოები და „ცისფერყანწელ“ პოეტთა შორის ერთმა პირველთაგანმა მიაშურა საბჭოთა ლიტერატურის პოზიციას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ჟურნალ „ბახტრიონში“ იგი წერდა: „საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავზე ტირილი“, და მართლაც, გიორგი ლეონიძის პოეტური ბუნებისათვის, მისი მგზნებარე, ვაჟკაცური ხმისათვის სრულიად შეუფერებელი იყო კამერული პოეზიის პლატფორმა. გიორგი ლეონიძემ თანდათან შეიგრძნო საბჭოთა ეპოქის სიდიადე და მნიშვნელობა. მან ალღო აუღო ჩვენი ქვეყნის აღორძინების და განახლების იმ გზას, რომელზედაც იგი საბჭოთა ხელისუფლებამ შეაყენა. განახლებული ქვეყნის სიდიადით მოხიბლული პოეტი 1926 წელს ლექსში — „თუკი ვცოცხლობ, სიმღერების იმედით“ — წერდა:

მე მაჟრჟოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე, ცეცხლი ცეცხლზე მოება,
დავინახე, მეხმა როგორ დააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება.

პოეტი ამ ახალი ეპოქის მომღერლად თვლის თავის თავს და პატრიოტული სიამაყით აცხადებს: „ლეონიძე, ამ დღეებს უდარაჯეო“, და მთელი მისი შემოქმედება, მთელი მისი შემდგომი პოეტური გზა ამ გულწრფელმა განცხადებამ განსაზღვრა. პოეტი გაიმსჭვალა თავისი ეპოქის მოწინავე იდეებით, გამარჯვებული სამშობლოს სიყვარულით და მისი პოეტური სიტყვაც სოციალისტური სამშობლოს გზას დაუკავშირდა. გიორგი ლეონიძემ მთელი თავისი მგზნებარე ხმით უმღერა ახალ ცხოვრებას. პოეტი თავის მოწოდების საგნად თვლის:

ულამაზესი მხოლოდ ის არის
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
ადიდებული, დამწიფებული:
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
დღევანდელი დღის პასუხმგებელო,
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიაში!

მიწას არ ახსოვს დღეს სხვა პოეტი,
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში.

გიორგი ლეონიძის ლირიკის ძირითად თვისებად იქცა ბრგე, ხალისიანი სიცოცხლისა და ბრძოლისაკენ მომწოდებელი ხმა, ჩვენი საბჭოთა ადამიანის გულგაშლილი, ოპტიმისტური აზრისა და განწყობილების, ნათელი რწმენისა და იმედის გამომხატველი. ეს არის სიმღერა გამარჯვებისა, სიმხნევისა, ვაჟკაცობისა, თავდადებისა, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის რწმენით ამღერებული ომახიანი ხმით რომ ეღერენ. გიორგი ლეონიძე კარგად ხედავს იმ განსხვავებას, რომელიც ქართველი ხალხის წარსულსა და მის დიდებულ აწმყოს შორის არსებობს. იგი მთელი სიძლიერით განიცდის განახლებული სამშობლოს „თავდახსნილობას". მრავალი საუკუნის მანძილზე ჩვენი სახელოვანი წინაპრები გმირულად იბრძოდნენ სიტყვით თუ საქმით საქართველოს განთავისუფლებისათვის; ქართული სიტყვის ცნობილი ოსტატები ოცნებობდნენ ქართველი ხალხის მომავალზე, ისინი შეხაროდნენ და უმღეროდნენ მომავალ საქართველოს, თავისუფალ საქართველოს, მაგრამ ამ ოცნებას ბნელით მოცული სინამდვილე წამლავდა სევდით და ვარამით. იყო მწარე გათიშვა ოცნებასა და სინამდვილეს შორის.

გზა ქართველი პოეტის
ასე გაგვიგონია,
ცრემლს აკმევდა აკაკი
და გმინავდა ილია.
გულს გლეჯდათ კაპოეტი...
მათი სახე ცრემლების
თოვლით დაბარდნილია.

ქართველი ხალხის, მისი მოწინავე ადამიანების ოცნებამ მხოლოდ ჩვენს ეპოქაში შეისხა ხორცი; სოციალისტური რევოლუციის შედეგად შეიცვალა ჩვენი სამშობლოს სახე. აღორძინდა და განახლდა იგი. ამასთან ერთად, შეიცვალა პოეტის ბედიც:

მხოლოდ ჩვენ შეეესწარით,
ვით გაზაფხულს მერცხალი,
ჩვენ, უცრემლო თაობა,
ცოცხალ გმირთა მგოსნები
და კალმითა ნესტარით
ქართულ სიტყვის მვერცხლავი

საფლავების წყვდიადში
აღარ ივლის ოცნებით.

პოეტი შეხარის სამშობლოს ხელმეორედ დაბადებას. ეს ახალი სოციალისტური სამშობლო არის პოეტის ოპტიმისტური განწყობილების დაუშრეტელი წყარო:

გულის ნათელი მე მიპოვნია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი.
სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი.

გიორგი ლეონიძე გულწრფელი სიმღერით უმღერის ხალისიან და მზიურ სამშობლოს, საუკუნეებრივი მონობის, ყმობის გადაშენებას:

ვიმღეროთ, ძმებო, შრომის მშვენება,
ქვეყნის სიმდიდრე და ავსილობა, —
ვიმღეროთ ბნელის გადაშენება,
ვიმღეროთ ჩვენი თავდახსნილობა.

პოეტი ქმნის სოციალისტური სამშობლოს თვალწარმტაც სურათს, რათა აჩვენოს მთელი სიდიადე ამ ახალი ცხოვრებისა. იგი აღადგენს წარსულის შავბნელი ცხოვრების დამახასიათებელ მომენტებს და კონტრასტების გზით აღწევს, ამ დაპირდაპირებათა ფონზე გამოხატოს სრულყოფილობა და სიდიადე ახლისა, ჩვენი თავისუფალი, აღორძინებული სოციალისტური სამშობლოსი, აი ძველი ცხოვრების ერთი სურათი:

ცას აბნელებდა კვამლების სისქე,
ძირს მიწა ყარდა კაცის მძორითა
და კავკასიის ბედნიერ მზის ქვეშ
აკვნის რიცხვს — კუბოს რიცხვი სწონიდა.

ასეთი იყო ჩვენი წარსული ცხოვრების გულისმომკვლელი სინამდვილე. მაგრამ ქართველი ხალხი არ ურიგდებოდა თავის მწარე ხვედრს, იგი იბრძოდა გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ.

გიორგი ლეონიძის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ხალხის წარსულის თემას. მწერალი იჩენს დიდ ცოდნას ამ წარსულისას, ცოცხალ, მართალ სურათებში აღადგენს, აცოცხლებს გარდასულ ისტორიას. პოეტი ძველ მინაწერებში, სიგელებში ეძებს ცნო-

ბებს ჩვენი ხალხის წარსულის შესახებ და შემდეგ მას დიდი სიმართლითა და ღრმა პოეტური ძალით აღწერს. აი, პოეტს ამოუკითხავს ასეთი ცნობები: „ესე ქვეში (სოფელია ქართლში — გ. ლ.) სრულიად უსჯულოთაგან ამოწყუედილი და აოხრებულ არს... არა თუ სულიერი კაცი იპოვებოდეს, ყოველივე შენებულება არ იპოვების“ 1443 წ. სიგელი თაყა ზევდგინიძისა.

...„გებრძანებინათ, კასპსა შენობას ვაპირობთო... კასპელი კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილია“. 1740 წ. წერილი ამილახვრისადმი.

ჩვენი ხალხის წარსულის ეს უკუღმართი ბედი ასე გამოუხატავს პოეტს თავის ლექსში — „ქართლი“:

ვინ დაგაღამა, ვინ დაგასისხლა,
და შენს აკლებას, ცემას, გვემათა,
ამოწყვეტილო, გავერნებულო,
ვისი რა ტანჯვა გადაემატა.

ქართველი ხალხის ისტორიული თავგადასავალია აღწერილი ლექსებში: „მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას“ და „ქართლის ცხოვრება“. ეს ორი ლექსი არსებითად ერთი მთლიანი ნაწარმოებია, მათ აკავშირებს არა მარტო საერთო თემა, არამედ საერთო სტილიც. „ქართლის ცხოვრებაში“ პოეტი გვაძლევს ქართველი ხალხის ისტორიული ბედის აღწერას. ამ ტრაგიკული მოთხრობიდან თითქოს ისმისო ტყვეების გოდება, გადამწვარი სოფლებისა და ქალაქების, უმწეო ადამიანების კვნესა, უპატრონოდ შიტოვებული ქალებისა და ბავშვების ვაება, საქონლის ბღავილი. თუ ეს წიგნი, ერთი მხრით, არის ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლის, „დევკაცთა ნამამაცარი“, მეორე მხრით, „ის მკვლელობისა და ვაების“ ისტორიაცაა:

გაშალე, ყველა ფურცელი
არის ფოლადის ნაცარი,
დამსხვრეულ ხმალთა ჟღრიალი,
დევკაცთა ნამამაცარი.
გაშალე, ყველა ფურცელი
გულზე ნაწოლი ლოდია...
დოლბანდიანი ჯარები
სიკვდილის პირით მოდიან.

ამიტომაც ქართველებმა თავიანთი ტრაგიკული თავგადასავლის ისტორიას „ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს — უწოდეს „ქართლის ცხოვრება“.

მეტად ძლიერია და ამაღლებული ის შთაბეჭდილება, რომელიც პოეტს მიუღია წარსულის ამ მრისხანე სინამდვილიდან. იგი, აღშფოთებული და თავბრუდახვეული, ასე გადმოგვცემს თავის განწყობილებას:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!
გამოვვარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარიან, რომ ისევ დგეხარ.

დიდ განსაცდელს გამოვლილი ქალაქის ისტორიის მოგონებისა და მით გამოწვეულ გულის ტკივილს აქ ცვლის თანამედროვეობის ოპტიმისტური სურათი.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ამგვარი კონტრასტული ხერხით გამოკვეთა აღორძინებული და დიდებით მოსილი აწმყოს სურათებისა. ამ გზით პოეტი საქართველოს მთელ ისტორიაში ყველაზე ჭეშმარიტ ეპოქად, თავისუფლებისა და ხალხის ბედნიერების ისტორიად საბჭოთა ეპოქას მიიჩნევს.

*

გიორგი ლეონიძის პოეზიის მთავარი თემაა საბჭოთა სინამდვილე, სოციალიზმის ქვეყნის ცხოვრება და ამ ახალი ცხოვრების შემქმნელი, მისი სიკეთისა და დოვლათის შემოქმედი საბჭოთა ხალხი.

პოეზიას არასოდეს ჰყოლია ასეთი გმირი ხალხი. პოეტი თავის თავს „ცოცხალ გმირთა მგოსანს“ უწოდებს. გმირების „რიცხვი ზღვა არის“, „ჩემო მეზობლებო, ტოლებო და სწორებო“, სოციალისტურმა სამშობლომ წარმოშვა გმირთა ეს მილიონები, რომლებიც სასწაულებს ახდენენ. მათი მხატვრულად გამოსახვა ადვილი როდია. გიორგი ლეონიძემ შექმნა მთელი ციკლი ლექსებისა ამ თემაზე. პოეტი დიდი გულწრფელობით, პოეტური უშუალობით და მრავალფეროვნებით ხატავს ხალხის შემოქმედებითს შრომას. ლეონიძეს შეგნებული აქვს, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი მიღწევა, ჩვენი სამშობლოს ყოველი წარმატება დაკავშირებულია მშრომელ ხალხთან. ლეონიძის გამარჯვება იმაშია, რომ ამ

ციკლის ლექსებისათვის მან მონახა ორიგინალური, ინდივიდუალური ხმა, შექმნა მდიდარი და დამოუკიდებელი მხატვრული სახეები.

გ. ლეონიძემ კარგად იცის, რომ ყოველი ჩვენი ქვეყნის მიღწევა, მისი ძლიერება და სახელი ხალხის შრომას უკავშირდება:

ამიყვავეთ სამშობლო,
დარღვეული, ნაშალი,
ამიყვავეთ მინდერები —
ქალაქი და სოფელი.
თქვენი ძალა ჩემია,
ჩემი სიტყვის გამწევი,
ვქმნიდეთ ერთად ცხოვრებას
გმირები და პოეტი.

(„გმირი და პოეტი").

შესანიშნავად არის გამოხატული ხალხის და საბჭოთა პოეტის ინტერესთა, აზრთა და განწყობილებათა ჭეშმარიტი ერთიანობა ამ პოეტურ სტრიქონებში. გიორგი ლეონიძე პოვებს ნათელ შედარებებს, ძლიერ ეპითეტებს, რომ გამოხატოს ამ დიდი საქმის მართალი სურათი. პოეტის განუყოფელი კავშირი საბჭოთა სინამდვილესთან, ხალხთან, ჩვენს სამშობლოსთან დიდი გზნებით გამოხატა პოეტმა ლექსში „რაიკომის მდივანი".

ჩვენ ხომ ერთმანეთს შევზრდილვართ,
ორნივ ხომ ერთ კვალს ვღარავდით,
შენ შეირუჯე მინდორში,
მე — ლექსში გავჭაღარავდი.
შენ რთველს და კალოს ამზადებ,
ჩემს გულში ლექსი ხვავდება,
თუ შენ იმარჯვებ, სამშობლო
ხვალ უფრო ამოყვავდება.

გ. ლეონიძემ დიდი ხელოვნებითა და გულმხურვალებით გამოხატა რიგითი საბჭოთა ადამიანების შრომა და თავდადება სამშობლოს ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის. ამავე დროს, პოეტმა მადლიერების გრძნობით უმღერა კომუნისტურ პარტიას, მთელი ჩვენი მიღწევების სულისჩამდგმელსა და მეთაურს (მოვიგონოთ ლექსები „კომუნისტურ პარტიას", „ყრილობის დელეგატს" და სხვ.). გ. ლეონიძის ლირიკულ ლექსებში დიდი ადგილი ეთმობა კომუნისტური პარტიის დიდი ბელა-

დის — ლენინისა და მისი მოწაფის — სტალინის სახელისა და ღვაწლის გამოსახვას.

დიდი ლენინის სახე შესანიშნავად არის გამოხატული გ. ლეონიძის ლექსში „ლენინი". ლენინის საქმის უკვდავების იდეა ასეთ მოხდენილ მხატვრულ სახეებშია გადმოცემული:

> თუ გძინავს, — ღვიძავს შენს სახელს,
> უფხიზლეს ქარიშხალისა,
> თუ გძინავს, — ღვიძავს შენს საქმეს,
> უმხნეს მოქნეულ ხმალისა.

მეტად ორიგინალური პოეტური ხერხითა და მდიდარი საღებავებით არის გამოსახული ვ. ი. ლენინის სახე გ. ლეონიძის მეორე ლექსში — „ლენინი საქართველოში".

სტალინისადმი მიძღვნილი ლირიკული ლექსებია: „სტალინს", „სტალინის სურათზე", „სიმღერა ბელადზე", „ბელადს და მთავარსარდალს", „საბჭოების მერვე ყრილობის დელეგატის მოგონება", ამ ლექსებში ზოგჯერ გაზვიადებულად, გადაჭარბებულად არის წარმოდგენილი სტალინის როლი, სახოტბო პოეზიის კვალი აშკარად მოჩანს ამ ლექსებში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლეონიძე დიდი სიყვარულით და მონდომებით მუშაობდა ამ თემაზე. იგივე უნდა ვთქვათ გ. ლეონიძის პოემის — „სტალინის" შესახებ. ეპოპეის ეს პირველი წიგნი სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლებს ასახავს. იგი სამი ნაწილისაგან შედგება. არსებითად კი მთელი ეს წიგნი კრებულია ლირიკული ლექსებისა, რომელთაგან ბევრს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. პოემის პროლოგში დახატულია საქართველოს ბუნების რელიეფის მონუმენტური სურათი და ამ ფონზე ნაჩვენებია ქართველი ხალხის გაუტეხელი ეროვნული სულის და ნებისყოფის სიდიადე. ამ სურათის აღწერას პოეტი უკავშირებს ხალხურ ლეგენდას ამირანის შესახებ, რომელმაც ხალხს სინათლე შეაყვარა და ასწავლა ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ.

პოემაში საქართველოს ბუმბერაზი მთების აღწერას ცვლის ქართლის თვალწარმტაცი პეიზაჟები. ქართლის ნოყიერი ბუნება, მისი მრავალფეროვანება და სურნელება აქ დიდი ოსტატობითაა დახატული. აქ განსაკუთრებით გამოირჩევა დიდი ლირიკული ექსპრესიით დაწერილი ლექსი: „ქართლის ბალი".

ბრწყინავს ქართლი, ვარდის ბაღი,
შეფრქვეული მინანქარით,
იაგუნდის წვიმა დასწვიმს,
სურნელების დაჰქრის ქარი.
ელავს ბაღი — ხოხბის ყელი, —
შვიდ მაისის წვიმით მთვრალი,
მთებს და ველებს დასთამაშებს
გაზაფხულის მწვანე თვალი.

გ. ლეონიძე აქვე გვაძლევს იმ ეპოქის სოციალურ და პოლიტიკურ დახასიათებას, როცა კომუნისტური პარტიის მანიფესტის ავტორთა სიტყვით რომ ვთქვათ, აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისაა. ეს არის ეპოქა, როდესაც რევოლუციის ძალები ირაზმებიან, ეს ის დროა, როდესაც ლენინის გენიის ნაყოფი ლენინიზმი საქართველოში შეაღწევს.

ცალკე ლირიკულ ლექსებში გ. ლეონიძე ახერხებს დაგვიხატოს ის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ფონი, რომელშიაც ყალიბდებოდა ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეები საქართველოში. ყოფაცხოვრებითი მასალის ღრმა ცოდნით, ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გათვალისწინებით აღბეჭდილია ამ ლექსებში ეს სურათები. ამ მხრივ საინტერესოა „ძეობა". გლეხი, მეტივე, მჭედელი, მეჭურჭლე, თერძი, ხურო თუ მესტვირე და, ამასთან ერთად, რკინიგზელი მუშა, — აი ის სოციალური წრე, რომელსაც პოეტი აღწერს. ისინი ერთნაირად განიცდიან ჩაგვრას, დამცირებას და შეურაცხყოფას და ერთნაირადვე შესჩივიან ბედს. მათ აწუხებთ კითხვა:

ღობეე, რადა ხარ დაბალი,
მდიდარის გადასათელი,
რად ვერ ანათებს ღამეში
ღარიბი კაცის სანთელი.

არა მარტო გლეხს აქვს „შიმშილი და სიღარიბე, ქალთაში გახვეული", არამედ — ასევე მჭედელსაც, რომელიც გახურებულ რკინას კვერავს, მაგრამ დაბერდა და შრომით ლუკმა ვერ უშოვნია, — მეჭურჭლესაც, რომელიც „თიხას ზელს და ჯამს აკეთებს" და მაინც ჯამი ცარიელი აქვს, — თერძსაც: „ბედმა ახალუხზე სიღარიბე დააკერა". მწარედ შესჩივიან ბედს შრომისაგან წელში მოხრილი ულუკმაპურო მშრო-

მელები და გამოსავალს ვერ პოულობენ. თითქოს მათში გამონაკ-ლისია რკინიგზელი მუშა, რომელმაც იცის:

ძაღლის პურს ვჭამთ, მეზობლებო,
სისხლით არის გამომცხვარი,
გვკრეჭავენ და ხმას ვერ ვიღებთ,
ვით პარსვის დროს ბაკში ცხვარი.
მარტო ვხვნეშით ფეხშეკრული,
ვინ მოიგო ხვნეშით ბრძოლა?
ძმებო, გვეყო, არა კმარა
მჩაგვრელების ფეხქვეშ წოლა!
იცოდეთ, რომ ჩვენს ხელთ არი
ჩვენი ბედის გამარჯვება,
გუბე ნაპირს გადაჰხეთქავს,
ერთ ალაგას არ დარჩება!

მუშის ამ ოპტიმისტურ შეხედულებას მომავალზე რწმენის განწყობილება შეაქვს ხალხში, და „სინი რწმუნდებიან, რომ „მონობის და ტანჯვის მსხვერპლი“ ხალხი აღდგება, მას გაუძღვება ახალგაზრდობა და ბრძოლით მოიპოვებს მომავალს.

გიორგი ლეონიძეს აქ სწორად აქვს წარმოდგენილი ჩვენი წარსულის სურათები. მთელი ჩვენი ისტორია წარსულში იყო უსამართლობის, მშრომელი ხალხის მონობისა და ჩაგვრის ისტორია. წარსულის ეს მწარე სოციალური სურათები პოემაში ბევრგან არის წარმოდგენილი. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „არწივის ფრთები“. ჩვენი ქვეყანა მშრომელთა ჯაფითა და მხნეობით, ჭრილობისაგან დამსკდარი თითებით არის ნაშენები. ხევებში თხრიდნენ მადნეულს და „ასე სწურავდნენ ზოდებად ოქროს“, კოშკებს აგებდნენ ცათამდე, ჯოგს აშენებდნენ, გზებს ჭრიდნენ, მათი ოფლის ნაწვიმარით მორწყულია მთა და ბარი. მაგრამ მშრომელ ხალხს წინათ შიმშილი და სიღატაკე არ შორდებოდა. მათი ნაშრომი ბატონებს, მჩაგვრელებს მიჰქონდათ. „გადასახადი ზღვა იყო, ბატონი დაუდეგარი“, და მშრომელებს „ხმიადიც არ ჰქონდათ, ლობიო ამოქინძული“.

კომბალს ეყუდნენ,
ვაზის რქას,
გუთნისფრთას — ღამის მთეველი.
მხოლოდ საფლავი ჰქონიათ
ბატონის წაურთმეველი.

ქართველი ხალხის მძიმე სოციალურ მდგომარეობას ზედ ემატებოდა ეროვნული ჩაგვრა. საქართველო მეფის რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა და ისედაც დაბეჩავებული ქართველი ხალხის ცხოვრებას კიდევ უფრო ამძიმებდა ეს გარემოება.

პოემაში პოეტი ახერხებს რამდენიმე პერსონაჟი დამოუკიდებელი ხასიათებითა და ფერებით წარმოგვიდგინოს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზაზა ჯუღაშვილი. ზაზა ჯუღაშვილი, ერისთავ-მაჩაბელის ყოფილი ყმა, აუჯანყდა ბატონყმობას, ადამიანის დამამცირებელ წესის ციციშვილს შეებრძოლა, „როგორც გლეხი მეამბოხე ციმბირს, ტყვიას, სახრჩობელას გადაურჩა არა ორხელ“. ეს სახელოვანი წინაპარი წიგნში ცოცხლდება, როგორც უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხის ძლიერი სახე.

გიორგი ლეონიძემ სტალინის თემას უძღვნა მეორე პოემაც „ბერშოულა“. აქაც ბევრი რამ გაზვიადებულია და გადაჭარბებული. სიუჟეტით და მოფიქრებით „ბერშოულა“ ეპიზოდური, ლირიკული ხასიათის პოემაა. აქ არის ოსტატური შერწყმა აზრის, ოცნების და სინამდვილისა. შეიძლება არც კი იყოს სინამდვილეში ამ პოემის გმირი ბერშოულა, — აქ აღწერილი ქართლის სოფელი და ბერშოულას თავგადასავალი ფანტაზიის, ლიტერატურული გამოგონების ნაყოფი იყოს, მაგრამ იმდენად ძლიერია ნაწარმოები გამომსახველობითი საშუალებებით, რომ ეს ამბავი მართლაც გჯერა.

„სტალინი“, „ბერშოულა“, „ფორთოხალა“, „სამგორი“ — ყველა ესენი ლირიკული პოემებია, პოემები, რომელთაც მწყობრი, მკაცრი სიუჟეტი არა აქვს. ასეთი ტიპის პოემები არსებობდა წინათაც. კლასიკური პერიოდის მწერლობა, რომანტიკული სკოლა უხვად იცნობს ამ სახის პოემებს. პოემის ეს ტიპი გამოყენებული ჰქონდა ქართულ მწერლობასაც. საბჭოთა პოეტებმა გააცოცხლეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს პოემის ეს ტიპი. სათავე მას სოციალისტური ლირიკის ფუძემდებელმა — ვლ. მაიაკოვსკიმ დაუდო. საქართველოში ამ ტიპის პოემები, როგორც აღვნიშნეთ, გავრცელებულია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გ. ტაბიძის „ეპოქა“, „ჯონ რიდი“, „საით მიდის რევოლუციური საქართველო“, ს. ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, ირ. აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“ და სხვ.

ლირიკული პოემები ვრცლადაა წარმოდგენილი გ. ლეონიძის პოე-

ტურ შემოქმედებაში. მეტ შემთხვევაში გ. ლეონიძის ლირიკულ პოემებს არ უძევს საფუძვლად საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების, ხასიათებისა და ტიპების ვრცელი გამოსახვა. აქ არც რეალისტური მწერლობის მიერ დამკვიდრებული ეპიკური, ლოგიკური თანმიმდევრობა ამბისა არ არის დაცული. ეს უფრო ლირიკული დამოკიდებულებაა პოეტისა საგანთან, მოვლენასთან, რომლის ცენტრში ასევე ლირიკული გმირი დგას. ასეა ეს, კერძოდ, „ფორთოხალაში“..

„ფორთოხალა“ ლირიკული, ბარტივი სიუჟეტის მქონე პოემაა. მისი გმირი ქართველი დედაა, უბრალო რიგითი მშრომელი ქართველი ქალი, ახალი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს უშუალო წინაპარი. ეს უბიოგრაფიო და უისტორიო რიგითი ადამიანია. მისი მსგავსი ათასობით და ათიათასობით იყვნენ, რომელთა ნამდვილი სახელიცა და გვარიც კი არ შემოუნახავს ისტორიას. აი ასეთი რიგითი ადამიანი, მშრომელი ქალის განზოგადებული სიმბოლური სახე გამოხატა პოეტმა „ფორთოხალაში“.

პოემა სამი ნაწილისაგან შედგება. პოემის ექსპოზიციურ ნაწილში ავტორი გვამცნობს ქართველი ქალის ამ უძველეს სახეს — ფორთოხალას. ეს გამოგონილი გმირია, მემატიანეების მიერ არსად არ არის მოხსენებული ასეთი სახელისა და გვარის მქონე ქალი. ეს ათასი წლის ამბავი პოეტის ლექსშია გაცოცხლებული და გამოგონებული, — ეს ყვითელთმიანი გოგონა „შოთას უწინ, კოლხიდაში, იზრდებოდა ბნელ ფაცხაში“. შავზღვიერი ფორთოხალას მამა მებადური იყო. ის ისე გადაყვა ოქროს თევზის ძებნას, რომ ერთი გახარებული დღე არ უნახავს. დედას მუდამ აციებდა. მათი სახლი ფაცხა წყალში იდგა ოჩოფეხებზე. იავნანას კოლო დაბზუოდა. გაჭირვებაში გამოზრდილი ქალი გათხოვდა. მალე დედა შეიქნა „ხუთი აკვანის მარწეველი“. მაგრამ სილარიბე თავიდან ვერ მოიშორა. „ხელმარტოს უნდა გებრძოლა, ვინ გყავდა ბედის თავმდებად, შენს გულზე კვნესას ვერ მოვთვლი, სიტყვის ფხა გამითავდება“ მებადურ ქმართან ერთად დღედაღამ შრომობდა, მაგრამ ჯაფა და გაჭირვება თავიდან ვერ მოიშორა. ბუნებაც. კოლხეთის ჭაობიც კვნესას და სევდას ჰმატებს ოჯახს:

უმზეო და უვარსკვლავო
ცხოვრება გვაქვს ბნელზე ბნელი,
ჭაობი ჭამს შენს მოსავალს,
და ბატონი — ბელზებელი.

ასეთ უბედურებაში გარდაიცვალა ფორთოხალა. გაქრა, იყო და აღარ არის მისი სახელი. დავიწყებას მიეცა ეს მშრომელი, პატიოსანი დედა და აი, დავიწყებამ რომ არ გათელოს მისი სახელი, პოეტს განუზრახავს ლექსში გააცოცხლოს იგი: „შენ ხომ ქოთანს უდუღებდი, პურს უცხობდი საქართველოს, შენ ჩვენო დიდო წინაპარო“.

პოემის მეორე ნაწილში აღწერილია, თუ როგორ შეიცვალა სახე კოლხეთმა, როგორ აქციეს საბჭოთა ადამიანებმა ბაღნარად ეს გაუვალი ჭაობი, ხალხმა თავისი „მარჯვენით როგორ ასწია მიწა მძინარე“ და ახალი ცხოვრების ამ ახალ ფუძეს დღეს თავისუფალი და ბედნიერი კოლმეურნე განაგებს. დავიწყებიდან გაცოცხლებული ფორთოხალა თვალით ხედავს, ყურს უგდებს, თუ როგორ შეიცვალა ცხოვრება. ეს ბედდამწვარი ქალი ასე მიმართავს თავის შვილებს და შვილთა შვილებს:

ჰეი, ჰეი, გოგოებო,
ნეტავ თქვენს დროს, თქვენს ცხოვრებას,
თქვენი მღერა მხიარული
მე საფლავში მეყურება.
მზე ჩემს დროსაც ჩახჩახებდა,
მაგრამ სახლში მედგა ღამე,
მხიარული გაზაფხული
შინ ვერასდროს შევიყვანე.

შემდეგ კვლავ გვახსენებს პოეტი ცხოვრებაში ამ უფლება და წილწართმეული ქალის სახეს. ფორთოხალა ვედრებით მიმართავს საბჭოთა ქალიშვილებს: „მოიგონეთ ფორთოხალა, შეიბრალეთ გულდამწვარი, ის გულმკვდარი ფორთოხალა, თქვენი დიდი წინაპარი, თქვენი დედა ფორთოხალა“. ავტორი კონტრასტული პოეტური ხერხით ფარდას ხდის ძველ უკუღმართ ცხოვრებასა და ახალ სოციალისტურ ცხოვრებას შორის არსებულ დიდ ზღვარს. ფორთოხალას შვილებისა და შვილიშვილების ამ ბედიერი დღეების გაცოცხლებით უფრო გულისმომკვლელია ის ბნელი ცხოვრება, რომლის მსხვერპლი ეს მშრომელი ქალი — ფორთოხალა გამხდარა.

პოემის მესამე ნაწილში ავტორი თითქოს ერთგვარი საყვედურით მიმართავს ჩვენს მემატიანეებს, ისტორიკოსებს, წარსულის ამწერლებს, რომელთაც დაივიწყეს რიგითი ადამიანები. საყვედურით მიმარ-

თავს ფორთოხალაც: მე არ ვიყავი დედოფალი, მე ვიყავი ერთი გლეხის ქალი და ამიტომ ჩემი სახელიც დავიწყებას მიეცაო:

ათასი წლის მანძილიდან
შვილურ ალერსს გაგიბედავ,
საქართველოს დიდ ცხოვრებას
შენა ქმნიდი, ტკბილო დედავ.
დიდ ვაჟკაცებს, დიდ ოსტატებს
შენი კაბის კალთა ზრდიდა,
ვინც ეტრატზე წერდა ქართულს,
ვინც ჩუქურთმას ქვაზე ჭრიდა.
საქართველოს კერის ცეცხლი
შენ გებარა გაუმქრალი,
შენ იყავი გულვეფხური,
ხაშის კაბით გლეხის ქალი.
შენი ოფლის ნაღვარალი
დღევანდლამდის არ ამშრალა.
ყველგან გნახე, დამივლია
მე სამშობლოს გზა და შარა,
მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში"
ვერა ვნახე შენი სახე.
არაფერი არ წერია
შენს ღვაწლზე და შენს შესახებ.

როდესაც გ. ლეონიძის ამ სტრიქონებს კითხულობთ, თქვენ უთუოდ გახსენდებათ დიდი ილიას სიტყვები: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა. და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. მე კი მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ისტორიაში არ ჩანს", — ასე წერდა გულისტკივილით ი. ჭავჭავაძე. და ჩვენმა დრომ, ჩვენმა პოეტებმა, დიდი ი. ჭავჭავაძის რეალისტური სკოლის პრინციპების გამგრძელებლებმა და განმავითარებლებმა, სავსებით ბუნებრივად უმთავრესი ყურადღება სწორედ ხალხს, მშრომელ ხალხს დაუთმეს, ხალხს, რომელიც ჩვენს დროში ნამდვილად არის ბატონ-პატრონი ქვეყნისა და მის მიერ შექმნილი სიკეთისა და დოვლათისა. გ. ლეონიძისა ამ პოემის დიდი ღირსება იმაშიაც არის, რომ მან ხალხისა და პოეტის ეს განუყოფელი კავშირი, სოციალისტური რეალიზმის ეს ნოვატორული თვისება მთელი სისრულით გამო-

ავლინა ამ საინტერესო პოემაში. აქ პოეტის დიდი სიყვარული ხალხისადმი, კერძოდ, მშრომელი ქართველი ქალისადმი, ჩვენი ქვეყნის ამ დედაფუძისადმი ორიგინალურად არის გამოხატული და ეს არის მისი უპირველესი ღირსება. ესაა ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ლირიკული მონოლოგი რიგითი ქართველი ქალის ბედის შესახებ წარსულში და ამ ფონზე, განახლებული და ახალი ცხოვრების ფონზე, წარმოდგენილია მშრომელი ქართველი ქალის მზიური ცხოვრება, მისი ძალა და უპირატესობა წარსულთან შედარებით. ამ ნაწარმოებს საბჭოთა პატრიოტიზმის ეს ნათელი აზრი ასულდგმულებს.

ასეთივე ხალხური საფუძვლები მოუძებნა პოეტმა თბილისის შექმნის ეპოქას პოემაში „სამგორი". აქაც საინტერესოდ არის გამოხატული მშრომელი ხალხის წარმომადგენლები, მათი ბრძოლა საქართველოს დედაქალაქის დასაცავად.

„სამგორი"ვრცელი პოემაა. აქ ისტორიულ-ლიტერატურულ მწყობრ სიუჟეტს ჩაერთვის ლირიკული ლექსები, რომლებშიაც პოეტი გვიჩვენებს ამ პოემის ცალკეულ მოქმედ პირთა პატრიოტულ თავდადებას სამშობლოსათვის. ეს პოემა პატრიოტულ-ისტორიული პოემის ნიმუშია. მის უმთავრეს პათოსს შეადგენს ხალხის თავდადება სამშობლოსათვის. პოემის ყოველი სიტყვა, ყოველი მისი მხატვრული პასაჟი, ყოველი გმირის დახასიათება ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტით არის წარმოდგენილი. ისტორიის შემომქმედი კი ხალხია, ხალხი გმირი მეფის ვახტანგის მეთაურობით. პოემა მთლიანად ხალხური პატრიოტული სულით არის გამთბარი. ძირითადი აზრი პოემისა პროლოგშია გამოხატული. პროლოგშივე ხალხური ფრაზა — ვახტანგ მეფეს „ციდან ჩამოესმა რეკა" — განზოგადოებულია. ციდან ზარი — ეს ეკლესიური, მისტიური, ზეციური ზარი როდია, არამედ თვით ხალხის გული რეკავა — ხალხის გულის ღია კარი, არც ოცნება და არც სიზმარი. გმირთა ხელით ირეკება ეს ხალხური ზარი. ზარის ხმა სიმბოლოა უკვდავების ძახილისა. მუდამ ხალხის მაღვიძარი ზარის ხმა თვით ხალხის გულის რეკვაა. მით ხალხი ფხიზლობს მუდამ მღვიძარი, დარაჯად უდგას თავის სამშობლოს, ხალხის გულის ზარს კი არხევს გმირი, ხალხის გმირი. ხალხს მუდამ ჰყოლია გმირი, ყოველ დროსა და ყოველ ეპოქას წარმოუშვია თავისი გმირი, ხალხი გულის ზარით აღვიძებდა მას, უამრავია გმირთა სახელები, უკვდავია მათი ნაამაგარი...

ხალხის ასეთ რჩეულ გმირთა რიცხვს ეკუთვნის ვახტანგ გორგასა-

ლი. პოემა „სამგორის“ უმთავრესი გმირი ვახტანგ გორგასალია. გორგასალი, როგორც ხალხის მეთაური, უჯარმისა და მცხეთის აღმაშენებელი. ვახტანგის მეფობის ხანაში, უმთავრესი კი თბილისის აშენების ისტორიაა. პოემას ორი ასპექტი აქვს: თბილისის აშენება, საქართველოს დედაქალაქად გამოცხადება და თბილისის დაცვა სპარს დამპყრობელთაგან, ქალაქის აშენებაში და ომში გამჟღავნებული გმირობა. ქართველთა მეფის ასულის პირიმზეს გვერდით ავტორს შემოჰყავს რიგითი ქართველი ქალები: რუშა, ნეშხა, განძა და სხვები. მათ შთააგონეს პირველ გმირებს და ოსტატებს, რომ საძირკველი ჩაუყარეს თბილისის კერას, საკუთარი სიცოცხლე შესწირეს შემდეგ ამ ქალაქის აშენებას და დაცვას:

აშენდი, აშენდი, ოქროს ქალაქო,
შენ საქართველოს მიწის გული ხარ,
ქართლის მომავლის დიდო სამკედლო,
დიდების სახლო გაზაფხულისა.

პოემაში ამ რიგით ადამიანებს, თბილისის აღმშენებელ ადამიანებს უმთავრესი ადგილი უჭირავთ. ისტორიულ ქრონიკებზე დაფუძნებული პოემის ხალხური ხასიათიც აქედან წარმოდგება.

პოემის დიდი ღირსება იმაშიაც მდგომარეობს, რომ ავტორმა თბილისის აშენებაში წილი დაუდო საქართველოს ყოველ კუთხეს, კახეთის, ქართლის, სამცხის, ეგრესის წარმომადგენლებს. თბილისი მუდამ იყო ერთიანი საქართველოს მეთაური, როდესაც თბილისი მკვიდრად იდგა, საქართველოც ძლიერი და ერთიანი იყო. თბილისი დაეცემოდა და საქართველოც ნიავდებოდა, საქართველოს ერთიანობის, მისი ძლიერების სიმბოლო მუდამ იყო თბილისი და აი, ავტორი პოემაში ამ ერთიანი საქართველოს, მის პირველ გამაერთიანებელ მეფის როლში გვიხატავს მეფე გორგასალს. ერთ-ერთი ცენტრალური სახე პოემაში ეგრისელი ფარნაა. ზღვისპირელი ფარნა ხუროთმოძღვარი, ფაზისის— ამ ტურფა ქალაქის აძგებელი და ამშენებელი, რომელსაც სწავლა ფაზისს, მცხეთას, რომსა და ანტიოქიაში მიუღია, ახლა თბილისის მშენებლობის ერთ-ერთი მეთაური გამხდარა:

ზღვის პირს ფაზისი, — ტურფა ქალაქი,
წარიგებული ოთხი სვეტებით...

მაგრამ თბილისი ჭაბუკ ეგრისელს
შეყვარებია თავგამოდებით.

და ასე ქართველმა ხალხმა აღაშენა თბილისი ქალაქი და მტერმაც მიზანში ეს ერთიანი საქართველოს დედაფუძე ამოიღო. საქართველოს ასაკლებად წამოსულ სპარსელებთან ომში გორგასალს გადაუწყვეტია საქართველოს დაცვაში, თბილისის დაცვაში მოკავშირედ ბიზანტია გამოიყენოს. საქართველოს იმჟამად ორი მეტოქე, ორი მტერი ჰყავდა, სპარსეთი და ქრისტიანული ბიზანტია. თავის მხრით სპარსეთი და ბიზანტია შეურიგებელი მტრები იყვნენ და ცალ-ცალკე ორივენი ცდილობდნენ საქართველო მოკავშირედ ჰყოლოდათ და აი, ბიზანტიაში გაგზავნილი გურამ ბივრიტიანი ამბავს მოიტანს უჯარმაში გორგასალთან, რომ მზად არისო ბიზანტია სპარსელებთან ომში თქვენთან ერთად დაიცვას ქრისტიანული საქართველო და მისი ახალი ქალაქი თბილისიო.

ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულებით, საქართველოს გადარჩენის იმედით გამხნევებულ ვახტანგ მეფეს, როდესაც სპარსეთი შემოუთვლის მოსპოს კავშირი ბიზანტიასთან, დაეყრდნოს სპარსეთს და დაეხმაროს რომაელების წინააღმდეგ ომში, ვახტანგ მეფე უარით უპასუხებს:

მე ფიცს არ გავტეხ, რაც რომ მივეცი,
ერთი გვაქვს ჭირის და ლხინის გზები!
ჯერ ჩვენი მოძმე გინდა დაამხო,
მერე ჩვენ მოგვდგე, ეს ვიცი ზეპირ!

მაგრამ თვით ბიზანტიამ გატეხა ფიცი და სპარსეთის მრავალრიცხოვანი ჯარის წინაშე პირისპირ დარჩა მეფე თავისი მცირერიცხოვანი ქართველი ჯარით. განსაცდელის ჟამს გორგასალი:

ქართლის გზას ზომავს,
ქართლის გზა სავალს,
გამოსავალი ვერ უპოვია.
ბევრი უხარჯავს სამშობლოსათვის
აზრი ძლიერი, ღონე მდევური.
ისევ იმედით მდიდარ მომავალს
შეჰყურებს მეფე ხანმოწეული.

ქართლის, კახეთის რჩეულ ვაჟკაცებთან ერთად იბრძვიან ეგრისელთა ათასი კაცი, რომელსაც წინამძღვრობს ეგრისის სეფეწული. „არმაზის,

ჰერეთის, ეგრისის დროშები ამაღლდნენ ორბივით". ამ ერთპირად შეციფულ ქართველ მეომართა შორის აღმოჩნდა გამყიდველი, მოღალატე მეფისა და საქართველოსი, ჯერ იყო შარაველმა პიტიახშმა გაყიდა მეფე, ხოლო მზაკვრული ხერხით მოსყიდულმა მეფის მეაბჯრე გაგამ ისრით განგმირა ვახტანგ მეფე. მაშინ, როცა გამარჯვება მოახლოებული იყო, ვახტანგი მტრის კარავში შეიჭრა და შაჰინშას შვილს ხმლით თავი წააცალა. სწორედ ამ დროს გაგამ გახეულ რკინის პერანგში მოარტყა ისარი. ავტორს ღრმა ლირიკული აღსარებით აქვს გადმოცემული მეფის სიტყვები სიკვდილის წინ წარმოთქმული:

მშვიდობით, ჩემგან აღშენებულო
ქალაქებო და ციხე-ტაძრებო,
მშვიდობით ქართლო, მშვიდობით მზეო,
სიცოცხლის დღეო დასანაცრებო.
მშვიდობით, ჩემო ყრმაო თბილისო,
შენთვის ტკივილი მიმყვება საფლავს,
თქვენ ამიშენეთ, ვინც ჩემს შემდგომად
მკლავით გასჭიმავს სამშობლოს აფრას...

პოემის ერთ-ერთ ცენტრალურ სახეს წარმოადგენს ქართველი ქალი — ვახტანგ მეფის ასული პირიმზე. პოემაში განსაკუთრებული სიყვარულით არის გამოხატული ამ პატრიოტი ქალის სახე. პირიმზე ქართველ ჯარისკაცებს მამასთან ერთად მიუძღვის ომში, იგი საკუთარი ხელით აწვდის ღვინით სავსე თასს ყოველ მეომარს და გზას ულოცავს ბრძოლის ველზე. გურამ ბივრიტიანის სატრფო, პატრიოტი, მებრძოლი და მეომარი ქალიშვილი არაფერს იშურებს იმისათვის, რომ დაიხსნას ახლად აშენებული საქართველოს დედაქალაქი თბილისი, და როცა ბრძოლის ველზე ეცემა მისი სატრფო გურამ ბივრიტიანი, მისი ძაძა—ძეფე ვახტანგი, ახლა თვითონ წარუძღვება მცირერიცხოვან რაზმს, ახლადაგებულ თბილისის ციხეს შეეხიზნება და სამი თვის განმავლობაში იცავს მცირერიცხოვანი რაზმით ქალაქის ციხე-სიმაგრეს. როდესაც უთანასწორო ბრძოლაში დაღლილ-დაქანცულ მეომართა ჯგუფს ძლევს მრისხანე ძლიერი ჯარი სპარსელებისა, პირიმზე თავს იწამლავს, მან აღასრულა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე, მამულის წინაშე, ხალხის წინაშე.

რაღა ვარ მამულამოწყვეტილი,
ნუმც ვიყვე ტყვე და მტრის სამოწყალო;
ბეჭდის თვალიდან შხამი მოწოვა
და გაიყინა ვით ბროლის წყარო.

ამ ალსარებას ასეთი ლირიკული აკორდი მოსდევს:

სად ხარ, პირიმზევ, ივრის ასულო,
ველის ყვავილად სად ამოხველი?
ნარგიზად ჰყვავი, იად მოხველი,
რა ქვიან ყვავილს და რა ფერია?
მე ერთი ვიცი, შენი ლეჩაქი,
იორზე დილის ნისლად ჰფენია.

პოემის უკახასკნელი, მეექვსე, კარი შეიცავს მამულისათვის დაცემულ გმირთა ქებას. და ბოლოს, პოემა თავდება მოწოდებით, რომ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული თბილისელების ბრძოლა მუდამ ახსოვდეს შთამომავლობას. პოემის აზრით, თბილისის პირველი დამცველები, ეს უბადლო ვაჟკაცები, ხალხმა დაბადა, ხალხმა წარმოშვა თვით გორგასალიც, ერის ძუძუმ გაზარდა, მისცა ბასრი ხმალი და სახელი მარადისი. იგი ჩვენი დიდი წინაპარია. მამულისთვის თავგანწირულ რაინდებს საქართველოს მომავალი თვალწინ ედგათ. ისინი პოეტის სიტყვებით ძოგვიწოდებენ: „თქვენთვის ვცხოვრობდით, თქვენთვის ვკვდებოდით, თქვენც არა გნახოთ მტერთა დრეკილი". ამ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ეს მოწოდება ქართველ ხალხს მუდამ წინ მიუძღოდა, როგორც მაგალითი გმირობისა:

და ასრულებდა ხალხი ამ აღთქმას,
ისიც იცოდა, მოვა დღე მტკბარი,
როს გააჩენდა დედა იმ რჩეულს,
ვისაც ხელთ უნდა აეღო ფარი.

და ასე სძლია სიკვდილს მამულიშვილთა ამ უკვდავებამ, ისინი დღესაც იბრძვიანო ძილგამკრთალები ახალი ქართლის ხარაჩოებზე: ფარნა, ღვინია, ღვთისო, არჯევან და სხვა რჩეულნი, თბილისის პირველი აღმაშენებელნი. 1500 წლის შემდეგ კვლავ გვიწვდიანო მკლავს, კვლავ გვამხნევებენ და ახალ თბილისის მშენებელთა გვერდით დგანანო. ასე აკავშირებს პოეტი წარსულს აწმყოსთან. ეს აზრი პოემას დიდ პატრიოტულ ეღერას ანიჭებს, „სამგორის" ღირსებაც იმაშია, რომ პოეტს ხალ-

ხი მიაჩნია გმირად: ხალხს უშენებია და დაუცავს თავისი მამული. აუშენებია ქალაქები და სოფლები, ხალხის შრომას აუგია მცხეთა, ფაზისი, ცხუმი, არმაზი და მათი უმცროსი თბილისიც. ეს მშენებელი ხალხი უკვდავია. აი მოვიდა ახალი დრო და თავისუფალ საქართველოს მშრომელმა ხალხმა კვლავ აღადგინა დანგრეული ქალაქები და სოფლები, კვლავ ააყვავა სამგორის გადამხმარი ველი, ქართველი ხალხის სისხლით და ძვლებით მოკირწყლული ველი, კვლავ დაამშვენა და გაანაახლა ჩვენი დედაქალაქი თბილისი. ახალი საქართველოს შვილები პოეტის განსაკუთრებული სიყვარულისა და ქების საგანია. დიდი ოპტიმისტური რწმენით შთაგონებული პოეტი ასე მიმართავს საბჭოთა საქართველოს:

ახალო ქართლის მარჯვენავ,
თუ ძველი ღალა გადახმა,
შენ ამიყვავე, რაც სისხლით
დაიცვა ხალხმა, ვახტანგმა.
რაც ცეცხლით დასწვა მტრის ხელმა,
რაც გადამიჭკნო მარაბდამ,
მშობელი ხალხის მარჯვენავ,
შენ ამიყვავე მარადა.
შენ მომასმინე, სამშობლო,
ახალ ფოლადის ზარის ხმა,
შენ გამინათლე, სამგორო,
ის, რაც წანისლა კრწანისმა.

ამ დიდ პატრიოტულ ოპტიმიზმს ეფუძნება პოეტის წარმოდგენა წარსულზე და აწმყოზე.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოემა უნაკლო იყოს. პოემა კომპოზიციურად არ არის შეკრული. იგი ლირიკული ლექსებით წარმოდგენილი დახასიათებაა ცალკეული გმირებისა. ავტორის შეხედულებები მეორდება ხ'შირად და ამის მიხედვით ერთგვარად გაჭიანურებულია პოემა. არის ზოგიერთი ლირიკული გადახვევები, რომლებსაც პოემის კომპოზიცია არ მოითხოვს, მაგრამ ყველაფერი ეს როდია ისეთი ნაკლი, რომელიც ხელს გვიშლიდეს ჩვენ ავითვისოთ ავტორის ძირითადი ჩანაფიქრი. პოემის ჩანაფიქრს კი წარმოადგენს ხალხური პატრიოტული სულისკვეთება თბილისის აშენებასთან და მის დაცვასთან დაკავშირებული.

ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ისტორია პოემაში წარმოდგენილია შელამაზებულად, ყოველგვარი კლასობრივი და სოცია-

ლური უსამართლობის გარეშე: „სადაც თხა და მგელი ერთად ძოვდა“, არა, პირიქით, პოემაში ასახულია ის სოციალური და კლასობრივი კონტრასტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ვახტანგის ეპოქაში .

სიმღერით, კვნესით, შრომით და ღვაწლით
ერი მდაბიო, გლეხი და მონა, —
აშენებს თბილისს, ბეგარით, ხარკით...
ისმის კვნესაში ოროველ... ჭონა...

ასეთია თბილისის მშენებელ მშრომელთა სოციალური ხვედრი. მსგავსი სვებედით ხასიათდება სოფელიც. „წნული ქოხები... ქალამნის კოპი... ფრატი... ძოხძები... და ნაცარკვერი“. აი, ხვედრი ყმა გლეხობისა. გაძვალტყავებული გლეხკაცობა მუდარით მიმართავს მოწყალე მეფეს:

ოფლით ნაწურვალ ყანის მადლს ვფიცავთ.
აღარ გვაქვს, მეფევ, სულდგმა და ძალი!
ერთი პერანგი სამ ძმას გვაცვია...
ლუკმა გვაქვს მწარი!..
წყლად გვიდგას ძმარი!..

საქართველოს წარსული პოეტისათვის არა მარტო გმირობისა და ვაჟკაცობის, არამედ ტრაგიკული სოციალური და ეროვნული ბრძოლის ეპიზოდებით იყო აღსავსე. ამავე დროს საქართველოს წარსული მისთვის მეორე ცხოვრება იყო, უფრო სწორად, განვლილი ისეთი ისტორიული ცხოვრება, რომლის მონაწილედ მოჰქონდა თავი. ამიტომაც ის უბრალოდ კი არ წარმოსახავდა შორეთის სამყაროს, არამედ ახლობელ ადამიანებად მრაჩნდა, აწმყოს გმირებად ესახებოდა ეს გარდასული ვაჟკაცები. გიორგი ლეონიძე ამ მხრივ ფართო მასშტაბის მხატვარი იყო. საქართველოზე უზომოდ შეყვარებულს სხვა ხალხების ისტორიის ყადრი და პატივისცემა წესად ჰქონდა. მან არა ერთი და ორი გამოჩენილი მეგობარი შესძინა თავისი მოღვაწეობით საქართველოს. ამიტომ ხალხთა ძმობის იდეა არა მარტო თემა იყო მისი პოეზიისა, არამედ მისი სიცოცხლის აზრი და არსი. და ამაში მეღავნდებოდა გასაოცარი პატრიოტიზმი თანამედროვეობისადმი, საქართველოს ისტორიულ წარსულზე ასე უზომოდ შეყვარებული პოეტისა.

გიორგი ლეონიძე უცნაური აღმოჩენების პოეტი იყო. იგი გვაკვირვებდა ახალი პოეტური სიტყვების შემოტანით, აღმოჩენით. ხან გასა-

ოცარი კომპოზიციებით, ხანაც მოულოდნელი პოეტური ფრაზეოლოგიით. სრულიად ახალი აღმოჩენა იყო მისი პროზა ჩვენთვის — „ნატვრის ხე". ეს მთელი სამყაროა პროზაში დიდი პოეტის მიერ მოტანილი. ეს ლირიკული პროზა არავისგან არ არის დავალებული, არსაიდან არ იღებს სათავეს. ის თვით ლეონიძის სულშია აღმოცენებული. აქ გასაოცარი სიმდიდრეა ლექსიკური. აქ ჩვენთვის უაღრესად ახლობელი ადამიანებია, რომელთაც გიორგი ლეონიძესთან ერთად სუფრასთან შევხვედრივართ, ან კახეთის შარაგზაზე. აქ საოცარი შერწყმაა ტრადიციებისა და ახალი ნოვატორული ფორმისა. ამ მოთხრობებში იგი ეხმიანება ჩვენი ბავშვობის დღეების მოგონებას. ეს ‘ოგოხებები ხახ ‘წუხარების გრძნობით აღგვავსებენ, ხან დიდი ალალ‘ართალი ბავ‘შვური სიხარულითა და აღტაცებით გვაოცებენ. „ხატვრის ხე‘ში" ხან გლეხკაცი ყვება უშუალოდ ამბავს მიამიტურად, ძველებურად, გლეხურად, ხან მეცნიერულ და ‘ხატვრულ ანალიტიკურ პრი‘ზ‘ა‘ში აღდგენილი პოეტის მიერ. აქ გარდასულ ჩვეულებათა, ზნეთა და ყოფათა ისეთი მოზღვავებაა, რომელსაც ‘ხატვრული ჯებირი არ გააჩნია. არა, ეს მთელი მხატვრული სამყაროა, მთელი პოეზია პროზაში გადატანილი. ლეონიძის პროზა ცალკე თემაა და ჩვენ ახლა ამაზე საუბარს არ გავაგრძელებთ.

*

გიორგი ლეონიძე თემატიკურადაც და პოეტური ფორმითაც ‘ეტად მრავალფეროვანი შემოქმედია. ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება მაღალ პოეტურ გამოხატულებას პოულობს მის შემოქმედებაში. ფართოდ მოფიქრებული, ძარღვიანი ლექსები და პოემები ძლიერ პოეტურ გაქანებას და მაღალ ღირსებას აძლევენ ლეონიძის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ჩვენს დიად თანამედროვეობას შეეხება. ჩვენი პოეტი მახვილი, აქტუალური თემების უბადლო ოსტატია. მთელი მისი შემოქმედება ჩვენი ხალხის საერთო ცხოვრებითა და მიღწევებით ცოცხლობს.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა პატრიოტიზმის თემას. იგი ჩვენს შესანიშნავ აწმყოს, ჩვენს აღორძინებულს და განახლებულ სამშობლოს უმღერის, შეჰღაღადებს ახალი ქვეყნის დაბადებას:

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები.
მარადის შუქით ბრწყინვალებს იგი,
მისი ნათელი დამთოვებია,
სიცოცხლე — მისი მშვენების იქით
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია.

პოეტი მთელი თავისი შეგნებით, რწმენით, პატრიოტული მრწამსით ხატავს ჩვენი ქვეყნის ახალ მზეს.

ღრმად განიცდის და გრძნობს პოეტი კავშირს ახალ ცხოვრებასთან, საბჭოთა სამშობლოსთან. გულწრფელად წერს იგი:

გულის ფესვიდან მინდა გიმღერო,
და თუ ვერ გითხრა, როგორ მიყვარხარ,
შენ თვითეულ ხეს, ბალახის ღეროს,
ეკოცნი, ვეხვევი, ვეტყვი: მიყვარხარ.

პოეტი შეხარის სამშობლოს დროშის ფრიალს, მის დიდ განთიადს, მის ლექსებს ჭეშმარიტად ახალი სამშობლოს მიწაში უდგას ფესვები და მისგან იღებს პოეტურ საზრდოს. და თუ ლეონიძის პოეზიაში ნათელი რამ არის, თუ უთქვამს სიმღერა კარგი, როგორც პოეტი ამბობს, მისთვის საამისო ძალა სამშობლოს აღუძრავს. აი, როგორ გადმოგვცემს პოეტი ამ აზრს:

ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა,
შემოვეფარე შენს სიმართლესა,
შენ საფარველსა ვარ მონდობილი...
ცოტა მაჩუქე ღალა და ზეთი,
ეგებ ავანთო სინათლის წვეთი,
ჩემი გულიდან გადმოდნობილი...
დე, ჩემმა ლექსის ნერგმა მარად დღე
შენი წიაღის წვენით იხაროს,
განფოთლე შენი ძუძუს წყაროთი,
თავზე მზის ცვარი გადავიყარო.

ილიასა და აკაკის პატრიოტული ლირიკა აქ ახალ სიმაღლეზეა ასული.

გიორგი ლეონიძის ლექსებს "შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს

ლექსი „დედაენა“. დიდი რომანტიკული სურნელებითა და ფერებით აცოცხლებს ავტორი ბავშვობის მოგონებას და იმ პირველ სიყვარულს, რომელიც დედაენას უკავშირდება. ეს სიხარული და რომანტიკული გაღვიძება პირველი ძოგოხებისა უფრო ძლიერდება იმით, რომ „დედაენა“ იყო პირველი საკითხავი წიგნი ყოველი ქართველი კაცისათვის მთელი საუკუნის მანძილზე.

გიორგი ლეონიძე საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან ფაქტს ეხმაურება თავისი მდიდარი პოეტური სიტყვით. მან შექმნა ქართული ორატორული ლექსის მდიდარი ციკლი. ამ ტიპის ლექსების წინაშე ყოველთვის არის ერთგვარი საშიშროება: დეკლამაციურობამ არ დაჩრდილოს ლექსის პოეტური მხარე. ამ მომენტს ერთგვარი კვალი აქვს დაჩნეული გ. ლეონიძის ლექსებისათვის. და მაინც ავტორი ახერხებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების საინტერესო გადმოცემას.

ახლა ხალხების ძმობა გულიდან
ერთ ამოკვეთილ ლარზე წავიდა,
მთვრალი ვართ ძმური სიყვარულითა,
როგორც მაისის მიწა მწვანითა.

აქ გადმოცემული აზრი მკაფიო და გამჭვირვალეა.

გიორგი ლეონიძის პოეზიის მრავალფეროვანი თემატიკური რკალიდან ჩვენ გვინდა გამოვყოთ კიდევ ორი საკითხი. ეს არის ახალგაზრდობისა და სიყვარულის თემა.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ახალგაზრდობის თემას, პოეტური გატაცებით, დიდი სიყვარულით და გრძნობით წერს იგი სიჭაბუკეზე და ახალგაზრდობაზე. ცხოვრების ძალა, სიცოცხლის სილამაზე და მშვენიერება სწორედ ახალგაზრდობაშია. არაფერია იმაზე უფრო მშვენიერი, ვიდრე ჩვენი დროის ჭაბუკები. ამავე დროს, სიჭაბუკე და ლექსი სინონიმია. ლეონიძეს არ წარმოუდგენია ლექსი სიჭაბუკის გარეშე. „სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“, ასეთია პოეტის ძირითადი დებულება. სიჭაბუკის გარეშე ლექსს ვინ მისცა დიდება — ასეთია პოეტის განმარტება მეორეგან და ამ აზრს მთელ თავის პოეტურ შემოქმედებაში თანმიმდევრულად იცავს ჩვენი მწერალი.

გიორგი ლეონიძე სიჭაბუკის, სიმხნევის, სიცოცხლის, სიყვარულის მომღერალი პოეტია.

გიორგი ლეონიძეს თავისებური გაგება აქვს სიყვარულის თემისაც. ქართულ ლიტერატურაში ეს მრავალგზის გადამღერებული თემაა. იმ რამდენიმე ლექსში, რომლებიც მან ამ საკითხს მიუძღვნა, უთუოდ ჩანს ორიგინალურობა. აქ, პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ ლექსი „ნინო ჭავჭავაძეს", ლექსში დიდი ემოციურობითა და სინაზით ცოცხლდება ნინო ჭავჭავაძის რომანტიკული სახე. პოეტი ამ რომანტიკულ სახეს განაზოგადებს და ამის მიხედვით გვაძლევს სიყვარულის მოტივის ორიგინალურად გადაწყვეტას. ნინო ჭავჭავაძე იყო და რჩება მიჯნურობის მუზად:

შენ ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
და გაერჟოლება მათი გულისა,
თავშესაფერი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი გაზაფხულისა.

ეს უკვდავება უკავშირდება მშვენიერების, სილამაზის უკვდავებას. პოეტის აზრით, სულის უკვდავება სხვა არ არის რა, გარდა სილამაზის უკვდავებისა. ეს თავისებური გაბედული დასკვნაა სატრფიალო ლირიკაში. პოეტი წერს:

თუ გადამჭრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება,
შენგან შევიტყე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება.

ასე გვევლინება გიორგი ლეონიძე მშვენიერების, სილამაზის უკვდავების მომღერლის როლში. სწორედ ამიტომ ამ ლექსს ხვდა დიდი პოპულარობა. როდესაც ეს ლექსი ინგლისურ ენაზე გადაითარგმნა, ინგლისელმა მკითხველებმა ამ ლექსის მთარგმნელს ვენერა ურუშაძეს წერილი გამოუგზავნეს და სთხოვეს დაწვრილებით ეცნობებინა მათთვის ამ ბრწყინვალე ქმნილების ავტორის ვინაობა. მათ განსაკუთრებით აღნიშნეს ფიზიკური სილამაზის უკვდავების ის ოპტიმისტური ხმა, რომელიც ამ ლექსში ისმის.

გიორგი ლეონიძე უმღერის ქალის გმირულ რომანტიკას. იგი სიტურფეს და სილამაზეს, გმირობასა და გამბედაობას ერთმანეთისაგან განუყრელ თვისებად თვლის. მისი რომანტიკული ქალები გაბედული და

უ'ძი'ძარი ადაძიახები არიან. ეს ძხარე ეშხსა და შარავანდედს მატებს ამ გმირ ქალებს. ეს აზრია გამოხატული ლექსში „თუშის ქალი ალავერდობაში". თუში ქალის ცხენოსნობა, გაბედული მხედრობა პოეტში აღტაცებას და სიყვარულს იწვევს.

გიორგი ლეონიძის პოეზიაში სატრფიალო ლირიკის არც ის მინორული ხმები, მინაზებული და უსისხლხორცო ტონები მოისმის, რაც ოფელიასა და ამალიას ტიპის მიჯნური ქალებისათვისაა დამახასიათებელი. მიწიერებისაგან განთავისუფლებულ, წმინდანების ფრესკას მიმგვანებულ ქალებს აქ ცვლიან მიწიერი სულიერი სიმტკიცით გამორჩეული მიჯნურები. მაგრამ ეს არც აღმოსავლური ხორციელი ვნებით შეპყრობილი მიჯნურები არიან, რომლებსაც პოეტები ხატავდნენ. ლეონიძის მიჯნური ქალები განსხვავდებიან როგორც პირველთაგან, ისე მეორეთაგან, და სწორედ ესაა ის თავისებური კილო, რომელიც ლეონიძეს შეაქვს სატრფიალო ლირიკაში. ლეონიძემ იცის, რომ სიყვარული არის უძლიერესი და უფაქიზესი გრძნობა:

მთელ ცხოვრებას შენზე ფიქრით გავივლი,
უშენობას გული ვერ შეეთვისა,
ნუშის წვერში რომ იფეთქებს ყვავილი,
იქ მაქვს გული შენახული შენთვისა.

სიყვარულის ყოვლისშემძლე და უმშვენიერესი ძალა დახატა ლეონიძემ ლექსებში: „მე შენს სიყვარულს, ძვირფასო", „მე რომ მიყვარხარ", „თუ შენ არ გიკვირს", „თოლია", „მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი". ლეონიძისათვის სიყვარული პირდაპირია, რაინდული, აქედან წარმომდგარი სევდაც კი ვაჟკაცური ხმით ეღერს:

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია,
მე ვუმღერი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას.

*

განსაკუთრებული სიმძაფრით აჟღერდა გიორგი ლეონიძის პოეზია სამამულო ომის დღეებში. საბჭოთა ხალხის ამ დიდი ისტორიული გამოცდის ჟამს პოეტის ლექსები აღაფრთოვანებდნენ ჩვენს ხალხს პატრიო-

ტიზმის მაღალი გრძნობით, სამშობლოსათვის თავდადების იდეით. საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმის კეთილშობილური, უჭკნობი გრძნობით არის შთაგონებული „ჰეი, ვაჟკაცნო“. ყოველი საბჭოთა ადამიანი მზად არის საკუთარი სიცოცხლე არ დაიშუროს სამშობლოსათვის.

ვით ერთი კაცი, ჩვენ მასთანა ვართ,
ყველა ძმობილი...
ყველა დობილი...
ჩვენ მისთვის გვიცემს გული თანაბარ,
მის სიმტკიცეზე ვართ დანდობილი!
და ერთი გრგვინავს ძახილი გულში:
— ჰეი, ვეფხვებო!
— ჰეი, არწივნო!
თუ ჩვენ სიყვარულს ვიყოფდით გუშინ,
დღეს ვაჟკაცობა გავინაწილოთ...

გიორგი ლეონიძემ ცხოველი ძალით დახატა სიყვარული შშობელი ქვეყნისადმი, მისი თავდადება სოციალისტური სამშობლოსათვის. ჩვენი ხალხი საკუთარ სიცოცხლეს სწირავდა სამშობლოს დასაცავად. ეს პატრიოტული თავდადება დედა-სამშობლოს თავისუფლებისა და დიდებისათვის გამოხატულია ლექსში „მხედარი პირტახია“.

გიორგი ლეონიძემ სამამულო ომის თემას უძღვნა ისეთი საინტერესო ლექსები, როგორიცაა: „წინ, წინ, სტალინურო არწივო“, „ქართველ მხედრებს“, „აიმართეენით, ვაჟკაცნო“, „არ დაიდარდო, დედაო“, „შინ მოსულისა“, „ბერლინს მყოფი ქართლის ვაჟი“, „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, „შინ მოუსვლელო, სადა ხარ“ და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“. ეს ერთი შესანიშნავი ლექსთაგანია ქართულ პოეზიაში სამამულო ომის თემაზე დაწერილ ლექსებს შორის. ჭეშმარიტი გრძნობა და განცდა, სამშობლოსათვის თავდადებისა და მისთვის ვაჟკაცური სიკვდილის ამბავი აქ დიდი უშუალობითაა მოთხრობილი. რომანტიკული ფერებით ცოცხლდება ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელსაც გმირის ვაჟკაცური სიკვდილი ქმნის. გმირმა იცის, რომ მწარეა სიკვდილის სევდა. გმირული სიკვდილით „აწყენინა მან დედას“, მაგრამ საქვეყნოდ გამოაბრწყინა სამშობლოსათვის თავდადებამ. გმირმა იცის, რისთვის კვდება:

ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,

დაკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

სამშობლოსათვის ვაჟკაცური სიკვდილით დაღუპულმა გმირმა იცის, რომ მას არ დაკარგავს სამშობლო, რომლისთვისაც მან სიცოცხლე გასწირა. კარგად ამბობს პოეტი:

მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...

აქ სიკვდილით გამოწვეული სევდა, ვაჟკაცური გმირობით მოპოვებული სახელი და სამშობლოსათვის თავდადებული გმირის უკვდავება დიდი ემოციებით არის გაცოცხლებული. ასეთივე ძლიერი პოეტური შესრულებით გამოირჩევა ლეონიძის მეორე ლექსი „შინ მოუსვლელო, სადა ხარ“.

გიორგი ლეონიძის შემოქმედება ომის შემდგომ პერიოდში კვლავ გამდიდრდა ახალი, საინტერესო პოეტური ნაწარმოებებით. პოეტი დიდი სიყვარულით, გატაცებით უმღერის გამარჯვებული საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, კომუნიზმის ხარაჩოების ძარღვმაგარ კოლმეურნეებსა და მუშებს. გიორგი ლეონიძის იმ პოეტურ ნაწარმოებთა შორის, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს ომის შემდგომ წლებში, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ფართო ეპიკური ლექსი „რაიკომის მდივანი“ და ლექსების ციკლი, მიძღვნილი სამხრეთ საქართველოსა და უნგრეთისადმი. ამ ნაწარმოებებში კვლავ გამოვლინდა ჩვენი პოეტის მახვილი პოლიტიკური ალღო, მაღალი პოეტური ოსტატობა, ჩვენი ხალხის საერთო აზრთა განწყობილებასთან განუყოფლად დაკავშირებული პოეტის მისწრაფება.

*

გიორგი ლეონიძემ ლექსის გამოჩენილი ოსტატის სახელი მოიპოვა არა მარტო მახვილი აქტუალური თემებით, არამედ იმ თემებისა და მოტივების მაღალი პოეტური გამოსახვის, მრავალფეროვანი პოეტური აქსესუარის, ენერგიული პოეტური გამოხატვის საშუალებებით.

გიორგი ლეონიძემ თანამედროვე სალიტერატურო ენა გაამდიდრა ლექსიკის სფეროში. ის, ერთი მხრივ, იყენებს მრავალფეროვანი ხალხური ლექსიკის იმ უდიდეს მარაგს, რომელიც ხალხშია გაბნეული. აქედან არჩევს იგი ყველაზე უფრო ძარღვიან სიტყვებს. მეორე მხრივ. ლეონიძე თვითონ ეწევა ორიგინალურ სიტყვათა შემოქმედებას. იგი ხშირად ხალხური სიტყვების ძველ არქაულ სიტყვებთან შეერთების გზით რთულფუძიან ახალ სიტყვას ქმნის. მართალია, ეს ცდა ხანდახან ხელოვნურია და გარკვეულ აზრობრივ სინათლეს მოკლებული, მაგრამ მეტწილად პოეტი ძლიერ ეფექტს ახდენს და იგი გვევლინება, როგორც ქართული პოეტური ლექსიკის თავისებური ნოვატორი („არ დაიდარდო, დედაო". „არწივები", „ნინო ჭავჭავაძეს", „კახეთი" და სხვ.).

გიორგი ლეონიძე პოეტური სახის დიდი ოსტატია. მხატვრული ნაწარმოების, პოეტური სიტყვის უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს სახე. სახეში ვლინდება ძალა მხატვრული სიტყვის ოსტატისა. ამ მხრივ გიორგი ლეონიძე ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი სწორუპოვარი შემოქმედია. მისი პოეტური სახეები, ღრმად მოფიქრებული, ნათელი მეტაფორებითა და ეპითეტებით მდიდარი, ყოველთვის გამოირჩევიან განსაკუთრებული პლასტიკურობით. აზრის სიახლე და სიძლიერე, ღრმა ემოციურობა, პოეტური სიტყვის სახეობრივი მრავალფეროვნება აძლევენ გიორგი ლეონიძის ლექსებს დიდ ნოვატორულ ღირსებას. („სიმღერა პირველი თოვლისა", „ნინოწმინდის ღამე", „ვეფხისტყაოსანს", „მეტივეები").

გიორგი ლეონიძის ლექსებში სრული სიცხადით ვგრძნობთ და განვიცდით საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას. ლეონიძე ბუნებას ყოველთვის უნარჩუნებს ნაციონალურ კოლორიტს, რომლის ფონზე ბუნების მეჯლისს სიცოცხლით გაუმაძღარი სიხარბითა და ჰიპერბოლით შეტრფის („ქართლის ბაღი", „თბილისური გაზაფხული", „იორის ღამე", „იორის პირად", „თბილისის განთიადი" და სხვ.).

გიორგი ლეონიძის ლექსების უმრავლესობა დაწერილია შაირის ფორმით. შაირი ლექსის უძველესი ზომაა. მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ერთხანს ეს ზომა განდევნა ათმარცვლოვანმა ლექსმა. ლეონიძემ, ჩვენი დროის სხვა პოეტებთან ერთად, ქართული პოეზიის ამ ძველებურ ფორმას კვლავ დაუბრუნა ის ბუნებრიობა და მაღალი პოე-

ტური ღირსება, რაც ამ ზომას ქართულ პოეტურ სიტყვაში მოპოვებული ჰქონდა.

შემთხვევით როდია, რომ გიორგი ლეონიძის მთელი რიგი ლექსები ხალხში გადავიდა, მას მღერიან, როგორც ხალხური პოეზიის ნიმუშებს. ამის მაგალითია ერთ-ერთი ხევსურული ვარიანტი ლექსისა — „არ დაიდარდო, დედაო“, რომელიც ჩაწერეს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა. მიხა. არაბულის მიერ ფანდურზე დამღერებული ეს ლექსი ასეა ჩაწერილი:

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
მხრებზე არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა ვიყავი,
ოცი არ გადამეხადა,
საბჭოთა დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხათა.
ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი.
შინ მოუსვლელო, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა,
სად ლპება შენი ქოჩორი,
თვალი სად ამოგიღამდა,
შენი ქართული მარჯვენა
სად ჩაიშალა თიხადა.

ასე, ოდნავ შეცვლილი სახით, გადავიდა ხალხში გიორგი ლეონიძის ზემოთ დასახელებული ლექსი მეორე ლექსის — „შინ მოუსვლელის“ — ტაეპის დამატებით.

გიორგი ლეონიძის სალიტერატურო მოღვაწეობის დახასიათება არ იქნება სრული, თუ არ მოვიგონებთ მის დამსახურებას ჩვენი დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის, გამოკვლევისა და დაფასების დარგში. მის ლიტერატურულ გამოკვლევებს: „ჭაშნიკი“, „იოსებ თბილელი“, „დიდი მოურავი“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „ბესიკი“, „მგოსანი საიათნოვა“, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი“, „ივანე მაჩაბელი“ და სხვა. ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს კულტურული წარსულის შესწავლისათვის. ამ გამოკვლევებში გიორგი ლეონიძე გვევლინება, როგორც დაკვირვებული, მახვილი ინტუიციით აღჭურვილი მკვლევარი.

ალიო მირცხულავა (მაშაშვილი)

დიდი გარდატეხების ეპოქებს მუდამ თან მოჰყვება მწერლობის ახალი თაობა, თაობა, რომელიც მხურვალე სიყვარულით დაკავშირებულია თავისი დროის მოწინავე იდეებთან. ასეთი გარდატეხის ეპოქების მწერლებს ისტორია დააკისრებს მოვალეობას, იყოს მებაირახტრე იმ ძხატვრული იდეებისა, რომელთა სულსა და გულს ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლა შეადგენს.

ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) სამართლიანად ითვლება იმ მოწინავე ახალი თაობის ერთ-ერთ მეთაურად, რომელიც საბჭოთა მწერლობისათვის მებრძოლ ბირთვს წარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში.

ალიო მაშაშვილის (მირცხულავას) პოეტური ბიოგრაფია საქართველოს დიდი ისტორიული გარდატეხის ეპოქას დაუკავშირდა. ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. 1921 წლის თებერვალი შემობრუნების პუნქტს წარმოადგენს ქართველი ერისა და ქართული კულტურის ისტორიაში. აქედან დაიწყო ახალი ერა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში — სოციალისტური საზოგადოების ისტორია. ალიო მაშაშვილის პოეტური ტალანტი სწორედ სოციალისტურმა რევოლუციამ გამოაღვიძა, საბჭოთა სინამდვილე გახდა მაშაშვილის შემოქმედების ატმოსფერო და სათავეც, მაშაშვილი კი — ერთ-ერთი სახელოვანი ფუძემდებელი ახალი საბჭოთა პოეზიისა.

ა. მირცხულავა დაიბადა 1903 წლის 28 აპრილს სოფ. ხორგაში (ხობის რაიონი), გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება იქვე მიიღო. შემდეგ მიაბარეს ფოთის საქალაქო სასწავლებელში, საიდანაც გადაიყვანეს ზუგდიდის ქალ-ვაჟთა გიმნაზიაში. ორი წლის შემდეგ მომავალი პოეტი ისევ დაბრუნდა ფოთში და 1921 წელს დაამთავრა გიმნაზიის სრული კურსი. შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწი-

ფრ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა 1924 წლამდე. აქედან გაემგზავრა მოსკოვს. ჯერ სწავლობდა ვ. ბრიუსოვის სახელობის სალიტერატურო ინსტიტუტში, შემდეგ კი კომუნისტურ ჟურნალისტიკის ინსტიტუტში. 1927 წელს პოეტი თბილისში დაბრუნდა და ერთხანს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის ასპირანტად ითვლებოდა. 1922 წელს, ჟურნალ „მომავლის" პოეზიის განყოფილების გამგედ ყოფნის დროს, ა. მირცხულავა დიდ მუშაობას ეწეოდა დამწყებ ახალგაზრდა მწერალთა შორის.

ლექსების პირველი კრებული ა. მაშაშვილმა 1923 წელს გამოსცა „მერეხის" სახელწოდებით, ხოლო მისი პირველი ლექსი „სიმღერა" დაიბეჭდა 1921 წელს ფოთის საქალაქო გაზეთ „მუშის ხმაში". ამ პირველი ხაჭარძოებებით ძან ძტკიცედ განსაზღვრა თავისი პოეტური გზა, როგორც საბჭოთა პოეტმა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საკავშირო და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოების მუშაობაში. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს". 1946 წელს ფართოდ იქნა აღნიშნული ა. მირცხულავას სალიტერატურო მოღვაწეობის ოცდახუთი წლის იუბილე. ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის პოეტი დააჯილდოეს ორდენებითა და მედლებით. 1953 წლის აპრილში აღინიშნა პოეტის დაბადების 50 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით იგი დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით. ალიო ძირცხულავა გარდაიცვალა 1971 წლის 16 ოქტომბერს.

საბჭოთა ფორმაციის პოეტი ალიო მაშაშვილი სიყვარულით დაუკავშირდა სოციალისტურ რევოლუციას, ახალ ცხოვრებას და გაჰყვა მის გზას. ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოღვიძებული პოეტი ახალგაზრდული გატაცებითა და გზნებით უმღეროდა სოციალისტურ სამყაროს, აღორძინებისა და განახლების გზაზე დამდგარ საქართველოს. პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი ლიტერატურაში შემოვიდა „რევოლუციური აზრით, განცდებით" და თან მოიტანა ლიტერატურაში ბრძოლისა და შრომის, სიჭაბუკისა და სილამაზის, მამაცობისა და თავდადების, სიყვარულისა და გმირობის მოტივები. მაშაშვილმა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის, ლენინური კომკავშირის იდეები და იდეალები ყველაზე სრულყოფილად და პოეტურად გამოხატა ჩვენს ლიტერატურაში.

გულწრფელი იყო პოეტის სიტყვები:

მე ბრძოლის გარდა რა მყვარებია,
რომ მადარდებდეს ხმა მწუხარების,
ბრძოლით განვლილი ნაპრალებია
ნაოჭიანი შუბლის ღარები.
მივალ იქ, სადაც ნახშირკლდიანი
ტრიბუნებივით დგანან მკერდები,
მე, როგორც ერთი ადამიანი,
ბრძოლას ბოლომდე შევაბერდები...
და რომ დავეცე ბრძოლის ველზანი,
მკორტნიდეს მტერთა რაზმი წყეული,
დარჩება ლექსი, როგორც მერანი —
ბრძოლის ველიდან გამოქცეული.

ამგვარმა ძლაფრმა რეალისტურმა დამოკიდებულებამ რევოლუციურ ეპოქასთან, საბჭოთა საქართველოს პირველ დღეებთან, განსაზღვრა პოეტის სამწერლო გზა.

ა. მაშაშვილი იყო რევოლუციის პოეტი. მან თავის მოვალეობად ახალი ცხოვრების — სოციალისტური საზოგადოების პოეტის როლი აირჩია და მთელი თავისი შეგნებით, გულწრფელი პოეტური სიტყვით ემსახურა ამ ახალ დროს, ახალ ეპოქას. ეს იყო ის წლები, როდესაც დიდი სულიერი გარდატეხა ხდებოდა ქართველ ინტელიგენციაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი გვერდში ამოუდგა რევოლუციას და მისი მონაპოვრის დაცვას შეუდგა. ინტელიგენციის უმცირესი ნაწილი კი ადვილად ვერ შეურიგდა, ვერ გაიგო რევოლუციის გზა. ეს ნაწილი ინტელიგენციისა ვერ ურიგდებოდა, ან დუმილით უვლიდა გვერდს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტს საქართველოში. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მიერ გადახნულ ნიადაგზე — ამ რთულ ლიტერატურულ ატმოსფეროში იქმნებოდა ახალი საბჭოთა მწერლობა. ალიო მაშაშვილის თაობა ახალი მწერლობის სათავეებთან იდგა. იბრძოდა რა ეს მწერლობა საბჭოთა ლიტერატურისათვის, დაუნდობლად ებრძოდა ყოველივე დრომოჭმულს, გარდასულს და რევოლუციის მოწინააღმდეგეს, ანტირეალისტურ და დეკადენტურ ლიტერატურის ჯგუფებსა და სკოლებს. სწორედ ამ წლებში წერდა ალიო მაშაშვილი:

რად მინდა ლექსი უდღეური და უფერადო,
საკუთარ ცის ქვეშ სიმწრის ოფლში დღეს რომ გალაქე,
ადამიანთა მოძრაობას თუ არ ვბელადობ
როგორც პოეტი, ბოლშევიკი და მოქალაქე.

ალიო მაშაშვილის ეს სტრიქონები მაშინ იწერებოდა, როდესაც ქართულ მწერლობაში საკმაო გავლენა ჰქონდა მოპოვებული დეკადენტურ პოეზიას. ეს სტრიქონები სწორედ ამ ლიტერატურული ჯგუფების წინააღმდეგ იყო მიმართული. რევოლუციის პოეტი, საბჭოთა სინამდვილის მხატვარი თანმიმდევრულად იბრძოდა ანტირეალისტური და დეკადენტური სკოლების წინააღმდეგ; იგი ცხოვრებისაგან, სინამდვილისაგან განდგომის, დუმილისა და საბოტაჟის პოეტებს მკაცრად ამხელდა, ზეცაში მოხეტიალე მუზის პოეტებს დაცინვით მიმართავდა:

უნაყოფოა ფიქრი მთვარეზე,
დღეს ყველაფერი სინათლედ იქცა.
ჰეი, თქვენ, ცაში ბევრს ნუ დაეძებთ,
ძირს სიყვარულით დახედეთ მიწას.

60-იან წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა ახალ თაობას და რეალისტური ხელოვნებისათვის ბრძოლა დაიწყო, მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სანტიმენტალისტების ცრუ ოხვრას და მოთქმას: „თვალების სრესას — ეგებ ცრემლი მოგვივიდესო“. ილია სასტიკად დასცინოდა ამ მთვარის მიჯნურებს, ცხოვრებისაგან განდგომილ მწერლებს. ცხოვრების განახლებისათვის, აღორძინებისათვის მებრძოლმა ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ რეალისტური ხელოვნების კონცეფცია დაუპირისპირეს ცრუკლასიკურსა და სანტიმენტალურ მიმართულებებს, ხმა აღიმაღლეს ყოველგვარი რუტინის, ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, არქაისტების წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში რევოლუციის პოეტები, რომელთაც განავითარეს რეალისტური კლასიკური მწერლობის მოწინავე პოზიციები, ასევე წინ აღუდგნენ დეკადენტური ხელოვნების მესვეურებს. ალიო მაშაშვილს ერთი მოწინავე ადგილი ეჭირა ამ თაობაში და ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ რატომ ასე მძაფრად კიცხავდა ის „ცის ლანდის“ მომღერლებს, ან ასე მხურვალედ რად ქადაგებდა მიწისადმი, სინამდვილისადმი, ახალი ცხოვრებისადმი სიყვარულს. რევოლუციის პოეტი „იწვოდა, ცო-

ცხლობდა“ საბჭოთა ქვეყნის დიდი ცხოვრებით, ამ ცხოვრების იდეალით შთაგონებული პოეტი დროულად ეხმაურებოდა საბჭოთა ეპოქის საბრძოლო კითხვებს. მისი პოეტური სიტყვის შთაგონების წყაროს სოციალისტური მშენებლობის პათოსი წარმოადგენდა.

ვინც ა. მაშაშვილის ადრინდელ ლექსებს დაუკვირდება, ადვილად შეამჩნევს, თუ როგორი გულმხურვალებითაა დაკავშირებული პოეტი ახალ საქართველოსთან. ყრმობის პერიოდის ერთ ლექსში პოეტი წერდა:

ჩვენ სხვებთან ერთად მივყვებით დრო-ქამს,
ჩვენც ერთი მზის ქვეშ მსოფლიოს ვეძებთ
და ხელოვნების საკუთარ დროშას
ჩვენც, ჩვენც ავიტანთ მის სიმაღლეზე!
. . . . . .
ჩვენც ბრძოლის დროშა გვათბობს ალისებრ,
გვესმის ოქტომბრის მძლავრი გუგუნი,
ჩვენც გვაფრთოვანებს და გვახალისებს
მხნე გულისძგერა ამ საუკუნის.

ყრმობის ეს ლექსები იტაცებდა ჩვენს თაობას სწორედ ამ მებრძოლი პათოსით, ამ მხურვალე სიყვარულით, რომლითაც ცოცხლობდა მაშაშვილის პოეზია. ამაში ჩვენ ჩვენი დროის მოწინავე იდეალების გამოძახილს ვხედავდით. მებრძოლი ტენდენციური, რევოლუციური პოეზიის ერთგული პოეტი აშკარად აცხადებდა:

დიახ, მწყევლიან და მემდურიან!
ვკოცნი ცხელ ტყვიას,
და უნიღაბოდ გამოვდივარ გილოტინაზე.
ო, საქართველო,
დღეს შენი შვილი ურჩი, უხეში,
მახვილით ხელში
ვებრძვი მტარვალებს.

ყოველივე ამის გამო ჩვენთვის გასაგებია, რატომ ასე დაჟინებით მოითხოვდა პოეტი რევოლუციის პირველსავე წლებში ხელოვნება ჩაშდგარიყო ახალი ცხოვრების სამსახურში. გასაგებია ისიც, თუ რატომ იყო გატაცებული ერთგვარი ურბანული მოტივებით („ვერჰარნის ლანდი“, „ქალაქის კედლებში“), რად ადიდებდა ასე გულმხურვალედ შრომის იმ მგზნებარე ტემპს, რომელსაც ახალი ცხოვრება მოუცავს („დამკვრელური ბრიგადები“. „ლაითურის კომკავშირელი“.). ამ თემე-

ბისა და მოტივების ავტორი სოციალისტური რევოლუციის გულწრფელი მხატვარი იყო. ამ რევოლუციის საქმისათვის, მისი გამარჯვებისათვის თავშეწირული. ამ ადრინდელ, ყრმობის პერიოდის ლექსებში ჯერ კიდევ ბევრი რამ მოუმწიფებელი, ახალგაზრდული ვარჯიში იყო, მაგრამ აქ ყველგან ფეთქავდა გულწრფელი, გულმხურვალე გული პოეტისა, რომელიც ახალი ცხოვრების სიყვარულით ხარობდა.

პოლიტიკური პოეზიის მაღალი პათოსით ჟღერს პოეტის ყოველი სტრიქონი, მისი ჩანგი, და ეს უთუოდ იყო მაშაშვილის პოეტური დამსახურება რევოლუციის წინაშე.

•

ა. მაშაშვილმა სახელი გაითქვა არა მარტო მახვილი პოლიტიკური თემებით, არამედ იმ ორიგინალური პოეტური გააზრებითა და ოსტატობით, რითაც ხასიათდებიან მისი ადრინდელი ლექსები.

საბჭოთა მწერლობის წინაშე ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღიდან მწვავედ დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა გამხდარიყო ახალი, სოციალისტური სინამდვილის სრულმყოფი გამომხატველი, ჩვენი ადამიანების ემოციური, ესთეტიკური აღზრდის მძლავრი იარაღი და ამ ამოცანის განხორციელება მარტოოდენ თანამედროვეობის თემატიკით, რაგინდ აქტუალური არ უნდა ყოფილიყო იგი, შეუძლებელი იქნებოდა.

ამ წლებში კი პროლეტარული მწერლობა, რომელსაც ისტორიამ დააკისრა ყოფილიყო პირველ რიგში მებრძოლი საბჭოთა ლიტერატურისათვის, ფორმის მხრივ სუსტი იყო. მართალია, ამ თაობამ თავის დროზე თვალსაჩინო როლი შეასრულა პროლეტარიატის მწერლობის იდეური პოზიციების დაცვისათვის ბრძოლაში, მაშინ როდესაც ცეცხლის ხაზი მიმართული იყო უცხო, მტრულად განწყობილი ლიტერატურული ჯგუფებისა და სკოლების წინააღმდეგ, მათ იდეურ ლექსებს, პროლეტარიატის საქმისათვის ერთგულებით გამსჭვალულთ, უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, ქართული მწერლობის ძველი თაობის ძირითადი ბირთვი საბჭოთა მწერლობის რიგებში ჩადგა და ახლა მარტოოდენ გარითმული ლოზუნგები, თუ ის

ფორმის მხრივ არ იყო ოსტატურად შესრულებული, ვერ ასრულებდა დანიშნულებას.

ცნობილია, რომ „განვითარების პროცესში შინაარსი წინ უსწრებს ფორმას, ფორმა უკან რჩება შინაარსს“ (სტალინი), ასე მოხდა ეს ქართულ მწერლობაშიაც. პროლეტარული მწერლობის რევოლუციამდელმა თაობამ წინ წამოსწია შინაარსობრივი მხარე, იდეური მხარე. ეს პუბლიცისტური ინტონაცია, პუბლიცისტური პათოსი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საბჭოთა ლიტერატურაში შევიდა, როგორც გარკვეული მონაპოვარი, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო საკმარისი. ახლა საჭირო იყო ამის შესაბამისად ამაღლებულიყო ლექსის მხატვრული მხარე. ეს ამოცანა იდგა პროლეტარული მწერლობის იმ თაობის წინაშე, რომელსაც ეკუთვნოდა ალიო მაშაშვილი.

ალიო მაშაშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დაძლია პროლეტარული მწერლობის სუსტი მხარე და საბჭოთა მწერლობის მოწინავე ოსტატი გახდა. ალიო მაშაშვილის ყრმობის პერიოდის ლექსებიც კი ამჟღავნებენ ნიჭიერ ლირიკოსს, პოეტურ ფორმას დაუფლებულ ოსტატს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსები: „უნაყოფო ფიქრი“, „25 თებერვალი“, „საქართველო“, „ჩვენი სიმღერა“ და სხვ. განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი „ლენინს“.

კაცობრიობის უდიდესი ბელადის — ლენინის შესახებ ქართულ პოეზიაში ცოტა როდი დაწერილა, მაგრამ მათ შორის ალიო მაშაშვილის ლექსი „ლენინი“ (1924 წ.) მუდამ დარჩება როგორც პოეტური ოსტატობის საინტერესო ნიმუში.

ლენინის გარდაცვალებით გამოწვეული სახალხო გლოვა და მწუხარება ხალხისა, საბჭოთა ადამიანების ღრმა განცდები და ფიქრები ორგინალური პოეტური ხერხებით არის გამოხატული ამ ლექსში. პოეტმა დაწყევლა და შეაჩვენა სიკვდილი, რომელმაც „ნათელი სიცოცხლის ნგრევით გადააფარა ტრაური კაცობრიობას“, რომელმაც თავზე მოგვახვია „ფიქრები ნაღვლიანი“. მაგრამ პოეტმა იცის, რომ უკვდავია ლენინის საქმე, უკვდავია ლენინიზმი. ლენინის საქმის უკვდავების იდეა ასე გამოხატა პოეტმა:

შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან იცხოვრებ,
გფიცავთ შენივე აზრებს, ანდერძებს,
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძოლებ
მთებში, ქარხნებში, ბარიკადებზე!

. . . . . .

გფიცავთ: შენ დროშას ვატარებთ მაღლა,
დავეხმარებით შრომისგან დაღლილს,
ლენინ! შენ თვალებს ჩვენ არ დავმარხავთ,
ლენინ! შენ შუბლზე მიწას არ დავყრით!

ამ ლექსის ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა მოწინავე იდეით არის განათებული და ღრმა ემოციებით გაბრწყინებული. ეს ლექსი ამიტომაც დარჩა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც ღრმა იდეურობისა და პოეტური ოსტატობის საინტერესო ნიმუში. ამ თემას პოეტი კვლავ დაუბრუნდა 1927 წელს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლექსი „ლენინი ჩვენს საქმეში". აქ პოეტმა ახალი ძალით გამოხატა ლენინის გენიალური იდეების ცხოველმყოფელობა, ლენინისა, რომელიც ჩვენს ხალხთან ერთად ცოცხლობს, მოქმედებს და იბრძვის. კარგად ამბობს პოეტი:

მედამ უშიშარი ბრძოლას გვასწავლიდი,
მშრომელთა მასების ხარ დიდი ბელადი.
უხვია რუსეთის პურის მარცვალივით
ეგ შენი სიტყვები ველიდან ველამდი.

უფრო გვიან, 1949 წელს, ალიო მაშაშვილმა ლექსში „ქანდაკება მცხეთაში" კვლავ ახალი ძალით გააცოცხლა ლენინის უკვდავი სახე. ბტკვრის შარცხენა ნაპირზე, მცხეთის ბაღში, აღმართული ლენინისა და სტალინის ქანდაკების მიხედვით გამოხატა პოეტმა საქართველოს ისტორიის ის მობრუნება, რომელიც დაკავშირებულია ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების გამარჯვებასთან ჩვენს ქვეყანაში.

პოეტს აგონდება საქართველოს ისტორია. მცხეთას, წინაპართა ამ წმინდა ალაგს, ქართველთა პირველ დედაქალაქს ახსოვს თავისი წარსული — გმირული და მრისხანე, აქ თარეშობდა ურდო მონღოლთა, ცეცხლსა და მახვილს არაერთხელ გადუვლია მის თავზე, აქ მძვინარებდა კოჭლი თემური, არ ასვენებდა ურიცხვი მტერი ქართველებს, მაგრამ პატარა ხალხმა, გმირმა ხალხმა არ მოიხარა ქედი მტრის წინაშე, დაიცვა თავისი დამოუკიდებულობა და ეროვნული თვითმყოფობა და ბოლოს საქართველომ თავისი ბედი რუსეთის ბედს დაუკავშირა. შემდეგ განვლო წელმა მრავალმა, ამოანათა ოქტომბრის მზემ და ხალხი, ლენინის პარტიის მეთაურობით, შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას. ლენინის შემდეგ სახელოვანმა ჩვენმა პარტიამ, რომელსაც სათავეში ედგა სტა-

ლინი, დაიცვა ჩვენი ქვეყანა მრისხანე ომებსა და ბრძოლებში. მიწა ქართულიც-ოქტომბრის მზით გაბრწყინებულია. ეს ლექსი ასეთი სტრიქონებით თავდება:

დღესაც ილიას მამული ვნახე,
გამოვუარე საყვარელ მცხეთას,
ხიდთან კვლავ შევხვდი მათს სპეტაკ სახეს,
ისინი ბაღის ძელსკამზე სხედან.

*

ალიო მაშაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა პატრიოტიზმის თემას, ჩვენი ადამიანების გულწრფელი სიყვარული თავისი დიდი სამშობლოსადმი შესანიშნავი პოეტური ძალით გამოხატულია ისეთ ლექსებში, როგორიცაა: „სამშობლო ბელადისა“, „ჰიმნი სამშობლოს“, „გაზაფხული“, „წლები“ და სხვ.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ჩვენს პოეზიაში მაშაშვილის ორმა ლექსმა. ესენია: „სამშობლო ბელადისა“ და „ჰიმნი სამშობლოს“. ეს ლექსები თითქოს ერთ მოტივზეა აგებული. საბჭოთა პატრიოტიზმის შუქით განათებული ეს ქმნილებანი იმდენად განსხვავებულია ორიგინალური პოეტური ინვენტარითა და ინტონაციით, რომ ისინი სრულიად დამოუკიდებლად ცოცხლობენ. პოეტი აღწევს მდიდარი ფერებით, ძლიერი მხატვრული საშუალებებით გამოსახოს აღორძინებული და განახლებული საქართველოს სახე. საქართველოს მდიდარი ბუნება, მისი განახლებული და აღორძინებული ცხოვრება დახატულია აქ ბრწყინვალედ. ვკითხულობთ ამ ლექსებს და ჩვენს ცნობიერებაში ახალი ძალით ცოცხლდება საქართველოს ზურმუხტოვანი ველები, მისი ატეხილი ჭალები, ვაზით და ხეხილით დახუნძლული ზვრები და ბაღები, დაუშრეტელი შრომის ბარაქით აღორძინებული ჩვენი ულამაზესი სამშობლო. დიდი პოეტური ოპტიმიზმით გამოხატა მწერალმა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომა:

მიწა ერთია, მხოლოდ ფერებით
დაშორებულან უბნებს უბნები,
ხშირად ფოთლების ლაჟვარდებიდან
ბრწყინავს ატმები და ალუბლები.

მარჯვნივ ზღვა ღელავს თავთუხიანი,
წაშლილან ცის და მიწის ზღურბლები,
მარცხნივ გახედავ: მთის ფერდობები
დაფარულია ცხვრების ღრუბლებით.

. . . . . .

ჩემი ქვეყანა, ეგრე ლამაზი,
შავი ზღვის პირად აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან ღრუბლებიც დაფანტულია.
ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,
ხან ვენახებით დახლართულია,
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,
ცა — ფიროსმანის დახატულია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ალიო მაშაშვილის შემოქმედებაში სოციალისტური სამშობლოს — საქართველოს თემას — მუდამ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ჯერ კიდევ 20-იან წლებში, როდესაც „რაპპელები" თავს ესხმოდნენ ქართველ პოეტებს, ვინც კი „საქართველოს სადმე ახსენებდა", ალიო მაშაშვილი ამ კოსმოპოლიტების წინააღმდეგ სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით, საბჭოთა საქართველოს სიყვარულით ზრდიდა ჩვენს ახალგაზრდებს. აქ მოვიგონოთ მისი ადრინდელი ლექსები: „საქართველო", „მიმართვა პოეტებისადმი", „მოგონებების მაგიერ" და სხვა, ხოლო უფრო მოგვიანებით უმღერა მან უდიდეს გრძნობას ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ ცნობილ ლექსებში: „სამშობლო ბელადისა", „ჰიმნი სამშობლოს", „გაზაფხული", „წლები" და სხვ.

პოეტი ჩვენი ქვეყნის განახლებულ სახეს, ჩვენი ადამიანების ოპტიმისტურ განწყობილებას შესანიშნავად გადმოსცემს ლექსში. რომელსაც ჰქვია „გაზაფხული". სოციალისტური საქართველოს სახეს იგი გაზაფხულს ადარებს. ჩვენს სამშობლოში, რომელმაც „სძლია ზამთარი", აშენდა ძლიერი და მშვენიერი სოციალისტური ქვეყანა, სადაც მუდამ გაზაფხული დამკვიდრებულა, „გაზაფხული" სიმბოლოა ხალხთა თავისუფლების, ბედნიერების და განახლებული ცხოვრებისა.

*

ალიო მაშაშვილის პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა ახალ ადამიანს, საბჭოთა ადამიანს, მისი პოეტური ქმნილებების გვირგვინს სოციალისტური ქვეყნის მშენებელი ადამიანი წარმოადგენს. ამ ადამია-

ნებს შორის უმთავრესი მაინც ახალგაზრდობაა, ლენინური კომკავშირის რიგებში აღზრდილი ახალგაზრდობა, ჩვენი ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები.

დიდი ხნის წინათ ერთ ლექსში მაშაშვილი წერდა:

თუმც გამერია თმებში ჭაღარა,
გული მაინც მაქვს კომკავშირული.

გულწრფელადაა ნათქვამი ეს სიტყვები, და ჩვენ უნდა დავეთანხმოთ პოეტს.

ცნობილია, რომ ალიო მაშაშვილი კომკავშირის რიგებში აღიზარდა, როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე, ახალგაზრდობის ამ მოწინავე სკოლაში მიიღო მან პირველი პოლიტიკური წრთობა, და სავსებით ბუნებრივია, რომ შემდეგ მის პოეზიაში ლენინური კომკავშირის ახალგაზრდობა შეევიდა როგორც ერთ-ერთი მთავარი თემა. ალიო მაშაშვილმა სოციალისტური ქვეყნის ახალგაზრდობას მიუძღვნა ისეთი ლექსები, როგორიცაა „დამკვრელი ბრიგადები", „ლაითურის კომკავშირელი", „კომკავშირული სიმღერა", „ლენინური კომკავშირი". ამ ხაწარმოებებში ხათლად გამოვლინდა ის მხურვალე სიყვარული, რომელიც აკავშირებდა მაშაშვილს ამ თემასთან, ლენინურ ახალგაზრდობასთან. ამ ლექსებს შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „დამკვრელი ბრიგადები". პოეტმა საქართველოს ლენინური კომკავშირის ყრილობაზე, როგორც დელეგატმა, ეს ლექსი ტრიბუნიდან წარმოთქვა. შემდეგ იგი ჩვენს პოეზიაში დამკვიდრდა, როგორც ახალგაზრდობის ერთ-ერთი საყვარელი ლექსთაგანი და დღემდე ჩვენი ბავშვების სახელმძღვანელოებს ამშვენებს. ამ ლექსის პათეტიკური ინტონაცია სავსებით არ გვიშლის ხელს დავინახოთ მასში ჩვენი ახალგაზრდობის ის დიდი შრომითი ენთუზიაზმი და პატრიოტული სულისკვეთება, რომლითაც ცოცხლობენ და მოქმედებენ ჩვენი ახალგაზრდები. სოციალისტური შრომის დიდი სიყვარულით არის განათებული ლექსის ყოველი სტრიქონი. ეს შრომის პათოსი გადმოცემულია ლექსის რიტმშიაც. როცა თქვენ ამ ლექსს კითხულობთ, გესმით სტრიქონიდან წამომდგარი რიტმი შრომისა, „ყალყზე დამდგარი მანქანების ბორგვა-ხმაური".

თქვენ დამკვრელი ხართ, დაზგებს აჭედებთ,
ტემპიც მატულობს ყოველდღიურად,

დასცხეთ, დაჰკარით მარცხებს, გარღვევებს,
დასცხეთ, დაჰკარით კოლექტიურად!

ჰა, გრაგანებენ კელავ მანქანები,
ყალყზე დგებიან, გრიგალდებიან,
მტერს რომ ხვდებიან მძლავრ გაქანებით,
კომკავშირული ბრიგადებია.

ლექსის ემოციურ ზეგავლენას განამტკიცებენ მოსწრებული ხატოვანი გამოთქმები: „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარა“, „ფიქრთა გვირაბი არის მაღარო, ლექსი ფოლადის ნაწარმოები“, „შრომის ფრონტიდან გამოქცეული იგივე ბრძოლის დეზერტირია“.

მეორე ლექსი „ლაითურის კომკავშირელი“ ალიო მაშაშვილმა საბჭოთა მეურნეობის მოწინავე კომკავშირულ ბრიგადას, სოციალისტური მინდვრის მოწინავე ადამიანების თავდადებულ შრომითს ენთუზიაზმს მიუძღვნა და აქაც შესანიშნავად გამოხატა მათი როლი და ადგილი.

*

დიდი სამამულო ომის წინა წლებში ალიო მაშაშვილი წერდა:

ჩვენ ომი არ გვინდა,
ზღვა სისხლის მდომელი,
ეს მუქთახორების
ზნეა და ბუნება,
ომს მოაქვს ტყვიების
ხმა დაუნდობელი,
შიმშილი, სიკვდილი
და განადგურება!
(„მხედრული“).

დადგა ჩვენი სამშობლოს მძაფრი გამოცდის დღეები, მშვიდობიან საბჭოთა ხალხს ფაშისტური ურჩხული შემოესია, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი საომარმა მდგომარეობამ მოიცვა. საბჭოთა ხალხს, ამ დიდი ისტორიული გამოცდის ჟამს, გვერდში ამოუდგა საბჭოთა მწერლობა და მამულის დაცვის მხურვალე გრძნობით აღაგზნებდა იგი ჩვენს ადამიანებს. მოწინავე საბჭოთა პოეტის ალიო მაშაშვილის პო-

ეზია საბრძოლო განწყობილებით გაიმსჭვალა. დიდი სამამულო ომის დღეებში საბრძოლო მოწოდებისა და დაფდაფების ხმას შეუერთდა პოეტის მოწოდება:

პირსისხლიანი, მკაცრი
თავზე დაგვესხა მტერი,
ადგა, ვით ერთი კაცი,
მთელი საბჭოთა ერი.
მშიერ ყორნების ხროვა
მოილტვის გულის ძგერით,
რომ დაიტაცონ გროვად
ჩვენი პური და ქერი.

(„სიმღერა გამარჯვებისა").

მაშაშვილის ამ საბრძოლო ლექსების დიდი ღირებულება იმ დიდ უშუალობასა და გულწრფელობაში უნდა ვეძიოთ, რომლითაც გამსჭვალულია მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი ფრაზა.

სამამულო ომის თემაზე დაწერილ ამ ლექსებში ჩვენ ვგრძნობთ იმ დიდ სულიერ მღელვარებას, შეშფოთებას და გულმხურვალე ემოციებს, რაც ასე ღრმად განუცდია ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა ხალხს და მის პოეტს. პოეტი მთელი გულწრფელობით აქებდა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს, მისთვის თავშემართულ ვაჟკაცებს, წყევლითა და კრულვით ახსენებდა ყოველ მოღალატეს და სამშობლოს მტერს.

შხამად შეგერგოს დედის რძე,
ცოფს ჰყრიდეს პირზიზღიანი,
დაეცეს, ხსნას არ ელოდეს,
ვერ მოირჩინოს ზიანი,
დაძრწოდეს, გზას ვერ იკვლევდეს
გახელებული, ზნიანი,
მეწყერი წამოეწიოს,
დღე დაუბნელდეს მზიანი!

. . . . . .

ვინც უღალატოს სამშობლოს,
დიად საბჭოთა მხარესა,
მთა-გორებს, — ვეფხისტყაოსნებს,
მორთულ-მოფარჩულ არესა,
ჩვენს მამულს, შრომით აღდგენილს,
მშობლიურ მზეს და მთვარესა,

ჭერმაღალ ცას და ვარსკვლავებს
მოკაშკაშ-მოელვარესა!

(„სიმღერა გამარჯვებისა“).

სამამულო ომის თემაზე დაწერილი მაშაშვილის ლექსები მოგვითხრობენ ჩვენ ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა ხალხის გმირულ სულიერ ძალაზე, მის პატრიოტულ თავდადებაზე. სამამულო ომის თემაზე მაშაშვილმა ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნა, მათ შორის ისეთი ლირიკული ლექსები, როგორიცაა: „ძმები“, „მყინვარი“, „თეთვართქილაძის გვარდია“, „სიმღერის ძალა“, „დგას ორი ქალაქი, ორი ძმად ნაფიცი“ დაუბერებლად იცოცხლებენ ქართულ პოეზიაში, როგორც საინტერესო პოეტური ქმნილებანი. ლექსების ამ ციკლიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „ძმები“. აქ უაღრესად ადამიანური და მღელვარე ამბავია მოთხრობილი. ლექსში აღწერილია საბრძოლო თავდადება ორი მეგობარი ძმისა, უთანასწორო ბრძოლაში დაჭრილი ორი საბჭოთა პატრიოტისა*. ერთად იბრძოდნენ ისინი, ერთად დაიჭრნენ სასიკვდილოდ და ერთ პალატაში მოხვდნენ. მათ სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აწუხებთ ერთმანეთის ბედი, ხალხის ბედი. დიდი პოეტური ელვარებით არის დაწერილი ეს სტრიქონები:

ძილში, როდესაც პალატის გვერდით
ხმა გაიშხუვლებს ვით მეტეორი:
— ძმა ცოცხალია? — ბუტბუტებს ერთი,
— ძმა ცოცხალია? — გმინავს მეორე.
სიზმრების ზღვა კი, როგორც ხომალდებს,
ტახტებს არწევს და... ღელვა ჰგონიათ,
და ასე, სულის ამოხდომამდე,
ძმას აწამებდა ძმის აგონია.
ერთ მრისხანე დღეს, როცა ავდარი
ძრავდა მიდამოს, ცა რისხვით ქუხდა,
პალატა სდუმდა, ვით ნასაყდრალი,
ძმა ძმის შესახებ აღარა სწუხდა.

დიდი გულმხურვალებით და უშუალობით არის დაწერილი ეს ლექსი!

ასეთივე ოსტატობით გამოხატა პოეტმა სამამულო ომის მრისხანე დღეებში ორი გმირი ქალაქის შემართება მტრის წინააღმდეგ. ლენინ-

* გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი — „ალიო მაშაშვილი“.

გრადი და სტალინგრადის გმირული დაცვა შთამომავლობას მუდამ გადაეცემა, როგორც პატრიოტული თავდადებისა და ვაჟკაცობის უბადლო მაგალითი:

ჩრდილოეთს ნაგები
სუსხსა და წვიმაში,
სამხრეთის მგზნებარე
მზის შუქით ნალექი, —
დგას ორი ქალაქი,
დგას მტრების წინაშე
ლენინის ქალაქი,
სტალინის ქალაქი.

(„დგას ორი ქალაქი").

სამამულო ომის დღეებში მაშაშვილის პოეზია ჩვენი ხალხის დაძაბული საომარი ცხოვრებით ცხოვრობდა. და აქ, ისევე, როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, მაშაშვილი გვერდში ედგა თავისი ხალხის დიდ პატრიოტულ თავდადებას.

*

ალიო მაშაშვილმა არა მარტო ლირიკულ ლექსებში დაგვიხატა საბჭოთა ადამიანების სულიერი ფორმირების გამომსახველი ეპიზოდები, ახალი ადამიანების ცხოვრება და შრომა, არამედ ამ მიზნით ეპიკური ტილოც უხვად გამოიყენა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პოემა „ენგური". აქ პოეტმა სცადა გამოეხატა საბჭოთა ადამიანის ნოვატორული თვისებანი, რომელნიც სოციალისტური საზოგადოების პირობებში დაიბადა. სოციალისტური საზოგადოების აშენებამ ძირითადად შეცვალა ჩვენს ქვეყანაში ადამიანების დამოკიდებულება შრომასთან, ადამიანის დამოკიდებულება საზოგადოებასთან, განხორციელდა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეგნების შეერთება. ახალი საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური და პოლიტიკური შეგნება ის ძალაა, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს განმტკიცება. სოციალისტურმა სინამდვილემ საბოლოოდ გამოაცალა ნიადაგი ძველ, კერძომესაკუთრულ საზოგადოებრივ ტიპებს, უქნარა, მიმტაცებელ, მიმთვისებელ ადამიანებს, გაქრნენ ჩვენს სინამდვილეში

მკლავაძეების, თათქარიძეების, დროიძეების უქნარა და მავნე ტიპები, სხვისი შრომის მიმთვისებლები, მუქთახორა თავადები და აზნაურები, კულაკები და კაპიტალისტები, რომელთა სახე ასე მრავალფეროვნად გამოსახა ჩვენმა სახელოვანმა კლასიკურმა მწერლობამ. მათ ადგილი დაუთმეს ახალ ადამიანებს, სოციალისტური ცხოვრების მშენებლებს, ახალი ქვეყნის პატრიოტებს, ადამიანებს, — კაპიტალისტური ქისის ჭუჭყისაგან განთავისუფლებულთ, მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით შეიარაღებულ მოწინავე საბჭოთა ადამიანებს.

სოციალისტური მშენებლობის წლებმა ძირეულად შეცვალეს ჩვენი ადამიანების სახე, მაგრამ ყოველივე ეს არ მომხდარა უმტკივნეულოდ, უბრძოლველად. სოციალისტური მშენებლობის გარკვეულ ეტაპზე გამწვავებულ კლასობრივ ურთიერთობასთან გვქონდა საქმე. ძველი კლასების ნარჩენები, სოციალისტური საზოგადოების მტრები ადვილად როდი თმობდნენ პოზიციებს.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ მთელი ეს პროცესი ნათლად გამოსახა; ალიო მაშაშვილმაც სწორედ ეს თემა აიღო პოემა „ენგურში". ალიო მაშაშვილმა ამ პოემის დადებითი გმირის ბურდუ შელიას სახეში გამოხატა ახალი დროის ადამიანი, სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი მეთაური, პატრიოტი ჩვენი ქვეყნისა, სოციალისტური მშენებლობისათვის თავდადებული მოწინავე ადამიანი. ამავე პოემაში ნაჩვენებია ახალი ადამიანი, რომელიც კონფლიქტშია ძველი საზოგადოებრივი კლასების ნარჩენებთან. ძველი კლასების ეს განწირული წარმომადგენლები მარცხდებიან, მაგრამ მათი უკანასკნელი გაბრძოლება, მათი მტრული გამოხდომები სოციალისტური საზოგადოების წინააღმდეგ გარკვეულ ზიანს აყენებენ სოციალისტურ მშენებლობას. ამ მანკიერ, სულითა და ხორცით დაავადებულ ადამიანებს, ისტორიისაგან განწირულ ამ უბადრუკ ნაშთებს პოეტმა დაუპირისპირა საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალი, მისი შეურყეველი რწმენა და სიყვარული სოციალისტური საზოგადოებისადმი.

„ენგურს" საინტერესო ექსპოზიცია აქვს. ჭადრისა და ნაძვის ხეებით დაჩრდილული ენგურის ტალღებისა და ხეთა შრიალის რომანტიკული ფონი მწერალს გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ შემდეგ გვიჩვენოს ამ ტყის ისტორია. თავის დროზე ამ ტყეს თავს აფარებდა აჯანყებულ გლეხთა სახელგანთქმული მეთაური უტუ მიქავა, ტყეს კი პატრონობდა დადიანების გვარი.

მაგრამ დღეებმა დღენი შესცვალეს,
დადიანების სადარდიანოდ,
რევოლუციის პირველ დღესავე
ტყე ჩამოერთვა სადადიანოს.

ხალხისაგან მიტაცებული დადიანების ეს საკუთრება ისევ ხალხს დაუბრუნდა. საბჭოთა ადამიანებს განუზრახავთ აქ ააშენონ ქაღალდის კომბინატი, სვანეთის მთების ბუნებრივი დოვლათი გამოიყენონ და ხალხის სამსახურში ჩააყენონ. პირველი გეგმები შედგა. ქარხნის მშენებლობის ადგილი მოიხაზა. მშენებლობის საქმეს სათავეში ჩაუდგა ბურდუ შელია. გაჩაღდა მშენებლობა, შრომის ენთუზიაზმმ მოიცვა საბჭოთა ადამიანები.

ბურდუ შელია ღარიბი გლეხის შვილია. რევოლუციამ მას შრომის უფლებაც მიანიჭა და სწავლის უფლებაც. მას ახსოვს ბავშობის უღიმღამო დღეები:

ის მუშა იყო, მისი ფენიდან,
მისი ნანინა იყო სიო და
მისი ხმა ჰქონდა, მიწის ფერი და
ხელებსაც მიწის ყნოსვა სდიოდა.

რევოლუციამ იხსნა ბურდუ შელია, ისე როგორც მილიონობით ღარიბ-ღატაკი გლეხის შვილი, ასეთ ადამიანებს გზა გაუხსნა და, აი, კომკავშირელი ბურდუ შელია თბილისის მუშფაკს ესტუმრა. იგი უმაღლეს განათლებას იძენს და, სახელმოხვეჭილი საბჭოთა ინჟინერი, ენგურის ქაღალდის კომბინატის პროექტის ავტორი, ამავე ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელად ინიშნება. აქ, ამ ქარხანაში, გაიარა მან ცხოვრების დიდი სკოლა. უმაღლესი განათლების პრაქტიკის შემოწმებით, თავდადებული შრომით, ერთგულება დაუმტკიცა მან მშენებლობასაც და იმათაც, ვინც მას ეს დიდი ნდობა გამოუცხადა.

ბურდუ შელია თავდადებით მუშაობს, დღედაღამ ფხიზლობს, რაზმავს ხალხს და სოციალისტური შრომის დიდი პათოსით წარმართავს ქარხნის ცხოვრებას. არაერთხელ ჩამდგარა იგი მუშების რიგში, როგორც რიგითი კაცი, და მაგალითი უჩვენებია მათთვის. ასე შეაყვარა მან თავი მუშებს, ასევე შეაყვარა მათ შრომა და თავდადება სოციალისტური საზოგადოებისათვის.

მაგრამ ქარხნის მშენებლობის საქმეს აბრკოლებენ კლასობრივი

მტრები, შენიღბულად შემოპარულნი ქარხანაში, შეთქმულნი ქარხნის წინააღმდეგ მოქმედებენ ფარულად. ამ შეთქმულთა ჯგუფს სათავეში უდგას ვინმე ბესა ბუკია, სადადიანოს ტყეების ყოფილი ტყაჩო. იგი არ ურიგდება იმ ფაქტს, რომ სადადიანოს ტყის ბედს ახლა ის კი არ განაგებს, არამედ ხალხი.

აგერ, რამდენი წელი სრულდება
მოხდა ოქტომბრის რევოლუცია,
ბესას თემსაბჭოს ხელისუფლება,
რომ ვთქვათ, დე იურედ ჯერ არ უცვნია.

მაგრამ რევოლუციის საქმე წინ მიდის, თანდათანობით მტკიცდება. ბესა ბუკია და მისი მსგავსი ადამიანები ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისროლა დრომ. ბესა ბუკიებს ნიადაგი გამოეცალათ, ახალმა დრომ გარიყა ისინი, მათ ძველი ქოხი და გახუნებული ბებერი ცხენი შერჩა მხოლოდ. გაბოროტებულ ნაკაცარს ბრაზი და ბოღმა ახრჩობს. „ბესა ბრაზდება — მე თუ ბიჭი ვარ, ტყეს დავიბრუნებ თავის ქარხნითვე“, მაგრამ ბესა მოტყუვდა. მისი ოცნება განუხორციელებელი დარჩა. რევოლუციას ამ კაცუნებმა ვერაფერი დააკლეს. რაკი ამ გზით იგი ვერაფერს გახდა, გადაწყვიტა, შეინიღბოს, მიეტმასნოს ამ ახალ დროს და აი, ის ერთ მშვენიერ დღეს გამოცხადდება ქარხანაში, ინახულებს დირექტორს ბურდუ შელიას, თავს შეაცოდებს მას და უბრალო მუშად ეწყობა კომბინატში. აქვე გამონახავს მასავით უკმაყოფილო, რევოლუციისაგან გაბოროტებულ ვინმე მაქაცარიას და ეს კაცუნები მოქმედებენ შენიღბულად, მტრული განზრახვით. ქარხანაში მათს პროვოკაციულ ნაბიჯებს არაერთხელ აეხადა ფარდა, მაგრამ მაინც იბრალებენ და აი, ბოლოს გათამამებული პროვოკატორები იქამდე მივლენ, რომ ბურდუ შელიას მიზანში ამოიღებენ და, ვითომდა შეცდომით. ნამდვილად კი პროვოკატორული გზით საქმეს ისე მოაწყობენ, რომ წაქცეული ხე ბურდუ შელიას ფეხზე დაეცემა. ამ გზით ცდილობენ ისინი ბურდუ შელია გამოიყვანონ სოციალისტური მშენებლობის რიგებიდან. საბოლოოდ ფარდა აეხადა კლასობრივი მტრის ფარულ ზრახვებს და მათ კომბინატიდან ითხოვენ. მტრებმა მაინც მოახერხეს, დროებით ჩამოეცილებინათ თავისი საყვარელი საქმისათვის ბურდუ შელია.

სოციალისტური მშენებლობის საქმეს ჩამოცილებული ხეიბარი ბურდუ შელია მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ამ ატმოსფეროს

ართულებს ახალგაზრდა კაცის ეჭვები სატრფოს — ლიას მიმართ. მას ასე ჰგონია, შეყვარებული ახალგაზრდა ქალი ხეიბარ კაცს მიატოვებს. ასეთი სულიერ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბურდუ შელია მძიმედ განიცდის სატრფოს ჩამოცილებას, მას ეჩვენება, რომ ლიას, ბურდუს ამხანაგი, არჩილ დევიძე შეუყვარდა. ახალგაზრდა ვაჟს ბოღმა ახრჩობს, თან ის ამართლებს თავის სატრფოს:

უთხრა: — რა ვარ მე, ბოღმა, იარა,
ყოფნაც არყოფნა და სიზმარია,
ბურდუ შელია, შენთვის კი არა,
ახლა ჩემთვისაც საზიზღარია.
არ მაქვს სიცოცხლის შნო და ელფერი,
გულში და სულში ვარ დაჭრილი მე,
დღეს ვაჟკაცობა აღარ შემფერის,
ეხ, რა ვიღონო, რა ვქნა, ჭირიმე?

მარტოობით გამოწვეული სევდა თანდათანობით ძლიერდება ბურდუ შელიაში. მას ასე ჰგონია, რომ ყველამ მოიძულა იგი, ყველა ჩაშოშორდა მას, კონტაქტი თავის მეგობრებთან უკვე აღარა აქვს ბურდუ შელიას.

და აი, ერთხელ გადაწყვიტა — მოინახულოს ქარხნის ძველი მეგობრები, კომკავშირული ბრიგადა, ჩაებას კვლავ მათთან მუშაობაში. ხეიბარი ბურდუ შელია მისდევს ტოლ-ამხანაგებს, მაგრამ ვერ დაეწევა მათ:

დარჩა, დაღონდა თვალნაღვლიანი,
დაეშვა ჯოხზე გულდაბჯენილი.
დაღონდა, როგორც მგზავრი გვიანი,
მგზავრი ქარავანს ჩამორჩენილი.

ასე ჩამოსცილდა იგი თავის საყვარელ საქმეს, თავის ტოლ-მეგობრებს და სატრფოს. ბურდუ შელია ღრმა განცდებით აღსავსე წერილს სწერს თავის სატრფოს და მეგობარს — ლიას. აი ეს ადგილი ამ წერილიდან:

ისევ იდუმალ გახსნა წერილი,
პირველ სიყვარულს ისევ იგონებს,
ისევ კითხულობს თვალდასერილი
ქაღალდზე ნაღვლად დაღვრილ სტრიქონებს:

ოთახში ვარ, მარტოდმარტო
მყავს ფიქრები მზრუნველებად,
ახლაც ვუნოსავ, ახლაც მათრობს
— შენი თმების სურნელება!

ბურდუ შელიას ეჭვი და სულიერი ტრავმა თანდათანობით უღრმავდება, იგი გრძნობს, რომ სოციალისტური მშენებლობის ინიციატორი და ხელმძღვანელი, ახლა მისგან ჩამოცილებული, თითქოს ზედმეტი გამხდარა. ამგვარ შეგნებას განუმსჭვალავს იგი, მწვავე სულიერ ტრაგედიამდე მიუყვანია:

მე კი ჩემშივე ვარ მომწყვდეული,
სული მეხუთვის, სუნთქვა მძიმეა,
თითქოს-და კუნტი ჩემი სხეული
ჩემივე სულის საპყრობილეა.

ამ „ღრმა დაბრკოლებების“ მონა გამხდარა ბურდუ შელია. ამ „დაბრკოლებებმა“ ჩამოაცილეს იგი თავის საყვარელ საქმეს, მას ნამდვილად სურდა ყოფილიყო ახალი ცხოვრების გმირი. ასე აცხადებს იგი — „მეწოდოს გმირი ახალ ცხოვრების და ვაკეთებდე ხალხის მომავალს“, აი, როგორია ჩემი ცხოვრების შინაარსიო. ამ სურვილის განხორციელება კი შეუძლებელი გამხდარა. იგი ვერ პოულობს თავის თავში ძალას, რომ გადალახოს ფიზიკური დაბრკოლებანი და თვითმკვლელობას გადაწყვეტს, მაგრამ პოეტი აქამდე არ მიიყვანს თავის საყვარელ გმირს. მან იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის ნიადაგი ამგვარი ტრაგედიისათვის. ბურდუ შელია საბოლოოდ როდი რჩება ამხანაგებისა და თვით შეყვარებულის ყურადღების გარეშე.

ქარხნის მშენებლობა დამთავრდა. გახსნის საზეიმო დღე დაინიშნა. მამამ მაშინ მოუტანა კომბინატის პირველი ქაღალდი, როდესაც ეჭვით შეპყრობილი ბურდუ შელია თავის მოკვლაზე ფიქრობდა. თანვე ახარა, რომ ქარხნის მოწინავე ადამიანები დაუჯილდოებიათ, მათ შორის — ბურდუ შელიაც. აღფრთოვანებული ბურდუ შელია კომბინატისკენ გასწევს. მის თვალწინ ასეთი სურათი წარმოდგება: კომბინატიდან გამოგდებულ კლასობრივ მტრებს — ბესა ბუკიასა და მაქაცარიას მდინარე ენგურში ჩაუყრიათ მორები, რომლებსაც ახლა ტალღები მიაცურებენ. ქარხანას აფეთქება მოელის. შენიშნავს რა ამას ხე-

იბარი კაცი ბურდუ შელია, გადაწყვეტს — გადაარჩინოს ქარხანა, რომლის დირექტორიც იგი იყო, და გადაეშვება მდინარეში. იგი კიდეც ახერხებს, იხსნას ქარხანა. აქ კარგად გამოჩნდა ღირსება საბჭოთა ადამიანისა. ბურდუ შელია თავის სიცოცხლეზე, თავის შესაძლებლობაზე მაღლა აყენებს საზოგადოებრივ საქმეს, ქარხნის გადარჩენის საქმეს და ამ შეგნებამ აქცია იგი სახალხო გმირად. ამ დეტალებში ალიო მაშაშვილმა შესანიშნავად გამოხატა საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური სახე, ადამიანისა, რომლის საზოგადოებრივი შეგნება იმარჯვებს მის ადამიანურ სისუსტეზე.

პოემა „ენგური" ყოველმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. ეს იყო პირველი ეპიკური ტილო ქართულ მწერლობაში, რომელშიაც დადებითი გმირის, მოწინავე საბჭოთა ადამიანის სახე გამოიხატა ასე განზოგადებულად და ამაღლებულად. ამ პოემაში ქართული კლასიკური პოემების ტრადიცია შესანიშნავად არის განვითარებული ახალ ვითარებაში და ახალ გარემოცვაში. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, ეს პოემა არ იყო დაზღვეული სერიოზული ნაკლისაგან.

პოემის სუსტ მხარეს წარმოადგენს განზოგადება არამართალი, არაობიექტური, არადამახასიათებელი, შემთხვევითი, ცალკეული მოვლენის, ცალკეული ფაქტისა. მაგალითად, დაუჯერებელია, ბურდუ შელია ისე მიეტოვებინა მის ახლობელ კომკავშირელ მეგობრებს, როგორც ეს პოემაშია, თუნდაც ეს ცალკეული შემთხვევა ყოფილიყო. ეს არ არის კომკავშირული ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი, ახალგაზრდობისა, რომელსაც თვითონ ავტორი ასეთი სიყვარულითა და სიმართლით გვიხატავს. ასევე მოტივირება აკლია ბურდუ შელიას ტრაგიკულ მდგომარეობას, რომელშიაც ის აღმოჩნდება.

პოემას კომპოზიციური და დრამატული სიტუაციების მხრივაც ახასიათებს ზოგიერთი სუსტი მხარე.

ალიო მაშაშვილი ჩვენი დროის, ჩვენი ეპოქის გულწრფელი მხატვარია. ამიტომაც მის ლირიკაში და პოემებშიაც ცენტრალური ადგილი იმ ადამიანებს უჭირავთ, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებენ. მაგრამ ჩვენმა პოეტმა კარგად იცის, რომ ჩვენი ცხოვრება არაა დაზღვეული ნაკლისაგან, — ცოტა როდია ჩვენს შორის დაავადებული ძველის გადმონაშთებით, ცოტა როდია მანკიერი და მახინჯი. აი, ეს უარყოფითი ადამიანები, ჩვენი ცხოვრების ზედმეტი ტიპი გამოხატა მწერალმა მეორე პოემაში, რომელსაც ეწოდება „აი, ადამიანი". ამ

პოემას არა აქვს ისეთი ნათელი სიუჟეტი, მწყობრი, ჩამოყალიბებული ამბავი, როგორიც აქვს „ენგურს“, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ავტორი ახერხებს გვიჩვენოს, როგორი არ უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი.

პოეტმა მწვავედ გაამათრახა ამ ნაწარმოებში გუშინდელი დღის გადმონაშთები, რომლებიც წინსვლას უშლიან საბჭოთა ადამიანებს. კაპიტალისტური ცხოვრების საზოგადოებრიობის მავნე ჩვევებით დაავადებულის, ობივატელის, მეშჩანის განზოგადებული სახე დახატა მწერალმა „აი, ადამიანში“. ეს უთუოდ მახვილი პამფლეტია ობივატელი ადამიანისა, რომელსაც რაღაც მანქანებით პარტიული მანდატი მოუპოვებია და მაღალი თანამდებობა. მწერალი სარკასტულად ამათრახებს მას.

„ენგურის“ გამოქვეყნებიდან ათი წელი გავიდა. ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში. და აი, საბჭოთა საქართველოს რუკაზე გაჩნდა ახალი ქალაქი რუსთავი. ავტორმა ამ ქალაქს, ამ ქალაქის მშენებელ მოწინავე ადამიანებს მიუძღვნა პოემა „რუსთავი“.

„რუსთავი“ თითქოს თავისებური გაგრძელებაა „ენგურისა“, გაგრძელება იმ თვალსაზრისით, რომ აქ ავტორმა იმავე გმირების სულიერი სამყარო გამოსახა — თითქმის იმავე ურთიერთობასა და დამოკიდებულებაში — როგორც ეს წარმოადგინა „ენგურში“. „ენგურის“ გმირები — არჩილ დევიძე, ლია ლანდია, ბურდუ შელია მირცხულავამ გადმოიყვანა ამ პოემაში, მათ ახალი ასპარეზი მისცა და, ამის მიხედვით, ახალ გარემოში დაგვიხატა ამ ადამიანების ცხოვრება და შრომა.

პოემის შესავალში ავტორი მოკლედ გვაწვდის ზოგიერთ ისტორიულ ცნობას რუსთავის შესახებ. ეს ოდესღაც ბაღი-ქალაქი თავისი ციხე-სიმაგრით და ხალიბური ქართული ფოლადით მთელ საქართველოში იყო სახელგანთქმული, მაგრამ მტრებმა ისე, როგორც მრავალი ქალაქი და სოფელი, რუსთავიც ააოხრეს. პოეტი იგონებს ქართლის ცხოვრების ამ მძიმე წარსულს, თურქთა, მონღოლთა თარეშის დღეებს. „ქართლის ცხოვრების“ მძიმე წარსული, იგი დრო მწარე, დრო საღონარი“ ისტორიას ჩაბარდა, ყველა ჩვენს მტერს მიეზღო ჩვენი წარსული ცოდო და ბრალი და აი, აღდგა საქართველო.

აღდგა ფენიქსებრ ქართველი ერი,
შორს მიმოფანტა ჟამი ტიალი,
ვერას დააკლებს ვერაგი მტერი,
ზღვის გადალმელი, გადამთიელი.

ასევე აღდგა რუსთავ-ქალაქიც, გაქრა წარსულის კვნესა და მოთქმა. საბჭოთა საქართველოს ახალი მოდგმა კვლავ შეუდგა თუჯისა და ფოლადის გამოწრთობას. რუსთავ-ქალაქს გვერდში უნდა ამოუდგეს ჭაღარა თბილისი. მაგრამ კითხვა იბადება: როგორ უნდა აშენდეს ახალი სოციალისტური ქალაქი. მომავალი ახალი ქალაქის პროექტი აკადემიკოს ვასილ გარიშვილს შეუდგენია, მაგრამ, მისი ავტორიტეტის მიუხედავად, არჩილ დევიძემ, ბურდუ შელიამ და სხვა ახალგაზრდა სპეციალისტებმაც დაუწუნეს ეს გეგმა. გამოცდილმა, სახელმოხვეჭილმა სპეციალისტმა ვასილ გარიშვილმა შეურაცხყოფად მიიღო ახალგაზრდობის აზრი, ქედმაღლურად დაგმო მათი შენიშვნა და საკითხი ცენტრალურ კომიტეტში გადაიტანა. რუსთავ-ქალაქის მთავარი ინჟინრის ბურდუ შელიას წინადადებით, გამოცხადდა კონკურსი ქალაქის პროექტზე. ამ დროს ომი ატყდება, თითქოს ეს საქმე დროებით შეფერხდა. ომი დამთავრდა, ჩვენი ხალხი მშვიდობიან მშენებლობას შეუდგა, განახლდა რუსთავის მშენებლობა და აი, ამხანაგები, ძმადნაფიცები — ბურდუ შელია და არჩილ დევიძე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ისინი ერთად იბრძოდნენ „კომბინატში“, შემდეგ თბილისში ერთად მუშაობდნენ და ახლა, ომის შემდეგ, კვლავ რუსთავში შეხვდნენ ერთმანეთს. აქვე არის ლიაც, ბურდუ შელიას სატრფო, არჩილ დევიძის დობილი. ძმადშეფიცულები მაინც სხვადასხვა აზრისა არიან ქალაქის მშენებლობის პროექტზე. მრავალსართულიანი სახლის პროექტს იცავს ბურდუ შელია. კოტეჯების მომხრეა არჩილ დევიძე. ისინი კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ. არჩილ დევიძე ისე მიდის მოსკოვში, რომ პროექტს ვერ ამთავრებს, მის დამთავრებას მიანდობს ლიას. ბურდუ შელიას ეჭვი შეაქვს ლიას ამ მოქმედებაში. ეჭვიანი შეყვარებული მტრულად განეწყობა დევიძის პროექტის მიმართ. ლიას მოსკოვიდან ბარათს სწერს არჩილ დევიძე. თურმე იგი მოსკოვში, ერთ-ერთ ქარხანაში აფეთქების დროს დაჭრილა და ავადაა. დობილი დარდობს მასზე და მუშაობს თავგამოდებით პროექტზე. როცა პროექტს ბურდუ შელია გაეცნობა, მოეწონება ეს შრომა. მასში ქრება სიძულვილი და ქიშპობის გრძნობა ძმადშეფიცულისადმი.

და აი, კონკურსზე წარდგება ორივე შრომა: დევიძისა დევიზით — „რწმენა“ და ბურდუ შელიასი დევიზით — „სიყვარული“. აკადემიკოსი გარიშვილი თავს ესხმის დევიძის პროექტს „რწმენას“. იგი მიხვდა, რომ მისი ავტორი უნდა იყოს ის დევიძე, რომელიც მისი პროექტის

წინააღმდეგ გამოვიდა და ახლა შური უნდა იძიოს მასზე. ბურდუ შელია პირიქით, მხარს უჭერს არჩილ დევიძის პროექტს, თუმცა თავის მხრივაც წარადგინა პროექტი. როდესაც დევიზებს გახსნიან, ყველას გაუკვირდება, როცა მეორე პროექტის ავტორი აღმოჩნდება ბურდუ შელია, რომელიც ამავე დროს, იცავდა სხვა პროექტს — „რწმენას“. საბოლოოდ, ცენტრალური კომიტეტის ჩარევით, ეს ორივე მოწონებული პროექტი შეერთდება.

ბედნიერად თავდება ეს სიყვარული: ბურდუ შელია ცოლად ირთავს ლიას და ქალაქ რუსთავის პირველ მკვიდრს შოთას სახელს შეარქმევენ. ასეთია ამ პოემის სიუჟეტი.

პოემაში ბევრი რამ არის დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი. მაგრამ არ იქნებოდა სამართლიანი, არ შეგვენიშნა პოემის ღირსებაც.

პოემის უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ხაზს უსვამს იმ ადამიანების ღირსებას, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს მაღლა აყენებს პიროვნულზე... ამის მიხედვით ამაღლებულადაა დახატული მოწინავე ადამიანები, განთავისუფლებულნი ამ კერძომესაკუთრული ინსტინქტებისაგან, საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებული ადამიანები. კარგად ამბობს პოეტი:

მუშა, მეურმე თუ მეცნიერი,
გამსჭვალულია ერთი სურვილით,
სულით მაღალი, ნებით ძლიერი,
დიად მომავალს ეტრფის წყურვილით.

ყველგან: მშობლიურ მთაში თუ ბარში,
უხვი ცხოვრების ულევ მარაგად
ქმნიან საერთო შრომით და გარჯით
ქვეყნის დიდებას, ქვეყნის ბარაქას.
. . . . . .
და შეხარიან დღეებს მზიანებს,
ნეტარ სიცოცხლეს და სიტკბოებას,
ამ ახალ გრძნობის ადამიანებს
ქებას უმღერის ჩემი პოემა.

*

ალიო მაშაშვილის (მირცხულავას) შემოქმედება, როგორც ითქვა, ძირითადად ოპტიმისტურ-რეალისტური ხასიათისაა. საბჭოთა ცხოვ-

რების ნიჭიერი მხატვარი, რევოლუციის პოეტი ყოველთვის განუყრელად მიჰყვებოდა ჩვენს მრავალფეროვან ცხოვრებას. ამ დიდ შემოქმედებითს გზაზე რევოლუციის პოეტს, საბჭოთა პოეტს — ალიო მაშაშვილს — ჰქონდა ერთგვარი გადახვევებიც და შეცდომებიც. მისი პოეტური შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს თან ახლდა ერთგვარი შენაკადები ვიწრო სუბიექტურ-ლირიკული ხასიათისა („პატარას", „დარიალი"), პოეტს მემარცხენული ხასიათის შეცდომებიც ჰქონდა („მე და ბარათაშვილი", „ლოდინი გემზე", „სამიკიტნოში"). მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ეს ცალკეული გადახვევანი მირცხულავას პოეტურ ბიოგრაფიაში არაარსებითია. მართალია, ეს განწყობილებანი ჩრდილს აყენებდნენ მწერლის ნათელ, რეალისტურ შემოქმედებას, მაგრამ მათ ვერ გადაახვევინეს პოეტს ერთხელ არჩეული გზიდან. მაშაშვილის არჩეული გზა კი იმთავითვე დაკავშირებული იყო კლასიკური მწერლობის სახელოვანი მემკვიდრის—საბჭოთა მწერლობის გზასთან.

სარჩევი

შალვა დადიანი 3
ნიკო ლორთქიფანიძე 41
მიხეილ ჯავახიშვილი 64
ლეო ქიაჩელი 119
ალექსანდრე აბაშელი 172
გიორგი ქუჩიშვილი 193
სანდრო შანშიაშვილი 209
იოსებ გრიშაშვილი 235
კონსტანტინე გამსახურდია . . . 269
გალაკტიონ ტაბიძე 333
გიორგი ლეონიძე 441
ალიო მირცხულავა (მაშაშვილი) . . 477

რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორები თ. მაჩაბელი, ნ. კირთაძე
გამომშვები მ. წიკწიკაძე

გადაეცა წარმოებას 15/X-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VI-75 წ.
ქაღალდი საბეჭდი № 2. ზომა 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29.3.
სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 26.06.
უე 07656. ტირაჟი 3000. შეკვ. 1389.
ფასი 2 მან. 16 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 1.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Государственного комитета Совета
Министров Груз. ССР по делам издательств,
ул. Орджоникидзе № 50.